მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

f-6301

წიგნი ... ...

№ V

მ ა ი ს ი, 1894

ტ ფ ი ლ ი ს ი
ტიპოგრ. ... ...

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 14 Мая 1894 года.

შინაარსი

I ლაზარემ გადაადგარგა. — მოთხრობა ანასტასია ბეგ-ერისთავისა 1

II ***.—ლექსი ცახელისა 53

III ტარტარენ ტარასკონელი. — მოთხრობა ალფონს დოდესი, თარგმანი ი. მ—ნისა (გაგრძელება) . 57

IV შერისხვა.—ამბავი დავ. კლდიაშვილისა 95

V ანდრე კორნელი.—რომანი პოლ ბურჟესი, თარგმანი გ. ყიფშიძისა (გაგრძელება) 109

VI † ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი) ნეკროლოგი . 135

VII საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო.—ისტორიული წერილები ვ. ბოტტოსი, თარგმანი 1

VIII ღვინის დაყენება.—III ტკბილის დადულება.—პროფესორი ვ. ჰეტრაიშვილისა (გაგრძელება) . . . 58

IX ეკონომიური წარმატება და ეროვნება.—წერილი I ნ. ჟორდანიასი 99

X სალიტერატურო შენიშვნები.—კვალის კრიტიკოსები—ბბ. მაზაკვალი და პეტრიძე.—ს. ნა—ლისა . . 122

XI ქრონიკა:

— I — შინაური მიმოხილვა:

ჩვენი არჩევნები.—აზნაურობის კენჭის-ყრა.—აზნაურობას რა დრო დაუდგა?—პარტიობა უცხოეთში და ჩვენში.—ვიგინდარების არჩევა.—რა უნდათ, რას გვპირდებიან?—ვირჩევთ, თუ თავს გვარჩევინებენ?—არჩევანი უცხოეთში და ჩვენში.—როგორი წარმომადგენლები გვეჭირვება.—არჩევანი მღვდელ-მოქმედებაა.—მისი სიწმიდის საჭიროება. . . 141

—II — უცხოეთის მიმოხილვა: — საბრალო სერბია . . 157

XII გაცნობებანი.

შეცდომის გასწორება: ამ №-ში „ღვინის დაყენების“ სათაურის მეორე და მესამე სტრიქონი შეცდომით ასეა დაბეჭდილი: „II ტკბილი“; უნდა იყოს: „III ტკბილის დადულება“.

ლაზარეთ გადაასჯარგა

მოთხრობა

I

— ბუნებას სიცოცხლე! ბრძანა ქვეყნის მნათობმა.

— ბუნებას სიცოცხლე! — გაიმეორეს სხივებმა, ამოიმართნენ ზემოდ, შესცინეს ზეცას, რომელსაც შავი საბურავი მიჰფარებოდა პირზე, სული ეხუთებოდა. მოპირისფრო ზოლებმა ნელნელა შეათხელეს ეს სამგლოვიარო ძაძა, შეხედეს მიბნედილ თვალებში ფირუზას, მხიარულად შესძახეს:

— გამარჯვება, მეგობარო, იცოცხლეო!... ამ დროს ნიავმაც დაჰბერა, დაეშვა მინდვრის „კეკლუცობაკენ“, მოჰკრიფა მათზე გუნდრუკი, დაკმია ჰაერში, სხივებმა იწყეს დაბლა-დაბლა ჩამოსვლა, სიბნელე გაჰქრა, ბუნებამ სული ჩაიდგა.

— სიცოცხლე! მოისმოდა ყოველ მხრიდან.

— სიცოცხლე! ბუტბუტებდა მტკვარი, მდორედ მოდიოდა თავის ღრმა კალაპოტში. ამის სარკეშიაც მოასწრეს ჩახედება სხივებმა, თავი მოილამაზეს მას შემდეგ, როდესაც გადახედეს ზურმუხტ ველზე ამართულ შტოებ გადაშლილ წაბლის ხეებს. იგრძნეს თუ არა წაბლებმა მათი შეხება, იმ წამსვე შეიბრალეს, მოჰყვნენ საამო რხევასა; ფრინველების ჭიკჭიკ-გალობა, მწერების ბზუილი, მცენარეთა შრიალი, ყველა ერთმანეთს უერთდებოდა, ჰაერი მოძრაობაში მოდიოდა; ვრწმუნდებოდით, რომ ამ ერთი საათის წინად დამყარებული სიკვდილი განიდევ-

ნა, შეიცვალა ყველასთვის სანატრელ სიცოცხლედ; ბუნება მეჯლიშს ეპირებოდა, თამადის თასი თვითონვე ხელში აეღო. აგერა მერცხალი დაეშვა დაბლა, ის იყო უნდა გაჰკროდა დედა-მიწას, წარმოეთქვა: სიხარულიო, მაგრამ ეს სიტყვა ისევ ნისკარტზე მიეყინა, გაწამდა, გაშეშდა, შემდეგ კვნესასავით რაღაც ხმა ამოხდა გულიდან, შეიფთხიალა, თვალის დახამხამებაზე გაჰქრა ლაჟვარდ სივრცეში. რა მოუვიდა ლამაზ სირს? რატომ თამამად არ ჩასძახა თავისი განზრახული სალამი დედა-მიწას, არ მიულოცა მას ბუნების დაქორწინება? თვითონაც არ უნდოდა პაწიას, რომ ამ ჟამად უსიამოვნო გრძნობა გავლებოდა გულში, მაგრამ მოულოდნელმა სურათმა შესცვალა მისი გუნება. იქ, სადაც ეს დაეშვა, იყო სასაფლაო, შემკობილი მწვანე ბუჩქებით; თვითო საფლავის ქვას ყლორტებიანი მცენარე ზემოდან აღვრიდა ლილიფითი მარგალიტ ცრემლებს. ეს ადგილი მეტად მოეწონა ჩიტუნიას, დაეშვა, რომ მის გულს დაჰკონებოდა, მაგრამ შეჰკრთა შემდეგის სანახავისგან: საფლავის ქვასთან მუხლ-მოდრეკით დაჩოქილი იყო თეთრებში მოსილი არსება. ღმერთო, ნუ თუ ადამიანი იყო ესა? არა, ეს იყო მოჩვენება, ლანდი, წარმოვლენილი განგებისგან, რათა სიკვდილის შვილს არ ეფიქრნა, რომ ეს თვალად ტურფა ადგილი არ იყო ნაშთი სულისა და გულის ღონებისა. ლანდის გაცრეცილი ტუჩები კარგა ხანს რაღასაც უხმოდ ჩურჩულებდნენ, მიმქრალებულის თვალებით განწირულებით ხან დააჩერდებოდა საფლავს, ხან გახედავდა შორიდან მოჩინარ სოფელს, რომელიც მაღლობიდან გადმოჰყურებდა, ხანაც თვალს გადაავლებდა მდინარის ზვირთებს, ათრთოლებულ ხელებს მიიფარებდა სახეზე და გულსაკლავად ამოიკვნესებდა.

— ვაი შენს დამკარგავსა, შვილო! ვაიმე ჩაქოლვილსა!... შესძახებდა ეს. ნადუღი ცრემლები ნაკადულად ეღვრებოდა თვალებიდან, ეს ნაკადი წვეთ-წვეთად გადადიოდა საფლავის ქვაზე, ზედ აკვდებოდა.

— სად არის სამართალი! ვის უნდა ეცქირნა ამ გათენებისთვის და დახე ვინ უყურებს?! ჩემთვის მარად სიბნელეა, რად მი-

ნდა მზის სხივი, რად მინდა ეს დატანჯული სიცოცხლე? შენ გვერ-
დზე ამოთხრილ საფლავის მიწა შეაშრობს ამ ცრემლებს, ეგ ძვლე-
ბი შეეხებიან ჩაქოლვილ ირინეს სხეულს, მაშინ, მარტო მაშინ გა-
მითენდება აღდგომა, თუ არა და რად მინდა გათენება? ვაიმე, ვაიმე
უბედურსა! ვაი მე ჩაქოლვილსა! კვნესით, მისუსტებულ ხმით ჩას-
ძახებდა ეს სამარეს. ხანდისხან სულს გაჰკმენდავდა, თითქო უნდა
მოისმინოს მისგანაც პასუხიო, მაგრამ რაკი ვერას გაიგონებდა,
დაემხობოდა პირქვე, გაშლიდა მკლავებს, გადაეკვდოდა ქვას,
რამდენსამე ხანს თვალებ-დახუჭული სანთელსავით ჩამომდნარი
არსება უძრავად შეიქმნებოდა ხოლმე. ბოლოს დაოსდა
ტირილისგან, ზურგი მიჰყუდა ხეს, გულ ხელი დაიკრიფა,
ანგარიშ მიუცემლად იწყო ისევ მდინარისკენ ყურება; ამ დროს
ამისი თვალები ხატავდნენ ტანჯვა-უიმედობას, მეტის-მეტ გან-
წირულებას.

— კმარა ამდენი წვალება! ამაზე მეტი აღარ შემიძლიან;
შესძახა ამან, უეცრად წამოვარდა ზეზე, თვალებმა ნაპერწკლე-
ბი გააბნიეს, ტუჩები ლიმილმა შეუთამაშა, მაგრამ ეს ღიმილი
არა ჰგავდა კმაყოფილების ღიმილს, არამედ რაღაც სამძიმო,
უსიამოვნო, თითქმის საშიშო მეტყველება იყო ტუჩებისა...

— რიღასთვის ვიყურები?.. რიღასთვისა ვცოცხლობ? იქ-
ნება იმიტომ რო ხალხს ანგელოზად ვეჩვენო? არა, კმარა ამ-
დენი მოტყუება... ოხ, ოჯახო, ქმარ-შვილო!.. რომ იცოდეთ
რა შემცოდეა თქვენ წინ ირინე, მაშინ უფრო უჯიათად მომეკი-
დებოდით, ჩამაქვავებდით!.. რომ არ მიცნობთ! ირინე შემცოდეა
და როგორც შემცოდე შეუბრალებლად, დაუტირებლად ჩაკვდე-
ბა... მშვიდობით, მილაპარაკობდა ირინე, თან აჩქარებით, თითქმის
სირბილით მიდიოდა მდინარისკენ. კლდის ძირში მიშხუის
მტკვარი, კარგა დიდ მანძილზე გაშლილ მიათამაშებს ზვირთებს,
ბოლოს კლდის მუხლს უხვევს, თვალიდან ჰქრება. აგერა
ირინე ავიდა მწვანით შემოსილ ბეგობზე, რომელიც ერთის
მხრივ ეშვება მდინარისკენ, მეორეს მხრივ კიბე-კიბედ ჩადის
რკინის გზის სადგურთან. ქალმა გასწია, მიახწია მტკვრამდინ,
ჩამოჯდა მის ნაპირთან, რაღაც ნწარე ფიქრებმა წაიღეს.

— რა ხელი მაქვს უმანკო სამარესთან ცოდვილს, უბედურს, ყველასგან საზიზღარ დედაკაცს?.. შორს, შორს, აბა ვნახოთ როგორ ჩაგიხვევენ ეს ზვირთები, ირინე! აჩქარებით ლაპარაკობდა ქალი, თან ფეხ-საცმელებს იხდიდა.

— ვნახოთ როგორის სიხარულით მიგიღებს ჯოჯოხეთი!.. დაუმატა ამან. ამდროს სოფლიდან მოისმა ზარის რეკვა; ამ ზარს სხვა ზარებმაც მისცეს ბანი, გუგუნით გადასცეს მთათა და ღრეთა, შეატყობინეს ბუნებას, ახლა კი დროა ვადიდოთ შემოქმედი.

— ცისკარი ირეკება, ირეკება ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ზარიც... წაიბუტბუტა ირინემ, წამოდგა ზეზე, ნაღვლიანად ერთი კიდევ მოავლო თვალი არე-მარეს და ჩაფიქრდა.

— ვერა, ვერა, უნდა გათავდეს, შესძახა ამან, მიიფარა სახეზე ხელები და როგორც უნდა გადავლებოდა მდინარის ზვირთებს, ამ დროს ვიღამაც სტაცა უკანიდან ხელი, ირინე შეკრთა, მოიხედა და რა დაინახა ღონიერი მკლავების პატრონი, საშინლად დაიკივლა, გაიბრძოლა და გონება დაჰკარგა, მაგრამ ამ მკლავებმა ძირს აღარ დაუშვეს, არამედ მაგრა მიიკრეს გულზე.

II

როდესაც ირინე მოვიდა გონებაზე, თვალი გაახილა, თავისი თავი ისევ სასაფლაოსთან ხესთან მისვენებული ნახა და ეოცა.

— კიდევა ვგრძნობ რასმეს?!. ვაი ჩემს ბედსა!.. ამოიკვნესა მან.

— დავიჯერო მე თვითონ შევძელი აქამდინ მოსვლა?!.

— არა, ირინე, აქ მე მოგიყვანე, მოესმა პასუხი. ამ ხმაზე ქალს გააკანკალა, თვალები მოხუჭა.

— ტყუილა გიფიქრია თავის მოკვლა, ტყუილა, სანამ ზურიას სული უდგია, მანამ მაგ სურვილს ვერ შეასრულებ... განაგრძო ახლად მოსულმა. ირინემ გაახილა თვალები, შეხედა

ამ დაუპატიჟებელ გამომხსნელს, რომელიც თავ-ჩაღუნული მის ახლო იდგა და არ ინძრეოდა.

— ზურია! დასუსტებულის ხმით წარმოსთქვა ქალმა,—მე აქამდინ მოჩვენება მეგონე, მაშ ნამდვილად შენა ხარ?.. რისთვის მოხვედი?.. ან თუ მოსვლას არ იშლიდი რატო არ დაიგვიანე მაინცა? დაუმატა ირინემ, თვალები გაუბრწყინდნენ, ტუჩები მაგრა მოეკუმა.

— ნუ მიჯავრდები, ჩემო სალოცავო, გულმა ვერ მოითმინა, მითხრა: დროა, მიხედე შენ ღმერთსაო და მეც წამოველ, ხელს ნუ მკრავ, შენი ჭირიმე, ხომ იცი რო ზურიაც დიდი უბედურია.

— მე მოსახედავი არა მქონდა-რა, უპატრონო ნუ გგონივარ, ზურია; მე მიყვარს ქმარშვილი, დოვლათით სავსეა ჩემი ოჯახი, გუშინას წინ ერთი შვილი აი აქ დავმარხე, ჩემი სიყვარული იმათ გადავეც, შენთვის აღარა დამრჩა-რა, მომშორდი თავიდან...

— თუ კი აგრე ბედნიერი ხარ, თავს რაღად იკლავ? სახეც ვერ გემოწმება, ირინე, ჩემო ბედნიერებავ, რათ მექცევი ანგრე უკმეხად! რაც უნდა მითხრა, მაინც ვერ დამაჯერებ, რო ეგ გული ჩემი არ არის!.. ამ სიტყვებზე ქალი წინანდელზე მეტად გაფითრდა, სიტყვის თქმა ვერ შესძლო, უნდოდა ზეზე წამომდგარიყო, მაგრამ სისუტემ სძლია და ისევ ძირს დაეშვა...

— ბედნიერი?.. მწარის ღიმილით ჩაილაპარაკა მან.—ბედნიერი მარტო მაშინ ვიქნები, როცა აიმ მდინარის ზვირთებს მივაბარებ ცოდვიან სულსა. დაუმატა ქალმა და როგორც იყო წამოდგა ზეზე.

— ნუ მეუბნები მაგ სიტყვებს, ნუ, თავს შემოგევლე!... შეეეფდრა ზურია. ირინე ხმას არ იღებდა, გაქვავებულივით იდგა ერთს ალაგას, იმის სახეს სიცოცხლე არ ეტყობოდა, არამედ განწირულებით გაიყურებოდა გვერდზე, ხელები უკანკალებდნენ.

— ვერა, ვერა, ერთმანეთი უნდა დავივიწყოთ, ზურია, პირობა ასეთი იყო, ჩემი ბრალი არ არის, იცის ღმერთმა, გაი-

ხსენე... ქალს უკანასკნელ სიტყვებზე რაღაც ჟრუანტელმა დაუარა ტანში და გადმოდგა წინ ნაბიჯი.

— ირინე! დაიკვნესა ზურიამ. ეს კვნესა ლახვარივით დაესო გულში ირინეს, მაგრამ ძალა დაატანა თავს, არ მოიხედა, და ნელა-ნელა, ლასლასით წავიდა.

— ყველაფერი უნდა გათავდეს!... დაჟინებით იმეორებდნენ ამისი გაფითრებული ტუჩები. ქალი შედგა, შეისვენა, ხელი მიიდო გულზე, რომელსაც ბაგაბუგი გაჰქონდა.

— არ მემორჩილები?.. ჰკვნესი — ზურიას ვშორდებიო? მე ის რო აღარ მიყვარს!.. რას ვამბობ?! არ მიყვარს?.. ვინა?.. ზურია?.. ის რო აღარ მიყვარდეს მაშ რისთვის ვდნები სანთელივით?.. ვინ არის ჩემი სუნთქვა?.. სიცოცხლე?.. ქალმა გასწია.

— ირინე!.. მოესმა კიდევ ძახილი. ირინეს უნდოდა ახლაც გულგრილად მოჰქცეოდა ამ სანატრელ ხმას, ყური არ ეთხოვებინა, მაგრამ ვეღარ შესძლო, უნებურად შედგა და მოიხედა.

— რა გინდა? ბოლოს გამოეხმაურა ესეც.

— მშვიდობით, ღმერთმა ბედნიერად გაცხოვროს. მეც მივდივარ, მგონი ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო, მაპატიე რაც გაწყენინე. უთხრა ზურიამ, როცა მოვიდა ქალთან. ირინე შეკრთა, თვალები ძირს დახარა.

— სად მიხვალ?.. ჰკითხა მან ბოლოს.

— ნეტაი რაში გეკითხება?.. ირინემ ყვედრებით შეხედა ზურიას, რომელსაც ეს შეხედვა ნეტარების სხივად ჩაესახა გულში.

— სად მიხვალ?.. განუმეორა კითხვა ქალმა.

— სადა? მე თვითონაც არ ვიცი... განა მოვიფიქრებდი, რომ შენი ოჯახი ისე სიამოვნებით მომეგებებოდა და შენ კი...

— სიამოვნებით მოგეგება?! მერე როდის ნახე ისინი?!

— პირველად იქ მივედი, გავიგე თუ არა, რომ აქ იყავი, მოვიმიზეზე დედა-ჩემი უნდა ვნახო მეთქი და გამოვწიე, მეგონა ჩემი ნახვა გიამებოდა, მაგრამ...

— მაშ მე რაღათ მაყვედრი, ზურია? გააწყვეტინა ქალმა. — განა არ იცი რო, როგორც ჯალაბის პატრონს, ნება არა მაქვს მარტო მე მიგიწვიო სახლში?..

— ძალას ვინ გატანს, ან საყვედურს ვინ გეუბნება?.... მშვიდობით!

ირინე ჩაფიქრდა.

— რახან ჯალაბს სასიამოვნოდ აქვს შენი ნახვა, წამო დაუმატა მან ბოლოს!..

— ჯალაბის სანახვად არ მოვსულვარ, მე მინდა მარტო შენი გული.

— მგონი დაგავიწყდა რო ანგრე არ უნდა იყვეს, მოიგონე...

უთხრა ირინემ და უკან დადგა. ზურიამ შუბლზე გადისვა ხელი.

— ნუ მაგონებ მაგას, რაც უნდა იყვეს ვერ დაგთმობ.

— რა გინდა ჩემგან?..

— შენი სიყვარული. შენთან ყოფნა.

— ვერა. არ შეიძლება, პატარა დაიცა, სიკვდილი შორს არ არის...

— მაშ მოგწყინდი?.. მითხოვ?..

— რათა! თუ მოხვალ როგორც მოკეთე, მობრძანდი, ჩვენ სახლს სტუმარი არა სძულს, ჭერიც კი გაიხარებს ხოლმე, როცა ვინმე გვეწვევა, თუ არა და არ შეიძლება.

— წამოვიდე როგორც უცხო?

— არა, როგორც მოკეთე.

— შენი ნებაა. ირინე შეაჩერდა სათაყვანოს მიციალებულ თვალებით, გულსაკლავად ამოიოხრა და გამობრუნდა...

— ჩემო ღმერთო! შესძახა უნებურად ზურიამ და ხელები გაუწვდინა.

— არა, უპასუხა ხელის გაქნევით ირინემ.

— გენაცვალე!

ირინეს თითქო არ გაუგონიაო, გაჩუმებული მიდიოდა, მაგრამ აი შედგა, მოიხედა, მას გაფითრებული ლოყები ოდნავ შესწითლებოდნენ, თვალები რაღაც ცეცხლით გაუბრწყინ-დნენ.

— შენი ჭირიმე, ჩემო ღულუნავ! მოესმა ჩურჩული. ამ ჩურჩულმა თითქო მოაჯადოვაო ქალი, ხმა ამოუღებლად მიუ-

ახლოვდა ზურიას, მაგრამ ამ დროს მალე გამოვიდა თავდავიწყებიდან, თვითონვე შეშინდა, ისევ გაფითრდა, გაშეშდა ერთ ადგილას, მოცვარე თვალები უცნაურის ვედრებით მიაშტერა ზურიას, რომელმაც ამ დროს რაღაც სისუსტე-მორჩილება იგრძნო და უკან დაიწია, ირინე კი საჩქაროდ გამოტრიალდა, აჩქარებულის ნაბიჯით შეუდგა სოფელში ასასვლელ აღმართს.

III

სოფელს №-ზე ბუნებას უხვად დაუბერტყნია თავისი კალთა; როგორც მდებიარობით, ისე წყლით და ჰავით შემკობილი, ამაყად გადმოჰყურებს მახლობლად გაშენებულ სოფლებს, რომელთაც მედიდურ-ამპარტავნულ სახით ეუბნება: თუ ღმერთი გწამდეთ ტყუილად ნუ მეტოლებით, თქვენ ჩემთან ფეხი არ მოგიწვდებათო. ოღონდაც, იმ დროს, როცა სხვები ცალკე მუშაობისგან დამაშვრალნი, ცალკე უწყლოობისგან ილაჯ გაწყვეტილები გაფაციცებით დაეძებენ სულის მოსაბრუნებელ ცვარს, მაშინ ეს იპატიჟებს თავისკენ, უხვად უმასპინძლდება უცხო სტუმართ, გულს უგრილებს, ხალისს უახლებს ცივ-ცივის წყაროებით. შორიდან კაცი ძნელად თუ გაარჩევს ამ სოფლის მცხოვრებთა სახლებს, ესენი ერთმანეთს კარგა მოშორებიან, მათ გარს შემორტყმიან მშვენიერი ხეები, თვითონ კედლები დაუფარავთ მწვანე ფათალოთი. ამ სოფელს სამი ეკლესია აქვს. მათი ბრჭყვიალა ჯვრები ერთი ვერსის სიშორეზე მოსჩანან მზიან დღეებში და ქუდ-მოხდილ მგზავრს მოწიწებით გულზე პირჯვარს ასახვინებენ. აგერა ირინე მიუახლოვდა თვის სახლსა, რომელიც შუა სოფელში იდგა; ქალს დაღალვა ეტყობოდა, მუელი ტანი უთრთოდა, გული ასდი-დასდიოდა, მაგრამ მაინც არ შეუფერხნია, არამედ გაუჩერებლივ მიიწევდა წინ. აი მივიდა კარებთან, კიდეეაც მოსწყდა მუხლებში, მაინც მიახწია დერეფნამდინ და გადაფითრებული დაეშვა ძირს; ამისმა სახემ წინანდელზე უფრო განწირული, გატანჯული მეტყველება მიიღო.

— რა დაგმართვია, ადამიანო? რო არ შეგიძლიან, ნეტა რას დადიხარ? მოესმა ამ დროს ხმა, რომელშიაც ერთად იხატებოდა გრძნობა და საყვედური. როდესაც ირინემ დაინახა თავისი ქმარი, ტუჩები რაღაც ძალ-დატანებისგან დაეკრანჭა, გვერდზე მიიღო სახე, ხმა არ გასცა.

— წყალი ხომ არ გინდა? დაეკითხა ისევ მიტრო.

— არაფერი არა მინდარა, უკმაყოფილოდ უპასუხა მან.

— რაი წახველ პავლიას თვალები არ მოუხუჭავს, აკვანში არ მოისვენა, სულ ტიროდა და ტიროდა, ავდექ ამოვაყენე და დედაჩემს გავგვარე სამარგლში, განაგრძო მიტრომ. ქალმა მაინც სრული პასუხი არ აღირსა.

— რას მომჩერებიხარ, კაცო? უთხრა ირინემ, როდესაც ნახა რო მიტრო გაუნძრევლად იდგა ამის წინ და ფეხს არ იცვლიდა,

— გაიხედე, ემანდ კარზე ზურიაა, რო მოვდიოდი, გზაზე შემომხვდა, როგორც დაგიპატიჟნია, ისეც დაჰხვდი. მიტრომ გაოცებით შეხედა ირინეს, რომელიც თვალებ დახუჭული კედელს მიჰყუდებოდა და არ ინძრეოდა, უნდოდა რაღაც ეთქვა ცოლისთვის, მაგრამ რაკი ის იმნაირ მდგომარეობაში ნახა, სათქმელი სიტყვები ისევ გულშივე ჩაიბრუნა, გაიქნია თავი და გამოვიდა კარზე, სადაც ზურია აგრედვე ჩაფიქრებული დახვდა.

— ნურას უკაცრავად, ძმაო, მარტო დაგტოვე, ამ ჩემმა დედაკაცმა მთელი გონება დამიბნია, მეტად გამოვთაყვანდი, არ ვიცი რომელ წყალს მივცე თავი!.. სთქვა ნაღვლიანად მიტრომ გამოსვლის უმალ, დაინახა თუ არა ზურია.

— არაფერი, ჩემთან ბოდიშები საჭირო არ არის, ბიჭო, შინაური ვარ... ვენახიდან ძაან სიმღერა მოისმის აი, უთუოთ სიმინდს ჰთოხნიან, დაუმატა ზურიამ, რათა შეეცვალა ლაპარაკის საგანი, რომელიც გულში შხამს აწვეთებდა და გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებდა.

— დიახ, ის ჩვენი ვენახია, პატარაზე სიმინდი დავთესეთ და ეხლა ჰთოხნიან. ყველგან გაცხარებული მუშაობაა, მე კი

ახლოვდა ზურიას, მაგრამ ამ დროს მალე გამოვიდა თავდავიწყებიდან, თვითონვე შეშინდა, ისევ გაფითრდა, გაშეშდა ერთ ადგილას, მოცვარე თვალები უცნაურის ვედრებით მიაშტერა ზურიას, რომელმაც ამ დროს რაღაც სისუსტე-მორჩილება იგრძნო და უკან დაიწია, ირინე კი საჩქაროდ გამოტრიალდა, აჩქარებულის ნაბიჯით შეუდგა სოფელში ასასვლელ აღმართს.

III

სოფელს №-ზე ბუნებას უხვად დაუბერტყნია თავისი კალთა; როგორც მდებიარობით, ისე წყლით და ჰავით შემკობილი, ამაყად გადმოჰყურებს მახლობლად გაშენებულ სოფლებს, რომელთაც მედიდურ-ამპარტავნულ სახით ეუბნება: თუ ღმერთი გწამდეთ ტყუილად ნუ მეტოლებით, თქვენ ჩემთან ფეხი არ მოგიწვდებათო. ოღონდაც, იმ დროს, როცა სხვები ცალკე მუშაობისგან დამაშვრალნი, ცალკე უწყლოობისგან ილაჯ გაწყვეტილები გაფაციცებით დაეძებენ სულის მოსაბრუნებელ ცვარს, მაშინ ეს იპატიჟებს თავისკენ, უხვად უმასპინძლდება უცხო სტუმართ, გულს უგრილებს, ხალისს უახლებს ცივ-ცივის წყაროებით. შორიდან კაცი ძნელად თუ გაარჩევს ამ სოფლის მცხოვრებთა სახლებს, ესენი ერთმანეთს კარგა მოშორებიან, მათ გარს შემორტყმიან მშვენიერი ხეები, თვითონ კედლები დაუფარავთ მწვანე ფათალოთი. ამ სოფელს სამი ეკლესია აქვს. მათი ბრჭყვიალა ჯვრები ერთი ვერსის სიშორეზე მოსჩანან მზიან დღეებში და ქუდ-მოხდილ მგზავრს მოწიწებით გულზე პირჯვარს ასახვინებენ. აგერა ირინე მიუახლოვდა თვის სახლსა, რომელიც შუა სოფელში იდგა; ქალს დაღალვა ეტყობოდა, მთელი ტანი უთრთოდა, გული ასდი-დასდიოდა, მაგრამ მაინც არ შეუფერხნია, არამედ გაუჩერებლივ მიიწევდა წინაი მივიდა კარებთან, კიდეეაც მოსწყდა მუხლებში, მაინც მიახწია დერეფნამდინ და გადაფითრებული დაეშვა ძირს; ამისმა სახემ წინანდელზე უფრო განწირული, გატანჯული მეტყველება მიიღო.

— რა დაგმართვია, ადამიანო? რო არ შეგიძლიან, ნეტა რას დადიხარ? მოესმა ამ დროს ხმა, რომელშიაც ერთად იხატებოდა გრძნობა და საყვედური. როდესაც ირინემ დაინახა თავისი ქმარი, ტუჩები რაღაც ძალ-დატანებისგან დაეპრანჭა, გვერდზე მიიღო სახე, ხმა არ გასცა.

— წყალი ხომ არ გინდა? დაეკითხა ისევ მიტრო.

— არაფერი არა მინდარა, უკმაყოფილოდ უპასუხა მან.

— რაი წახველ პავლიას თვალები არ მოუხუჭავს, აკვანში არ მოისვენა, სულ ტიროდა და ტიროდა, ავდექ ამოვაყენე და დედაჩემს გავგვარე სამარგლში, განაგრძო მიტრომ. ქალმა მაინც სრული პასუხი არ აღირსა.

— რას მომჩერებიხარ, კაცო? უთხრა ირინემ, როდესაც ნახა რო მიტრო გაუნძრევლად იდგა ამის წინ და ფეხს არ იცვლიდა,

— გაიხედე, ემანდ კარზე ზურიაა, რო მოვდიოდი, გზაზე შემომხვდა, როგორც დაგიპატიჟნია, ისეც დაჰხვდი. მიტრომ გაოცებით შეხედა ირინეს, რომელიც თვალებ დახუჭული კედელს მიჰყუდებოდა და არ ინძრეოდა, უნდოდა რაღაც ეთქვა ცოლისთვის, მაგრამ რაკი ის იმნაირ მდგომარეობაში ნაპა, სათქმელი სიტყვები ისევ გულშივე ჩაიბრუნა, გაიქნია თავი და გამოვიდა კარზე, სადაც ზურია აგრედვე ჩაფიქრებული დახვდა.

— ნურას უკაცრავად, ძმაო, მარტო დაგტოვე, ამ ჩემმა დედაკაცმა მთელი გონება დამიბნია, მეტად გამოვთაყვანდი, არ ვიცი რომელ წყალს მივცე თავი!.. სთქვა ნაღვლიანად მიტრომ გამოსვლის უმალ, დაინახა თუ არა ზურია.

— არაფერი, ჩემთან ბოდიშები საჭირო არ არის, ბიჭო, შინაური ვარ... ვენახიდან ძაან სიმღერა მოისმის აი, უთუოთ სიმინდს ჰთოხნიან, დაუშატა ზურიამ, რათა შეეცვალა ლაპარაკის საგანი, რომელიც გულში შხამს აწვეთებდა და გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებდა.

— დიახ, ის ჩვენი ვენახია, პატარაზე სიმინდი დავთესეთ და ეხლა ჰთოხნიან. ყველგან გაცხარებული მუშაობაა, მე კი

არც სახლში ვარ და არც კარში. ზურია დააჩერდა მიტროს, მან თავისი თავი წამოიყენა მის მდგომარეობაში, შეეცოდა, მაგრამ ეს შებრალება მარტო წუთისა იყო, არამედ ამისი გული აივსო ისევ ეჭვით, სიძულვილით. ოღონდაც, ზურიას დიდიხანია ეჯავრებოდა მიტრო, რომელსაც დაესაკუთრებინა ამისი საუნჯე ბედნიერება თუ გულით არა, კანონით მაინც და ზურიამ კარგად იცოდა თუ ამ კანონს რა ძრიელი ძალა აქვს ადამიანის ცხოვრებაში.

— ჩვენც დავათვალიეროთ ვენახი, ზურია, აბა აქ რას გავაკეთებთ?

— დავათვალიეროთ, უპასუხა უკმაყოფილოდ ზურიამ, რომელსაც თუმცა გული არ მისწევდა ამათ სათოხნში, მაგრამ რა მეტი ღონე ჰქონდა, მარტო ვერ დარჩებოდა სახლში მაშინ, როდესაც თვითონ ირინესგან დასტური არა ჰქონდა აღებული. ესენი წავიდნენ. ამათ განუშორებლად წინ მიუძღოდათ ორი აჩრდილი: ერთი იყო მაღალი, მოყვანილი, მეორე ჩაგვერა, ჯმუხი. ზურია თვალს არ აშორებდა ამ უკანასკნელს და გულში ჰფიქრობდა:

— ღმერთო ხანდისხან რა უსამართლო ხარ, შე დალოცვილო! განა ირინე ამას უნდა ჰყავდეს!.. განა ამისი უმსგავსი სულელური ჭროღა თვალები მუდამ იმის ცქერით უნდა სტკბებოდნენ და ამ ცქერით ხანდისხან კმაყოფილიც არ იყვეს მაშინ, როდესაც ერთი იმისი დანახვა ჩემთვის საუკუნო სიცოცხლეა, მაგრამ მაინც მოშორებითა ვარ და უნდა ვიყო სანამ პირში სული მიდგია!.. ზურიამ შეხედა მიტროს, რომლის მიმზიდველი ქერა სახე ამას მახინჯად ეჩვენა. ეს მზად იყო მივარდნოდა, შუაზე გაეგლიჯა, მაინც თავი შეიმაგრა შემდეგის ფიქრებით: ეჰ სულ ერთია, ეს იქნებოდა თუ სხვა, მე ხომ მაინც არ მაკუთვნებდა ღმერთი და ხალხიო. მიტროც არ იყო კარგ ოცნებაში, ის წარბ-შეკრული გაჩუმებული მისდევდა სტუმარს, ამას უყვარდა ირინე, მაგრამ ეს გრძნობა შეასუსტა ცოლის უკმეხობამ. ცხადად ატყობდა, რომ ირინეს ჭირივით ეჯავრებოდა და თუ სცხოვრობდა ამასთან მარტო იმისთვის,

რო მეზობლებსა და ხალხისგან ყბად-აღებული არ გამხდარიყო, მის ზნეობისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა. მიტრო დიდი ხანია დაემორჩილა ბედის-წერას და ამისი გული ირინეს მიმართ თითქო სიბრალულის მეტს არასა ჰგრძნობდა.

— ირინეს ავადმყოფობამ ჭკუაზე შემშალა, დაილაპარაკა მიტრომ, როცა კარგა გზა გაიარეს.—როგორც ნახე, სულ ანგრეა რაი ჯვარი დავიწერე. ზიარების მადლმა, ზურია, მე მაგისთვის არა დამეშავებინოს-რა, ერთი უშმი ქართული რა არის, უშმი ქართული არ მითქვამს რაი ჩემ ხელშია; ლხინი გინდოდა და ყველგან გამყავდა, ჩაცმით თუ რძლებს არა სჯობნიდა, ნაკლებად არ იყო, მაგრამ მაინც ვერაფერი მეშველა, ვერ დავაწერინე პირჯვარი, მაგისი გული ვერ ამოვიგე და ვერა... სულ იმასა ცდილობს ჩემზე მოშორებით იყვეს...

— იქნება თვალ-ნაკრავიჯ, კაცო? ჰკითხა ზურიამ, რომელსაც დამცინავმა ღიმილმა გაურბინა ტუჩებზე.

— რავიცი ასე კია-და, რაც უნდა იყვეს. ყოველგზით მოვუარე, მაგას კი არა ეშველა-რა... ამ ოთხი დღის წინად ვაჟიშვილი გამოგვეცალა ხელიდან. სანამ კარგად იყო, ზედ არ უყურებდა, სულ დედა-ჩემი უვლიდა, გახდა ავადა და, ედედა კაცი ველარ მოვაშორე, სულ ტიროდა, თავს ევლებოდა; გათავდა, გაგითავდეს მტერი, ეგეც კინაღამ გაგიჟდა. რომ ვერ გამიგია მაგისი საქმე როგორ არის!.. მას აქედ ყოველ დილით მზის ამოსელისას სასაფლაოსთანა ზის, ვერცარავინ დაუშლის, ერთი ხელობა დავაპირე თან მედევნა, მაგრამ მდუღრის ცრემლებით შემეხვეწა თავი დამანებეთო. მე მაინც ჩუმჩუმად ვადევნებდი თვალსა ეხლა კი თავი მივანებე. რა ვქნა, ძმაო, მეც ოჯახის პატრონი ვარ, ეგ არას აკეთებს და მეც რო გულზე ხელები დავიკრიფო და ვიარო, ორივეს სახლიდან გამოგვრეკავენ. ამათ ლაპარაკით გზა გალიეს, მიუახლოვდნენ ვენახს, რომელიც კარგა მოშორებით ჰქონდათ. მუშების სიმღერის გუგუნი გაისმოდა შორს, ისინი წყობისად ჩამწკრივებულიყვნენ, გულ-მოდგინებით სთოხნიდნენ... მიტრო და ზურია შევიდნენ ვენახში, მიუახლოვდნენ მუშებს; მათ შუაში ჩასდგომოდათ ჭა-

ღარა შერთული ანდრია ჯმუხაძე, მიტროს მამა, გვერდში ამოეყენებინა სამი ვაჟკაცი შვილი, კიდევ ხუთი სხვა მუშა კაციც და ყველანი ერთგულად გაშურებულები ირჯებოდნენ... ანდრია თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ მისი მხნე მკლავები სიმარჯვეში ახალგაზდებს თუ არა სჭარბობდნენ, ნაკლებად არა სჩანდნენ...

— ბარაქა თქვენ სქმესა? მიესალმა მათ ზურია.

— მობრძანდი, მობრძანდი, ზურიას გაუმარჯოს!.. შესძახეს მათ ერთ ხმად.

— გეტყობა ძაან გაგიტკბა დეიდასთან ყოფნაი, რო ანგრე დაიგვიანე? ჰკითხა ანდრიამ.

— დიდი ხნის უნახავი ვიყავი, აღარც კი მიშვებდნენ... უპასუხა ძალ-დატანებულის ღიმილით ზურიამ.

— მოიტა ე თოხი, მიტრო, მეც მოგეშველებით. დაუმატა ამან. წუთს მიტრო და ზურია ჩადგნენ მათში, იწყეს თოხნა. ამასობაში კარგა დღემ გაიარა, ჰაერში სულის შემაგუბებელი სიცხის ლული დატრიალდა. ოღონდაც, სწორედ ერთი თვე იქნებოდა, რაც ბუნებას ცის ნამით პირი არ დაებანა; მეტადრე შუადღისას, როცა მზე დააჭერს ხოლმე სხივებს, ბუნების მოცინარი სახე ღონდება. აგერა ჩაჯიგრებულმა მნათობმა გადიწია დასავლეთისკენ, ჩრდილები გახშირდნენ, მუშების მხიარული სიმღერა მაინც არა სწყდება... მეორე მხარეს ბოსტანში მოუყრიათ ქალებს თავი, მარგლიან ხახვის კვლებსა.

— გენაცვალეთ, ქვეყანას ცეცხლი მოედო, რო აღარ გვიაჯა იმ დალოცვილმა ღმერთმა და აღარ გვაღირსა ცის ნამი!.. სწორედ გაგვიმეტა და ეს არის! წარმოსთქვა ქეთევანამ, რომელსაც თავის რძლების გარდა კიდევ სხვა ქალებიც მოეწვნა, ამარგვლინებდა მწვანეულობას...

— მა, ნეტაი კი არ დავიმშეთ, სიცხეს კიდევ როგორც იქნება გავუძლებთ, უპასუხა ნატომ, ქეთევანას უფროსმა რძალმა და გაიხედა მინდვრისკენ.

— წელს რო შიმშილობა არ აგვცდება, დაო, მაგას ჩიჩინი აღარ უნდა, აი სამოც წელიწადს აღარა მიკლია-რა და არ

მოვთქვა ჩემი შაქრა და მარაი, რო არ მოვსწრებოდე ამითანა ზაფხულს. შეხედეთ ყანებსა, სად რა არის გენაცვალეთ?.. რაც კია ისიც თხელია და ბალახ-მორეული. მაისი გავიდა და ჯერ ყვავიც ვერ დაიმალება შიგა... შარშან ამდროს რა საყვარლად ბიბინებდა! დაუმატა მოხუცებულმა თითიკამ და თავშლის ყურით მოიწმინდა სახეზე წამომდგარი ოფლი.

— ეჰ, ქალებოთ, ისეთი წუთი სოფელი დაგვიდგა, ისეთი ხალხი მოესხა ქვეყნიერობასა, რომ მიკვირს ი უფალი ან კი როგორ ითმენს ამდენ ხანსა და ცას თავზე არ გვანგრევს!.. შიმშილობაზე უარესსაც უნდა მოველოდეთ დედა-შვილობამა!.. ჩაერია ელისაბედი, რომელიც აქამდინ გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა მობაასეთ.

— ზოგი ი ღმერთმაც უნდა გვაპატიოს თუ რამეს ვაშავებთ, ბატონო, ჩვენის სირეგვნისგან მოგვდის, რაც მოგვდის... სთქვა დაროომ.

— რეებს ლაპარაკობ, შვილო? მე რო ღმერთის ადგილას ვიყო თავის დღეშიაც არავის არას ვაპატიებდი. რა ვუყოთ რო არ იცი? მა რითვინ გაუჩენია იმ დალოცვილს უმფროს-უნცროსი, თუ უნცროსი უფროსისგან ჭკუას არ ისწავლის?! თუნდ ეწყინოს ახლა ამ შენ დედამთილს, მაინც იტყვი, პირში მიფერება რა ხელისაა, დავიჯერო ახლა თქვენმა ირინემ არ იცის რო ბევრს აშავებს თავის ქმარსა და ოჯახთანა?.. წარმოსთქვა კეკელამ.

— რას ქვიან არა, უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა ქეთევანამ.

— აფსუს ოჯახო, და მარგალიტო ქმარ-შვილო, აბუჩად ვის დაუჭერიხარ!.. განაგრძო ისევ კეკელამ, როდესაც დაინახა, რო ქეთევანას ძალიან იამა ამისი ამნაირი ლაპარაკი...

— იმ გულმკვდარ ჩემ მაზლს ძაან ეთაკილება ცოლს რო ისე ამოთვალწუნებული ჰყავს. წარმოსთქვა ნატომ.

— აბა მაგაზე არის ნათქვამი, დაო, აი: ფლავი წინ ვის უდგიაო და იშტა ვისა აქვსო; განა არ ვიცით რა სამშობლოს პატრონიც არის, ქვა აქვთ და კბილი ეწყალვით. ნეტა რა აფალით მოაქვს ახლა თავი? თუ არის რამე ისევ ეხლაა, ისიც ქმრისა და ოჯახის წყალობით. კვერი დაჰკრა ქაბატომ.

— იი თქვენ კი გიხარეთ, ქალებოთ, რეებს ლაპარაკობთ?.. ვინ ირინე და ვინ სხვები, მაგრამ ცეცხლი მოედოს ავადმყოფობასა. ეგ თუ ხელ ნაკრავი არ არის და მეც არას ვიტყვი.

— მართლა ქა, ე ბაზერაანთ ხელნაკრავის წამალი რო მთელ ქვეყანას არჩენს, რატო შენც არ დაალეინებ?..

— მაშ თქვენა გგონიათ არ დავალეინე? დავალეინე, მაგრამ კაცს რო არჯალი მოუვა, მაშინ ყველაფერი ტყუილია. უპასუხა ქეთევანამ.

— ჩვენი გულთმისანი მკითხავი ტასია, აბა თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, რა ზედ მიწევნითა მკითხაობს? განაგრძო მან.

— როგორ არა გენაცვალე, იმისი სახელი სადამდინ არ არის გავარდნილი. მიატანეს ერთხმად ყველამა.

— იმასაც ვაკითხვინე. იმ დასაქცევმა ისე საყვარლად დაარეკა და დაარეკა სიტყვები რუსული გინდა, ქართული, თუ თათრული, რო იქ მყოფნი გაოცებულები შევყურებდით.

— მერე, ქალო, რაიო?

— რაიო და წყეულისგან არისო.

— იი, აბა მართალი იქნება სწორეთა აი... ქრისტემ დასწყევლოს და შეაჩვენოს წყეული... ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი, ვერას მავნებს მაცდური; კარსა კლიტე, ბანსა ჯვარი, სამას სამოცდ და სამი წმინდა გიორგი გალავნად გარს მარტყია... წარმოსთქვა თითიკამ პირჯვარის წერით. სხვებმაც ამას მიბაძეს, გაიმეორეს ეს სიტყვები, მიაჩერეს ზეცას თვალები, მოჰყვნენ პირჯვარის წერას. ქალები ჩაჩუმდნენ, განაგრძეს მარგვლა.

— ბა, ბა, ბა, რა ცხელა თქვენი ჭირიმეთ! შესძახა ისევ ნატომ.

— რა გვეშველება! როდემდის უნდა ვიყვეთ ასეთ ლულშია?.. საკირეა, სწორედ საკირე...

— იცით, ქალებო, რას გეტყვით? ამ ორ დღეს ვუყუროთ კიდევა და თუ წვიმა არ გაგვიჩნდა ლაზარეზე დავიარეთ... მიუბრუნდა კეკელა დედაკაცებს.

— კაცების დაუკითხავად არ შეიძლება, მერე საბაბში არა-ში გაგვხვიონ:

— რა საბაბში?

— ქა, რა ვიცი, როგორ დავცადოთ! მერე წელს ძნელია სოფელ-სოფელ ხეტიალი, სნეულებეებია.

— სნეულებეები კი არა და, ტყუილი უთქვამთ არ მომი-კვდეს ი შენი თვალით ნახული შვილი. თუნდ იყვეს რა არის მერე? იმისთანა სოფელში ნუ შევალთ, საცაა.

— ამ დროს ლაზარეზე სიარული სწორედ დაგვეკვება. შარშან სანამ არ მოვიარეთ არა გვეშველა-რა, ასე გაგვაჯახირა ღმერთმა.

— წავიდეთ დედამთილო? წამოიძახა ბაბუცამ.

— წადით, შვილო, მე არ გიშლით.

— აი რას გეტყვით, თქვენ ლაზარე დაამზადეთ და, რო-გორც უმფროსი მე წინ გაგიძღვებით, უთხრა თითიკამ.

— საროდიოთა?

— რაღა დახანება უნდა. ზეგ იყვეს. ამათ ლაპარაკში კი-დევაც დაბინდდა.

— მადლობელი ვარ, თქვენი პატივისცემა ღმერთმა გადამახ-დეინოს, ქალებოთ, უთხრა ქეთევანამ, როდესაც დედაკაცები წამოდგნენ წასასვლელად.

— სამადლობელი არა გაგვიკეთებია-რა, უპასუხეს მათ. ბაბუცამ ფრთხილად აიყვანა ქეთევანას მუხლზე მძინარე ბავშვი, ირინეს შვილი, ყველანი დაღალულ-დაქანცულები გაემართნენ თავთავიანთ სახლებისკენ. მუშებმაც გაიდეს თოხები მხარზე და გასწიეს. დამარტოვდა ირინე და ცოტაოდენი შვება იგრძნო, წამოდგა, შევიდა ოთახში, სადაც ყველაფერი რიგზე იყო მილა-გებულ დასუფთავებული, ქალმა გადადგა წინ რამდენიმე ნაბი-ჯი, მაგრამ სისუტის გამო გული აუძგერდა, სახეზედაც სიყვი-თლემ გადაჰკრა, თვალები აუბჟყვრიალდნენ, როგორც იყო მივიდა ტახტამდინ და ჩამოჯდა.

— ეჰ, ამითანა სიცოცხლე კი შეარცხვინა ღმერთმა!.. — წარმოსთქვა მან და ხელებ ძირს დაშვებულმა თვალები გაუ-

შტერა არტახებ აკეცილ აკვანს, რომელიც იქვე კედელთან იდგა.—ჩემთვის ყველა დაკარგულია: ქმარშვილი, ქვეყანა, წუთისოფელი; საზიზღარი ვარ, ფიცის გამტეხი, მოღალატე, მარტო სიკვდილია ჩემი დამამშვიდებელი!.. უხმოდ ჩურჩულებდა ირინეს ტუჩები, რომლებიც ხმა მაღლა სიტყვის თქმას ვერ ჰბედავდნენ, თითქო ეშინოდა ამ დამუნჯებულ კედლებისაც კი, რომ უეცრად ენა არ ამოედგათ და არ გაეცათ.—მეგონა დღეს გათავდებოდა, მაგრამ სად არის?.. ზურია მოვიდა? რა იქნება შემდეგში? ქალს შიშისაგან თვალები გაუგანიერდა. ტუჩები ნახევარზე გაეხსნა, მერმე თავი დაანდო ხელებს, რამდენსამე ხანს დარჩა ამ მდგომარეობაში. თუმცა ამჟამად ეს მარტო აჩრდილი იყო წინანდელ ირინესი, მაგრამ მაინც ეხლაც ეტყობოდა, რომ ოდესმე ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო. ამისი დასევდიანებული გამოღამებული შავი თვალები წინად არა ერთ ახალგაზდას აუნთებდნენ უცაბედად გულში ცეცხლსა, ამისი ამჟამად უფერული ტუჩები ოდესმე არა ერთს ანატვრინებდნენ მათზე დაკონებასა. შავი წარბები წურბელებსავით გაჰკროდნენ მაღალ შუბლზე, გაყვითლებული, თითქმის დანაოჭიანებული სახე გვიჩვენებდა თუ რა სულის კვეთება, ანთებული საკირე უნდა გამოევლო ამ არსებას თავის სიცოცხლეში, რომ ამ მდგომარეობამდინ მიეხწია. მაგრამ აგერა ქალი შეინძრა, თითქო რაღამაც გამოაფხიზლაო, თვალებს მომეტებული სიცოცხლე დაეტყოთ, ჩამომდნარი ლოყები ცივად შეუპირისფრდნენ, ირინეს ამჟამად თვალ-წინ ხელის-გულსავით გადაეშალა თავისი წარსული ცხოვრება.

IV

იყო დრო, როდესაც თხუთმეტის წლის ფერხორცით საავსე ლამაზი ირინე სცხოვრობდა თავის და-ძმებთან დედ-მამის სახლში და მათთან ერთად იტანდა როგორც გაჭირებას, აგრედვე ლხინსაც. ირინეს სამშობლო მეტად ღარიბი იყო. ნინიკა დაბრუნდაშვილს საკუთარი მამული არ გააჩნდა და ორივ ცოლქმარს თავიანთი მარჯვენის გარდა სხვა ილაჯი არა ჰქონდათ,

რომ დაერჩინათ როგორც თავიანთი თავი, ისე წვრილი შვილები. თუმცა ნინიკას სამი დათავიანებული ძმა კიდევა ჰყავდა, მაგრამ ისინი დიდი ხანია გაჰყოლოდნენ ამას და ცოლების წყალობით ჩამოღერძებულები მოსვენებას არ აძლევდნენ თუკი მოასწრობდნენ რამეში. ნინიკა ცხოვრობდა თავისიანებისგან მოძულებული და გულ-მაგრა იტანდა იმ საშინელ სიღარიბეს, რომელიც გაჰმკლავებოდა მას.

— ვაი მე და ვაგლახი, შვილებო, რომ პური გშიანთ და კიდობანი ეს მეორე დღეა რაც სამსეთ არის, წარმოსთქვა ერთ საღამოს ნენემ, რომელსაც განუწყვეტლად შეღნაოდა ორი პატარა ბავშვი, ორიც ციებისგან გაბაბანებულები მიჰქაქოდნენ ოდნავად მობჟუტავ ცეცხლსა. ამ დროს ნინიკაც შემოვიდა, დაღვრემილი მიუჯდა ბუხარს, გაჩუმებულმა იწყო ჩიბუხის წევა.

— რა დაგემართა ადამიანო? ამ ბავშვებს რად ატირებ? ე მეზობლებისას ისესხე ორიოდ პური სანამ გამოვაცხობდეთ, მაშ შიმშილით ხომ ვერ დავწყვეტავთ!..

— ყველას მოვბეზრდი, კაცო, ყველას. ან კი როდემდის უნდა ვადგეთ კარებზე? სესხს გადახდა უნდა, შემოდგომა ღონიერია, თუ კი ეხლა არა გვაქვს-რა მერე ვიღა რას მოგვცემს?.. ი ორი კოდი პური გაგვაჩნდა, ისიც ბატონს აურწყე, ნეტაი რის იმედით?.. ცოტა არა ყველრებით უთხრა ცოლმა.

— მა როგორ უნდა მოვექცეულიყავი, დედაკაცო? გასწორგასწორა ნუკი ხარ! იმი მამულს რო ვხნავ, ღალას გადახდა არ უნდა?.. შეძაწევს თუ!..

— თუ ხნავ ბევრი კი გრჩება აი... ხემწიფეა ჩვენკენ გამორბის; ღვდელი, ერი და ბატონი. აბა რა გრჩება ერთი მითხარი შე საწყალო?

— გლეხ-კაცი მაგითვინ არის გაჩენილი, რო იმი ოფლით სხვამ უნდა ირჩინოს თავი, რით ვერ გაიგე?..

— სხვა არჩინოს, თვისი ცოლ-შვილი კი შიმშილით ამოწყვიტოს?.. სად არის სამართალი? შე კაი კაცო, შევეხვეწებოდი მაინცა, იქნება ი ორი კოდი ეპატიებინა, იმითვინ დიდი

P-6301

დასაკლისი არ არის და ჩვენ კი სულს მოგვაბრუნებინებდა... განაგრძო ნენემ.

— მაშ შენა ბგონია არა ვთხოვე? ერთი კაი დედალი ამოვიჯლიე იღლიაში, მედუქნეს გამოვართვი სამ აბაზშია, შენ არც კი გაგიგია, მივედი და შევეხვეწე.

— მერე რა გითხრა?

— ღვთის-წყალობა გქონდეს იმან თვალები დააჭყიტა მსუქან დედალს. სიამოვნებით ჩაახველა და მიბრძანა: აგაშენა ღმერთმაო, მაგრამ პურს კი ვერ გაჩუქეფო.

— რატომაო?

— იმიტომაო რომაო შენითანა ღარიბი ბევრია ჩემს საყმოშიო; ყველას რო ოროლი კოდი დავურიგო, ბოლოს მეც უნდა პარკი ავიკიდო და კარზე მივადგე ვისმესაო. შენ იმუშავებ მაინცა და მე ეგეც არ შემიძლიანო.

— არა შეაძლებინოს-რა ჩემმა წმინდა გიორგიმ სარკისამ აჰანდე... აბა რა გამიკვირდეს, განა ეკალზე ეკალი არ ამოვა?

— ღმერთია მოწყალე, ქვეყანა ღონიერია, გულს ნუ გაიტეხ, დედაკაცო, გავისარჯოთ და თავი ვირჩინოთ. ეს არის ეხლა მეწისქვილისგან დაფქული ფქვილი ვიყიდე, ამაღამ ამოვიტან...

— მერე?

— ხორგუაანთ შიოს ქერი დავუკვეთე, კოდი ოთხ აბაზად, ახალი მოსავლისა.—სენეს ამ სიტყვის გაგონებაზე, თითქო ცივი წყალი გადაავლესო, გაშრა, გაქვავდა.

— კიდევ ვალი?.. ოხ, ღმერთო, როდემდის უნდა ვიყოთ ასეთ გაჭირებაში?.. წაიზუზუნა მან და კურცხალ-კურცხალი ცრემლები გადმოღვარა თვალებიდან.

— რახან გამოსაცხობი გვექნება, მაშ პურს ვისესხებ, დედა-ჩემო! უთხრა ირინემ, რომელიც აქამდინ გაჩუმებული მიჯდარიყო კუნჭულში და ძმას ახალოხს უკერებდა.

— წადი, შვილო, ჩქარა გაია, უთხრა ნინიკამ. ირინემ ძირს დასდო თავისი საქმე და წუთს კარებთან გაჩნდა, მაგრამ კი ალარ გასულა.

— ზურიაი, ზურია მოვიდა! შესძახა ამან, როდესაც დაინახა დერეფანში შემოსული ახალგაზდა ბიჭი.

— ირინეს გამარჯვება! მოესალმა ქალს ზურია, რომელმაც ალერსით შეხედა თვალებში.— სად მიხვალ?! აქმო, ნახე რა მოგიტანე?.. დაუმატა იმან, როცა დაინახა, რო ირინე სადღაც აპირებდა წასვლასა. ირინე გაჩერდა, თვალები შეაცეცა ახლად მოსულს, რომელსაც ყაბალახში გამოხვეული ხელში რაღაც ეჭირა.

— რა მომიტანე? მიმიტანე კი არა-და!.. წარმოსთქვა ირინემ, სახე სიამოვნებისგან წამოუწითლდა.

— ნათლია ჩემს ვახლავარ! დაილაპარაკა ზურიამ შემოსვლის უმალ და ჩამოჯდა ტახტზე.

— საიდან მოდიხარ, ბიჭო?

— ცხინვალიდან.

— რა ამბავს იტყვი?

— მშვიდობას.

— ირინე, შვილო, ჯერ კიდევ არ წასულხარ? დაეკითხა ნენე ქალს, რომელიც წინ ედგა ზურიას და ფეხს არ იცვლიდა.

— დაიცა ერთი, ზურიამ რაღაც მომიტანა, უთხრა ირინემ ამის გაგონებაზე ზურიამ გამოხსნა ყაბალახი და გაღასცა ირინეს ახალი ბუზიკა.

— უი შენ გენაცვალე!... შესძახა გახარებულმა ირინემ, სიფრთხილით ჩამოართვა საჩუქარი, რომელსაც გულმოდგინებით დაუწყო თვალიერება.

— დამაცა როგორ დავუკრა! სთქვა ირინემ და ჩამოჯდა ტახტზე, მუხლზე დაიდო საკრავი და თვითო-თვითოდ გაამეორებინა მას ყველა ხმები რაც კი იცოდა. ზურია აღტაცებით შეჰყურებდა ირინეს სიხარულით გატკრაციალებულ სახეს და თვითონაც კმაყოფილი იყო. ნინიკა და ნენე ღიმილით უცქერდნენ გახარებულ შვილს. პატარა და-ძმანი გაოცებით დასჩერებოდნენ ბუზიკის აპრიალებულ თვლებს და ერთმანეთს ეტიტინებოდნენ!

— გიგა, ბიწო, ე ლა ალი? დადადა ლა კალგია!...

— ჩამო იქითა, ბიწო, იჩა, ალ გააფუწო, ხელს ნუ ადებ და!... რა ბედნიერი იყო ირინე ამ დროს!.. მაგრამ აგერა თითქო რაღაც მოაგონდაო, მაშინვე წამოდგა, მივიდა დედასთან, ბუზიკა კალთაში ჩაუდო. თანაც დაუმატა: ეხლავე მოვალო და საჩქაროდ გავიდა.

— რა ძმა მყავს! რა ძმა!... ისე არ მოვა არსაიდანა, რომ არა მომიტანოს-რა, თავს შემოვეველე, წამლად დავენაყე! ფიქრობდა გულში ირინე და საჩქაროდ მიდიოდა მეზობლებისკენ.

— განა სხვებს არა ჰყავთ ამისთანა ძმები მერე! მაგრამ ასე გაგიჟებით კი არ უყვართ... მე კი მიყვარს, ძლიერ, ძლიერ! იმიტომ რომ ლამაზია, მშვენიერია, იმიტომ რომ ჩემი ძმაა! დაჟინებით იმეორებდა ეს გულში, თითქო ამ უკანასკნელ სიტყვებზე ვიღაც უხირდებოდა, ეწინააღმდეგებოდა და ეს კი გაცხარებით ცდილობდა დაეჯერებინა იგი. ირინემ საჩქაროდ მოარბეინა პურები, გადასცა დედას, რომელმაც წაუმტვრია ბავშვებს, ქმარს და დანარჩენი კიდობანში ჩააწყო.

— ეს მესამე დღეა თქვენი ნამცხვარით გამოვდივართ, ხვალ ერთბაშად გამოგიგზავნი, ფქვილი ვიყიდე. უთხრა ნინიკამ ზურიას და თითქმის მუშტისოდენა ლუკმა ჩაიჯო პირში ისე რომ ჩაყლაპვის დროს კისრის ძარღვები დაეჭიმა.

— რად იყიდე, ნათლია ჩემო? ჩვენ ბევრი გვაქვს, წამოიღე რამდენიც გინდოდეს, მოსავლამდინ დაგაცდი.

— ღმერთმა გაგაბედნიეროს, შვილო, წარმოსთქვა ნენემ და მადლობით შეხედა ამ გულკეთილ შემბრალებელს. ნინიკამ პასუხი ვეღარ მისცა, იმისი გულიც მეტის-მეტ კმაყოფილებას ჰგრძნობდა და ამის გამო შესაფერ სიტყვებს ვერ ჰპოულობდა წარმოსათქმელად. ყველანი ჩაჩუმდნენ... აგერა ზურიას სახე წამოუწითლდა, თვალები გაუბრწყინდნენ, გულმა ძალზე დაუწყო ძგერა, რომელიც გამოიწვია ირინეს მაყვალა თვალებმა. ეს თვალები ისროდნენ ნაპერწკლებს, ნაპერწკლები მწვავ ისრებად გარდაქცეულნი, შიგ გულში უვლიდნენ ზუ-

რიას და მოუსვენრად უღიტინებდნენ... ნინიკა გამოვიდა კარზე; ნენემ აიღო ხელადა, მოუბრუნდა ირინეს.

— შვილო, ყური უგდე ბავშვებს ცეცხლზე არა იწყინონ-რა, მეც ეხლავე შემოვალ, ჩვენი ობოლა უნდა ჩამოვწველო და პური გაგასველებინოთ რძეშია, დაუმატა იმან, როცა კარებ-თან მივიდა.

— მაგაზე რაღა თქმა მინდა! უპასუხა ირინემ, საჩქაროდ გამოტრიალდა ზურიასკენ, რომელიც თავჩაღუნული იჯდა და არ ინძრეოდა. ეს მიუახლოვდა, ხელი შეახო მის ლოყას, თვა-ლებში შეაჩერდა.

— ზურია! ჩაფიქრებული რათა ხარ? ხომ არ გენანება ბუზიკა რომ მომიტანე, ჰა? დაეკითხა ქალი ღიმილით. ზურიამ ხმა არ გასცა, თვალები მოხუჭა.

— გენაცვალე, მითხარი... გაიმეორა ირინემ უფრო ახლო მივიდა, უფრო მეტად დააშტერა მშვენიერი თვალები. ლოყე-ბი ოდნავ შესწითლებოდნენ, ხუჭუჭი თმა ნაწნავებად გადაჰშლო-და ბეჭებზე. ზურიას რაღაც აღელვება დაეტყო. თვალებზე გა-დისვა ხელი, შეხედა ირინეს...

— იქით, იქით!.. ნუ მიახლოვდები, ნუ!.. წარმოსთქვა ზუ-რიამ ათრთოლებულის ხმით.

— რათა?! განა მიჯავრდები?.. მერე რა დაგიშავე?.. მე მინდოდა მადლობა მეთქვა, რომ ბუზიკა მომიტანე და შენ კი... ირინემ შესწყვიტა ლაპარაკი, როდესაც ნახა რო ზურიას ფერ-მა გადაჰკრა; შემკრთალმა ქალმა უკან დაიწია... ზურიამ მოკრი-ფა გონება და ბარბაცით გამოვიდა კარზე, სიომ შემოჰკრა სახე-ში, შუბლი გაუგრილა.

— ერთი შეხედეთ რაყოფა აქვთ ამ ფეფიკაანთა! დაღამ-და და ისინი მაინც საქმეზედ ხელს არ იღებენ, გაშურებულე-ბი სწურავენ, სთქვა ნენემ, რომელსაც რძით სავსე ხელადა ეჭირა ხელში და შორს გაიყურებოდა. ამდროს ჰაერში დაი-წკრიალა ხმამ, ნინიკამ შეაჩერა ცულის კაკუნი, ყური მიუგ-დო სიმღერას, რომელიც შემდეგ სიტყვებს ამბობდა:

ჰერი, ჰერი, ქართლის ქალო,
რა ლამაზი რამა ხარო;
დამკრახულო, ბუდეშურო,
მინდა მაღლე დაგეშურო,
ანდრიულო, დაგიურვო.
შავ კაპიტო, დაჰკა ბიჭო,
დაჰკა, ბიჭო, გენაცვალე,
ზარმაცობას ნუ აცალე.
შეხტი ბიჭო, დაჰკა ფეხი,
აგრემც შეგეწევა ღმერთი და სხვ...

— პა, პა, პა, რა მუყაითები არიან ე ფეფიკაანი შენი ჭირიმე! დაილოცა მაგათი ანგელოზი და ვაჟკაცობაი... წარმოსთქვა თავის გაქნევით ნინიკამ, აკრიფა შეშა და გაემართა სახლისკენ. ზურია იდგა გაჩუმებული, ხმას არ იღებდა. ეს ამჟამად უჩვეულო, გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. ზურია კარგადა ჰგრძნობდა, რომ ირინესთან ყოფნა, მასთან შეხვედრა ბოლოს ძალიან ძვირად დაუჯდებოდა.

— ამაზე მეტი უბედურება კიდევ შეიძლება!.. თავის მახლობელს როგორ არ უნდა დაუახლოვდეს კაცი უშიშრად, არხეინად?!.. ფიქრობდა ზურია, — რა ამბავია? არა, არ შეიძლება, მეჩვენება, ავათა ვარ... დაუმატა მან და შემოტრიალდა სახლში. ირინეს ცეცხლის ახლო გაეშალა ჭილობი, ზედ მოეკეცნა და საკერავსა ჰკერავდა. ბავშვები გარს შემოჰხვეოდნენ. ეტყობოდა ესეც ფიქრებში იყო გართული, ლოყები დაჰბრაწოდა, მომჯადოებელი ღიმილი უკრთოდა კდემა მოსულ ნაზ ანგელოზურ სახეზე. შემოვიდა თუ არა ზურია, მაშინვე მიაჩერა გაოცებით თვალები, თითქო უსიტყვოდ ეკითხებოდნენ წინანდელ საქციელზე. ზურიამ გაიღიმა, მივიდა ახლო, ჩამოჯდა სამფეხა სკამზე. ნენემ ქოთანში ჩაასხა რძე, მიდგა ცეცხლთან, ნინიკამ გამართა ჩიბუხი

— სხვის მუყაითობა რო გაგკვირვებია, კაცო, შენ სახლში კი დავიჯერო გულხელ-დაკრეფილები ვართ?! არა ვმუშაობთ? მაგრამ მაინც ხსნა არ არის გაჭირებიდან... ყველაფერი

ბედია, ბედის წერას ვერ წაუხვალ. წარმოსთქვა ნენემ, ესეც მიჯდა ცეცხლთან, მუხლებზე ხელები შემოიწყო.

— ღმერთმა უფრო კარგად იცის ყველაფერი. ალბად ამაზე მეტი არა ემეტებარა ჩვენთვისა და იმითვინ შეღავათს არ გვაძლევს, დაუმატა ნინიკამ, მოუბრუნდა ნათლულს, რომელიც გაშტერებული უყურებდა რაღასაც...—შენ რაღას იტყვი, ზურია? ჰკითხა იმან. ზურია თითქო გამოაფხიზლეს ამ სიტყვებმაო, მიიხედა ნინიკასკენ და უპასუხა.

— მართალს ამბობ, ნათლია, მართალსა. ზურია კარგა ხანს დარჩა ამათსა. თუმცა ცდილობდა მიეღო მონაწილეობა იმათს ბაასში, მაგრამ ამ ცდამ ამაოდ ჩაუარა, ვერ ახერხებდა, შემდეგ წამოდგა, ყველას გამოემშვიდობა და გამოვიდა კარზე. ეს მიდიოდა და ფიქრობდა: აღარ მოვალ, აღარ, ხვალვე გომში წავალ, ხერხში ჩავდგები, თავს ჩავირჩობ საქმეში, გულს ჩავაკლამ, ნებას არ მივცემ გამომელაპარაკოს. ზურიამ შუბლი შეიკრა, თითქო ვიღასაც ემუქრებაო. ამ დროს თვალ-წინ წარმოუდგა ირინეს მშვენიერი უზრუნველი სახე, იმისი ოდნად გახსნილი ჭიაფერი ტუჩები, ბროლივით თეთრი ჩაწკიპული კბილები, შავი ჟუჟუნა თვალები.., „რათ მიჯავრდები, ზურია? გენანება ბუზიკა რო მომიტანე?“ თითქო ხმაც შემოესმა. აგერა ირინეს ხელი შეეხო ამის ლოყას და გააჟრჟოლა.

— შორს, შორს, შესძახა ზურიამ.—შორს, თორე დიდი რისხვა, დიდი უბედურება, სოფლისგან მოძულება, შეჩვენება მოგველის!... ნაბიჯს უმატებდა. ზურია შავერდაშვილი ოცი წლის ახალგაზდა იყო, მაგრამ შეხედულობით უფრო ყმაწვილსა ჰგავდა. ეს კარგა მოშორებით იდგა თავის ნათლიის სახლზე; შეძლებით სოფელში თითქმის არავის ჩამოუვარდებოდა. თავის გარდა სამი ძმა კიდევ ჰყავდა და რასაკვირველია სულაც რო არა დარჩენოდათ-რა მამა პაპისგან, ოთხი ვაჟკაცი მალე დააყენებდა ოჯახს ფეხზე. ნათლიასას ხშირად დაიარებოდა ზურია, რომელსაც უყვარდა ყველა მეტადრე ირინე, მას ისე უყურებდა როგორც დასა, მაგრამ ბოლოს ამ გრძნობამ იმის შეუმჩნევლად უცნაური მიმართულება მიიღო. დღითი დღე, რაც ხანი

მიდიოდა, ამისი გული რაღაც მოუსვენრობას ჰგრძნობდა. შთელს ქვეყანაზე ირინესთანა მშვენიერს, ლამაზს, ქესკუმს, მიმზიდველს ვერა ხედავდნენ ამისი თვალები... როგორც კი დაშორდებოდა მას, გული უწყებდა კვნესას, ჩივილს, ზურიას ემუდარებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, სადღაც ეწეოდა; ესეც ყურმიგდებული ხან აქეთ მიდიოდა, ხან იქით, მაგრამ დასამშვიდებელ წამალს მაინც ვერ პოულობდა. მოვიდოდა ირინესთან მაშინ კი გულს მისი ნახვა ესალბუნებოდა, გამკურნებელ მალამოდ უხდებოდა, აღარა კვნესოდა, ინაბებოდა. პირველში ვერ გაეგო. რასა ჰნიშნავდა ყველა ეს... ზურია წავიდა ერთი კვირით ცხინვალში, მაგრამ მალე იგრძნო სიობლე, სულმა შფოთვა დაუწყო, საჩქაროდ მოშორდა იმ სიშორეს, გამოსწია თავის ფიქრების საგნისკენ, რომელიც გულის ფანცქალით, აღტაცებით დაუხვდა. ზურიას წასვლის შემდეგ კიდევ კარგა ხანს განაგრძობდნენ ბაასს ნინიკა და ნენე თავიანთ ბედ იღბალზე. ბავშვებს ეძინათ, ირინეს გვერდზე მიეგდო საკერავი, თავი მიენდო კედლისთვის და ისე უძრავად იყო. ეს ოცნებობდა ზურიაზე. ზურიამ ხელი ჰკრა, დაუშალა ახლო მისვლა. მერე რანაირის ვედრებით შეჰყურებდა ირინეს... უყვარს, ძლიერ, ძლიერ... ზურია სხვებთანაც ეუნახავს, მაგრამ ამ სახით არა, დებსაც ეალერსება ხოლმე ასე კი არა... ირინე იყურება აქეთიქით. – განა ირინეს კი არ უყვარს?... ამის საყვარელი ძმაა... დაიცა როცა გათხოვდება, მაშინ ზურიას მეჯვარეთ წაიყვანს, ეკლესიაში შევლენ, ზურია ბეჭედს შეუცვლის... მერე თან წაჰყვება, იმღერებს, ითამაშებს, სამს დღეს დარჩება... მერე... აქ ირინეს ოცნებას რაღაც ბურუსი ედება—მერე დაბრუნდება და.... ისიც ცოლს შეირთავს... ამ ფიქრზე გული სწყდება თითქო ყელში დულილით მოსდის რაღაცა, რავდენიმე წამი შავი გრძელი წამწამები ენამება ცრემლებით.

— ღმერთმა იმ დროს ნუ დამასწროს!.. უმატებს ირინე.

— ირინე, რას მისჩერებიხარ მაგ კერასა, გოგო? ადე, დაიძინე, დაუძახა ნენემ, რომელიც ის იყო ლოგინში წვებოდა. ირინე წამოდგა, დაღონებულმა გაიხადა ტანისამოსი და გაეხვია თავის საბნის ნაგლეჯში.

— შენ გენაცვალე, ჩემო მშვენიერო, სხვისთვის როგორ გაგიმეტო როდესაც მიყვარხარ?.. ჩემი ხარ და მეც შენი ვარ სამუდამოთ, ჩემო სიცოცხლევ!.. უნებურად გაიმეორეს ამისმა ტუჩებმა... ამ დროს გარედან შემოისმა ქარის ზუზუნი, ირინეს სუსხმა დაუარა ტანში და მოხუჯა თვალები.

V

დადგა გიორგობის თვე. მზის სხივები აღარ უგზავნიდნენ დედამიწას თავიანთ სითბოს, შემოდგომის სუსხმა იმატა. სიცივე ძვალსა და რბილში უვლიდა ადამიანს. ავდრიანმა დღეებმა დაალონა ხალხი, რომელსაც ვერ მოესწრო საზამთროდ ჩაკალიფება. დაბრუნდაანთ მოეტანათ ორი ურემი შეშა, მაგრამ ნენე მაინც წუწუნებდა, უჩიოდა სიღარიბეს.

— გაიგე, კაცო, ზურია რო გომში წასულა? აბა საიმისო რა სჭირდა რო ამ სიცივეში ხერხზე უნდა გაიყინოს? აქ რო ყოფილიყო ხანდისხან მაინც შემოგვხედავდა, დაურთო ნენემ, რომელიც დაკარწახებული სახლის კარებზე თოხს დაჰბჯენოდა, ეს არის ეხლა აეხვეტნა კარებთან დაგუბებული ტალახი და ბილიკი გაეტანა გზისკენ, რომ შესძლებოდათ გავლა-გამოვლა.

— ზურიას შენი ჯავრი აქვს სწორეთა! შენ ეხლა გაიგე და ის ერთი თვეც არის, რაც კაი ხუთმეტ მანეთს იღებს ჯამაგირსა, მაშ შენ მოგაჩერდებოდა აი! უპასუხა ნინიკამ. ირინეც გამოვიდა, საშინლად გამხდარიყო, თვალები მორღვეოდა, მამის ლაპარაკზე უფრო დანაღვლიანდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია...

— დედა, იცი, ოთხი ბატი გვაკლია!.. კი არავის მოეპაროს? მოუბრუნდა ნენეს.

— რა ვიცი, შვილო, იქნება აქვე სადმე იყვნენ მიყუჟულები, დაათვალიერე.

— შენი ფარაჯა მომეცი, მამა, მოვძებნი, რისთვის დავკარგო? ერთ კაბას მაინც გამომაცვლეინებენ!.. დაუმატა ირინემ.

— ე მანდ არის, წამოისხი შვილო! ირინემ მოიდო თავზე მამის დაგლეჯილი ფარაჯა და გასწია.

— ბული, ბული!.. დაიძახა ირინემ, რომ ხმა მიეწვდინა მიმალულ ბატებისთვის და შორს აღარ მოხდენოდა სიარული.

— ბული, ბული, ჩემო ბამბის ქულებო, გაიმეორა ხელახლად ქალმა მაგრამ ხმა არავინ ამოიღო. ირინე ძლივს მიდიოდა, რადგან ლიჭი იყო ფეხი უსხლტებოდა, ბარბაცით ძლივს მიიწევდა წინ, სიცივისაგან მთლად კანკალებდა.

— ბული, ბული, ჩემო ბამბის ქულებო! გამოაჯავრა ვინ ღამაც. ირინე შეჯდა, ყური მიუგდო, ხმა იცნო და გულმა სიხარულით ძგერა დაუწყო.

— არა, ირინეს მოეჩვენა, თორე ასე უეცრად საიდან გაჩნდა? აკი გომშიაო?! ამას წუთს დაავიწყდა სიცივე.

— რას გაჩერდი, სიხარულო? განიმეორა ხმამ.

— შენ რაა, მერე?

— შეკცივა.

— მე რო შემციდევს მერე შენ რა? განა შენთვის საწუხარია?

— იქნება, რა ვიცი... უპასუხა ღიმილით ზურიამ, როცა ახლო მოვიდა.

— ბატებს დაეძებ?

— ჰოდე.

— მაშ წავიდეთ ერთად მოვძებნოთ, უფრო მალე ვიპოვით. ირინემ ხმა არ გასცა.

— აქამდის სად იყავი?.. ჰკითხა ბოლოს, როცა კარგა გზა გაიარეს.

— გომში.

— რათა?

— ისე... საქმე მქონდა...

— რა საქმე?..

ზურიამ ხმა არ ამოიღო. ირინემ გაოცებით შეხედა თავის სათაყვანოს, რომელსაც ტუჩები მაგრა მოეკუმა, სახე დანაღვლიანებოდა. უკანასკნელ სიტყვის წარმოთქმაზე სახეზე ჩრდილმა გაურბინა.

— ნეტაი ისეთი რა საქმე იყო, რო ანგრე მიმალავ?.. წარმოსთქვა ირინემ.

— რაც საწყენია, ის დასამალიც არის...

— ვისთვის არის საწყენი?..

— შენთვის...

— შენთვისა?.. შენთვის ხომ სასიამოვნოა?..

— ჩემთვისაო?.. რად მეკითხები იმას, რაც შენ თვითონ კარგად იცი?.. განა შენი საწყენი ჩემთვის სასიამოვნოა?.. ჯო-ჯოხეთია, ჯოჯოხეთი...

— მაშ რატომ არ იტყვი?.. ერთხელაც იქნება ხომ უნდა გავიგო?..

— მე გომში არაფერი საქმეც არა მქონდა... ტყუილადა ვთქვი...

— მაშა?

— მაშა და... ზურიამ ველარ მოახერხა სიტყვის თქმა... ირინემ სიყვარულით შეანათა თვალები... ხელი შეახო ზურიას...

— მითხარი, ზურია, შეეველრა ირინე.

— მე წავედი რომ შენ მოგშორებოდი, თვალით ალარ დამენახე... მაინც ეაპირებ ამ სოფლიდან გაქცევას, გადაკარ-გვას... ქალი გაშრა, ჩაჩუმდა... თვალებში ცრემლები მოუვიდა, მაგრამ თავი დახარა ძირს.

— მაშ რიღასთვის მოხვედი? ნაღვლიანად წარმოსთქვა ირი-ნემ .

— იმიტომ რომ შეგატყობინო... მეორეც ესა ვერ გავძე-ლი, მწყურიოდა შენი ნახვა.

— ეგ ფიქრი საიდან მოგივიდა? რომელმა მოკეთემ გირ-ჩია, ზურია?

— ღვთის წყრომამა, სიხარულო, თორე აბა სხვა ვინ მირ-ჩევდა მაგას?

— მერე ღმერთს რა დავუშავეთ?!

— შენი არ ვიცი და მე კი დიდი დანაშაული მაქვს... მწ ისეთი დამნაშავე ვარ რომ ცოცხალი უნდა დამწვან.

— რაში ხარ დამნაშავე?...

— ნუ მათქმევინებ, შენი ჭირიმე, დავიჯერო ვერ მატყობ?...

ქალს არ ეოცა ზურიას ლაპარაკი, თვითონაც გაეგო თუ რას ნიშნავდა მისი თვითეული ძარღვის ცემა, მისი გულის ძგერა. ესენი ხმა ამოუღებლად მიდიოდნენ. აგერა ირინე დაწინაურდა, რადგანაც დაინახა ბატების გროვა, მივიდა, გამოარჩია თავისები და გამოირეკა.

— ხომ არ მიჯავრდები, სალოცავო? დაეკითხა ზურია. ირინეს ტირილი მოსდიოდა, გულით უნდოდა პასუხის მიცემა, მაგრამ კარგა ხანს ვერ ახერხებდა.

— რაზე უნდა გავჯავრდე? რა ნება მაქვს მოგთხოვო ის რაც არ შეიძლება?... უპასუხა ქალმა და საჩქაროდ გვერდზე მიიღო სახე.

— ახლა სად მიდიოდი, ზურია?

— თქვენსა.

— მერე ღვთისა არ გეშინიან?...

— რომ მეშინიან კიდევაც იმიტომ მინდა დაგშორდე სამუდამოდ...

— ნუ, ნუ შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლეი! სად უნდა წახვიდე? მერე უშენოდ როგორ გავძლებ?... შესძახა ირინემ, მიიხედ-მოიხედა და, როდესაც დაინახა, რომ არავინ იყო მათი ყურისა და თვალის მადევარი, შემოეხვია კისერზე; ზურიამაც მიიკრა გულზე, ჩაჰკოცნა.

— ირინე, ჩემო ღმერთო, რატომ არ მოვკვდი მაშინ, როცა მამა შენი მნათლავდა? ახლა რა ვქნა?.. ჩემთვის აუტანელი მწუხარება იქნება შენი დაშორება, უამისობა კი არ იქნება. უთხრა ზურიამ, როდესაც გული მოიჯერა ალერსით.

— რატომ?... თუ კი გვიყვარს ერთმანეთი?...

— მერე ღმერთი? ხალხი?

— ზურია!.. შესძახა ირინემ, რომელიც შეკრთა, შეშინდა.

— გაიხსენე, ირინე, რა შემცოდენი ვართ? ქალმა მიიფარა სახეზე ხელები.

— დაშორდეთ! უნდა დაშორდეთ! წარმოსთქვა ირინემ და აქვითქვითდა.

— მეტი ღონე არ არის...

— მაინც სად აპირებ წასვლასა?... დავიჯერო აღარ მოხვალ?... ჰკითხა ქალმა თვალების წმენდით.

— ისევ გომში, იქ ხერხში ჩავდგები... იქნება ხანდისხანა გნახო....

— საროდიოთა?

— ამ დღეებში... მანამ კიდევ შემოვივლი.

— წასვლა რომ დააპირო მომაგონე, არ დამავიწყდეს.

— რაი?

— შენ რომ ბუზიკა მომიტანე.

— მერე?

— ისიც წაიღე, რაკი შენ აღარ ივლი, აღარც ის მინდა. წაიღე, ზურია, სხვას მიუტანე, როცა ვისმეს... აქ ენა დაუდუნდა ირინეს.— როცა ვისმეს დანიშნავ. ისევ ახალია, ორჯელაც არ დამიკრავს... ძლივს დაუმატა მან. ზურიამ მწარედ ჩაიღიმა.

— არა, სიხარულო, ჩემს სახსოვრათა გქონდეს, მე დასანიშნავი არც არავინა მყავს და არც მეყოლება... როცა გაგათხოვებენ, მაშინ კიდევ სხვას მოგიტან.

— უწინ მიწა მეღირსოს... კაია დედა ნუ მოგიკვდება, ნუ მეუბნები მაგასა!..

— მაშ არ გათხოვდები?.. ზურიამ ისეთის თვალით შეხედა თავის სათაყვანოს, რომ მან დაინანა ამ სიტყვის წარმოთქმა.

— მაშინ მეხმა ჩამიტანოს, ქალობა გამიშავდეს თუ მე ვიღირსო გათხოვება, რო გავთხოვდე, ხომ უნდა შენ გიღალატო?.. არა, გეფიცები აიმ წმინდა გიორგის, რომელიც გამოგვყურებს! სთქვა ირინემ და გაუშვირა ხელი ეკლესიისკენ, რომელიც შორს მოჩანდა .. ამათ მოატანეს სახლსა.

— ზურია, შენა ბიჭო? რა ანბავია რო მოგვეჩვენე? . დაუძახა ნენემ.

— მე არ დამვიწყებიხართ!. მოველი თუ არა, თქვენკენ გამოვწიე.

ირინემ შერეკა ბატები, მოიხსნა ფარაჯა და აგრიალებულ ცეცხლს მიუშვირა ხელები.

— ნათლია სად არის?.. იკითხა ზურიამ.

— ზაქარაანთ დაუძახეს, მალე მოვა.

— შეგცივდა შვილო? გათბი. ქალს ლოყაზე წკრიალით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— ქა, ტირი, გოგო? რა იყო? ცუდი ამბავი ხომ არა გაიგონე-რა?

— არა, სიცივემ მომიჭირა და სიმწარისგან ცრემლები წამომაყრინა. უპასუხა ირინემ. ჯერ კიდევ ნათელი იყო, როცა ზურია წავიდა სახლში, მწარედ დაღონებული ირინე თავს ძალას ატანდა მაგრა დახვედროდა, გაჰმკლავებოდა გამძვინვარებულ გრძნობას, გულში ჩაეკლა იგი, მაგრამ ამ ძალდატანებისგან ამისი სხეული უფრო მეტად სუსტდებოდა და თრთოდა.

— ნეტა როგორც თქმაა ადვილი, ისე ასრულებაც გაადვილდებოდეს. დავშორდეთ სამუდამოთ? მერე აიტანს ჩემი გული? ფიქრობდა ირინე,—ეხლა რო აქ იყვეს გულში ჩავეკროდი. შორს უნდა ვიყვნეთ?.. შემცოდენი ვართ?.. რათა?.. ერთმანეთი რო გვიყვარს?.. ღმერთს რა საქმე აქვს მერე?.. ნათლიები რო ვართ?.. ჩვენი რა ბრალია. არა, ზურია მიზეზათ იდებს, არ ვუყვარვარ, ეშინიან, სხვა ჰყავს ამორჩეული... წადი, ჩემო სიცოცხლევ, გაბედნიერდი, იცოცხლე და როგორც გიამებოდეს ისე იყავი... მე კი არ გილალატებ... განუწყვეტლად იმეორებდა გულში ირინე, ტუჩები მაგრა მოეკუმა.

— დედა მოგიკვდა, დედაი, რო ანგრე გახდი; რა ე ზამთარი მოვიდა, ადამიანის ნიშან-წყალი აღარ გადევს. ან კი რა გაგაწითლებს, კარგი ჩაცმა თუ სმა-ჭამა?.. იტყოდა ხოლმე ნენე, როცა ეს შეხედავდა ირინეს, რომელიც დღითი-დღე ფერსა ჰკარგავდა და თითქო სუსტდებოდა.

VI

დადგა ზამთარი, ცეცხლი გატკბა. ნამქერს ზოგიერთების სახლის კარი ამოექოლა, გამოსასვლელი გზა შეეკრა. ჰაერში

ირეოდა თეთრი ბარდნები, მგზავრს შიგ პირში აყრიდა. ამ დროს, თუ არ გაჭირებული, ვინ გამოვიდოდა კარზე!.. აგერა ნინიკა დაბრუნდა შვილის სახლში. რაღაც უჩვეულო მოძრაობაა, ნენე სახე-მოღიმარე თითქმის დაფრინავს კუთხიდან-კუთხემდე, ალაგებს ასუფთავებს, ჰგვის და თან ღიღინებს. ნინიკაც თბილ ტყავში გამოწყობილი მისჯდომოდა ცეცხლსა, რომელზედაც ქვაბით ხორცი იხარშებოდა... სუფთად ჩაცმული ბავშვები მოუსვენრად იკურებიან კარებისკენ, თითქო ვიღასაც მოელიანო.

— კაია დედაშვილობასა, ნუ ჯიუტობ, დრო

და გაგვხადო?.. ვთქვათ კიდევაც არ მოგწონს, არ გინდა გათხოვება, ე ამოდენა ხალხს რომ მშივრებსა გვხედავ, ჩვენი გულისათვის არ უნდა ქნა ეგა...

— ეშმაკს შეაფურთხე, შვილო, ჩაიცვი, მოიკმაზე. უთხრა ქალს ნენემ დაყვავებით და წინ დაუწყო ტანისამოსი. ირინემ ხელი ჰკრა იქით გადაყარა.

— არ გეყურება, გომბიო? შეღრიალა ნინიკამ და წამოვარდა ზეზე.

— აქეთ ჩამოდექი ერთი-და!.. ჩაიცვამს მა რას იზამს?. წინ გადაეღობა ნენე გაბრაზებულ ქმარს.

— თუ იცვამს, ჩაიცვას, დრო მიდის... თორე შვილები არ დამეხოცება შუაზე გავხეჩამ მაგ ლაწირაკსა!.. ეი, არ გეყურება?.. ჩაიცვი შენი სალავათი კი დაიქცა შენი!.. მეტის-მეტი სიბრაზისაგან ძლივს წაილუღლუღა ნინიკამ და სწვდა თმაში გაქვავებულ ქალს, რომელსაც ემწვავა, საშინლად დაიწივლა; ნინიკამ მაინც ყურადღება არ მიაქცია და გადმოითრია სკივრიდან.

— მოიტა ჩქარა ეგ ოხრად დასარჩენი, ეგ სატიალოი, გადააცვი, თორე შემომაკვდება... ნინიკამ გააკავა ქალი, ნენემ ძლივს გააძრო ძონძები, შემოსა ახალ ტანისამოსით.

— ცოცხალს არ დავირჩენ თავსა! მოვკვდები!.. არ შეიძლება ჩემი გათხოვება, არა!.. განწირულებით იმეორებდა ირინე.

— თუ შენი თავის ყადრი არ იცი, მე გასწავლი... თუნდ ეხლავ ამოგვიდეს სული, არ მენაღველება... კარგად გაიგე, რომ ამ საქმეს არას გზით არ მოვშლი... როცა ჭკუაზე მოხვალ, პირ იქით მადლობას მეტყვი... ირინე უნუგეშოდ ისმენდა მშობლების გულქვავ ლაპარაკს. როდესაც წარმოუდგებოდა რომ ზურიას ჰღალატობდა, გაკანკალებდა და თვალებიდან ნაკადულად გადმოჰღვრიდა მდუღარე ცრემლებს. — „ვაი ჩემს ბედსა! შენი ჭირიმე ზურია, რა პირით-ღა უნდა შემოგხედო მოღალატემ, ფიცის გამტეხმა?.. ვიღა დაგაჯერებს, რომ არას დროს ჩემს გულში არავინ არ დაიჭერს შენს ადგილს?.. ვიღა დაგაჯერებს, რომ ძალდატანებით მათხოვებენ

რომ მე შენი მოღალატე არა ვარ?..“ ფიქრობდა ეს და თან ქვითინებდა... ნენე გულხელ-დაკრებილი შეჰყურებდა ქმარს. ამას გული ეწოდა შვილისთვის, ერთრიგად ეცოდებოდა, მაგრამ როცა კი წარმოიდგენდა, რომ ესენი მის სასარგებლოდ იქცეოდნენ, მდიდარ, გაფუფუნებულ ოჯახში შეჰყავდათ, ეს შებრალება სუსტდებოდა, პირიქით, გული მოსდიოდა მისს უგუნურ ქცევაზე. ამდროს მოისმა ვიღასიც ფეხის ხმა.

— რას შვრები, ნინიკა? იმათგან მოსვენება აღარა მაქვს, იჩქარებიან.. ჯერ კიდევ მზად არა ხარ? ამ სიტყვებით შემოვიდა ოთახში ზაქარა ტყემალაშვილი.

— მზად გახლავართ, მობძანდნენ.

— ქალი? იკითხა ზაქარამ და მიიხედ-მოიხედა. როდესაც დაინახა ნამტირალევი ირინე, ღიმილით წარმოსთქვა: — იტირე შვილო, თქვენი ადათი ანგრეა, მაგრამ მაინც ვერ მომატყუებ, რო ეხლა გული არ გემღეროდეს.

— მარა, გომბიოს ხელობაა. ნაძალადევის ღიმილით უპასუხა ნინიკამ.

— მაშ მოვიდეთ რაღა?..

— მობრძანდით. ზაქარა გამოვიდა. არ გასულა ნახევარი საათი რომ სახლში შემოგროვდნენ ნახევარზე შეზარხოშებული სტუმრები.

— მობრძანდით! მობრძანდით! წინ მიეგება მომხიარულებული ნინიკა. — აბა, ნენე, სუფრა!.. მოუბრუნდა ესეც ცოლს, რომელმაც წუთს შეასრულა ამისი სიტყვა, მიიტანა ხონჩით სანოვაგე, ყანწები, დაასხა ჯამზე წვენი და ხორცი და ჩამოურიგა სტუმრებს. ნინიკას სახლში გაისმა სიმღერა. ზაქარა მივიდა საპატარძლოსთან, ეს გაძალიანებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს მოაგონდა ნინიკას მუქარა, ნენეს ბუზღუნი, თავი დახარა ძირს და გამოჰყვა.

ირინე დასვეს სანეფოს პირდაპირ. ამ დროს ქალს მოაგონდა ზურია და გული ამოუჯდა, მაგრამ, როგორც იყო, თავი შეიმაგრა.

— მოგვირთმევია ბედნიერებაში მოსახმარებლად! მოისმა ამ დროს. ირინეს წინ ედგა ვიღაც კაცი, რომელსაც ხელში ათ თუმნიანი ეჭირა და მშვენიერი აბრეშუმის თავმოსახვევი. ირინემ გახედა დედ-მამას, რომელთაც სიამოვნებით თვალები უბრწყინავდათ. „ფული ამოღებული ხმალიაო“,—ტყუილად კი არ იტყოდა ხოლმე ნინიკა. სანამ დანიშვნის დღე არ გათენდა, ირინეს ვერაფერი ვერ გაეგო. მაშინ გამოუცხადეს, მაგრამ გვიანღა იყო. ეს ეხლა მიხედა, თუ რად დაიარებოდა ისე ხშირად ნინიკა ტყემალაანთსა; მიხვდა, რაზედაც ჰქონდათ ხშირად ბაასი ამის დედ-მამას, როცა ეს შევიდოდა ხოლმე და ისინი გაჩუმდებოდნენ, მაგრამ რაღას მოუმატებდა!.. დანიშვნის შემდეგ ელდაზე ირინეს დააწყებინა ციება, მთელ ორ თვეს ლოგინი თელა. შვილის ავადმყოფობამ პირველში ჩააფიქრა ნინიკა, მაგრამ ამ დროს თვალ-წინ წარმოუდგა მიტრო ჯმუხაძის დოვლათით საესე ოჯახი, ამან გაითვალისწინა, თუ მოყვრების წყალობით როგორ წამოიწყობდა ხელსა, ცხოვრებას გაიუმჯობესებდა.

— არა, რა ჯიუტობაა ახლა! არ გავთხოვდებიო, როგორი პასუხია? მაშ სულ ჩემს ანაბარა უნდა იყვეს? სადა მაქვს თავი? ბიჭის საქმე კიდევ სხვაა, ცის ქვეშაც მოთავსდება, მაგრამ ოდიშვილს გომბიოს რა ვუყო, თუ პატრონი არ ეყოლება? ამ ფიქრებით ხმას ჩააკენდინებდა ხოლმე გულში აღძრულ მშობლიურ სიბრალულს. ირინეს ზაფრანასავით გაყვითლებული, შეშინებული სახე იყურებოდა აქეთ-იქით, ხმა აშოუღებლად დალასლასებდა, შეჰყურებდა ბუნებას, რომელიც ამისავით გულჩახურული, მგლოვიარე იყო. როცა თავს დაიმარტოვებდა, განწირულებით შესძახებდა: ღმერთო, ღმერთო, რა უბედური ვარ!.. ვინ არის ჩემი შემბრალებელი?.. დამიბრუნეთ ჩემი ზურია, მაჩვენეთ... როგორ უნდა ვიცოცხლო?... მაგრამ სანუგეშო პასუხს არავინ არ აძლევდა. ეს მიაჩერდებოდა ცეცხლის ღადარს და გააჟრჟოლებდა, თითქო ნაკვერჩხლები შესჩურჩულებდნენ:—მირონის არ გამტანს ეგ საჩუქარი მოსდევსო...

ქალი ჩვეულებრივ განწირულებას მიეცა.

— იმან აღარ მიკითხა, წავიდა, სადღაც გადავარდა.. ან კი რა საკითხავი ვარ მოღალატე?! ვაი მე უბედურსა!.. გაიარა დრომ, ირინე ცოტა დამშვიდდა, ამან გარდასწყვიტა თავისი ცოდო-დანაშაული გამოესყიდა თავის შეწირვით; დაეხსნა სამშობლო სილარიბისგან, ძმები დაემოსა, ქრმისა და ოჯახის ერთგული ყოფილიყო... აგერა წაყვანის დღეც მოახლოვდა. ნეფიანი მოვიდნენ დიდის ამბით. ქალებმა მორთეს ირინე, ფერი წაუსვეს, რადგანაც მეტად გაყვითლებული სჩანდა, შეიყვანეს ეკლესიაში, გვერდზე ამოუყენეს მიტრო. გაისმა გალობა, ირინეს ეგონა ანდერძს მიგებენო.

— ღმერთმა გაგიბედნიეროთ, გამრავლოთ, სამი ვაჟი მოგცეთ და ერთი ქალი! დალოცა მოძღვარმა. ნენე დაღონებული უყურებდა ირინეს, რომელიც გამოჰყავდათ ურემში ჩასასმელად... ქალი თვალს არიდებდა.

— ბედნიერებით დაგაბრუნოს შენს სამშობლოში! დაუძახა ნენემ, როცა მეურმემ შოლტი გაიქნია, ურემი დაიძრა და მაყრებიც ჭყივილ-სიმღერით უკან გაჰყვნენ.

VII

— გაიგე, ქალო, დღეს რო ჯმუხაანთ ქორწილი აქვთ? ჰკითხა ელისაბედმა თითიკას, რომელიც სახლის კარებზე იდგა.

— როგორ არა, გენაცვალე, მობრძანდის კაცი დილასვე დაატარეს, ჩემთანაც იყო.

— შენ კი არა გეტყობა-რა და, უთუოდ არ აპირობ?

— აბა რას მოვაკლდები, შენგან არ მიკვირს! ეს არის ეხლა ჩემი დარა გავგზავნე პელაანცა და, თუ ჩიქილა მათხოვა, უსიკვდილოდ იქა ვარ...

— კიდეც იმიტომ გაიყურები ანგრე ხშირ-ხშირად?..

— მაშ, ქალო. შენა? შენ სადღა მიხვალ?

— პურის ცხობაში ხელი უნდა წავახმარო მექორწილეებს, არ ივარგებს, მეზობლობაა.

— დიაღაც, რო ვალი გვაქვს ყველასა. მელანამ გასწია.

— აბა, ქალებო, გაისარჯენით, აგრემც თქვენც მოგასწრებთ ღმერთი შვილების ბედნიერებასა, დაგვიგვიანდა, — ეუბნებოდა ქეთევანი პურის მცხობლებს, რომელნიც შემოხვეოდნენ თონეს და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. ამისი უფროსი რძლებიც ჩიქილყურგადაგდებულები შედი-გადიოდნენ სახლში, რიგს აძლევდნენ.

— ანგრე ულუმელად როგორ მოახდინეთ, ქალო, ეგ საქმეი, რო ვერავინ გავიგეთ? იკითხა ერთმა.

— ბედმა იმუშავა. ი გოგო გიორგობას ენახა ჩემ მიტრასა, ახლო არც კი მისულა, შორიდან მოუკრავს თვალი და მოსწონებია. გვითხრა: თუ ცოლს შემრთამთ, ის შემრთეთ, თუ არა-და, სულ არ ვიღირსებ ცოლშვილსაო. მეც შემეცოდა, მაგი მეტი ყველა დაბინეებულები მყვანან და მაგითი აღარ დავუმძიმე ჩემ სულსა, ჩემს სიცოცხლეში მოვინდომე მაგისი დათავიანებაც.

— გიშველა ღმერთმა, ყოჩაღად მოქცეულხარ!..

— მართალია, არა მოსდევს-რა, მაგრამ გოგოს ვეხარბები, მიქებენ კარგიაო და არ ვიცი მართალია, თუ არა?

— ყველა ანგრე ანბობს, ყველა; კაი მცოდინარი თურმეა. თამაშობა გინდა, ჭრა-კერვა, ბუზიკა, და დაირა ხომ საყვარლად იცის... ჩემ სოსიკას უნდოდა, მაგრამ რაკი იმის ილბალი არ იყო, ვერ მოხდა, სოსიკასაც ხეირიანად ხმა არ გაუცია მე და ჩემმა ღმერთმა, მარტო გარმონი კი ჩამოურთმევია..

ესენი რომ ამას ლაპარაკობდნენ, კაცებს წამოექცათ დეკეულა და გარს ეხვეოდნენ. ამასობაში კიდევაც დაღამდა. კარებზე დაანთეს მაშხალა, რომლის ალი ზეცასა სწვდებოდა, ქვეყანას ატყობინებდა: მოგვილოცეთ, ქორწილი და სიხარული გვაქვსო!

ხალხი მოგროვდა, დარბაზი გაიჭედა, ბუზიკა და დაირაც გამართეს.

— მახარობელი! მახარობელი! დაიყვირა ვიღამაც. ჯერ არ გაეთავებინათ ამისი თქმა, რომ სახლში შემოვარდა ახალგაზდა ბიჭი და დაიძახა:

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
მიჯამია ბალი,
ამიხვიეთ მხარი!...

ანდრიამ მიუტანა ჯამით ღვინო, ნატომ აბრეშუმის ხელსახოცი შემოახვია ყელზე. ამ დროს გავარდა თოფი და გაისმა სიმღერა:

მეფეო, შენსა გვირგვინსა
ჯვარი სწერია ღვთისაგან!...

ეს სხვებმაც გაიმეორეს, ზურნამ დაიჭიკვინა.

— მოდიან!.. მოჰყავთ!

— მოჰყავთ!

— ჩამო, ჩამო!..

— ჩამო! დაიყვირა ეჯიბმა. ურემიც შედგა, გადმოიყვანეს თავ-გვირგვინიანი მეფე-პატარძალი.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ!..

— ერთმანეთს ტკბილად შეგაბეროთ!.. ულოცავდნენ ყოველ მხრიდან.

— იი, რა ლამაზი ყოფილა, მაგრამ გამხდარია, თუ თვალი არ მატყუებს.

— ბეჩა, აციებდა თურმე საწყალსა.

— იმ უბედურად სატარებელმა ციებამ განა მაგასაც მიაგნო?...

ირინეს ეყურებოდა ყველა ეს და მისდევდა თან. ნეფე-დედოფალი დასხეს ტახტზე, ზურნამ ლეკური დაჰკრა.

— მომილხინეთ, გენაცვალეთ, მომილხინეთ!.. გაიძახოდა ქეთევანა, რომელსაც თავზე წითელი მოსახვევი დაეფარებინა და ყველას ეხვეწებოდა გამხიარულებასა.

— მოულოცეთ! მოულოცეთ! ქეთევანამ ნეფე-დედოფალს წინ დაუწყო ხუთი თუმანი,ანდრიამ თუმანი და ამათ სხვებმაც მიჰბაძეს. გამართეს ცეკვა-მხიარულება. ირინე ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, ხანდისხან ალმაცერად გახედავდა ხოლმე თავის ქმარს, რომელიც ღიმილით უცქეროდა მოლხინე ხალხსა და ფიქრობ-

და თავის გარდაწყვეტილებაზე. ქორწილმა სამ დღეს გასტანა, მესამე დღეზე პატარძალი ათამაშეს, შაბაში მიართვეს და ამითი გაათავეს, ხალხი დაიშალა. ჯმუხაანთ ოჯახში ყველამ ჩვეულებრივი ცხოვრება განაგრძო, დრომ შეუმჩნევლად გაიარა. ირინეს ვერ შეუსრულდა სურვილი, ამისი გული ვერ შეეთვისა ახალ ოჯახს, ვერა და ვერა. დიდი კმაყოფილი იყო ხოლმე, როცა თავს დაიმარტოვებდა; ეჯავრებოდა ყველა სახლში მყოფი და იტანჯებოდა... ნამეტნავად, როცა ქმარი დაუწყებდა ლაპარაკს, ალერსს, ირინესთვის აუტანელი სასჯელი იყო.

— რა არი, ირინე, რო ერთხელ ქრისტიანულად ხმას არ გამცემ?.. აგერა ორი წელიწადი სრულდება რაი ღმერთმა ერთმანეთს შეგვყარა და შენ კი მიფრთხი, განზე მიდგები, ნეტაი დანაშაულს მაინც მეტყოდე? უთხრა მიტროფ ირინეს, როდესაც უკანასკნელს თონეში პური ჩაეკრა, თავი დაენდო ხელებზე და უცდიდა გამოცხობას. მიტროც იქვე კარებთან მიმჯდარიყო, ესეც მისჩერებოდა თონეს. ქმრის დალაპარაკებაზე ქალი შეინძრა და მოიღო გაყვითლებული სახე.

— რას ლაპარაკობ, ადამიანო? ერთი კაცმა გკითხოს—რა დროს ალერსია?.. გახედე ბავშვებს, არა იწყინონ-რა, ვერა მხედავ, რო თონეში ვიხრაკები?..

— ვინ გეუბნება მერე, რო თონეში ჩაიხრაკეო?! სხვა რძლებიც მოვიდნენ, მაგრამ პირველ წელიწადში არა გაუკეთებიათრა. შენ კი... ალარავის აცლი, არ ისვენებ... რა მიზეზითაც შვრები მაგასა, მიმხვდარი ვარ... ჩაილაპარაკა ნაღვლიანად მიტროფ.

— რა მიზეზით?

— იმ მიზეზით, რო ჩემზე მოშორებით იყო...

— შენზე მოშორებით როგორ ვიქნები, როცა შენს სახლში ვარ?.. რას მაყვედრი? საქმეს გიკეთებ, შვილებს გიზრდი... აბა სხვა რაღა გინდა?...

— მე მინდა ტკბილი ცხოვრება.

— ვინ გიშლის მერე?.. იცხოვრე.

— შენა...

— როგორ?..

— ისე, რო გეჯავრები... დაუმატა მიტრომ, წამოდგა, ახადა თონეს ორომი, დაუწყო გამომცხვარ პურს ამოყრა. ქალი ადგილიდან არ დაიძრა, სახეზე ჩრდილმა გაურბინა. ეს გაშტერებული უყურებდა ქმრის თვითეულ მოძრაობას.

— „დაივიწყე, დაივიწყე ყველაფერი, ირინე, თავს ძალა დაატანე, თორემ საქმე ცუდად მოვა, აბა რა დაგიშავა ქმარშვილმა?.. წარსული რას მოგიტანს?..“ ქალი განაგრძობდა გაშტერებით ყურებას, მაგრამ აგერა წუთს თვალები ძირს დახარა, შუბლი შეიკრა, სახე გადუფითრდა, ირინემ ველარ დაინახა მიტრო, მას წინ გადეღობა მხარ-ბეჭიანი ვილაც. ამის ფიქრებს გზა დაეხლართათ, ამ ვიღამაც ჩახედა ჟუჟუნა თვალებში, ჩაეკითხა! გამარჯვება, სიტკბოებავ! კი არ მიღალატო, შენი ჭირიმე!.. ქალი შეკრთა, აიღო მაღლა თავი, ზიზღით შეხედა ქმარს და საჩქაროდ გამოვიდა კარზე. ამ დროს შემოესმა ბავშვის ტირილიც.

— ხმის წყვეტა, სიკვდილი, წაიჩურჩულა ირინემ და შევიდა სახლში. ქეთევანა მისჯდომოდა აკვანს, გაშურებული არწევდა, მაგრამ ვერ აჩუმებდა გაჭირვეულებულ ბავშვს.

— ირინე, მოდი, ბიჭს მოეპატრონე, თორე ველარ გავაჩუმე, თონეს ახლა ნატო მიხედავს. დაუძახა მან შემოსულ რძალს, რომელიც თავ-ჩაღუნული იდგა. ქალს თითქო არ გაუგონიაო, ადგილიდან არ დაიძრა.

— მიშველეთ, გენაცვალეთ! შესძახა ქეთევანამ და წამოვარდა ზეზე, როდესაც ირინე ბარბაცით წავიდა ტახტისკენ და უგონოდ დაეშვა. ქეთევანას ყვირილზე ყველანი შემოცვივდნენ.

— რა ამბავია?

— რა მოუვიდა?

— ხმა ამოიღე, ქა?.. ეკითხებოდნენ ბალიშზე მისვენებულ ირინეს, რომელიც ძლივს მოაბრუნეს, მაგრამ სისუსტის გამო თვალებს ველარ ახელდა.

— შე გასახარელო, როცა არ შეგეძლო, რატო არ და-

დექი სახლშია, შენ რო არ გამოგეცხო პური, სხვა აღარავინ ვიყავით?.. ეუბნებოდა ქეთევანა. მიტროს გულხელი დაეკრიბა და შეშინებული უყურებდა ცოლს.

— ავად არის მარაა, ადამიანს რო არ გაიკითხავთ ხოლმე! წარმოსთქვა მან ყვედრებით.

— ასე ულუმელად რა გამოუვარდა საღი-სალამათსა, ქა?.. იკითხა თალიამ, რომელსაც გაეგო ირინეს ავად გახდომა და შემოვიდა.

— ბამბა მოიტათ, ფთილებს დავასხამ, უთუოდ მიზეზისგან იქნება!

— ქეთევან, წმინდა სანთელიც მოიტა, თუ გეშოვება... ემ საათში გავიგებ. ფიქრი ნუ გაქვთ. ირინემ თვალები გაახილა, მიავლ-მოავლო იქაურობას და მოხუჭა ისევ.

— ამ ქალისთვის ვიღასაც ავის თვალით შეუხედნია. დაიწყო თალიამ.

— ვის რა დაუშავა მერე?.. რას ერჩოდნენ?.. წამოიძახა მიტრომ.

— ეგ დაშავებაზე არ არის, შვილო! ქვეყანაზე ათასი ქასქანჯიელია, მტრობაა, შურია. რამდენი უნასი ადამიანია, თვალსა ჰკრამს, გულში გაიხარებს.

— მერე ღმერთი?..

— ი, მაგას დაგიდევენ სწორედა!.. ოღონდ თვითონ გაიჩესტონ საქმეი, ბოროტი გული მოიფხანონ, თორე აღარაკისი შიში და რიდი არ არის... არ გაგიგონია, ჩემო ძმაო, მაღლა ღმერთი თარს უკრავდა, დაბლა კაცი დანდურაკსაო, ჩემი საქმე კარგად მიდის, რას დავეძებ სამდურავსაო?.. სთქვა თალიამ და დააჩერდა ისევ ფთილებს.

— აბა ახლა მე მომიტანეთ ხორბლის მარცვალი, ვნახოთ ჩემი მკითხაობა. რაღას იტყვის!.. წარმოსთქვა მელანამ, რომელსაც იმ წუთსვე შეუსრულეს სურვილი.

— თალია, შენ ხომ თვალ-ნაკრაობას ასაბაბებ?—დაუმატა მან, როდესაც დახედა ხორბალს:—მე კი სულ სხვასა ვხედამ. ხვალ დილით მზეს ბრმად შევხედო, თუ ეგ ქალი გერის მიზე-

ზით არ იყვეს! დალოცვილი ზვარასა გთხოვთ, თეთრებით მოიყვანეთ ჩემ კარსა და თაყვანი მეც ითო.

— ვენაცვალე იმის დიდებასა, ვიახლებით, თუ კი ეშველება რამე... მაინც დიდი ხანია, რაი იქ აღარ გვილოცნია. ეხლა რაღა იქნება და შემოდგომაზე უეჭველად წავალთ. წარმოსთქვა ქეთევანამ. ირინე მთელი დღე სუსტად იყო, საღამოზე მოიკრიბა ღონე და ზეზე წამოღონღიალდა. მას ჩვეულებრივ წარბი შეეკრა, უბღვერდა ყველას, თვალს არიდებდა. თუმცა ზვარაც დააყენეს, თეთრები ჩააცვეს, მაგრამ ამან შვება ვერ იგრძნო, გული წინანდელზე მეტად შეუვიწროვდა, ნაღველი ტყვიასავით შეუდუღდა. ასე აღამებდა დღეებს, ათენებდა ღამეებს. აგერა სანდრა გაუხდა ავად. მუცელში რაღამაც შემოურბინა. ბავშვის შესაზარი ტირილი, გმინვა მჭრელ მახვილად დაესო ირინეს გაქვავებულ, გარკინებულ გულსა... უჩვეულო სიბრალული იგრძნო, სვინიდისმა ქენჯნა დაუწყო, შუბლი გაეხსნა თვალებში ცრემლები მოერია ბ ბავშვი გულზე მიიკრა. ეს უკანასკნელი კი ვედრებით უყურებდა მიტროს, თითქო უსიტყვოდ ეუბნებოდა: მე არა ვარ დამნაშავე, არა, მიშველეო!.. ათასნაირი წამლები დაალევინეს, მაგრამ კი ვერა უშველა-რა, ირინემ მესამე ღამეს განთიადისას დაჰკარგა თავისი ნაშობი, რომელიც აქნობამდინ თითქო ამისთვის არ არსებობდა, მაგრამ გაუხდა თუ არა ავად, იმ დღიდან მთელი ამისი არსება მან შეიპყრო. თვალებ-დახუჭულ მშვენიერ სახეს თითქმის ზედ დაჰკერებოდნენ ამისი თვალები, უნდოდა ამ ცქერიდან განთავისუფლებულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბავშვის გაციებული გვამი ირინემ უკანასკნელად ჩაიკრა გულში და დიდ ხანსა ტიროდა. ბოლოს გულშეწუხებულს ძლივს გამოაცალეს ხელიდან უსიცოცხლო სხეული და წაიღეს. მას დღეს აქედ ირინე მოუსვენრად კვნესოდა, იტანჯებოდა, გული სადღაც ეწეოდა.

— უნდა წავიდე იქ... ჩემ სანდრასთან, მიტრო, უნდა წავიდე!.. შესძახებდა და გულ-მდუღრად ატირდებოდა.

— წუხილით ვერას მოვუმატებთ, ირინე, მოითმინე, ერთი

შვილი კიდევა გვყავს, იმის გულისთვის მაინც მოითმინე... ეუბ-ნებოდა გულ-მტკივნეულად ქმარი.

— იქ უნდა წავიდე, ნუ დამიშლი.

— სადა?

— სასაფლაოზე.

— რას ამბობ?! იმ სიშორეზე როგორ იქნება შენი წასვ-ლა... მერე ანგრე დასუსტებული ხარ, გული რო შეგიღონ-დეს, ვინ გეყოლება პატრონი?..

— თუ გინდა, რო მიყვარდე, თუ გინდა ყველასთან ტკბი-ლად ვიყო, ნუ დამიშლი, მიტრო, ნუ!.. უნდა წავიდე, იქ ჩე-მი მოსვენებაა... მიტროს გული აუჩუყდა, უარის თქმა ველარ მოახერხა.

— წადი, მაგრამ მარტო არ შეიძლება, მეც გამოგყვები...

— არა, არა, მე მინდა მარტო წავიდე, გულს მოვიოხებ... შინ რო დავბრუნდები აღარ ვიტირებ, დავმშვიდდები... ირინე ყოველ დილაზე მზის ამოსვლისას დაბარებულივით გასწევდა სასაფლაოსკენ. მართლაც, ამან დაპირებული აასრულა. ირინე თითქო დამშვიდებული მოსჩანდა, ქმარ-შვილს უკმეხად აღარ ეჭცეოდა... ალერსით შეჰყურებდა... მიტრო პირველში ჩუმად ადევნებდა თვალ-ყურს, მაგრამ შემდეგში თავი მიანება, რად-განაც ხედავდა, რომ იმის ცოლისთვის სასაფლაოზე სიცრული გამკურნებელი მალამო იყო.

რანაირად გამოიცვალა ე ჩვენი ირინეი, რა ი პატარა მო-უკვდა?... წარმოსთქვა ანდრიამ, როცა ირინე გამოვიდა სახ-ლიდან.

— საწყალი მეტად დაბეჩავდა, მოლბა.

— მშობლის გული რო დაიჩაგრება, ანგრეა. ლაპარაკობ-დნენ შინაურები.

— ქეთევან! შეჭამანდი ბლომად ჩაადგი, სათოხნში მუშე-ბი მყავს.

მოუბრუნდა ანდრია ცოლს, გაიდო თოხი მხარზე ⁄ გარეულ გამოვიდა.

— მოდი, ქალებო, რაც გახდეს, გახდეს, ბარემ ჩვენც ეს

ბოსტანი გამოვმარგლოთ, რაც ბალახ-ბულახია, მოვაშოროთ... უთხრა ქეთევანამ რძლებს. მაგრამ აგერა ანდრია ისევ შემოტრიალდა სახლში.

— სტუმარი მოგვიეიდა, სტუმარი! წარმოსთქვა მან. ქალებმა მოიხედეს, ანდრიას უკან მოსდევდა ახალგაზდა ლამაზი ბიჭი.

— ზურიას გამარჯვება! ძაან მასიამოვნა შენმა მოსვლამა. ჩემი მოყვრების ამბავი რა იცი? მიეგება მიტრო ახლად მოსულს.

— გაგიმარჯოს! მშვიდობა, ყველანი კარგად არიან. იმათ გამომგზავნეს, ირინეს ამბავი მოგვიტანეო. უპასუხა ზურიამ და სახეზე ალმა აჰკრა.

— ირინე ვერ არის კარგადა.

— სად არის?

— სასაფლაოზეა. ბავშვი მოუკვდა და ყოველ დილით იმის საფლაეზე გადის ხოლმე, გულს იოხებს.

— გამოუტა ზურიას არაყი, მიტრო, დილით სწორედ კარგი სასმელია. უთხრა შვილს ქეთევანმა.

— გმადლობთ, არ გიახლებით. ეს ხურჯინი შეინახეთ, მეც ახლავე მოვალ, დეიდა-ჩემი უნდა დავათვალიერო, თორე გამიწყრება — გვიან მიკითხეო. სთქვა ძალ-დატანებულის ღიმილით ზურიამ.

— იქიდან ჩვენსა გადმოიარე.

— თქვენ სანახავად წამოველ და მაშ არ შემოვიველი?... დაუმატა და გამოვიდა. ზურიას სახეს ნაღველი დაეტყო.

— არა, არა, უნდა ჩავხედო მშვენიერ თვალებში, უნდა ჩავეკითხო—ისევ ვუყვარვარ თუ არა... იმისი ხმა კიდევ უნდა გავიგონო, თორე ჩემი სიცოცხლე არ იქნება... არ მეშინიან არც ღვთისა, არც კაცისა... ზურიამ გაუხვია იქით, საითკენაც სასაფლაო ეგულებოდა.

— ჩემი დანახვა ნეტა გაუხარდება?... რაღა ჩიჩინი უნდა!.. მაგრამ ვინ იცის!.. იმას სასაფლაოზე რა საქმე აქვს? აგერა შო-

რიდან თვალი მოჰკრა რაღაც თეთრს. — ის არის... — ჩაილაპარაკა ამან და შესდგა, გახედა სოფელს ჯ შემდეგ ისევ გასწია. ეს თან და თან უახლოვდებოდა თავის სათაყვანოს, როდესაც შემოესმა კვნესა, საშინელი სასოწარკვეთილი სიტყვები. ზურიას გული შეეკუმშა.

— ნეტა რა აწუხებს? ჰმ! რიღასთვის ვკითხულობ! განა არ ვიცი, რაც.... მივიდე? მაგრამ უცბად მისვლა არ იქნება... ზურია ხეს ამოეფარა, თვალი მიაშტერა ირინეს. — სად მიდის? გაიოცა ამან, მოშორდა ხეს, როცა ნახა, რომ ქალი წყლისკენ წავიდა. ზურიაც უკან გაჰყვა. რავდენიმე წუთი და ამას თვალთ დაუბნელდა. ქარზე უმალესად გაჩნდა მის ახლო, მკლავები შემოხვია, როდესაც ის აპირებდა საშინელ საქმის ასრულებას... გონება-მიხდილი სატრფო მიიკრა გულზე, დაუწყო გაშმაგებით კოცნა....

— ჩემო ღმერთო, რას შვრებოდი მაგას? ჩასჩურჩულებდა ეს, მაგრამ ქალი მაინც განაგრძობდა ფსიცოცხლოდ ყოფნას. ზურიამ ქალი მაღლობზე ამოიტანა. ირინე თითქო შეინძრა. ზურია ცდილობდა მის მობრუნებას და როდესაც დაატყო, რომ ქალს გონება უბრუნდებოდა, თავისი საუნჯე ფრთხილად მიიყვანა სასაფლაოზე, დაუშვა ძირს, თვითონაც მოწიწებით გვერდზე დაუდგა ჯ გამოუთქმელის გრძნობით დაუწყო ყურება, მაცოცხლებელ იმედს უცდიდა, უდარაჯებდა მის განძრევას, თვალის ახელას.

VIII

კარგა ხანს იყო ირინე ფიქრებში წასული, ბოლოს გამოერკვა ოცნებიდან, მიიხედ-მოიხედა. — ის აქ არის?.. მე ვითომ გულიდან ამოვიღე, მიტროს დავპირდი მეყვარები-მეთქი!.. ოჰ, ღმერთო, რა შემცოდე ვარ!.. მოღალატე, ფიცის გამტეხი, ნათესაობის არ გამტანი!... რა მომასვენებს მე უბედურსა!.. რა პირით უნდა დაველაპარაკო ზურიას? რა პირით უნდა შევხედო ქმარ-შვილს, რომელნიც ვიკისრე ჩემის ცოდვის მოსა-

ნანიებლად იმ იმედით, რომ მათ შემოეავლებდი ჩემს თავსა და დახე ესეც ვერ მოვახერხე!.. რა ღვთის წყრომაა ჩემზე მოსული!.. დაემხო პირქვე და რამდენსამე ხანს იყო ასე... რაც ხანი მიდიოდა, საღამო ახლოვდებოდა, ირინე მოუთმენლად კარებისკენ იხედებოდა.

— „ერთი კიდევ დამენახვე!“ გაუელვა ამას თავში. ამ მოლოდინს ბოლო მოეღო, კარები შემოაღეს, სახლში შემოვიდა მთელი ჯალაბი, მათ თან შემოჰყვა ზურიაც. ზურიამ თვალები შეაცეცა ირინეს და უსიტყვოდ მიაპყრა. ირინეს თვალები კი ამ ალერსიან შემოხედვას საყვედურის გამომხატველ მეტყველობით დახვდნენ.

— ესეც ჩვენი სათოხნი! საგონებელო წლისაო, საქმეო ერთის წამისაო,—სწორედ ამაზედ იტყვიან, სთქვა ანდრიამ.

— იცი, კაცო! ჩვენი ქალები ხვალ ლაზარეზე აპირობენ დავლას, ე წვიმა რო აღარ მოგვივიდა.

— აპირობენ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ცუდი არ იქნება, ეხლა ამ გათოხნილ სიმინდს რო ნამი მოხვდეს, გააღაღანოს!..

— ჰაი, ჰა, რო არ აწყენს!.. კვერი დაჰკრეს სხვებმაც. ზურია გაჩუმებული იყო. ბოლოს მოუბრუნდა ირინეს ტ ჰკითხა:

— რა ანბავს მაბარებ დედ-მამასთან, ირინე? შენი ჯავრი აქვთ. შემეხვეწნენ სწორედ გაგვიგე ყველაფერიო.

— რა დაგაბარო? მე თვითონაც არ ვიცი. ხომ მხედავ, როგორცა ვარ... უპასუხა ირინემ ტ დაკვირვებით მიაჩერდა ზურიას, რომელიც დაღონებული შესცქეროდა.

— როდის აპირობ, ზურია? ჰკითხა მიტრომ.

— ხვალა.

— ხვალ კი არა და!.. სიყმე არ მომიკვდება, არ გაგიშვებ... ამ კვირია ჩემი წვეული ხარ... ზურიასაც გულით უნდოდა დარჩენა, მაგრამ ირინეს უცნაური ქცევა ვერ აბედვინებდა ამ სურვილის შესრულებას. გათენდა ლაზარეზე დავლის დღეც. ქალებმა იწყეს მომზადება, მოირთნენ, ჩაიცვეს, დაიხურეს. ნატომ მოიტანა თიხა, გააკეთა კაცის მსგავსი ტიკინი, გულ-ხელი დაუ-

კრიბა, დასდო თეფშზე, ხელსახოცი გადააფარა და მოუბრუნდა რძლებს:

— ბაბუცა, დარა, წავიდეთ, ქა! რამდენი ხანია თითიკა აბაშიანთ კარებზე გვიცდის. ქალებს თავი მოუყრიათ, მარტო ჩვენ-ღა ვაკლივართ.

— ვაკლივართ და მივემატოთ. უპასუხეს რძლებმა. ყველანი ერთად გამოვიდნენ.

— დედამთილო, აქაც მოვალთ და ლაზარე წყლით დაგვინამეთ! მოაძახა ნატომ კარებთან ქეთევანას და წავიდნენ. კაცებმაც მინდვრისკენ გასწიეს.

ირინე მიუჯდა აკვანს, დაუწყო ბავშვს ძუძუს წოვება. ზურია და მიტრო დარჩნენ სახლში, დერეფანთან იდგნენ და ლაპარაკობდნენ.

— ზურია, გამოიტა წყალი გეთაყვა, ემანდ კარებს უკანა დგას სამსე კოკა, ქალები მოდიან,—უთხრა მიტროომ ზურიას:

მართლაც, ჯმუხაანთ კარებზე გაისმა ქალების სიმღერა:

ლაზარ მოდგა კარებსაო, ლაზარ ბატონო!
აბრიალებს თვალებსაო, ლაზარ ბატონო!
ცხრილი აგორებულაო, ლაზარ ბატონო!
წვიმა გაჩქარებულაო, ლაზარ ბატონო!
ღმერთო დაგვნამე, დაგვნამე, ლაზარ ბატონო!
მარგალიტის წვიმითაო, ლაზარ ბატონო!
აღარ გვინდა გორახიო, ლაზარ ბატონო!
ახლა მოგვე ტალახიო, ლაზარ ბატონო!

მიტროს წინდაწინა ჰქონდა მომზადებული წყალი, რომელიც უეცრად გადაასხა ქალებს და გაწუწა. დედაკაცები წივილ-კივილით გაცვივ-გამოცვივდნენ და წავიდნენ სხვებთან.

— არც ახლა მოვა წვიმაი!.. რა ვიცი, რა ღმერთი გაუწყრება!.. სიცილით ჩაილაპარაკა მიტროომ და ცარიელი კოკა ძირს დასდგა.

— ჩვენში რამდენჯერაც შეგვიკვეთნია ლაზარესთვის, არას დროს არ დაგვზარებია და თქვენი კი არ ვიცი,—უპასუხა ზურიამ.

— ჩვენშიაც ანგრეა. მიტრო და ზურია სახლში შემოვიდნენ.

— მიტრო, შვილო, ე ფიჩხი რო აღარა გვაქვს, რატო არ მოიტანთ?.. ჰკითხა შვილს ქეთევანამ, რომელსაც წინ დაედგა საჩეჩელი და მატყლსა სჩეჩავდა.

— მოვიტანთ, მა რას ვიზამთ!..

— როდისღა?.. ხვალ პურია გამოსაცხობი, კიწაწი ფიჩხი არ არის..

— თქვენკენ ძაან ხშირ ტყეებს ანბობენ, მიტრო?.. სულ ნაძვნარია და მუხაო, მართალია?.. სთქვა ზურიამ.

— მართალია, მაგრამ როგორც კაი ტყეა ისე შალბაშიც ზორბადა გვხდება.

— რამდენი?

— ლიტრიან კაცზე უფრო მეტია.. მეორეც ე საქონელზედაც არის საქმეი... ყევარ ხარზე თორმეტი მანეთია და ოთხ-უღელზე ორი თუმანი.

— კაცო, და მერე მაგ ფასისა რა უნდა გამოიტანო იქიდან.

— ვისაც ხეირი აქვს, რატომ!.. მარჯვენაა და საქონელი საჭირო... კაცი მაშინ ძაან მოგებაშია, ასეთი მასალა იჭრება, სახლისა გინდა, ბეღლისა, თუ ბოსლისა, რომ რა!..

— მაშ ძაან ტყე ყოფილა, არა გვანებია ჩვენი ჯეჯიკურის ჭალა-ჭულას... მაგითანა ტყეში სიარული სასიამოვნოც არის, ნამეტნავად ზაფხულში.

— თუ კი ანგრე მოგწონს, წამო, ხვალ წავიდეთ.

— თუ დავრჩი, ბატონი ხარ.

— რო არ გაგიშვებ, არ დარჩები?

— მიტრა, მიტრა, გამოიხედე, თუ ღმერთი გწამდეს, კილასონიანთ სესელამ შემოგითვალა: თუ ძმა ხარ, ერთ საათს ნუ დამზარდები და აქ გადმოდიო, ძაან საჭირო საქმე მაქვსო. შემოიძახა ამ დროს ვიღამაც.

— ეხლავე. ზურია, აქ იყავ სანამ მე მოვიდოდე. უთხრა მიტრომ და გამოვიდა.

— სიხარულო, თვალს ნუ მარიდებ, შენი ჭირიმე, ხომ მხედავ, როგორ ვიტანჯები!. ამ ორ დღეს დამიტკბი, მეტს არასა გთხოვ. წარმოსთქვა ზურიამ და მიუახლოვდა ქალსა, როცა მასთან დაიმარტოვა თავი. ირინემ თვალები დააჩერა აკვანს და ხმა არ გასცა.

— მაშ რაღად წამომიყვანე?.. რო მივდიოდი, რად დამაბრუნე?. განაგრძო ზურიამ.

— აკი მაშინვე გითხარი —წამომყე როგორც მოკეთე-მეთქი? მოკეთეს სხვანაირათ არ ექცევიან. უპასუხა ქალმა და თავი აიღო მაღლა.

— კმარა, შენს სახელს ვენაცვალე.

— ზურია, აკი გიღალატე? აკი ფიცი გავტეხე და გავთხოვდი!.. მეგონა ქვას მომაგდებდი, შემაჩვენებდი, დამივიწყებდი, შენ კი მოხვედი და ალერსსა მთხოვ, თავ-მოყვარეობა რა უყავი, ბიჭო? ვაუკაცი არა ხარ?..

— თავ-მოყვარეობა აქავეა... მაგრამ მაინც არ გემდური, ვიცი შენი საქმე როგორც იყო, ისიც ვიცი თუ შენი ცხოვრება როგორია, მიმალამ კი... რა ვქნა, შენიჭირიმე, მეტად სუსტი გამოვდექ, გულმა გაიმარჯვა, გონებას ბორკილი დაადო, ღონე გამომილია... აკი თავი დაგანებე, გადავიკარგე, მაგრამ შორიდან თვალს გადევნებდი... მართალია, გითხარი, უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი... აკი აქნობამდინ თავი ვიმაგრე... თვალით არ დაგინახე, მაგრამ მაინც საშველი არ არის... ჩემო საყდარო, შენ უნდა გამითხარო საფლავი, შენ უნდა დამმარხო...

— ზურია, რად ამბობ მაგასა?.. ღმერთი დაგავიწყდა?.. არ გეშინიან?.. წარმოსთქვა შეშინებულმა ირინემ, როდესაც აღელვებული ზურია მიუახლოვდა მას.

— ჩემო სიკვდილო, ჩემო სიცოცხლევ! შესძახა ამან, შემოჰხვია ათრთოლებული ხელები ქალს, რომელსაც უნდოდა გაბრძოლება, მაგრამ ველარ მოახერხა, ესეც დაითრო, ღონე წაერთო, მოხუჭა თვალები რამდენსამე წამს და ამათი ტუჩები ტკბილად შეეწებნენ ერთმანეთს. ბავშვის ტირილმა გამოაფხი-

ზლა შეეკვარებულები, გონზე მოიყვანა. ირინემ გაანთავისუფლა თავი სატრფოს მკლავებიდან.

— სიკვდილი, ღვთის წყრომა!.. ჩაილაპარაკა მან, მიიფარა სახეზე ხელები და აქვითქვითდა. ზურია კარზე გავარდა.

— აბა წავიდეთ ტყეში, ზურია! უთხრა მეორე დღეს მიტრომ თავის სტუმარს, როცა ტრედისფრად ინათა.

— წავიდეთ. უპასუხა ზურიამა, რომელიც დერეფანში იწვა და ის-იყო ტანთ იცვამდა.

— ურემი მზად არის?

— რამდენი ხანია შებმულია. ირინე! ორიოდ პური გამოიტა, გზა შორია, მოგვშივა! შესძახა მიტრომ ცოლს. ირინემ არ დაუგვიანა, მალე გამოვიდა პურებით ხელში, შეაცქერდა ზურიას, რომელმაც ტუჩები დაანძრია: შენი ჭირიმე, ჩემო ღმერთო! ეუბნებოდა ეს. ქალს კარგა ეყურებოდა და სხეულში სიცხე-ჟრუანტელი უვლიდა.

— თქვენც რაღა დღეს შეურჩიეთ, შეხედეთ, ცა როგორ ირევა, არ გაგიავდარდეთ.

— ნეტა გაავდრდეს, თორე ჩვენ მაგითი არა დაგვიშავდება-რა.

— ავდარი უფროც გაგვაგრილებს, დაუმატა ზურიამ. ირინემ ჩაიღიმა. ურემი დასძრეს, მას გვერდზე ამოუდგა ზურია შოლტით ხელში. ირინე გულხელ-დაკრეფილი უყურებდა მიმავალ ურემს და შემდეგ, როდესაც ურემი თვალს მიეფარა, ამოიკვნესა გულ-საკლავად და შემობრუნდა სახლში. შუადღემაც მოატანა. აგერა ციმა სიომ დაჰბერა, გვალვისგან გაყვითლებულმა ფოთლებმა იწყეს მოუსვენრად შრიალი, თითქო რაღაც საოცარი ამბავი შესმენიათო; ხეებმა დახარეს თავები, ცდილობდნენ ერთმანეთს დაჰკითხოდნენ ამ გასაშტერებელ რაღაზედაც. ცა აირ-დაირია, მაზე გამოჩდნენ ტყვიისფერი ღრუბლები... სიოს ემატებოდა ძალა, ზუზუნებდა; პროწიალით წამოვიდა მტვერი, შეტრიალდა ჰაერში და გაიფანტა, მზემ პირზე ნიღაბი ჩამოიფარა, შხუილი მოისმა. ფრინველები, პირუტყვი და ადამიანი რაღაც შიშმა მოიცვა. გულის ფანცქალით მოე-

ლოდნენ შედეგს. რამდენსამე წუთს შემდეგ, ცაში გამოჩნდა ელვაც და დაიქუხა.

— ღმერთო, მშვიდობიანი წვიმა გვაღირსე, შენს მადლსა! წარმოსთქვა ანდრიამ და გამოისახა პირჯვარი.

ღმერთო, წვიმა მოიყვანე
წითელი და შხაპუნაო,
რომ გავიდეთ სამუშაოდ
და დავძახოთ „ჰოპუნაო“;
რომ ქალებიც გვერდში გვედგნენ
ნამგლითა და ცელითაო,
ჩვენგან მოჭრილ თავთავს ჰკრეფდნენ
მადლიანის ხელითაო.
შვილები თავს დაჰხაროდნენ
მობრუნებულ ალოსაო,
„ოროველას“ დასძახოდნენ
მამაპაპურ კალოსაო!
ღმერთო, წვიმა მოიყვანე,
მიწის დამალბობელიო,
რომ გასწყვიტოს ჭია-ჭუა,
ქვეყნის დამამხობელიო!..

წარმოსთქვა ანდრიას უმფროსმა შვილმა სოსემ.

— ნახე თუ ჩვენმა ლაზარემ რა ქნას!.. დაუმატა ღიმილით ნატომ.

— მაშ ხომ ხელს ვერ აიღებდა ღმერთი ჩვენზედა?.. ნეტაი ი ბიჭები კი არ წასულიყვნენ და!.. სთქვა ქეთევანამ.

— იმათ რა მერე?.. რა უშამთ!.. ამ დროს გაიელვა, ამ ელვას თან მოჰყვა საშინელი ჭექა. ირინეს ადამიანის სახე აღარ ედო. ეს ყველაზე შეშინებული ჩამომჯდარიყო სკამზე და ძირს დაიყურებოდა. ზარიც ჩამოჰკრეს.

— ვაი, ოჯახო დაქცეულო! ვაი, სოფელო დამშეულო!.. შესძახა ანდრიამ, როდესაც ნახა აქა-იქ ჩამოვარდნილი კაკლის სიმსხო სეტყვა.

— სეტყვა! სეტყვა! გაისმა ყველგან.

მართლადაც, რავდენიმე წუთის შემდეგ ხრიალით წამოვიდა ზეციდან. ასტყდა ზარების რეკვა, შხუილი, ცის გრგვინვა,

ყველა ერთად რაღაც შიშის ზარსა სცემდა კაცს და ცხოველს, აგონებდა, თუ რა მცირე სუსტი ქმნილებაა ის ამ ქვეყანაზე, რომ შეიძლება წუთს გაჰქრეს სამუდამოდ. დედამიწა თეთრად მოიფინა. გულ-ჩაკლული ანდრია გაიყურებოდა მინდვრებისკენ, მაგრამ ამის დაღონებას ყურს არ უგდებდა ზეცა და განაგრძობდა მრისხანედ გრგვინვას. ხელ-მეორედ იჭექა ცამ, ხალხი პირქვე დაემხო.

— ახლო-მახლო მეხი ჩამოვარდა! ღმერთო, შეგვეწიე!... წარმოსთქვა გაფითრებულმა ანდრიამ. გავიდა ხანი, ბუნებაც ცოტათი დაწყნარდა. მოისმა ურმის ჭრიალიც...

— ჩვენები, ჩვენები!.. შესძახა ირინემ. გამოვარდა კარზე, მაგრამ მალე გულს ხელი მიაშველა: დაინახა მარტო ფერ-მიხდილი მიტრო, რომელიც კრიჭა შეკრული წინ მოუძღოდა ხარებს. ირინემ მიირბინა ურემთან, ჩახედა და, დაინახა თუ არა უსულოდ მდებარე, გაშავებული ზურია, საზარლად შეჰკივლა...

— მიშველეთ!.. უი, უი, მიშველეთ!.. წაიშინა მუშტები თავში და გაიქცა... გარბოდა საშინელი სიჩქარით; გაირბინა კარგა გზა, ჩაჯდა სველ ბალახებში და გაინაბა...

— რა ანბავია?! რატო არას იტყვი, ბიჭო? ეკითხებოდა ქეთევანა გაქვავებულ მიტროს. მან პასუხი არ მისცა, ანიშნა მხოლოდ ურმისკენ. ქეთევანაც მაშინვე მივიდა ურემთან, ელდა ეცა, რა ნახა შესაზარი სანახავი და მუხლ-მოკვეთილი დაეშვა ძირს...

— უი, ჩემს სიცოცხლესა! უი დადექით, თვალებო! ქა, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა! ე რა ღვთის რისხვა მოგვევლინა, გენაცვალეთ! ეს რა ცოდო დატრიალდა!... გაიძახოდა მუხლებზე ცემით ქეთევანა. მითხარი მაინც, როგორ მოხდა?...

— როგორ-და, მივატანეთ ტყეს თუ არა, ურემი შევაყენეთ, მე წავედი ტყის დასათვალიერებლად. იმ დროს ერთი საშინელი გაიელვა, ზურიას შეეშინდა, გაიქცა და ერთ ხეს შეეფარა ქვეშ, ის საოხრო იქვე ახლო იყო ჩვენზე... ელვაზე დაიჭექა კიდეც და მეც გული შემიღონდა. მოვედი თუ არა გონებაზე, მაშინადვე ზურიასკენ გავსწიე, მაგრამ ეს უბედური მთლად გაშავებული ეგდო ხეს ქვეშ...

— წყალი მოიტანეთ, იქნება გულშეწუხებულია!... ზურიას უსიცოცხლო სხეული ბევრნაირად აწვალეს, მაგრამ ვერ გამოაღვიძეს საუკუნო ძილისგან.

— იმ უბედურ ირინეს მიხედეთ, თუ ქრისტიანები ხართ! შეხედეთ, რას ჩადის, რაღაცეებს ლაპარაკობს! წამოიძახა ამ დროს ვილამაც.

— მიიშველეთ! მიიშველეთ!... უი, უი, მიშველეთ!... შეჰკივლა ირინემ და პირქვე დაემხო, როცა დაინახა მისკენ წამოსული ხალხი... მიიშველეთ!... შესძახა კიდევ ირინემ და უგუნური, ამღვრეული თვალები შეაფეთა ყველას.

— უბედური! ელდისგან ჭკუაზე შეიშალა! ან კი რა საკვირველია, მოსწრებული ძმა იყო, თითქმის ეს ჰპატრონობდა ამ.ს სამშობლოს.

— განა მოკვდა?.. უი, უი, მიიშველეთ!.. წამივიდა!.. განაგრძობდა უბედური.

— ძაან საქმე გვიყო ღმერთმა! ძაან გვიშველ ლაზარემაც!.. ბიჭოს, განა აოხრებასა და ამოწყვეტას ვთხოვდით!... რა უბედურებაა, შენი ჭირიმე!...

— რომელი ერთი უნდა აიტანოს კაცმა, შიმშილი, სიკვდილი თუ სიგიჟე?!

— მართლადაც, ძაან გადააჭარბა ლაზარემ და ღმერთმა ხომ სულ ხელი აიღო... ისმოდა ყოველ მხრიდან.

ხალხი დიდ ხანს იდგა გულ-ხელ დაკრებილი და თვალებზე ცრემლებ-მორეულები უიმედოდ შეჰყურებდნენ ზეცას, რომელიც ამ დროს თანდათან იწმინდებოდა და აჩენდა თავის უზრუნველ მშვენიერ სახეს.

ანასტასია ერისთავი

*
* *

I

ღამით გელ და ველ
სოფლით შორს გაგელ,
შიმწყინდა ყოფნა მე კაცთა შორის.
შეკდეგ სერზედა...
გულსა ჭლეკს სეკდა,
ჭქრის და ქვითინებს სიო მთა-გორის.
ალმა ცა ბრწყინავს,
ქვეშ სმელეთს სძინავს
და ნელ-ნელ თრთინავს
ნიავი ღამის.

შავ-თეიქრთა კრება
მე გარს მეფრება,
დამძიმდა გრძნობა ღამის სიწყნარით.
ეურს კუცდებ წემს გულს...
გული ჭელოვს წარსულს,
ჭელოვს სიცხაბუკეს, განვლილს სიმწარით.
ბედმა დამტოვა,
მკლავს თეიქრთა გრძოვა;
სეკდა და გლოვა
მწკავს დღით და ღამით.

ოჰ, ჩემო გულო,
სასიქადულო,
რა გაქვს—ბითხარი—დღეს შენ ამ სოფლად?!
ვერც სად რამ დარგე,
ვერც რამ თავს არგე,
ჭეშმარიტ ცივ მკერდში მწუსრად და ობლად.
ჭეკნესი ბედ-კრულმ,
ეზა გაქვს შეკრულ:
არც სიყვარული,
არც ნეტარება.

თავს ვეკითხები...
მაგრამ სიტყვები
სულს არ სვდებიან, ფუჭად კვდებიან;
გიწევ სიყვარულს,
მაგრამ მოშკვდარ გულს
ტრფობის სასოები არ ეთებიან.
გულში სდგას ბნელი
და მლევს სიღვენი;
ალარას ველი,
ფიქრნიც ჭქრებიან.

ჩემს ერს შეგსტქერი...
ბევლავ მდუმრობს ერი,
არ სდუღს ცხოვრება და ალარ ეშაოთობს;
სდუმს ქართველობა...
ზარი ფან-მსვლელობა
თითქო შემწყდარა და აკვდეოთქობს.
არსად სხვის ძალი,
არ ბეჭქვს წამალი,
ვაჲ ჩვენი ბრალი,
ვაჲ ამ ბედში მეოთეს.

II

სდგას გაჩაბუნული
და სტვენს ბულბული;
მოფერადობენ ყვავილნი მოლაზე;
ჭქრიან სიო ტკბილი...
ცვარ-მარგალიტი
ცელქობს და გორავს ფოთოლ-ალაზე.
დარობს და დარობს,
ბუნება სარობს,
ბუჩქი ბუჩქსარობს
და მწვანობს სურვილ.

კაშკაშებს მიკვარე
და არე-მარე
სტუმრავს მის შუქში და ბანდრებს,
თითქო ცაც თურებს
და ვარსკვლავთ კრებს
ანგელოზთ გუნდებს ესაუბრებს.
ისმის სმა წყნარი,
შეჭყლეტს ცას ქნარი
და მის სმა მტკბარი
შორეით შორს ჭქრებს.

ოჭ, ლელავს გრძნობა
და მიმდის ცნობა:
რაღაც სიამემ გული მოიპარა....
სული დამთვრალა
და რაღაც ძალა
უკრავს გულის სიმს წყნარად და წყნარად.
დამიტკბა სიმენა,
მუსიკობს ენა;
კვლავ ბედის რწმენა
გულში ჩამდგარა.

მსურს სულ სმად ქცევ
და შორს გაწევ;
მინდა სმად გავსდნე მე ცის უფსკრულში,
რომ ყველს მარად
ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲓ მტკბარად
მუდამ კეკუბო ᲨᲝᲡᲘᲑᲓᲣᲚ გულში.
ვარ გასაბული,
დამტკბარა გული;
მსურს სიყვარული,
მსურს ღელვა წყარა.

მრწამს მე, რომ ქვეყნად
არ გასვლის უუწყად
კეთილთეის აზრის ამდენი ზრუნვა
და ჩემს ერობას
აზრთ წინ-მსვლელობას
ვერ შეუფერებს ყამთ უეუ-ბრუნვ.
ყლეს და ყლერს ჩანგი,
ᲭᲐᲜᲒᲡ მინდვეს ᲭᲐᲜᲒᲘ,
მსურს ამსანაგი,
მსურს ბედში ტურვ.

ცახელი

ტარტარენ ტარასკონელი

თავი მეოთხე

თ ა თ რ ე ბ შ ი

I

ზღვაში. ფოჩის თავ-გადასავალი. საღამო მესამე დღისა.

ნეტავი მსატვარ ვიყო, ჩემო კეთილო მკითხველო! ნეტავი სასულოვანი და ძლიერი მსატვარი ვიყო, რომ ეს მეოთხე თავი სურათით დავიწყო და დაგისტოთ—რამდენი ტანჯვა-წვალება ნასა ტარტარენის ფესი ფოჩმა იმ სამი დღის განმავლობაში, როდესაც «ზუავი» სოფრასგეთიდან ალჟირისკენ მიდიოდა.

გემი რომ დაიძრა, ტარტარენი გმირულად იყო გამოწყობილი ზემო აკანზედ. გმირულ ფესის ფოჩს სულ კამკამი გაჭედონდა და გამოხენილ ტარასკონელის გამოხენილ თავს სხიესა და ელვარებასა ჭვენდა. ეს ბერკეტი სურათი. მერმე სულ სხვა სურათს დაგისტავდით: გემმა ზვირთებზედ თამაში მოართო და საწყალმა ფოჩმა კანკალი დაიწყო, თითქო გულმა უგრძნო—ცუდად არის ჩემი საქმე, მე ამ ზღვას შეიდობით კეღარ გადავურჩებიო.

გემი კი მიდიოდა. ხმელეთი აღარსად სჩანდა. ქარმა იმატა. ზვირთები მთებივით იძროდნენ და «ზუავი» სულ ბუქნასა სტენდა. აბა კარგი სურათი ეს იქნებოდა აი: დაჭრილა ქარმა, შეშინდა ფოჩი, ღორის ჯაგარივით ავშალა თმები, გული გაუსკდა და დაიწყო თრთოლა: მშვიდობით, მომიკიდა ღმერთ ალსასრულისაო! შემდეგი

სურათი კიდევ უკეთესი იქნებოდა: სადღაც არის, ასე, ექვსი სათი იქნება, შორს კორსიის კიდეები მოჩანს. გადაჭიმულია უბადრუკი ფოსი მოაჯარს და ფერ-მისდილი დაშტერებია გაოგნებულს ზვირთებს. და ესეც უკანასკნელი და ‘ია-უკეთესო სურათი: ბატარა ოთახში, კამოდის უკრანსაკენ ვიწრო ლოგინში დაგანსვენებდით რადაც ქმნილებას, უეფორმოს, იმედ მისდილს, მწარედ მგვნესარს. სადღაა გმირული ელვარება გმირის ფესის ფოსისა? სადღაა ის შინ და კოსტარობა, ტარასკონელები რომ გაგიყა? უბრალო მზვარიეთ ზედ ეურებამდე ჩამოსჩანია ფესი ვიღაცა ავადმყოფის, ფერ-მისდილს, შეკუმშულს, გულის ჭიდილით მის-ესტებულს და შიშისაგან გულწასულს...

ეეჰ! ნეტავი კი ენახა ტარასკონელებს თავიანთი სასელოვანი თანამემამულე ამ ყოფაში-და? ნეტავი ენახათ—როგორ ძოკუნტულიყო კამოდის უკრანში, რადაცა ბნელ და დამაღონებელ სოროში, როგორ აწუხებდა გულის ამრევი სუნი გემისა და საშზარეულოსი! ნეტავ გაეგოსათ, რა სატოდავ კვნესის ბანს ამღერებდა ხმა-მისდილი გმირი გემის ყოველ მოძრაობას! რა მწარე კნავილით თხოულობდა წამდაუწუმ:—ცაი! ცაი, ერთი ბირი გავიჩეველოგო! ნეტავ გაეგოსათ, რა ენით, თუმცა ძიმტკნარებული ხმით, ლანძღავდა მოსამსახურეს,—რომ ასლა მაინც ეგრძნოთ, რა საშინელი ტოდვა ჩაიდინეს, რომ საწყალი კაცი სადღაც ალაყირში გაასტუმრეს და სიტოტსლე მოუსწრაფეს. იქნება შეენანათ კიდეც! მე ხომ ისტორიის მეტს არას მოგითხრობთ და ისტორიოგრაფის ბატიოსან სიტყვას ვეფიცავ—სანრალო გმირი მართლა-და სატოდავი რამ იყო. ავადმყოფობა უცბად დაეტაკა, ბისეთი ძალით დაეტაკა, რომ თათრულ სარტყელის მოშვებაც კი ვერ მოასწრო, იარაღის მოხსნას კიდა ჩიკის. შიგ გულის ფიცარში სტენდა გრძელი ხანჯლის ტარი, რეკოლვერმა ხომ კუნთები დაუსისხლიანა. ამას ზედ დაუმატეთ ტარტარენ-სანჩოს ლანძღვა-გინება, რომელიც ტარასკონიდან მოყოლებული სულ ტოტიანი ძაღლივით იღრინებოდა:

— მე სულელო, შენ! არ გეუბნებოდი, ჭა?! ააჭ! ლომებზედ ნადირობაც მომინდომე? ეფრიკის ნასვაც მომინდომე?! ჭე, მოგსვდ! ასია შენზედ!... როგორ მოგწონს?!. ეეეეჭ!...

მაგრამ ყველაზედ გულსაკლავი ის იყო, რომ ჩვენი სიტოტლეგამისრწინილი გმირი მწარედ კვესოდა და იქვე საზოგადო ოთახიდან კი იმისთანა მსიარული ხმა ისმოდა სხვა მგზავრებისა, ისეთი გულიანი სიცილი და სიმღერა, რომ შურით გული უწუხდებოდა და უფრო სუსტდებოდა. «ზუავზედ» საკმარისი საზოგადოება შეკრებილიყო და უნდა გესმათ რა მსიარულად ატარებდა დროს ეს აქნობამდე ერთმანეთისაგის უცნობი ხალხი. აქ იყვნენ შინიდან სამსაურში მიმავალი ვაჭრები, თავისუფალი სიყვარულის მიმდევარი ქალები, კამდიანტები, ერთი მეკვიდან მომავალი მდიდარი თათარი და ერთიც შავ-მთიელი—საკვირველი სუმარა და მსიარული თავადი... ამოდენა ხალხი ერთი არაკის გადასულა ზღვაზე და ყველანი მშვენივრად, მსიარულად ატარებდნენ დროებას!.. ამ საზოგადოების სული თვით «ზუავის» კაპიტანი ბ-ნი ბარბასსუ გასულდა. კარგი ბიჭი იყო, ღვთის წინაშე, კარგი ცხოვრება უყვარდა, უყვარდა ღვინი და მსიარულება, მარსელში ერთი ხასლობა ჰყავდა, ალჟირში მეორე... ისსდნენ და შეექცეოდნენ შამპანურ ღვინოს!

ტარტარენ ტარასკონელს ამათი საამსიარულე უფრო ჰგლაკავდა! აკადმეოფობასა უორკეტებდა! აჭ, ნეტავი კარგად ეოფილიყო და აჩვენებდა!... ბოლოს, მესამე დღეს, საღამოზედ, გემზედ იმისთანა გაგიკვებული სიორბილი ატყდა, იმისთანა ეიეინა და ეკირილი, რომ ჩვენი აკადმეოფიც კი გამოფსიზლდა. წინა-ზარს რეკდნენ. ეტეოზოდა, რადგან გასსატდელში უნდა ეოფილიეო გემი, რომ ასეთი ალიაქოთი ატეხეს ასე მოულოდნელად.

— მანქანა გასწიეთ!.. უკან დასწიეთ! ეკირდა სრინწიანი ხმით კაპიტანი ბარბასსუ.

მერე ჩასძახა:—დააყენეთო!

და გემიც გაჩერდა. ერთი კი შეინძრა და... ხან აქეთ დაიზსიქებოდა, ხან იქით... ხაშინელი ციჩუმე ჩამოვარდა...

ამ ციჩუმემ გული გაუხეთქა ტარტარენს.—მიშველეთ! გემი დაიღუბაო! შეეგბდაკვლა ასწყალმა ასზარელი ხმით და, თითქო რადგან ხასწაული მოხდაო, ისეთი სიმარდით გადმოხტა თავის უჯრიდან, გეგონებოდათ თავის დღეში აკად არა ეოფილაო. ერთს წამში ზეკით გაჩნდა... კიდეკ კარგი, რომ აკადმეოფობაში ბარაღი არ შეესსა...

II

არიქა! მეკობრენი!

კი არ იღუშებოდა... გემი ალყაირის სავთ-სადგურში შეკიდა და გაჩერდა. მშვენიერი იყო ეს სავთ-სადგური, ყველაფერით შემკული, მაგრამ ისე მიჩუმებულიყო, გეგონებოდათ — აქ ქალაქი კი არა, უდაბნო არისო. «ზეკვის» გარდა სხვა გემი არსად რა იყო. ჰირდაპირ, მთის ფერდობზედ ქალაქი ალყაირი მოჩანდა თავის მომცრო ოთხი შენობებით და თანაბრად ჩამოუყვებოდა ზღვის ჰირამდე, თიოქო შენობები ერთმანეთს აწვებიანო. ზემოდან მსიარული, მოწმენდილი ცა დასტქერიდა და უფრო ამშვენებდა ისედაც მსიარულ სურათს.

ამ სურათის დანახვაზედ გამოჩენილმა ტარტარენმა, ცოტა არ იყოს, გული მოიბრუნა და ქალაქს სინჯვა დაუწყო. გვერდზედ შავ-მთიელი თავადი უდგა და უჩვენებდა: აგერა ზემო უბანი, აგერა კაზბაჯი, აგერ ბაბ-აზუნის ქუჩაო. ძაან-ძაან ზრდილი იყო შავ-მთიელი თავადი; ამასთან ალყაირს კიდით კიდემდე იცნობდა და არაბულს ხომ დედა-ენასავით ლაპარაკობდა. თვით განგებამ მომიგლინა ეს ღვთისნიერი ადამიანი, ფიქრობდა ტარტარენი და გადასწყვიტა — ამას დავუმეგობრდები, ვინ იცის როგორ გამომადგესო.

ტარტარენი მოაჯარზედ გადაუუდებული შესტქერიდა აიერეკის კიდეს და გულმოდგინედ ეურს უგდებდა თავის ახალ ნაცნობს. ერთიც ვნახოთ, ქვემოდან კიღაცაც შავი ზორბა სელები ამოიო, მერე ერთმა ხომ არა! ათმა, ოცმა!.. მოაჯარს მოეწიდნენ, გემზედ ატოტებას ცდილობდნენ. მერე როგორ ჩუმად, ქურდულად მოიპარებოდნენ?! უცბად ერთმა ზანგმა ამოიო თავი, და კიდრე ტარტარენი სმას ამოიღებდა, გემი ზანგებით აიავსო. მერე რა საზიღარები იყვნენ?! შავ-ყვითელნი, თითქმის ტიტველნი, ნაშინელნი, გულის ამრევნი! მიდი-მოდიოდნენ, ირეკოდნენ, იქაურობას იკლებდნენ!

მაშინვე იცნა ტარტარენმა. ისინი იყვნენ, ისინი! მხდალი, ლაჩარი მტრები, რომელთაც ტარტარენი დღე და ღამ სულ ემას

ეძახდა — მოდით რაღა, თქვე!... რომელთაც ტარასკონის ქუჩებში დაეძებდა და სათმრად იწვენდა! ახლა გახედეს? ახლა? ძღიეს!

მოულოდნელად თავს დაესხნენ! ვერ შეკრთა, ალაგიდან ვერარ დაიძრა. მაგრამ რაკი დაინახა, რომ ის მეორენები მის ბარგს მიკარდნოდნენ, თოკებს სხნიდნენ და მიარბენინებდნენ; რაკი ნახა, ახლა კი გეშს იკლებენო, გამოეფხიზლდა ჩვენი გმირი, ლომივად ადგა მომზადებული, ხანჯალი იძრო და — არიქა! მეკობრენიო! — შეჭეიარა თავის თანამოგზაურებს. დასძახა და ზირველად თვითონ დაერია მეკობრეთა.

— რა იყო? რა მოგეჩვენათ? მიეკრდა შეშინებული კაპიტანი ბარბასსუ.

— სადა სართ, კაპიტანო?! აბა ჩქარა! გაამაგრეთ თქვენი სალხი!

— აი დალესერა ღმერთმა? რაკვნა, სიზმარში ხომ არა სართ?

— ვერა ხედავთ?...

— რას ეუნდა ვხედავდე?

— ვერა ხედავთ?.. ვერა!.. მეკობრენი!

ხასტად დარჩა კაპიტანი ბარბასსუ და განცვიფრებული შესტქეროდა ტარტარენ ტარასკონელს. სწორედ ამ დროს გამოატარა ერთმა ზანგმა ჩვენი გმირის წამლებით სავსე ზანდუკი — ათთიაქარ ბეზიუკეს ასხუქარი; წამოეკიდნა და მიარბენინებდა!

— დამაცა! დამაცა, შე მეორენო, შენა! შეეხლაკენა ტარტარენმა, იძრო ხმალი და მეკობრეს გამოეკიდა.

კიდევ კარგი, რომ ბარბასსუ წამოეწია, სარტყელში ატაცა ხელი და შეაყენა.

— ფიე! ამას ლენტოფა ხომ არ უეჭვმია! სადა ხედავთ მეკობრეთ?! რამდენი ხანია მეკობრენი აქ ალარსად არიან! რის მეკობრენი, ხომ არ გაგიყენებულხართ? მუშები არიან და ბარგს ეზიდებიან.

— მუშებიო?!...

— მუშები, მა რა? ბარგს ეზიდებიან. ჩაგეთ ე ხმალი. მოეცით თქვენი ბილეთი და ამ ზანგს გავჩეკეთ. კარგი, ბატიოსანი ბიჭია, თქვენ ბარგს ხმელეთზედ გაიტანს და, თუ გნებავთ, ასტუმრომდეც გიასლებათ.

ტოტა არ იყოს, შერცხვა ტარტარენს, ბიღეთი მისცა და თან გაჰყვა თავის სამგზავრო ეთვიალქის მომტანებელს. გემიდან ჩაშვებული კიბე ჩაიარა და ნავში ჩაბრძანდა. ნავი სულ ბუქნასა სტენდა; ავსე იყო ტარტარენის ბარგით. ზანდუკები, ყუთები, მავრაშები, ტომრები, ბოღჩები—სულ აქ იყო. ისე გაუტენათ, რომ ამოდენა ბარგის ეატრონიც ძლივსღა ჩაჯდა, არამც თუ კიდეკ სხვა მგზავრისთვის ედგოდნათ. ზანგი ზედ ბარგზედ ატოტდა და მაიმუნივით ჩასკუნტდა; მეორე ზანგმა ნიჩაბს წაატანა სელი. ორივ სიტიღით შესტქროდნენ ტარტარენს და ბოროტივით კრიალა კბილებს უჩვენებდნენ.

ტარტარენი კი ფესზედ იდგა. ბრაზ-მორეული შესტქროდა ამ წუწკებს, ქვეშო ტუჩი დაეშვა და ისეთი თვალით იყურებოდა, ტარასკონელებს რომ დაენახათ, სულ ზარის ოფლს დაასხამდათ. თან სანკალს ატოდიღებდა: სან ამოსწევდა ქარქაშიდან, სან ისევ ჩაჯეგდა. არა, მართალია, კაპიტანმა სთქვა—მუშები არიანო, მაგრამ კინ იცის?... ერთიც ვნახოთ... ამათ კაცი ენდობა, ამ ჯოჯოხეთის მაშასალებს, ამათ?... მუშები გასა ტარასკონში არ უნახავს, რა? ადამიანს მაინცა გაკანდნენ ეს წუწკები?!

ხუთი წუთის შემდეგ ნავი ხმელეთს მიადგა და ტარტარენმა იმ ქვეყანას შეახო ფესი, სადაც ამ სამასი წლის წინად ერთი ისეთნიადან წამოვანილი ტევე—მიშელ სერვანტესი—თავის უკვდავ რომანს—დონ-კიხოტს—სწერდა.

XII

სერვანტესისადმი. დაბინავება. სად არიან თათრები?
ვაი, გამიწყრა ღმერთი! არსად.

ო, მიშელ სერვანტეს საკვედრა! თუ მართალს ამბობენ, რომ სადაც კი ანსელოვანს და დიდებულს უტსოვრია გისმე, იქ მის სიკვდილის შემდეგაც ჭაერში ტრიალებს მისი დიდების და ძლიერების სული და უკუნითი უკუნისამდე რჩებაო, შენს ნაშთსაც დიდად უნდა გასარებოდა ეთრიკაში მოსვლა ტარტარენ ტარასკონელისა, სამსრეთ საფრანგეთის სამაგალითო წარმომადგენელის მოსვლა, რომელმაც

საკვირველად შეკერთა ორი შენ მაერ დასტულა გმირი: დონ კიხოტი და სანჩო-პანჩო!..

იმ დღეს კარგად ცხელოდა. ზღვის პირას საცხაისაგან გასუფრებულ ბულვარზედ ჩანდა ოთხი-სუთი მოსელე ბაკისა, რამდენიმე ვრანი — იქვე ქვეშზედ მოეკეცნათ და ბეჭელ ჩიბუხს ეწეოდნენ — და მალტელი ზღვოსნები: ესენი ბადეს ისრიდნენ და ათასობით იჭერდნენ პატარ-პატარა სარდინებს.

მგრამ ტარტარენის გამოხენა და ამ მეუდროების შერეკვა ერთი იყო. მიძინებულმა ზღვის პირმა გამოიღვიძა და ფერი იცვალა; სადანლაც გაჩნდნენ ველურები, უფრო საშინელი და საზიზღარი, ვიდრე ბემზედ ნასული ზანგები იყვნენ, და ერთი ეიყინია, თითქო იერიშით მოდიანო, წამოვიდნენ ტარტარენისკენ. ზოგი ვრანი იყო, ზოგი ზანგი. ვრანნი სრულიად ტიტველნი იყვნენ და მთელს მათ ტან-საცმელს და სამკაულს მარტო დაფარეწოდი ნაბანი შეადგენდა; ზანგები უფრო მეტნი იყვნენ. ვრეულად მორბოდნენ დიდები და ბავშვები დაგლეკილები, დაფლეთილები; ზოგს სადღაც ნასტუმრის ფორმად მიღებული ქუდი ეშოვნა და ამით შეემკო თავი, ზოგს მზარეულის თეთრი ქუდი ამშვენებდა, და ზოგს მზარეულისაგე წინ-საფარი. ერთი ფერიალეი და ყეკულ-ბაკალეი მისცვივდნენ ჩვენს ტარტარენს, გარს შემოესვიენენ, ზოგმა ფეხში სტაცა ხელი, ზოგმა ხელში, ზოგმა იარაღში, კალთებში! ზოგი ჰქედ ეწეოდა, ზოგი იქეი! კინალამ შეაზედ გაგლეჯეს! ისევე კიდევ ამის ბარგს მიეკარდნენ, აიკლეს, დაიტაცეს, თითქო პატრონი არავად იყოსო! ზოგი სამგზავრო ეფეიაქს ძიათრევდა, ზოგი მაფრავშს, ზოგი იარაღის ყუთს, ზოგი რას და ზოგი რას. თან რადაცა ქაჯეური ენით ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ენუბეზოდნენ, ბარგს ხელიდან სტაცებდნენ და ნაბარადო მონადირეს, ლომებზედ მონადირეს, შეგ ეურში რადაც ნასტუმრობის დარეხიერებული ნასელებს ჩასძახოდნენ.

გაშტერებულს ტარტარენს წყრის ოფლი სდიოდა. რას იზამდა ნაწყალი? ნან ერთს გამოეკიდებოდა, ნან მეორეს, იგინებოდა, იღანძღებოდა. ნან ფრანგულად შეეკურთხებდა, ნან პროვანსულად! ასე გასიჯეთ განსაცდელში ლაიონურიც კი მოიგონა და შეჭეკირა: rosa! bonus, bona, bonum! ამის მეტი კი ადარა ანსოდა-რა!

სულ ტკბილი იყო: ეურსაც არ იბერტყავდენ!

საქმე ცუდად იქნებოდა, რომ ღვთის განგებას არ მოესვლინა გმირთა-გმირისთვის და მის დასასხნელად ერთი ბატარა კაცი არ მოეგლინა. ბატარა კაცი იყო, ვიღაც იყო, უვითელი საყელოთი დაეშვენებინა ტანისამოსი, სულში ერთი კარგი, მსხვილი ჯოხი ეჭირა. მოულოდნელად ჩაერია ბრძოლაში, ერთი შეუტია, მიიქნ-მოიქნია ჯოხი, თითქო ჭიანურის ღმერთი იყოსო, და მტერიკით გაჭეანტა იმოდენა მებრძოლები. ეს გასდათ ალყირული პოლიტიკის მოსელე. მერე დიდის ზრდილობით ბიმართა ტარტარენს, ეჩაია «ეკონომიის სასტუმროში» ჩამოსტითო და ამასთან რამდენსიმე ანგარიშ, სწორედ იმათ, რომლებიც წელან ასე სასტიკად ებრძოდნენ ჩვენ გმირს, უბრძანა—ბარგი სასტუმროში მიუტანეთო.

სულ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ტარტარენმა გასცვიფრებულმა ალარ იცოდა, სად იყო, მართალს სედავდა რასმენ, თუ სიზმარში იყო? დაეჭიტა თვალები და სან აქედ გადასედავდა, სან იქით. ქ. ალყირი მას წინადვე ჰქონდა წარმოდგენილი, ოღონდ ქალაქად კი არა, ისე რადა, ერთი ზღაბრული, აზიური, ველური უნდა ეთვალიეო რამე; ცოტა რამ სტამბოლისა სცნებოდა და ცოტა კიდეც ზანზიბარისა... აქ კი... რა ენა, ეს სიო ჩვენი ტარასკონიაო, ფიქრობდა ტარტარენი. იგიეე ეკვასანები, იგიეე რესტორანები, ოთხ-სართულიანი სასლები, ლამაზი ბულვარი, ზედ კოპწია მოედანი, აქვე შემუსიკენი... სამდვილი ტარასკონიაო, ფიქრობდა ლომებზედ მონადირე. არა, ბოლკასაც რომ ტარასკონელს უგრავენ, ოფენბასიასს... იგიეე მომცრო სტოლები, აი დალასვრა!... მოქალაქენი ლუდს შეეძლეგიან; აგერა იმგვარი ქალებიც, რომ ერთს შემოგსედავენ და გაგრძნობინებენ —მოდი, ჩვენ თავისუფალ სიყვარულს ვქადაგობთ სიტყვით და სიქმითაო! მერე ჯარის-კაცნი, კიდეე ჯარის-კაცნი და, სადაც კი თვალი მისწვდება, ისეე ჯარის-კაცნი...

თათარი კი არსად იყო!

ტარტარენს გარდა თათარი არსად სჩანდა! ცოტა არ იყოს, კიდეც შერცხვა: კაი, გაძიწერა ღმერთი! ეს მოედანი როგორ გადაკიარო, ქვეყანა მე მიუერებსო!

მართლა-და, ქვეყანა იმას უფურებდა! ქალები შედგნენ, კარის კაცნი წამოდგნენ, ლუდს უურადღებასაც აღარავინ აქცევდა; თვით მემუსიკეთაც კი ისე უცბად შესწყვიტეს ოფენბახის ბოლოვა, რომ სიწყალს ცალი თვალი ჭაერში შერჩა.

ორივე მხრებზედ თოფები ედო, სარტყელზედ უშველებელი რევოლვერი ეკიდა და წინ გრძელი ხანჯალი. ყველანი იმას სინჯავდნენ—ეს რა მოგვეელინა? ძალიან გაუძლო გმირთ-გმირმა ამოდენა სალსს! თავ-ამღალი, შეურყეველი, გულმაგარი, ამაყად მიდიოდა, თითქო რობინზონ კრუზო არისო, და ისე გაიარა ურიცხვ მაყურებელთა შორის, რომ წარბი არ შეუხრია. ძალიან გაუძლო! მაგრამ შეკიდა თუ არა ესსტუმროში, ძალ-ღონემ უმტუუნა, და დაქანცული, მოშვებული ძლივს-ღა სუნთქავდა. ტარასკონიდან წამოსვლა, მაცსელის ნავთ-სადგური, ზღვა, შავ-მთიელი თავადი, მეკობრენი ისე ირეოდნენ მის თავში, ისე არეულად მიდი-მოდიოდნენ, რომ თავ-ბრუ ესხმოდა სიწყალს. როგორც იყო, მიაღწია თავის ოთახამდე, იარაღი მოიხსნა, ტანთ გაიხადა... მსაბინძელმა ჭკეთხა კიდეც: თუ ინებებთ, ექიმს მოვიხმობთო... მაგრამ დაქანცულმა ტარტარენმა ერთი კი მისდო ბალიშზედ თავი და ბასუსად ისეთი მედგარი სვრილვა ამოუშვა, ისეთი გემრიელი და ტკბილი სვრინვა, რომ მსაბინძელმა გადასწყვიტა—აქ ექიმის მეცნიერება საჭირო არ არისო, და ყველანი ჩუმად, ფეხ-აკრეფით გავიდნენ ოთახიდან.

IV

ლომის სუნი მომდის!...

დაჭერა ქალაქის საათმა სამი და ტარტარენმაც თვალები ჭყიტა. ძალნ ძილი კი გამოაცხო, ღვთის წინაშე! მთელი დღე ეძინა, მთელი ღამე, მთელი დილა და კარგა ხანი საღილს უკანაც. მაგრამ ისიც გაიხსენეთ, რამდენი წვალება გამოიარა სიბრალომ ამ მგზავრობის დროს!

გაახსენდა თუ არა თვალები, მაშინვე ის მოაგონდა—ლომების ბუდეში ვარო! და—აქ დასამალი რა არის?—მოაგონდა თუ არა, ალყირული ლომები აქვე არიანო, ორ ნაბიჯზედ, აი წინ მიდგანან და

ასლა კი დროა წავიდე და ჩავუსაფრდეო, — თქვა ეშალ, შეაყრიალა გმირთ-გმირი, ისე შეაყრიალა, რომ მუშტის ტოლად მოიკუნტა და თავიან-ტანიანად სახან ქვეშ შეძვრა.

გარედან კი სიტყტესლის სიმსიარულე ისმოდა; მზე ანათებდა და ამშვენებდა ქვეყანას და სახანშიც კი უძვრებოდა — რა დრონ წოლა არეისო? ითქვა — რა კარგი იქნება ასლა ერთი კარგი სუფრა მოვატანიოდ ქვე ლოგინში შეგეძლეო, — ფიქრობდა... ზედან ერთი ბოთლი წითელი ღვინოვო... და ტოტა სანს უკან მსიარულად და ისე ძველებურ, ტარასკონულ სიამეთით გამოეო სახნიდან თავი. იანუარიდან ზღვას გადასცდა, ტოტა სნით გაბარული გმირობა მოიფოვა და შეჭეფირა: მტალეთ, ლომებო, მტალეთ! მერე ბორის გადისროლა თავ-ის სი...ტიგის მოწამე სახანი და ანჭარებით ტანთ ჩაიცვა.

ფიქრი რადა სუფირო იყო? ქალაქიდან ისე უნდა გასულიეო, რომ არავის სტიდნოდა — სად ან რად მიდის; ქვეშიან უდანნოში უნდა გასულიეო, ლამე ჩასაყრებულიეო სადმე და ვინ ლომების ბრალი!... თუ კი მის საფართან გაგლის გაბედვდნენ! ბუჭ! შიგ თავლში! ან გულში! მერე მეორე დილას დაბრუნდებოდა ეკრანის სასტუმროში, სუფრა მოითხოვდა და... ვითომ აქ არაფერია, მურმის დაიწერდა მოკლული ლომის მოსატანად... ჭკი თუ გაგიერდებოდნენ ალეერულები! ჭკი თუ მოულოცავდნენ! ჭეეი! რა ბიჭი ყოფილიო!..

სუფრა გაოცა, იარადი შეისხა, მსწრაფად გასულიკარგი წამოიეიდა და ამოდენა ბარგისაგან გაშეებული, თითქო შამფური ჩაუფლეთვენო, გზას გაუდგა. გზას როგორ ვინმეს ჭკითხვდა — ერთიც ვნახოთ ვამეგონ, სად მიდიეარ, და ქვეყანა შეიყარონო! მარკანიც შეუსვია. ბაბაზუნის უბანში ეკელა დუქნიდან სულ სროგა-სროგა ურიები გამოდიოდნენ და გაშტერებული უყურებდნენ — თითქო ობობებს ქსელი გაუბამთ და ბუზის გაბმას ცდილობენო. მერე თეატრის მოედანი გაიარა, ქალაქს გასცდა და ამტვერებულ შარა-გზას დაადგა — «მუსტაფის გზას».

საკვირველი მოძრაობა იყო იმ დღეს მუსტაფის გზაზედ. ერთმანეთში ირეოდნენ ომნიბუსები, დილიაენები, ურმები, ეტლები, ცხენოსანი ჯარი, და თან მისი ბარგი, ცხვრის ფარა, საკვირველად ბატარა, მი-

კრესკოშიულ ვიერების ჯოგი, ზანგის დედაკაცები, რომლებიც იქვე ქალებსა ჭიდდნენ, ალზასიდან გადმოსახლებულთ ბავშვები და სავოსნელი; ამოდენა სალსს და საქონელს ისეთი მტვერი აეყენებინა, ისეთი ყვირილი, სიმღერა და საყვირის ხმიდი ისმოდა ჭაერში, რომ მეორედ მოსვლა ეგონა ჩვენს მონადირეს. გზის აქედ-იქით ფიტრული დუქნები მოსანდა, მედუქნე ქალები აქეე ქუჩაში იდგნენ, ოაკეს იკარტხნიდნენ და გამკლელ-გამომკლელს შესტვეროდნენ. დუქნები ჯარის-კაცებით იყო სავსე...

— რა ვქნა, რას ამბობდნენ: აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი! — ფიქრობდა გაკვირვებული ტარტარენი: — სეტაკი ერთი თათარი მაინც შენახა სადმე! მარსელში უფრო მეტს ნახავთ, ვიდრე აქა!

გაიხედა და გულმა ძგ-ძგი დაუწყო. დინჯად, თითქო მის ჟურადღების ღირსი აქ არავინ არიო, მიახეჯებდა ერთი უშველებელი აქლემი. კისერი გაეგრძელებინა, ფესები საარაქლემას უგავდა... ტარტარენს ასე ფიქრი ჯერ არა ენახა-რა.

— ბიჭო! აქლემი!? მაშ არც ლომი იქნება შორსაო! — სთქვა ტარტარენმა და, მართლაც, არ გაუვლია სულ სუთ წამს, რომ წინ რამდენიმე მონადირე შესვდა... ლომზედ მონადირენი... მსარზედ თოფები გაეწყოთ. ნადირის ჩასაფრებლად ნაქსოვი ბგეები ეკიდათ...

— ფუ შეგარცხვინათ! ფუ შეგარცხვინათ, თქვე მსაფლეობო, თქვენ! ფიქრობდა ტარტარენი: — არა, ლომზედ მიდისართ და მაგდენი მიდისართ! ჭირე ძაღლებით! როგორ წარმოიდგენდა, რომ ალჟირში თუ არ ლომზედ, სხვა ნადირზედ ანადირად წაიყოლდა კინმე! ეგრე, რომ დაუსაფოდა მონადირეებს, იფიქრა: ეს უთუოდ კაკრები იქნებიანო, შეიტოდა კიდეც — რა არის ეგეიტობაო! ლომზედ მიდიან და თან მეძებრები მიჰყავთ! ანადირო ბარგში ხომ წყვილ კურდღელსაც ვერ ჩასტეგენ, არამც თუ ლომსაო!.. შეეტოდა ეს უკეტი მონადირეები და ჭკითხა:

— რას მოგასსენებდით... როგორ მოინადირეთ?

— არა უშავდა-რა. — მიუგო ერთმა და გაშტერებული დაეტყერდა ტარასკონელ მონადირის უცხაურ იარაღს.

— მოკალით? ჭკითხა ტარტარენმა.

— დაგსოტეთ, დიაღ! ბგასა სედავთ, როგორ გაბერილია! და,

მართლაც, ალყირულ მონადირეს აბგა გატენილი ჭეონდა კურდღლით და ქედნებით.

— გ ეეო!.. აბგაში?.. გინა აბგაში ჩაიდებთ სოლმე?

— მაშ რა ვუყოთ? მიუგო გაკვირვებულმა მონადირემ.

— მაშ სულ... სულ პატარა ყოფილა, სულ პატარა?..

— პატარებიც არის და დიდრონიც,— შეუტია მონადირემ და შინ მიგვიანდებაო, გაჩქარებით გამოუდგა თავის ამხანაგებს.

გმირთ-გმირი ტარტარენი კი გაქვავებულიყო დარჩა შუა გზაში.—ვეეო!..— სთქვა მერე ტოტა სინის თვალს შემდეგ:— ეეჭ, მასხარა იყო, კიდაც იყოო! ცარიელი აბგა ეკიდა და ლომი კი არა, მგონი მწყერიც არსად მოეკლასო. ამით დაიმშვიდა გული და ისევ გზას გაუდგა.

სასლები აქა-იქლა ჩანდა. მგზავრიც ეშვიათად სედებოდა. ბინდდებოდა. ერთი ს

მარცხნიე უზარ-მაზარი მთა მოჩანდა, იქნება მთა-ალპანი იყო, ვინ იცის? ძარღვნიდან ზღვის შხუილი მოისმოდა. ამისთანა ადგილ ჩასასაფრებლად სხვას კერსად იპოვიდა.

ერთი თოფი წინ დადო, მეორე ხელში დაიჭირა, ცალ-მუხლზედ ჩაიჩოქა და ლოდინი დაიწყო. ელოდა ერთი საათი... ორი საათი... ჩუჩუნიც არსაიდან მოჭსმენია... და მოაგონდა! წიგნებში წაეკითხა, ლომზედ მონადირემ თან თიკანი უნდა წაიყვანოს, ბუჩქზედ მიაბას, ფეხზედ ბაწარი წაბას და თითონ შორი-ახლოს ჩასაფრდეს; უნდა გამოსწიოს ბაწარი, თიკანი ბღავილს მოართავს და ამ ბღავილზედ ლომიც დაიკრიესო...

უბედურება მეტი გნებავთ, თიკანი არა ჭყანდა! მაგრამ აქაც არ ეკერთა გმირთა-გმირი, ხმა დაიწკრიალა და ასმგლე თიკანიკით გულსაკლავი ბღავილი მოართო: ბე! ბე! ბე! ეკერ ოდნავ დაიბღავლა, რადგან გულის სიღრმეში რაღაც იგრი უტრიალებდა—ერთიც ენა-ზოთ მართლა გაიგონოს და აქ მომიკარდესო. მერე, რომ დარწმუნდა, არსად არის, არ ეყურებაო, უფრო გაბედეთ შესძახა: ბე! ბე! ლომმა არც ასდა გაიგონა. ბოლოს, მოთმინება დაეკარგა, ბრაზი მოერია და თავისებურად, რაც კი ძალი და ღონე ჭქონდა დაიღრიალა: ბე! ბე! ბე! ოღონდ ტუდი ის იყო, რომ ეს ბღავილი უფრო ხმა-მაღალანთ დიდუერას ეროეინა ჭგავდა; კიდრე თიკნის კეკინს.

უცბად იქვე, სულ რამდენსამე ნაბიჯზედ, რაღაც გაჩნდა, შავი, მთის ტოლა! ტარტარენი გაჩუმდა... სული გაინაბა... ის კი ხან მიწას დასუნავდა, ხან სტოდა, გორავდა, ხან იქით გაჭკრამდა, ხან აქედ... ხან კადეკ გაბერდებოდა... თითქო რაღაასაც ეძებაო... —იგი არ უნდა, ლომია, ლომი! ეგერ იმის ოთხი ფეხი, იმის ძლიერი თავფარი, ორი თვალი, როგორ კრიალებენ ამ სიბნელეში! ანა, ერთი ნიშანში ამოკიღოთ! ფეთხილად! ბუჭ! ბუჭ!.. მორჩა! მერე ერთი ნასტამიოთ უკან დაიწია და ხანგალი იძრო...

ტარტარენის თოფის ხმაზედ რაღაც უცნაური გულდამწეველი ხმა მოისმა.

— მოსკდა! შეჭეკირა გმირთ-გმირმა და გულ-მაგრად ელოდა— დაჭრილი ლომი მომკარდებაო. მაგრამ, ეტუობოდა, ნადირს ეს ტეკიაც მეტი მოსკლოდა, რომ ხაშინელი ხმით ღრიალებდა და ხამ-ფეხა,

რაც კი შეეძლო, გარბოდა. ტარტარენი არც კი შეინძრა, იცოდა, რომ ასლანგე ძუ-ლომი გაჩნდებოდა.... წიგნებში ასე ეწერა და!

სუბედურად ძუ ლომი არ მოდიოდა. ორი-სამი საათი მეტი ელოდა, ან ასლა მოვარდება, ან ასლაო, მაგრამ სულ ამაოდ. ამოდენა ლოდინით დაიღალა, სსვა არა იყოს-რა. ასლა დედამიწაც სუსტიანი შესვლა, ღამე ტივი და ზღვიდან ისეთი ქარი ჭბერავდა, რომ ძვალსა და რბილში უვლიდა.

— მოდი ერთი მივიმინებ სულ ტოტა ხანსაო,—სოქვა უშიშარმა ტარასკონელმა და არ შემცივდესო, ფერდის ქარი არ ამიარდესო, კარავის გაშლა მოინდომა. მაგრამ უბედურება მეტი გნებავთ? ეს კარავი ისეთი საკვირველი ნაკეთები იყო, რომ საწყალმა ტარტარენმა ბევრის-წვალების შემდეგ იმედი გადაწყვიტა—მე ამ კარავს ჩემს დღეში ვერ გავაშლიო.

ერთი მხარე სწია, ან მეორე, სულ ოფლი სდიოდა, მაგრამ ვერ, მაინც ვერ გასხნა!... ზოგმა ქოლგამ იცის, შესაბუნა წვიმა რომ მოგასწრებთ სადმე, სწორედ იქ მოგეშლებათ. სწორედ ასეთ საფანგში გაბა კარავმა ჩვენი მოსადირე. დაღალულმა ტარტარენმა გაბრაზებით გადასტყორცნა მსწრაფელ გასაშლელი და მსწრაფლვე ასაკრეფი კარავი... მერე მიეიდა, ზედ დაწვა, და თან კარგად, სულ ტარასკონულად ილანძღებოდა.

—«ტა, ტა, რა, ტა, ტარატა!...

— რა იყო?! წამოსტა ტარტარენი. ის-იყო ჩაეძინა და უცბად ეს ხმა კი მოესმა.

ქ. ალჟირში, მუსტაფას ყაზარმაში საყვირს უკრავდნენ, გათენდაო. ლომზედ მოსადირე განცვიფრდა, თვალები მოიხრიანა—საზმარში ხომ არა კარო? აკი ქვეშიან უდაბნოში კიეკვიო!... იტიი ასდიო? ერთ ბატარა ბოსტანში გასლდათ, კომბოსტოში ჩაწოდილიყო, ერთ მხარეს თალგაში უმშვენებდა და მეორეს აყვავებული სტაფილო. იმის ასასარეს, ეტყობა, კომბოსტო სტოდნია. აქვე ბოსტნის იქით მშვენიერი, ბაღებით დამშვენებული სასასლეები მოჩანდა, თეთრი კოშკია ასასასლეები... გეგონებოდათ, მარსელის ასლო-მასლო კარ სადმეო.

ამ წუხარმა ორე-მარემ თავის ასლებით და ბაღებით ძალან გაკვირვა საწყალი ტარტარენი და თან ძალიანაც გაბრაზა.

— სულ გიყები ყოფილან ეს სულელებიო,—ფიქრობდა გაკვირებული:—არა, თუ გიყები არ იყვნენ, თუ დასაბმელი გიყები არ იყვნენ, ლომებთან ასე ახლო კომბოსტოს დასთესავდნენო! და აქ რომ ლომი იშვიათი არ უნდა იყოს... სიზმარში ხომ არ ვიყავ—ეეი!.. გეყო... აი ესეც კვალი!

კვალი იქნებოდა, მაგ რა! სასისლის კვალი ჩანდა, წუსელ რომ ნადირი დასცრა და გაქცია, იმისი კვალი. დაიკუსა ტარტარენი - კვალი არ დაკარგოო, სასისლის წვეთებს დაეშტერდა, თვალები დაეჭიტა, ერთ სელში თოფი დაიჭირა, მეორეში ჩასმას-მოზიდული რეგოლვერი და კვალს გაჰყვა. კომბოსტოდან კომბოსტოზედ გადავიდა, სტაფილოდან თალგამზედ, იბობდა იბობდა და ქერის ყანას კი მიადგა. იქ გათელილი ჯეჯილი ნახა, ტბასაკით დამდგარი სასისლი და ამ სასისლის მორეკილი გვერდზედ წამოწოლილი, ტყვიით თავ-გასკრეტილი ერთი... რა? ბბა გამოიცანით!

— დიდი გამოცანაა კი უნდა! ლომია! ბრძანეთ.

ლომი კი არა! ვირი! ერთი სულ ბატარა, სწორედ ალყირული ბატარა ვირი.

VI

ძუ ლომის მოსვლა. საშინელი ბრძოლა. ძმა-ბიჭების სამოთხე.

ოაკის უბადრუკი მსხვერპლი რომ დაინახა, ტარტარენს ჯერ რაღაც ზიზღით აეკსო გული. მართლაც-და, სად ლომი და სად ვირი! მაგრამ ზიზღმა მაშინვე სხვა გრძნობას დაუთმო ადგილი: შეეტოდა საწყალი ვირი, მერე ისეთი ლამაზი ვირი იყო, ისეთი მშვიდი, წესარი შესდგომია ჭმონდა! ჯერ ისევ ფეთქავდა—ისევ თბილი იყო. ჩაიხოქა ტარტარენმა, გასინჯა სულთ-მობრძავი და, რაც კი იცოდა რამე, ყველა საშველები იხმარა, იქნება კუშველო როგორმეო. გამოჩენილი გმირი-გმირი, სასელოვანი ტარტარენ ტარასკონელი და მომაკვდავ ვირს უყვიდეს! ამაზედ უკეთესს და გულის ამჩქროლებელს სურათს განა ნახავთ რასმეს?!

თითქო შებრალება იგრძნოდა, მოსაკვდავმა თვალები გაახა-ლა, ორკელ-სამჯერ შეანძრია თავის დიდი ყურები —მადლობელი გ ა-სლავარო, მერე ერთსელ შეაყრაოლა და თვესები თეშიკა.

—ყურშა! ყურშა! მოესმა ამ დროს სეკდიანი, ტრემლიანი ხმა. იმავე დროს იქვე ბუჩქებში ტოტებმა შრიალი მოართეს. ტარტარეს-მა ძლიგს მოასწრო თვესზედ წამოდგარიყო და გამზადებულიყო... ძუ ლომი მოდიოდა!

საშინელი ეკირალით და ბრაზ-მორეული მოდიოდა მტერი, სულ ტოფი სდიოდა... ეს გასლდათ ერთი ბებერი წითელი ქოლ-გით შეიარადებული, ალზასიდან გადმოსასლებული დედაკაცი. მოდიო-და და სულ—ყურშა! ყურშაო! გაიძასოდა.

ეეჰ, ის ემკობინებოდა ტარტარენისათვის, რომ მართლა გაათორებულ ძუ ლომს შესვედროდა და ამ ბებრუტუნას კი არ ჩა-კარდნოდა ბრეტყელებში. მაგრამ ბედის-წერას რას უზამთ?.. ბარემ ტდიოლობდა, აესსა ოროგორმე საქმე უტაბედად მოსდა, ეე ხომ არ მინდოდა, შენი კირი მე ლომი მეგონაო... ბებერი უფრო გაბრაზ-და: რაო, ჩემი ყურშა შენ ლომად გეჩვენაო? კიდეც დამტინი, ეე... მიკარდა საწყალ ტარტარენს და ერთი თუ ორი! ერთი თუ ორი! ქოლგით! შიგ თავში! შერტსვენილი გმირთ-გმირი მტრის იარაღს თავის თოფით იკეჩებდა, მაგრამ მძლავრი მტერი შესვდა და თოფი ფარობას ვერ უწევდა. ოფლი სდიოდა საწყალს, ძლავსდა ქშინავდა, სან აქედ გაუსტებოდა, სან იქით და უეკირდა:

— მოიომინეთ, ქალბატონო!.. ქალბატონო, მომისმინეთ!..

ქალბატონი, ეტყობა, ერუ ენდა ყოფილიყო, რომ ისე გამე-ტებით სტემდა შიგ თავ-ბირში.

შეურცხლოფილის გმირის სახედნიერად ბრძოლის ველზედ ერთი ბირიც მოეპატა—გაათორებულ დედაკაცის ქმარი. თითონაც ალზასელი იყო, აქვე დუქანი ჰქონდა და ანგარიშში ძალიან გაკარგვი-შებული კაცი იყო. დაინახა თუ არა თავის ყურშას მკვლელი, მა-შინვე მისკდა—რა კაცთანა ჰქონდა საქმე, მისკდა —ოღონდ კი მოგერიგ-დეთ და მადლობასაც გეტყვისო, თავის მეუღლეს მიკარდა, იარაღი წაართვა და იქვე მორიგდნენ.

რკა თუმანი ამოუაკლა ტარტარენმა; კიარი კი ერთ თუმნადაც არა ლირდა. სადაც გნებავთ იკითხეთ, ალჟირში ერთ თუმნად კიარს ყველგან იყიდით. მერე საწყალი ეურშა ერთ ლეღეის ძიაში დაფლეს და ალზასელმა—ჯიბეში ბეჭედრიალა ოქროები ეწყო, გულში სიხარული, მეტი რა უნდოდა?—ჩვენი გმირი თავისას მიიპატიჟა: წამობრძანდით, ბატონო, ჩემ ჯერ ქალს ჰკრა გატესეთ, დუქანიც აქვე ასლო გასლავთ, სულ რამდენიმე ნაბიჯია აქედანაო.

— კვირა დღე ისე როგორ გაიგლის, რომ ალჟირელი მონადირენი არ მეწვევინონ,—ამბობდა ალზასელი,—ასლო-მასლოში ნადი რი ბევრი გასლავთ და მეტადრე კურდღელიო.

— ლომები? ჰკითხა ტარტარენმა.

ალზასელმა თვალები დააჭყიტა: —ლომებიო?

— დიღ... ლომები... აქედ ლომები კი არ იცის? ჰკითხა სანბრალო ტარასკონელმა და თან ცოტა არ იყოს ეშინია შეეპარა— ვიყი კი არ ვეგონოგო.

მედუქნეს სიცილი წასკდა.

— აი... დალა... ღმერთმა დაგვიფაროს!... ლომები?... რად გვინდა ლომები?...

— მაშ ლომები აღარსად არიან?

— რა კიცი, მე კი ჩემ ღღეში არსად მინახავს-და! ეს ოცი წელიწადია აქა ვარ... გამიგონია კი, ღვთის წინაშე... თუ არ ვიცი ვაზეთებში... ეგ, ბატონო, შორს არის, ძალიან შორს, აიქ აი... ძვეგეთ.

ამ დროს დუქანთანაც მიეიდნენ. ქალაქის განაპირა უბნის დუქანი იყო; შესავალ კარებზედ დამწკარი ტოტი ეკიდა ზედ შემსმარი ოთოდენეთი, კარებზედ და კედლებზედ ბილიარდის ჯოხები და ბაშლები ესხა; იქვე ერთ ფიცარზედ ზედ-წარწერა იყო:

„ძმა-ბიჭების სამოთხე“.

«ძმა-ბიჭები» ტარტარენმა «ძალან-ბიჭებად» წაიკითხა და გულმა კვნესა დაუწყო; ძალან-ბიჭებიო! მოაგონდა კაპიტანი ბრაკიდა, ტარასკონი, თავისი კოჭწია სასლი...

ო, ბრაკიდა! რომ იცოდე, რა დღეშია შენი ტარტარენი, რომ იცოდე...

VII.

ისტორია ერთის დილიჟნისა, მავრის ქალისა და გიშრის კრიალოსნისა.

ბერეული მარტსიით შეშინებული სხვა უიმისო თავს დასნებებდა ლომებსაც და ნადირობასაც; მაგრამ ტარტარენი სულ სხვა სასიათის კაცი იყო... ფოლადი იყო, ფოლადი და თავის მიზანს ასე მალე არ უმტუვანებდა.—ლომები ქვემოდ ვრის!—ითქვრა შეუშინებელმა ტარასკონელმა:—ძალიან კარგი, მეც ქვემოდ წავალ.

და ჯერ უგანსაკუთრესი ლუკმა არ ჩაეყლაპა, რომ წამოდგა; მასპინძელს მადლობა გადუხადა, შერიგების ნიშნად ორივე ლოყაზედ აკოცა თავის გამლასველ ბებერ დედაკაცს, ყურშა გაისესენა და ერთი ობოლი ტრემლიც კი შეაწია. მერე გზას დაადგა.

თავისებურად, ჩქარი ნაბიჯით წავიდა ქ. ალყირისკენ; გადაწყვეტილი ჰქონდა—მიეალ თუ არა, ბარგს შეეგრავ და ლომების სანძებნელად წავალო.

უბედურ კაცს ქვა ადმარეში დაეწეკაო, სწორედ იმას მოუვიდა: წუსანდელს აქედ მუსტაფას შარა გზა თითქო უფრო გაგრძელებულიყო, მზეც ხომ სულ სწავადა იქაურობას. ანლა მსწრაფულ გასაშლელი კარაგი! დმერთო, რამსიმძიმე იყო! ტარტარენმა ფესვით სიარული ვეღარც კი გაბედა და დაინახა თუ არა ქალაქისკენ მიმავალი დილიაანი, შესჩერა და თავის იარაღით და კარავით შიგ გამოიჭიმა.

ეეჰ, საბრალო ტარტარენ ტარასკონელი! რა კარგი იქნებოდა იმისთვისაც, იმის სასელისთვისაც, იმის დიდებისთვისაც, რომ ამ სადღეგებელში არ ჩამედარიყო და თავისებურად გულ დამშვიდებული ფესვით მისულიყო ქალაქამდე. შეიძლება ფესვით რომ ეარნა, ან მტვერს დაერჩო სადმე, ან იარაღის და კარავის სიმძიმეს წაეტია, მაგრამ სასელოვანი სასელოვნად მაინც გაათავებდა თავის სიცოცხლეს; ანლა კი...

გამოიჭიმა ტარტარენი და დილიაანში მეტი ადგილიც ადარ იყო; კუნჭულში ერთი მღვდელი იდგა, ალყირელი მღვდელი; ცხვი-

რი თავის ლოტვანში წაეფო და სსვას ადარას სედაგდა; ამის პირდა-პირ ემაწვილი მაგრი იჯდა, კაჭარი; წამდაუწ�მგლავის სისქე პაპიროსის ასგეგდა და აბოლებდა. მერე ისსდნენ ერთი მალტელი ზღვოსანი და ოთხი თ-ე სუთი მაგრის ქალი, ჩადრებში გასვეულიყვნენ, პირ-ბადეები დაეფარებინათ, თვალების მეტი ადარა უჩანდათ-რა, აბდელ-კადერის სასაუღალოზედ ელოტნათ და ასლა შინ მიბრანდებოდნენ. სასაუღალოზედ ყოფნა და წუსილი სრულიადაც არ ეტყობოდათ; გულიანად იცინოდნენ, ერთმანეთში მსიარულად ლაპარაკობდნენ და თვალუსტაკს აკნატუნებდნენ.

იმოდენა გზა ს

ულ ტარტარენს უყურებდნენ, მეტადრე ერთი, რომელიც პირდაპირ უყდა, მართლა და ძალიან გაშტერებით სინჯავდა ჩვენს მოგზაურს. შაგ თვალებში ჩასტქროდა და მთელი გზა თვა-ლი ადარ მოუშორებია. თუმცა პირ-ბადე ეფარა, მაგრამ მისი შავი თვალი რადაც აქამდე უტნობ ნეტარებას უქადდა ჩვენს ტარტარენს; ნაზი, ლამაზად მოუგანილი ოქროს სამაჯურებით შემკული მკლა-ვი სშირად, ჯითოთ და უნებურად, გამოჩნდებოდა ხოლმე ჩადრიდგან და ტარასკონელის ყურადღებას იზიდავდა. ნარნარი ხმა, სიეშაწვი-ლით და სიხარულით სავსე მოძრაობა, თითქმის ბავშვური ტქრიალ-ლა ტანი ამტკიცებდნენ, რომ ჩადრში დამალული რაღაც მშვენიე-რი ნორჩი და ჯერედ უსილავი ვარდი უნდა ეოფილიყო. უბედურმა ტარტარენმა ადარ იცოდა, სად გაჰქცეოდა ამ შავ თვალებს. თვა-ლით ელაპარაკებოდა მაგრის ქალი, თვალით ეალერსებოდა, თვალით უქადდა სამოთხის ნეტარებას და უკვდავებას; აერეოლებდნენ ეს თვა-ლები, ამღელვარებდნენ... სწვავდნენ და თან ჭკლავდნენ... სას ტეტნლ-ში იწოდა საწყალი, სას სიტიკისაგან კანკალებდა.

თვალებს ქოშიც მიეშველა! სასადირო ტლანქ წაღებზედ რა-ღაც ნაზი შესება იგრძნო, თითქო რაღაცამ უღიტინაო, ითქო ფეე-ხზედ წითელმა თაგვმა გადურბინაო. რა ექნა? პაპუსი როგორ გა-ეცა ამ გულ-წარმტაც თვალებისთვის? ამ პატარა ფეხისთვის? დიდ-უნდოდა... მაგრამ იცით რა შედეგი მოსდეგს ამ გვარ გაარშიყებას?.. ნუ დიეიწყებთ, ეს ამბავი ალმოსავლეთში იყო... ო, საშინელი, შემა-ძრწუნებელი შედეგი მოსდეგს!..

ტარასკონელმა მოხვენებამ და ოცნებამ სულის შემსუთი სურათი დაუსატა სიწყალ ტარტარეს: დაესვიენენ ხოჯები, აწვალეს, აწამეს, თავი გაუგდებინეს... უფრო უარესი! ტყვეის ტომარაში გამოჭყრეს, ზედ თავისიეგე თავი მიაბეს და ზღვის უფსკრულში ჩაუძახეს. კიდეგ კარგი, რომ ტიგმა წყალმა ტოტა მოასულიერა, გონება გაუგრილა გამოაფხიზლა... ბატარა ფესი კი თავისას არ იშლიდა, შავი თვალები ისევ ისე სიყვარულს ემუდარებოდნენ, და ვითომ და უცაბედად გამოხსენილი ლამაზი ტუჩები—თითქო მაისის კარდის გაუშლელი კოკორი იყოსო—ხუმად ხასმასოდნენ შიგ გულში:

— მომწყვიტე რაღა!..

დილიანი თეატრის მოედანზედ გაჩერდა, ბაბაზუნის ქუჩის შესაკვალში; რიგ-რიგით ჩავიდნენ მაგრის ქალები, თან ისე ლამაზად მოსდენილად აკაკებდნენ ხადრის კალთებს, რომ ტარტარეს თვალები ზედ დარჩა. უკანასკნელად მისი გულის მკვლელი წამოდგა და წამოდგომაში ისე დაისარა, ისე ახლო გაკვლო გმირის სახეს თავის ლამაზი თვალები და კოკორი ტუჩები, რომ უამისოდაც გატეხილს და გასურებულს ტარასკონელს ისეთი ტიკრი სუნნელება მოჭვეინა—იის და სიყმაწვილისა, მაისის კარდის და ფალუსტაკის სუნნელება, —რომ წავიდა და გმირის გულიც თან წაიღო.

კელარ შეიკავა თავი გმირთ-გმირმა. სიყვარულმა გული მოსტაცა, მის ადი თავში ეცა და—რაც იქნება, იქნებაო—უკან გამოეკიდა თავის მომსიბლავს. მის იარაღის ხსარუნზედ ქალმა უკან მოიხედა, ტუჩებზედ თითი მიიდო, ხუმადო! და მეორე სელით უცბად ერთი ბატარა გიშრის კრიალოსანი გადმოუგდო. წაიკუნა ტარტარესი ამ სასუქრის ასაღებად, წაიხოქა, მაგრამ ჯერ თითონაც ძასძასს ბიჭი იყო, ასლა ორკეტი კუსთები, ასლა იმოდენა იარაღის და კარგის სიმძიმე და წამოდგომა ძლიკ-ძლიკობით-ღა მოასერხა. წამოდგა დიდის ხნის წვალების შემდეგ და მაგრის ქალი კი ადარსად ჩანდა; გამქრალიყო, თითქო დედამიწამ ჩაყლაპოო...

ცხარედ ხაიკრა გულში კრიალოსანი, ეს ერთად ერთი ნუგეში ასე მსწრაფულ გამქრალ სიყვარულისა და თავის სასტუმროსკენ გასწია.

VIII

დაიძინეთ, ატლასურო ლომებო!

დაიძინეთ, ატლასურო ლომებო! მშვიდად, გულ-დინჯად დაიძინეთ თქვენს უდაბნოში, ადოეს და მინდვრის კაკტუსში. ჯერ კიდევ ბევრი დღე გაიელის, ვიდრე ტარტარენ ტარასკონელი თქვენ ამოსაყლეტად მოიტლის! ჯერ თქვენთვის არა სცალიან! ამ ყამად მთელი მისი იარაღი, სავგზაო ათთიათქი, კარავი, მატარაში, და სხვა ბარგი სულ-უსლებლად ყრია, ჯერ ისევ გაუსსელია ეგროპის სასტუმროს მე-36 ნომერში.

მაშ დაიძინეთ, ლომებო! ჯერ ნუ გეშინიათ! ტარტარენ ტარასკონელი თავის გულ-წარმტაცს დაეძებს.

დილიაესით მგზავრობის შემდეგ საბრალოს სულ რაღაცა ელანდება: თვალწინ შავი თვალები უდგას, ფესი როგორღაც საამურად ჭქავა, თითქო მის ტლანქ ფესზედ ბატარა წითელი თავები დატოტავს და უღიტინებსო; სიო დაჭვრავს, და საწყალს სულ თავის გულის მკვლელის სუნთქვა ელანდება, სუსნელოვანი სუნთქვა აის და ფალუსტავისა. ტარტარენი თავის მოგრაბისას დაეძებს!

მგზავრ მავრის ქალის ბოვნა ადვილი საქმე კი ნუ გგონიათ! ქალაქში ასი ათასი სული მცხოვრები მეტია, მოდით თქვენს და ამოდენა სალში ერთი ქალი იპოვეთ, რომლისაც მარტო სუნთქვა გასსოვთ და მსოლოდ ქოშები და შავი თვალები დაგინახავთ! მარტო ტარასკონელს შეუძლიან—და ისიც სიყვარულით დამწვარ-დადაგულს—ამისთანა შეუძლებელ საქმეს შეუდგეს.

ცუდი ის არის, რომ ი დასაქტეკი მავრის ქალები თავიანთ თეთრი ჩადრებით სულ ერთი-ერთმანეთისა ჭვავანან; ამასთან სულ შინა ბრძანდებიან, ფესს არ მოიტვლიან, რაც უნდა საქმე ჭქონდეთ, და კისაც იმათი ნახვა უნდა, ზეთ უბანში უნდა ავიდეს, არაბების უბანში, თათრების უბანში, ტარასკონელებისა არ იყოს.

ჯოჯოხეთია სწორედ ეს ზეთ უბანი! კიწრო დაღრეტილი და ჩამობნელებული ქუჩები, რაღაც უცნაური ზედ-ზედ მიკრული შენობები, ბტეული ბანები, დაბალი კარები, ერთი ბეწვა ფანჯრები!

მიჩუმებული, დაღონებული უბანია. გეგონებათ სასაფლაოზედა ვარ სადმეო. აქედ-იქით ქოს-მასი დუქნებია და შიგ თათრები! დარბაისლურად მოუკეცნიათ, სსედან ბნელაში და ყალიონს ეწევიან; თავიანთ ტოლების ჩადრები სულ თავზედ შემოუსვამიათ—არსად გაგვეპარონო, და დინჯად მესაიფობენ: ამ გიჟურებს ბოლო როგორ მოგუღოთო?

რომ მოგასსენოთ—ამ საშინელ უბანში ტარტარენი შეუშინებლიგ დაჯიოდა-მეთქი, სიცრუე მომიგია. შეუშინებლიგ კი არა, ძალიანაც ეშინოდა, მეტადრე კიწრო ქუჩებში, სადაც ჩვენი ჩასუქებული გმირი ორიგე კედლებს ესასუნებოდა და ძლიგს გაიკლიდა ხოლმე; აბა რას იზამდა აქ რომ მტერი შესვედროდა—სელს კი ვერ გასძრეგდა-და! მაგრამ მაინც ოიგიასა არ იშლიდა: წარმოუდგენელის სიფერთხილით მიდი-მოდიოდა ამ ურჯულოთა სოფოში, წინ თავის ღიმს გაიშვერდა, თვალებს აბრიალებდა, რეკოლვერის ჩასმასი მოზიდული ეტყობა... სწორედ ისე როგორც ტარასკონში იტოდა, კლუბში რომ მიდიოდა სოდმე. სულ იმას ფიქრობდა—არიქა უკანიდან მომიარეს!.. სოჯები და იანიჩარები მომდევენო! მაგრამ ოდონდ თავის შეეთვალა ესასა როგორმე, ოდონდ ერთსელ კიდეგ ჭღეარსებოდა მის ქოშის დასასგა და ასჯერ მეტს გასსატდელსაც არ შეუშინდებოდა. თავადაც რა იყო, და ამ ქალაქ ნასგის სურვილმა სომ მდეგური გაიბედვიობა და ძალა შესძინა.

ერთმა კგირამ ისე გაიარა, რომ უშიშარმა ტარტარენმა ზემო უბნიდან ფესი არ მოიტეგალა. სან მაგრების აბანოსთან დადგებოდა და კარებს შეჭყურებდა—ი აბანოდგან ქალები გამოვლენ და იქნება ვიცნო როგორმე ჩემი მეგელელიო; სან მეჩეთის შესავალთან წამოეგდებოდა და წაღების სდას დაიწყებდა; იარაღი უშლიდა, ფეესსაცმელამდე სელებს ძლიგს ატანდა, იტანჯებოდა, სვეოქში იწურებოდა, ორთქლმავალივით ქშინავდა; მერე გაიხდიდა როგორც იყო წაღებს და თათრების სალოტავში შეეიდოდა.

სანდასან საღამოზედ, ბინდისას, როცა გულ-ჩათუთქული ნაღელიანად მიდიოდა ქუჩაში და ნანობდა—დღესაც არაფერი, არც აბანოში, არც მეჩეთშიო, უცბად თათრის სასლიდან სიმღერა მოესმო-

და, ერთგვარი, კენესით და ცრემლით სავსე სიმღერა; ჩონგური-დიმ-ბლიბიტო და თან ქალების მსიარული კასკასი.

გული აუტოკდებოდა ტარტარენს, იქვე გაჩერდებოდა... —იქნება აქ იყვესო? ფიქრობდა.

და თუ ქუჩაში არავინ იყო, ფესის ფსინდებზედ შედგებოდა, ჩუმად, სულ-განაბული მიუასლოკდებოდა კარებს და მღელვარებისაგან აკანკალებული სელით ერთს დააკაკუნებდა... ჩუმად, თითონაც ოდნავ ესმოდა. სიმღერა მაშინვე შესწყდებოდა, სიცილი ჯდარ ისმოდა. სასლიდან ჩურჩული-და გამოდიოდა.

— გავმაგრდეთ! ფიქრობდა გმირი, ანა განსაცდელი ესლა მოშელის აი!

და მართლაც განსაცდელი არ ასცდებოდა სოლმე: ზემოდან ერთ ტაშტ წყალს გადმოასასიმდნენ ჩვენ განსაცდელის მძებნელ გმირს, ან ფორთოსალის და ლეღვის ნაფცქვენებს გადმოაყრიდნენ ზედ თავზედ... ამაზედ მეტი განსაცდელი არასად უნასავს.

დაიმისეთ, ატლასურო ლომებო!

IX

თავადი გრიგოლ შავ-მთიელი.

ორი კვირა მეტი იყო, რაც უბედური ტარტარენი თავის სატრფოს დაეებდა და მგონი აქამდეც იმის ძებნაში ყოფილიყო, რომ შეეკერებულთა მფარველ ანგელოზს არ შეჭბრალებოდა და საშველად ერთი შავ-მთიელი თავადი არ მოეკლინა.

ზამთარში, ყოველ შაბათ ღამეს ალყირის თეატრში ბალი იმართება, სწორედ ისე, როგორც ჰარიზის ოპერაში იცვან. ცოტა რამ სალსი მოგროვდება დარბაზში, მოკლენ ქალები, მეტადრე ის ქალები, რომელნიც ჯარს უკანა სდეკენ. ამათ მოჭყვებიან გასუნებული ფრანტები, გაკოტრებული მილიონერები, ბუთი-ეაკესი სარეტსის მრეცსაი გოგონა, რომელნიც აქედგან იწყებენ ასალ ცხოვრებას და წარსულ, დაკარგულ პატიოსნებისა ხმელი ბური და ნიკრიანი ძესეის მეტი არა აგონდებათ-რა... მაგრამ ნამდვილი სურათი ამ ბალისა დარბაზ-

ში არ გასლავთ. ნამდვილი სურათი ფუიეში უნდა ნახოთ. შაბათ ღამეს ეს ოთახი ბანქოს სათამაშო ოთახად ხდება. აქ მწვანე სტოლების გარშემო ზღვის ტალღასავით იძვრის აღელვებული ხალხი. ჯარის-კაცი გნებავთ, აქა ნახავთ—ნასესხი შაი ფული კიდევ შერჩესიათ და თამაშობენ! ზემო უბნელი სოფლადგრები, ზანგები, ძალტელები, სოფელიდანაც კი ჩამოდიან—რამდენიმე სათის სავალს არ ერიდებიან, ოღონდ ბანქს დაესწრონენ, ესე იგი ჩერგის ტუზზედ ბედი სცადონ და ერთი კარგი გუთანი წაგონ, ან ერთი უღელი ხარი... ვეველას ყრეოლა უკვლის ტანში, ვველა გაუვითლებულა, ზირი მოუგუმავს, არეული თვალები ანთებია და დაშტერებით დასცქერის ერთს ქალალდს, რომელმაც მისი ბედის წერა უნდა გადასწყვიტოს.

ტოტა იქით ალაერელი ურიები გასლავან. დედა-ბუდიანად აქ არიან, დიდით ბატარამდე. კაცებს ალმოსავლეთის ტანისამოსი ღურჯი წინდებით და სვეერდის ქუდებით აუკრელებიათ. ჩასქელებული, ჩაფეთლებული ქალები ტიკინებიით მორთულან და რაც კი ძვირფასი ჭონიათ რამე, სულ ზედ ჩამოუცვამთ. ესენიც სტოლებს შემოსხდომიან, ერთი ყიფილ-სიფილი გაქვთ, მოსაგებს თითებზედა სთვლიან, თამაშობით კი ფრთხილად თამაშობენ. ხანდასან, მხოლოდ დიდის რჩეისა ან ბეჭობის შემდეგ გაბედავს სოლმე მოხუცებული, ბარაბამის წვერიი შემკული ოჯახის წარმომადგენელი მიუახლოვდეს მოთამაშეთ და ერთ გასვრეტილ ბანზზედ სცადოს თავისი ბედი. უნდა ნახოთ მაშინ რა ყოფაშია მთელი ებრაელთა ერი! სულ გარს ესვევიან სათამაშო სტოლს, თრთიან, თვალები ფულზედ რჩებათ და თითქო იკვლებში ანდამატური მიმზიდველობა ჭქონდეთ, იმდენს უყურებენ ფულს, იმდენს, რომ ანატოკებენ და ნელ-ნელა თავიანთკენ მოიზიდავენ.

ატუდება ერთი ჩხუბი, ყალ-მაყალი, ვველა ქვეყნის ლანძღვა-გინება, ყვირილი, ბებუთი და დანა, ფულის ჭურდობა, ჰოლიცია...

სწორედ ამგვარ ბანქს დაესწრო ერთ შაბათ ღამეს ჩვენი გმირი, იქნება გაგერიოთ, გულის სეკდა გაიქარგო, თავი დაივიწყო და სულის სიმშვიდე მოიპოვო როგორმეო...

მარტოდ-მარტო ანს აქედ გაიკლიდა საბრალო გმირი, ანნ

იქით, თან თავის სატრიუმზედ ფიქრობდა, უცბად რაღაც ყვირილი შემოესმა: იქვე სათამაშო სტოლზედ კიღეცანი ჩხუბობდნენ.

— გეუბნებით, თუმანი მაკლია-მეთქი!

— ბატონო ჩემო!..

— თუმანი მაკლია, ბატონო, თუმანი!..

— ჯერ გაიგეთ, კის ელაპარაკებით, ბატონო და...

— თუ მაგით ფულს შემისრულებთ... ვნახოთ ერთი კინა ბრძანდებით?!.

— მე გასლავართ თავადი გრიგოლ შავ-მთიელი, ბატონო!..

გაიგონა ეს სახელი ტარტარენმა და ელდა ეცა. მის ნაცნობ თავადს ქურდობას აბრალებდნენ! ერთი მიაწვა, სალსი გაჰპო და მოჩხუბართ გეერდთ ამოუდგა. თვალები დაებრიალა, სანგალზედ ხელი დაიდო და სიასრულით შესტქერდა თავის შავ-მთიელ თავადს. ძღიეს არ იპოვა თავისი თანამოგზაური, გემზედ გაცნობილი, ზრდილობით და ბატიოსნებით აღსავსე თავადი გრიგოლ შავ-მთიელი!

საუბედუროდ, ამ დიდებულმა და ბრწყინვალე სახელმა ჩვენი გულ-უბრყვილო ტარასკონელი თუ გაკვირვა, თორემ იქ მეოცეთ ყურადღებაც არ მიაქცეს, მეტადრე იმ ალეიტერმა, რომელიც შავ-მთიელ თავადს კრთ თუმანს ედავებოდა.

— მე თუმანი მაკლია და თქვენ თუნდა შავ-მთიელი თავადი იყავით, თუნდა თეთრ-მთიელი,—შეჰყვირა ალეიტერმა. მერე სალსს მიუბრუნდა და ჰკითხა: — თავადი გრიგოლ შავ-მთიელი... გაგიგონიათ სადმე? იცნობთ კინმე? არავინ! მე კი არ კიცი!

ტარტარენს ყელში მოებჯინა სიასლი, ერთი ნაბიჯი წინ წასდგა და შესძახა:

— უკაცრავად, მე კიცნობ მის ბრწყინვალებას! ისე გულმაგრად სთქვა, ისეთი რიხით, რომ სულ სმა გაუკმინდა იქაურობას.

ალეიტერმა გადმოსედა, თავით ფესამდე ათვალიერ-ჩათვალიერა და უთხრა:

— ძაღიან კარგი... ეგ ერთი თუმანი თქვენ გაიყავით!.. მორჩა და მოისვენა!

მერე ზურგი შეაქცია და სალსში შეერია.

თითქო კარგი ალიეფური სიტყვა გაჭეროს ჩვენს ტარტარენს, ერთი ისეთი და უკან გამოეკიდა იმ თავზედ სელ-ალებულს. მაგრამ შავ-მთიელი თავადი წამოეწია, კალთაში სელი სტაცა და შეაყენა.

— თავი დასხებეთ... მე ვიცი და მაგანა!

მერე მკლავში სელი გაუყარა და სახჭარად გარედ გაიყვანა.

რაკი მოედანზედ გავიდნენ, ქუდი მოიხადა შავ-მთიელმა თავადმა, სელი ჩამოართვა ჩვენს გმირთა-გმირს, მისი სასელი გაისსენა და მთრთოლვარე ხმით უთხრა:

— ბატონო ბარბარენ...

— ტარტარენ! გაუსწორა მოწიწებით ტარასკონელმა.

— სულ ერთია ტარტარენ, ბარბარენ!. მაშ ბატონო ტარტარენ, დღეის შემდეგ მე და თქვენ ჭირში და ლხინში განუყრელნი უნდა ვიყვნეთ!

და ბრწყინვალე თავადმა ისეთის ძალით ჩამოართვა სელი, რომ ამ ბატივისცემით გაბედნიერებული ტარტარენი ცას დაეწია.

— თქვენო ბრწყინვალებავ!.. თქვენო ბრწყინვალებავ!.. ლუღლუღებდა ამის ბასუსად გულ-ხჩვილი მოსადირე და სხვა ვერარა ეთქვა-რა.

ნახევარ საათის შემდეგ ორივენი «ჭანდრის რესტორანში» ბრძანდებოდნენ: სუფრას შემოსხდომოდნენ, ზღვას გადასცქეროდნენ, ჭანდრის ფოთლების შრიალით სტკბებოდნენ და თან კარგ ვახშამს შეექცეოდნენ. რუსულად შეზავებული სალათა, ზედ წითელი ღვინო... ძველი ნატნრობები დამეგობრდნენ.

სხვას ვერ წარმოიდგენთ ამისთანა ძმისთანა ადამიანის შეყრას, როგორიც თავადი გრიგოლ შავ-მთიელი იყო: მაღალი, წვრილი, კოხტად მოკვანილი! ძალად დასუჭუჭებული თმები, გაპარსული წვერ-ულვაში, ეშმაკობით სავსე თვალები, და მოსდენილი მისვრა-მოსვრა ჭქონდა. გამოთქმა ტოტა არ იყო იტალიელისა მიუგავდა, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მშვენიერად ლაპარაკობდა ფრანგულს, იტალიურს, ისპანიურს, პორტუგალიურს, რომანულს; ლათინურიც კი იცოდა და სულ ტაციტის და ჭორაცის ციტატებით ამტკიცებდა თავის ნათქვამს.

მეფის გვარისა თურმე იყო, მაგრამ ძმებს გაედევნათ. სამშო-

ბლოდან, როდესაც ჯერ ათის წლისაც არ ყოფილიყო, რადგან მაშინვე ძალიან თურმე მისდეკდა თავის-უფალ აზრებს. მას შემდეგ დადის და დადის, დღეს აქ არის, ხვალ იქ; თან სწავლობს, თან დროს ატარებს, როგორც შეეფერება უტასტო მეფე-ფილოსოფოსს. მიელი სამი წელიწადი კიყავ ტარასკონშიო, ბრძანებდა მისი ბრწყინვალება, და ტარტარენმა რომ გაიგიერვა, როგორ მოსდა რომ ან კლუბში არსად გნახეთ ან ქუდზედ ნადირობის დროსაო, თავადმა უპასუხა—საჭირო იყო... ვიმალებოდიო. ტარტარენი მიხვდა—აქ პოლიტიკური ბიზეზი უნდა იყოსო, და ზრდილობამ ნება არ მისცა კიდევ კეთილა რამე... დიდ «ჯანყეთა და ბურუსით არის მოცული» სიცოცხლე დიდებულთა ამ ქვეყანისათა.

ერთობ ძალიან კარგი ბიჭი იყო, თავადი გრიგოლ, სულში ჩაიკერესდით, რომ გენასათ. ნელ-ნელა შეეჩვეოდა ლვინოს და გულმოდგინედ ისმენდა უბედური ტარტარენის უბედური სიყვარულის ამბავს. თავით ბოლომდე მოისმინა, შეიბრალა ჩვენი გმირი, შეიცოდა და—შეჰფიცა:

— მაშ მე თავადი გრიგოლ შავ-მთიელი არა ვყოფილვარ, თუ შენი სატრფო არ გიშოვოო!..

დიდი სანი სვეს... დაცლაზედ იყო. ალყირელი ქალების სადღეგრძელო დალიეს, განთავისუფლებული შავ-მთის სადღეგრძელო და კიდევ ბევრი სხვა...

გარედ კი ზღვა გრიალებდა, ტალღები გაბრაზებით სცემდნენ და სცემდნენ მარმარილოს კიდეებს. ჰაერში დილის გრილი სიო ჰბერავდა; ვარსკვლავები ნელ-ნელა ჰქრებოდნენ. ჭანდრის ტოტებში ბულბული გალობდა...

დანასარჯი ტარტარენმა გადიხადა.

მითხარ—მამა-შენს რა ჰქვიან, და ამ ყვავილის სახელს გეტყვი.

კაკანს კინ წამოაფრენს-და—შავ-მთიელი თავადიო! ჭოდა, მეორე დილას, ჭანდრის რესტორანში რომ სვეს, ჯერ ტარტარენს

ისევ ტკბილად ეძინა და სიზმარში თავის სატრფოს ეალერსებოდა, რომ თავადი გრიგოლ შავ-მთიელი შეეიდა მის ოთახში.

— ადექით! ჩქარა! ჩქარა! ჩაიცვით! მავრის ქალი ვიპოვე! ბაია ჭქვიან! ოცი წლისაა, ლამაზი, ლამაზი, რომ... მარწყვია, მარწყვი! ამასთან ქვრივი...

— ქვრივიო! აბა ბედი ამასა ჭქვიან, აი! შეჭყვირა ტარტარესმა...

მოგესესენებათ აღმოსავლეთში ლამაზი ქალის ქმრისთანა საშიში და მოსარიდი არა არის-რა.

— დაიღ, ბატონო... მაგრამ ერთი სეზრე მმა ჭყავს...

— აი გამიწყრა ღმერთი!..

— ერთი სეზრე, აყლაყუდა!.. ჩიბუსებსა ჭვიდის ორლეანის ბაზარში.

ტოტა სანი ორივ გაჩუმებულნი იყვნენ.

— ეგ არაფერი, — დაიწყო შავ-მთიელმა თავადმა: — თქვენ იმ ჯუერის ადამიანი არა ხართ, რომ ვიღაც მეჩიბუსეს შეუშინდეთ. თუ არა-და, ცდა ბედის მონახულერეაო, ნათქვამია; ვეცადოთ: რამდენიმე ჩიბუხი ვიყიდოთ იმ სეზრესაგან და იქნება მისი გულიც მოვიგოთ როგორმე... ჩაიცვით, რაღას უყურებთ, რავქნა!.. სწორედ ქუდ-ბედი დაჭყოლია ამ დასაქცევს, ამასა!

უცბად, ვეფხვიანთ გადმოსტა ლოგინიდან ტარტარენი. ფერი წაუვიდა, მღელვარებას ვეღარ იმაგრებდა, სიყვარულის ალი გულს უდნობდა. მსწრაფად გადიცვა ფლანელის ჰერანგი, ვანიერ შალვარში ჩაყო ფესვები და ჭკითხა: — ესეც ავდექი... ბერე?..

— აიღეთ ქაღალდი და შენი ნახვა მინდა-თქო, მისწერეთ.

— მაშ ფრანგული სტოდნია? ჭკითხა გულ-ჩათუთქვილმა გმირმა; მისი ოცნება რომ აღმოსავლეთის ხატაგდა, სრული, ჭეშმარიტი აღმოსავლეთი იყო და არა ასეთი ნარევი და ფრანგულის მტოდნე აღმოსავლეთი.

— სიტყვაც არ იცის, საიდან ეცოდინება?! — მიუგო შეურეველმა თავადმა: — მე იმას მოგახსენებთ — თქვენ თქვენი ბრძანეთ და მე კიდევ თქვენს ნათქვამს არაბულად ვთარგმნი და დავწერ.

— ო, რა კეთილი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ!

ამ წერილს დიდი მოფიქრება უნდოდა. ჩაფიქრდა ტარტარენი, შუბლი შეიკმუსა და ოთახში სიარული დაიწყო.

დამეთანხმებით—ბოკერელ მეერვალ-ქალს სულ სხვა უნდა მისწეროთ და ალჟირელ მაგრის ქალს კიდევ სულ სხვა. თქვენ იქნება ერთი და იგივე გეგონათ? სცდებით, ბატონო, სცდებით! კიდევ კარგი, რომ ჩვენ გმირს წაკითხულიდან ბევრი რამ ახსოვდა და საჭიროების დროს შეეძლო გუსტავ ემარის რომანებიდან ინდიელთა წერილები მოეგონებინა; ან ლამარტინის «ალმოსავლეთში მოგზაურობა», ან სხვა და სხვა სალხების საგალობელი, თორემ ცუდად იქნებოდა მისი საქმე. მაგრამ უკეთესური მოაგონდა და ერთი ისეთი წერილი შეთხზა, რომ თვით ალმოსავლეთშიაც იშვიათად დასწერენ იმისთანას, წერილი ამ სიტყვებით იწყებოდა:

«ვით სირაქლემა ქვიშათა შორის»...

და დამთავრებული სომ უფრო უკეთესად იყო:

«მითხარ, მამაშენს რა ჰქვიან და ამ უკაცილის სახელს გეტყვი».

ამ წერილთან ერთად ტარტარენს უნდოდა ერთი კარგი თავგულიც გაეგზავნა, ალმოსავლეთის ჩვეულებათა დაკვალად, მაგრამ თავადი გრიგოლ ამის წინააღმდეგი იყო: თავგულს ის ეშინოდა, რომ ქალის ძმისაგან რამდენიმე ჩიბუხი ვიყიდოთ, ტოტათი მოლბება, კეთილი თვალით შემოგვხედავს, სომ იცით, ქართმა ჯოჯოხეთის ანათებსო... ამასთან ბაიას ძალიან უყვარს თუთუნი და მთელი დღე სულ თავარიკით ბოლებს. დამეთანხმებით ჩიბუხები რომ მიეკრთვათ, ძალიან კასიამოვნებოთო.

— მაშ წაიდეთ, ჩიბუხები ვიყიდოთ!.. შეჭყივლა ტარტარენმა.

— არა, არა! მე მარტო წავალ... მე უფრო ადვილად გამოვართმევ!

— როგორ?!. თქვენა გნებავთ... ო, თქვენო ბრწყინვალებავ!. თქვენო ბრწყინვალებავ!.. შერცხვა საწყალ ტარტარენს, ამდენს რაგორ კაწუსებ შავ-მთიელ თავადსაო, თავის ქალაქ მიართვა და სათხოვა—ნუ დამიზოგავთ, რამდენიც გნებავთ, დასარჯეთ, ოღონდ ჩემი გულის მკვლელი და აწი მატოტლებელი კმაყოფილი იყოსო.

საუბედუროდ, ასე კარგად დაწუებული საქმე ისე მალე არ გათავდა, როგორც ჩვენს გმირსა ჭსურდა. ტარტარენის წერილის მეკერძეტუველობით აღტაცებული ქალი თითქმის თანასმა იყო თხოვნა ასრულებინა და გმირთ-გმირი თავისას მეუბატიეენა, თითქმის თანასმა იყო, მაგრამ რას იზამთ, რომ ძმა სულ სხვა თვალით უყურებდა ამ ამბავს, რაღაც რიდი ჭქონდა, რაღაცა აწუხებდა და ამ რიდის და წუხილის მისაძინებლად ჩიბუხების ყიდვა იყო საჭირო. ტარტარენიც ყიდულობდა, ათობით, ასობით, ათასობით და სულ ბაიას უგზავნიდა.... თავად გრიგოლის ხელით.

— დასწყევლა ჩემმა ღმერთმა! — ფიქრობდა ჩვენი გულ-მართალი გმირი: — ნეტავ რად უნდა ბაიას ამდენი ჩიბუხი?! რას უშვრება!. მაგრამ რას იზამდა? ჩიბუხების ყიდვა საჭირო იყო, და გადადიოდა სულ ბაჯაღლო ოქროები!

ბოლოს... რამდენიმე საათსნე ჩიბუხი გაუგზავნა, თავის გულის წუხილი სულ აღმოსავლეთის ლექსით აუწერა და ნებატ მიიღო, მობრძანდი მსასეო.

რადა საჭიროა მე მოგასსენოთ, რა მღელვარებას იგრძნობდა ამ ამბავზედ ტარტარენი! გული ისე აუტოკდა, თითქო ამოსტოკის აპირობს, რომ ასე მოუმზადებლივ ბაიასთან გაფრინდესო. შეიმაგრა როგორც იყო, წვერი მოიპარსა, სუნნელოვანი წყალი შეისხა, ჯიბეში კარგი თავ-სამტკრეკი ჩაიდო... თავადი გრიგოლის ჩუმად... თან ორი თუ სამი რეკოლვერი ჩააყოლა და გზას გაუდგენ.

შაკ-მთიელი თავადი ამ სიდამოს თარჯიმანად გაჰყვა. ბაია ზემო უბანში იდგა. მის კარებზედ პატარა ბიჭი იჯდა, ასე ცამეტ-თოთხმეტი წლისა და არხეინად ჩიბუხსა სწევდა. ეს იყო აელაყუდა, ხეპრე ძმა ბაიასი, ორლეანის ბაზარში ჩიბუხებს რომ ჭყიდდა. ჩვენი მგზავრები რომ დაინახა, კარი დაარაკუნა და თითონ კი თავი გაარიდა.

კარი ზანგის დედაკაცმა გაუღო. ხმა არ ამოუღია, ვინა სარო, ან ვინა გინებავთო, წინ გაუძღვა, ბნელი, ვიწრო ეზო გაატარა, და ერთ პატარა ოთახში შეიყვანა. აქა ბრძანდებოდა ბაია, იატაკზედ ნაალი გაეშალა და მუთაქაზედ გადასვენებულიყო... ტარტარენმა შეხედა და როგორღაც ეუცხოა: ეს უფრო პატარად ეჩვენა,

კიდრე დილიკანში ნასული მკერის ქალი იყო. ამის ტიტველა ფესი თითქო იმისაზედ უფრო დიდად მოჩანდა... კინ იცის, ის კი არ-სო? ფიქრობდა სანბრალო ტარასკონელი. მაგრამ ამ იწყმა ისე, ელ-კასკვით მსწრაფულ გაუარა თავში და მერე ალარსად შეუწუსებია.

მართლა მშვენიერი იყო მწოლარე ქალი თავის ტიტველა ფე-სებიო! თითებზედ ბეწდები აკეკეთებინა, სელზედ სამაჯურები, ქარგის ჩიბუსი ეწერა და თავით-ფესამდე ცისფერ ბოლში იყო გასვეული. ეს ბოლი რომ არა ყოფილიყო, ტარტარენი ერთი შეხე-დვით დარწმუნდებოდა, რომ ეს ქალი ემაწვილი იყო, ჩასუქებული, ჩამრგვალებული, ალერსის მოყვარული და უკვე წვეული, მსუნაგი... დიალ, ბოლი რომ არა ყოფილიყო, კიდევ ბევრს სხვას ნახავდა და დარწმუნდებოდა მაგრამ...

იმას კი გულ-სელი დაიკრიბა და ძალიანად დაუკრა თავი; ასე ძალიანად თავის დაკვრას თვით ალმოსავლეთის მკერიც კერ მოახერ-ხებდა; თან თავლებით ისეთი კედრება და ღაღადება გამოუსტა, ისეთი სიყვარული და ტრფიალი, რომ ბაიამ ტოტა სანი კი უყუ-რა, მერე ქარგის ჩიბუსი გეკრდთ დაიდო, მეოთაქაზედ მიესვენა, სასე-ზედ სელები მიიფარა და კარგა სანი ალარ მოუშორებია! რალაც გი-ყური სიტილი მოერია ლამაზ ბაიას და ზღვასავით ალელვებდა და ატოკებდა მის ოდნავ დაფარულს, დაკოკრებულ გულს.

XI

სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი.

სალამო ხანს, ზემო უბანში, არაბულ ყაკანანში რომ შებრძან-დეთ, ჯერ ეხლაც გაიგებთ მკერების ბანაში კიდაც სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რის სახელს. თვალს უჩამენ ერთმანეთს, ჰირს ღიმილი მოუკეთ და ერთ მდიდარ და ჰატიოსან ეკრიშელის ამბავს მოგი-თხრობენ, რომელიც, ეს რამდენიმე წელიწადია, ზემო უბანში ცხოვ-რობდა და თან ერთი... ჰმ! ქალი ჰყავდა, სახელად ბაია.

სიდი ტარტ'რი ბეს ტარტ'რი, რომელსაც ამისთანა სამსიარუ-ლო სსოვნა დაეტოვებინა ზემო უბანში, მგონი ჩემი თქმა მეტი იყოს, ჩვენი ტარტარეს ტარასკონელი გასლავთ.

წმინდანის და გმირის სიცოცხლეში ხშირად მოხდება ხოლმე— წამოუვლის რადაც ასირეხული ეთი და მოჭმეგებს სულელობას, ოითქო დაბრმავდა, გადირია, სრულიად მისუსტდაო. ამ სიზოგადო სენს ვერც სასელოვანი ტარასკონელი გადურჩა. და ეს ორი თვე მეტი იქნება ლომებიც დაიწყებული ჭეკვს, დიდებაც და სასელიც. აღმოსავლეთის წე-სისამებრ ითვრება მაკრის ქალის სიყვარულით, ოღონდ საკვირველი თეთრია ეს მაკრის ქალი. ითვრება სიყვარულით და ალერსით და, ანიბალისა არ იყოს, ამ ქალისთვის შეუწირავს თავისი კაკცობაც და გასთქმული გმირობაც.

ზემო უბანში ერთი ბატარა კოხწია სასლი დაიწირა ქირით: ბატა-რა ეზოიანი, ბატარა ბაღით, შიგ გრილი წყარო ამოჩუსჩუსებდა. და იყო იავისთვის გასცსრომაში! ქვეყანაზედ აღარავინ უნდოდა, ოღონდ თავისი სატრიეო აქა ჭოლოდა. ოითონაც თავით-ფესვამდე არბეულად ეცვა, დილით საღამომდე ულიონს ეწოდა და თითრულ შარბათს და მურაბებს შეეჭცეოდა.

იწვა ტასტზედ ბაია, სელში ჩონგური ეჭირა და რადასაც და-ჭღიღინებდა, ან არა-და— იქნება ჩემი ბატონი და ბატრონი გავართო ოროგორმეო, წამოდგებოდა, ერთ სელში ბატარა დაირეს დაიწერდა, მეორეში სარკეს, რომ თავის ბოლოის კბილები და შუქ-მფენი ღა-მილი დაენახა, და ცეკვას დაიწყებდა.

ბაიამ სიტყვა არ იცოდა ფერანგული, ტარტარენმა—არბეული და ამიტომ გრძელი რამ ბაასი მათ შორის სრულიად შეუძლებელი იყო. საწყალი ტარტარენი! ძალს უყვარდა ლაპარაკი! და მგონი, რაც თავისადღეში ბეზიუკეს ათოიაქში, მეიარაღე კოსკალდანისას ან სასვაგან სადმე, თავის ყბედობით დაეშვებინა რამე,—სულ აქ მოინანია ამოდენა სხის სიჩუმით.

თვით მონასიებაშიც რადაც სიტკბოებას ჭეოკებდა. სრული კმაყოფილი იყო ამ საჩუმის, ამ გასცსრომის, ამ ზეიურ ფუფუნე-ბისა. არ მოსწყინდებოდა, მთელი დღე რომ წამოწოლილი ყოფი-ლიყო; სმის ამოუღებლივ შესტკბრობდა თავის საყვარელ ბაიას, ის-

შენდა მის მოსდესილ, მაგრამ ერთეკარს და მოსაწყენ სიმღერას, ისმენდა ყალიონის ბუგბუგს, წყარის შრიალს და სრული ბედნიერი იყო.

ყალიონი, აბასო, სიყვარული! ამის მეტი აღარა უნდოდა. ამით სრულიად კმაყოფილი იყო თავის სიცოცხლისა. სან-დასან სიდი ტარტ'რი თავის ჭკვიან ყორს შეკმაზავდა, როგორც იყო, ამსედრდებოდა, უკან თავის ბაიას შემოისვამდა და ქალაქ გარედ რომ ბატარა ბაღი იყიდა, იქ წავიდოდა ბროწეულის საჭმელად... ქალაქში, ასალ უბანში კი თავისდეში არ ჩავიდოდა... თავის დეში! დამთვრალი ყვარის-კაცები, თავსედი ალვიტრები, ეკვასანები, ლუდასანები... ეკროპელების უბანი მას გარეუნილების და ბინძურების ბუდედ მიაჩნდა და თავის ბაიას იქ როგორ ჩაეუვანდა?!

ერთი სიტყვით, სახელოვანი ტარასკონელი დიდად ბედნიერი იყო. ტარტარენ-სანჩოს სეტარებას ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა! მსუნაგი იყო ტარტარენ-სანჩო, ავ-მუცელა რამ იყო და გაგიეკბით უფვარდა თათრული ტკბილეულობა და სასმელები. რა საყობს სმა-ჭამას კეთილსა, ძილსა და განცხრომასაო!.. კაიმასოდა ტარტარენ-სანჩო და თან ოვიანებურად გულიანად იცინოდა. ტარტარენ-კიხოტს მოაგონდებოდა სანდასან ტარასკონი და დაპირებული ლომის ტყავები... ტოტა არ იყოს, სვინიდისი მსილებას დაუწყებდა... მაგრამ ამ დამაღონებელ ფიქრების განსაქარვებლად საკმარი იყო ერთი ბაიასკენ გადაესედა, ბაიას ღიმილი დაესასა, ან მის ფუსთ-უშა სელით ერთი კოკი მურაბა შეეკამა. კილას ასსოვდა ან ტარასკონი, ან ლომის ტყავები, ან სვინიდისი!

საღამოზედ თავადი გრიგოლ შაგ-მთიელი ეწვეოდა და შაგ-ჰთიის განთავისუფლებაზედ ჩამოაგდებდა ლაპარაკს. რა ზრდილი რამ იყო შაგ-მთიელი თავადი, რა მოსიყვარულე, რა დაუღალა კი აღმასრულებელი ტარტარენის და ბაიას ყოველი სურვილისა! დაჭირების ტალვეესი იყო, რაღა! მისი ბრწყინვალება ასან თარჯიმანობას სწვევდა, ასან მოურაკობას, ასან საკვრად დადიოდა... ვინ მოსთვლის? მერე რისთვის? სულ არასურისთვის! ისე, უყვარდა გამოჩენილი გმირთ-გმირი, ესაიმოვნებოდა მისი სამსახური... ამ თავადსა და თათრებს გარდა ტარტარენი სასლში არავის უშვებდა.

და სწორედ ის ს

იგლოვეთ, ტარასკონელნო, თქვენი ტარტარენი სულის შეტვლას ვბირობს!

XII

ტარასკონიდან იწერებიან.

მშვენიერი დღე იყო, გრილი, მუდრო დღე. სიდი ტარტ'რი დინჯად მობრძანდებოდა ქალაქისკენ. ბაღში ყოფილიყო, სურვილის ორიკ თვალი სილით ავეკსო, ჯორისთვის აეკიდნა, თითონ ზედ შებრძანებულიყო და ნელი სვლით მოდიოდა. ფესებს ვერტ კი აწვდენდა გძელ უზანგს, მოშვებულიყო, თითქო აკვანში იწვესო, ისე ირყეოდა და სან აქეთ გადმოისრებოდა, სან იქით. ადვილი მიეშვა, ორიკ სელები მუტელზედ დაეწყო, თავი ჩაქინდრა, სთვლემდა ბუნების მშვენიერებას ეურადღებასაც არ აქცევდა.

ქალაქს რომ მიუსდოვდა, უცბად ვიღაცაც ნაცნობი ხმა შემოესმა:

— აი დასწყევლა ხამას-ხამოტ და ხამმა წმინდა გიორგომ! ვეყო! ტარტარენ... თქვენსა? აი დალასვრა!...

გამოიღვიძა ტარტარენმა, თვალები დაეწყვიტა. რაკქნა, ეს ნაცნობი ხმა, ნაცნობი მარსელური კილო. ენასოი, ერთ ყავახანის დერეფანში გამოწყობილა «ზუავის» კაპიტანი, ბატონი ბარბასინუ, ბინატს შეეტეგა და თან ჩიბუხს ბოლებს.

— ოჰ, ბარბასინუს გაუმარჯოს! შეჭღიმა ტარტარენმა და ჯორი შეაყენა.

ბასუხის მაგივრად ბარბასინუმ კარგა ხანს შიგ თვალებში უყურა, მერე თავით-ფეხამდე გასინჯა ჩვენი გმირთ-გმირი თავის ჯორიან-ხურჯინიანად და უცბად ისე გულიანად გადიხარხარა, ისე გულიანად, რომ სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი ხასტად დარჩა.

— ეგ რა შემოგიხვეია თავზედ, ჩემო კეთილო ტარტარენ, — იტინოდა კაპიტანი ბარბასუ: — რასა ჭეკეხართ?! იქნება მარილს იძახიან, ტარტარენმა სულელი გამოიცვალა, მუსულმანობა მიიღოგო?! ნუ

თუ გათავორდეთ, ჩემო ტარტარენ?.. ვატარა ბაია როგორდა არის?.. ის გასაგლეჯი, ისა!.. რა კარგად მღერის Marco la belle-ს ის დასაქცევი ისა!

— Marco la belle?! — იწყინა ტარტარენმა; — უნდა მოგასსენოთ, კაპიტანო, რომ ის ქალი, რომელზედაც თქვენ მელაპარაკებით ერთი მაგრის ვატიოსანი ქალია და ფრანგული — სიმღერა კი არა, სიტყვაც არ იცის.

— რაო? ბაიამ ფრანგული არ იცისო?! სიზმარში სომ არა ხართ, ტარტარენ?!..

და სიცილს და სარსარს ეფარო უმატა.

მერე რომ შენიშნა, ტარტარენს ჩემი სიტყვები არაფრად ეპიტნავაო, სიცილი შეიკავა და გული დაუმშვიდა:

— მართლაც-და, კინ იცის, იქნება სულ სხვა იყოს. იქნება მე შეკცდი... დიალ, ალბად შეკცდი. ოდონდ, იცით რა მოგასსენოთ, ჩემო კეთილო მეგობარო, ერიდეთ ალყირელ მაგრის ქალებს და შავ-მთიელ თავადებს.

ტარტარენმა უცბად გაჭყო უზანგში ფესები, წამოიწია ყორზედ, ქვემო ტუჩი დაუშვა და უთხრა:

— მისი ბრწყინვალება ჩემი მეგობარია, კაპიტანო!

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! აქ გასაკვირებელი რა არის, რომ ჯაგრობთ?!. აბსინტს არ მიირთმევი? არა? შინ სომ არას დამბარებთ? არაფერს?!. მაშ მშვიდობით! მშვიდობით!.. მართლა, ტარტარან, საუცხოო თუთუნი მაქვს, ჩვენებური, ფრანგული თუთუნი... ჭა!.. გნებავთ ერთი-ორი მოწევა მიირთვით!.. მიირთვით!.. მიირთვით!.. კარგებთ ღმერთმანი! სულ ეს ოსერ ადმოსავლეთის თუთუნის ბრალი კი არის ეი! ისე გადურევს ვატიოსან კაკვატს ზრებს, ისე გადურევს, რომ...

აქ კაპიტანი ისევ თავის აბსინტს მიუჯდა და ტარტარენი გზას გაუდგა. ჩაფიქრდა ჩვენი გმირი. მართალია დიდ-სულოვნებანებას არ აძლევდა გაგონილიდან დაეჯერებინა რამე, მაგრამ ბარბასსუმ ისე სათლად აუსსნა ყველაფერი, ისე დაულეწა, რომ თავისდა უნებურად ჩაფიქრდა და დაღონდა საბრალო სიდი ტარტ'რი. თანაც ბარბასსუს ლაპარაკის კიდო მოაგონდა, თავის საყვარელ სამშობ-

სოფრანგეთის კიდო! იგივე გამოთქმა! იგივე ლანძღვა და სიმსიარულე! მიდიოდა და გულს რაღაც ულრღნიდა და უწუხებდა.

შინ არავინ დასვდა. ბაია აბანოში წასულიყო... ზანგის დედაკაცი რომ დაინახა, თითქო ჯერ არ ესასოსო, ზიზღით კისაღამ გული აერია. ბოღმა შემოაწვა საწყალს, ფიქრებმა გაიტაცეს... წყაროსთან წამოწვა, ჩიბუხი ამოიღო და კარგა ლამაზად გატენა ბარბასუს თუთუნით. ეს თუთუნი გაზეთ «სემაიეორის» სოფსრეწში იყო გახვეული. გატენა ჩიბუხი და უცბად თავის საშშობლო ქალაქის სახელი კი ეცა თვალში. დახედა და... წაიკითხა:

ტარასკონიდან იწერებიან: დიდს გლოვას და ტირილს მისცემია ჩვენი ქალაქი. ტარტარენი, გამოჩენილი მონადირე, ეს რამოდენიმე ხანია აფრიკას გაემგზავრა ატლასურ ლომებზედ სანადიროდ და წასვლის შემდეგ მისი ამბავი აღარა ვიცით-რა. აღარ ვიცით—რა მოუვიდა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს? რა იქნა, ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ?! ვისაც კი ტარასკონელ გმირთ-გმირის სამაგალითო ვაჟ-კაცობა გაუგონია, ვინც კი იცის, რა სასახელო და დიდებული საქმეები ტრიალებდნენ მის გულში, ვისაც კი ახსოვს, რა შეუშინებელი, დაუდგრომელი და დაუღალავი მძებნელი იყო ბრძოლის და განსაცდელისა, ველარც კი ჰბედავს—თავის თავს მაინცა ჰკითხოს: ნეტავ ტარტარენს რა მოუვიდაო?! იქნება ისიც სახარის ქვეშთა მსხვერპლად შეიქნა? ან იქნება მოასწრეს სადმე მიყრუებულ ალაგას ატლასურმა ლომებმა და ძვალიც აღარსად დაგვიტოვეს? ნუ თუ ჩვენი ტარტარენი იმ ლომებმა გამოასალმეს წუთი-სოფელს, რომელთ ტყავებს წასვლის წინ ყველასა გვპირდებოდა?! ვინ იცის! მართალია, ბოკერის იარმუკაზედ სავაჭროდ მოსულ ზანგებს უთქვამთ—სახარის უდაბნოში ერთ ფრანგს შევხვდით—ლომებზედ მონადირესაო... ზანგების აღწერით ტარტარენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტიმბუკტუს მიემგზავრებოდაო, და ტარტარენი ტიმბუკტუში რად წავიდოდა... ღმერთო, შენ იყავ მფარველი ჩვენის სახელოვანის და მასახელებელის ტარტარენისა!

წაიკითხა ტარტარენ ტარასკონელმა, გაწითლდა, გაუკითლდა, გული ამოუჯდა... მთელი ტარასკონი თვალ-წინ წარმოუდგა: კლუ-

ბი, ქედზედ მოსდირენი, კოსკალდის მწვანე სავარძელი და ყველაზედ უფრო სათლად, თითქო მთელ ქალაქს არწიგივით თავს დასტრიალებსო, კაპიტას ბრავიდას, სურსათის კაპიტან ბრავიდას გრძელი, მამაცური ულვაში.

ტარასკონელებს თავიანთი ტარტარენი შიგ შუაგულ სასარაში ჰგონიათ, ლომებს ყლეტავს, ლომებს სოცავს და ტეკვებს საჩუქრად გეიმზადებსო, და ეს კი აქ წამოწოლილა, მუთაქაზედ გადაწვენებული მელოგინე დედაკაცივით!... თავის თავისა შერცხვა საწყალ ტარტარენს და ტირილი დაიწყო!

და აღსდგა გმირთ-გმირი!...

წამოსტა და—სიკვდილი ლომემსაო!—შესძახა.

სავუნჯნაოში შეკარდა, თავის ბარგს ერთი მტკაველის სიმაღლე მტკერი ასბერტეა ⁄ გამოაშზეკა მსწრაფულ გასაშელი კარაკი, საგზაო ათთიაქი, იარაღის ზანდუკი, მიფრაშები... გამოალაგა შუა ეზოში და სამგზავროდ მომზადებას შეუდგა.

ტარტარენ-სანჩოს თქვენი ჭირი წაიღო! დარჩა მარტო ტარტარენ-კიხოტი!

მომზადებას დიდი სანი არ უნდოდა. ბარგი ჩალაგებული ჰქონდა, იარაღი შეისხა, სარკეში ჩაიხედა, წვერი გაისწორა, სანდირო მაღალ-ყელიანი წაღები ჩაიცვა, შავ-მოიელ თავადს წერილი მისწერა... სულ ორი კალმის მოსმა—ჩემს ბიაის შენ გაბარებო—წერილში რამდენიმე ბანკის ბილეთი ჩასდო, თავის ცხარე ცრემლით დასველებული ბილეთი და —მშვიდობით!

ჩაჯდა დილიაანში და ბლიდაჭისკენ გასწია.

ისე უცბად, მოულოდნელად მოსდა ეს ყველაფერი, რომ ზანგი-დედაკაცი მთელი დღე გონს ვერ მოსულიყო: იდგა შუა ეზოში პირღია, გაშტერებული, სალოკი თითი ტუჩზედ მიედო და სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რის არაბულ ტანისამოსს შესტქეროდა: ქა! ე ტანისამოსი აქ არის, ე ყალიონი აქ არის და თითონ სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი რაღა იქნაო?!

ა. მ—ნი

(გაგრძელება იქნება)

შერისხვა

ამბავი

კვირა დღე იყო. ის-იყო სოფელ N ეკლესიაზედ წირვაც გათავდა. სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიის გალავანში გაიფანტა, ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და შეიქნა ჩვეულებრივი სჯამუსაიფი სოფლელებ შუა. ერთ ადგილას რამდენიმე კაცი გულშოდგინებით ყურს უგდებდა რაღაც მხიარულ ამბავს, რომელსაც მოუთხრობდა ახალგაზდა გლეხი.

— შე კაკო, შენ ერთობ მუსაიფში ხარ და კაცია სუგუნაშვილმა ეს არის წმინდა გიორგიზე გადაგცა! უთხრა მოამბეს ხანში შესულმა გლეხმა, რომელიც ის-იყო მიუახლოვდა მხიარულად მოლაპარაკე ჯგუფს.

— რას ამბობ, გიორგი? მიაძახეს აქედ-იქიდან.

— მართალს ამბობ, კაკო? თავზედ მეხ-დაცემულივით წაილუღლუღა იმან, ვისაც მიუტანეს ხატზედ გადაცემის არა სასიამოვნო ამბავი.

— მართალს გეუბნები, შვილო, მა რა, გეხუმრები?.. რა სახუმროა, შენ თითონ თქვი? მიუგო გიორგიმ.

ანდრია, ახალგაზდა გლეხი, ეკლესიისაკენ გაიქცა და ერთ წამში კარებთან გაჩნდა. თითქმის იმავე დროს გამოჩნდა კაციაც, რომელიც ხელზედ ბოხოხის ბერტყით ეკლესიიდან გამოდიოდა.

— ხატზედ გადამეცი, მართლა, კაცია? შესძახა ანდრიამ.

— მა რა გეგონა?!.. უპასუხა კაციამ.

— რა დაგიშავე, კაცია,—ეს გამაგებინე, რა დაგიშავე, რომ ასე ამომიჩემე... რომ აღარაფრით მზოგავ?.. თქვი მაინც,

შე კაი კაცო!.. ამ ხალხს მაინც კარგად გააგებინე... ამათ გაჰ-საჯონ, თუ რამეში მტყუანი ვარ მე შენთან!

— მაგათზედ უკეთეს მოსამართლეს მიგეცი... ღმერთს, თითონ ღმერთს და მასთან მყოფ წმინდანს გასცემ, შვილოსა, პასუხს!.. მე რაღას მედუდღუნები... ბევრი გეხვეწეთ, შენც და სხვასაც, მარა არაფერი საქმე გამეწყო თქვენთან... შენ არ აა-გულიანე სხვები?... ორი ტკაველა მიწა მქონდა, იმასაც აღარ მიყენებთ!.. მე, ჩემო ვაჟბატონო, ჩემს თავს არავის დავაჩაგ-რინებ... რა გზითაც იქნება, ჩემზედ მოღერებულ ხელს მისვე პატრონს მოვახვედრებ... შენ ჩემთან აწი აღარაფერი სალაპა-რაკო აღარა გაქვს... წმ. გიორგის გაეცი პასუხი!...

— შენ გგონია, წმ. გიორგი მარტო შენს სიტყვაზედ გე-იარს? გულ-მოსულად უთხრა ანდრიამ.

— მაგასაც შენი თვალებითვე დეინახავ!.. და ამ სიტყვი-სათანავე კაციამ კიდევ დაიბერტყა ქუდი ხელზედ, დაიხურა თავზედ და მაღალის, მსხვილის ჯოხით ხელში მის გარშემო მოგროვილ ხალხს გაშორდა.

მოხუცებული კაცია დარწმუნებული იყო, რომ ანდრიას თავზედ ღვთის რისხვას მოიყვანდა... მისი სახის გამომეტყვე-ლება, რომელიც ისე აშკარად, ნათლად გეუბნებოდათ, რომ ამ კაცის დამორჩილება ადვილი არ არისო, რომ ის თავის შე-ურაცხყოფას არავის არ შეარჩენს, ვინც უნდა იყოსო,— მისი სა-ხის გამომეტყველება ახლა თითქო გეუბნებოდათ: ეჭვი არა მაქვს, რომ წმ. გიორგი დასჯის ანდრიასო. ამიტომ ისე დინ-ჯად გაბრუნდა ის მოშორებით საფლავის ქვაზედ მჯდარ გლე-ხებისკენ.

ყაბალახ-მოგლეჯილი ანდრია კი ისევ იმავ ადგილას, ეკ-ლესიის კარებთან, იდგა და გარს შემოხვეულ გლეხებს ცხარედ შესჩიოდა:

— ჩემგან რა უნდა, რომ ვერ გავიგე!?. მე რას მერჩის, რას ჩამცივებია,—ეს რომ ვიცოდე, სხვა არაფერი მინდა!.. ჩემს გარდა სხვა რამდენია, რომ არ მოაშლევინეს ის ამოსაგდები გზა... რაღა მე ამომარჩია წმ. გიორგიზედ გადასაცემად?!

— ეგ არ ვიცი კარგად, შენ რა ბრალსა გდებს კაცია, და უსამართლოდ რომ ირჯებით თელი კუთხე, ეს კი ცხადია! წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— რატომ, შე კაცო?—უსამართლოდ რით ვირჯებით? მიაძახეს აქედ-იქიდან.

— რატომ არ ანებებთ მაგ კაცს მის ადგილს...მე არ მოვკვდე, მეც არავის მოვუთმენდი მაგისთანა რომ რამე ექნათ ჩემთვის... რას მეუბნები?!. მე და ჩემმა ღმერთმა ერთი ორი კაცი მაინც შემომაკვდებოდა იქვე!.. ბიჭო უწინ გზა სადაც გქონიათ, იმაზედ იარეთ... აბა კაცს ადგილი ვეღარ გაუშვია, ადგილი ვეღარ დაუსვენებია.—ცხარობდა გლეხი.

— სადაა ეს ძველი გზა, აბა რას ამბობ, კირილე? მე პატარა ვიყავი, რომ იმაზედ აღარავინ დადიოდა... ახლა ყანაშია შეტანილი!.. ვინ განახვებს თვალით, და ამასთან ის ძველი გზა სულ აღარ ვარგა, არ გინახავს თუ?—სხაპა-სხუპით და გაჯავრებით სთქვა ანდრიამ.

— ამიტომ კაციას ძალით ართმევთ ადგილს? — კარგია შენმა გაზდამ!—მიაძახა კირილემ.

— ძალით ვინ ართმევს, შე კაცო! მაგას რატომ კადრულობ? მოისმა ზოგიერთების ხმა.

— ძალითაა აბა რა,—ვინ შეეხვერწა,—თავიდან ძალის დატანება მოუნდომეთ... კაცი გაახელეთ ! ახლა აღარ უნდა იმ კაცს თავი დაგაჯაბნებინოსთ!.. ასე მოგექცეოდათ, აბა რავა გეგონათ? არა წყნარდებოდა კირილე.

— შე დალოცვილო, საქმე სასამართლოში იყო და იქაც გადასწყვიტეს ასრე, რომ გზა კაციას ადგილზედ დარჩენილიყო... ჯიუტია მაგ დალოცვილი, სხვა არაფერი! წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა.

— მე კი მაინც ჩემსას ვიტყვი—რატომ ამომიღო თვალში? მე, მე რად გადამცა ხატზედ? გასაკვირველია, ღმერთმანი! მხრებს ჭწევით სთქვა ანდრიამ.

— ეჰ, შენც კიდევ!.. რა გაწუხებს?.. მაგნაირ უსაფუძვლო გადაცემას ძალაც არა აქვს.—თანაგრძნობით უთხრა ანდრიას ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— დიაღ, ეგ მართალია, ბერიკო, მაგრამ მაინც გეწყინება, რაზედ უნდა წაგაყენოს ხატთან ტყუილა-უბრალოდ კაცმა? მიუგო მას ანდრიამ.

საქმე იმაში იყო, რომ კარგა ხანმა გაიარა მას აქედ,რაც კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა და აღარ დაუმუშავნია, ღობეც აღარ გაუყოლებია მის გარეშემო,—ადგილი მოღალული იყო, თითქმის აღარასფერს იძლეოდა. სოფლელებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და ამ შესვენებულ ადგილზედ სიარული დაიწყეს, რადგანაც ამ ახალი გზით ერთობ ემარჯვებოდათ სიარული მახლობლად მდებარე ბაზრიან დაბაშიც და საყანეებზედაც. ძველი გზა, რომელიც სრულიად წამხდარი იყო, მიივიწყეს და მის შეკეთებას აღარავინ დეეძებდა. ამით ისარგებლეს იმ ძველი გზის მახლობელი საყანე-ადგილების პატრონებმა და მოსპეს გზა. ეგ იმათთვის მეტად საჭირო იყო, რადგანაც გაფუჭებული გზის თიხნარი ნაპირები ნელ-ნელა ინგრეოდა და ამით ფუჭდებოდა საყანეებიც. დროთა განმავლობაში ეს ძველი გზა ყველამ დაივიწყა, მით უფრო, რომ კაციას ადგილზედ სიარულის დამშლელი არავინ იყო. კაცია, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ, როცა კი მოინდომებდა, ყოველთვის შეკრავდა თავის ადგილს. მაგრამ დაბოლოს სულ სხვა გამოდგა. როცა კაციამ, ერთ დღეს, მოინდომა გაშვებული ყანის შემოღობვა, მეზობლებმა მოსთხოვეს ერთი ნაწილი გზად დეეტოვებინა. კაცია ავარდა-დავარდა ამაზედ, ყური არავის ათხოვა, ღობვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევე მოიურღვიეს. დაიწყო მუქარა, რომ მოვკლავ ვისმეს იმ ჩემ ადგილზედო, მაგრამ მაინც არავინ შეეპუა—მით უფრო, რომ ყველასათვის ეგ იყო ერთად-ერთი გზა. საქმე სოფლის სასამართლომდინ მივიდა. მოსამართლენი მოვიდნენ, დაათვალიერეს ის ადგილიც, სადაც ძველი გზა მიდიოდა, ეს ახალი სადავო გზაც და გადასწყვიტეს: რადგანაც ძვე-

ლი გზა მეტის-მეტად გაფუჭებულია და მისი შეკეთება ყოვლად შეუძლებელია, ამისგამო კაციას ადგილს უნდა ჩამოსჭროდა ერთი ნაწილი ახალი გზისთვის. კაციასთან ერთად ერთმეოდა ცოტა მიწა მის მეზობელ ერთ გლეხსაც. ეს უკანასკნელი აღვილად დაითანახმეს, კაცია კი ვერასფრით ვერ დააწუნარეს, ვერ ჩააგონეს, რომ უნდა დაეთმო ის ცოტაოდენი მიწა სოფლისათვის.

— ღვთით, არაფერი გიჭირს, სხვა ადგილებიც გაქვს; ბევრი-ბევრი, ორი ბათმანი მოვიდეს ამ ჩამონაჭერზედ... უნდა დაუთმო სოფელს, აბა რა ქნას სოფელმა? ეუბნებოდნენ კაციას.

— ძველ გზაზედ იაროს!

— რომ აღარ შეიძლება იმ გზით სიარული, შე კაცო, განა შენ თითონ არ იცი!..

— მერე მე რა?... სადაც გინდათ, იქ გაკეთეთ ახალი გზა... მე კი ჩემსას არაფერს არ დავანებებ... რაში დაუთმო სოფელს ჩემი ადგილი — და მე მშიერი დავრჩე? გაჯავრებით ეუბნებოდა კაცია.

— შე კაცო, აქამდინ ასე იოლად რჩებოდა ამ ადგილით, ახლა დაგამძიმებს და მშიერს დაგარჩენს ორი ტკაველა მიწის ჩამოჭრა? მერე საზოგადოებისათვის!.. უთხრა ანდრიამ, რომელიც სოფლის ერთი მოსამართლეთაგანი იყო.

— საზოგადოებისათვის კი არა ის კიდევ!... მითქვამს — არ დაგითმობთ... მორჩა, გათავდა... სოფელი ფეხებზედ მკიდია! გაჯავრებით წამოიძახა კაციამ.

— სასამართლოს განაჩენი რომ შესდგა, მეტი რა გზა გაქვს არ დაუმორჩილდე!... უთხრა მეორე მოსამართლემ, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა კაციას ჯიუტობამ.

— გლახა ანთიმოზა ვგონიერთ მე, რომ თქვენს წინ იმასავით თავს მოვიხრი?.. დიალ!... ეშირზი სულში ვიჩივლებ.... თუ საჭირო იქნება, ოკრუჟნი სულშიაც გიახლები... იმას ნუ იფიქრებთ, რომ მე თქვენ ჩემი თავი დაგაჯაბნებიოთ!

— ტყუილად გაირჯები, ჩემო კაცია, ამ საქმეს სხვაგან არასად არ მიიღებენ გასარჩევად, არც მირზი სული და არც ოკრუჟნი. — უთხრა ანდრიამ.

— თუ არ მიიღებენ, მე სხვა გზასაც მოვნახავ, სადაც პასუხს აგებთ თქვენის უსამართლობისათვის... კი მიგაცემიებთ პასუხს სადაც იქნება... ნამეტურ შენ, ვაჟბატონო! შენ, რომ დიდი მოლაქლაქე ბძანდები!—მიუბრუნდა კაცია ანდრიას—შენ შეგაწვეე ჩემს დაჯაბნებას, გგონია?!.. მოგიკვდეს მაშინ კაცია, შენი წიხლი დამკარი... კაცია არ ვიქნები, თუ შენი დაბადების დღე შენვე არ გაწყევლინე!—ყვიროდა ძალზედ გაჯავრებული კაცია.—ახლა კი რაც გინდათ ის ქენით! და განრისხებულმა კაციამ ჩქარი ნაბიჯით თავის სახლისაკენ გასწია.

— რა უნდა ელაპარაკო ამისთანა კაცს? მხრების აწევით სთქვა ანდრიამ და თან თვალები გააყოლა კაციას, რომელიც კიდევ მოჩანდა ორღობეში მიმავალი.

კაციამ აასრულა თავისი სიტყვა. ღარც თავი დაიზოგა, ღარც თავის მოხუცებულობას მოერიდა, — ბევრი იწანწალა, ორიოდე ადგოკატთანაც იყო ძღვნით, მაგრამ ვერაფერი ვერა გააწყო-რა; ანდრიას სიტყვა მართალი გამოდგა და ეს უფრო ჰკლავდა მოხუცებულს.

აენთო კაცია. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ღონისძიებას არ დეერიდებოდა ოღონდ კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა, განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიკტიკე ანდრიაზედ, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებ შუა. კაციას ერთი გზა-ღა დარჩა თავის შემავიწროებელთ მოთავის დასასჯელად და კიდევაც გარდასწყვიტა მიემართნა ხატისათვის; გარდაწყვეტილება აღსრულებაშ მოიყვანა და კიდევაც ჩაუგდო ხატს ხელში, გადასცა წმ. გიორგის ხატზედ ანდრია. სადღა წაუვიდოდა წმ. გიორგის ანდრია? ეჭვი არ უნდოდა, წმ. გიორგი უსათუოდ დაჰჯიდა ანდრიასაც და მასთან მის უკულმართ მოსამართლე ამხანაგებსაც.—ეს მტკიცედ სწამდა კაციას.

ამ დღიდან კაცია გულდამშვიდებული ელოდა წმ. გიორგისაგან ანდრიას და მის ამყოლთ საჯაროდ დასჯას.

— დამაცათ, შვილებო, ისევ თქვენვე შემეხვეწებით ადგილი ჩავიბარო, როცა ჩემი გამჩენი შავს დღეს დაგაყენებსთ!.. ვეღარსად იჩიელებო!!.. აბა ვნახოთ!.. ღმერთიც დაივიწყეთ?!..—

ვითომ იმას ამა სოფლის აღარაფერი ეყურება... ჰაი გიდი, რა-ნაირი ხალხი იზდება?!.. ხშირად იმეორებდა ხოლმე კაცია.

დრო და ხანი გადიოდა, მაგრამ წმინდანის რისხვის ნიშ-ნები კი არსად სჩანდა. კაციას მოუთმენლობა დაეტყო. ნეტა რად ატარებს წმ. გიორგი ამდენს ხანს უვნებლად ანდრიას და არაფრით არ იჩენს იმაზედ თავის სასწაულს?! ამ მოუთმენლო-ბას ის უფრო უმატებდა, რომ ამ ბოლოს დროს ანდრიასაც მეტი რალაც მხიარულება ემჩნეოდა, იგი უფრო გათამამდა და, როგორც სხვები ეუბნებოდნენ კაციას, ვითომ არაფრად აგდებ-და კაციასაგან ხატზედ გადაცემას. პირველ ხანებში, მართალია, ანდრია შეშინდა, თუმცა თავისი სიმართლის იმედი ჰქონდა; ორ-ჯელ ძღვენიც მიართვა წმინდანს; მაგრამ მერე, როცა გაიარა ხანმა და იმის ცხოვრებაში ისეთი არა მომხდარა-რა, დაიმედდა და სრულიად მიივიწყა, რომ კაციასაგან გადაცემული იყო.

კაცია სულ ერთიანად აამღვრია ანდრიას ამგვარმა უდარ-დელმა ყოფა-ქცევამ. ახლა ის გუნებაში წმ. გიორგისაც ემდუ-როდა შეგვიანებისათვის. ბერმა კაცმა იმ ზომამდინაც მიაღწია, რომ ხმა-მაღლა დაუწყო წმინდანს მდურება.

— განა დღესავით ნათელი საქმე არაა!.. გამოეძიება ეჭვი-რება კიდევ თუ?!...

— რატომ ხარ, შე უბედურო, მაგდენად უგნური, რომ წმ. გიორგის უსწორებ სამართალს?!... სულ-წასულობაა ეგ, მეტი არაფერი... გაჩუმდი, შენთვის იყავი... წმ. გიორგიმ, ვენა-ცვალე მის ძლიერებას, შენზედ უკედ იცის, როგორ უნდა მოი-ქცეს ან ვინ როდის დაჰსაჯოს... შეუტია კაციას მისმაკლმა, მოხუცებულმა დოდომ.

— როდემდის ვუყურო?.. ვერა ხედავ გათამამდა და გა-მხიარულდა მტერი?... მაშ, სიავკაცე და ავაზაკობა ჯობნებია სიმართლეს... საიდან გაიგოს კაცმა, რომელი სჯობია, თუ წმინდანიც ყურს არ მიაქცევს შეეიწროებული ადამიანის თხოვ-ნას და თავის დროზედ არ დაჰსჯის კაცის შემაწუხებელს?... რას მეუბნები შენ!—ამბობდა გულმოსული კაცია.

— გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი, ნუ ჩერჩეტობ უთავბოლოდ!... ვის უჯავრდები, შე შეჩვენებულო? ვის ასწავლი? ვის არიგებ ჭკუას?... სრულიად შეიშალე შე უბედურო ამ ბოლოს დროს... აღარაფრის გაგება აღარა გაქვს!...

— მომშორდი, დედაკაცო, თავიდან!—მიაყვირა კაციამ დოდოს და ფეხზედ წამოვარდა:—მე შენზედ უკედ ვიცი ჩემი საქმე... როდის შეიქნა ჩემთვის საჭირო დედაკაცის დარიგება? მოჰკიდა ჯოხს ხელი და ეზოდან გავიდა.

მოხუცებული კაცია ახლა ანდრიასთან ერთად წმ. გიორგისაც ემდუროდა და ამ სამდურავს ხმა-მაღლა წარმოსთქვამდა ხოლმე. ეკლესიაში რომ იდგა, ხშირად თვალ-მოუშორებლად და საყვედურით მისჩერებოდა წმ. გიორგის ხატს, თითქო უნდოდა ამით გაეგებინებინა წმინდანისათვის: „ნუ თუ დაგავიწყდა ჯრასაც გთხოვდიო?!.“

ვერაფერ საქმეს ხელს ველარ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა კაციას იმის მეტი, რომ—ის დაექადნა ანდრიას, წმინდანის შემწეობით ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და თვით წმინდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

დიდ-მარხვამ გაიარა. კაცია, რომელიც ყოველ წელიწადს ეზიარებოდა ხოლმე ამ დროს, წლეულს არ ზიარებულა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ იმის გულს ამ სამხიარულო დღესაც არ გაუხარია.

აპრილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე; ეკლესიაზედ მრავალი ხალხი იყო თავ-მოყრილი. ჩვეულებისამებრ, დღეს ხატებით უნდა შემოევლოთ ეკლესიისათვის და მერე მღვდელს ხალხი უნდა დაელოცნა. წირვა გათავდა. ეკლესიიდან ხალხმა გამოსვლა იწყო.

— ყველა ხატებს გავყვეთ, ყველა! დაიძახა ვიღაცამ.

— უთუოდ, უთუოდ!... აბა რისთვის მოსულხართ... სეირს უყურთ თუ?—დაუმატა მეორემ.

— უტიეთ, ყმაწვილებო, გზა მიეცით!.. რატომ იცით კარებში გაჩერება,—მიაყვირა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა რამდენსამე კაცს, რომელნიც ეკლესიის კარებთან შეჩერდნენ და

ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ.—ვერ ხედავთ ხატებს მოასვენებენ?

მართლადაც, კარებში გამოჩნდა ხატებით ხელში რამდენიმე გლეხი, მათ უკან მოჰყვებოდა შემოსილი მღვდელი სასხურით მარჯვენა ხელში და ჯვრით მარცხენაში. მღვდელი თან ჯვარს სახავდა ხალხს და თან წმიდა აიაზმის წყალს ასხურებდა.

— ნუ გაჩერებულხართ, ყველა ხატებს გამოჰყევით... ეკლესიას შემოვუაროთ... კირილე, პეტრე ვის უყურებთ!... ეკლესიას შემოუარეთ! უძახოდა მღვდელი ხალხს.

— კირი-ე-ლე-ისონ! კი-რი-ე-ლეი-სონ! გაიძახოდა იმდენი ხალხი და წყნარის ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან ხატებს. უკვე სამჯერ შემოუარეს ეკლესიას და შემდეგ ხატები გალავანში გაიტანეს და იქ დაასვენეს.

ხალხი გარს შემოეხვია მღვდელს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ლოცვა წაიკითხა და ხალხს უბრძანა ხატების წინ მუხლი მოიყარეთო.

— წმიდაო გიორგი! მიმართა მღვდელმა წმ. გიორგის ხატს, რომლის სახელიც ერქვა ამ ეკლესიას:—წმიდაო გიორგი! ყველა ესენი შენი ყმები არიან, შენი მმოსავნი, შენს მფარველობის ქვეშე მყოფნი, შენი მავედრებელნი და გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება: ნუ მოაკლებ ამათ ნუგეშინის ცემას, წყალობას შენსას, განაშორე ყოველივე ბოროტი, განაძლიერე ამათში კეთილი, დათრგუნე ავი და შთანერგე შიში და სასოება .. რათა ადიდონ სახელი შენი, ჩვენო მფარველო, ჩვენო სასოებავ, ჩვენო ბატონო, უკუნითი უკუნისამდე!..

— ამინ, ამინ! ისმოდა ყოველის მხრიდან.

ჯერ კიდევ მღვდელს არა ჰქონდა გათავებული ვედრების სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი კაცია საგუნაშვილი წამოიჭრა წინ, მისწი-მოსწია დაჩოქილი ხალხი და ერთ წამში წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა.

— ჩვენი რამე ესმის ახლა ვითომ მაგას?.. განამ მე ძაღლი ვიყავი, ჩემი რომ არ შეისმინა?.. აბა რაღა ვთქვა!.. საშინელის ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა.

ეს ისე სწრაფად, ერთ თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ ვერ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება. მღვდელი გაფითრებული, გონება-დაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს.

— რას ამბობ, შე შეჩვენებულო? მიაძახეს აქედ-იქიდან კაციას. ვილამაც ხელიც ჰკრა; კაცია წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— კაცია, გაგიჟდი?

— ჭკუაზედ შეიშალე?—უყვიროდნენ გარეშემო.

— რა ქნა ამ შეჩვენებულმა!.. უმაგალითო საქმე არ ჩადინა?!!... ამბობდნენ გაოცებულნი მაყურებელნი.

— რაო, რა თქვა?—კითხულობდნენ მოშორებით მდგომნი.

— წმ. გიორგის ხატი ჰგმო!.. იყო პასუხი.

— კაცია საგუნაშვილმა ხატი ჰგმო!.. კაციამ ხატი ჰგმო! ისმოდა ყოელგან და ამ ამბავმა ელვასავით შემოირბინა იქაურობა.

— რატომ ჰქნა მაგ შეჩვენებულმა ეგ ამბავი? კითხულობდნენ ზოგიერთნი.

— ანდრია ჭურაშვილი ყავდა გადაცემული და რატომ წმ. გიორგიმ არ დაჰსაჯაო!

— ვაი, გაგიჟებულა, ნამდვილ გაგიჟებულა ეგ უბედური! ამბობდნენ და ყველას თვალი მიქცეული ჰქონდა ამ საკვირველ მოხუცებულისკენ, რომელიც დინჯად, მაღალის ჯოხით ხელში, გალავნის ჭისკრისაკენ მიდიოდა.

უეცრად ქალის საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— მომკალით!.. მომკალით!.. რა დღეს შევესწარი?.. მომკალით!.. ვაიმე, ვაიმე!.. რადა ვარ ცოცხალი მე წაწყმედილი!!! კიოდა მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მორბოდა იმ მხრიდან, სადაც ქალები იდგნენ ცალკე. ეს იყო კაციას ქოლი დოდო.

— სადაა, სად ის შეჩვენებული?!.. სად არის?.. თვალით დამანახვეთ ერთი! სასოწარკვეთილებით გაიძახოდა დოდო.

— ეგერ მიდის, დედავ, აი, ეგრ ჭისკართან! მიუთითეს კა-

ციაზედ. დოდოს თითქო დაავიწყდა თავისი მოხუცებულობა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაექანა კაციასაკენ.

— სად მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიჰყავხარ ეშმაკს, შე წყეულო?!. სად მიეთრევი... სად მიეთრევი, შე სამიწევ?!. მირბოდა და თან კოდა დოდო. ის-იყო კაციამ გალავნის ჭიშკრის კარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია.

— სად ეშმაკებში მიხვალ?.. სად ჯანდაბას მიხვალ?.. ახლავე დაბრუნდი... დაბრუნდი-მეთქი, და ხატს შესთხოვე გაპატიოს!.. გესმის ჩემი თუ არა?.. შესაზარი ხმით მიაყვირა კაციას დოდომ.

— იქით!.. მომშორდი! ყრუდ წაილაპარაკა კაციამ და ს

— ადექ, შვილო, ადექ!.. ნუ გეშინია, შვილო! — მოხუ-
ცებული მღვდელი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს, ამ დედაკაცის
უსაზღვრო მწუხარებას რომ ხედავდა. — ნუ გეშინია... წმ. გი-
ორგი ყურადღებასაც არ მიაქცევს მაგის უგუნურობით ჩადე-
ნილ საქციელს!.. ოღონდ ილოცე, შვილო, ეკედრე და სულ-
გრძელი წმინდანი შეუნდობს, თუ შენი ქმარი შეიგნებს თავის
ცოდვას... შედი, შვილო, ეკლესიაში: წმ. გიორგის დაუჩოქე
ეკედრე... ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა და სულგრძელი!..

მღვდელმა გადასახა ჯვარი დედა-კაცს; დოდო ხელზედ
ემთხვია, მემრე შევიდა ეკლესიაში და იქ, წმ. გიორგის ხა-
ტის წინ მუხლ-მოდრეკილი, დიდხანს ეკედრებოდა, ცხარე
ცრემლით მტირალი, რათა შეენდო ყოვლად მოწყალე წმიდანს
ქმრისათვის უგუნურობით ჩადენილი საზარელი საქციელი.

მღვდელი კი ისევ ხალხს ელაპარაკებოდა.

— ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადვი-
ფრენთ ხან და ხან თავზედ... გულის-წყრომას ხომ საზღვარი არა
აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს
ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს ნე-
ბაზედ უნდა იქნეს ყოველისფერი და, თუ ისე არ იქნა, საშუა-
ლებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ...
დათმენა რა არის — ხშირად არც კი გვინდა ვიცოდეთ. და აი
სადამდის მივყევართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც
კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზედ
არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... ამაზედ მეტი
შეიძლება!.. აი სადამდინ მივყევართ ჩვენს გულფიცხობას... აი
სადამდინ მიდის ჩვენი უგუნური გულის-წყრომა... დამშვიდ-
ღით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება... რომ გულფიცხობაში
ჩადენილი საქციელი შესანანიებლად ისევ თქვენვე არ დაგირ-
ჩესთ!..

იმ სამახსოვრო დღიდან საკვირველად გამოიცვალა კაცია.
ძვირად უნახავთ, რომ ვისმეს დაჰლაპარაკებოდა. თავის
ოჯახშიაც ცალკე ყოფნას ცდილობდა ყოველთვის. ხან და ხან,
დოდო რომ მასთან ლაპარაკს დააპირებდა, კაცია წამოდგებო-

და, აიღებდა ჯოხს და სადღაც მიეშურებოდა. ბოლოს,—უწყინარ შეშლილს დაემსგავსა.

მოტყდა, უცნაურად მალე მოტყდა, სრულიად დაბერდა და მოიკუმშა ამას წინად წარმოსადეგი კაცია. ზედვე ეტყობოდა, რომ იგი სწუხდა, სწუხდა გარდამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა.

ერთხელ ისე მეტის-მეტად შეწუხდა, რომ მთელი ოჯახი ფეხზედ დადგა.

— არიქა, ბიჭო გიორგი, ღვდელთან!.. მალე! შეჰყვირა დედამ თავის ვაჟს.

— არ მინდა, არა!.. ძლივს წამოილუღლუღა კაციამ, რომელიც საზარლად კვნესოდა ტახტზედ მწოლიარე.

— მალე, შვილო, მალე!... უზიარებელი არ მოკვდეს ეს შავდღეზედ გაჩენილი!... ღმერთო დიდებულო, მოხედე შენის მოწყალე თვალით!... და დედა რომ ავადმყოფთან ფუსფუსობდა, გიორგი მღვდელთან მირბოდა თავ-მოძულებით.

ცოტა ხანს იქით კაციას მღვდელი ადგა თავზედ.

— რას შვრები, კაციო?.. როგორ ხარ? ჰკითხა მღვდელმა.

კაციამ ჯერ ხმა არ გასცა, მერე გადმოხედა, მიაპყრა თვალები, დიდხანს უყურა, ხელი გამოართვა, წამოიწია, ემთხვია ხელზედ, მერე უცბად ისევ დაწვა; კედლისაკენ ქნა პირი და ვეება, დევი-კაცი ბავშივით ატირდა სიტყვის უთქმელად. ამ მწარე, საცოდავად მოთქმამ მღვდელს გული აუჩჩვილა; ცრემლებით თვალებზედ ის გულ მხურვალედ ლოცულობდა და თან ნუგეშს აძლევდა საცოდავ მოხუცებულს. კაცია ეზიარა.

რამდენისამე დღის შემდეგ მოხუცებული მოკვდა საშინელ ტანჯვაში. საწყალი ბერი კაცი თავის გულს შემოასკდა; გულფიცხობამ იმ ზომამდინ მიიყვანა, რომ უმაგალითო საქციელი ჩაადენინა და ამ ჩადენილი საქციელის მოგონება, რომლის გასწორებაც მის თვალში შეუძლებელი იყო, წარმოუთქმელად აწუხებდა, სტანჯავდა, სტანჯავდა მუდამ, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, ისე, რომ ბოლოს ბერ-კაცს ძალ-ღონეც გამოელია და სულიც დალია.

— ვერ ვიტირებთ, — ამბობდნენ მეზობლები: — ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთ! და ამიტომაც მიცვალებულ კაციას სასაფლაოზედ მხოლოდ ოლოშვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ მის უბედურ-დღეზედ გაჩენას დაჰსტიროდნენ.

დავ. კლდიაშვილი

აპრილ. 28—1893 წ.

ანდრე კორნელი

რომანი პოლ ბურჟესი

XII *)

/მთელს იმ საღამოსა და მასუკან კიდევ მთელს სამს დღეს სულ შიშსა და თრთოლაში ვიყავი; ყოვლად დიდი განსხვავება არსებობს ჩვენს ათამაშებულს ფიქრ-ოცნებასა და ნამდვილ ცხოვრების სულ უუმცირედესს, იოტის ოდენა ნაწილს შორის, თუნდაც რომ მეტად გარკვეული, ნიშანდობლივი სახე მიიღოს იმ ფიქრ-ოცნებამა. რასაკვირველია, მამი-ჩემის წერილებმა დიდად მისძრა და მოსძრა ჩემი გული და თვალ-წინ დამიყენა ყოვლად საზარელი, დრამატიზმით სავსე სურათები. გარნა სულ უბრალო გარემოებამ—ბ-ნ ტერმონდის შემკრთალმა სახემ, ეტლში როცა დავინახე—ბევრად უფრო მეტად ამაღელვა. მამი-ჩემის წერილების წაკითხვის შემდეგ ჩემის გულის სიღრმეში კიდევ იყო იმედი, რომ უთუოდ ვცდები-მეთქი, უთუოდ გაიფანტება იქვნეულობა, რაკი პირის-პირ შევეყრები საქმესა-მეთქი; ეგ იქვნეულობა, სულ რომ ცოტა ვთქვა, უგუნურებაა და სხვა არაფერი-მეთქი; ვინ იცის, იქნება იმიტომაც ვფიქრობდი ასე, რომ ეგრძნობდი იმ შავბედითს მოვალეობას, რომელიც კისრად დამედებოდა, რაკი დავრწმუნდებოდი ჩემის ეჭვის სიმართლეზედ. სწორედ იმ მიჯნურსა ვგვანდი, რომელიც სრულიად შემთხვევით იგებს, რომ მისმა გულით საყვარელმა უღალატა! თან

*) მოამბე № 4.

იმდენად თავ-მომწონეა და ამაყი ამისთანა მიჯნური, რომ ვერ აუტანია ღალატი ქალისა, თან დიდის დაწვრილებით ძიობს და იკვლევს საქმეს დაფარულის იმედით გულში, იქნება ჩემი სატრფო უდანაშაულო იყოსო; ამ იმედით იმიტომ არის, რომ თუ დამტკიცდა ქალის ღალატი, ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს, ხოლო ძალიან კარგად იცის, რა ძნელია ამისთანა სიმტკიცის გამოჩენა. იმ წუთსვე ვიგრძენ, რა აუცილებელი შედეგიც მოჰყვებოდა იმ გარემოებას, უკეთუ ტერმონდის ბრალი დამტკიცდებოდა. უნდა ხასიათის სიმტკიცე გამომეჩინა, უნდა მემოქმედნა? ვერც კი ვბედავდი, რომ თვალი გამესწორებინა ამ მოქმედების აუცილებელ საჭიროებისათვის. ფიქრადაც არ მომსვლია ამისთანა აზრი, ვიდრე მტერს არ შევხვდი, მტერს დარდითა და ვარმით მოკლულსა. დავიწყე ახლა ფიქრი და სჯა. კარგი და პატიოსანი, უნდა ვიმოქმედო, მაგრამ როგორ ვიმოქმედო-მეთქი? სახლში რომ დავბრუნდი ამ სვე-უბედურ საქმის ამბავს ჩემს თავსვე ვეკითხებოდი და პირველად მაშინ ვიგრძენ მთელის თავის სიღრმე-სიგანით ის საშინელი ყოფა, რომელშიაც ვიყავ ჩავარდნილი. რა მხრიეაც უნდა მომეარნა საქმისათვის, მაინც ჩემი ყოფა აუტანელ ტანჯვა-მწუხარებას მიქადოდა. ყოვლად შეუძლებელი იყო ისიცა, რომ მიმეტოვებინა საქმე ისე, როგორც იყო წინად. ამის ატანა არ შემეძლო. თვალ-წინ მედგა დედა-ჩემი და გონებიდან არ მშორდებოდა სურათი იმისი, თუ რა სიამოვნებით მოვიდოდა ხოლმე ბ-ნ ტერმონდთან და რა სინაზით ჰკოცნიდა შუბლზედა. სულ გამაცივ-გამაცხელებდა ხოლმე მარტო იმის გამო, რომ ასე დაახლოებული იყო დედა-ჩემი თავის ქმრის მკვლელთან. არა, უნდა მემოქმედნა. უნდა მოვიკრიბო ძალ-ღონე და უნდა ვუთხრა-მეთქი დედასა: „ეგ ვაჟბატონი კაცის მკვლელია!“ გარნა, გავივლებდი თუ არა ამას გულში, მაშინვე ის გამიელვებდა ფიქრად, დედა-ჩემი ვერ აიტანს ამის გაგონებასა-მეთქი, მაშინვე თვალწინ დამიდგებოდა მისი სახე და ვხედავდი, რომ მაშინვე ვითომ შიშმა აიტანა, აკანკალდა, თვალები გაუშტერდა და გულ-საკლავად შეჰკივლა; დარწმუნებული ვიყავ, რომ ან გაგონების

უმალვე სულს განუტევებდა ან ჭკუაზედ შეიშლებოდა. არა, ხმასაც არ ამოვიღებ, კრინტსაც არ დავძრავ-მეთქი. თუ შეურყეველი საბუთები რამ ვიპოვე, ავდგები და მართლ-მსაჯულებას მივმართავ-მეთქი; მაგრამ ახლა ჩემი გონება სხვა სურათს წარმოიდგენდა თვალ-წინ. ვხედავდი ვითომ დედა-ჩემს იმ დროს, როდესაც მისი ქმარი უკვე შეიპყრეს. აი ვითომ დედა მარტოკაა თავის ქმართან და ეკითხება: „რა ბრალსა გდებენ განა?“ და აი ესმის საშინელი პასუხი. ერთის სიტყვით, ისე გამოვა, რომ მე შევიქნები მიზეზი იმ ზარისა, რომელიც დედას თავს დაატყდება, მე, რომელიც ყმაწვილობაშივე ვცდილობდი, არავითარი უსიამოვნება არ ეგრძნო დედა-ჩემს, ვუმალავდი ჩემს ტანჯვასაც კი, თუმცა ერთს მის სიტყვას შეეძლო დაეამებინა ჩემი გულის ტკივილი. ვიცოდი, ბედნიერი იყო და ბედნიერებას ისეთი ბინდი გადაეკრა მისთვის თვალებზედ, რომ ჩემს მწუხარებას, ჩემს დარდს ველარა ჰხედავდა. ისევ იმასა ვრჩეობდი, რომ მე ვყოფილიყავ უბედური, ოღონდ კი იმისი ბედნიერება არ შერყეულიყო. ახლა-ღა? ახლაც არ შემეძლო ამისთანა თავზარი დამეცა ამ ჩემთვის ძვირფას, სუსტ არსებისათვის. საშინელს საგონებელში ჩავარდებოდი, თუ დამტკიცდებოდა ტერმონდის დანაშაული და ამ გარემოებამ სხვაფრივ დაატრიალა ჩემი ფიქრი. ჩემდა უნებურადვე სხვა-და-სხვა საეგებიო აზრს დავადექი ახლა. რას ამტკიცებდა ვათომ მწუხარე სახე ტერმონდისა, როცა ეტლში იჯდა? ათას ზრუნვაში იყო და მისი ჯან-მრთელობაც უკან-უკან მიდიოდა და იქნება ეს არის-მეთქი მიზეზი. მხოლოდ ერთი რამ დაამტკიცებდა მის დანაშაულს— სახელდობრ ის, რომ შეშფოთებულიყო და ფერი წასვლოდა, როცა ელაპარაკებოდით; რომ წამომხტარიყო ისე, როგოც წამოხტა ბიძა ჰამლეტისა, ჩემსავით დატანჯულის კაცისა, წამომხტარიყო გაყვითლებული, აღელვებული იმ დანაშაულის ლანდის წინაშე, რომელიც თვალ-წინ დაუყენეს სრულიად მოულოდნელად. მაგრამ მაშინ მის სახეზედ არც ერთი ძარღვიც არ შეთამაშებულა, მის თვალში არც ერთს ნაპერწკალს შიშისას არ გაუელვია. მაშ რად უნდა ვგონებდე, რომ ეს გულის სიმშვიდე

უთუოდ ფარისეველობა იყო, ხოლო ის მღელვარება, რომელიც შევატყე მის სახეს ნახევარ საათს შემდეგ, უთუოდ გამჟღავნება იყო მისის დანაშაულისა? ასეთი სჯა კანონიერი, სამართლიანი სჯა იყო; ახლა ხომ მაინც, როცა გულ დამშვიდებით ვფიქრობ ჩემს წარსულს, ყოვლად სამართლიან სჯად მეჩვენება. მაინც ასე სჯა და ფიქრი ვერა სძლევდა იმ ინსტიკტს, რომელიც მაიძულებდა შავ და უკუღმა კვალს მივყოლოდი. დიაღ, არას არა ჰგვანდა, უგუნურება იყო ის, ვითომ ტერმონდმა მოისყიდა მკვლელი მამი-ჩემისა; უგუნურება იყო იმიტომ რომ საბუთი არა მქონდა, მაგრამ მაინც არ შემეძლო არ მეფიქრონა, რომ ეს ამბავი ჭკუაზედ ახლო იყო; ხან და ხან ისე მეგონა, რომ სწორედ ნამდვილი ამბავია-მეთქი. რაკი ერთხელვე ასეთი ფიქრი დამებადა გულში, ველარ მოვიარშიე, ველარ დავიმორჩილე თავი. ან სულ-მდაბალი და მხდალი იქნები, ან არა და ეგ შენი ფიქრი უნდა დაამთავრო-მეთქი. მოვალე ვიყავ როგორც ჩემის დედ-მამისა, ისე თვით ჩემის თავის წინაშე ამ საქმეს მივყოლოდი ბოლომდე. ვიყავ ამ ვაების ცეცხლში და მწარედ-გაგმირული და ტანჯული. მთელის საათობით ვცემდი ბოლთას ჩემს კაბინეტში. ავიღებდი ხშირად დამბაჩას ხელში, გავტენდი და ვამბობდი გულში: „ერთი წუთი, ერთი გაქნევა თითისა და სამუდამოდ მოვრჩები. ამ ჯოჯოხეთსა-მეთქი". მაგრამ დამბაჩის გაკრიალებულ ლულის ხელის ხლება თვალ-წინ წარმოიდგენდა ხოლმე საიმპერატორო სასტუმროს უბედურებას. ჩემს გონებაში იხატებოდა ის ოთახი, რომელშიაც ელოდა მამა-ჩემს განგებ სახე-გაკეთებული მკვლელი, რომელშიაც სულ-დამშვიდებით დასცა მან ზურგ-შებრუნებულს კაცს დამბაჩა, შემოაბორბლა სისხლით-შესვრილ კისერზედ პირ-სახოცები და, ვითომც აქ არაფერიაო, არხეინად დაიბანა ხელები. ამ ფიქრის დროს კვლავ დაიწყებდა ხოლმე ჩემს გულში დუღილსა და ჩქეფას წყურვილი შურის-ძიებისა, სამაგიეროს გადახდისა. მივიდოდი და დავუწყებდი ყურებას მამი-ჩემის სურათს, რომელიც დამცქეროდა თავის უძრავის თვალებით. ეჭვი მქონდა აღებული იმაზედ, ვინც მამი-ჩემის მკვლელი იყო და განა არ უნდა

შემემოწმებინა ეს ჩემი ეჭვი, მხოლოდ იმ შიშით, ვაი თუ რა შედეგი მოჰყვეს-მეთქი ამ შემოწმებას?! რაც იქნება—იყოს და უნდა კი დავრწმუნდე, რადაც უნდა დამიჯდეს, მართალია თუ არა ჩემი ეჭვი-მეთქი.

სამი დღე გავატარე ასეთს ზნეობრივს ტანჯვასა და ტოკვა-ყოყმანში, სხვა-და-სხვა პროექტებ შორის, რომელთაც მევე უარვყოფდი მოფიქრებისავე უმალ, რაკი ვხედავდი, რომ არც ერთი არ გამოდგებოდა. თქმა ადვილი იყო, უნდა დავრწმუნდე, მართალია ჩემი ეჭვი თუ არა-მეთქი; მაგრამ, როგორ დავრწმუნებულიყავ? როგორ შემეძლო მე, ყოვლად გულ-ჩჩვილს, ყოვლად სუსტს ადამიანს, გრძნობათა მსწრაფლის ცვალებადობით შეპყრობილს, გამეგო საიდუმლო იმ კაცისა, რომელსაც ისე ეხერხებოდა თავის დაკავება? ეს ფიქრი, რომ ის ძლიერია, ხოლო მე უძლური-მეთქი, იმდენადვე მაიძულებდა მოვრიდებოდი მის პირის-პირ ნახვას, რამდენადაც მწყუროდა ეგ ნახვა, ეგ პირის-პირ შეყრა. იმ ხარბ კაცსა ვგვანდი, რომელიც იძულებულია ხმალში გავიდეს და ებრძოლოს დიდად მოხერხებულს მეტოქეს; თან უნდა დაიცვას თავი და მოიგეროს მტერი, თან უნდა სძლიოს კიდეცა; გულადიც არის, გამბედავიცა, გარნა ეჭვობს, ვაი თუ საკმაო სიდინჯე, გულ-დამშვიდება ვერ გამოვიჩინოვო.. რა უნდა მექნა მას შემდეგ, რაც პირველს ცდას ისეთი გამოურკვეველი შედეგი მოჰყვა? თუ ის ლაპარაკი მართლა გულში ჩასწვდა, მაშ როგორ უნდა გამეძლიერებინა გამწვავებულ მისის გულისა და როგორ უნდა აღმეშფოთებინა სამუდამოდ მისი სული? ამ წინა-უკმო ფიქრებით ვიყავ აღბორგებული, რომ უცბად და მოულოდნელად დედი-ჩემის ბარათი მომივიდა; საყვედურსა მწერდა, რომ იმ დღეს აქედ, როცა სახლში არ დაგხვდი, აღარ გაიარეო; თან მაუწყებდა, რომ ჩემს ქმარს ამ სამის დღის წინად კვლავ დიდის ძლიერებით მოუარა თავისმა ჩვეულებრივმა ავადმყოფობამაო. სამის დღის წინადმეთქი? სჩანს, ეს ამბავი მომხდარა მეორე დღესვე, შემდეგ ჩვენის ლაპარაკისა. კვლავ ათასი ეჭვი და ფიქრი დაჰბადა ბედმა ჩემს გულსა და გონებაში. იქნება იმიტომა ჰქონდა ისეთი

ტანჯული სახე ტერმონდს ეტლში, რომ ავადმყოფობას უნდა მოეარნა მისთვისა-მეთქი? ან იქნება ავადმყოფობამ იმიტომ მოუარა, რომ ეგ გარემოება შედეგი იყო იმ შიშისა, რომელიც იგრძნო ტერმონდმა ჩვენის ლაპარაკის დროს, თუმცა გარემოებით ისე გულ-დამშვიდებული კი იყო!? წყეული ეჭვები უფრო გამიძლიერდა მას შედეგ, რაც დედამ მითხრა, შევდგი თუ არა ფეხი მის სახლში.

— აგერ მეორედ მოუარა ამ ორს თვეში თავისმა ავადმყოფობამ, მითხრა დედამ: არასდროს ასე ხშირად არ დაჰმართნია ეს ავადმყოფობა. უფრო ის მაშინებს, რომ თან და თან მეტ-მეტს მორფინსა სვამს ტკივილების დასაყუჩებლად. რამდენი ხანია აგერ, რაც ძილი აღარა აქვს ღამ-ღამობით, მაგრამ მაინც წინად უფრო ფრთხილად იქცეოდა და ახლა კი...

და საწყალი ადამიანი დიდად სწუხდა ამ გარემოების გამო, ხოლო მე, იმის მაგიერ, რომ თანამეგრძნო მის მწუხარებისთვის, ჩემს თავს იმას ვეკითხებოდი, ეგ ძილის დაკარგვა, რომელიც ტერმონდს ასე სტანჯავს, სნეულების შედეგია, თუ სვინიდისის მხილებისა-მეთქი?

— გინდა ჰნახო? მკითხა მოულოდნელად დედამ და, რაკი შემატყო, რომ ყოყმანი დავიწყე ამ წინადადებით გაკვირვებულმა, დაუმატა: თვითონ იმას უნდა შენთან ლაპარაკი და მუსაიფი. ძალიან საინტერესოდა აქვს გუშინდელი არჩევანები კლუბში.

ახლა, ვინ იცის, ეს იყო ნამდვილი მიზეზი იმის ახირებულის სურვილისა, თუ ჰსურდა დაემტკიცებინა, იმდღევანდელ ლაპარაკისათვის ყურადღებაც არ მიმიქცევიაო; ან იქნება, ეჭვებით დახანჯლულს, სწყუროდა წაეკითხა ჩემს სახეზედ, რა ვიცოდი იმ ბედშავის საიდუმლოსი?

ის ოთახი, რომელშიაც ტერმონდი იწვა, ოდესმე ჩემი ოთახი იყო და აი ამ ოთახში შევედი იმავე გულის-ცემით, რა გულის-ცემითაც შევდგი ფეხი ამას წინად მის კაბინეტში. მაგრამ ახლა კი იმედი აღარა მქონდა, რომ ჩემი გადაკრული ლაპარაკი თავ-გზას დაუბნევდა. ცხოვლად მახსოვდა ის სიტყვები მამი-

ჩემისა, რომელიც იმის წერილებში ამოვიკითხე და რომელიც ჰმოწმობდა, რომ იდუმალი უთანხმოება ჩამოვარდნილიყო თანდათან მამა-ჩემსა და დედა-ჩემს შორის; ხოლო ამ ოთახის გარეგნობავე ამტკიცებდა, რა დაახლოვებულნი იყვნენ ერთმანეთთან დედა-ჩემი და მისი მეორე ქმარი. პატარა, ვიწრო საწოლი და მცირეოდენი ავეჯი ოთახისა ცხადი საბუთი იყო მისი, რომ ამ ოთახში ხშირად სულ არავინ იმყოფებოდა. ტერმონდს, როგორც სჩანდა, ეძინა ხოლმე აქ მარტო მაშინ, როცა ავადმყოფობა მოუვლიდა; უამისოდ კი ეს ოთახი მისი ჩასაცმელ-დასახური, სატუალეტო ოთახი იყო. კედლებს, რომელსაც მუქი-მწვანე ქსოვილი ჰქონდა გაკრული, ამშვენებდა მხოლოდ სურათი დედი-ჩემისა, ბონნის კალმით ნახატი. სურათი წარმოადგენდა ქალის პატარად დახატულს თავს, მაგრამ საკვირველის ცხოველებით დახატულს; მეტადრე ამჟამად სჩანდა ცხადად ვარდის-ფერ სინათლეზედ, რომელსაც ჰფენდა ოთახს საწოლის მოშორებით პატარა სვეტზედ მდგარი ლამპარი ვარდის-ფერისავე შუშის ბურთით. სურათი ეკიდა ორ ფანჯარას შუა, სწორედ საწოლ წინა, ისე რომ ტერმონდი დაძინებისასაც უკანასკნელად იმას შეჰხედავდა და გაღვიძებისასაც პირველადვე დედი-ჩემის სახეს დაინახავდა; ეს სახე მხატვარს დიდის ოსტატობით გაეკეთებინა და არა მარტო მისი სილამაზე, არამედ ამ ლამაზის ქალის განგებ დაჩემებული, ცოტა არ იყოს, სათეატრო, მოსაჩვენებელი ლაზათიც გამოეყვანა და გაეცხოველებინა. პირველად ამ სურათს შევხედე და მერე საწოლს, საცა დავინახე ბალიშზედ გაჭაღარავებული თავი ტერმონდისა და მისი ზარდანჩოსავით გაყვითლებული, დანაოჭებული სახე. ყელზედ მოხვეული ჰქონდა ღია ცის-ფერი ფანცვი, რომელიც დედა-ჩემსა ჰქონდა ხოლმე გაკეთებული, ხოლო ზედ ეხურა წითელი მატყლის ძაფით მოქსოვილი საბანი. დედა-ჩემს მოექსოვა და სწორედ იმის ცალი და ნაჭერი იყო, რომელიც ჩემთვისაც მოჰქსოვა. ყველაფერში, თვით წვრილმანებშიც კი ცხადად სჩანდა, რომ დედი-ჩემის გული მე და ტერმონდს შორის იყო გაზიარებული. მით უფრო სამწუხარო იყო ჩემთვის ეს გა-

რემოება, რომ ასეთი ეჭვი მქონდა ახლა ტერმონდზედ აღებული. ვგრძნობდი, რომ თვალები გამცემს და შემეტყობა, რასაცა ჰგრძნობს ჩემი გული-მეთქი; ჩამოვჯექი საწოლს ახლოს, ისე კი რომ ავადმყოფს არ დაენახა ჩემი თვალები და არა შეემჩნია-რა. დედა-ჩემი შემომყვა კიბ ოთახში და მაშინვე ისევ უკან გაბრუნდა, ალბად რაიმე საოჯახო განკარგულებისათვის. ავადმყოფობის მოკითხვის შემდეგ, ტერმონდმა ახალ წევრთა არჩევანების ამბავი გამომკითხა. თავით ღამის სტოლი ედგა და მე იმის გვერდზედ ვიჯექი; დაყრდნობილი ვიყავ მის მარმარილოს ფიცარზე და შუბლი ხელებზედ მქონდა დანდობილი. თუმცა იმის სახეს ვერა ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ თვალს არ მაშორებდა; მე კი პატარა უჯრას ვუყურებდი, რომელიც ოდნავ იყო გამოწეული; იმ უჯრაში იდო საათი, მიხაკის ფერი ქისა, დედა-ჩემის მოქსოვილი და პატარა ჯიბის დამბაჩა. ნეტავ რა დრამატიზმით სავსე ფიქრებს უხატავდა თვალ-წინ ტერმონდს ეს დამბაჩა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, განუშორებელი მისი მეგობარი იყო! არ ვიცი, ამაზედ შემატყო, რასაცა ვფიქრობდი, თუ თითონაც შემთხვევით დაინახა დამბაჩა და აღარ უნდოდა ხელიდან გაეშვა საგანი ჩემთან საუბრისა, რომლის დაწყებაც ადვილი არ იყო მისთვის და პირდაპირ კი მომიგო პასუხი, თითქო მიხვდა, რასაც ვკითხავდი ჩემს გულში.

— დამბაჩას უცქერი? კარგია განა, სთქვა მან, ამოიღო და მიატრიალ-მოატრიალა; ისევე მალე ჩასდო უჯრაში და შესწია: —უცნაური ხასიათი მჭირს: არ შემიძლიან დავიძინო, თუ ახლო გატენილი დამბაჩა არ მეგულება. ჩემი ჩვეულება არავის ზარალს არ აძლევს, ხოლო ძალიან სასარგებლო კია. საწყალს მამა-შენს რომ ასეთი დამბაჩა ჰქონოდა, როცა საიმპერატორო სასტუმროში წავიდა, იქნება მკვლელი ისე ადვილად არ გადარჩენილიყო.

ახლა კი ველარ მოვითმინე და შევხედე ტერმონდს. არა, როგორ გაჰბედა და მომგონა მამი-ჩემის მოკვლა, თუ დამნაშავე იყო? თუ არ იყო დამნაშავე და — მაშ, რად მამარიდა თვა-

ლი, როცა შევხედე? რისთვის დამიწყო ლაპარაკი მამი-ჩემის სიკვდილის შესახებ? იმიტომ ვითომ, რომ სიტყვამ მოიტანა, თუ იმ განზრახვით, რომ დაემტკიცებინა ჩემთვის, ეგ საგანი მე სულაც არ მაშინებსო, თუ, დასასრულ, იმიტომ, რომ გამოვეცადნე და გაეგო, რაოდენად ძლიერი იყო ჩემი ეჭვი?

— მართლა, ჰნახე კიდევ მასსოლი? მკითხა მან მოულოდნელად.

— არა, ვუპასუხე.

— ძალიან ჭკვიანი კაცია, განაგრძო ტერმონდმა: მაგ საშინელის ისტორიის დროს, მე, როგორც მახლობელი მეგობარი განსვენებულისა და დედი-შენისა, ბევრჯელ ველაპარაკე მასსოლს. რომ მცოდნოდა, იმასთან დახვიდოდი, მოკითხვას დაგაბარებდი.

— იმასაც არ დაჰვიწყებიხართ, ვუპასუხე და, რასაკვირველია, ვიტყუე, რადგან მასსოლს ჩემთვის არა უთქვამს-რა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ კვლავ იმ მეტის-მეტმა მტრობამ შემიპყრო, რომელიც მაიძულებდა, როცა პირველად ველაპარაკე, ისე გაბედვით დამეჩხვლიტა და დამელახვრა მისი გული ნართაულის სიტყვებითა.

დავიჯერო, ვერაოდეს კბილს ვერ გამოვუჩხრეკ ამ გამოცანა ადამიანსა-მეთქი? ამ ხანად ტერმონდმა გაუძლო ჩემს შეხედვას, მაგრამ ლაპარაკი აღარ განაგრძო და თითი მიიდო ტუჩებზედ. შორიდან მოესმა, რომ დედი-ჩემის ფეხის ხმა ახლოვდებოდა. იქნება იმ თითის ტუჩებზედ მიდება იმასა ჰნიშნავდა, რომ შეიბრალე ყოვლად უდანაშაულო დედაკაცი, რომელმაც სრულიად არა იცის-რაო? იქნება მისი თვალები იმას მეხვეწებოდა: „ნუ შთანერგავ დედი-შენის გულში ეჭვს, თორემ მეტის-მეტად დაიტანჯებაო“. ან იქნება ის უნდოდა, რომ ამისთანა უსიამოვნო ამბავი აღარ გაეგონა მის ცოლს? დედა შემოვიდა ჩვენს ოთახში. ერთის შემოხედვით გადაგვავლო თვალი ორივეს, ერთის ღიმილით გაგვიღიმა მეცა და იმასაც. იმის ნატვრა და ოცნება სულ ის იყო, რომ ჩვენ ორივესთვის ეცქირნა და იმასთან ახლო ვყოფილი-

ყავით. თუ ეს მისი ნატვრა არ ასრულდა, ამის მიზეზი, როგორც დედას ლაპარაკიდანა სჩანდა კომპიენში, ისევ მე ვიყავი, ჩემი მიუკარებლობა და დაღვრემილი ხასიათი. დედა მოგვიახლოვდა მაინც თავის ნაზის ღიმილით და მოაწოდა ავადმყოფს ქმარს ერთი ჭიქა ვიშის წყალი. ტერმონდმა ხარბად დალია, მისცა ჭიქა და თან ხელზედ აკოცა.

— მარტო დავტოვოთ, სთქვა დედა-ჩემმა: მოსვენება ეჭირვება. თავი მეტად ცხელი აქვს.

გამოთხოვებისას ოდნავ ხელი ჩამოვართვი და მართლა დავრწმუნდი, რომ სიცხე ჰქონდა. არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა ეს გარემოება, იმდენადვე საეჭვო და საუთუო, რამდენადაც საეჭვო და საუთუო იყო ბევრი სხვა ნიშნები და გარემოებანი? შეიძლებოდა ისიც მეფიქრა, რომ ეგ სიცხე, რომელიც იმ ჩვენს ლაპარაკს მოჰყვა, ჰნიშნავდა ჯანის ტკივილსაცა და ზნეობრივს სენსაცა. დავიფიცე, რომ უთუოდ უნდა გავიგო სიმართლე-მეთქი. მაგრამ ვაი ეს იყო, როგორ გამეგო?

თუ ის გამიკვირდა, რომ ავადმყოფმა ტერმონდმა ჩემი ნახვა მოინდომა, იმან უფრო გამაოცა, რომ ორის კვირის შემდეგ თვით მოვიდა ჩემთან ტერმონდი. ვიჯექ ჩემს კაბინეტში და ვათვალიერებდი მამი-ჩემის ქაღალდებს, რომელიც კომპიენიდან ჩამოვიტანე. უცებ მოსამსახურე შემოვიდა და მითხრა: „ბ-ნი ტერმოდნდი გახლავთო“. ეს ორი კვირა კომპიენში გავატარე, ვითომ-და ბარემ გავათავებ იქაურს საქმეებსა-მეთქი, ის კი არა თუ უფრო იმიტომ დავყავ იქ, რომ უკეთესად მომეაზრნა, როგორ მოვქცეოდი შემდეგში ტერმონდსა. უნდა კი ვთქვა, რომ ამ ფიქრებმა უფრო გააძლიერა ჩემი ეჭვი. ჩემის თხოვნისამებრ, დედა-ჩემი მწერდა ავადმყოფის ამბავს და ვიცოდი, რომ ახლა უკედ იყო და ხშირად სასეირნოდაც დადიოდა. პარიჟში რომ დავბრუნდი, განგებ ისეთი დრო ამოვარჩიე დედა ჩემთან წასვლისათვის, როცა, ვიცოდი, არავინ დამხვდებოდა სახლში. და აი ტერმონდიც დაუყოვნებლივ მოდის ჩემთან, თუმცა მას უკან, რაც ცალკე ვცხოვრობდი, სულ ათჯერ არა ყოფილიყო ჩემს სახლში. დაიწყო ლაპარაკი და მითხრა, რომ

დედა-შენმა მთხოვა შეიარე და გამოართვი ნომრები ჟურნალისა, რომელიც აქედან წაიღო, მინდა წავიკითხოვო. მე თვალს არ ვაშორებდი ამ ლაპარაკის დროს; მინდოდა შემეტყო, რა უნდა ყოფილიყო ნამდვილი მიზეზი მისის მოსვლისა.... სახე ჩვეულებრივზე მეტადა ჰქონდა გაყვითლებული, თვალებიც მეტის-მეტად უელვარებდა, ხელები უთრთოდა; შლიაპა ხელში ეჭირა და მოუსვენრად ჭმუჭნიდა.

— ჟურნალები აქ არა მაქვს, ვუპასუხე მე:—იქნებ პაპიროზის მოსაწევ ოთახში ვიპოვოთ.

ტყუილად მოვიგონე, რასაკვირველია; ჟურნალები ჩემს საწერ სტოლზედ ეწყო კაბინეტში, მაგრამ პაპიროზის საწევ ოთახში სურათი იყო მამი-ჩემისა და მინდოდა მენახა, როგორ შეეხედავდა იმ სურათს ტერმონდი. ჩემმა მამი-ნაცვალმა უცბად ვერ შეამჩნია სურათი, მაგრამ მივედი მოლბერტთან, რომელზედაც იყო გამაგრებული ის სურათი და იმანაც, რა კი თვალს არ მაშორებდა და სულ მე მიცქეროდა, მოულოდნელად მიაპყრა თვალები ამ სურათს. თვალის ქუთუთოები შეუთამაშდა და აუთრთოლდა, სახეზედ შავმა ჩრდილმა გადურბინა; მაშინვე მოტრიალდა და დაუწყო ცქერა სხვა პატარა სურათს, რომელიც კედელზედ ეკიდა. მაგრამ დრო აღარ მივეცი, რომ მოეფიქრებინა რამ, მივყევ ჩემს შეუბრალებელს წესს, რომელსაც ჯერ არავითარი ნაყოფი არ გამოელო, და ვკითხე:

— როგორ გგონიათ, ეს სურათი მამი-ჩემისა ძლიერ არა მგავს მე? ერთი მეგობარი მეუბნებოდა ამას წინად, თმა რომ გაიკრიჭო და წვერი მოიპარსო, პირ-წავარდნილი მამა შენი იქნებოდიო.

ტერმონდი ჯერ მე დამაცქერდა მუშტრის თვალით და მერე სურათს დაუწყო ყურება. გარეშე კაცს ეგონებოდა, რომ ჩემ წინა დგას მცოდნე მხატვრობისა, ექსპერტი, რომელსაც მხოლოდ ხელოვნების შნო და ლაზათი უნდა დააფასოსო. თუ მართლა იმისი მოსყიდული იყო მამი-ჩემის მკვლელი, სწორედ ქვეყანას გააოცებდა იმის სიმტკიცე და თავის შეკავების უნარი.

დიალაც, რომ ეს წუთი საშინელი წამება იყო მისთვის. მცირედი აღელვება თითქმის გამოტეხის ნიშანი იქმნებოდა. ღმერთო, რა გაგიჟებით მინდოდა იმ დროს ხელი დამედო მის გულზედ და შემეტყო, როგორ უცემდა?

— ჰგევხარ სურათს, წარმოსთქვა მან ბოლოს: მაგრამ არც ისე ძლიერ. უფრო ჰგევხარ ნიკაპში, ცხვირსა და ტუჩებში, მაგრამ შეხედულება, შუბლი და ლოყები სულ სხვა-და-სხვა ნაირი გაქვთ.

— ნეტავი იმდენად საკმაო მსგავსებაა ჩვენ შორის, რომ, ვთქვათ, შემხვდეს უცებ მამი-ჩემის მკვლელი, და შევაშინო? ვკითხე მე, თვალი თვალში გავუყარე და ესეც დავუმატე: ვთქვათ, რომ უთხრა კიდეცა: „გეცნობათ თუ არა შვილი თქვენის მხვერპლისა?“

— ჩვენ ისევ წინანდელს ლაპარაკს ვუბრუნდებით, მიპასუხა ტერმონდმა და სახე ოდნავაც არ შეიცვალა: ეგ დამოკიდებულია იმის სვინიდისის მხილებასა და ნერვებზედ.

ორივენი დავჩუმდით. იმის გაყვითლებულს, გამხდარს, მაგრამ ყოვლად უძრავს სახეს მოთმინებიდან გამოვყავდი იმ წუთს, ხოლო, ვინ იცის, რამდენი ამისთანა სცენა შეგვემთხვა შემდეგ; ვგრძნობდი, რომ გაბედულება, მხნეობა მემატებოდა და სულ ახალ-ახალ ღონისძიებას ვიგონებდი ჩემის მტრის გამოსაცდელად, საწამებლად. სურათს შემდეგ წერილებს მივმართე. იმ კაცსა ვგავდი, რომელიც დანასა სცემს თავის მოწინააღმდეგეს და იმ დანას ხელის მოსაკიდი კი გატეხილი აქვს. თითოეული დარტყმა ამწარებს მტერს, მაგრამ კაცს საკუთარს ხელსაც უსისხლიანებს. მაგრამ, არა, მე ასეთი კაცი არ ვიყავ. კარგად ვგრძნობდი იმ ტანჯვას, რომელსაც ჩემს თავს ვატეხდი მით, რომ ვცდილობდი საიდუმლოს გაგებას, ხოლო ჩემი მოწინააღმდეგე ისეთის ოსტატობით ჰმალავდა თავის წყლულს, რომ მე თვალითაც ვერა ვხედავდი. მაგრამ ამაებს ვინ დასდევდა? გაგიჟებული წყურვილი იმისი, რომ შემეტყო როგორმე სიმართლე ჩემის ეჭვისა, სრულიად მავიწყებდა ჩემს ტანჯვა-მწუხარებას.

— ახირებული მსგავსებაა ხოლმე ხან და ხან ადამიანთა შორის, ვთქვი მე: აი, მაგალითად, მე და მამა-ჩემს სულ ერთნაირი ხელი გვაქვს, დაჰხედეთ!

გავაღე კედელში დატანებული რკინის ყუთი, საცა შენახული მქონდა საყურადღებო საბუთები და, სხვათა შორის, მამიჩემისა და მამიდას წერილებიც. ავიღე ხელში უკანასკნელი წერილები მამი-ჩემისა, სწორედ ისინი, რომლის კონვერტზედ ეწერა ადრესად: „ქ-ბნს ლუიზა კორნელის, კომპიენი“ და თარიღი პარიჟიდან გაგზავნისა—აპრილი და მაისი 1864 წელს. თუ ტერმონდი დამნაშაევ იყო, უნდა ეფიქრნა, რომ უთუოდ ეს წერილებია მიზეზი იმ ცელილებისა, რომელსაც მე მამჩნევდა თავის შესახებ; უთუოდ ეს წერილებია მიზეზი ამ კაცის ყოვლად საოცარის გაბედულებისა და ისეთის ზედ-მოსევისაო. არ შეეძლო მოუსვენრობით არ შეჰკითხებოდა თავის თავს, ნეტავ რა უნდა იყოს იმ წერილებში, რომელიც უპოვია თავის მამიდას ქალალდებში და რომელთ წყალობით ასეთი ეჭვი აღძვრია ჩემ შესახებაო. როცა წერილები ხელში აიღო, წარბები ძალზედ შეეკმუხნა, ერთს წუთს იმედი მომეცა, ძლივს ავხადე აგერ ამ კაცს ნიღაბი, რომლის ქვეშაც იფარავდა თავის ნამდვილს სახეს, მისის სულის მღელვარების გამომხატველსა-მეთქი. მაგრამ შევცდი, ტერმონდს თვალების ძარღვებმა დაუწყო მოძრაობა, რაიცა ითქოს ყველას მოსდის, ვინც კი იძულებულია ძალა დაატანოს მხედველობას. ნაოჭები მალე გაუქრა შუბლზედ და წერილები ისევ უკან მომცა; ხმაც კი არ ამოიღო იმის შესახებ, თუ რა ეწერა შიგ.

— ამაში კი საოცარი მსგავსებაა, სთქვა მან დამშვიდებით და დაუმატა: ჟურნალები სადღაა?

კინაღამ ვიტირე, ისეთი ბრაზი მომივიდა და კვლავ ვიგრძენ, რომ ჩემისთანა ნერვებით სუსტს ბავშვს არ შეუძლიან ბრძოლა ასეთს გულ-დადინჯებულ მოწინააღმდეგესთანა-მეთქი. ჩავწყე წერილები რკინის ყუთში და დავუწყე რევა წიგნებსა ოთახებში, ვითომ და ჟურნალებს ვეძებ-მეთქი. ბოლოს ვიპოვე საწერ სტოლზედ და თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ ძალიან გავ-

კვირდი, აქ სადა ყოფილა ეს ჟურნალები-მეთქი. ყოველივე ესე ცარიელი კომედია იყო და, არ ვიცი, სწორედ, მოვატყუე ტერმონდი თუ არა. ის სულ პაპიროზის საწევ ოთახში იჯდა ჩუმად სურათისკენ ზურგ-შექცეული. ასეთი მისი ჯდომა, რასაკვირველია, არაფერს არ მოასწავებდა. თუნდა რომ ყოველად უბრალოცა ყოფილიყო, მაინც სასიამოვნო არ იქნებოდა მისთვის ამ სურათის ცქერა.

— ახლა კი მინდა გავთბე მზეზედ და ბულონის ტყეში წავალ გასასეირნებლად, სთქვა მან; ეტლი აქ მიცდის; თუ გინდა შენც წამოდი.

გულითა მთხოვა ვითომ, ერთად გავისეირნოთო, როდესაც ასეთი ამბავი სრულიად არ შეეფერებოდა ჩვენს ურთიერთობას? რითა ჰხელმძღვანელობდა? ის თუ უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ვერც კი გავიგე შენი ნართაული ლაპარაკიო. ან იქნება, რაკი ავადმყოფი იყო, არ უნდოდა მარტოდ-მარტო დარჩენილიყო? მე მაინც დავთანხმდი ყოველ შემთხვევაში. პატარახანს უკან ორივენი მივქროდით სადღესასწაულო, კამარა-შეკრულ კარისაკენ სწორედ იმავე ეტლით, რომელშიაც ისე მწუხარე, ისე დაღვრემილი და მოკლული ვნახე ჩვენის პირველის ლაპარაკის შემდეგ. ახლა კი სულ სხვა კაცი იყო. თბილი პალტო ეცვა, ბეწვ-გამოკრული, პირში სიგარა ჰქონდა და ხან მარჯვნივ უკრაჴდა თავს ნაცნობებსა, ხან მარცხნივ და მხიარულად მიამბობდა სხვა-და-სხვა სასაცილო ამბავს გზაში შეხვედრილთა შესახებ; იმას კი სრულიად არ დაეძებდა, ვიცოდი მეც ეგ ამბები თუ არა. ისე მეჩვენებოდა, რომ უთუოდ იპიტომ ლაპარაკობს ამდენს, კიდევ არ გამოატყვრინოს რამე ამ კაცმა ჩემდა ასაღელვებლადაო. მაგრამ მე ღონე აღარა მქონდა განმეგრძო ამაოდ ჩხრეკა ამ გაფოლადებულ და კაჟივით გამაგრებულ კაცის კბილისა. გაჩუმებული ვუსმენდი და ვამჩნევდი იმ უცნაურს სხვა-და-სხვაობას, რომელიც არსებობდა მის საიდუმლოდ დაკრძალულ აზრებსა და იმ მაღალ-საზნეობო საქციელს შორის, რომელსაც ჩვეულებრივ ჰქადაგებენ. ტერმონდი მუდამ მაღალ-საზოგადოებისა და დიდ-კაცობის

პრინციპებს იცავდა და ახლა კი იმის სიტყვებიდან ის უნდა დაესკვნა კაცს, რომ მაღალი საზოგადოება სწორედ ბუდეა გარყვნილებისა.

სწორედ ის დრო იყო, როცა ქალები სადარბაზოდ დადიან. ტერმონდი მიამბობდა სამარცხვინო ისტორიებს ყოველ იმ ქალის შესახებ, რომელიც კი გზაში შეგვხვდებოდა. ერთი მაზლთანა სცხოვრობსო, მეორე ხასაა მოხუცებულის დიპლომატისა, რომელმაც ცოლი ფულისა და მზითვის გულისთვის შეირთოვო; მესამე ცოლად გაჰყვა ხნიერს იდიოტს, იმიტომ რომ მისი ქალიშვილი უყვარდაო. ისეთის ნეტარებითა და სიამოვნებით მიამბობდა ამ ჭორებსა, თითქო უხარიან, რომ კაცობრიობა ასე დაცემულაო. არ ვიცი, ეს კაცთა-ძულება იმ ხნიერ ლოთიბაშის კაცთა-ძულება იყო, რომელიც კლუბშია მიჩვეული უმართებულო ლაპარაკს, თუ უნამუსობა და ცინიზმი იყო იმ ბოროტისა და ავაზაკის კაცისა, რომელიც, რა კი ჰგრძნობს, რომ ცოდვილი და დამნაშავე ვარო, კმაყოფილებით ჰფიქრობს, მადლობა ღმერთს, არც სხვები არიან ჩემზედ უკეთესნიო. გული მეთანაღრებოდა როგორღაც და ასე მეგონა, მძიმე ქვა მაწევს-მეთქი ზედა. არ ვიცი, მიხვდა ტერმონდი, რომ მისი მხიარულება გულ-ღვიძლს მიხანჯლავდა, თუ თვითონვე მოსწყინდა წარა-მარა ლაპარაკი, ეს კია რომ უცებ გაჩუმდა. ეტლი გავაჩერეთ ბულონის ტყის ერთს მიყრუებულ ალაგას და ძირს გადმოვედით, რომ პატარა ხანს ფეხით გვეარნა. ისე ცხოვლად მახსოვს ეს ამბავი, თითქო გუშინ მოხდა-მეთქი. პატარა ბილიკი იყო გატკეპნილ-გატიტვლებულ, გაცრცვნილ ხეებსა და გამჭკნარ, ატრუსულ ბალახ შორის, ცივ ზამთრის გაცრიაგებულ ცას ქვეშე; პატარა მოშორებით დიდი გზა იყო და ჩვენი ეტლი იმ გზაზე მოდიოდა ნელ-ნელა. ჩემ წინ მიალაჯებდა მაღალ-მაღალი ტერმონდი თავის გრძელ თბილ პალტოთი, რომლის ბეწვის საყელო უფრო ცხადად აჩენდა მის უდროვო ჭაღარას; ერთს ხელში ჯოხი ეჭირა და მოუთმენლად სცემდა რიყის ქვებს, რომლებიც აქედ-იქით იფანტებოდა. რა მიზეზია, რომ ამ კაცის სახე სულ თვალებში მეჩხირება? მიზე-

ზი ის თუ იყო, რომ, რაკი ამ გარემოებაში ვნახე, პირველად ვიგრძენ მისი საცოდაობა და უბედურება, პირველად დაერთო შებრალება იმ მძულვარებას, რომელიც მქონდა ამ კაცისა; ის კი ნელ-ნელა მიაბიჯებდა საცალ-ფეხო ბილიკზედ ყოვლად განადგურებული, ძალ-ღონე გამოლეული, გულის კანკალით მომლოდინე, რომ იქნება ცოტათი მაინც გამითბოს ძვლები ამ მიმქრალმა ზამთრის მზემაო. არ ვიცი, დიდ ხანს ვისეირნეთ თუ არა, მაგრამ მოულოდნელად კი შედგა და სთქვა:

— ვერა ვარ კარგად. წავიდეთ სახლში. მართლაც, სახეზედ ეტყობოდა, რომ მეტის-მეტად იტანჯებოდა.

როცა უკვე ეტლში ვისხედით, სთქვა კიდევა:

— დიდის ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ისე ვიტანჯები, რომ აქამდე ასჯერ მოვისწრაფებდი სიცოცხლეს, რომ დედა-შენი არ....

და მოჰყვა იმის შესახებ ლაპარაკს დიდის და გულ-წრფელის სიყვარულით. მეც არას დროს, თვით უსაშინელეს დროსაც კი, ეჭვი არა მქონდა, რომ ტერმონდს მეტის-მეტად უყვარდა დედა-ჩემი. ტერმონდი დიდად აქებდა და ამბობდა, რომ ყოვლად გულ-ჩჩეილია, გულ-კეთილი, გულ-შემატკივარიო, მეკი ნაცადი მქონდა მისი გულ გრილობა; ის ამბობდა, ჭკვიანია, მოხერხებული, ადვილად მიმხვედრიო და დედა-ჩემი კი ჩემს ამბავს ვერ მიხვდა.

— გიყვარდეს ეგ ადამიანი, დაუმატა ტერმონდმა: მალე მარტო შენ ერთს-ღა გეყვარება.

თუ მართლა ის იყო დამნაშავე მამი-ჩემის მოკვლაში, რა-საკვირველია, ისიც ეცოდინებოდა, რომ, რაკი ჩვენ შორის დედა-ჩემს აყენებდა, ამით აგებდა იმ ერთად-ერთს დაბრკოლებას, რომლის დაძლევას ვერას დროს ვერ შევიძლებდი, ხოლო თუ ეს დაბრკოლება არსებობდა, მაშ რაღა საჭირო იყო ძებნა ტერმონდის დანაშაულის დასამტკიცებელ საბუთებისა? მაშ რაღას ვუყურებდი ჯ ერთხელ და სამუდამოდ თავს არ ვანებებდი ამ ამაო და უსარგებლო ძიება-კვლევასა? ოლონდაც, თავი უნდა დამენებებინა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

XIII

ვითომ მხდალი ვიყავ? როცა მაგონდება ის, რაც მოიქმედა ჩემმა მარჯვენამ, რომელშიც ეხლა კალამი მიჭირავს, უნდა ვთქვა—„არა“. მაშ რა მიზეზი იყო, რომ პირველ სცენებ. შემდეგ, როცა ისე საშინლად ვაწამებდი ტერმონდს, იმდენს ხანს გულ-ხელ-დაკრებილი ვიყავ? სასტიკად ვესაყვედურებოდი ჩემს თავს, რომ იმოდენა ხნის განმავლობაში ვერავითარი მტკიცე საბუთი ვერ ვიპოვე. ნამდვილი, საგრძნობელი, ნიშანდობლივი საბუთი სულ უბრალო შემთხვევით ჩავიგდე ხელში. თვითონ მე არ მიპოვნია ეგ საბუთი იმ სიბნელეში, საცა იმალებოდა. მე მაინც არაფერში ბრალი არა მქონდა. რაკი ტერმონდმა იმოდენი სიმტკიცე გამოიჩინა სულისა, რომ მხნედ დაუხვედა მოულოდნელს ჩემს თავ-დასხმას, რაღა უნდა მომეხერხებინა? დამრჩენოდა მხოლოდ, თვალ-ყური შედევნებინა ყოველ მის საქციელისათვის და გამეთვალისწინებინა, შემემეცნებინა თვით იდუმალნი ნაკვთნი მისის ხასიათისა. კვლავ დავუბრუნდებოდი ხოლმე ჩემს პირველ სჯასა და ფიქრს: რადგან სათვალდათვალო, ნივთიერის საბუთების მოპოვება შეუძლებელი იყო, ამას მაინც უნდა ვცდილიყავ, რომ შემომეკრიბნა ყოველი ზნეობრივი საბუთი, ცოტად თუ ბევრად შუქის მომფენი და დამამტკიცებელი იმ რთულის დანაშაულისა, რომელსაც ამ კაცს ვაბრალებდი. ხოლო ეს გარემოება მაიძულებდა ხშირად ვყოფილიყავ დედი-ჩემის სახლში და ეს კი მეძნელებოდა და არც მესიამოვნებოდა. ასეთს დაახლოვებას აუტანელი ტანჯვა უნდა ეგრძნობინებინა ჩვენ ორივესთვის, თუმცა იგივე დაახლოვება უცნაურადვე ჰმოქმედებდა ჩვენზე. დიაღაც, რომ გული მეთუთქებოდა, როცა დედი-ჩემის ახლო ვხედავდი ტერმონდს, რომელსაც უყვარდა, რომელიც უყვარდათ და რომელსაც ყველა პატივსა სცემდა.

— მერე რომ მართლა კაცის-მკვლელი იყოს, სულ-მდაბალი, საზიზღარი მკვლელი? ვეკითხებოდი ჩემს თავს.

ზი ის თუ იყო, რომ, რაკი ამ გარემოებაში ვნახე, პირველად ვიგრძენ მისი საცოდაობა და უბედურება, პირველად დაერთო შებრალება იმ მძულვარებას, რომელიც მქონდა ამ კაცისა; ის კი ნელ-ნელა მიაბიჯებდა საცალ-ფეხო ბილიკზედ ყოვლად განადგურებული, ძალ-ღონე გამოლეული, გულის კანკალით მომლოდინე, რომ იქნება ცოტათი მაინც გამითბოს ძვლები ამ მიმქრალმა ზამთრის მზემაო. არ ვიცი, დიდ ხანს ვისეირნეთ თუ არა, მაგრამ მოულოდნელად კი შედგა და სთქვა:

— ვერა ვარ კარგად. წავიდეთ სახლში. მართლაც, სახეზედ ეტყობოდა, რომ მეტის-მეტად იტანჯებოდა.

როცა უკვე ეტლში ვისხედით, სთქვა კიდევა:

— დიდის ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ისე ვიტანჯები, რომ აქამდე ასჯერ მოვისწრაფებდი სიცოცხლეს, რომ დედა-შენი არ....

და მოჰყვა იმის შესახებ ლაპარაკს დიდის და გულ-წრფელის სიყვარულით. მეც არას დროს, თვით უსაშინელეს დროსაც კი, ეჭვი არა მქონდა, რომ ტერმონდს მეტის-მეტად უყვარდა დედა-ჩემი. ტერმონდი დიდად აქებდა და ამბობდა, რომ ყოვლად გულ-ჩჩვილია, გულ-კეთილი, გულ-შეშატკივარიო, მეკი ნაცადი მქონდა მისი გულ გრილობა; ის ამბობდა, ჭკვიანია, მოხერხებული, ადვილად მიმხვედრიო და დედა-ჩემი კი ჩემს ამბავს ვერ მიხვდა.

— გიყვარდეს ეგ ადამიანი, დაუმატა ტერმონდმა: მალე მარტო შენ ერთს-ღა გეყვარება.

თუ მართლა ის იყო დამნაშავე მამი-ჩემის მოკვლაში, რა-საკვირველია, ისიც ეცოდინებოდა, რომ, რაკი ჩვენ შორის დედა-ჩემს აყენებდა, ამით აგებდა იმ ერთად-ერთს დაბრკოლებას, რომლის დაძლევას ვერას დროს ვერ შევიძლებდი, ხოლო თუ ეს დაბრკოლება არსებობდა, მაშ რაღა საჭირო იყო ძებნა ტერმონდის დანაშაულის დასამტკიცებელ საბუთებისა? მაშ რაღას ვუყურებდი ჯ ერთხელ და სამუდამოდ თავს არ ვანებებდი ამ ამაო და უსარგებლო ძიება-კვლევასა? ოღონდაც, თავი უნდა დამენებებინა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

XIII

ვითომ მხდალი ვიყავ? როცა მაგონდება ის, რაც მოიქ-
შედა ჩემმა მარჯვენამ, რომელშიც ეხლა კალამი მიჭირაეს, უნ-
და ვთქვა — „არა“. მაშ რა მიზეზი იყო, რომ პირველ სცენებ
შემდეგ, როცა ისე საშინლად ვაწამებდი ტერმონდს, იმდენს
ხანს გულ-ხელ-დაკრებილი ვიყავ? სასტიკად ვესაყვედურებო-
დი ჩემს თავს, რომ იმოდენა ხნის განმავლობაში ვერავითარი
მტკიცე საბუთი ვერ ვიპოვე. ნამდვილი, საგრძნობელი, ნიშან-
დობლივი საბუთი სულ უბრალო შემთხვევით ჩავიგდე ხელში.
თვითონ მე არ მიპოვნია ეგ საბუთი იმ სიბნელეში, საცა იმა-
ლებოდა. მე მაინც არაფერში ბრალი არა მქონდა. რაკი ტერ-
მონდმა იმოდენი სიმტკიცე გამოიჩინა სულისა, რომ მხნედ და-
უხვედა მოულოდნელს ჩემს თავ-დასხმას, რაღა უნდა მომეხერ-
ხებინა? დამრჩენოდა მხოლოდ, თვალ-ყური მედევნებინა ყო-
ველ მის საქციელისათვის და გამეთვალისწინებინა, შემემეცნე-
ბინა თვით იდუმალნი ნაკვთნი მისის ხასიათისა. კვლავ დავუ-
ბრუნდებოდი ხოლმე ჩემს პირველ სჯასა და ფიქრს: რადგან
სათვალდათვალო, ნივთიერის საბუთების მოპოვება შეუძლებე-
ლი იყო, ამას მაინც უნდა ვცდილიყავ, რომ შემომეკრიბნა
ყოველი ზნეობრივი საბუთი, ცოტად თუ ბევრად შუქის მომ-
ფენი და დამამტკიცებელი იმ რთულის დანაშაულისა, რომელ-
საც ამ კაცს ვაბრალებდი. ხოლო ეს გარემოება მაიძულებდა
ხშირად ვყოფილიყავ დედი-ჩემის სახლში და ეს კი მეძნელე-
ბოდა და არც მესიამოვნებოდა. ასეთს დაახლოვებას აუტანე-
ლი ტანჯვა უნდა ეგრძნობინებინა ჩვენ ორივესთვის, თუმცა
იგივე დაახლოვება უცნაურადვე ჰმოქმედებდა ჩვენზე. დიაღაც,
რომ გული მეთუთქებოდა, როცა დედი-ჩემის ახლო ვხედავდი
ტერმონდს, რომელსაც უყვარდა, რომელიც უყვარდათ და რო-
მელსაც ყველა პატივსა სცემდა.

— მერე რომ მართლა კაცის-მკვლელი იყოს, სულ-მდა-
ბალი, საზიზღარი მკვლელი? ვეკითხებოდი ჩემს თავს.

და აი წარმომიდგებოდა თვალ-წინ ტერმონდი ყოფაში, რომელშიაც უნდა ყოფილიყო, საცა სამართალია, ესე იგი იმ ყოფაში, რომ ვითომ მიჰყავთ დასასჯელად, გაყვითლებული, თავ-მოპარსული, ხელებ შებოჭილი, ცოდვის მონანიების განწირულებით შეპყრობილი. ამის მაგიერ სულ სხვა ჰანგები ესმოდა ჩემს ყურებს: „ძლიერ იტანჯები, ჩემო მეგობარო... როდისთვის ვუბრძანო, რომ ეტლი მზად იყოს, ჟაკ?.. თბილად დაიხურე... ვინ მოვიწვიო სადილად ოთხშაბათს?“ ნაზი ხმა დედი-ჩემისა მეტის-მეტად მიკლავდა გულს, მაგრამ წყურვილი შავ-ბედითის ჭეშმარიტების გაგებისა ყოველ ტანჯვა-წამებაზედ ძლიერი იყო. იქამდე მივიდოდი ხოლმე ეჭვის გამო, რომ სულ ვბოდავდი, თითქო აცივ-აცხელებსო. ამის გამო უძლეველი სურვილი მქონდა, რომ ის კაცი სულ თვალ-წინ მყოლოდა, რომ მეწვა და მედაგა ჩემის ახლო ყოფნითა. ისიც თითქო თვითონვე ეტანებოდა საოცარის მორჩილებით ასეთს სატანჯველს.

იქნება ისიც იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მე? ახლა ყველა საიდუმლო გამოაშკარავდა და ვიცი, რა მონაწილეობასაც იღებდა ტერმონდი საშინელს შეთქმულობაში, ამიტომ ცხადადა ვგრძნობ, რისთვისაც მეპყრა ხელში მისთვის ყოვლად-მწვავი, ჩემდა მომზიდველი ძალა. სხვა არაფრის ფიქრი არ შეეძლო: იმას, თუ არ ჩემი შესახები, ხოლო მე არაფრის ფიქრის ძალა არა მქონდა, თუ არ იმის შესახებისა. ერთურთის მძულვარება გვიზიდავდა ერთმანეთისადმი; ხოლო, როცა ცალკ-ცალკე ვიყავით, მეტის მეტი ღელვა შეგვიპყრობდა ხოლმე აღვირ-წახსნილის, უგუნურის ფიქრ-ოცნებისა. მის ახლო ყოფნა, თუმცა ცეცხლი იყო ჩემთვის, მაგრამ მაინც მამშვიდებდა და ასუსტებდა იმ ჩემის სულისა და გულის ქარტეხილსა და ბობოქრობას, რომელიც, როცა შორს ვიყავ იმაზედ, ვინ იცის, სად გადმისვროდა ხოლმე. დავრჩებოდი თუ არა მარტოკა, ათასი, ყოვლად უგუნური პროექტი მებადებოდა თავში. ხან მომივიდოდა ფიქრი, დავესხმი თავს და დავჭყივლებ, აი შე კაცის-მკვლელო, ძალით გამოგტეხავ-მეთქი! ხან ვამბობდი, ბ-ნს მასსოლს შევუჩნდები, რომ ხელმეორედ დაიწყოს გამოძიება, რადგან ბევრი

ხვა ახალი ცნობა მიჭირავს-მეთქი ხელში; ხან ვიტყოდი, მოვიტყუდი ერთს-ორს წუწკსა და საზიზღარს კაცს, მოვატაცებინებ ტერმონდს, ჩავამწყვრევ სადმე მიყრუებულს ალაგს იმ დრომდე, ვიდრე არ გამოტყდება-მეთქი. ჩემს გონებას ცეცხლი ეკიდებოდა ასეთს ბოდვაში, რომელიც მით უფრო ძლიერდებოდა, რომ ვგრძნობდი ჩემს ყოვლად უღონობასა და უმწეობას. როცა იმასთან არ ვიყავი, უთუოდ ისიც ასეთს ვაი-ვაგლახში უნდა ყოფილიყო, იმასაც უნდა ათასი ყოვლად შეუძლებელი საეგებიო შენობა აეგო და პროექტი ედგინა. უთუოდ ისიც ეკითხებოდა თავის თავს, ნეტავ რა იცის, რას მოიქმედებს და პასუხად, იმის და მიხედვით, თუ რა გუნებაზედაც იყო, ამბობდა: ან ყოველივე იცის, ან სრულიად არაფერიო. მაშინ კი, როცა ერთად ვიყავით, უგუნური ხიმერები ჰქრებოდა ცხოვრების ნამდვილ გარემოებათა წინაშე. ერთმანეთს ვაკვირდებოდით და ვსწავლობდით, როგორც ორი მტერი, რომელნიც მზად არიან ერთმანეთს შეებნენ, და ვგრძნობდი, რომ ერთი ნაბიჯიც არ წაგვედგა წინ მას უკან, რაც პირველი ლაპარაკი გვქონდა, კომპიენიდან დაბრუნების შემდეგ. რაიცა შემეხება კერძოდ მე, ეს ფიქრი მარჩობდა, თუმცა ამასთანავე მანუგეშებდა და ათავისუფლებდა ჩემს სვინიდისს უმოქმედობისათვის საყვედურისაგან. რა შემეძლო მომექმედნა?

გულის სალევი დრო იყო ეს დრო—თებერვალი, მარტი და აპრილი 1879 წლისა. მაისამდე ვცხოვრობდი ამ უცნაურის ცხოვრებით, დავდიოდი ტერმონდთან თითქმის ყოველ დღე და, როცა არა ვხედავდი, ვეძლეოდი უგუნურს ბოდვას, ხოლო როცა მის ახლო ვიყავ, მეკიდებოდა გულზედ ცეცხლი და ვიწოდი. ჩემის მოქმედების ასპარეზი იმითი იყო შემოხაზული, წრე-შემოვლებული, რომ ტერმონდის ხასიათს ვაკვირდებოდი მარტო; ანატომივით აღგზნებულის ცნობის-მოყვარეობით ვეძლეოდი მის ზნეობრივ არსების კვლევა-ძიებას და, იმის და მიხედვით, რასაც შევამჩნევდი, ან კმაყოფილი ვიყავ, ან გულ-აჩხრეკილი და გუნება-ამრეზილი. დიდად ვაფასებდი მის ხასიათის თვითეულს კნინს, თვითეულს წვლილს და ვფიქრობდი, რომ აი ეგ

კნინი, ეგ წვლილი ჩამახედებს იმის გულში და გამიმჟღავნებს საიდუმლოსა-მეთქი. კვირაში რამდენჯერმე დავსეირნობდით ერთად ბულონის ტყეში, მაშინ როცა წინად არც ერთხელ არ გვესეირნა იქ ერთად. ან ის შემომივლიდა, ან შემთხვევით შევხვდებოდით ერთმანეთს, აღძრულნი ერთმანეთის ნახვის ინსტიქტურის წყურვილით. როცა სეირნობაში ვლაპარაკობდით როშელისამე შორეულ საგნის შესახებ, შევამჩნევდი ხოლმე, როგორ გაბრაზებული სცემდა ცხენს ლაგამს და ხშირად იქამდე მიიყვანდა, რომ საშიში იყო კიდეც არ გადმოეგდო, თუმცა კარგი ცხენოსნობა იცოდა, უყვარდა გიჟი ცხენები და მტარვალივით აწვალებდა გულ-ქვავის შეუბრალებლობით. რომ ვუყურებდი, რა უსამართლოდ და უწყალოდ ეექცეოდა ცხენებს, უნებლიედ ვფიქრობდი, ცხოვრებაშიაც ასე იმონებს და იმორჩილებს ყოველთა და ყოველსავე იმავე გულ-ქვავის შეუბრალებლობითა-მეთქი. ისეთი გულ-ღრძო და ჯუღელი კაცი იყო, რომ სიტყვა „შენდობა“, „მიტევება“ ყოვლად უაზრო სიტყვად მიაჩნდა და იმის დავთრიდან სულ ამოშლილი იყო; საზოგადოებაში. ამის გამო განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დაჭერილი; ტერმონდი არავის არ უყვარდა, შიშით კი ყველას ეშინოდა იმისი და ისეთის სახლებში იყო მიღებული, საცა ძნელად იღებდნენ ნაცნობებს. ყოვლად მართებულ გარეგნობის ქვეშ იმალებოდა მისი არა ჩვეულებრივი, უმწვერვალესი ძალ-ღონე და მხნეობა, რომელიც სრულიად და სავსებით გამოიჩინა ომის დროს. პარიეს ახლო ისე იბრძოდა, როგორც შეუძლიან ბრძოლა დიდად გაბედულს, თავ-განწირულს ვაჟკაცს; ჩემის აზრით, ასეთის გულადობის მიზეზი ან ის იყო, რომ უნდოდა განწმენდილიყო თავის ცოდვათაგან, რათა თავისი თავი თვითონვე არ ჰზიზღებოდა, ან არა და — უნდოდა გულის-ბუხარი ამოეყარა და გზა მიეცა თავის მტარვალობისა და ძალ-მომრეობის ინსტიქტებისათვის. ესიც შესაძლოა, რომ ომსა და ბრძოლაში ეძებდა თავ-დავიწყებას და იმ შავ-ბნელ სასოწარკვეთილების გაქარვებას, რომელიც გულს ულრღნიდა პირველ შეხედვით ბედნიერს გარემოებაში მყოფსა. რა აყო მიზეზი იმ შავ-ბნე-

ლის სასოწარკვეთილებისა? დავიჯერო, მარტო სნეულება ჯანისა? და აი, როცა დავაცქერდებოდი ხოლმე, იმის გარეგნობას, ფიქრად მოვდიოდა შენიშვნები სწავლულის კაცებისა დამნაშავეთა თვალ-ტანადობის შესახებ; ტანი ტერმონდს მეტად დიდი ჰქონდა და ფეხები კი პატარა, ხელები გრძელი ესხა, ქვემო ყბა სასტიკის შესახედაობისა იყო და ერთი სალოკი თითი მეტად გრძელი ჰქონდა. ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო საყურადღებო იყო ჩემთვის, რომ ტერმონდს ჩვეულებად ჰქონდა ხელის დამუჭვა და სალოკის თითის დამალვა. ცხადია ყოველ აქედან ვერავითარს გარკვეულს აზრს ვერ დავასკვნიდი, მაგრამ მაინც კი ვერ ვიშორებდი თავიდან ასეთს სამეცნიერო ცნობებს: ამასთანავე მის სხვა და-სხვა გარეგანსა და ზნეობრივს თვისებას ვუდარებდი ერთმანეთს და ვფიქრობდი, რა ზნეობრივი თვისება უნდა ჰქონოდა ამ კაცს დაბადებითვე თან დაყოლილი თავის მშობელთაგან. მისმა პაპამ დედის მხრით თავი თურმე მოიკლა დამბაჩით, ღვინსმა ძმამ გაჰყლანგა თავისი წილი სამკვიდრებლისა; მერე გაიქცა ომის დროს პოლკიდან, რომელშიაც მსახურებდა და თავი დაირჩო წყალში. მის ოჯაზში სადრამო და სატრაგედიო ბევრი რამ იყო. ესა და ბევრი სხვა, უფრო უარესი აზრი, მოდიოდა ფიქრად, როცა ცხენებით დაესეირნობდით ხოლმე ორნი ერთად.

ბულონის ტყიდან დაბრუნების შემდეგ ათასში ერთხელ დედასთან ვსაუბრობდი, უფრო ხშირად კი სახლში მივდიოდი და ვსაუზჰობდი ჩემს განმარტოებულს სასადილო ოთახში, რომელსაც ფანჯრები რენეტის თოფის სასროლისკენა ჰქონდა; მუდამ თოფის სროლის ხმა ისმოდა იქიდან და დარდს მიქარვებდა, გულსა მფხანდა. საუზმის შემდეგ ბაშინვე დედასთან წავიდოდი. იქ ძალიან იშვიათად ვრჩებოდით მე და ტერმონდი მარტოდ-მარტო. მაგრამ ამ გარემოებას ჩემთვის ახლა შნიშვნელობა აღარა ჰქონდა. თუ მართლა კაცის-მკვლელი იყო, მიხვედრილიც იქმნებოდა ჩემის გადაკრულის ლაპარაკით და, რასაკვირველია, ყოველ ღონის-ძიებას მოიხმარებდა, რათა ვერავი-

თარის მოულოდნელის თავ-დასხმით ვერ გამომეტეხნა და საიდუმლო ვერ ამომეუქმევინებინა. ისევ იმასა ვრჩეობდი, რომ თვალ-ყური მედევნა იმ დროს, როცა სხვას ვისმე ელაპარაკებოდა; დიდად მაკვირვებდა ხოლმე მაშინ მისი საოცარი უნარი თავის შეკავებისა. ყმაწვილობასა და ჭაბუკობაში საშინლად მძულდა ეს თვისება ტერმონდისა, რომელიც ისე ეწინააღმდეგებოდა ჩემს გულ-ჩჩვილობას, ჩემს ფიცხს ბუნებას, ღელვა-ჩაქროლვის მალვას დაუჩვეველს, ამ ოსტატობას ყოვლად მოკლებულს. ახლა კი, თითქო მიხაროდა, რომ ვამჩნევდი ისეთს უზომო ფარისევლობას. მალვა ყველაფრისა ძვალ-რბილში ისე ჰქონდა გამჯდარი, რომ თავის დღეში არას დროს არ ეტყოდა თავის ცოლს თავის საქმისას, ან სად დადიოდა, ან ვისთან იყო ხოლმე, რას აკეთებდა, რას კითხულობდა. რასაც იტყოდა, ყველაფერს სწონავდა და ჰზომავდა და წინადვე იცოდა, რომელ მის სიტყვას რა შედეგი მოჰყვებოდა. ასე თავის შეკავება და თავის დაჭერა მშვიდობიანსა და ბედნიერს ოჯახში, ცხადია, საოცრადა ჰქონდა ყველას: სწორედ უცნაური, გამოცანა და საიდუმლო კაციაო, ამბობდნენ. ვუფარდებდი ერთმანეთს ტერმონდის ხასიათის სხვა-და-სხვა თვისებას, სხვა-და-სხვა კნინსა და წვლილს, ვუმხარდამხარებდი მის თავდაჭერა-შეკავებასა და აღგზნებულს გულ-ქვაობა-მტარვალობას და არ შემეძლო ის აზრი არ დამესკვნა, რომ სწორედ ყოვლად საშიში კაცია-მეთქი, როცა ელაპარაკებოდა ვისმე, უფრო კითხვა-ძიებაში იყო; თავად კი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, იმასაც დიდის სიფხიზლით, ფრთხილად, დარბაისლურად; თუ, რასაკვირველია, ისეთი რამ იშვიათი შემთხვევა არა იყო-რა, როგორც, მაგალითად, ჩვენი წასვლა ბულონის ტყეში გასასეირნებლად, როცა ისე ენად გაიკრიფა, იმდენსა ლაპარაკობდა, თითქო მრავალ-სიტყვაობაში ეძებს თავდავიწყებასაო, როცა ისე ატაცებულივით იღრიჭებოდა, ცინიზმით სავსე თეორიებს ჰქადაგებდა და ისე სამარცხვინოდ ჰხუმრობდა, რომ სულ ტანი მეჭინჭრებოდა. მის ახირებულ ხასიათებ შორის ყველაზედ მეტად მაკვირვებდა ის ხალისი, რა ხალისითაც ეტანებოდა სამოსამართლო მკურნა-

ლობას. ერთხელ, გაცხარებული ლაპარაკი აქვთ იმასა და მის რამდენსაც ნაცნობს რომელღაც მაშინდელს შესანიშნავ პროცესის გამო და ტერმონდმა დაასახელა წელიწადი, თვე და რიცხვი, როცა შეპყრობილ იქმნა ცნობილი დოქტორი ლა-პომერე. მოვძებნე წიგნებში და აღმოჩნდა, რომ სწორედ ნიშანდობლივ დაჰხსომებოდა თარიღი მის დაპატიმრებისა. ნეტავ რად ჰქონდა მითსვის ასეთი მიმზიდველი ძალა სხვა-და-სხვა დანაშაულობას? იქნება ესეც ისეთი სულის ავადმყოფობა იყოს, რომელსაც ბ-ნ მასსოლის თქმით, ისე ხშირად ამჩნევენ დამნაშავეთა და რომელიც აიძულებს იმ ადგილს ეტანებოდნენ, საცა დანაშაული ჩაიდინეს, უცქირონ იქ თავიანთ მსხვერპლის გვამს, ეტანებოდნენ იმათ, ვისაც ეჭვი აქვს აღებული იმაზედ, თვალ-ყური ადევნონ გაფაციცებით იმ პროცესებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვს მათს ავაზაკობასთან... ხან-და-ხან ავადმყოფობასავით მოუვლიდა ხოლმე ტერმონდს ჟინი სიჩუმისა, მდუმარებისა და აღარაფრის გულისთვის კრინტს აღარ დასძრავდა. იყო ისე გაჩუმებული და სწევდა სიგარას სიგარაზედ, თუმცა ექიმებისაგან სასტიკად ჰქონდა აღკრძალული. დღისით თუთუნი, ღამე მორფინი, ძილის წამალი; ნეტავ რა ტანჯვას იყუჩებოდა ამ ღონისძიებათა ხმარებით? რა უწიწკნიდა გულს: სნეულება ჯანისა, თუ მხილება სვინიდისისა? ხან-და-ხან ისეთი შავ-ბნელი სევდა-ნაღველი დააწვებოდა და ისე გარინდებული იყო ხოლმე, რომ ჩემს ახლო ყოფნასაც კი აღარავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა მისთვის; ასეთი სევდა-ნაღველი, ასეთი გარინდება იმ კაცის სევდა-ნაღველსა და გარინდებასა ჰგვანდა, რომლის ტანჯვა-წამებასაც უმწვერვალესობამდე მიუღწევია, იმ ხარისხამდე მიუღწევია, როცა გულს აღარ ძალუძს იგრძნოს რამე გრძნობათა ნამეტანობის მიზეზით. ასეთს ყოფაში ორჯელ-სამჯერა ვნახე; იჯდა თავის განგებ თითქმის სულ დაბნელებულ ოთახში და ისე იყო გამოჩალული, მიხრწნილი და მოკლული, რომ არავითარი ყურადღება არ მომაქცია. ჩამოვჯექ პირდაპირ და ხმა-გაკმენდილმა დავუწყე დაშტერებით ცქერა. მინდოდა ერთი შემეძახნა: „გატყდი-ღა, გატყდი, ქვა და კლდე ხომ არა ხარ“.

არაფერიც არ გამიკვირდებოდა, რომ დაეყარა იმასაც ფარ-ხმალი და ეთქვა პასუხად: „დიაღ, მართალია, უნდა გავტყდე". ამისთანა ყოფაში ვგრძნობდი ხოლმე, რომ ყოველად უაზრო იყო ის წვრილმანი საბუთები, რომელსაც ისეთის გულმოდგინებით ვაგროვებდი, უბრალო რომ იყოს და არავითარი დანაშაული არ მიუძღოდეს-მეთქი? ვფიქრობდი ამას და ვიყავ გაჩუმებული იმ ეჭვების გადამკიდე, რომელიც იმდენს ხანს მტანჯავდა და მიწვავდა გულ-მუცელს, ამასობაში ტერმონდი გამოერკვეოდი ხოლმე ნელ-ნელა და დამიწყებდა ხოლმე დედაზე ლაპარაკს. კვლავ მის სურათს აითვალისწინებდა და აყენებდა ჩვენ შორის. რადა? იქნება იმიტომ ლაპარაკობდა ისეთის მღელვარებით დედა-ჩემზე, რომ ჰგრძნობდა ახლოვდებაა წუთი, როცა საუკუნოდ უნდა განვშორდეო? თუ ამ ფარითა ცდილობდა დაეფარნა თავისი თავი, რაკი იცოდა, რომ მის წინაშე ძირს ვყრიდი იარაღს? ან იქნება ამით მემუდარებოდა უსიტყვოდ, დაიხსენ დედა შენი, ნუ გააგებინებ ნურაფერს და ნუ გაუმწარებ სიცოცხლესაო? ეს უკანასკნელი ფიქრი უფრო ჭკუაზედ ახლო იყო. ბუნებით ფრიად გულადი იყო, გულ-ფიცხი, ანჩხლი და, თუ მაინცა-და-მაინც ეთმენდა ჩემს კადნიერს დაცქერებას და დაშტერებას, სამარცხვინო ნართაულს ლაპარაკს და მუქარაქადილსა, ეთმენდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში მომხდარის უსიამოვნებით დედა-ჩემისთვის არა ეწყენინებინა-რა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ასეთის უსიამოვნებით წყეული საიდუმლო მაინც არ გამომჟღავნდებოდა. იმისთვის ბევრად უფრო ადვილი იყო, თუნდ ჯოჯოხეთი აეტანა, ოღონდ კი დედა-ჩემს არ გაეგო, რა ბრალიც ედებოდა. ტერმონდს სწორედ რომ ძლიერ უყვარდა თავისი ცოლი. დიდად სამძიმოა და საწყენი ჩემთვის ეს გარემოება, მაგრამ მაინც ვერ უარ-ვყოფ ამას. ხოლო თუ ეს სიყვარული არსებობდა, ისაც რომ გვძულებოდა ერთმანეთი, ერთი საზოგადო მოვალეობა გვედებოდა ორივეს: უნდა დაგვეცვა და დაგვეფარა ბედნიერება იმ არსებისა, რომელიც ორივესთვის ისე ძვირფასი იყო. მაინცა-და-მაინც შორი-შორს იყო ერთმანეთზედ

ის გრძნობანი, რომელიც გვაღელვებდა მე და ტერმონდს; მეკი თავზარსა მცემდა მარტო ოდენ ის, ფიქრი, რომ იმასაც იმ დენადვე უყვარს დედა-ჩემი, რამდენადაც მე მიყვარს-მეფქი, და თუმცა იქნებ მისი ხელი მამი-ჩების სისხლითაც იყოს შესვრილი და დედა-ჩემს კი მაინც უყვარს ის კაცი-მეფქი.

ტერმონდს უყვარდა დედა-ჩემი! იმის გულისთვის შეისყიდა ავაზაკი, მოაკვლევინა მამა-ჩემი და ამ სახით ცოლსა ჰხვდა წილად დაღუპვა თავის ქმრისა. ყოველგვარი ღონე მიიღო, დიდის სიფრთხილით იმოქმედა, რათა ჩაეფარცხა საქმე, თუ ვინიცობაა რამ გარემოება გამოტყვრებოდა; ისიც კი მოისაზრა, რომ მკირეოდნად გადვუხსნი გულს ქალსა, და ამ გულახდილობისათვის უფრო მენდობა და ბრმად ირწმუნებს ჩემს პატიოსნებასაო; ამას გარდა, მოისაზრა ისიც, რომ კარგად უნდა მოვექცე ანდრესა და ამით ვანუგეშო მისი დედაო. მაგრამ ყოველივე ეს სიფრთხილე და წინდახადულება მისვე საწინააღმდეგო იარაღად გადაიქცა. ჩვენ ორივეს, მეცა და იმასაც რომ დედას გულწრფელი მეგობრობა არ დაგვეწყო, დედა-ჩემი არას დროს არ მეტყოდა იმას, რამაც მოუღო ბოლო ჩვენს ყრუ ბრძოლას, რომელიც ამოდ იწირავდა ჩემს უმწეო ენერგიას. არსებობს ვითომ ბედი, როგორც ჰფიქრობდნენ ისინი, ვინც ბონაპარტესავით ყველაზედ მხნედ მიჰმართავდნენ ხოლმე ამ ქვეყნიურს საქმეებს თავიანთ სურვილისამებრ? ჩემს განვლილს ცხოვრებას ვითვალისწინებ, ვაკვირდები, რაც რომ თავს გადამხვედია, და იძულებული ვარ აღვიარო, რომ ნამდვილად არსებობს ულმობელი ლოღიკა ყოველისავე ქმნილისა და ქმნად მოწიფულისა, რომ ეს ლოღიკა ასრულებს, აბოლოვებს ყოველსავე, რაც უნდა შეუდგეს ჩვენს საქციელს, ჩვენს მოქმედებას, რომ მოხერხებით ჩადენილი დანაშაული თვითვე ატარებს ჩვენის საბოლოოდ დაღუპვის ვითარებას. როცა მაგონდება, რომ სწორედ იმისგან, იმ დედაკაცისგან, რომელიც ისეთის აღგზნებით უყურებდა ტერმონდს, შემთხვევით შევიტყე ის, რაც უეცველი საბუთი იყო მისის დანაშაულისა და რასაც იმდენს ხანს ვეძებდი, ასე მგონია ზედ ტანზედ მიბერავს სიო

ბედის საწერელისა-მეთქი. თან მაშინებს ეს ამბავი, რადგან ჩემი ხელიც შესვრილია სისხლით, მაგრამ თან მამშვიდებს კიდეც; ენუგეშობ მით, რომ ვეუბნები ჩემს თავს, მე ვიყავ მხოლოდ იარაღი აუცილებელისა, გარდუვალისა და უხილავის ბედის საწერელისა-მეთქი. საცოდავი დედა-ჩემი! ისიც მომაკვდინებელი იარაღი იყო ბედისწერისა, გარნა იარაღი ბრმა, როგორიც არის მახვილი, რომელიც ჰკლავს და არ კი იცის, არ კი ჰგრძნობს, რომ ვკლავო. მე-ღა, მე ვიცოდი, რაცა ვქმენი...

როგორც იყო შევძელ და ვთქვი აქამდე ეს აღსარება, აღსარება მარტივი, დაწვრილებული; ვთქვი ისე, რომ არა დამიმალავს-რა, არა გამიტარებია-რა კრიტიკის ქარ-ცეცხლში; მაგრამ, რაკი მოვუახლოვდი ახლა იმ სცენას, რომლითაც იწყება უკანასკნელი მოქმედება ჩემის სიცოცხლის დრამისა, ვტოკავ და საგონებელს ვეძლევი. მხდალი ვარ! მხდალი! მხდალი! კვლავ გონება მებნევა და აღარა მეყურება-რა იმისი, რაც მოვიქმედე, რაც ჰქენჯნის ჩემს სვინიდისს... არა, აღთქმა მაქვს დადებული, დავამთავრო აღსარება და დავამთავრებ კიდეც. დიაღ, მოვიქმედე ის, რაც მოვიქმედე; დიაღ, სისხლით არის შესვრილი სწორედ ის მარჯვენა, რომლითაც ვწერ ამ სტრიქონებს, მაგრამ მაინც უნდა დამემორჩილოს და დაამთავროს წერა ჩემის აღსარებისა დასასრულამდე.

გრ. ყაფშაძე.

(დასასრული იქნება).

საქართველო და მისი ისტორიული

წარსული დრო

პ. ფოტტოსი

ბევრი პოეზიაა სისხლით დაწერილს კავკასიის ისტორიაში; ქართველი მას თვალ-ცრემლიანი კითხულობს. იგი მას აუწერს საუკუნოების განმავლობაში მომხდარს ტანჯვა-ვაებას, სამეფოს სამეფოებად დაყოფას, ამბოხებას მეფეთა და თავადთა შორის, ტომთა და ნათესავთა შორის, ომებს, ფეოდალების ციხე-სიმაგრეთ, როგორც სავანეს მძარცველობისას, დიდებულთა დარბაზებს, როგორც ბუნაგს მტარვალობისას, რომელთა წინაშე მუხლს იდრეკავდა ერიც, სამღვდელოებაც. მაგრამ ამ უბედურებათა შორის საქართველოს ისტორიაში რამდენიმე ბრწყინვალე ხანაც მოიპოვება...

პ. იოსელიანი.

კავკასიის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს უძველეს დროიდანვე ცხოვრებდნენ ქრისტიანე ერნი ქართველთა მოდგმისანი, რომელნიც შეადგენდნენ რამდენსამე დამოუკიდებელს სამეფოს: საქართველოსას (ქართლი და კახეთი), იმერეთისას, სამეგრელოსას და გურიისას; ეს სამეფონი ხან ერთდებოდნენ და ხან ცალ-ცალკევდებოდნენ. ყველაზედ ფმთავრესი და ძლიერი ნაწილი საქართველოს ტომისა იყვნენ ქართველნი, რომელთაც ეჭირათ მტკვრისა და ალაზნის მიდამონი. ამისათვის საქართველოს ისტორია ერთსა და იმავე დროს არის ისტორია დანარჩენ ქართველთა ტომებისაც, რომელნიც ისტორიულ უბედურების დროს თავეთს ბედს უერთებდნენ საქართველოს ბედს და მშვიდობიანობის დროს თავეთს განცალკევებით ჰბა-

დავდნენ მეფეთა გვარეულობასა და ერთა შორის შეფოთსა და ამბოხებას.

უძველესი თქმულებანი, ჩაწერილნი ისტორიაში საქართველოს მეფის ვახტანგ VI მიერ, გვაუწყებენ, რომ ქართველთა ტომი არის ჩამომავალი ქართლოსისა, ნოეს ძის იაფეტის თესლისაგან, რომელსაც წილად ერგო მტკვრის მიდამონი არაგვის შესართავამდინ.

მთლად საქართველოს დიდი ხნის ცხოვრებას უწოდებენ მარტიროლოგს ანუ მოთხრობას დაუსრულებელ ტანჯვათა. ძნელად თუ ამაზედ უკეთესს სახელს მოუგონებდნენ. მას აქედ, რაც ისტორიამ აღნიშნა ეს ქვეყანა, იგი ანდამანტივით იზიდავდა სხვა-და-სხვა ერთა, რომელნიც მოისწრაფებოდნენ მისკენ ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და შორეულ დასავლეთით და, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, აქ აოხრების კვალს სტოვებდნენ. ქართლის მოტიტვლებულს გორებზედ და კახეთის და იმერეთის საუცხოვო მცენარეულობით შემკულ ადგილთა შორის დღევანდლამდინ მოჩანან ნანგრევნი მკვიდრად ნაშენ ძველის დარბაზების და ციხეებისა, რომელნიც ძვირად უღირდა ერს მტრის შემოსევის დროს. ძნელად თუ დედამიწის ზურგზედ იყოს სხვა ქვეყანა, სადაც მოიპოვებოდნენ ესოდენი მუნჯნი მოწამენი ერის ტანჯვისა. იმ დროს, როდესაც მივიწყებულს და ბუნებისაგან გამოგრებულს კავკასიის მთებში ქვეყნისათვის უცნობნი ხალხნი ველურ ცხოვრებას ატარებდნენ და ასეთი ცხოვრება ძვალ-რბილში უჯდებოდათ, სამხრეთით მთების კალთებზედ ძველი ივერია თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში მედგრად და მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას და დასაწყისს განათლებისას მაჰმადიანთა და წარმართთა შემუსვრისაგან.

საქართველოს ისტორია იწყება აღმოსავლეთის უძველესის დროიდან. მის პატრიარქალურს ცხოვრებას ბოლო მოუღო მამასახლისობის დაარსებამ. როდესაც დაიწყო აზიაში ხალხის დიდი გადასვლ-გადმოსვლა, მაშინ დაჰკარგა საქართველომ თავის დამოუკიდებლობა, მას თან და თან იმორჩილებდნენ ასურელნი, ბაბილონელნი და სპარსნი. სპარს-

თა მეფეების წინამძღოლობით ქართველნი დაწნულის ფარებით და ხის მუზარადებით ებრძოდნენ ბერძენთა და სკიფთა და ითვისებდნენ უცხოელთა ცოდნას და ზნე-ჩვეულებას. ამავე დროს ახლოს მდებარე კავკასიის მთებს თავს აფარებდნენ მტერთაგან დამარცხებულნი და ლტოლვილნი უცხოელნი, ბერძნები მოდიოდნენ აქ ოქროს მატყლოსან ცხვრისათვის, და აი ამ ერთა შორის მისვლა-მოსვლამ მოამზადა საქართველოში ნიადაგი განათლების აღმოსაცენად.

ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ამბობენ, ცდილობდა მოესპო საქართველოს თვითარსებობის გარეგანი ნიშანიც კი, რისათვისაც მამასახლისების მაგივრად ამ ქვეყანაში დააყენა თავის სარდალი რამდენიმე ჯარით. მაგრამ ამ უკიდურესმა გარემოებამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა, ხალხმა თავი გამოიდო თავის დამოუკიდებლობის დასაცველად. ფარნაოზის წინამძღოლობით, რომელიც იყო უკანასკნელი მამასახლისის ჩამომავალი, ქართველებმა განდევნეს ალექსანდრე მაკედონელისაგან დაყენებული მთავარმართებელი და ამ დროიდან დაიწყო მეფობა საქართველოში. პირველი მეფე იყო ფარნაოზი, 300 წ. უფრო ადრე, ვიდრე ქრისტე დაიბადებოდა.

მემატიანენი ფარნაოზს აწერენ საქართველოში მოქალაქურ წეს-წყობილების დამყარებას, ანბანის შემოღებას და ზოროასტრის სარწმუნოების დამკვიდრებას. გარდმოცემა გვაუწყებს, რომ ქართველების მამა-მთავრის ქართლოსის საფლავზედ ფარნაოზმა აღმართა დიდი კერპი არმაზისა, მორთული ოქროს აბჯრით და ძვირფასის თვლებით მოჭედილ გვირგვინთ.

ბუნდით მოცულს შემდეგს საუკუნოებში, რომელთაც განვლეს სომხებთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ურიცხვ ბრძოლაში, ბჟუტავენ რამდენიმე დიდებულნი პირნი და მათ შორის ყველაზედ შესანიშნავია მეფე ადრეკი იმით, რომ იმის მეფობის დროს დაიბადა მხსნელი ქვეყნისა. ამავე მეფის დროს ეკუთვნის გულის საკლავი გარდმოცემა მაცხოვრის კვართის შესახებ. ეს გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ საქართველოს

სატახტო ქალაქ მცხეთაში ცხოვრობდნენ იმ ურიათა ჩამომავალნი, რომელნიც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ განიფანტნენ დედამიწის ზურგზედ; ეს მცხეთელი ურიები ყოველ წელიწადს, პასექის დროს, იერუსალიმში ჰგზავნიდნენ თავეთ წარმომადგენელთ, რომელთა წყალობითაც, როცა უკან ბრუნდებოდნენ, მთელს საქართველოში ვრცელდებოდა ამბავი მაცხოვრის სასწაულთა შესახებ. იმ წელიწადს, როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს, იერუსალიმში გაიგზავნა, სხვათა შორის, ელიოზიც, შვილი კეთილ-მსახურ დედ-მამისა. იგი დაესწრო გოლგოთის ამბებს, გაოცდა ყოველივე ნანახით და შეიძინა კვართი უფლისა ერთი რომაელი ჯარის-კაცისაგან, რომელსაც წილის-ყრით ჰრგებოდა ეს ძვირფასი საუნჯე. როდესაც ელიოზი სამშობლოში დაბრუნდა, მისმა დამ (ზოგის თქმულებით ასულმა), მაცხოვრის ჯვარცმის ამბებით თავზარდაცემულმა, ხელი სტაცა კვართს, ჩაიკრა გულში და იქვე განუტევა სული. ვერა ღონის-ძიებით ველარ გამოაცალეს ხელიდან კვართი უფლისა, რისაგამოც კვართითურთ დამარხეს. მაღალი ლიბანის ხე ამოვიდა მის საფლავზედ და კაცის თვალს დიდ ხანს უმალავდა ამ წმინდა ადგილს.

ცოტა ხნის შემდეგ ქრისტეს სარწმუნოება ჰქადაგა კავკასიაში ანდრია მოციქულმა და მისმა თანამოგზაურმა სვიმონ კანანელმა; გარდმოცემა დღესაც უჩვენებს ანაკოფიაში კანანელის საფლავს, რომელსაც თვით გაუნათლებელი კავკასიელი მთიულიც კი დიდის მოწიწებით სცემს თაყვანს. მაგრამ ქრისტიანობა მკვიდრად დამყარდა საქართველოში მხოლოდ მოციქულთა სწორის ნინოს მეოხებით.

წმინდა ნინო იყო ასული რომაელის სარდილისა და იერუსალიმის პატრიარქის დისა. იგი იყო ახლო ნათესავი დიდის მთავარ-მოწამის გიორგისა და მის მფარველობას მიანდო თავისი ახალი სამშობლო. წმინდა გიორგიმაც თითქო შთაბერა სული ვაჟ-კაცობისა ბ წამებულობისა მთლად ქართველს ერს, რომელიც ისტორიაში გიორგიანადაც იწოდება.

ნინოს ბავშობიდანვე უყვარდა იმ ამბების გაგონება, რომელნიც შეეხებოდნენ საქართველოს, სადაც წაღებულ იყო

კვართი უფლისა და სულ იმაზედ ფიქრობდა, რომ როგორმე გამხდარიყო განმანათლებელი ამ ქვეყნისა და ეპოვნა წმინდა ტანისამოსი. დღე და ღამ ევედრებოდა ღვთისმშობელს და შემწეობას შესთხოვდა. ღვთისმშობელი გამოეცხადა ძილში, ჩააბარა ჯვარი ვაზისა და უთხრა: „წადი ივერიის ქვეყანაში და ახარე სახარება, მე ვიქნები შენი მფარველიო“. როდესაც გამოეღვიძა და თავის ხელში საკვირველი ჯვარი ნახა, ცრემლის ფრქვევით ემთხვია მას და თავის თმით შეკრა.

და აი მეოთხე საუკუნის დასაწყისში, სასანიდების გვარეულობის დამაარსებლის, მირიან მეფის დროს, რომელიც იყო თანამედროვე კოსტანტინე დიდისა, წმინდა ნინო მოვიდა მისთვის უცნობ მდინარის ნაპირზედ (მტკვარი), შეჰყვა მას აღმაღმა და მივიდა მცხეთას სწორედ იმ დღეს, როდესაც არმაზის დღეობა იყო. მაღალს მთაზედ იდგა სრულიად ოქროში ჩამჯდარი უზარ-მაზარი კერპი და ცეცხლივით ლაპლაპებდა, აქეთ-იქით ორი სხვა კერპი უდგა, რომელნიც, როგორც გარდმოცემა ამბობს, სასტიკად სჯიდნენ ყველა იმას, ვინც კი ქურუმთა ნება-დაურთველად მათთან მისვლას გაბედავდა. იკვროდნენ საყვირნი, იკმეოდა საკმელი, იღვროდა მსხვერპლთა სისხლი; მეფე მირიანი მთელის თავის ხალხით დაემხო პირქვე კერპთა წინაშე, მხოლოდ ერთი უცხო, ყველასათვის უცნობი ქალწული არ იდრეკავდა მუხლს. თუმცა მოწმენდილი დღე იყო, მაგრამ უეცრად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და თან ჭექა-ქუხილი მოჰყვა; კერპთა საკურთხეველი დაინგრა და მის ნანგრევთა შორის მოჩანდნენ ნატეხნი დამსხვრეულის კერპებისა. შეძრწუნებული ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა და ნანგრევებზედ იდგა მხოლოდ ნინო და გულ-ღამშვიდებული უყურებდა თავის თვალ-წინ ამოვარდნილს და უკვე ჩავარდნილს ქარიშხალს. ეს მოხდა ექვს აგვისტოს და ეს დღე ფერისცვალებისა ივერიისათვის შეიქმნა იმ დღედ, როდესაც წარმართობის სიბნელე ქრისტიანობის სინათლეზედ შეიცვალა.

ამ დღიდან იწყება მრავალი მოღვაწეობა და სასწაულთ-მოქმედება ნინოსი, რომელნიც იხსენებიან ადგილობრივს გარდმოცემებში, და მემატიანე მეფესაც ისტორიაში ჩაუწერია.

მეფის ბაღში იდგა საიდუმლოებით მოცული ლიბანის ხე, რომლის ძირშიაც დაფლული იყო კვართი უფლისა; წმინდა ნინო ხშირად ლოცულობდა ამ ხის ქვეშ და აქვე ხედავდა ხოლმე წინასწარ-მეტყველებით სავსე ჩვენებათ. ერთხელ შავი მფრინველების გუნდი მოფრინდა, იბანავეს არაგვში და როდესაც თოვლივით გათეთრდნენ, დასხდნენ ლიბანის ტოტებზედ და შეამკეს ბაღი სამოთხისებურის გალობითა,—ეს იყო სიმბოლო, ანუ ნიშანი ივერიელთა ნათლისღებისა. მეორედ იხილა საშინელი დარღვევა არმაზისა და ზადენის მთებისა თავის კერპებით, მოესმა ხმა ბრძოლისა და ქვითინი ეშმაკებისა, რომელნიც სპარსთა ჯარის სახით შემოსეოდნენ საქართველოს და თავეთი მეფის ბრძანებით აკლებას და განადგურებას უპირებდნენ. ამ ჩვენებით თავზარ დაცემულმა ნინომ ამართა ჯვარი უფლისა და წყნარად წარმოსთქვა: „ბოლო მოეღო მეფობასა თქვენსა, აი ეს არის მძლეველი“, და ყოველივე გაჰქრა. წმინდა ნინომ გაჰკურნა მირიან მეფის სულთ-მობრძავი მეუღლე და ერთიც სპარსეთის მეფის ნათესავი, რომელიც მირიანის სახლში გამხდარიყო ავად; ყველაზედ უწინ ამ ორთა მიიღეს ნათლისღება. თვით მეფე კი ჯერ ისევ ყოყმანებდა. მაგრამ ერთხელ, როდესაც ახლო-მახლო მთებში იმყოფებოდა სანადიროდ, საშინელმა ქარიშხალმა მოასწრო და უეცრად დაბრმავდა. შეძრწუნებული მეფე დაეცა მუხლებზედ და ღაღად ჰყო: „შენ ხარ ღმერთი ღმერთთა ზედა და უფალი მეფეთა ზედა, შენ ხარ ღმერთი ნინოსიო“, ბ იმავე წამს აეხილა თვალები. გაიგეს თუ არა ამ სასწაულის ამბავი, მთლად მეფის ოჯახი და ხალხი, მეფეს წინ მიეგება. „ადიდეთ ღმერთი ნინოსი, ღმერთი საუკუნო“, ეუბნებოდა მეფე თავის ერს და პირდაპირ ნინოს ქოხისკენ წავიდა, დაეცა ცხოველ-მყოფელი ჯვარის წინაშე და ადიდა ქრისტე. ნინომ გადასწერა ჯვარი მტკვარსა და არაგვს და ამ ორს მდინარეში მოინათლა მეფეც და მისი ერიც. ელ-

ოზის ერთმა შთამომავალთაგანმა, რომელსაც ცხოვლად ახსოვდა გარდმოცემა უფლის კვართის შესახებ, უჩვენა ადგილი, სადაც შენახული იყო ეს ძვირფასი განძი ქრისტიანობისა. საიდუმლოებით მოცული ხე ლიბანისა მოსჭრეს და მის ადგილას ააგეს ტაძარი, რომელშიაც შეინახეს წმინდა ტანისამოსი.

როდესაც წმინდა ნინომ ქართლში ქრისტიანობა დაამკვიდრა, მაშინვე კახეთს წავიდა და იქ, ოცდა თხუთმეტი წლის მოციქულებრივის მოღვაწეობის შემდეგ, გარდაიცვალა ეხლანდელი სიღნაღის მახლობლად. მეფეს და ეპისკოპოზს უნდოდათ მისი გვამი გადაეტანათ მცხეთის ეკლესიაში, სადაც იმას ასე ხშირად უყვარდა ხოლმე უფლის კვართზედ ლოცვა, მაგრამ აქ კიდევ ახალი სასწაული მოხდა: ვერას გზით ვერ დასძრეს გამხმარი გვამი ღვაწლით შემოსილის ქალწულისა იმ ადგილიდან, რომელიც თავის საუკუნო განსასვენებლად ამოერჩია. ქართლის წინაშე მას ბევრი ღვაწლი მიუძღვოდა, ახლა თითქოს ეწადა, რომ კახეთში დამარხულიყო და ამით იქაც განემტკიცებინა ქრისტიანობა. პირველი ტაძარი აქ მეფე მირიანმა ააშენა წმინდა გიორგის სახელზედ და იქ დაასვენა ნაწილნი წმინდის მქადაგებლისა. ბოლოს ამ ეკლესიასთან დაარსდა ბოდბის სამიტროპოლიტო, ყველაზედ უპირველესი მთელს კახეთში და აქედან მოეფინა ქრისტიანობის სხივი კავკასიის მთებში მცხოვრებ ხალხს. წმინდა ნინოს ცხოვრება დასწერა პირველად მისმა თანამედროვე მეისტორიემ რუფინმა, რომელსაც მისი ცხოვრება გაგონილი ჰქონდა მირიან მეფის შვილის ბაკურ ბატონიშვილისაგან.

რასაკვირველია, ქრისტიანობა ერთბაშად არ დამკვიდრდა საქართველოში. იყვნენ უარის მყოფელნი მეფენიც; სპარსელები მედგრად ცდილობდნენ ქრისტეს სჯულის აღმოფხვრას და ცეცხლის თაყვანის-მცემლობის გავრცელებას. როცა მეფე მირდატ IV (408) დროს მათ საქართველო დაიპყრეს, ხალხი იძულებული შეიქმნა ჯვარი დაემალა და სპარსელების თაყვანსაცემელი ცეცხლი აეგზნო ყველა ეკლესიებში, რომელიც კი მტერს შეუმუსრავი გადურჩა. სპარსთა მოხების უღელი ძლიერ

მძიმე იყო ქართველებისათვის, ამისათვის მირდატის შვილის-შვილის არჩილ I დროს საქართველო აღსდგა და საშინლად დაამარცხა მტერი მდინარე ლიახვის ნაპირზედ.

მაგრამ საქართველოს გაძლიერების და დიდების დრო დადგა მაშინ, როდესაც გამეფდა მეფე ვახტანგ პირველი, რომელმაც 53 წელიწადი იმეფა, 446 წლიდან 499 წლამდინ. სპარსელები მას გორგ-ასლანს (მგელ-ლომს) ეძახდნენ, რადგანაც გულადი და მამაცი ვაჟკაცი იყო, ტყუილად არ იყო გამოხატული მის მუზარადზედ წინ მგელი და უკან ლომი. თავის ჯარს მუდამ წინ მიუძღოდა, ამისთვის მტერი პირად იცნობდა მას და, დაინახავდა თუ არა იმის მუზარადს, ყვირილს მორთავდა ხოლმე: „მოერიდეთ, გორგ-ასლანი მოდისო“. ეს მეფე თვით ისტორიაშიაც ამ სახელით იხსენიება.

ვახტანგი ბრძენი გამგებელიც იყო და გმირი სარდალიც, არა ერთი და ორი ნაშთი დაუტოვა სამშობლოს თავის მოღვაწეობისა. მუდამ ხალხის განათლებაზედ ზრუნავდა, აარსებდა სკოლებს, ასწორებინებდა და ათარგმნინებდა საღმრთო წერილის წიგნებს და გამოსცა კანონები. დაუცხრომელად ზრუნავდა სამშობლოს თავისუფლებაზედ, სრულიად შემუსრა სპარსთა მონების ულელი, დაიპყრო სამეგრელო, აფხაზეთი, დაამარცხა პაჭანეგები, დაიმორჩილა აზრუმი და დიდების სხივით შემოსილი მისი სახელი თვით ინდოეთშიაც კი გაითქვა. ერთ უძველეს ეკლესიის კედელზედ, რომლის ნანგრევები დღესაც სჩანან ალაგირის მთებში, არის ზედ-წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ოსებთან გორგასლანის ომის ამბავს. ოსეთის მბრძანებელმა ბალათარმა და მოსტაცა მეფე ვახტანგს და ეს შეიქნა მიზეზი მათ შორის საშინელის ომისა; დიდ ხანს ვერც ერთი იმარჯვებდა და ვერც მეორე, თუმცა ბალათარს თარხანიც მიეშველა თავის პაჭანეგებით. ერთს ბრძოლაში გორგასლანმა თავის ხელით მოჰკლა თარხანი, მაგრამ ბალათარი კი მაინც ისევ ეომებოდა. ამ ოსების გმირმა ბევრჯელ უკუ აქცია ქართველები და არა ერთხელ თვითონ დაესხა მათ თავს. გორგასლანმა ნახა, რომ, ვიდრე ბალათარი მოთავედ ჰყავდათ ოსებს, ვერაფერს

გახდებოდა. ამისათვის შემდეგი ხერხი იხმარა: ვახტანგმა მო-
რიგება შეუთვალა იმ პირობით, რომ ოს-ბაღათარს მისი და
ცოლად შეერთო. ორივე მებრძოლნი არაგვის ნაპირებზედ
იყვნენ დაბანაკებულნი, ერთი გაღმა და მეორე გამოღმა. ვახ-
ტანგმა ბაღათარი თავის ბანაკში მიიწვია დაზავების შესახებ
მოსალაპარაკებლად. ბაღათარმა ვერ შეუტყო ვერაგობა და
მის სანახავად წავიდა. როდესაც წყალში გადიოდა, ქართველე-
ბმა დაუშინეს ისრები, ოს-ბაღათარი დაიჭრა, წყალში გადავა-
რდა და დაიღუპა. მაშინ გორგ-ასლანი დაესხა ოსებს და და-
იმორჩილა. ეს ზედ-წარწერა თავდება ოს-ბაღათარის და იმის
ცხრა ძმის სიტყვებით: „ამის ამომკითხველნო, შენდობა გვი-
ბრძანეთო“.

მაგრამ არა მარტო მუნჯნი ნანგრევნი—ეს სამწუხარო
ნაშთნი ძველის დიდებისა—ღაღადებენ გორგასლანის მოღვა-
წეობას. დიდებულნი ტაძარნი: მცხეთაში ათ-თორმეტთა მოცი-
ქულთა, ტფილისში სიონისა და მეტეხისა—არიან ნაშთნი ვახ-
ტანგის ბრწყინვალე მეფობისა. მან დააარსა თვით ქალაქი
ტფილისიც, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა გაიხადა სატა-
ხტო ქალაქად და ამით ბუნდი მოეფინა ცხეთის ძველს
დიდებას. ტფილისის ახლო არის მარტყოფის უძველესი მო-
ნასტერი, რომლის უმთავრესი ეკლესიის მთლად შენობა და
თვით გუმბათიც დამყარებულია ორს სვეტზედ, ამავე ორს
სვეტზედ დახატულია საქართველოს ორი მეფე მთლად ტანია-
ნად: ერთი მათგანი არის ვახტანგი და მეორე დიდებული დავით
აღმაშენებელი.

გორგასლანი ჭრილობისაგან ღრმა სიბერეშა გარდაიცვა-
ლა, ამის შემდეგ კვალად ჩაჰქრა საქართველოს დიდება და
სპარსელებმაც კვალად დაიწყეს მისი დამორჩილება; მაღე, მე-IV
საუკუნის დამლევს, თვით სასანიდების დინასტიამ დაუთმო ადგი-
ლი ბაგრატიდების დინასტიას, რომლის პირველი წარმომადგე-
ნელი იყო გურამ I.

ბაგრატიდების დინასტიამ მთელი ათასი წელიწადი იმეფა
და ამ დინასტიასთან ერთად მოისპო თვით საქართველოს მე-

ფობაც. ამ დინასტიის მეფეები თავის თაკს დავით წინასწარ-მეტყველის ჩამომავლად რაცხავდნენ. მათ გვარეულობის გერბ-ზედ გამოხატულია შურდული, რომლითაც მოიკლა გოლიათი, ქნარი დავითისა, სასწორი — ნიშანი მეფურის მართლ-მსაჯულებისა ლ სიბრძნისა და კეთილ უფლისა; გერბს გარშემო აწერია 131 ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“. ეს გერბი დღესაც დაცულია ამ გვარეულობის შთამომავალთა, თავადთა გრუზინსკეზის ოჯახში.

ამ დინასტიის დროს სპარსელებთან ჩვეულებრივს ისტორიულს ბრძოლას ზედ დაერთო ახალი მტრის — არაბების შემოსევა, რომელნიც ცეცხლითა და ხმლით ჰქადაგებდნენ ყორანს იქ, სადაც ჯერ კიდევ სრულიად არ ჩამქრალიყო საკურთხეველნი ცეცხლის თაყვანის-მცემლობისა. მე-VII საუკუნის ნახევარში ომარის სარდალი ხალიფი, რომელსაც მეტს სახელს „ღვთის რისხვას“ ეძახდნენ, გამოგზავნილ იქმნა ჩრდილოეთის დასაპყრობლად, დაიმორჩილა საქართველო, — და ტფილისი 400 წლის განმავლობაში არაბების მონების უღელს ატარებდა. ამ შავსა და ბნელს დროს ნაცვლად იმისა, რომ დინასტიურს კრტიმლასა და ხალხთა შორის უთანხმოებას ბოლო მოჰღებოდა, — უფრო და უფრო გაძლიერდა და ფესვი გაიდგა. არც მეზობელი ველური ხალხები აძლევდნენ ამ უბედურს ქვეყანას მოსვენებას. ამავე დროს ისტორიულს ასპარეზზედ გამოვიდნენ ოსმალ-სელჯუკები. მე-XI საუკუნის ნახევარში იგინი შეიქმნენ მპყრობელნი მთელის დასავლეთის აზიისა, შემუსრეს დიდება და ძლიერება ბაღდადის ხალიფებისა და სამუსულმანოს კვალად გაუღვიძეს მადა ქვეყნების დაპყრობისა. სელჯუკების სულტანი ალპ-არსლანი ასი ათასი ჯარით შეესია სომხეთს, და აქ ეს ჯარი ნაწილ-ნაწილ დაყო და აქეთ-იქით მხარეს გაუსია; საშინელი უბედურობა მიაყენა საქართველოსაც. სამი წლის შემდეგ ეს შემოსევა კვალად გამეორდა; ვერა ჯარი ვერ უმაგრდებოდა ოსმალთა წამლეკავს თავდასხმას. გაშმა-

გებული მდინარესავით მოედნენ აქეთ-იქით და ყველაფერს მუსრს ავლებდნენ; გადამწვარი ქალაქები და სოფლები ღალადებდნენ მათი შემოსევის ამბებს. ქართლი და კახეთი ააოხრეს, ტფილისი აიღეს და დააქციეს. ასეთი შემოსევა დრო გამოშვებით ხდებოდა და ათი წლის შემდეგ, 1078 წელს, ტფილისმა კვალად გამოსცადა საშინელი ბარბაროსობა ოსმალებისა: ამ დროს მტკვრისა და ალაზნის ნაპირებზედ დასახლდნენ თათრები, რომელნიც განუწყვეტლად სძარცვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს.

ოსმალებისაგან მიყენებულს უბედურებას ზედ დაერთო ბუნების საშინელნი მოვლენანიც, რომელთაც ხალხი ღვთისაგან მიყენებულ სასჯელად სთვლიდა იმისთვის, რომ ამ დროს იკი უტევებდა ჭეშმარიტს სარწმუნოებას თათრების სარწმუნოებას ღებულობდა და ეძლეოდა ზნეობის გამხრწნელს გარყვნილებას. ერთხელ, ზედ ქრისტეს აღდგის დღეს, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, ისეთი საშინელი მიწის-ძვრა მოხდა, რომ მაღალი მთები და კლდეები დაირღვნენ, ქალაქები და სოფლები დაიქცნენ, სახლები შიგ მცხოვრებთათვის საფლავებად გადაიქცა და დიდძალი ხალხი დაიღუპა. ქვეყნის ესოდენ უბედურებას ბოლო მოუღო დიდმა დავით მე-II აღმაშენებელმა, რომელმაც საქართველოს კვალად დაუბრუნა უწინდელი დიდება და ძლიერება.

როდესაც თექვსმეტის წლის დავით აღმაშენებელი (1089—1125) ტახტზედ ავიდა, ქართლი სრულიად დანგრეული და აოხრებული იყო, ტფილისი და მრავალი სხვა ადგილები ოსმალებს ეჭირათ, იმერეთს თავის ნებით განაგებდნენ და ჰფლობდნენ საბერძნეთის მეფეები და იმით მართლულობდნენ თავს, რომ ჩვენ ერთად-ერთი მფარველნი ვართ ერთ-მორწმუნე სამეფოსიო; მხოლოდ აბხაზეთის მთები და ხეობები იყვნენ უშიშარნი ადგილნი მეფისა და ხალხის საცხოვრებლად, მეფე ტეაგულისთაში ცხოვრებდა ლიხის მთის ძირში. ამ დროს გათამამებული თათრების ბრბო, რომელთაც ეჭირათ, ტფილისის ნაყოფიერი მიდამონი საშინლად არბევდნენ კახეთსაცა და

ქართლსაც. სპარსელები არბევდნენ და სულს არ უდგამდნენ სამეფოს განაპირა ადგილებში მცხოვრებ ხალხს, ასე გასინჯეთ თვით სომხებიც კი ხშირად ესხმოდნენ ერთ-მორწმუნე ხალხის სამეფოს. ერთ დროს აყვავებული ადგილები გავერანდნენ, ნაყოფიერი მინდვრები გახრიოკებულ მინდვრებად გადაქცნენ. მეფის უდიდესი მოვალეობა იყო გაემთელებინა სამეფოს წყლული. მას ხელი მოუმართა ამ დროს დაწყებილმა ჯვაროსნების ომმა, რომელმაც დახაფრა ოსმალების მრავალი ჯარი და ამით საქართველოს მიეცა დრო შემოეკრიბა თავის ძალ-ღონე.

მტრისგან გავერანებულ ადგილებზედ დასასახლებლად მეფემ ოსები მოიწვია და იმათაც დიდის სიხარულით დასთმეს თავის უნაყოფო კლდეები და საქართველოს ნაყოფიერს მინდვრებზედ დასახლდნენ. მათის შემწეობით მეფემ შეასრულა უდიდესი საქმე საქართველოს განთავისუფლებისა. როგორც კი შეიტყო, რომ ფრანგებმა იერუსალიმი დაიპყრესო, მაშინვე უკუ აგდო ოსმალების მონების უღელი და ხარჯის ძლევაზედ ჯარი განაცხადა. და ეს იყო უდიდესი ღვაწლი, რომელიც ჩაიდინა დავითმა გამეფების უმალვე. მაგრამ ოსმალებმა ერთბაშად და ადვილად არ დასთმეს თავის უფლება საქართველოზედ; საქართველოს განთავისუფლება ძვირად დაუჯდათ ორივე მხარეს და ამან დიდი სისხლი დააღვრევინა დავითსაც და ოსმალებსაც. თავის მცირე ჯარით დავითი უძლიერეს მტრებს ამარცხებდა; თავისი მოღვაწეობა დაიწყო აფხაზეთიდან და დაასრულა დერბენდში, სადაც შელეწა რკინის კარი, შებმული ხალიფების დროს. მისი მეფობის დროს მტერი მტერზედ ესხმოდა საქართველოს, მაგრამ პირველსავე ბრძოლაში დავითისაგან თავ-ზარ დაცემულნი აქამდინ უძლეველნი სელჯუკების და სპარსელების სარდლები პირს იბრუნებდნენ ხოლმე და უტევებდნენ მას ტყვეებს და აუარებელს საუნჯეს, რომლითაც თავის სამეფოს ამდიდრებდა. ერთხელ, როდესაც შემოდგომაზედ 1121 წ. არაბების ურიცხვი ბრბო თრიალეთს შემოესია, დავითმა ერთის ბრძოლით სრულიად გაჰფანტა და თავისი ბანაკი ააავსო ოქროთი, ვერცხლითა, ძვირფასის ბადიებით, ხალებით, იარაღით და

არაბულის ცხენებით; სირიის სარდლები ტყვედ უვარდებოდათ ხელში უიარაღო სოფლელებსაც კი.

საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი მაინც დიდ ხანს ეჭირათ სარკინოზებს, რომელნიც მის ციხეებში იყენენ გამაგრებულნი. მაგრამ დავითი ამაზედ აგრე რიგად არაფერს ზრუნავდა, რადგან იცოდა, რომ თუ დანარჩენს ადგილებში მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს, ტფილისის აღებაც აღარ გაუჭირდებოდა. მხოლოდ თავის მეფობის ბოლო დროს, 1122 წელს, ანაზდეულად დაესხა თავს მტერს და ტფილისიც დაიჭირა. და მაშინ შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდინ ყველა მის ძლიერებას ემორჩილებოდა. ამ დროს საქართველო იმდენად მოღონიერდა, რომ თავის ჯარი შორს პალესტინაშიაც კი გაგზავნა ქრისტეს საფლავის მტრებთან საბრძოლველად. აღელვებულმა ზღვამ შთანთქა საქართველოს პირველნი გმირნი-ჯვაროსანნი; მაგრამ ამ უბედურებამ მაინც ვერ დააბრკოლა ახალი მეომარნი, იგინი მშვიდობით მივიდნენ წმინდა ადგილს და სხვა ჯვაროსნებთან ერთად იღვწოდნენ ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად ურწმუნოთა ხელიდან.

დავით აღმაშენებელი დიდი ვაჟკაცი იყო, ჯარს ყოველთვის თვით უძღოდა წინ და მტერს გრიგალივით მიეტეოდა ხოლმე. ამასთანავე იგი იყო ახოვანის ტანისა და გოლიათებრ ღონიერი. გელათის ტაძარში (ქუთაისის ახლოს) დღესაც დაცულია მეფის ბეჭედი, რომელშიაც ჩვეულებრივი კაცის ორი თითი ადვილად ჩაეტევა. როგორც მარტყოფის, ისე ამ მონასტრის კედელზედ დახატული მეფის სახე, დიდი, გრძელის წვერით, ამტკიცებს იმის ფიზიკურს ძალას და უპირატესობას სხვათა მეფეთა წინაშე.

გელათის ტაძარი და ღვთისმშობლის მონასტერი დავითმა აღაშენა სადიდებლად ღვთისა, რომლის მოწყალებითაც შეაერთა მთლად ძველი სამეფო ბაგრატიდებისა. სიდიდით, სიმშვენიერით და მარმარილოს სიუხვით ეს ტაძარი აღემატებოდა ყოველსავე, რაც კი ამისთანა რამ აშენებულიყო აქამომდე ევერიაში. ამ ტაძარში ბოლოს დროს დასდგა უძველესნი ტახ-

ტნი თავის მიერ დაშარცხებულ სპარსეთის მეფეებისა, მათი ოქროს ლამპრები, გვირგვინები; მანიაკები და აგრეთვე თვისგანვე დატყვევებულ არაბთა მეფეების ბადეები.

დარიალის ხეობაში, მაღალს ფრიალო კლდეზედ, რომელიც მოქურუშებული გადმოჰყურებს საქართველოს სამხედრო გზას, დღევანდლამდინ მოჩანს ნანგრევი ძველის კარისა, საქართველოში შემოსვლის მსურველთა გზის შემკვრელი. იგი იყო შებმული ქრისტეს წინად მეფე მურვანისაგან, მაგრამ შემდეგ დაექციათ და დავითმა განაახლა.

დავითმა მთელი თავის სიცოცხლე სულ ბრძოლაში გაატარა, ერთი ხელით მტრებსა მუსრავდა და მეორე ხელით აღდგენდა იმას, რაც მტრებისაგან იყო შემუსვრილი. დავითმა მარტო ხმლის ხმარება არ იცოდა; იგი უდიდესი ღვთის-მეტყველი იყო თავის დროისა. ისე არა უყვარდა-რა ძლევა მოსილს მეფეს, როგორც საღმრთო წერილის კითხვა. იმის მეფობის დროს ორი კრება მოხდა სამღთო წიგნების შესასწორებლად, მტრებისაგან წართმეული სიმდიდრით აშენებდა ეკლესიებს და აარსებდა მათთან სკოლებს ყმაწვილების აღსაზრდელად.

დავითი მიიცვალა 53 წლისა, ჯერ კიდევ სავსე ღონითა და ძლიერებითა. მან დასტოვა გაძლიერებული და ყოვლის მხრით დამშვიდებული სამეფო. ქართველმა ერმა მას აღმაშენებელი უწოდა და ეკლესიამაც წმინდათა შორის შერაცხა. სიკვდილის დროს დავითმა ამოირჩია საუკუნო განსასვენებლად თვის მიერ აშენებული გელათის ტაძრის კარის ბჭე, რომ ყველას, ვინც კი იმის საფლავზედ გადაივლიდა, იმის სულისთვის ელოცა. მან უბრძანა დაედგათ იმის საფლავზედ დერბენდიდან წამოღებული რკინის კარი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეკლესიის კარიც იქნებოდა და მეფის ძეგლიც. ეკლესიის შესავალში დღესაცა ძევს დიდი გათლილი ქვა, რომელზედაც სხვილი ქართული ასოებით სწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რომელსა დავემკვიდრე“.

ერთი ნახევარი ამ რკინის კარისა აღარა სჩანს; როგორც ამბობენ, იგი ლურსმებად ჩამოუსხავთ და ეკლესიისთვის მოუხმარებიათ. მეორე ნახევარი კი დღესაც არის. მისი არაბული

ზედ წარწერა მოგვითხრობს, რომ კარი გაუკეთებინებია სადიდებლად ყოვლად მოწყალე და სახიერისა ღვთისა დიდებულს ემირს შავირს, ელ-ფაზალის შვილს, 455 წ. ჰიჯირისას და 1077 წ. ქრისტიანობის ერისას.

წმინდა მეფის ძვალნი დიდ ხანს არ დარჩენილან მისგანვე ამორჩეულს საფლავში: სოლომონ დიდმა გადაიტანა იგინი სამკვეთლოში და დაკრძალა საიდუმლო ადგილას, რომ ამით ლეკების მტაცებლებისაგან დაეფარა.

საქართველოს ძლიერებამ გასტანა 120 წელიწადი, დაწყებული დავითიდან, ვიდრე თამარის სიკვდილამდინ. ქართული მატიანენი არავის არ უდრიან ამ დედოფალს, გარდა ვახტანგ გორგასლანისა და დავით აღმაშენებლისა და იხსენიებენ მეფედ და არა დედოფალად. შვიდი საუკუნის განმავლობაში ხალხის გულიდან არ ამოფხვრილა ხსენება ამ დიდებულის ქალისა, რომელმაც საქართველოს ერთს დროს ძლიერება და დიდება მოუპოვა. ხალხი დღესაც ამპარტავნობს ამ მეფე-ქალის სახელით, იხსენიებს არა ერთ პოეტურს და გულ-გონების მომხიბლავს ლეგენდებში და მის მოღვაწეობას აწერს ყოველ დიდებულს საქმეს და საქართველოს დიადს ნაშთებს. საქართველოს ყოველს კუთხეში ნახევარ-მიფური სახე თამარისა ხალხს სხვადა სხვა ნაირად აქვს წარმოდგენილი და სთვლიან რაღაც უმაღლეს და მიუწდომელ არსებად. მაგალითებრ, სვანეთში, სადაც ისტორიულ პირთაგან მხოლოდ თამარი-ღა დარჩენილა ხალხის ხსოვნაში, იგი შეიქნა რელიგიურ თაყვანის-საცემელ პირად და მომხიბლელ და გრძნეულ სილამაზის იდეალად. სვანურ სიმღერებში იგი იხსენიება ოქროს დიადემით, ბრწყინვალე ტანისამოსით და ძვირფასის თვლებით მორთული,—და ეს არის უმაღლესი წარმოდგენა, სადამდინაც კი შეეძლო მიეღწია ხალხის უეშმაკო ფანტაზიას. გარდმოცემანი მოგვითხრობენ, რომ თამარი დიდსულოვანი და გულუხვი ყოფილა, და ერთი ამ გარდმოცემათაგანი გვაუწყებს შემდეგს: ერთ დღესასწაულ დღეს, როდესაც თამარი გელათის ტაძარში მიდიოდა და თავის თავის მორთულობას ძვირფას ლალებს უკეთებდა, მოახსენეს—გლახა დედა-

კაცი მოწყალებას თხოულობსო. დედოფალმა უბრძანა მოიცადოსო, მაგრამ როდესაც გარეთ გავიდა გლახა აღარ დახვდა. ძალიან შესწუხდა და ჰკიცხავდა თავის თავს, რომ გლახაკი არ გაიკითხა, ამის გამო მოიხადა თავიდან მიზეზი თავის დაგვიანებისა და იმით შეამკო გვირგვინი ღვთის-მშობლის ხატისა.

ნამდვილი ისტორია შეხამებული ლეგენდებით, შემდეგის სიტყვებით გვიხატავს თამარ-დედოფლის ბედსა და მოღვაწეობას (1184—1212). როგორც რუსეთის მეისტორიე მოგვითხრობს, თამარი გათხოვდა ანდრია ბოლოლიუბსკის შვილ გიორგიზედ, რომელმაც პირველ ხანებში დიდის გამარჯვებებით ისახელა თავი. დღემდის გამოურკვეველის მიზეზის გამო ცოლ-ქმარნი მალე განქორწინდნენ და გიორგი კონსტანტინოპოლში წავიდა. როდესაც ხალხის სურვილისამებრ თამარს მეორე ქმარი უნდა ამოერჩია, მრავალ საქრმოთა შორის, რომელთა რიცხვში ერივნენ საბერძნეთის იმპერატორის შვილები და ისპაღანის სულტანი, მან ამოირჩია ოსეთის თავადი დავით სოსლანი (ე. ი. მშვენიერი), ბაგრატიდების შთამომავლობისა. მაგრამ გიორგიმ ვერ დასთმო ტახტის დაკარგვა და ბერძნების ჯარით მალე შემოესია საქართველოს. მან აქ მომხრეები ვერავინ იშოვნა, რისაგამოც დამარცხდა და თამარს ტყვედ ჩაუვარდა. დიდსულოვანმა თამარმა გაანთავისუფლა იგი იმ პირობით, რომ საქართველო სამუდამოდ დაეტოვნა.

საქართველოს ამ დროს ბრძოლა მოელოდა სპარსელებთან, სარკინოზებთან და ოსმალებთან, რომელნიც არ ასვენებდნენ მას თვით სიძლიერის დროსაც კი და ხშირად შემოესეოდნენ ხოლმე. სოსლანმა გაილაშქრა სპარსეთზედ, მრავალჯერ გაიმარჯვა და, როდესაც განჯა აიღო, დიდი დავლა ჩაიგდო ხელში: მრავალი ცხენები, აქლემები და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი შეადგენდა გამარჯვებულთა ჯილდოს. ამას შემდეგ თამარმა გაგზავნა ჯარი ოსმალთა გასადევნად ყარსიდან; დაინახეს თუ არა ქართველები, ოსმალნი მაშინვე გაიქცნენ და ციხე უომრად დაუთმეს. მაშინ გამოჩენილმა სულტანმა ალექო ნურედინმა, გაკვირვებულმა ივერიელთა გამარჯვებით, გამოგზავნა

მათ წინაღმდეგ რვა ასი ათასი ჯარი, რომელშიაც მარტო ცხენოსანი ასი ათასი კაცი იყო. ალეპო ნურედინმა შეატყობინა თამარს, რომ საომრად მოვდივარო და თუ შენ ჩემს ცოლობაზედ დასთანხმდები და შენი ქვეშერდომნიც ისლამის სარწმუნოებას მიიღებენ, მაშინ შენს ქკეყანას აღარ ავაოხრებო. როდესაც მოციქულმა გამოუცხადა ეს სურვილი სულტანისა, მაშინ, როგორც ამბობენ, ზაქარია მხარგძელმა პასუხის მაგივრად ისეთი სილა შემოჰკრა, რომ მოციქული იქვე უსულოდ დაეცა. დაიწყო ომი. ქართველები, შეხვდნენ თუ არა ბასიონში სულტანის ურიცხვ ჯარს, პირველად თვითონ ეკვეთნენ და საშინელის ბრძოლის შემდეგ სრულიად დაამარცხეს. როგორც გარდმოცემა ამბობს, ქართველებს იმდენი ტყვე ჩაუვარდათ ხელში, რომ თითო მეომარზედ ოცი ტყვე მოდიოდა; ურიცხვი ალაფით აივსო გამარჯვებულთა ბანაკი და მას შემდეგ მეფის სუფრაზედ თუ არა ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი — სხვა არა იხმარებოდა-რა; ძვირფასი თვალ-მარგალიტები ხომ საწყაოთი გაიყვეს.

თამარის მიერ ომებში შეძენილი უთვალავი სიმდიდრე შეიქმნა ომის მიზეზად საქართველოსა და ვიზანტიას შორის. როდესაც ანგარების მოყვარე იმპერატორმა ალექსი ანგელმა გაიგო, რომ თამარი მონასტრებს დიდ საჩუქრებს სწირავსო, ბრძანება გასცა გაეძარცვათ ყველა ის ბერები, რომელნიც საქართველოდან წასულნი კოსტანტინოპოლზედ გაივლიდნენ. გაჯავრებულმა თამარმა ომი გამოუცხადა იმპერატორს და დაიჭირა ტრაპიზონი და სხვა ადგილები, მდებარენი ჩრდილოეთით შავი ზღვის ნაპირზედ. თამარმა შემდეგში ამ ადგილებისგან შეადგინა ტრაპიზონის იმპერია იმ აზრით, რომ შეეფერხებინა მაჰმადიანობის გავრცელება მცირე აზიაში და კავკასიის განაპირა ადგილებში.

ოც და ოთხის წლის მეფობის შემდეგ თამარი დაქვრივდა; მაგრამ პირადმა მწუხარებამ მაინც ვერ დააბრკოლა ეზრუნა საქართველოს წარმატებისა და დიდებისათვის, სიკვდილამდინ არც სამხედრო საქმეებისთვის დაუნებებია თავი. მის პოლიტიკურს

თავდაჭერილობას და გამბედაობას ცხადად გვიხტავს შემდეგი გარემოება. 1208 წელს, დიდ შაბათ დღეს, როდესაც ყველანი ეკლესიაში იყვნენ, არდებილის სულტანი შეესია ქალაქ ანს და დიდი სისხლის ღვრა მოახდინა, თორმეტი ათასი მცხოვრები ამოხოცა და ქალაქი სულ ერთიან აიკლო. თამარმა განიზრახა სწორედ ამ ნაირადვე გადაეხადნა სულტანისათვის სამაგიერო. მან მოიცადა იქამდინ, ვიდრე მუსულმანთა მარხვა დადგებოდა და სწორედ იმ ღამეს, როდესაც მთვარე ბადრი გახდა და მინარეთიდან მოლას ძახილმა მართლმორწმუნენი გამოაღვიძა, თამარის ჯარი შეესია არდებილს და სასწრაფოდ დაიპყრო. როგორც ანში თათრებმა, ქართველებმაც თორმეტი ათასი მცხოვრები დახოცეს, ქალაქი აიკლეს და დააქციეს, თვით სულტანიც თავის ცოლებით და შვილებით ტყვედ წამოიყვანეს. ამას შემდეგ თამარის ჯარმა გაილაშქრა ირანზედ, აიღო თავრიზი და აიკლო ხორასანში გურგანი, სადაც იმოდენა ნადავლი იშოვნა, რომ ომის განგრძობა ვეღარ შეიძლო და შინ დაბრუნდა. ქალაქები და სოფლები გზა-და-გზა წინ ეგებებოდნენ საჩუქრებით გამარჯვებულთ, რომელნიც დიდის ყოფითა და ამბით შემოვიდნენ ტფილისში.

თამარს შორს ოსეთშიაც ჰქონდა გავლენა, კავკასიონის მთის იქით; დაუცხრომელნი მთიელნი ემორჩილებოდნენ თამარის ძლიერებას და ქრისტეს სარწმუნოებას ღებულობდნენ. ქართველს ჯარს ფეხ-და-ფეხ უკან მისდევდა ქართველი მღვდელი და ეაჭარი სომეხი, მტკვრისა, ალაზნისა, ლიახვის და თერგის მიდამოებში ქრისტიანობრივი მოქალაქობა და სიცოცხლე სდუღდა.

თამარის მეფობა მარტო სამხედრო ძლიერების მეფობა არ იყო, იგი ითვლება მწერლობისა და განათლების ოქროს საუკუნედ. ამ დროს ცხოვრობდა გამოჩენილი შოთა რუსთაველი, ეს საქართველოს გამოჩენილი ჰომეროსი, რომელმაც შეჰქმნა უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“, ეს უმაღლესი განძი ქართულის პოეზიისა.

ლეგენდარული ისტორია, რომელიც საქართველოს ყველა დიდებულ ნაშთებს თამარს აწერს,—სინამდვილეს მოკლებული არ არის, ამისთვის რომ უმეტესი ნაწილი ამ ნაშთებისა სწორედ მისგან არის დატოვებული. თამარმა ყველგან დასტოვა თავის მოღვაწეობის წაუბღალავი კვალი და როგორც ამბობს ერთი მეისტორიე: „ქვებით აღბეჭდა თავის სახელი საქართველოს მთებსა და მდელოებზედ". მიუდგომელს მთებში და ხეობებში, შავისა და კასპიის ზღვის ნაპირებზედ აღგებულნი არიან ტაძარნი და ნიშნი, მდუმარე მოწამენი თამარის დიდებისა და ძლიერებისა.

ქართლის ხეობაში დღესაც კიდევა სჩანს ნანგრევი თამარისაგან აშენებულის ტაძრისა, რომელიც უფრო იმით არის შესანიშნავი, რომ ერთს დროს იქ ინახებოდა სასწაულთ მოქმედი ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, და თამარმა აჩუქა ოსებს, როგორც თავის ქმრიდან მონათესავე ხალხს. ეს ტაძარი ორჯელ შემუსრა ცეცხლმა, მაგრამ ღვთის-მშობლის ხატი ორჯელვე უვნებელი იპოვნეს ნანგრევებში. ექვსასი წელიწადი იმყოფებოდა ეს ხატი ქართლის ხეობაში. მაგრამ როდესაც მაჰმადიანობა შეესია კავკასიის მთებს და რუსის მთავრობამ გაქრისტიანებული ოსები მოზდოკში მიიწვია, თერგის იქით,—ივერიის წმინდა ხატი რუსეთის წმინდანად შეიქმნა. გარდმოცემა გვიამბობს, რომ როდესაც, 1793 წელს, ოსები მოზდოკში მივიდნენ ამ წმინდა ხატით, მოზდოკის მაშინდელი ეპისკოპოსი მიეგება წინ ჯვრითა და დროშებით და შეასვენა ეკლესიაში; ღვთის-მშობელმა სასწაულ-მოქმედებით აუწყა ეპისკოპოსს, რომ ხატი ქალაქს გარედ უნდა დარჩეს, იმ ადგილს, სადაც წინად იყო და ღამე ჩერქეზის ურემზედ გაატარაო. ამ ადგილზედ მაშინ ნიში ააშენეს, შემდეგში კი ხის ტაძარი დადგეს ღვთის-მშობლის მიძინებისა. დღესაც მოდიან აქ სალოცავად რუსები მთელი კავკასიიდან და რუსეთის შორეულ ადგილებიდან.

ყველაზედ მშვენიერი და პოეტური ძეგლი თამარისა არის ვარძია, „ვარდების ციხე-დარბაზი". ზემო ქართლი თამარს

მიაჩნდა თავის გვირგვინის ერთ უძვირფასეს მარგალიტად, ამისათვის ახალციხის ახლოს ერთ ფრიალო კლდეში გამოაკვეთინა ეს უმშვენიერესი სასახლე, რომელშიაც 360 ოთახი იყო. მოგზაურს დღესაც შეუძლიან ნახოს ნაშთნი ამ დიდებულის ციხე-დარბაზისა, რომლის სავანეთა და ტალანთა შორის მიწაში შენახულა საკმაოდ დიდი ტაძარი; კედლები შემკული აქვს სხვა-და-სხვა მხატვრობითა, აქვე მთელის ტანით დახატულია მიფიური თამარ-დედოფალი და რაღაც გამოურკვეველს და გულის საკლავ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ. ტაძრის ერთ გვერდზედ არის ქვის ბალდახინი, რომლის ქვეშაც დამარხული უნდა ყოფილიყოს თამარ-დედოფალი, გარდაცვალებული თავის საყვარელ „ვარდთა ციხე-დარბაზში“ 1212 წელს. ნამდვილი იმის საფლავი კი დღესაც არავინ იცის. ზოგის აზრით თამარი დამარხულია გელათის ტაძარში; ზოგნი კი იმის საფლავს სვანეთში უჩვენებენ. საქართველოს სხვა-და სხვა თემის ხალხს ადვილად არ ეთმობოდათ თავეთი საყვარელი დედოფალი და ყველა მათგანი მის საუკუნო განსასვენებელ ადგილს თავის სათემოში უჩვენებდა. საქართველოს ეკლესია თამარის სახსენებელს დღესასწაულობს მენელსაცხებელთა კვირიაკეში.

უნებლიედ იპყრობს კაცის გონებას ის ფაქტი, რომ საქართველოში, ამ ნახევრად აზიურს ქვეყანაში, სადაც საზოგადო ცხოვრებაში ქალს მცირე უფლება აქვს მინიჭებული, კაცის უმაღლესი იდეალი ქალის არსებაში განხორციელდა. წმინდა ნინო იდეალია მაღალის ზნეობისა, მეფე თამარი—იდეალია გმირობისა და ბრძნულის მმართველობისა. ეს ორი სახელი მეტად საყვარელი სახელია ქართველი კაცისათვის.

ჩაესვენა თამარი სამარეში და მასთან ერთად ჩაესვენა საქართველოს დიდებაც, ბედნიერნი დღენი თავის ქვეყნისა თითქოს ჯმ საოცარმა დედაკაცმა წარიღო თანა. შემდეგი ორი მეფობა—თამარის შვილისა და ქალისა,—სავსე შინაურის არეულობით და შფოთით, თითქო მომასწავებელნი იყვნენ იმ დიდის უბედურებისა, რომელიც საქართველოს მალე თავს დაჯტყდა. თამარის შვილის გიორგი IV უკულმართ მეფობის

დროსვე გამოჩნდა მოწინავე რაზმი მონგოლებისა. ერთი ბრბო ჩინგის-ხანის ჯარისა შემოვიდა საქართველოში და მდინარე ბერჯუჯის ნაპირებზედ საშინლად დაამარცხა ქართველების ჯარი, რომელიც თამარის დროს დამარცხებას ჩვეული არ იყო. მაგრამ რადგანაც თათრებს ნაბრძანები არა ჰქონდათ საქართველო დაეპყროთ, ამისათვის ეს ქვეყანა გრიგალივით განვლეს და დროებით აზიის შუაგულ უდაბნოებში დაიბანაკეს. ათმა წელიწადმა აღარ გაიარა, რომ ჩინგის-ხანის მოადგილემ, გიუქ-ხანმა მთელი აზია თავის ჯარით მოჰფინა; თათრები ხელახლად გამოჩნდნენ უბედურ საქართველოშიაც, რომელიც ის-იყო თათრების წინად არაბებმა ააოხრეს ჯელალ-დინის წინამძღოლობით. მონგოლებმა ღვთის რისხვასავით განვლეს მთელი საქართველო და მთლად კავკასიის ხალხს თავისი ბარბაროსული ულელი დაადეს. გიუქ-ხანს თან მოჰყვა საზარელი ბატია, ამან ხომ სრულიად დაიმონავა საქართველო; მოახდინა ხალხთ აღრიცხვა და დატვირთა მძიმე ხარჯით. მონგოლებისგან მიყენებულს უბედურებას ზედ დაერთო სხვა უფრო დიდი უბედურება, ნაყოფი თათრების ცბიერის პოლიტიკისა: ამ დროს, 1259 წელს, საქართველო ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაიყო — ქართლისა და იმერეთის სამეფოდ.

მონებამ მალე გამოიღო თავის ჩვეულებრივი ნაყოფი: როგორც ერთს დროს რუსეთში, აქაც ულირსნი მეფენი მხოლოდ თავეთი პირადი სარგებლობისათვის ზრუნავდნენ და სამშობლოს ბედნიერება აინუშიაც არ მოსდიოდათ, მამულის საუკეთესო შვილნი კი შაჰების თვითმნებელობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. თათრების ურდოში რუსეთის წამებულ თავადებივით ეწამა ქართველების მეფე დიმიტრიც, თავდადებულად წოდებული. არგუნის ხანს ენას უზიდავდნენ დიმიტრის ორგულობაზედ, ხანი საქართველოს სამზღვრებზედ იდგა იმ განზრახვით, რომ ქართველების ჯარი ამოეყარა. მეფე თავისთან დაიბარა. დიმიტრიმ კარგად იცოდა ხანის მრისხანების და უსაფუძვლო ცილის-წამების მიზეზი, ამისათვის განიზრახა თავის თავი გაეწირა და თავის ქვეყანა კი აოხრებისგან გადა-

ერჩინა. ხანის იქვნეულობის გასაფანტავად მეფემ თავის მცირეწლოვანი შვილი დავითიც თან წაიყვანა. მაგრამ ვერაფერმა ვერ მოულბო გული ექვით შეპყრობილს მტარვალს, დიმიტრი ციხეში დააპატიმრა და თავი მოაკვეთინა 1289 წელს. მასთან-მყოფ ქართველთ ოქრო-ვერცხლით გამოისყიდეს ყარაულებისაგან გვამი წამებულის მეფისა და საიდუმლოდ მოასვენეს მცხეთაში.

ეს ის უბედურება იყო, რომელიც რუსეთმაც გამოსცადა. ამისათვისაც „ვერც ერთ ხალხის გულში, ვერც ერთი რუსი ვერ იპოვის ისეთს გულწრფელს ძმურს სიყვარულს და მეგობრობას, როგორსაც ქართველის გულშიო“, ამბობს ერთი მწერალი *). რუსეთიცა და საქართველოც იმ საერთო უბედურების დროს დამეგობრდნენ, როდესაც ორივენი ძვირფას საჩუქრებს ეზიდებოდნენ ურდოში და აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ. და უბედურობის დროს დამყარებული მეგობრობა ხომ უფრო მტკიცეა და შეურყეველი.

მონგოლოებისაგან მიყენებული უბედურობა გაგრძელდა გიორგი ბრწყინვალემდინ (1318—1346), ეს მეფე საქართველოს საუკეთესო გვირგვინოსანთ აგონებდა. გიორგი წინა-პირველად შეუდგა ოსების დასჯას, რომელნიც სარგებლობდნენ ქვეყნის უბედურებით და წამ-და-უწუმ არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს; ოსები თავის მოხარაკედ გახადა. მეფე კარგად ხედავდა, რომ მონგოლოების სამეფო ნაწილ-ნაწილად დაყოფის გამო თან და თან უძლურდებოდა, ამით ისარგებლა გიორგიმ და თათრები განდევნა საქართველოდან. იმერეთის ტახტის მაძიებელთა შორის შეოთმა და წეწა-გლეჯამ კიდევ მისცა მას მიზეზი სხვა უფრო უდიდესი საქმე შეესრულებინა. კარგად იცოდა, რომ სამეფოს ძლიერებას ერთობა შეადგენდა, ამისათვის ისარგებლა ხელის შემწყობი გარემოებით, იმერეთი თავის სამეფოს შემოუერთა და კვალად შეიქმნა მეფე მთლად ივერიის მიწა-წყალისა.

---

*) ი. დ. ჰოპკა.

გიორგი ბრწყინვალის და მისი მემკვიდრეების დროს დაიწყო კურნება საქართველოს წყლულისა, დანგრეული ქალაქების კვალად აშენება, ტაძრების აგება, ციხეების განახლება, ეტყობოდა, ბევრი უბედურების შემდეგ მრავალ-ტანჯულ საქართველოს უნდა დაესვენა. დიაღ, უნდა დაესვენა, მაგრამ იმსთვის კი, რომ ძალა მოეკრიბა ახალ უბედურობათა ასატანად. მონგოლთა შემოსევაზედ უფრო საშინელი შემოსევა მოელოდა საქართველოს: შეძრწუნებულს აზიის ჰორიზონტზედ გამოჩნდა თემურ-ლენგი. გიორგი ბრწყინვალის შვილის-შვილმა ბაგრატ დიდმა 25 წელიწადი მეტად ბედნიერად იმეფა, მხოლოდ ამ დროს ახლო და შორს მდებარე სამეფოთა შემმუსვრელმა ქარტეხილმა საქართველომდინაც მოაღწია. მაგრამ მრისხანე თემურ-ლენგს აქ ისე ღონივრად შეებრძოლნენ ქართველები, რომ ასეთი ძლიერი წინააღმდეგობა, როგორც ჰმოწმობენ თვით მონგოლთა თქმულებანი, მაშინაც არავის გაუწევია თემურისთვის, როდესაც პირქვე ამხობდა ისეთ ძლიერ სამეფოებს, როგორიც იყვნენ ჩინეთი, ქაბული, ბუხარა და სპარსეთი. თემურ-ლენგი შემოვიდა ქართლში 1387 წელს ყარსის მხრიდან და ყველაფერი შემუსრა და ააოხრა, არც ერთი ციხე, არც ერთი კოშკი დაუნგრეველი აღარ გაუშვა; სადაც კი მას გამოეელო, ყველაფერი გადაბუგული და მიწასთან გასწორებული იყო, მინდორველი მოფენილი იყო დახოცილებითა, აქა-იქ კაცის თავების კოშკები იდგა. მეფე ბაგრატმა დაატყო, რომ საზარელ მტერთან პირისპირ ბრძოლით ვერაფერს გახდებოდა, ამისათვის ტფილისის ციხეში გამაგრდა. მტერი ნახევარ წელიწადს ედგა ციხეს და ამ ხნის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა; მაკრამ ვაჟკაცობა სიმრავლემ დასძლია; თემურს მეფე ტყვედ ჩაუვარდა. თემურმა ტფილისში ჯარი დააყენა და თვითონ ყარაბაღში წავიდა, თან ტყვეები წაიყვანა და საქართველოს მრავალი სიმდიდრე წაიღო. ყარაბაღიდან მან კვალად გაგზავნა ქართლში თავის ჯარი და უბრძანა: „ყოველისფერი ძირიანფესვიანად დაენგრიათ". ვიდრე თათრები თავიანთ მბრძანებლის სურვილს შეასრულებდნენ, თემურმა ცეცხლით და ხმლით განა-

ვლო დაღისტანი და კავკასიის მთის კალთებზედ დაასახლა მაჰმადიანები, რომ მათის შემწეობით მთელი ეს მხარე ხელში სჭეროდა. ამას შემდეგ იქ ნელ-ნელა ჩაქრა ქრისტიანობა, გავრცელებული დავითისა და თამარის მეოხებით.

ტყვეობიდან რომ განთავისუფლებულიყო, ბაგრატმა გარეგნად მაჰმადიანობა მიიღო და აუთქვა თემურს, რომ მთლად ჩემს ქვეშევრდომებსაც გავამაჰმადიანებო და სთხოვა ამ განზრახვის შესასრულებლად ჯარი მიეცა. გახარებულმა თემურ-ლენგმა დაასაჩუქრა მეფე და თორმეტი ათასი ჯარით გამოისტუმრა. ყოველივე ეს ბაგრატმა საიდუმლოდ შეატყობინა თავის შვილს და ორივემ ერთად სულ ერთიან ამოქლიტეს სპარსეთის ჯარი ბერჯუჯის ნაპირებზედ. გაიგო თუ არა ეს ამბავი, გაბრაზებულმა თემურმა თვითონ გაილაშქრა საქართველოზედ აუარებელის ჯარით. ტფილისის მიდამოში მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, ხუთი ნაწილი თემურის ჯარისა ამ ბრძოლაში გაწყდა, მაგრამ ქართველებს მაინც ველარ შეეძლოთ პირდაპირ ომის გაგრძელება და მთებში დაიმალნენ. ბაგრატი მალე გადაიცვალა, მაგრამ მისი შვილი და მემკვიდრე გიორგი VII მედგრად ებრძოდა მტერს. თემური რამდენჯელმე კიდევ შემოესია საქართველოს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დაიმორჩილა,—ქართველები მიდიოდნენ მთებში და იქიდან დრო და დრო ესხმოდნენ თავს თემურის ჯარს და ართმევდნენ ნადავლს. ბოლოს, თემურის ერთი საყვარელი კაცის შუამავლობით გიორგი შეურიგდა თავის ქვეყნის მტერს და მცირე ხარჯს ხდილობდა.

თემურ-ლენგის შემოსევამ საშინლად გააოხრა საქართველო. მაშინ დააქციეს მცხეთის ტაძარი და კიდევ ბევრი სხვა ეკლესიებიც, რომელნიც მას შემდეგ აღარ განახლებულან. თუ რა იყო თემური თავის მიერ დამონავებულ ხალხისათვის, ამას ცხადად ჰმოწმობენ დაჩნეული კვალი იმის შემოსევისა ხალხში დარჩენილი გარდმოცემა. ზაქათალიდან ორი ვერსის მანძილზედ, გზაზედ ცოტა მოშორებით, ერთ ადგილს დაგროვილია ქვები კოშიკის მსგავსად და დაჩრდილულია რამდენიმე თუთის ხით.

ეს არის კვალი იმათი ხოცვა-ჟლეტისა, რომელთაც მაშინ მთებში დამალვა ვერ მოასწრეს. თემურ-ლენგს ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც რომელიმე ქვეყნის მცხოვრებთ ამოჟლეტავდა, დახოცილების თავებს ერთად აგროვებდა და მათის რაოდენობით ზომავდა თავის ძლიერებას და მეფურს დიდებას. იმ დროს მოკლულთა თავებიც ერთად შეაგროვებინა კოშკის მსგავსად სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა ქვები აგროვია. ამ ადგილს დღევანდლამდინ ბაშ-ყალას ეძახიან, ესე იგი კაცის თავების კოშკს.

თემური თუ დიდებს ხოცავდა, არც პატარებს იბრალებდა. ერთხელ უბრძანა პატარა ბავშვები შეეკრათ და დაეწყოთ კალოზე ისე, როგორც თათრები აწყობენ ხოლმე ძნას გასალეწად. ძნის გასალეწად თათრები ხმარობენ კევრს, რომელიც ქვევიდან პირიანი წვრილი კოხის ქვით არის მოჭედილი; ამ კევრს ატარებენ ძნაზედ და მარცვალს აყრევინებენ. ასეთი ბარბაროსული სალეწავით გააწყვეტინა ბავშვები. მეორედ კიდევ, როგორც მოგვითხრობს იმ დროის ერთი დამსწრეთაგანი, თემური საშინლად იყო გაბრაზებული ერთს ქალაქზედ, მცხოვრებთ თავიანთი შვილები გაგზავნეს პატიობის სათხოვნელად. ბავშვები გზა-და-გზა ყორანის ლოცვებს გალობდნენ. დაინახა თუ არა ისინი, თემურს საშინელმა ამოწყვეტის ჟინმა მოუარა. შეერია მათში ცხენით და თავის ცხენოსან ჯარსაც უბრძანა უკან გაჰყოლოდნენ. საბრალო მშობელნი ქალაქის კედლებიდან უყურებდნენ თავიანთი შვილების გამუსვრას.

თემურლენგს ტყუილად არა ჰქონდა დავარდნილი საშინელი დიდების ხმა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ტყუილად არ უკავშირებენ იმის დაბადებას საზარელს ლეგენდას. ეს ლეგენდა მოგვითხრობს, რომ როდესაც თემური დაიბადა ხელში გამხმარი სისხლი ეჭირა და დაბერებულ კაცსავით თმებიც გათეთრებული ჰქონდაო.

თემურ-ლენგის შემდეგ ჯერ გიორგი და მერე მისი ძმა კოსტანტინე ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის მოღონიერებას, უკანასკნელი ტყვედაც ჩაუვარდათ ოსმალებს და საშინლად

აწამეს. მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ იგი ვარძიის ტაძარ-შია დამარხული და იმის საფლავი ბევრს დიდებული თამარის საფლავი ჰგონია.

კოსტანტინეს შვილი ალექსანდრე I (1414—1442) ვაჟკაცობითა და მოღვაწეობით ქართველთა უწინდელ მეფეებსა ჰგავდა. მტრებზედ ძლევა-მოსილმა ალექსანდრემ ბევრი იშრომა თავის ქვეყნის წყლულის გასაკურნებლად და ხალხის განათლებისათვის; ამის მეოხებითვე განახლდა ცხეთის დანგრეული ტაძარი, მაგრამ თავის სიცოცხლის უკანასკნელ დროს მეფურის მოღვაწეობით დაღლილმა ალექსანდრემ ბერობა შეიმოსა და მონასტერში შევიდა, სამეფო ტახტი კი თავის შვილს ვახტანგ IV გადასცა. რომელმა მონასტერმა შეიფარა იგი თავის მყუდრო საფარველს ქვეშე — ამაზედ ისტორია არაფერს მოგვითხრობს. გარეჯის მონასტერში უჩვენებენ ამ მეფე-ბერის საფლავს; მაგრამ მცხეთის სიგელებშიაც სწერია, რომ „მეფე ალექსანდრემ თვით აიშენა საუკუნო განსასვენებელი ადგილი, რადგან ვერ გაბედა თავის მიერ განახლებულს ტაძარში დასაფლავებაო“.

ალექსანდრე სამი წლის შემდეგ მიიცვალა და დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მისი შვილი ვახტანგიც გამოესალმა ამ სოფელს. საქართველო დაობლდა. კვალად დაიწყო ამ ქვეყნის უბედურობა, მაგრამ არა ისეთი უბედრობა, რომელიც აღვიძებს ხალხისგულში ერთობისა და სამშობლოს მტკიცე სიყვარულს, არა, ეს უბედურება ის იყო, რომ სამეფო გვარეულობათა შორის და თვით ხალხშიაც შუღლი და უთანხმოება ჩამოვარდა. ათმა წელიწადმა არ გაიარა, რომ ალექსანდრეს მეორე შვილის გიორგი VIII წინააღმდეგ აღრეკა მოხდა და საქართველო ოთხ სამეფოდ გაიყო, ამან ხომ უფრო ბოლო მოუღო უბედურს ქვეყანას და ხალხი ძალ-ღონიდან დაცარა. ამ აღრეულობის დროს კინაღამ თვით გიორგი არ შეიქმნა მსხვერპლი შეთქმულობისა. იგი გადაარჩინა იოთამ ზედგინიძის თავ-განწირულებამ; მან შეიტყო მეამბოხეთა განზრახვა, რომელთაც უნდოდათ მეფე ერთ ღამეს ლოგინში მოეკლათ. ზედგინიძე თვით ჩაწვა მეფის ლოგინში და იმავე ღამეს ნაჭერ-ნაჭერად აკუწეს, მეფე კი გადარჩა.

ი დაარსდა ოთხი ერთიერთმანეთზედ დამოუკიდებელი სამეფო: ბაგრატმა დააარსა იმერეთის სამეფო, დავითმა კახეთისა, ყვარყვარე ერისთავმა სამცხე-საათაბაგო და გიორგი კი მარტო ქართლის მეფედ დარჩა. ამავე დროს ოთხი სამთავროც ცალ-ცალკე გავრდნენ, იმათგან სვანეთს და აფხაზეთს შარვაშიძეს გვარეულობა განაგებდა, სამეგრელოს და გურიას დადიანები და გურიელები. ამ დროიდან ერთ დროს შეერთებული საქართველო თავის თავისუფლების დასაცველი ასპარეზი კი აღარ იყო, არა, იგი შეიქმნა საცილობელ ასპარეზად ოსმალთა და სპარსთა შორის. ამ პატარა ქვეყანაში სამეფო სამეფოზედ იბადებოდა და ამბოხება ამბოხებას მოსდევდა; ამით სარგებლობდა მტერი და ხან სპარსეთი შემოესევოდა ხოლმე, ხან ოსმალეთი, დაქსაქსული ქართველები მათ წინააღმდეგობას ველარ უწევდნენ; საქართველომ თან-და-თან ჩრდილოეთისკენ დაიწყო ცქერა, მფარველობას რუსეთისაგან მოელოდა. საქართველოს გმირობით სავსე ისტორია მხოლოდ შემოსევისა და აკლების ისტორიად გადაიქცა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო საცილობელ საგნად ხდებოდა საქართველო ოსმალთა და სპარსთა შორის. ოსმალნი ესეოდნენ იმერეთის მხრიდან და შავი ზღვის ნაპირებიდან, სპარსელები კი კახეთიდან და ქართლიდან,—და ამ ორ სამეფოს შორის ბრძოლამ ისეთი ზედგავლენა იქონია საქართველოზედ, რომ ერთისაგან განთავისუფლება მეორის შემოსევას მოასწავებდა. მაგალითად, 1518 წელს ტფილისი სპარსელებმა აიღეს და ეკლესიები მეჩითებად გადააქციეს; 1578 წელს ამასვე სჩადიან ოსმალნი, რომელთაც სპარსელები საქართველოდან განდევნეს. ყველა ამ უბედურობას ზედ დაერთო ის უბედურობაც, რომ ძველმა მტერმა ლეკებმა ისარგებლეს საქართველოს უღონობით და ხშირ-ხშირად შემოესეოდნენ ხოლმე. ათი ათასობით ლეკი ჩამოდიოდა მთიდან ბარში და სძარცვავდნენ საქართველოს ორი მხრიდან: ან ალაზნის გაღმა გადიოდნენ სიღნაღისკენ და იკლებდნენ კახეთს, ან განჯისა და

ერევნისკენ მთა-მთა გადადიოდნენ ახალციხეში და სომხეთსა და ქართლს აოხრებდნენ.

მრავალ მეფეთა შორის თუ რომ თითო ოროლა ღირსეული მეფე გამოერეოდა ხოლმე, როგორც მაგალითად ლევან I კახეთისა (1520—1574), რომელმაც რამდენსამე წელს თავის სამეფოს კეთილ-დღეობა მოუპოვა, ისინიც ველარას აწყობდნენ და ველარა სცვლიდნენ საზოგადო საქმის მიმდინარეობას და არც იმდენი ძალა მოსდევდათ, რომ დაეხსნათ ქვეყანა მტერთა შემოსევისა და შინაურ განხეთქილებისაგან.

ამ შავსა და ბნელს დროს ერთი უცნაური საქმე მოხდა: საქართველომ დაიწყო ომი იმ აზრით, რომ ქრისტეს საფლავი თათრის ერთი სექტისათვის წაერთმია და მეორისათვის მიეცა. ეს ჯვარსანთა ომი მოხდა 1524 წ. ოსმალეთის სულტანის სულეიმანის თხოვნით, რომელიც იწვევდა ქართველ მეფეებს იერუსალიმში „ურწმუნოთა ხელიდან“ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად; იგი ურწმუნოთ ალბად შიიტის სექტის თათრებს ეძახოდა. საქართველოს მატიანეს თქმულებით კახეთის ჯარის უმთავრესი სარდალი მეფე ლეონი იყო, რომელსაც იმერეთისა და ქართლის მეფენიც შემწეობას აძლევდნენ. ეს ჯვაროსანთა ლაშქრობა რომ ნამდვილად მოხდა, ამას დამტკიცება აღარ უნდა, ამისათვის რომ დიდი ლეონის სახელი გოლგოთის მარმარილოს ქვაზედ სწერია. მატიანე დასძენს მოკლედ, რომ წმინდა საფლავ გაანთავისუფლეს, მეფეებმა დიდ-ძალი საუნჯე შესწირეს ამ წმიდა ადგილებს და დიდებით დაბრუნდნენ თავთავიანთ სამშობლოშიო.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველო რამდენსამე სამეფოდ დაიყო და ამას ზედ დაერთო ის უბედურობაც, რომელმაც ივერიის მეფენი იძულებულ ჰყო მიემართათ რუსეთისათვის; ჯერ ისევ კახეთის მესამე მეფე ალექსანდრე I (1492—1511) რუსეთის მეფე იოანე III სთხოვდა შემწეობას და ჰხადიდა „ქრისტიანობის იმედად და საბრალოთა ნუგეშად“. გაიარა ასმა წელიწადმა, კახეთში ალექსანდრე მეორე გამეფდა (1574—1605), ოსმალებს მიუდგა და ამით სპარსეთი გაარისხა; მეფემ კარ-

გად იცოდა, რომ სპარსეთი სამაგიეროს გადაუხდიდა, ამისათვის საიდუმლოდ გაგზავნა მოსკოვში სასულიერო და საერო პირნი და ცრემლის ფრქვევით ეხვეწებოდა მეფე თეოდორე იოანოვიჩს კახეთი თავის მფარველობის ქვეშ მიეღო და ამით გამოეტაცნა იგი ურწმუნოთა ხელიდან. „საშინელი დრო დაუდგა ქრისტიანობას, — სწერდა იგი: — ჩვენ ერთგულნი მოძმენი ქრისტიანობისა ურწმუნოთაგან ვიტანჯებით; მხოლოდ შენ, მართლმადიდებელთა გვირგვინოსანო, შეგიძლიან დაიხსნა ჩვენი სიცოცხლე და სული; უმდაბლესად თავს ვიდრეკავ წინაშე შენსა და შენი ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე“.

ალექსნდრე II დროს სპარსეთის ტახტზედ დაჯდა შაჰ აბას დიდი, რომელმაც ბატიასი და თემურ-ლენგის დრო მოაგონა საქართველოს.

ეპოქა სპარსეთის მფლობელობისა საქართველოში

(შაჰ-აბასი)

სპარსეთის უდიდესი შაჰი შაჰ-აბასი იმ დროს იჯდა სპარსეთის ტახტზედ, როდესაც XVI საუკუნე ილეოდა და XVII იწყებოდა. ისტორია და ხალხი ამ შაჰს „ირანის ლომს“ უწოდებს. იგი ერთი იმ ისტორიულ პირთაგანი იყო, რომელსაც ბედი წილად არგუნებს ხოლმე მოახდინოს დედა-მიწის ზურგზედ ცვლილებანი, დაანგრიოს და დააფუძნოს სამეფონი. მისი მნიშვნელობა საკუთრივ საქართველოსათვის ისე დიდი იყო, რომ ქართველმა ხალხმა მისი სახელი არა ერთსა და ორს დიადს ლეგენდაში მოიხსენა. ხალხის წარმოდგენით თვით ამის დაბადებაც კი მომასწავებელი იყო მომავალის უბედურობისა.

სწორედ იმ ღამეს და იმ წამს, როდესაც შაჰ-აბასი დაიბადა, დიდმა მიწის ძერამ, ნიშნად ღვთის განრისხებისა, დაანგრია საქართველოს წმინდა გიორგის უძველესი მონასტერი, რომელიც თელავის ახლო იმყოფებოდა ოცი ვერსის მანძილზედ.

ამ მიწის ძვრას იხსენიებენ მატიანენი XVI საუკუნისა და იმდენად ადგილობრივი ყოფილა, რომ თვით თელავშიაც კი ვერ გაუგიათ. მეფე ამ დროს სანადიროდ იყო. მყუდრო და მოწმენდილ საღამოს თავის ამალით მონასტრის ახლო გაიარა; ტყესა და მთებს ზურნის ხმა ამხიარულებდა; აზარფეშა ხელიდან ხელში გადადიოდა და არავინ აღარ უყურებდა მოხუც ბერებს, რომელნიც მონასტრიდან გამოსულიყვნენ მეფის მისაგებებლად. უეცრად დედა-მიწის გულიდან გრგვინვა მოისმა, დედა-მიწა შეინძრა და საუკუნეებში გამოვლილი შენობა ივერიის მფარველის წმ. გიორგისა გვერდ-გვერდზე წავიდა, საზარლად დაიგრიალა და დაინგრა. ძნელია ასაწერად, თუ რა მოხდა მაშინ მეფის ამალაში. ბევრი მათგანი ცხენიდან გადმოვარდა; ზოგნი კიდევ თავის ცხენებით ძირს დაეცნენ; მეფეც ამათ რიცხვში ერია და ძლიერ დაშავდა. ბინდმა დაჰკრა, მთებიდან საშინელი ქარიშხალი წამოვიდა, თელავი ჯანღმა დაჰფარა, მეფის დასახვედრად გამოსული ხალხი შეძრწუნდა და დაიშალა. მაშინ ხალხიდან მოისმა ვინმე ბერის შემაძრწუნებელი ხმა. მან ამხილა ხალხს:

—„თავადნო, ნაცვალნო და ხალხო“!—დაიძახა მან:—„თქვენ თვალწინ მიწასთან გასწორდა უდიდესი ტაძარი ჩვენის ქვეყნისა. მას საუკუნეების ქარიშხალმა ვერა დააკლო-რა და ეხლა კი ამ მოწმენდილს და მყუდრო საღამოს, როდესაც დამაკალი მზე ჯერ კიდევ ისროდა მკრთალ სხივებს, იგი შეიმუსრა და მიწასთან გასწორდა. ჭეშმარიტად ეს ჩვენი უბედურების მომასწავებელია, ჩვენი ტაძრების სიმაღლეს ჩვენი ცოდვანი აღემატნენ. სწორედ ამ დროს ირანში დაიბადა ქურუმი, მომელიც მოვა და ჩვენს თავისუფლებას შემუსრავს, მისგან გამოვლილი გზა ჩვენი სისხლით იქნება შეღებილი. სტიროდეთ ქართველნო! შაჰ-აბასი დაიბადა!“

გაიარა რამდენიმე ათმა წელიწადმა და შაჰ-აბასი ირანის მბრძანებელი შეიქმნა (1585—1628). გენიოსმა პოლიტიკოსმა და უდიდესმა სარდალმა კარგად იცოდა, რა შნიშვნელობაც ექნებოდა საქართველოს სპარსეთისათვის ბასმლებთან ომის დროს.

ამისათვის ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ სპარსეთის გავლენა საქართველოზედ არამცთუ შემსუმბუქებულიყო, არამედ უფრო გაძრიელებულიყო; იგი სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ საქართველო სრულიადაც შეეერთებინა სპარსეთისათვის და მის ხალხში გაევრცელებინა სპარსეთის მაჰმადიანთა სარწმუნოება, ენა, ზნე და ჩვეულებანი. მაგრამ ქართველი ხალხი დიდს წინაღმდეგობას უწევდა, ამისათვის კავკასიის მთის კალთებზედ მაჰმადიანნი კი არ დაასახლა, როგორც თემურ-ლენგმა, პირიქით, ააოხრებდა თუ არა ქალაქებს, იქ მცხოვრებ ქრისტიანებს შუაგულ სპარსეთში გადაასხლებდა ხოლმე. ისპაღანის ახლო დღესაც არის რამდენიმე სოფელი ქართველებისა და სომხებისა, იქ მცხოვრებთ თუმცა სარწმუნოება დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ მამა-პაპათა ენა კი შეუნახავთ. შაჰი ცდილობდა საქართველოს მეფეები თავის სასახლესთან დაეახლოვებინა, ტახტის მემკვიდრენი ხშირად შაჰის სატახტო ქალაქში იზრდებოდნენ, როშელნიც სპარსთა ზნესა, ჩვეულებეას და ზოგჯერ სარწმუნოებასაც ღებულობდნენ.

კახეთის მეფე ალექსანდრე II უფრო ოსმალეთისკენ ეჭირა თვალი და რუსეთის მეფე ბორის გოდუნოვთანაც ჰქონდა მიწერ-მოწერა, ეტყობოდა შაჰ-აბასის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. შაჰ-აბასი მტკიცედ მისდევდა ამ აზრს: „გააცალ-ცალკევე და მერე უბრძანეო“. თავის მოწინაღმდეგის დასამარცხებლად ყოველთვის ამ საშუალებას ხმარობდა. ოსმალებთან ომის დროს დარწმუნდა, რომ ალექსანდრე სანდობი კაცი არ იყო, ამისათვის ისე მოახერხა, რომ მეფეს მისივე შვილები გადაჰკიდა.

ამ მაგალითიდან ცხადად სჩანს, თუ რა ნაირად გახრწნიდა შაჰ-აბასი საქართველოს ერის ზნეობას და რა უეჭველად შეისრულებდა თავის პოლიტიკურს სურვილს, თუ რომ წრეს გადასულის მოქმედებდით ქართველთა გულში წრეს გადასული წინააღმდეგობა არ გამოეწვია. ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რომ შაჰ-აბასის დროს საქართველოს გამოუჩნდნენ დიდსულოვანნი შვილნი, რომელთა გულშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო სიქველე, ვაჟკაცობა და მამულისათვის თავის დადება; ამ მხნე მამულის

შვილთ დაიხსნეს საქართველო შაჰ-აბაზის ყოვლად გამხრწნელის პოლიტიკისგან.

შაჰისგან ალექსანდრეს ოჯახში ჩამოგდებულმა მტროობამ და მოღალატობამ ნაყოფი გაძმოიღო: მისმა უფროსმა შვილმა, ბატონიშვილმა დავითმა, შაჰის ნება-დართვით, თავის მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი ციხეში დააპატიმრა და თვით დაიპყრო საქართველოს ტახტი (1605). როდესაც იგი იმავ წელს გარდაიცვალა, ალექსანდრეს მეორე შვილი—კოსტანტინე, რომელიც შაჰ-აბასის დროსვე გათათრდა, სპარსეთის ჯარით შემოვიდა კახეთში, თავის მამა და ძმა მოჰკლა და თვითონ გამეფდა. არა მარტო ამ საზიზღარის საქციელით დაიპყრო კოსტანტინემ საქართველოს ტახტი, არა, იგი დაჰპირდა შაჰს, რუსეთთან ყოველსავე კავშირს მოვსპობ და კახეთს შენს მოხარჯედ გავხდიო. ამ ჟამად საქრთველო დაიხსნა ქეთევან დედოფალმა, დავით II ქვრივმა; მან დაამარცხა კოტანტინეს მომხრენი, თვით იგი მოჰკლა და ქვეყანას თავის შვილის თეიმურაზის სახელით განაგებდა. ცბიერმა შაჰმა თითქოს დასთმო თავის ყურ-მოჭრილ მეფის მოკვლა და, როგორც ამბობენ, ეთქვა კიდეც, რომ „მამის მკვლელი ღირსია სიკვდილისაო“; კახეთის მეფედ შაჰმა თეიმურაზი დაამტკიცა, რომელიც ამ დროს სპარსეთის სასახლეში იმყოფებოდა. „წადი კახეთში და ეცადე ამ ქვეყანაში ამბოხება აღარა მოხდეს-რაო“,—უთხრა თეიმურაზს.

ამავე დროს ქართლის მეფე გიორგი X შხამით მოწამლეს, რადგანაც მაჰმადიანობა არ მიიღო, მისი ტახტი შაჰ-აბასმა იმის შვილს ლუარსაბ II მისცა (1605). მაგრამ ლუარსაბის მეფობის პირველ წლებშივე მოხდა შემთხვევა, რომელმაც ფატალიური მნიშვნელობა მიიღო. ჯერ ისე გიორგი X მამის, სვიმონ I მეფობის დროს, როდესაც ქართლი დღე-დღეზედ ომს მოელოდა და შინაურის განხეთქილებით ქვეყანა ქუცმაცდებოდა და უძლურდებოდა, გამოჩნდა ერთი ღარიბი აზნაურშვილი ვინმე გიორგი საკაძე, რომელსაც საქართველოს ერისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგი მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი იყო, დიდი მჭევრ-მეტყველი, ახოვანი,

მხნე და გამბედავი; მან ბრძოლის ასპარეზზედ გამოსვლის უმალვე მიიქცია ყურადღება. სვიმონ მეფემ მას თარხნობა უბოძა; მისმა მემკვიდრემ გიორგი X კიდევ თავადობა და მოურავობა მისცა, ასე რომ ახალგაზდა საკაძე ჯერ ოც და შვიდი წლისა არ იყო, რომ მეფე ლუარსაბის დაახლოვებული პირი შეიქმნა. საქართველოს ამაყმა დიდ-კაცობამ ვერ მოინელა უბრალო აზნაურშვილის ასე უეცრად ამაღლება და იდუმალად დევნა დაუწყო, თვით მეფე ლუარსაბსაც კი მოსთხოვეს მოურავი მოკალიო; საკაძე უსათუოდ მსხვერპლი შეიქნებოდა ამ დიდკაცობის სურვილისა, თუ რომ ერთ გარემოებას არ გადაერჩინა: სპარსეთიდან დაბრუნებული ოსმალოს ურიცხვი ჯარი თრიალეთის მთებიდან აპირობდა საქართველოში შემოსვლას. მტერთან საბრძოლველად გაგზავნილი მოწინავე ჯარი სულ ერთიან გასწყდა ვიწრო ხეობებში ომის დროს და ამ ჯართან ერთად დაიღუპა ქართველების ორი საუკეთესო სარდალი—ზაქარია და იარალი. მტერმა მანგლისი და ქველთა დაიჭირა. ქველთაში ოსმალებმა შეიპყრეს მღვდელი თევდორე, განთქმული მწერლობითა და სიკვდილს უქადიდდნენ, თუ რომ მათ იქ არ მიიყვანდა, სადაც ლუარსაბი იმყოფებოდა; მათ მეფის შეპყრობა უნდოდათ. „საუკუნო ცხოვრებას დროებით ცხოვრებაზედ არ გავცვლი, არ შევიქნები მეფის მოღალატეო“, სთქვა თავის გულში ქართველთა სუსანინმა, ოსმალების ჯარი შეიყვანა გაუვალს ღრე-კლდეში და მეფე ამით გადარჩინა, თითონ ის კი მტერმა საშინელის ტანჯვით მოჰკლა ერთაწმინდის ტაძრის პირ-და-პირ. მაგრამ ქვეყანას ამით განსაცდელი არ ასცდა და მეფე ცხირეთის ციხიდან განწირულებით გასცქეროდა მტრის ურიცხვ ჯარს; აი ამ გაჭირვების დროს, როდესაც ამაყ დიდ-კაცობას ჭკუა-გონება დაებნა და აღარ იცოდა რა ექნა, საკაძემ თავს იდვა სამშობლოს დახსნა, მხოლოდ თხოულობდა, რომ მარტო იგი ყოფილიყო სრული გამგებელი ბრძოლისა.

მეორე დღეს, ხერთვისის ხეობაში, მტკვრის ნაპირზედ, დაიწყო ომი. თუმცა ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისე

გაბრაზებულნი იყვნენ მტერზედ და ისეთი ვაჟკაცობის სული შთა-ბერა მათ საკაძემ, რომ მისვლის უმალვე ხმალ-ხმალ ეკვეთ-ნენ მტრის რაზმებს, თვითონ მოურავიც ლომივით იბრძოდა ჯარის წინა რაზმებში. ოსმალებიც არ შედრკნენ. მაგრამ ამ დროს მამაცმა ზაალ ციციშვილმა გააპო მტრის ჯარი და მათ სარდალს დელი-მამედხანს პირისპირ შეხვდა, ცხენიდან გადმო-აგდო და ვიდრე ოსმალოს ცხენოსანნი მიეშველებოდნენ, გა-დმოხტა ცხენიდან და თავი მოსჭრა. ციციშვილმა ფაშის თავი წვერებიდან კბილებით დაიჭირა, კვალად გამოაპო მტრის ჯა-რი და მოჭრილი თავი თავის მეფეს წინ გაუკორა, თვით ციციშვილიც მოლად სისხლით იყო შეღებილი. ამ გმირის ვაჟ-კაცობამ გადასწყვიტა ბრძოლა. სიხარულის ყიჟინი გაისმა მთლად ქართლის ჯარში. ამის მნახველი ოსმალნი შეძრწუნ-დნენ და გაიქცნენ, ერთმა მუჭა ქართველებმა იგინი სრულიად ამოწყვიტეს.

მეფე და მთელი მისი სასახლე მესამე დღეს საკაძეს ეწვივ-ნენ. ამ წვეულების დროს ლუარსაბმა ნახა მეტის-მეტად მშვე-ნიერი და საკაძისა და ისე მოეწონა, რომ მისი ცოლად შერ-თვა გადასწვიტა. მოურავმა კარგად იცოდა, რომ ეს შეუ-ფერებელი ქორწინება კარგს არაფერს მოასწავებდა და ურჩია მეფეს ამ განზრახვისათვის თავი დაენებებინა, ამასვე ურჩევდა თავის დედაც და ხალხიც, მაგრამ სულ ამაოდ,—მე-ფემ თავის განზრახვაზედ უარი არა სთქვა და ქორწინება მოხდა. თავადებს ძლიერ ეწყინათ მეფის ასეთი საქციელი, აუჯანყდ-ნენ და ავრცელებდნენ ხმებს, რომ მას აქედ, რაც მეფემ უბ-რალო აზნაურშვილის დაზედ ჯვარი დაიწერა და საქართველოს დედოფლად გახადა, სამეფო ტახტს ხალხში პატივი დაეკარ-გაო; ამისათვის მათ არამც თუ განქორწინება მოითხოვეს მე-ფისაგან, არამედ მთლად საკაძის გვარეულობის ამოწყვეტაც. საიდუმლო შეთქმულობა მოხდა.

ერთხელ საკაძე მეფემ სანადიროდ მიიწვია; მაგრამ მივიდა თუ არა ქალაქ გარედ აშენებულ მეფის სასახლესთან, ერთმა თავის ერთ-გულმა კაცმა შეატყობინა მზაკვრული განზრახვა შეთქმულთა. საკა-

კაძემ დრო აღარ დაჰკარგა, მაშინვე მოახტა უბელო ცხენს და თავის ციხე-დარბაზისკენ გაქუსლა, რომ თავისთან ერთად თავის ცოლშვილიც გადაერჩინა განსაცდელისაგან. მაშინვე მდევარი დაადევნეს უკან, მაგრამ საკაძე შინ აღარ დახვდათ. ერთი ღამის განმავლობაში მას კარგა დიდი მანძილი გაევლო და თავის სიმამრს არაგვის ერისთავს შეეხიზნებოდა. მოურავის ციხე-დარბაზი ჯერ გაძარცვეს და მერე დასწვეს და დაანგრიეს.

საქართველომ დიდის ხნობით დაჰკარგა ერთი თავის საუკეთესო შვილთაგანი, რომელსაც შეეძლო გაჭირვების დროს დიდად გამოსდგომოდა. შეურაცხყოფილმა გმირმა ველარ ჰპოვა თავშესაფარი ადგილი თავის სამშობლოში და ამისათვის უღალატა მას: იგი წავიდა სპარსეთში და შაჰს ქართლის დაპყრობა ურჩია, — და ან კი სხვას რას დაჰპირდებოდა, თუ არ ქართლის მოღალატობას? ამბობენ, ერთხელ, სიბრაზის დროს, მოურავმა თურმე წამოიძახა: „ვაი ქართლს! მას არ ექნება მოსვენება, ვიდრე მეფე ლუარსაბი ცოცხალი იქნებაო“. შაჰ მალე მიხვდა, რა სასარგებლო იქნებოდა სპარსეთისათვის, თუ რომ ქართლს მოაშორებდა ერთად-ერთ იმედს და სანუგეშო კაცს, ამისათვის საკაძე დიდის პატივით მიიღო. მაგრამ შაჰი ჯერ საჭიროდ არა ხედავდა მოურავი ქარფლის წინააღმდეგ ემოქმედებინა, რადგან ეშინოდა ეაი თუ თავის სამშობლოს შეურიგდეს და იქვე დაბრუნდესო. შაჰმა გაგზავნა მოურავი ინდოელებთან და ოსმალებთან საბრძოლველად, ორივენი საშინლად დაამარცხა. მოურავის ძლევა შემოსილი სახელი მთელს ირანში გაითქვა; მის დედებას დამღერონენ მგოსანნი, ამ სიმღერებმა ტფილისამდინაც მოაღწიეს და აქ მცხოვრები სპარსელები მღეროდნენ ქართლის მთა და ბარში მეფის და მცხოვრებთა შესაძრწუნებლად.

ესრედ, ქართლიცა და კახეთიც, რომელნიც უფრო ძლიერნი იყვნენ საქართველოს სამეფოთა შორის, სპარსეთმა ფეხ ქვეშ ამოიდო, ამის მიზეზი ის იყო, რომ თვით მეფეები სუსტნი იყვნენ და ვინც მამულის საუკეთესო შვილნი იყვნენ — ისინი კიდევ ღალატობითა და ვერაგობით იდევნებოდნენ სამშობლოდან. შაჰ-აბასმა იცოდა, რომ დაუძლურებულს სამეფოებში წინააღმდე-

გობას ველარავინ გაუწევდა; მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხი მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზედ, ამისათვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეფეთა და თავადთა გამაჰმადიანებითაც კმაყოფილდებოდა, ხალხი კი ხმლითა და სპარსეთში გადასახლებით უნდოდა დაემორჩილებინა და ომის მიზეზს ეძებდა. 1615 წელს შაჰი განჯაში მოვიდა, აქედან კახეთის მეფეს თეიმურაზს საკაძის რჩევით შეუთვალა, რომ განზრახვა მაქვს ოსმალებს ომი გამოუცხადო და შენი შვილი მძევლად გამომიგზავნეო იმის დასამტკიცებლად, რომ ომის დროს ოსმალთ არ მიემხრობიო. მეფემ კარგად იცოდა მზაკვრული პოლიტიკა შაჰისა და ისიც იცოდა, რომ არავითარ ომს არ აპირობდა, ამისათვის მძევლის მიცემაზედ ჯერ უარი განაცხადა; მაგრამ შეშინებული კახელების ძალდატანებით მძევლად უმცროსი შვილი გაუგზავნა და თავის დედა ქეთევანიც თან გააყოლა.

— „მე ხომ ძიძა არა ვარ, რომ ბავშვები გავზარდო“, შემოუთვალა მეფეს შაჰმა და ისევ უფროსი შვილი მოსთხოვა. თეიმურაზი დათანხმდა. მაშინ შაჰმა თვითონ მეფეც დაიბარა. რადგან ქართლის მეფე ლუარსაბის დახმარების იმედი ჰქონდა, ამისათვის თეიმურაზმა შაჰთან წასვლაზე უარი განაცხადა; მაგრამ შაჰს ყოველი ღონისძიება უკვე მიღებული ჰქონდა. თეიმურაზს რომ ქვეშევრდომნი ასჯანყებოდნენ, სპარსელებს უბრძანა მცხოვრებლებს ტყვილად მოექეცით და არავითარი საჩუქრები და პატივისცემა მათთვის არ დაიშუროთო. შაჰს მალე შეუსრულდა განზრახვა. თეიმურაზს და ლუარსაბს მართლა გადუდგნენ თავიანთი ქვეშევრდომნი და შაჰ-აბასს მიემხრენ, მეფენი იძულებულნი შეიქმნენ იმერეთში გაქცეულიყვნენ. შაჰმა თეიმურაზის დედა და შვილები შირაზში გაგზავნა, თვითონ კი კახეთი და ქართლი გაიარა და გორიდან მოლაპარაკება დაუწყო იმერეთში გაქცეულ მეფეებს. ლუარსაბის ყურამდინ მისაღწევად შაჰმა გაავრცელა ხმა, რომ იგი მას ძალიან უყვარს და თუ მასთან მივიდოდა, უხვად დაასაჩუქრებდა. ხოლო თეიმურაზი კი ჩემი დაუძინებელი მტერიაო. იმერლებსაც დაუყვავა, რა-

დგანაც მათის პირით ჰქონდა მეფეებთან მოლაპარაკება და იმერეთის დიდებულთ აჩუქა თავის ძვირფასი ოქროთი შეჭედილი ხმალი და სთხოვა, რომ ეს ხმალი, როგორც საჩუქარი, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის კედელზედ დაეკიდათ. რასაკვირველია შაჰ-აბასს ეს ქრასტიანობის სიყვარულით არ მოსდიოდა. როგორც ამბობს ერთი მოგზაურთაგანი, ის ხმალი 1745 წელსაც ხსენებული ეკლესიის კედელზედ ეკიდა, მაგრამ შემდეგში რა იქნა—არავინ იცის.

ლუარსაბი მოსტყუვდა და თეიმურაზის ჩუმად იმერეთიდან წამოვიდა. შაჰმა ალერსიანად მიიღო და ტფილისში დასტოვა, თვითონ კი წავიდა. ამბობენ, როდესაც შაჰი ქართლის დედა-ქალაქს სტოვებდა, ხიდთან შესდგა, გადახედა ქალაქის მშვენიერს ადგილებს, მის აბანოებს და უთხრა მეფეს: „რომ შეიძლებოდეს ამ მშვენიერს ადგილებს აქედან წავიღებდიო; ყველაზედ ძვირფასი სიმდიდრე შენი სამეფოსი და ქალაქისა—ეს აბანოებიაო“. ლუარსაბმა მიუგო: „დიდებულო შაჰო, მეცა, ჩემი სამეფოც და ეს მშვენიერი ადგილებიც შენ გეკუთვნითო“. მაგრამ მეფე დიდ ხანს არ იყო თავისუფალი. შაჰმა იგი სანადიროდ მიიწვია ყარაბაღში, აქედან ნადირობის სახელითვე წაიყვანა მაზანდარანში და როდესაც აქ ვერც მუქარითა და ვერც დაყვავებით თათრის სჯული ვერ მიაღებინა, შირაზში გაგზავნა და იქ, დიდი ხნის პატიმრობის შემდეგ, შვილდის ლარით დაარჩობინა (1622). ლუარსაბის სიკვდილით მოისპო პირ-და-პირი ჩამომავლობა ქართლის მეფეებისა. ქართლის მეფედ შაჰმა გამაჰმადიანებული ბაგრატ V დანიშნა (1616—1619).

იმ დროს, როდესაც მეფე ლუარსაბი მსხვერპლი შეიქნა შაჰის პოლიტიკისა და თეიმურაზიც ფაქტიურად გადაყენებული იყო ტახტიდან, კახეთში სპარსეთის ჯარი იდგა და უფროსად ჰყავდათ სჯულის მოღალატე ბატონიშვილი იესე, მაჰმადიანობაში ისა-ხანად წოდებული, იგი თეიმურაზის ბიძაშვილი იყო. როცა შაჰი საქართველოდან გავიდა, ისა-ხანი სამი თვის შემდეგ შეთქმულებმა მოჰკლეს და თეიმურაზიც თავის

სამეფოში დაბრუნდა. შაჰმა გადასწყვიტა თავის ურჩთა სასტიკად დასჯა, და ამ დროიდან დაიწყო სპარსელებისაგან საქართველოს დარბევა და აკლება.

შაჰმა თავის ჯარის ნაწილი წინ გაგზავნა, რომ თეიმურაზისათვის იმერეთისკენ გასაქცევი გზა შეეკრა; მაგრამ თეიმურაზი პირველად თვითონ დაესხა მტერს თავს და უკუაქცია. შაჰ-აბასის უმთავრესი ჯარის მოახლოვებამ კი სულ სხვანაირად დაატრიალა ომის საქმე: სპარსეთის მოწინავე ჯარის სარდლად სააკაძე იყო და ხალხმა გაიგო თუ არა ამ გმირის ყოფნა სპარსეთის ჯარის სარდლად, სულითა და ხორცით დაეცა, სასოწარკვეთილებას მიეცა: ყველამ იარაღი დაჰყარეს და მთებში გაიქცნენ. თეიმურაზიც კვალად იმერეთში წავიდა.

1617 წელს შაჰ-აბასის ჯარი კახეთში შემოვიდა, გზა-და-გზა ყველაფერი გაანადგურა, ყველაფერი ხალხის სისხლით მორწყო, ქალაქები მიწასთან გაასწორა, მონასტრები დაანგრია, ხატები და ჯვრები მილეწ-მოლეწა და მათი სამკაული თავის ჰარამხანის შესამკობად შეინახა. იმის მაგივრად, რომ მტრისთვის წინაღმდეგობა გაეწიათ, ქრისტიანები ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ და სასიკვდილოდ ემზადებოდნენ, სპარსელებიც ანგრევდნენ ეკლესიებს და მათ ქვეშ ქრისტიანებს ათასობით აყოლებდნენ. შაჰისავე ბრძანებით ლეკებიც ხოცავდნენ და ატყვევებდნენ ყველა იმათ, რომელნიც იმათ მთებში გარბოდნენ დასამალავად. გარდმოცემას წმინდად შეუნახავს ის სისხლის წყურვილით გამოწვეული მტარვალობა შაჰისა, რომელიც მან ჩაიდინა გარეჯის უდაბნოში. ამ მონასტრის ნანგრევ ქვეშ, შიგ საკურთხეველში, დღესაც ისევა სდგას ტრაპეზი და მაზედ საეკლესიო ავეჯეულობის მაგივრად ჯვარის მსგავსად შეკრული კაცის ძვლები აწყვია. აი ამ ძვლებისაგან წარმოსდგება სახელი მთელის ლავრისა, რომელსაც მოწამეთა ჰქვიან, ე. ი. ლავრა წამებულთა. შაჰის ბრძანებით ზედ აღდგომა ღამეს აქ ექვსი ათასი ბერი ამოსწყვიტეს. ჩვეულებისამებრ, გარეჯის უდაბნოს თორმეტი სავანის ბერები აღდგომა ღამეს ამ ლავრაში იკრიბებოდნენ ხოლმე, რადგანაც ის ყველაზედ უფრო ძვ-

დი იყო; ამასთანავე ამ ლავრის ტაძრის დღეობაც აღდგომა დღეს მოდიოდა. აი ექვსი ათასი ბერი ანთებულის სანთლებით უფლის გარშემო მთის წვერზედ აშენებულს ეკლესიას და მხიარულად გალობენ „ქრისტე აღსდგას“, ის კი არ იცოდნენ, რომ იმ ღამეს უკანასკნელად ესწრობოდნენ ამ დიდებულს დღესასწაულს. შორს, მტკვრის იქით, ყარაიის დიდი მინდვრის განაპირას, ერთ ღამეს შაჰ-აბაზმა დაინახა არა ჩვეულებრივი შუქი—მთის წვერზედ რაღაც ცეცხლნი მოძრაობდნენ და ბჟუტავდნენ, მაშინ როდესაც ამ ადგილას მას ცარიელი მინდვრის მეტი არა ეგონა-რა. „ეს რა ჩირაღდანია?“ იკითხა გაკვირვებულმა შაჰმა. „გარეჯის ბერები თავეთ პასექს დღესასწაულობენო“, მოახსენეს.—„გაწყვიტეთ სუყველანი!“—ამაოდ ცდილობდნენ მახლობელნი პირნი დაეჯერებინათ შაჰი, რომ მეუდაბნოენი უიარაღონი არიან, არავის ბოროტებას არ უშვრებიან, პირიქით, მტერთათვისაც კი ლოცულობენო, რომ თვით ჩვენი მაჰმადი გვიწერს მლოცველთა შეწყალებასაო. შაჰი ყურს არავის უგდებდა. განთიადისას მტრის ცხენოსანი ჯარი მონასტერს მიადგა. წირვა იდგა და ის-იყო ბერები საიდუმლოს მისაღებად ემზადებოდნენ, რომ ამ დროს სპარსელები შეცვივდნენ ტაძარში და რამდენიმე წამის შემდეგ ექვსი ათასი ბერი დახოცილი ეყარა ეკლესის სისხლით მორწყულს ფილაქანზედ. მას აქედ ამ მონასტრის მრავალი სავანე დაცარიელდა. ეკლესიამ დახოცილი ბერები წამებულთა შორის შერაცხა და ყოველ წელიწადს აღდგომის მეორე დღეს იხსენიებს მათ. მეფე არჩილმა ამ წამებულთა ძვლები ერთს ადგილას შეაგროვა და ზედ პატარა ეკლესია ააშენა.

ამავე დროს შაჰმა მცხეთაც დაიპყრო და ხელში ჩაიგდო უდიდესი ამპარტავნება ქრისტიანობისა, წმინდა კვართი უფლისა, რომელიც შემდეგ მოსკოვის მეფეს გაუგზავნა. ნაწილნაწილად დაყოფილი კვართი უფლისა დღევანდლამდინ დაცულია მოსკოვის მიძინების ეკლესიაში და პეტერბურგის ალექსანდრე-ნეველის ლავრაში.

შაჰ-აბაზმა საქართველო იმით დაიმორჩილა, რომ ხალხს სრულიად ამოწყვეტას ემუქრებოდა. კახეთის მმართველად თავის სარდალი დააყენა და სპარსეთის ჯარი მისცა, ამავე დროს თვით სპარსეთში მრავალი ქართველი გადაასახლა. „ირანის ლომმა“ საქართველოს მეფეებთან ზავი შეჰკრა და პირობა მისცა, რომ საქართველოს ხარჯით აღარ შეაწუხებდა, არც ეკლესიებს და არც სარწმუნოებას შეეხებოდა და არც მეჩითებს ააშენებდა აქა, თუ რომ ქართველთა მეფენი მაჰმადიანები იქნებოდნენ, თუნდაც რომ იგინი ქართველთა ჩამომავლობისანი ყოფილიყვნენ. ამ ზავის შეკვრით შაჰმა საქართველოს სამეფოებს მხოლოდ გარეგანი დამოუკიდებლობა შეანარჩუნა. მეფეები გამაჰმადიანებულები იყვნენ და დიდ-კაცობაც უარს არ იყო მაჰმადიანობის მიღებაზედ, მხოლოდ ერი იდგა უარზედ, რომელმაც თავის მტკიცე სარწმუნოებით და სამშობლოს სიყვარულით დაიცვა სულიერი დამოუკიდებლობა საქართველოსი და არ გადიწყვიტა იმედი მისი ხელ-ახლად აღდგენისა. ხალხიდან კვალად გამოვიდა ძლიერი სასულიერო წოდება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მეფეებსა და გამაჰმადიანებულს დიდ-კაცობაზედ; ამ წოდების მოთავე კათალიკოსი შემდეგში არა ერთხელ ყოფილა სული და გული ხალხის მოძრაობისა საქართველოს გასანთავისუფლებლად. მადლიერი ერი ხშირად იხსენიებს თავის ლეგენდებში სასულიერო წოდების მოღვაწეობას.

ამ მარად მომქმედმა ერის სულიერმა ძალამ თავი იჩინა შაჰ-აბასის დროს და ამ ერის მოღვაწეობაში ნათლად გამოსჭვირს უძლეველი და განუსაზღვრელი სიყვარული სარწმუნოებისა და მამულისადმი. ერის ხალხისაგან შექმნილი ლეგენდარული ისტორია (ამას გვიამბობს ი. დ. პოპკა), რომელიც გვაუწყებს, რომ ერი შაჰს გამარჯვებულად კი არა, დამარცხებულად სთვლიდა, თითქო ჰგრძნობდა, რომ შაჰი ვერ დასძლევდა მის ძალას, გამსჭვალულს სამშობლოს სიყვარულით:

აი ეს ლეგენდა:

როდესაც შაჰ-აბასმა დაიპყრო მთლად კახეთი და მომეტებული ნაწილი ქართლისა, იგი ერთხელ თავის კარვის წინ

იყდა, რომ ამ დროს კარის კაცმა მოახსენა, საქართველოს მეფეს საჩუქრები გამოუგზავნიაო. მის წინაშე წარსდგა მაღალი და ჩინარივით მოყვანილი ქართლის თავადი. შაჰის წინ ახალი ხილით სავსე კალათა დასდგა, შაჰს ხილი ძალიან მოეწონა.— „ჩოხ-ღიუზელ!“ (ძალიან კარგი) იძახოდა ივი, მერე ამოარჩია ყველაზედ დიდი ვაშლი, შეჭამა, მისი კურკები ხელის გულზედ დაიყარა და უბრძანა ლახვარი მოეტანათ. ლახვრით ამოჩიჩქნა მიწა, შიგ კურკები ჩაყარა და უთხრა თავადს. „მადლობა მოახსენე მეფეს და უთხარ ჩემს მაგიერად, რომ ვიდრე ამ კურკებიდან დიდი ხეები არ ამოვა და იმათ ხილს არა ვჭამ—შენი ქვეყნიდან არ გავალ-თქო, რადგან მე აქ უფრო კარგად მჭინავს, სინამ ჩემს ქვეყანაში-თქო“.—„ბალი!“ (კარგი), მიუგო თავადმა. როდესაც უკან გამობრუნდა, საშინლად აღელდა თავის მეფის და სამშობლოს დამცირების გამო და ჩაფიქრდა: „გავწირავ ჩემს საყვარელს, ჩემს გულის სწორს ხორეშანს—სამშობლო ცოლზედ ძვირფასია!.“ ამ თავადს სახელად შიო ერქვა; მისი სახლი კახეთისა და ქართლის საზღვარზედ იდგა. თვითონ იგი ქართლელი იყო, ცოლი კი კახელი; ცოლ-ქმრობის პირველი ნეტარების დრო ჯერ კიდევ არ გასულიყო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ შაჰ-აბასმა საშინელი ბრძანება გასცა: მუდამ მთვარის გამოცვლის დროს ქალაქებსა და სოფლებში ორმოც და ათი ლამაზი ქალი უნდა მოეკრიბათ და სპარსეთის ბანაკში მიეყვანათ. შაჰი თვითონ ურიგებდა მათ თავის სარდლებს. მაგრამ იყო ერთი ხანი, სახელად ალავერდი, რომელიც არა კმაყოფილდებოდა „მთვარის ძმის“ საჩუქრებით და თავის-თავადაც იღებდა ხალხისგან ამისთანა ხარჯს. იგი ყველაზედ ძლიერი ხანი იყო და უფროსი თათრის ცხენოსანი ჯარისა, რომელიც სპარსეთის ლაშქრის საუკეთესო ჯარი იყო (თვითონ სპარსელები ყოველთვის ლაჩარნი იყვნენ). ალავერდ-ხანი ცალკე იყო დაბანაკებული თელავის ახლო და რადგანაც ასაკლები აღარავინ იყო, ყოველ დღე სანადიროდ დადიოდა მიმინოებით, ღამ-ღამობით კი ვინმე ლამაზი ქართველი ქალი მიერთმეოდა ხოლმე.

საქთველოს მეფე თავადებითა და დამარცხებულის ჯარის ნაშთით მცხეთის ახლო იდგა, გამაგრებული ადგილი ეჭირა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. როცა საქართველოს სამხეთრო ძალა დამარცხდა და განადგურდა, მაშინ გამოჩნდა სხვა ძალა, რომელსაც იარაღი ვერაფერს აკლებდა. სასულიერო წოდება გამოვიდა ასპარეზზედ და თვითონ მოჰკიდა ხელი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. მან მტრად გადაკიდებულნი თავადნი ერთმანეთთან შეარიგა, ყველანი მეფის დროშის ქვეშ დააყენა, სულით მაშვრალნი გაამხნევა და შექმნა ძალა იქ, სადაც ეგი აღარ მოიპოვებოდა; ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ და უფლის კვართზე ფიცულობდნენ ერთმანეთისათვის თავი გაეწირათ. იმერეთსა და მოსკოვსაც სთხოვეს შემწეობა. მეფის ჯარი დღითი-დღე მატულობდა, ყველა მოუთმენლად ელოდა მტერზედ თავ-დასხმას. მხოლოდ რუსეთის შემწეობას ელოდნენ თერგისა და დნეპრის მხრიდან.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც თავადი შიო ცხენით მოიჭრა თავის ხორეშანთან და უთხრა:—სამშობლო დაიხსენო!

— რას ამბობ! მე სუსტმა ქალმა როგორ დავიხსნა სამშობლო, როდესაც თვით გამოჩენილ გმირ თავადიშვილებს არაგვისა და მტკვრის შესართავთან უშიშარი ალაგი დაუჭერიათ და ვერაფერს კი არიგებენ.

— იქ, სადაც ორი და ერთმანეთს გადახვევიან, სადაც მტკვარნ და არაგვი ერთმანეთს ერთვიან და ურთიერთ შორის საუკუნო კავშირი შეუკრავთ, ისე, როგორც მე და შენ, იქ შეერთდა დანაწილებული ძალა ივერიისა. ეს უკანასკნელი ძალაა—მეტი აღარ არის! მაგრამ ქართველობა ერთი მუჭაა, ყიზილბაშები კი ურიცხვი, რა შეგვიძლიან ჩვენ პატიოსნად სიკვდილის მეტი? მაგრამ ეს სამშობლოს ვერ დაიხსნის, უკანასკელ თავადთან ერთად სამშობლოც დაიღუპება: სადაც გმირნი ვაჟკაცნი ვერაფერს გახდებიან, იქ ქალს ყველაფერი შეუძლიან... ღონით კი არა, სიყვარულის უსაზღვრო სიდიადით... გაიწირე თავი!... მიეცი შენი სიყვარული, მიეცი

იგი მცირე ხანს ხან-ალავერდის, ფარსკელავების ბმოსვლიდან განთიადამდინ.

ხორეშანი გაფითრდა.

— შაჰის ურიცვი ყიზილბაშებისა კი არ ეშინიანთ ქართველებს, —განაგრძო აღტაცებით შიომ: —არა, მათი გმირობა ცოტა არ არის ადერბეჯანის ლომის ალავერდის წინაშე დრკება. თუ იგი გადაუდგება შაჰს, საქართველო დახსნილი იქნება; უნდა კი დავიხსნათ იგი, რაც უნდა იყვეს, უნდა დავიხსნათ, და ეს მხოლოდ შენ შეგიძლიან არა ძალით, არამედ თავის განწირვით. დადგა დრო უზომოდ თავის განწირვისა, იმგვარად თავის განწირვისა, როგორიც არცა თქმულიყოს და არც გაგონილიყოს, ამგვარად თავის განწირვა მხოლოდ სამშობლოს შეუძლიან მოითხოვოს...

დიდ ხანს ლაპარაკობდა ჭეთილშობილი ქართველი ტ სარცარი იყო მისი სიტყვები,—ასეთი სიტყვები ჯერ არა სმენია ქვეყანას. ხორეშანი მიხვდა თავის განწირვის სიდიადეს და თავის განუსაზღერელ მოსიყვარულე გულში ჰპოვა იმდენი ძალა, რომ გაბედა თავის განწირვა.

ხორეშანი მალე მივიდა სპარსთა ბანაკში და შიშისაგან ფოთოლივით თრთოდა. ამ შიშმა უფრო გაალამაზა იგი, ხანი ალავერდი ფიცულობდა წინასწარმეტყველის წვერს, რომ ამისთანა ლამაზი არას დროს არ მინახავსო. საშინელი ბნელი ღამე იყო. მთებში ჭექა-ქუხილი სსტყდა, წვიმამ დაასხა, ქარიშხალი თათრების კარვებსა ჰგლეჯავდა. ხანის აბრეშუმის კარავში კი გაცხარებული ხმაურობა ისმოდა. ალავერდი არა თანხმდებოდა იმ ფასზედ, რა ფასსაც ქართველი ქალი თხოულობდა. იგი ყველა თავის საუნჯეს აძლევდა ამ ქალს და შაჰის ღალატზედ კი არა თანხმდებოდა. ხორეშანმა ყოველისფერი უარი ჰყო და მხოლოდ შაჰის ღალატს თხოულობდა. არა ერთხელ გაბრაზდა და გაცეცხლდა ძლიერი ხანი, არა ერთხელ მოუღერა ხანჯალი, მაგრამ ხორეშანი არ შედრკა და არ დაუკლო ფასი.

მეორე დღეს ხანი ჩაფიქრებული და გაბრაზებული იჯდა კარავში. მთელს ბანაკში სიჩუმე ჩამოვარდა და ხმა-მაღლა ლა-

პარაკს ვერავინ ჰბედავდა. შუაღამისას ხანი დასთანხმდა ხორეშანს. ქალმა ფიცი მოსთხოვა და იმანაც თავის წინასწარმეტყველის წვერი დაიფიცა.

დილით მთელი ბანაკი ხმაურობდა და მხიარულობდა, ხანის დაახლოებულ პირთ დიდი საჩუქრები მიიღეს. მაგრამ აი მოვიდა შაჰის შიკრიკი და მოახსენა ალავერდის, რომ ქართველებს თერგისა და დნეპრის ჯარი მოეშველა და უნდათ თავს დაგვესხნენო. შაჰი უბრძანებდა, რომ ალავერდი სამი დღის განმავლობაში მის ჯარს შეერთებოდა. — „ბალი“, უთხრა ალავერდიმ შიკრიკს და ჯარსაც უბრძანა ცხენები დაეჭედათ და საომრად მომზადებულიყვნენ. ხანმა ფიცი დაივიწყა და ხორეშანმა გადასწყვიტა თავის გულში იმავე ღამეს თავი მოეჭრა იმისთვის ფიცის გატეხისათვის. ამ დროს ხორეშანს ჩაეძინა და საკვირველი ჩვენება იხილა: მას გამოეცხადა მოხუცი, რომელსაც თოვლივით თეთრი თმა-წვერი ჰქონდა და ბერის ძველი ტანისამოსი ემოსა, სახე წყნარი და გაბრწყინვებული ჰქონდა. მოხუცმა გააპყრო ხელი და დაუწყო ხორეშანს დალოცვა.

— „ღირსი არა ვარ, მამაო, — უთხრა მან, — ღირსი არ არის დალოცვისა ის, ვინც თავი შეიმწიკვლა ურწმუნოს სარეცელზედ და ვინც მზად არის ღალატით კაცი მოჰკლას!“ მოხუცმა ამცნო: „დაუტევე განზრახვა შენი, ჰოი საკვირველო ქალო ევრიისა! ხელს ნუ ახლებ ალავერდის, იგი მოწოდებულია დიდი საქმის შესასრულებლად: მისი სიცოცხლე სამშობლოს დაიხსნის, მისი სიკვდილი აღადგენს სავანეს, რომლის ნანგრევებსაც მრავალი წელიწადია დავსტირი. შენს ცოდვას კი განაქარევებს ლოცვა-კურთხევა ეკლესიისა და დიდი ხნის ღვაწლი მონოზნობისა. ხვალ აუწყე ხანს, რომ შენ იმის ჯამში გინდა პურის ჭამა“... მოხუცმა ერთხელ კიდევ დალოცა მუხლ-მოდრეკილი ხორეშანი და გაქრა.

დილით ხორეშანმა უთხრა ხანს, რომ ჯეირნის ქაბაბი მინდა და ის ჯეირანი შენის ხელით უნდა იყოს მოკლულიო. ხანმა მაშინვე გასცა ბრძანება და მონადირენი ზურნითა და დაირით წავიდნენ ტყეში. იმ გზით, საითაც წმ. გიორგის დანგრეუ-

ული ტაძარი იყო. ნადირი ბლომად დახოცეს. ბოლოს, მიმინოებიც გაუშვეს. „დედა-მიწა ავაოხრეთ, ახლა ჰაერიც ავაოხროთო!“ ყვიროდა გახარებული ხანი. აი მისი საყვარელი მიმინო დურაჯებს მიეტია, მაგრამ ისე ზარმაცად და უხალისოდ, რომ დურაჯებმა თავს უშველეს. ალავერდი გაბრაზდა. მიაჭენებდა ცხენს და მიმინოს ყვირილით აქეზებდა. ამ დროს შორს, ალაზანის ნაპირზე წამოხრილ კლდეზედ დაჩოქილი იყო ერთი განდეგილი ბერი და მხურვალედ ლოცულობდა მტერთაგან სამშობლოს დახსნისათვის.

მიმინო გამხნევდა და ეწეოდა დურაჯს. აი გაამზადა კლანჭები და ნისკარტი დურაჯის დასაჭერად, მაგრამ ფრინველი ძირს დაეშვა და მლოცველი ბერის კალთას ქვეშ ამოეფარა. მიმინო თავს დასტრიალებდა მოხუცს. ხანმა დაინახა, სადაც დაიმალა დურაჯი, მიიჭრა განდეგილთან და დაუყვირა:

— გამოაფრინე დურაჯი შენის კალთიდან!

განდეგილი ლოცულობდა.

— შენ გეუბნები, გამოაფრინე-მეთქი!

განდეგილი მაინც გულმხურვალედ ლოცულობდა წამებული სამშობლოს დახსნისათვის, გული მისი ცად იყო მიმართული და ქვეყნიერება თავის მშვენიერებითა და ბოროტებით მისთვის თითქო აღარა სუფევდა.

— მაშ შენ არ გესმის ჩემი სიტყვა, თავხედო გიაურო! დაუყვირა ხანმა. სატევარმა გაიელვა განდეგილის თავზედ, მაგრამ, შეეხო თუ არა მოხუცის ჭაღარას, სულ ნაჭერ-ნაჭერად იქცა. ხანი ცხენიდან გადმოვარდა და ხელი გაუშეშდა.

განდეგილი კი ლოცულობდა „მოძულეთა და მაწყენართათვის“

სასწაულმა და ქრისტიანულმა ყოვლის შემწყნარებელმა ლოცვამ ამპარტავანი ხანი დაამშვიდა.

— მომიტევე შეცოდებანი ჩემნი,—ეუბნებოდა იგი მოხუცს:—მომირჩინე მკლავი, ამ მკლავით ქრისტიან ერს სამსახურს გავუწევ.

მოხუცის ლოცვამ გაუკურნა ხელი ალავერდის და პირველი სხივი სარწმუნოებისა ჩავარდა იმის ბნელსა და ვნებათაგან შეპყრობილს გულში.

შემდეგ ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მეფე და შაჰი შეხვდნენ ერთმანეთს საბრძოლველად და ერთიცა და მეორეც ალავერდისაგან მოელოდნენ დახმარებას. და აი, როდესაც გამარჯვება არც ერთისკენ იყო და არც მეორესკენ, ახლო მთის წვერზედ გამოჩნდა ფათრის ცხენოსანი ჯარი. ომის დანახვაზედ ალავერდი უეცრივ მარცხნივ გატრიალდა და ყიზილბაშებს მიეტია. მაშინ მთლად სპარსეთის ჯარი შეძრწუნდა და გაიქცა.

შიო ამ ომში მოკლულთა შორის იპოვეს. მას თავზედ ადგა და დასტიროდა თათრულად შეიარაღებული ახალგაზდა თავადი,—ეს იყო ხორეშანი. ხორეშანი შუბით მიუძღოდა და ამხნევებდა ხანს, როდესაც იგი დაყოყმდებოდა ხოლმე იმაზედ, თუ ვის მიშველებოდა. თვით ალავერდი სასიკვდილოდ დაიჭრა ამ ომში; მაგრამ რამდენსამე დღეს კიდევ იცოცხლა, ნათელ იღო და მოკვდა როგორც ქრისტიანი და როგორც ხორეშანის მეორე ქმარი. სიკვდილის წინად თავის უთვალავი საუნჯე შესწირა წმინდა გიორგის მონასტრის აღსადგენად და მალეც აღადგინეს მთელი თავის უწინდებურის დიდებითა. ხორეშანმა დაუტევა ქვეყნიერება და დიდის ხნის მონოზნურს მოღვაწეობით შეინანია თავისი დიდად მაღალი, მაგრამ ცოდვილი ღვაწლი.

საქართველოს მემატიანე გვიამბობს ამ ლეგენდას და თან დასძენს: „არა ყოფილა და არც იქნება სამშობლოს ისეთი მოსიყვარულე შვილი, როგორიც იყო ქართლელი შიო; არა ყოფილა და არც იქნება სამშობლოს ისეთი მოსიყვარულე ქალი, როგორიც იყო კახელი ხორეშანი“.

ასეთია ეს ლეგენდა, საიდანაც სჩანს, რომ ხალხის ფანტაზიამ ქართველებს გამარჯვება მიანიჭა და სპარსელებს დამარცხება. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვანაირად იყო საქმე. აკლებულს ქვეყანაში მთებიდან ჩამოვიდნენ ლეკები და თითქმის უომრად დაიჭირეს მდიდარი და ნაყოფიერი ნაწილი კახეთისა

კავკასიონის მთის და ალაზნის შუა, სადაც შემდეგ ააშენეს ციხეები ჭარისა და ბელაქნისა, რომელთა აღებაც რუსებს ძალიან ძვირად დაუჯდათ; ქართლში გამაჰმადიანებული მეფეები იყვნენ; კახეთი კი სულ უმეფოდ იყო—და გაქცეული თეიმურაზი იმერეთში ცხოვრობდა. მაგრამ ვერც ხალხი ურიგდებოდა თათრების გაბატონებას და ვერც თეიმურაზი. გადაყენებული მეფე კახეთისა სულთანისაგან შველას მოელოდა და რუსეთისაგან მფარველობას. 1619 წელს მან ელჩები გაგზავნა მეფე მიხეილ თეოდორეს ძესთან და ასე უწერდა თავის უბედურს მდგომარეობას: „თქვენ, დიდს მეფეს, გატყობინებთ ჩვენს ცრემლებს და სიგლახაკეს, ბრწყინვალება ჩვენი სიწყვდიადედ გადაიქცა, მზე ჩვენ უკვე აღარ გვათბობს და მთვარე აღარ გვინათებს, ნათელი დღე ჩვენი ღამეს დაემსგავსა, და მე ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ უმჯობეს იყო არ დავბადებულიყავ და ჩემის თვალით არ მენახა ქრისტეს სარწმუნოების და ივერიის აოხრება; ეკლესიებში სახელი ღვთისა აღარ იდიდება და ცარიელნი დგანან...“ თეიმურაზს სთხოვდა მიხეილ თეოდორის ძეს ეშუამდგომლა შაჰის წინაშე, რომ მისი დედა და შვილები დაებრუნებინა. მიხეილ თეოდორის ძემ მართლა სთხოვა შაჰს საქართველო არ შეეწუხებინა. შაჰმა დაამშვიდა რუსეთის მეფე მეგობრულის გრამოტის და უფლის კვართის გაგზავნით, მაგრამ მაშინ თეიმურაზის სახლობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო (1625). ამით გათავდა რუსეთის მფარველობა. ამ დროს ქართლში არეულ-დარეულობა დაიწყო. როდესაც ბაგრატ V მოკვდა, იმის ქკრივმა სვიმონ-ხანი II გამოაცხადა მეფედ, მაგრამ თავადებმა და ხალხმა გამაჰმადიანებული მეფის შვილის დამორჩილება არ ისურვეს... გაბრაზებულმა შაჰ-აბასმა სვიმონ-ხანს შემწედ სარდალი ყორჩი-ხანი მისცა ძლიერის ჯარით და მათ თან გაატანა გიორგი საკაძე იმ საიდუმლო მინდობილობით, რომ კახელები ამოეწყვიტა და ქართლელები სპარსეთში გადაესახლებინა. საკაძემ სვიმონი მეფედ დასვა და თვითონ კახეთში წავიდა, მაგრამ აქ საკაძეში ზნეობრივი ცვლილება მოხდა, მისმა გულმა სულ სხვანაირად დაიწყო ძგერა.

საკაძე ჯერ ისევ სპარსეთში იყო, რომ სვინიდისით იტანჯებოდა, როდესაც ხედავდა შაჰისაგან თავის ქვეყნის დამცირებას და აოხრებას. აი ეხლაც კახეთში შეიტყო, რომ დატყვევებული მეფე ლუარსაბიც ღალატით მოეკლათ (1622). ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აღავსო საკაძის აღშფოთებული სვინიდისის ფიალა. იქნება კიდეც მოაგონდა ყოველივე ის ბოროტება, რაც ლუარსაბს უყო; მან დაივიწყა სამშობლოსაგან მიყენებული შეურაცხყოფა და შეუდგა მთლად საქართველოს განთავისუფლების საქმეს სპარსთა მონებისაგან. მოხდა ისე, რომ საკაძისაგან დაბარებული ზოგიერთა კახელი თავადები ღალატით ყორჩი-ხანის კარავში დაეხოცათ. ამით ისარგებლა საკაძემ, ხალხი ააღელვა და ააჯანყა, მან თვითონ შესძახა პირველად: „კახელებო, იარაღი აისხითო!“ სპარსეთის ჯარი დაუყოვნებლივ ამოჟლიტეს და მოურავმა თავის ხელით მოსჭრა თავი ყორჩი-ხანს. ამის შემდეგ არაგვის ერისთავის დახმარებით განდევნა კახეთიდან სპარსეთის მთავარმართებელი და ტფილისიც აიღო, გარდა ციხისა, რომელშიაც მეფე სვიმონ-ხანი ჩაიკეტა და პატიმარივით იჯდა შიგა. ქართლი და კახეთი განთავისუფლდნენ, ქართლს განაგებდა მოურავისაგან დაყენებული ახალგაზდა ქაიხოსრო, მუხრან-ბატონთა ჩამომაელობის გვარისა. მაგრამ მოურავი მმართველებზედ არა ფიქრობდა, მას მოუვიდა ფიქრად დიდად გონივრული აზრი საქართველოს სამეფოების ერთ სამეფოდ შეერთებისა, ამის გამო უწინარეს ყოვლისა მოიხმო კანონიერი მეფე კახეთისა თეიმურაზი, რომელიც გაქცეული იყო და შავი ზღვის პირას ცხოვრობდა (1623).

მოღვაწეობა გიორგი საკაძისა ჯერ ეს იყო დაიწყო; მაგრამ ეს მოღვაწეობა ისეთი ბრწყინვალე იყო, საქართველოს ისე დიდ ხანს აღარ ენახა მტერზედ ასეთი გამარჯვება, რომ საკაძე, წინად მისი მოღალატე და თავზარ დაჭცემი, ეხლა ხალხის საყვარელ გმირად გადაიქცა და მთელს თავის ქვეყანას როგორც უნდოდა ისე განაგებდა. მას ეძახდნენ ხალხის მხსნელს, სამშობლოს მამას და ეკლესიის შვილს; ეკლესიებში მის დღეგრძელობისათვის ლოცულობდნენ; დიდკაცობამ თავი მოიხარა

მოურავის დიდებული ღვაწლის წინაშე და დადგა მის დროშის ქვეშ, რომელიც ყველგან ამაყად და ძლევა-მოსილებით ფრიალებდა, პოეტნი ბ მგოსანნი ადიდებდნენ მტრის თავზარ დამცემს სახელს მოურავისას. სამშობლომ მას ყველაფერი აპატივა, ყველაფერი შეუნდო. თითქმის მისი თანამედროვე არჩილ მეფე ამბობს, სააკაძის უფლება ისეთი დიდი და ძლიერი იყო საქართველოში, რომ სადაც ის იყო, იმის ნება დაურთველად ვერც ერთი დიდებული თავადი და ვერც მთავარი ვერ დაჯდებოდაო. მაგრამ მოურავი, როგორც ჰმოწმობს ისტორია, არ ასდევდა ვნებათა ღელვას და არ ამპარტავნობდა თავის დიდის ღვაწლით. მისმა ზღვა გულმა არ იცოდა შუა გზაზედ შეჩერება რა იყო. ერთ დროში მძულვარებით გამსჭვალულს მის გულში ეხლა სივვარული ღვიოდა და სხვა იმედით სძგერდა; მას უნდოდა გაენთავისუფლებინა თავის სამშობლო მტერთა მონებისაგან.

სააკაძეს დროც არა ჰქონდა თავის მოღვაწეობით ეამპარტავნა,—მან კარგად იცოდა, რომ შაჰი არ შეარჩენდა მოღალატობას. და სამაგიეროს გადაუხდიდა, სპარსეთიდან შაჰის მუქარის ამბები კიდეც მოდიოდა. გაიგო თუ არა საკაძის ღალატობა და კახეთში თეიმურაზის კვალად გამეფება, შაჰმა მოაკვლევინა სპარსეთში მყოფი საკაძის შვილი და ზურაბ ერისთავის ცოლი; თეიმურაზის ლედა დიდსულოვანი ქეთევანი კი საშინლად აწამებინა. ქეთევანს უთხრეს—ორში ერთი ამოირჩიეო: ან გამაჰმადიანება და ან სიკვდილიო. ქეთევანმა ჯალათის ხელით სიკვდილი არჩია (1624). ხალხით გაჭედილს მოედანზედ გააშიშვლეს ლედოფალი და გახურებული მარწუხებით დაუწყეს ხორცის გლეჯა; მაგრამ იგი დიდსულოვნებით იტანდა ტანჯვას და ამაოდ ურჩევდნენ ქრისტეს უარის ყოფას. მაშინ დაწყლულებულს ტანზედ ლააყარეს ნაკვერჩხალი, მაგრამ მაინც ვერ დასძლიეს. ბოლოს დახურეს თავზედ გავარვარებული თუჯის ქვაბი და მაშინ კი მიიცვალა ამ საშინელის გვირგვინით დაგვირგვინებული ქეთევანი. ამ ამბის გაგონებაზედ მეფე ძალიან შეწუხდა, სპარსეთში მყოფი მისი ორი შვილი ხომ ადრევე შეიქმნენ მსხვერპლნი შაჰის მტარვალობისა: ჯერ ისევ 1620 წელს

შაჰმა ბრძანა მეფის შვილების გასაჭურისება, ერთი მათგანი ამ ულვთო ოპერაციის დროს გადაიცვალა, მეორე კი ჭკუაზედ შესცდა, რომ სამს წელიწადს კიდევ ეცოცხლა ქვეყანაზედ უბედურად. რა გასაკვირველია, რომ ყოველივე ამის შემდეგ თეიმურაზის გულში გაღვიძა ძველს მძულვარებას საკაძესადმი, რომელიც იყო მიზეზი მისი ოჯახის დაღუპვისა. ქეთევანის სიკვდილმა ხალხზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მასაც მოაგონდა, რომ საკაძე იყო მიზეზი ამ სიკვდილისა და იმ აღრეულობისა, რომელიც შეიქმნა მიზეზი შაჰ-აბასის შემოსევისა საქართველოში; ეს მოგონება მოურავის წარსული ცხოერებისა წინ გადაეღობა მის ძლევა-მოსილებას და ხალხმა დაჰკარგა ნდობა თავის გმირისა. ეკლესიამ ქეთევანი წამებულთა შორის შერაცხა; მისი ნაწილი ზოგი ალავერდის ეკლესიაშია და ზოგი ბელგიაში, ქალაქ ნემურის ტაძარში;—კათოლიკეთა მისიონერები დაესწრნენ ქეთევანის წამებას, გაჰკვირდნენ მისი დიდსულოვნებით და ნაწილი იმის სხეულისა ევროპაში წაიღეს.

ქეთევანისა და ახალგაზდა საკაძის სისხლმა ვერ ჩააქრო მრისხანების ცეცხლი შაჰ-აბასისა და სპარსეთის ჯარი ისა-ხანის სარდლობით წამოვიდა საქართველოზედ. მოურავმა მოუყარა თავი თავის დროშის ქვეშ მეფე თეიმურაზს, არაგვის ერისთავის და სხვა თავადების ჯარებს და 12 ივნისს 1624 წელს მდინარე ალგეთის ნაპირზედ სრულიად გაჰფანტა ისა-ხანის ჯარი. ამავე დროს მცირედის რაზმით დაამარცხა ერევნის ბეგი, რომელიც ისა-ხანის მოსაშველებლად მოდიოდა. მაგრამ ხალხის უნდობლობამ და ურთიერთ შორის უთანხმოებამ მოურავს მოულოდნელად გამოსტაცეს ხელიდან გამარჯვება. ომში მოკლულთა რიცხვში ერია ვინმე თეიმურაზი, თავადი მუხრანისა; ხმა დააგდეს, რომ მეფე თეიმურაზი ღალატობით მოჰკლესო, ამის გამო ჯარი აჯანყდა და არეულ-დარული ტფილისისკენ წამოვიდა. სპარსელებმა კარგად ისარგებლეს ამ შემთხვევით: უკან დაედევნენ არეულ ქართველებს, გზა და გზა ხოცავდნენ და ამგვარად მოადგნენ ტფილისს, სადაც სვიმონ-ხანი ისევ ციხეში იყო გამაგრებული.

ქართველების ჯარი აღარ იყო და ქვეყანა ღვთის ანაბრად დარჩა.. მაგრამ მოურავი იმედსა და მხნეობას არა ჰკარგავდა. მან დაიწყო პარტიზანული ომი, რომელშიაც უფრო დიდი ნიჭი გამოიჩინა. ერთხელ სამოცი ცხენოსანით თავს დაეხსა მთიდან ჩამომავალს სპარსეთის ჯარს და შვიდასი კაცი მოუკლა. მოურავმა არა ერთხელ გაიმარჯვა ამნაირად და მისი სახელი შეიქმნა იმდენადვე საშიშარი სპარსელებისათვის, რამდენადაც თვით სპარსელნი იყვნენ სიმრავლით საშიშარნი ქართველებისათვის. ისა-ხანს ეშინოდა პატარ-პატარა რაზმების აქედიქიდ გაგზავნისა, რადგან მოურავი მათ ხშირად მუსრს ავლებდა ხოლმე. ამისათვის განიზრახა მთელი თავის ჯარით ქართლზედ გალაშქრება. ეს გაიგო თუ არა საკაძემ, მაშინვე შეუდგა მზადებას მტრის დასახვედრად, ღართის-კარში გააკეთა მაგარი სანგლები და უსათუოდ შეაჩერებდა კიდეც მტერს, მაგრამ ყოველმა მომზადებამ ამაოდ ჩაუარა, არაგვის ერისთავმა უღალატა და ხოსრო-მირზა თავის ჯარით თავის საერისთაოზედ გაატარა.

საკაძის წარსული ცხოვრება იყო მიზეზი, რომ მისი პირადი ვაჟკაცობა და სამხედრო ნიჭი უსარგებლო იყო ქვეყნისათვის. ხალხს კარგად ახსოვდა ის ბოროტება, რომელიც მან საქართველოს მეფეებს უყო, ამისათვის წააგებდა სადმე თუ არა ბრძოლას, ხალხი აღარ ენდობოდა ხოლმე; ხოსრო-მირზა, რომელსაც ეხლა ბრძოლას უპირებდა, თვით მოურავისაგანვე იყო გაწრთვნილი. იყო დრო, როდესაც გამაჰმადიანებულ მეფის ნაბიჭვარს ხოსრო-მირზას, ყველასაგან უცნობს და ლატაკს, სპარსეთის სასახლეში ძლიერი მოურავის მფარველობა ენატრებოდა. მოურავმა განიზრახა მოძულებულ ლუარსაბის მეტოქედ და მემკვიდრედ ხოსრო მოემზადებინა, რადგანაც თვითონ ლუარსაბი შაჰს დაპატიმრებული ჰყავდა. აი რა მოხდა მაშინ: ერთხელ მოურავს მეჯლისი ჰქონდა ტ გარშემო სპარსელები უსხდნენ. მოურავმა რომ ხოსრო-მირზა დაინახა შემოსული, მაშინვე ფეხზედ წამოუდგა, პატივის-ცემით წინ მიეგება და სთხოვა საპატიო ადგილი იმას დაეჭირა, თვითონ კი მოკრძალებით შორს

დაჯდა. სპარსელები გაჰკვირდნენ და მაშინ გაიგეს, რომ ხოსრო-მირზა საქართველოს ბატონიშვილი და ტახტის მემკვიდრე იყო. ამას შემდეგ შაჰ-აბასმაც მიიხმო ულენობი ბატონიშვილი და ისპაღანის გუბერნატორობა მისცა. აი ეს ხოსრო-მირზა შეიქმნა ეხლა მოურავის მეტოქედ და მტრად.

ხოსრო-მირზა ძლიერის ჯარით შეებრძოლა საკაძეს და დაამარცხა ჯარის სიმრავლით. მოურავი დაემორჩილა ძალას და კვალად დაიწყო პარტიზანული ომი თავის მცირე ჯარით. მოურავმა მრავალჯერ დაამარცხა სპარსელები, მაგრამ ამით ომის მიმდინარეობა მაინც აღარ შეიცვალა. ქსნის ხეობაში საკაძემ ისეთი ღვთის რისხვა მოუვლინა სპარსელებს, რომ მდინარე ქსანი მოკლულებით შეგუბდა და წყალი სისხლით შეიღება; მაგრამ ურიცხვმა მტერმა მაინც განვლო ხეობანი და ხოსრო-მირზა ტფილისში შემოვიდა. ქართლი დამორჩილდა.

საკაძე თავის საქმეს მაინც წაგებულად არა სთვლიდა. ახლა არა როგორც სარდალი, არამედ როგორც „რაინდი", მოსიარულე თავის საყვარელ სამშობლოს ნანგრევებზდ, მედგრად ებრძოდა სპარსელებს რამდენიმე თავ-გამოდებული ვაჟკაცით. დღეს ამარცხებდა მტრის რაზმს, ხვალ იღებდა ციხეს და მეციხოვნეთ ჟლეტავდა. ამავე დროს ოსმალებს შემწეობას სთხოვდა, არაგვის ერისთავს შეურიგდა და ცდილობდა მიემხრო იმერეთი, სამეგრელო და სხვა სამთავროები სამშობლოს განთავისუფლების ომში მონაწილეობის მისაღებად.

ერთხელ კიდევ გაიკაშკაშა საკაძის ბედის ვარსკვლავმა ოსებთან ომის დროს; ოსებმა ისარგებლეს საქართველოს გაჭირვებულის მდგომარეობით და გადუდგნენ მას. საკაძემ სასწრაფოდ გადალახა მაღალი მთები, რამდენიმე ციხე აიღო, მთელ ოსეთს თავზარი დასცა და დაიმორჩილა. ამ ომის მეისტორიე გვიამბობს ერთს ამბავს, რომელიც მოურავის დიდსულოვნებას ამტკიცებს. ერთს ომში ოსებმა სასიკვდილოდ დასჭრეს საკაძის მეგობარი თავადი მაჩაბელი და უნდოდათ თავი მოეჭრათ; მოურავი შევარდა შუაგულ მტრებში და სისხლში მოსვრილი მეგობარი მხარზედ შეიდო და გამოიყვანა.

მაგრამ მოურავის პირადმა ვაჟ-კაცობამ და ღვაწლმა საქართველო ვერ დაამშვიდა. ხალხი ყოყმობდა და არ იცოდა მიმხრობოდა თავის გმირს მოურავს, თუ სპარსელებს დამორჩილებოდა; საუბედუროდ, რამდენიც დრო გადიოდა, ხალხი იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ საკაძე სპარსეთს ვერ მოერეოდა. გასაჭირი დრო დაუდგა საკაძეს. მრავალმა დიდკაცობამ შესწყვიტა მასთან კავშირი და დღითი-დღე მოურავს ძალა აკლდებოდა. განუწყვეტელის ომებით დაღლილს ხალხს მშვიდობიანობა სწყუროდა. არაგვის ერისთავმა ზურაბმაც კვალად უღალატა. როდესაც გაბრაზებული საკაძე მასთან წავიდა საომრად, ზურაბი თეიმურაზს შეუერთდა და ბაზალეთის მინდორზედ მომხდარ ომში მოურავი სრულიად დამარცხდა. მაშინ დამაშვრალმა და იმედ-მიხდილმა საკაძემ ხელ-მეორედ დაუტევა სამშობლო და კოსტანტინოპოლში წავიდა. იქ ამ გმირის სახელმა და დიდებამ ერთხელ კიდევ გაიხმაურა მთელს აღმოსავლეთში. მაგრამ ესევე დიდება შეიქმნა მის დამღუპველ მიზეზად. ოსმალეთის ჯარების მთავარ სარდლის ცოლმა თავის ქმარს კოსტანტინოპოლის ამბები აცნობა და სხვათა შორის მისწერა: „ეგ ვინ მოურავია აგრეთი გამოჩენილი, რომ შენი სახელი დასჩრდილა? რა არის სიცოცხლე, თუ დიდების შარავანდედით არ არის შემოსილი?“ გაჯავრებულმა ვეზირმა მიიხმო თავისთან საკაძე და თავი მოაკვეთინა (1629). ამგვარად დაიღუპა ის სარდალი და გმირი, რომელიც თავის სამშობლოში სამართლიანად იწოდება ქართველ ალკიდად *).

შაჰ-აბასი საკაძეზე ერთი წლით ადრე გადაიცვალა...

შაჰ-აბასი მოკვდა (1628 წ.), მაგრამ საქართველოში სპარსეთის მფლობელობას მაინც ბოლო არ მოეღო. ამ მფლობელობამ საქართველოში ისეთი სისხლით შესერილი კვალი დასტოვა, რომ მთელ საუკუნის განმავლობაში ვეღარ წაიშალა-

*) გიორგი საკაძე შეიქმნა მამა-მთავრად ეხლანდელის თავადების თარხან-მოურავებისა.

დადგა დრო გამაჰმადიანებულ მეფეებისა,— ე. ი. სპარსეთის ერთგული მეფეებისა; ესენი სპარსეთში იზრდებოდნენ და როცა კვდებოდნენ, იქვე მიჰქონდათ დასამარხავად.

ამ მეფეების დროს საქართველო სრულიად დასუსტდა და მოუძლურდა ღონითაც და ზნეობითაც. ქართლი და კახეთი გაოხრებული, იყო; ვერც პატარ-პატარა სამეფოები და სამთავროები ასცდნენ აოხრებას, თუმცა იგინი იმათ მიუდგებოდნენ ხოლმე, საითაც გამარჯვებას ხედავდნენ. ამ დროს სამცხე-საათაბაგოც ოსმალებმა დაიჭირეს, მაჰმადიანობა დიდის სისწრაფით გაავრცელეს და ციხეები ააშენეს. შინაურობაში კვალად ასტყდა ძველი დინასტიური შფოთი ტ ამბოხება, მხოლოდ ბუნაგი ამ ინტრიგებისა თვითონ თეირანი, იყო. რადგანაც საქართველოს ბედ-იღბალი შაჰის ხელთ იყო, ამისათვის იგი სასარგებლოდ ხედავდა საქართველო დაენაწილებინა და მოახერხა კიდეც: ყოველი თავადი და ფეოდალი სულ იმის ცდაში იყო, რომ დამოუკიდებლობა მოეპოვა. ასეთი უკანონობა და თავგადასავლობა შედეგი იყო სუსტი და უღონო მთავრობისა.

თუ რანაირ აბუჩად იყო მეფის უფლება აგდებული, ამას ცხადად გვიმტკიცებს თვით მეფე ვახტანგ VI კანონმდებლობა, გამოცემული მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, სადაც სხვათა შორის სწერია: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს — ქნას, თუ არა და სახელი და საუკუნო სუფევა უნდოდეს. შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ხელის აღება, თუ ბედნიერის ხელმწიფის ყაენით იყოს ერთი რამე საქმე— უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ ქნას ის იწუნდეს იმისი საქმე სხვა არის“. ნამდვილად კი უფრო ბევრნი ტახტის დაჭერას ცდილობდნენ, ვიდრე უარის ყოფას; სამეფოს მიღებაცა და დაკარგვაც შაჰის სასახლეში გაიძვერობის წყალობით ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მაგალითებრ, კახეთის მეფე თეიმურაზმა შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ კვალად შეაერთა ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისევ მალე გამოაცალეს ხელიდან; ამას შემდეგაც კიდევ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ კიდევ განდევნეს გამაჰმადიანებულმა მეფეებმა, რომელნიც შაჰის

შემწეობით კახეთში გამეფდებოდნენ ხოლმე. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თეიმურაზმა ამ გაჭირვების დროს არა ერთხელ სთხოვა რუსეთს შემწეობა, მოსკოვშიაც კი წავიდა, მაგრამ თვით რუსეთს ამ დროს ომი ჰქონდა შვეციასთან და პოლშასთან და შორს მყოფ ივერიას შემწეობას ვერ მისცემდა.

რუსეთისაგან შემწეობის თხოვნამ ახლა სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. თუ წინად მტრის მოსაგერებლად სთხოვდნენ შემწეობას, ახლა ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგოდ სთხოვდნენ. ისტორია მოგვითხრობს ერთს საშინელს ამბავს, რომელიც რუსეთის იმედით მომხდარა. იმერეთის მეფე ალექსანდრე III იმდენი ძალა არა ჰქონდა, რომ სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი მოეგერებინა; ამისათვის რუსეთის მეფეს სთხოვა შემწეობა და იმანაც აღუთქვა. მაშინ ალექსანდრეს უმცროსმა ძმამ მამუკამ, რაკი რუსეთის იმედი ჰქონდა, თვითონ გაილაშკრა სამეგრელოზედ, მაგრამ ლევანს ტყვედ ჩაუვარდა და თვალები დასთხარა, რისაგანაც იგი გადაიცვალა. თუ რა ნაირი სასტიკი და თავდაუჭერელი კაცი იყო ლევანი, ეს ცხადად სჩანს შემდეგი გარემოებიდან: მან თავის ცოლს ცილი დასწამა ერთს ვეზირზედ, ორივე ზარბაზნით მოაკვლევინა და თავის ორი შვილი მოაწამლინა.

შავი და ბნელი იყო ეს ეპოქა უძლურებისა, საქართველო გარეშე მტერს ველარ იგერებდა, იგი ოსმალებმა და სპარსელებმა ბრძოლის ასპარეზად გაიხადეს. გონებრივი და ზნეობრივი მიმართულება სრულიად შეიცვალა. ლიტერატურა სპარსულის გემოვნებისა იყო, მთელს საქართველოში სპარსული ენა გაბატონდა, მშვიდობიანობის დროს ქართველები სპარსულს ლიტერატურას სწავლობდნენ; შეძლებულთა და ცნობის მოყვარულ პრით სპარსული წიგნების ბიბლიოთეკები ჰქონდათ. ქართული მწერლობის ნაშთი კი მხოლოდ მონასტრებში იყო დაცული და მარტო იქ ასწავლიდნენ სამღრთო წიგნების კითხვას და წერას,—ამ დროინდელი განათლებაც მხოლოდ ეს იყო. მუსულმანთა შიშით სკოლები აღარ იმართებოდა. არა ერთი და ორი ქართველი ჰგრძნობდა, რომ საქართველოს სარწმუნოება

და გონებითი ძალა იღუპებოდა, რისა გამოც ბევრი მათგანი რუსეთში გადასახლდა.

ამ დროის მეფეთა შორის ყურადღების ღირსია ვახტანგ VI, როგორც შესანიშნავი მბრძანებელი და კანონმდებელი. იგი სულით და გულით ქრისტიანი იყო, მაგრამ გარემოებამ აიძულა გარეგნად მუსულმანობა მიეღო. მთელი თავის მეფობის განმავლობაში კი (1711—1724) სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ ქრისტიანობა მკვიდრად დაემყარებინა. ამ მხრივ ბევრიც გააკეთა. იმის სახელთან დაკავშირებულია დასაწყისი იმ საქმისა, რომელმაც სულ სხვა მიმართულება მისცა საქართველოს ისტორიას და დაჰბადა მისი აღსადგენი გარემობანი. ეს გარემოება იყო ოსმალთა მიერ მთელი საქართველოს დაპყრობა. მათგან დამარცხებული ვახტანგი იძულებული შეიქმნა სამშობლოს განშორებოდა და 1724 წელს პეტერბურგში წავიდა, ოსმალებმა კი საქართველო დაიპყრეს და ოსმალეთის ნაწილად ჩარიცხეს.

თუმცა ძალიან მძიმე იყო საქართველოსათვის ოსმალთა შემოსევა, მაგრამ ამას თავისი კარგი შედეგიც ჰქონდა. სპარსეთი საქართველოზედ ვეღარა ბატონობდა და მის ზნეობაზედაც აღარა ჰქონდა გავლენა; 1729 წ. საქართველო ოსმალეთის ნაწილად იქმნა აღიარებული და ამით გამაჰმადიანებულ მეფეებსაც ბოლო მოეღო. ამის შემდეგ განვლო რამდენმამე ათმა წელიწადმა და დადგა დრო საქართველოს მეცნიერებისა და ლიტერატურის აღორძინებისა. სპარსეთი უნდა მიხვედრილიყო, რომ საქართველოსგან გადაჭარბებული არაფერი უნდა მოეთხოვა, თუ უნდოდა, რომ მაზედ მისი გავლენა არ შემცირებულიყო; როდესაც შაჰ-ნადირმა ოსმალეთზედ ზედი-ზედ გაიმარჯვა და უკან დაიბრუნა წართმეული ადგილები, საქართველოში 1744 წელს ქრისტიანი მეფეები დანიშნა: ქართლში თეიმურაზ II და კახეთში მისი შვილი ირაკლი II. თეიმურაზს სატახტო ქალაქად ტფილისი ჰქონდა და პირველად ამან აღადგინა ძველი წესი მირონის და გვირგვინის კურთხევისა მცხეთაში.

წარსული საუკუნის ნახევარში, შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში დაიწყო ურთიერთშორის ომები ტახტის

მემკვიდრეობის გამო, ამან სპარსეთი ძლიერ დააუძლურა და საქართველომ კი თავისუფლად ამოისუნთქა. რაკი საქართველოს ორი ძლიერი სამეფო მამისა და შვილის ხელში იმყოფებოდა, ამისათვის იგი ადვილად იგერებდა თავის დაუძინებელ მტერს ლეკებს და შინაურობაშიაც აღრეულობა აღარა ხდებოდა.

მაგრამ თეიმურაზის და ირაკლის შორისაც დაიწყო უთანხმოება, რისგამოც პირველი მათგანი პეტერბურგში წავიდა და იქ გადაიცვალა 1762 წელს სამოც და ათის წლისა. მისი გვამი ასტრახანში გადაიტანეს ტ ქალაქის ეკლესიაში დასაფლავე ს. მის საფლავის ქვაზედ დღემდის დაცულია შემდეგი ზედ-წარწერა ქართულად: „თეიმურაზ ნიკოლოზის ძე, მეფე საქართველოსი, ქართლისა და კახეთისა, მოვიდა პეტერბურგს 1761 წელს პატივის-საცემლად მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის სრულად რუსეთის დედოფლისა“. საკვირველია, რომ 90 წლის შემდეგ, 1853 წელს, საიმპერატორო აკადემიის წიგნის მაღაზიაში შენახულ თითბრის ფიცართა შორის, იპოვეს საქართველოს მეფის თეიმურაზის სურათი, რომელიც მმეენიერად არის გადახატული ანტროპოვისაგან ნამდვილიდან. სურათზედ იგივე ზედწარწერაა, რაც საფლავის ქვაზედ.

მამის სიკვდილის შემდეგ ირაკლი შეიქნა მეფედ ქართლისა და კახეთისა (1762). ამ დროს მას გამოუჩნდა რუსეთიდან ტახტის მოცილე ბაქარი, ვახტანგ VI შვილი და ბევრი მომხრეებიც იშოვნა ტფილისში, სადაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ქართლის მეფის ჩამომავლობა; მაგრამ იგი იძულებული შეიქნა ისევ რუსეთში გაქცეულიყო. მის მომხრეებს სასტიკი სასჯელი მოელოდათ, დღესაც უჩვენებენ ავლაბრის მიდამოში ადგილს, სადაც ეგზნო კოცონი ბაქარის მომხრეთა დასასჯელად.

(შემდეგი იქნება)

ღვინის დაყენება

II *)

ტკბილი

**)

ყველამ კარგად იცის, რომ ღვინო საზოგადოდ ორნაირია: თეთრი და წითელი. ეს ორგვარი ანუ ორფერი ღვინო ერთმანეთისაგან განირჩევიან როგორც თავიანთი შედგენილობით (განსაკუთრებით საფერავის და ტანინის რაოდენობით), ისე თავიანთი ხასიათითაც ანუ ფიზიოლოგიური მოქმედებით მსმელის ორგანიზმზე. მათი ხასიათი და თვისება სრულიად დამოკიდებულია, როგორც თვითონ ყურძნის ბუნებაზე, ისე მისი წვენის დადუღების გარემოებაზე. თუ ყურძენი შავია და მისი ტკბილი ჭაჭით დადუღდა, მაშინ ღვინოს რასაკვირველია წითელი ფერი ექნება და თუ ყურძენი თეთრია და ან შავი ყურძნის წვენი უჭაჭოდ არის დადუღებული, მაშინ უეჭველად თეთრი ღვინო დადგება. მაშ ამ ღვინოების განსხვავება უფრო გამოწვეულია მათი დუღილის რიგით და გარემოებით. დუღილის შემდეგ კი ორივე ღვინოს ერთგვარი მოვლა უნდა, მხოლოდ ცოტაოდენი განსხვავებით, ამისგამო ამ ორგვარი ღვინოების

*) «მოამბე» № 4.

**) მე-4 №-ში, „ღვინის დაყენებაში“, მე-68 გვერდზე გამოტოვებულ უნდა იქმნას შემდეგი სიტყვები:... „3) ლიქორიანი ღვინისას და 4) შამპანური ღვინისას“; უნდა იკითხებოდეს ასე:... „ჩვენ ახლა ცალ-ცალკე გავსინჯავთ: 1) წითელი ღვინის დადუღებას და 2) თეთრი ღვინისას. ამათ ცალკე გავარჩევთ“... და სხვ.

დულილის ხანას ცალ-ცალკე გავსინჯავთ და ამას შემდეგ კი, დულილის შემთავრების შემდეგ მათ მოვლას ისევ ერთად შევისწავლით. პირველად გამოვიკვლიოთ წითელი ღვინის დადულება და ამას შემდეგ თეთრი ღვინო და მისი სხვა-და-სხვა გვარი წარმომადგენელები, რომლების დადულებაც ბევრად განირჩევა.

1) ტკბილის წითელ ღვინოდ დადულება.

წითელი ღვინის დასაყენებლად შავი ყურძენი უნდა დაიკრიფოს, შეიძლება თეთრ ნარევიც, და დაწურვის შემდეგ სულ მთლად (ჭაჭით და წვენით) ერთად სადულებელში უნდა ჩაიყაროს და ისე დადულდეს. ჩვენ წინადვე გავარჩიეთ, რა მდგომარეობაშიაც არის ის ტკბილი, რომელიც ჭაჭით დულს. მაშინ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ამ გარემოებაში მთელი ჭაჭა ზედა პირზე ამოდის და აქ იკრიბება, ქუდივით ეხურება. ამ ზევით ამოსვლის დროს ტკბილს გასწურავს და ამისგამო დულილის დედასაც ზევით ამოიტანს. მაშასადამე, მთელი დულილის განმავლობაში დულილის დედა ჭაჭაში იქნება მომწყვდეული და ამის გამო პირველად იმ შაქარს გაანაწილებს, რომელიც ამ ჭაჭაში და ჭაჭის ახლო ტკბილშია. როცა ჭაჭის ახლო ტკბილი სრულიად დადულებულია და დაღვინებული, იმავე დროს და იმავე ტკბილში სხვა ადგილას, განსაკუთრებით სადულებელის ძირში ჯერ ისევ ბევრი შაქარი არის შეუცვლელი; ამ გვარად დულილი დიდ ხანს გრძელდება და ეს გარემოება ხომ, როგორც ვიცით, არ შეეფერება დულილის ნორმალურს მსვლელობას; ამას გარდა ამ გარემოებაში ტკბილის დადულებას სხვა ცუდი შედეგიცა აქვს. ჩვენ წინადვე ვუჩვენეთ, რომ სადულებელში ტემპერატურა ჭაჭის ახლო უფრო მაღალია და რადგანაც ამასთან ეს ჭაჭა ტკბილის ზედა პირზეა მოქცეული, ამისათვის ადვილად მოსალოდნელია მისი დაძმარება; ამ გარემოებაში, როცა ჭაჭა გამთბარია და არც ბევრი სისველე

აქვს, ჰაერი უფრო ენერგიულად მოქმედებს მასზე. ამგვარად დაძმარებული ჭაჭა თავის ძმარს ღვინოსაც გადასცემს და, მაშასადმე, ამ ღვინოს თავიდანვე ძნელი მოსაშორებელი სენი შეჰყვება. ამას ისიც მივუმატოთ, რომ, რადგანაც ესევე ჭაჭა მთელი დულილის განმავლობაში ტკბილის ზედა პირზეა, საფერავი საკმაოდ არ გადავა ღვინოში და ღვინო უფერო, სუსტი ფერისა დადგება. აქედან ცხადია, რომ თუ ტკბილი ამ გარემოებაში უყურადღებოდ და თავის ნებაზე დადუღდა, მაშინ იმ ღვინოს წითელი ღვინის თვისება და ხასიათი არ ექნება და ამასთან ძალიან ადრეც დასნეულდება. მაშ საჭიროა ზემოდ ნაჩვენები ნაკლულევანებანი მოვიშოროთ და ტკბილი ისე დავადუღოთ, რომ იმისგან ნამდვილი და საღი წითელი ღვინო დადგეს. როგორ უნდა მოვიქცეთ?

ამის პასუხად ჯერ ჩვენ გავსინჯოთ ის საშუალებანი და ის ჭურჭელი, რა ჭურჭელშიაც და რა საშუალებითაც ჩვეულებრივ წითელ ღვინოს ადუღებენ; გამოვიკვლიოთ მათი ღირსება და ნაკლულევანება და მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რა საშუალებით და რა ჭურჭელითაც სჯობია ვისარგებლოთ.

წითელი ღვინის დასადუღებლად სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა-და-სხვა გვარ ჭურჭელსა ხმარობენ: ან ქვევრსა *) (ლაგვინი, ტაგანი, თაღარი) როგორც ჩვენში, ზოგგან ისპანიაში, იტალიაში (პიემონტი), აგრედვე ზოგიერთ ძალიან თბილ ქვეყნებში, როგორც ჯაზაირი, საბერძნეთი და სხვანი; ან მუხის ფიცრებიდან (ყავრებიდან) გაკეთებულ სადუღებელს, როგორც ჩანს (Cuve) ანუ დიდ ჩანახს, რომელიც გავრცელებულია საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, რუსეთში და ზოგან ჩვენშიც და ან კიდევ ხისავე სადუღებელს, რომელსაც ფუდრს (fo-

*) ქვევრებს, რომაელებიც ხმარობდნენ (amphore) და შევრგან სხვაგანაც, მაგრამ პატარა ტანისას, ჩვენებურ ქოცოებს ჰგვანდნენ; იტალიაში უფრო დიდი ტანისა იყო (otri). მაგრამ ქვევრების კეთება ისე არსად იყო დახელოვნებული, როგორც ჩვენში; ამ ხელობამ ჩვენში დიდი ხანია, რაც ფეხი მოიკიდა და ძალიანაც განვითარდა.

udre — დიდი ბოჩკა) ეძახიან და რომელიც საზოგადოდ მიღებულია ქვემო საფრანგეთში.

ამ ჭურჭლებში ტკბილს სხვა-და-სხვაგვარად ადუღებენ და მათ შორის უფრო გავრცელებულია დუღილი: a) თავ ახდილ ჭურჭელში მოტივტივე ქუდით; b) დახურულ ჭურჭელში მოტივტივე ქუდით; c) ახდილ ან დახურულ ჭურჭელში ჩაფლული ქუდით და d) მრავალ-სართულიან ქურჭელში მრავალი ჩაფლული ქუდებით.

გავსინჯოთ ყველა მათგანი ცალ-ცალკე.

a) ბარაბდილ საადუღებელში მოტივტივე ქუდით დუღილი.

ჩვენში ამგვარი დუღილია მიღებული და სხვა ქვეყნებშიც დიდად არის გავრცელებული, ამასთანავე დიდი ხანი არ არის, რაც თვით დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი ამგვარადვე ადუღებდნენ ღვინოებს. ბევრი ვენახის პატრონი, ჩვეულებისამებრ, ამგვარ დუღილს ადგია. ეს საშუალება, ასე რომ ვთქვათ, ბუნებითი საშუალება არის, რადგანაც უეჭველია ესევე საშუალება უნდა ეხმარა შემთხვევით პირველ ღვინის დამყენებელსაც. ახლაც ბევრი ღვინის დამყენებელი დარწმუნებულია, რომ ამგვარი დუღილი კანონიერია. რადგანაც ნახშირის სიმჟავე უფრო სქელი (მჭირხნე) და მძიმე სხეულია, ვიდრე ჰაერი, ამისათვის ბევრსა ჰგონია, რომ ეს ნახშირის სიმჟავე, ამონადენი დუღილის დროს, ჰაერს ნებას არ მისცემს ჭაჭაზე იმოქმედოს. როგორც წინადაც ვთქვით, ეს აზრი მართალია მხოლოდ დუღილის იმ ხანასათვის, როცა ეს დუღილი გაძლიერებულია და აღელვებული. დუღილის დანელების შემდეგ კი ეს ნახშირის სიმჟავე ველარ დაიცავს ჭაჭას ჰაერის ზედმოქმედებისაგან. ამის დასამტკიცებლად საკმარია ანთებული სანთელი სადუღებელში ჭაჭაზე დავდგათ დუღილის დანელების შემდეგ. ბევრ შემთხვევაში ჩვენ უეჭველად შევნიშნავთ, რომ ეს სანთელი არ გაქრება. ეს, რასაკვირველია, იმას ნიშნავს, რომ აქ, ჭაჭის ახლო,

ჰაერი ბლომად არის და, მაშასადამე, ჭაჭაზედაც იმოქმედებს. ჭაჭასთან ჰაერის მაგივრად რომ წმინდა ნახშირის სიმჟავე ყოფილიყო, მაშინ სანთელი უეჭველად გაქრებოდა. მაშასადამე ვინც დაკვირვებით გასინჯავს ამგვარად დადუღებული ტკბილის ქუდს, ის უეჭველად დარწმუნდება, რომ ზედა პირი ამ ჭაჭისა დაძმარებულია და თითონ ჭაჭასაც აქა-იქ ფერი წართმევია. ბევრი ღვინის დამყენებელი ამ გარემოებას ყურს არ უგდებს და არც დიდ მნიშვნელობას აძლევს; იმათი აზრით, აქ უფრო ის არის სამწუხარო, რომ ღვინო უფერო—ფერ-ნაკლები დგება. ამის გამო იმათი ყურადღება უფრო ამ გარემოებაზე არის მიპყრობილი და ამ ნაკლულევანების ასაცილებლად საშუალებაც მოიგონეს. ეს საშუალება ის არის, რომ მთელი დუღილის განმავლობაში ყოველ დღე ხან ერთხელ და ხან რამდენჯელმე ზევით მოქცეულ მოტივტივე ჭაჭის ქუდს ტკბილში ჩააწვენენ, ჩაფლავენ ანუ ჩაზელავენ. ამ ქუდის ჩაზელას სხვა-და-სხვა გვარად ახერხებენ: ზოგნი ნიჩბით, ორკბითით ან კეტით და ზოგნიც ფეხით.— ამ საშუალებით, მართალია, ღვინო კარგად იღებება, მაგრამ სამწუხაროდ დიდ შრომას და ხარჯსა თხოულობს და ამასთან, როგორც წინადაც ვთქვით, ღვინოსაც ასნეულებს ძმრის ფერმენტით.

სურ. 27
პირახდილ ქვევრში დუღილი
მოტივტივე ქუდით.

ვინც ამგვარ დუღილს მისდევს და იმის გამოცვლა არ შეუძლია, მაშინ უეჭველად საჭიროა, როგორც წინად ვთქვით, სადუღებელი ჭურჭელი მთლად არ გაავსოს, რომ დუღილის დროს ჭურჭელში საკმაო ცარიელი ადგილი დარჩეს, სადაც ნახშირის სიმჟავე უნდა მოგროვდეს. აქ მოყვანილი სურათებიდან ცხადად სჩანს ამგვარი დუღილი.



სურ. 28
პირახდილ ჩანაში მოტივტივე ჭაჭით დუღილი.

ამასთან კარგი იქნებოდა, რომ სადუღებელი ჭურჭელი მთლად დუღილის განმავლობაში მუდამ დახურული იყოს ან ფიცრით, ან სარქველით, ან ტყავით და ან სუფთა ფარდაგით, რომ მათი შემწეობით მალე არ შეერიოს ჰაერი სადუღებელში მყოფ ნახშირის სიმჟავეს. ამას გარდა, ამ შემთხვევაში უცილებლად საჭიროა დუღილის დანელების უმალვე სადუღებლიდან ღვინის გადაღება და ჭაჭიდან გაშორება. ამასთან ისიც საჭიროა, რომ გადმოღების დროს ჭაჭა კარგად გაისინჯოს და თუ ცოტაოდენი ძმრის სუნი აქვს, ზედა პირი უნდა მოეხადოს და ცალკე დაიქაჩოს.

როგორც წინად ვთქვით, ქვემო საფრანგეთში მიღებულია ერთგვარი სადუღებელი ჭურჭელი, რომელსაც ფუდრი ჰქვიან (სურათი 29) და რომელიც მიემსგავსება ბოჩკას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სიდიდის გარდა, არც ბოჩკასავით გძელია, სიგძე და სიმაღლე ერთი ზომისა აქვს; ამგვარად გაკეთებული ჭურჭელი უფრო გამძლებია. ამ ჭურჭელს იმ

იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ ბოჩკას პირი აქვს, გაკეთებული აქვს ერთი პატარა კარები, ეგრედ წოდებული სამუშაო კარები ანუ სანათური, რომელიც ბადიმით არის დახურული. ამ ბადიმს



სურათი 29. ფუდრი

ჩვეულებრივი სიმაღლე აქვს 44 სანტიმეტრი და სიგანე 22. დაჭყლეტილი ყურძნის ფუდრში ჩაყრის დროს ეს სანათური, რასაკვირველია, ახდილია და დულილის დროს კი დახურული; ფუდრის პირი ამ კარებში ანუ ბადიმში არის დატანებული, როგორც სურათიდან (30) სჩანს და ეს პირი დულილის დროს ღია არის ნახშირის სიმჟავის ამოსასვლელად და თუ ზოგჯერ დახურულია, ისიც მხოლოდ ვაზის ფოთლით ან წმინდა ტილოთი. მაშასადამე, ამისთანა ჭურჭელში ჭაჭის დაძმარების შიში არ არის; ფუდრის პირი ისეთი ვიწრო არის, რომ თუნდ ახდილიც იყოს იმაში ჰაერი ძნელად ჩაატანს. ამ ჭურჭლის და, მაშასადამე, დულილის ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ ჭაჭის ჩაწოლა მოსახერხებელი არ არის. ამის გამო იმ ადგილებში, სადაც ამგვარი სადულებელი არის გავრცელებული ჭაჭის ჩა-



სურ. 30.
ფუდრის კარები (ბადიმი).

ჩაზელის ასაცილებლად მიღებულია სასრუტის შემწეობით სადუღებლის ძირიდან ტკბილის გადმოსხმა ჭაჭაზე. ამას იმეორებენ დღეში სამჯერ მთლად ღუღილის განმავლობაში. ამ ჩვეულების გამო სადუღებელში ჭაჭა ყოველთვის დასველებულია ტკბილით და მაშასადამე ეს ტკბილი დუღილის დროსვე ამოიღებს ჭაჭიდან ყველა იმ ნივთიერებას, რაც საჭიროა და ამის გამო ღვინო კარგი ფერისა დადგება. მეორე უფრო შესამჩნევი სარგებლობა ამ ჩვეულებისა იმაში მდგომარეობს, რომ სადუღებელის ძირის ტკბილი, რომელსაც უფრო დაბალი ტემპერატურა აქვს და რომელშიაც შაქარი ბევრია დარჩენილი, ჭაჭის ტემპერატურას აგრილებს და თითონაც სადუღებელ დედას ხვდება. ამ გარემოებაში დუღილი კარგად მიდის და უფრო მალე თავდება.

რადგანაც სადუღებელის ძირიდან ტკბილის ზედა პირზე გადმოსხმის დროს ამ ტკბილს ნება-უნებლიედ ჰაერი ხვდება, ამისათვის ზოგიერთნი ფიქრობდნენ, რომ ამ შემთხვევაშიაც დუღილის კარგ მსვლელობას ჰაერის შერევა უწყობს ხელსაო. რასაკვირველია, რომ დიდად საინტერესო იყო გამოკვლეულიყო თუ რა არის აქ დუღილის სიჩქარის მიზეზი—მარტო ჰაერის შერევა, თუ სხვა რამეც. ამის გამოსაკვლევად მარტინანმა შემდეგი გამოცდილება მოახდინა:

ერთი და იმავე ტკბილით სამი სადუღებელი იყო გავსებული; ერთი მათგანი თავისთავად იყო დადუღებული, არაფერი განსაკუთრებითი ყურადღება არ იყო მიქცეული; მეორე სადუღებელში დუღილის დროს ხშირ-ხშირად ჰაერს ჰბერავ-

დნენ, და მესამეში კი ხშირ-ხშირადვე ქვედა ტკბილს სასრუ-ტის შემწეობით ზედა პირზე ასხამდნენ. სამივე ჭურჭელში დუ-ღილის ტემპერატურა 25°—28° იყო. რვა დღის დუღილის შე-მდეგ სამივე სადუღებელში შაქრის რაოდენობა შეიტყეს. გა-მოჩნდა, რომ იმ სადუღებელში, რომელშიაც თავისთავად დუღ-და, 12,05% შაქარი დარჩენილიყო გაუნაწილებელი; იმაში, რომელშიაც ჰაერი იყო ჩაბერილი, დარჩენილიყო 2,60% და იმაში კი, რომელშიაც ძირის ტკბილს ხშირ-ხშირად ზედა პირზე ასხამდნენ, დარჩენილიყო მხოლოდ 1,1%; თუ დუღილის ტემ-პერატურა უფრო მაღალი იყო, მაგ. 30°, მაშინ პირველში დარ-ჩენილი შაქარი შეადგენდა 2,31%, მეორეში 2,07% და მესა-მეში 0,05%.

მაშასადამე, ცხადია, რომ ჰაერის ზედმოქმედებას გარდა ამ დუღილში სხვა მიზეზიც არის, რომელიც ხელს უწყობს დუ-ღილის მსვლელობას. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ შემთხვევაში ძირიდან ზევით ამოსულს ტკბილს ჭაჭაში მოგროვილი დუღი-ლის დედისთვის მოაქვს უფრო ბევრი შაქარი და ცოტა ალკო-გოლი, ვიდრე ჭაჭის ახლო არის და ამის გამო დუღილის გარე-მოება იცვლება და ამ შეცვლით დუღილის დედას ახალი ენერგია ეძლევა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ დუღილის დანელების დროს სადუღებელში მივუმატებთ ახალ ტკბილს, მაშინ დუღილი ისევ გახალისდება. რაც შეეხება ტკბილის ტემ-პერატურის შეთანასწორებას, ამაზე ჩვენ ხომ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

b) დასურულ სადუღებელში ბოტიტიკე ქუდით დუღილი.

როცა ღვინის დამყენებლებმა ზედმიწევნით შეიგნეს, რომ თავ-ახდილ სადუღებელში დუღილის დროს ჭაჭა ხშირად ძმარ-დება და ეს ძმარი დაყენებულ ღვინოსაც ერევა და ღვინო ხდება; როცა ამასთან ისიც გამოიკვლიეს, რომ უმთავრესი მი-ზეზი ჭაჭის წახდენისა ჰაერის ზედმოქმედება არის, მაშინ იმათ

დახურულ სადღეგებელში დულილი შემოიღეს. ამ შემთხვევაში — ქვევრია თუ ჩანა — სარქველი ანუ სახურავი ისე აქვს მოწყობილი, რომ სადღეგებელი ჭურჭელი გერმეტიულად არის დახურული და ამასთან დულილის დროს გაჩენილი ნახშირის სიმჟავის ამოსადენად სარქველს ანუ სახურავს დატანებული აქვს პატარა ნახვრეტი; თუ უნდათ, რომ ნახშირის სიმჟავე გარედ გამოვიდეს, ამ ნახვრეტში ჩაამაგრებენ პატარა მილს ან მასრას და ზედ გძელ კაუჩუკის მილს ჩამოაცმენ. დულილის დანელების შემდეგ ამ მასრას ამოაცლიან, ნახვრეტს დახურავენ და ამგვარად ნახშირის სიმჟავეს შიგ სადღეგებელში მოამწყვდევენ. ამ გარემოებაში, რასაკვირველია, ჰაერი ვეღარ შეერევა და ჭაჭა აღარ დაძმარდება.

ამით ეს ერთი ნაკლულევანება მოიშორეს, მაგრამ ღვინო უფერული დგებოდა, რადგანაც ჭაჭა ზედა პირზე იყო და იმის ჩაზელა ვერ მოხერხდებოდა. ამ ნაკლულევანების ასაცილებლად სარქველს ანუ სახურავს გაუკეთეს მეორე ფართო ნახვრეტი, რომელიც იმდენად განიერია, რომ შეიძლება სარქველის აუხდელად ჭაჭის ღვინოში ჩაფლობა ანუ ჩაზელა, ეს ნახვრეტი დულილის დროს, რასაკვირველია, დახურულია.

ბ) ჩაფლული ქუდიო ტკბილის დულილი.

ჭაჭის ჩაფლობას ანუ ჩაზელას ცოდი ჯაფა სჭირდება და მუშისთვის საშიშარიც არის, რადგანაც ამ შემთხვევაში მუშა ხშირად დაბნედილა ნახშირის სიმჟავის ზედმოქმედებით და, თუ მშველელი არავინ ჰყოლია, წუთი-სოფელსაც გამოსთხოვებია. ამისთვის ბევრნი ცდილობდნენ ამის აცილებას და მოიგონეს სხვა-და-სხვა იმისთანა საშუალებანი, რომელთა წყალობითაც ჭაჭა დულილის დროს ზედა პირზე აღარ ამოსულიყო. ამისათვის ზოგნი ურჩევდნენ ჭაჭა ჩაეყარათ დიდრონ თხლად ნაქსოვ პარკებში, პარკები მიეკრათ რამე კეტზე და ეს კეტი სადღეგებელში ისე ჩაემაგრებინათ, რომ ჭაჭა ტკბილიდან აღარ

ამოსულიყო; ზოგნი კიდევ ურჩევდნენ სათევზაო ბადეების მინაგვარი ბადეებით ისე ჩაეკრათ ჭაჭა სადუღებელში, რომ ჭაჭა დუღილის დროს ტკბილშივე დარჩენილიყო. ვერც ერთმა და ვერც მეოე რჩევამ ფეხი ვერ მოიკიდა. ბოლოს მოიგონეს, შიგ სადუღებელში გაეკეთებინათ ეგრედ წოდებული ყალბი ფსკერი (faux fond), რომელიც დახვრეტილია და ეს ნახვრეტები ისე წვრილია, რომ ტკბილი კი გაივლის და ყურძნის მარცვლები კი ვერა. რა სიმაღლეზედაც ექნება სადუღებელს ეს ყალბი ფსკერი გაკეთებული, ჭაჭა იქ მოგროვდება ფსკერის ქვეშ და, მაშასადამე, მთელი დუღილის განმავლობაში ტკბილში იქნება ჩაფლული. ეს არის ჩაფლული ქუდი. ახლა საქმე იმაშია, რა სიმაღლეზე უნდა იდგეს ეს ყალბი ფსკერი სადუღებელს ჭურჭელში?

ზოგი ურჩევს, რომ ეს ფსკერი თითქმის სადუღებელის ძირში იყოს, ონკანზე ცოტა ზემოდ. ამ შემთხვევაში ჯერ ჭაჭას ჩაჭყრიან სადუღებელში, ყალბ ფსკერს დაამაგრებენ და შემდეგ ტკბილს ჩაასხამენ. ამგვარად ტკბილის დადუღებას ურჩევს გამოჩენილი პროფესორი Pollacci. როცა ამ გარემოებაში დუღილი კარგად გახალისდება, მაშინ ამ ყალბი ფსკერის ახლო, სადუღებელის გარშემო კეტებით შემოურახუნებენ, რომ ამ საშუალებით ჭაჭა შეირყეს, დუღილის დედა გამოეცალოს და მთელ ტკბილში მოეფინოს. სამწუხაროდ, ამგვარად დუღილი ქვევრში ძნელი მოსახერხებელია. ზოგი კიდევ, როგორც Buelli, იმას ურჩევს, რომ ეს ყალბი ფსკერები დამაგრდეს სადუღებელის შუაში, მაგრამ, Ottavi'ს აზრით, ეს საშუალება ვერ არის კარგი, რადგანაც ის ტკბილი, რომელიც ამგვარად ჩამაგრებულ ყალბ ფსკერის ქვეშ არის კარგად ვერა დუღს, შიგ ბევრი შაქარი რჩება შეუცვლელად და ამისგამო დუღილი დიდ ხანს გძელდება.

ჩაფლული ქუდით ტკბილის დუღილის პრინციპი ის არის, რომ ჭაჭა დაიფაროს ჰაერის ზედმოქმედებისაგან და ამასთან ჭაჭიდან ღვინოში გადავიდეს დუღილის დროსვე ყოველი ის ნივთიერება, რომელიც მისთვის საჭიროა. ამგვარი დუღილი ბევრი სწავლულებისაგან არის გამოკვლეული და ყველა მათგანი

ცხადად აღიარებს მის სარგებლობას. განსაკუთრებით ვრცელი და დაწვრილებითი გამოკვლევა ეკუთვნის იტალიელ პროფესორს პოლლაჩის. ამ გამოკვლევას შემოკლებით აქ მოვიყვან. პოლლაჩიმ აიღო ორი ერთგვარი და ერთი ტანის შუშის ჭურჭელი და ორივეში ჩაასხა ერთი და იგივე ტკბილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ ჭურჭელში იყო დამაგრებული ხის დახვრეტილი ყალბი ფსკერი, რომლის შემწეობითაც მთელი დულილის დროს ჭაჭა ტკბილში იყო ჩაფლული; მეორე ჭურჭელს კი არა ჰქონდა ეს ყალბი ფსკერი და, მაშასადამე, ჭაჭას შეეძლო ქუდად მოქცეულიყო. ორივე ჭურჭელი თბილ ადგილას (20°—25°) იდგნენ და შუშის სარქველით იყვნენ დახურულნი.—აი რა იყო შენიშნულიო ამ ჭურჭლებში დულილის დროს ცალ-ცალკე:

a) მოტივტიკნ ქუდით დულილი:

3 დეკემბერს, შუადღისას

დულილი ჯერ არა სჩანს; თუმცა ტკბილიდან ამოდის რამდენიმე ბუშტი, მაგრამ ეს უფრო ჰაერია.

3 მაგისადმი, სადღამოს 6 საათზე

დულილი გაჩნდა, თუმცა კი ჯერ ისე სუსტი, რომ ანთებული სანთელი არა ჰქრება; ზედა პირზე აქა-იქ სჩანს ობი და ცოტაოდნად ძმრის სუნიც უდის.

b) ჩაფლულნ ქუდით დულილი:

დულილი დაიწყო; მრავალი ბუშტი ამოდის ტკბილის ზედა პირზე.

დულილი გარკვევით ცხადია; ტკბილი ამღვრეულია და სავსეა ნახშირის-სიმჟავის ბუშტებით; ანთებული სანთელი ჰქრება; არც ობი სჩანს და არც ძმრის სუნი უდის.

4 დეკემბერს, 11 საათზე

დულილი მატულობს და ჭაჭა თანდათან ეცლება ტკბილს; ანთებული სანთელი არა ჰქრება; ობი და ძმრის სუნი მატულობენ; ჭაჭას რაღაცა ბადე ეკიდება, რომელიც ძმრის ბუდე არის.

ამავე დღის საღამოს 6 საათზე

ჭაჭა სრულიად გამოეცალა ტკბილს; ჭაჭის ახლო გაცხარებული დულილია და ძირში კი ჯერ არაფერი სჩანს; ანთებული სანთელი ჰქრება, თუმცა კი ძნელად. ობი მატულობს, ძმრის სუნი ძლიერია; ქიმიური ანალიზი უჩვენებს ძმრის სიმჟავეს. ეხლა ჭაჭა ჩაზელეს ტკბილში.

5 დეკემბერს

ჭაჭის ჩაზელის გამო დულილი სადუღებლის ძირშიც გაჩნდა; ობი ალარა სჩანს და არც ძმრის სუნი უდის. ანალიზი კი ძმრის სიმჟავეს უჩვენებს.

6 დეკემბერს

ქიმიური ანალიზი იყო მოხდენილი და აი რა აღმოჩნდა შესახებ შაქრისა, ალკოგოლისა და სიმჟავისა:

დულილი აღელვებულია; ანთებული სანთელი მაშინვე ჰქრება; არც ობი აქვს და არც ძმრის სუნი; არც ძმრის ბუდე სჩანს.

დულილი გაცხარებულია; მთელ ტკბილში დიდი ძოძრაობაა; არც ობი სჩანს და არც ძმრის სუნი. ქიმიური ანალიზი ძმრის სიმჟავეს არ უჩვენებს.

წინა დღეზე შედარებით არაფერი განსხვავება არ მომხდარა. არც ობია, არც ძმრის სუნი და არც ანალიზი უჩვენებს ამ უკანასკნელს.

ამ ტკბილის ანალიზიც იყო მოხდენილი და აი რა აღმოჩნდა შესახებ იმავე სამი სხეულისა:

შაქარი	—	14,0%	შაქარი	—	4,0%
ალკოგოლი	—	3,0—	ალკოგოლი	—	8,0—
საზოგადო სიმჟავე		1,16—	საზოგადო სიმჟავე		1,04—

7 დეკემბერს

დულილი ისეთივეა, როგორც წინა დღეს; არც ობი სჩანს და არც ძმრის სუნი-უდის, თუმცა ძმრის სიმჟავე კი არის. ჭაჭა ხელმეორედ არის აზელილი.

დულილი ისევ გაცხარებული და აღელვებულია; არც ობი სჩანს და არც ძმრის სუნი; ანალიზიც არ უჩვენებს მათ.

8 დეკემბერს

შესანიშნავი არაფერია იმის გარდა, რომ ჭაჭაში დულილი თითქმის შესწყდა; ჭაჭის ქვევით კი დულილი გაცხარებულია.

დულილი ისე გაცხარებული აღარ არის, როგორც წინად იყო.

9 დეკემბერს

შესამჩნევი არაფერია.

დულილი თითქმის სრულიად დანელდა; აქა-იქ თითოოროლა ბუშტი-ღა სჩანს.

10 დეკემბერს

დულილი ჯერ არ გათავებულა; ტემპერატურა გარეგან ჰაერზე მაღალია. ქიმიურმა ანალიზმა აღმოაჩინა:

შაქარი	— —	3,6%	შაქარი	— —	0,08%
ალკოგოლი	—	8,6—	ალკოგოლი	—	10,09—
სიმჟავე	— —	1,1—	სიმჟავე	— —	1,05—

დულილი სრულიად გათავდა და ღვინოც დაიწმინდა; ტემპერატურა ისეთივეა, როგორც გარეგანი ჰაერისა. ქიმიურმა ანალიზმა აღმოაჩინა.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲡᲩᲐᲜᲡ—ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲕᲐᲠ ᲓᲣᲚᲘᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲣᲚᲘᲚᲘ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲭᲐᲭᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ, ᲔᲡ ᲭᲐᲭᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲭᲙᲐᲠᲒᲐ; ᲓᲣᲚᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ, ᲮᲣᲗᲔᲥᲕᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲭᲐᲭᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲦᲕᲘᲜᲝ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲐᲚᲜᲔᲜ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ; ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲚᲘ (ᲙᲠᲔᲛᲝᲠᲢᲐᲠᲢᲐᲠᲘ) ᲓᲐ ᲐᲖᲝᲢᲣᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲚᲔᲥᲜᲔᲜ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲣᲚᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲨᲐᲥᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲭᲣᲓᲘᲗ ᲓᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲡᲐᲓᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲖᲔᲖᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲤᲣᲭᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲮᲓᲔᲜᲘᲡᲐ.—ᲛᲝᲢᲘᲕᲢᲘᲕᲔ ᲭᲣᲓᲘᲗ ᲓᲣᲚᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ, ᲓᲣᲚᲘᲚᲘ ᲓᲘᲓ ᲮᲐᲜᲡ ᲒᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲭᲐᲭᲐᲡ ᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲫᲛᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲔᲙᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲚᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲦᲕᲠᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲭᲐᲭᲘᲡ ᲩᲐᲖᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲫᲛᲠᲘᲡ ᲡᲣᲜᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲝᲑᲘᲗ. ᲝᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲠᲘᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲦᲕᲘᲜᲝᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ; ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲙᲘ ᲫᲛᲐᲠᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲝᲑᲡᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲡ. ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲦᲕᲘᲜᲝ ᲒᲐᲤᲣᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲔᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

d) ᲛᲠᲐᲕᲐᲚ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲓᲣᲦᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲭᲣᲓᲘᲗ ᲢᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲓᲣᲦᲘᲚᲘ.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲓᲣᲦᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲜᲐ—ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲭᲣᲠ-

ჭელს ერთი ყალბი ფსკერის მაგივრად რამდენიმე ყალბი ფსკერი აქვს სხვა-და-სხვა სიმაღლეზე. ამისთანა ჩანას ხშირად ოთხი ან ხუთი ყალბი ფსკერი აქვს (სურათი 31) და, ბაშასადამე დულილის დროს ჭაჭაც განაწილებული იქნება ოთხს ან ხუთ გუდად, ყოველი ყალბი ფსკერის ქვეშ. ამგვარ სადუღებელ ჩანაში თუმცა დულილი ძალიან კარგად მიდის, ტემპერატურა ტკბილში ყოველგან ერთგვარია და დულილიც მალე თავდებს, შაქარი მთლად ნაწილდება, ღვინო კარგი ფერისაა და კარგად დაწმენდილი



სურ. 31.
ოთხ-სართულიანი ჩანა.

დგება, მაგრამ ამ მრავალ სიკეთესთან ერთი უმთავრესი ნაკლულევანებაცა აქვს: ამგვარი სადუღებელი ძალიან ძვირად ჯდება და ამასთან იმის გავსება და შემოხადება დიდ ჯაფას და ბევრ დროს თხოულობს. ამის გამო ეს ჭურჭელი არ არის გავრცელებული.

ამ სხვა-და-სხვა გვარ სადუღებელ ჭურჭელში, რომელი უფრო კარგია და გამოსადეგი? რასაკვირველია ეს, რომელიც ადვილი სახმარებელია, ძვირად არ ღირს, იმაში დულილს დიდი ხარჯი და დრო არ უნდება და დულილსაც რიგიანად წაიყვანს. ვისაც რა ჭურჭელი აქვს, იმას ადვილად შეუძლიან იმისი რიგიანად მოხმარება, თუ ცოტა ოდენ ყურადღებას მიაქცევრობს და იმაში ისე დაადუღებს ტკბილს, როგორც საჭიროა. უმთავრესი ყურადღება ორ გარემოებაზე უნდა იქოს მიქცეული: 1) ჭურჭელი გერმეტიულად უნდა იყოს დახურული მთელი

დუღილის განმავლობაში და მხოლოდ $^4/_5$ იყოს გავსებული; 2) მთელი დუღილის განმავლობაში ჭაჭა და ტკბილი კარგად იყოს არეული.

თუ ეს ორი პირობა კარგად და ყურადღებით არის შესრულებული, მაშინ სადუღებლად ყოველ-გვარი ჭურჭელი გამოსადეგია. ამ პირობების ასრულებით დუღილის დროს ქუდად მოქცეული ჭაჭა სუფთად შეინახება, ობი, ძმრის დედა არ მოეკიდება, დუღილი კარგად და მალე გათავდება და ღვინოც შემკული იქნება ყოველი საჭირო ნივთიერებით.

რადგანაც ჩვენში სადუღებლად ხშირად ქვევრს ხმარობენ, ამისათვის აქ მხოლოდ ამ ჭურჭელში დადუღების შესახებ ვიტყვით ორიოდე სიტყვას:

კარგი იქნებოდა, რომ სადუღებელ ქვევრს ყელზე ირგვლივ არშიასავით ჰქონდეს შემორტყმული ან ხის ან ქვიტკირის და ან თიხისავე ღარი და ქვევრის სარქველი ხუფის დაგვარი იყოს იმ ვარაუდით, რომ დახურვის დროს ხუფის ნაპირები ღარში ჩაიჭედონ. ღარში რომ ცოტაოდენი წყალი ჩავასხათ, მაშინ ამ ხუფის ნაპირები წყალში იქნება ჩადგმული და ამის გამო ქვევრი გიდრავლიკურად იქნება დახურული, ჰაერი ქვევრში ვერსაიდან ვერარ ჩავა. ამგვარ სარქველს ორი ნახვრეტი უნდა ჰქონდეს; ერთში ნახშირის სიმჟავის ამოსაშვები მილი იქნება ჩამაგრებული და მეორე კი საცობლით დახურული. მთელი დუღილის განმავლობაში ყოველ დღეს დღეში სამჯერ (დილით, შუადღისას და საღამოზე) ქვევრის ძირიდან ტკბილს ზედა პირზე, ჭაჭაზე, ამოასხამენ სასრუტის შემწეობით. ამ ტკბილის ზემოდ ამოსხმის დროს სარქველის ნახვრეტებს ახდიან, ერთში ეგრედ წოდებული პატარა ხელთ-სასრუტის ღერს ჭაურჭობენ ისე, რომ იმის ბოლო თითქმის ქვევრის ძირამდინ ჩავიდეს და სასრუტის მილს კი, რომელსაც მოკლე კაუჩუკის მილი აქვს ჩამოცმული, მეორე ნახვრეტში ჩაუშვებენ ისე, რომ იმის ბოლო ჭაჭის ზედა პირზე იყოს დანდობილი. მერე სარქველზე შესდგებიან, სასრუტს ფეხით დაიმაგრებენ და ორივე ხელით კი სასრუტის ტარს შეათამაშებენ

აწევ დაწევით. ამგვარად, ქვევრის ძირში მყოფი ტკბილი ჭაჭას დაესხმება. ნახევარ საათის მუშაობის შემდეგ სასრუტს ამოიღებენ, გარეცხენ ცივ წყალში და სარქვლის ნახვრეტებს ისევ ისე დაუცობენ, როგორც წინად იყო. თუ ხელის სასრუტის მაგივრად ღვინის გადასაღები დიდი სასრუტი არის, რასაკვირველია, იმის მოხმარებაც შეიძლება. თუ გიდრავლიური სახურავის გაკეთება მოსახერხებელი არ არის, მაშინ ყოველგვარი ორ-ნახვრეტიანი სარქველის გამოყენებაც შეიძლება; ამ შემთხვევაში საჭიროა გარედან გაჯით გაილესოს ქვევრის პირი და სარქველის ნაპირები.—მაშინ ქვევრი გერმეტიულად იქნება დახურული.

32 სურათი გვიჩვენებს ყელ-ღარიანი ქვევრის და მისი სარქველის სქემას; აქვე ისიც სჩანს, თუ ხელით სასრუტი როგორ არის სადღეგელში ჩამდგარი. ამგვარად წაყვანილი დღეღილი ძალიან მალე გათავდება და მთლად დამთავრებულიც იქმნება გათავების დროს. დღეღილის დანელების შემდეგ ნახშირის-სიმჟავის ამოსასველელ მილს ამოაძრობენ და წმინდა ბამბით დაუცობენ ღვინის გადაღებამდინ.



სურათი 32.

ჩვენში ქვევრი, მეტადრე სადღეგელი, ხშირად მიწაში არის ჩაფლული. ამ ჩვეულებას კარგი და ავი შედეგი ექნება გარემოების დაგვარად. თუ საზოგადოდ ღეღილის დროს ჰაერი ძალიან თბილია, მაშინ მიწაში ჩაფლულ ქვერში დღეღილი კარგი იქნება, რადგანაც, რაც უნდა ცხელოდეს, მიწას მაინც თავის სიგრილე აქვს და ტკბილსაც გაა-

გრილებს. მაშასადამე, დუღილის დროს ტკბილის ტემპერატურა ძალიან არ აიწევს და დუღილი ნორმალურად წავა, მაგრამ თუ თითონ ამინდი გრილია, მაშინ ამისთანა სადუღებელი მავნებელიც იქნება, რადგანაც დუღილის ტემპერატურის ერთ ხარისხზე დაყენება ძნელად მოხერხდება. რადგანაც დუღის ტემპერატურის მნიშვნელობაზე ჩვენ ვრცლად გვქონდა ლაპარაკი, ამისთვის აქ გამეორებას საჭიროდ აღარა ვრაცხავთ.

დუღილში გაჩენილი ნახშირის სიმჟავის მოხსნა და მუშაობის დროს სიფრთხილე.

დუღილის დროს დიდძალი ნახშირის სიმჟავე ჩნდება, რომელიც ტყუილ-უბრალოდ იკარგება; ამასთან ეს ნახშირის სიმჟავე დიდად მავნებელიც არის მუშებისათვის, თუ, რასაკვირველია, დუღილი მარანში ხდება. ამისათვის აქ ორიოდე სიტყვას ვიტყვით ამ ნახშირის სიმჟავის მოხმარების და მარანში სიფრთხილით მუშაობის შესახებ დუღილის დროს.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენი ნახშირის სიმჟავე ჩნდება ტკბილის დუღილის დროს, საკმარისია მოვიგონოთ წინად ნათქვამი, რომ 100 ნაწილი შაქრიდან დუღილის დროს თეთქმის 49 ნაწილი ნახშირის სიმჟავე ჩნდება, რომელსაც დაახლოვებით 26,000 ლიტრი ტანი ექნება. რადგანაც ჩვენში 150 მილიონ ლიტრზე მეტი ტკბილი მოდის, საშუალოდ 20% შაქრიანი, მაშ ამ ტკბილის 30 მილიონი კილო შაქრიდან 14,7 მილიონი კილო ნახშირის სიმჟავე უნდა გაჩნდეს, რომელსაც 77,310 ლიტრი ტანი ექნება. ამოდენა ნახშირის სიმჟავეს დიდი ფასი აქვს და იმისი ჰაერში გაშვება, რასაკვირველია, ბედოვლათობა არის. რადგანაც დაჩხინტულ ანუ შეკუმშულ ნახშირის სიმჟავეს ახლა დიდი გასავალი აქვს მრეწველობაში, ამისაფეის ამერიკაში და ზოგიერთ ევროპის ადგილებშიაც დუღილის დროს გაჩენილ ნახშირის სიმჟავეს ჰკუმშავენ და ჩხინტად აქცევენ, შესაფერ ჭურჭელში ინახავენ და ჰყიდიან. ამ ნახშირის სიმჟავის

გამოყენება სხვა ნაირადაც შეიძლება, რომელიც უფრო მოსახერხებელია პატარა მამულების პატრონებისთვის, საზოგადოდ ჩვენს ქვეყანაში. თუ დულილი დახურულ ჭურჭელში ხდება, მაშინ ნახშირის სიმჟავის ამოსადენი მილის ბოლოს ჩასდებენ იმისთანა ჭურჭელში (პატარა ქოცო, ჩანახი და ან პატარა ბოჩკა), რომელიც სავსეა ნახშირის სიმჟავის ნატრიანი მარილის ხსნილით (Na^2CO^3); ეს მარილი ნეიტრალური მარილია და ნახშირის სიმჟავის ზედმოქმედებით მჟავე მარილად გადაიქცევა, როგორც ფორმულა გვიჩვენებს: $Na^2CO^3+H^2O+CO^2=2NaHCO^3$.

როგორც ვხედავთ, ეს მარილი ნახშირის სიმჟავეს უერთდება და მჟავე მარილად იქცევა; ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ფასიანია ვინემ ნეიტრალური მარილი. ამგვარად ნახშირის სიმჟავესაც მოიხმარებენ და სადუღებელ ადგილში მუშაობაც საშიში აღარ იქნება.

ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანი და ყველა სულდგმული, თუ იმისთანა ადგილში მოემწყვდია, სადაც ნახშირის სიმჟავე ბლომად არის, მაშინვე დაიბნიდება და მოკვდება კიდეც, თუ მალე თავისუფალ ჰაერში არ გამოიყვანეს; ყველამ კარგად იცის, რომ დიდ ხანს დახურულ ორმოში ჩასვლა არ შეიძლება ჰაერის გაუწმენდელად. სადუღებელი ადგილიც, თუ, რასაკვირველია, დახურულია, უეჭველად უნდა განიავდეს, რომ მუშას ვნება არ მიეცეს. სადუღებელ მარანში შესვლის დროს ყოველთვის თან ანთებული სანთელი უნდა შეიტანონ და ძირს დასდგან. თუ სანთელი არ გაქრა, მაშინ შიში არ უნდა ჰქონდეთ და თუ სანთელი გაქრა, მაშინ საჩქაროდ უკანვე უნდა გამოვიდნენ და ჰაერის განახლებას, ვენტილაციას შეუდგნენ. მრავალი საშუალება არის ჰაერის გასაწმენდი: ცეცხლის დანთება, ჩალის ან თივის ანთება შესასვლელ კარებში, კირის წყლით პკურება კედლებისა და ნიადაგისა, მაგრამ ყველა ამას მაყალში გაჩაღებული ნახშირი სჯობიან, რომლის ბოქმედებაც უებარია და ჩქარი. ერთ პატარა მაყალს, რომელზედაც ორი-სამი გირვანქა ნახშირია გაღვივებული და რომელიც სადუღებელი ადგილის ნიადაგზე სდგას, 2,000 კუბიკური მეტრი

ადგილის გაწმენდა შეუძლიან და ძალიან ჩქარაც. აქ ჩვენ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ გაღვიებული ნახშირი როგორ მოქმედებს ამ შემთხვევაში; ჩვენმა ხალხმა კარგად იცის გაღვივებული ანუ ანთებული ცეცხლის მოქმედება ამ შემთხვევაში, რადგანაც ყოველთვის ორმოს ახდის უმალვე შიგ ჩაჰყრიან ხოლმე ანთებულ ჩალას და ან თივას და მხოლოდ ამას შემდეგ ჩავლენ შიგა.

თუ ნახშირის სიმეავით ვინმე დაიბნიდა, მაშინვე ჰაერზე უნდა გამოიყვანონ, ტანისამოსი გახადონ, მეტადრე უფრო გული გამოუჩინონ, ცივი ძმარიანი წყლით უპკურონ გულ-მკერდი და სახე და ცოტაოდენიც ჩააყლაპონ ესევე წყალი; ჰაერი ძალად ჩაასუნთქონ, გოგირდის წუმწუმა ასუნებინონ და როცა გონზე მოვა, თბილი ღვინო დაალევინონ.

დუღილის შემდეგ რა მდგომარეობაშია ტკბილი?

აღელვებული დულის შემდეგ ტკბილის თვით-არსებობა თავდება და იმის მაგივრად ახლა სრულიად სხვა დგება; შეიძლება ვთქვათ, ახლა სულ სხვა ახალი არსება ჩნდება—მაჭარი ანუ ახალი ღვინო. ეს არსება პირველად ძლიერ ნორჩია და სრულიად არა ჰგავს იმას, რაც შემდეგ მისგან დადგება, როცა იგი ან კარგი მოვლით შეიძენს შესაფერ ძალას და ღირსებას და ან მოუველლობით ნაკლულევანებას და სენს. რაც უნდა გამოცდილმა ღვინის დამყენებელმა გასინჯოს ახლა ის, მაინც ვერ შეიძლებს გადაწყვეტილი რამე სთქვას ამ ახალი ნორჩი არსების შესახებ; ძნელი შესატყობია—დიდი ხნის არსებობა ექნება იმას, თუ მალე მოაკლდება სიცოცხლეს. ისიც ძნელი შესატყობია—ცხოველი და ჯანიანი ღვინო დადგება, თუ ტლანქი და უღონო. ამ ახალ არსებას და წინანდელ ტკბილს შორის დიდი განსხვავება არის: წებოიანი, შაქრიანი და უფერო სხეულის მაგივრად, როგორიც ტკბილი იყო, ახლა ცხოველი, ალკოგოლიანი და მეტ-ნაკლებად შეხამებული სხეულია. ქიმიური ანალიზი გვარწმუნებს, რომ თუმცა მინერალური მისი შედგენილება ისეთივეა, როგორც ტკბილისა, მაგრამ ორგანიული ნივთიერებანი კი დიდად და ძალიან იცვლებიან; ზოგიერთი მათგანი შეცო-

ტავებულა, ზოგი სრულებით გამქრალა და მათ მაგიერ მრავალი სხვა ახალი სხეული გაჩენილა, თუმცა კი მისი შედგენილება ჯერ მაინც დასრულებული და დამთავრებული არ არის. ეს სხეული, ეს არსება მხოლოდ მაშინ დაემსგავსება რამე შესრულებულს, მხოლოდ მაშინ გამოიჩენს თავის ხარისხს და თვისებას, ერთი სიტყვით, თავის თავს, როცა სადუღებელიდან გადმოღების შემდეგ გაიწმინდება შერეული გაუხსნელი სხეულებისაგან, რომელთ შორისაც ის გაჩნდა, და როდესაც გაივლის მეორე ეკრედ წოდებულ უჩინარ ანუ ნელი დულის ხანას; ეს არსება მხოლოდ მაშინ დამთავრდება და მოიპოვებს თავის ღირსებას და ბუნების თვისებას, როცა ის თავიდან მოიშორებს ზოგიერთ მარილოვან სხეულს, დარჩენილ შაქარს, აზოტურ ნივთიერებათ და სხვ. მხოლოდ მაშინ დაეტყობა თავისი სიკეთე და თვისება, მაშინ დაისვამს თავის ღირსების ბეჭედს, როცა რამდენიმე გადაღების შემდეგ სრულებით გაიწმინდება დალექილი თხლიდან და ბითონაცსრულებით გამჭვირვალდება და ამასთან ხანგრძლივი და ნაზი ჰაერის ზედმოქმედებით შესანახავ ჭურჭელში დამთავრდება, დასრულდება და ანუ, როგორც ფრანგები ამბობენ, როცა ის საკმაოდ შეხნიერდება (Sufisemment vieilli).

აქედან ცხადადა სჩანს, რომ ტკბილის დაღვინოებაში სამი შესანიშნავი ხანა არის: აღელვებული დუღილი, ჩუმი ანუ, როგორც ამბობენ, შეუმჩნეველი დუღილი და ეთერიფიკაცია (შეხნიერება).

პირველი ხანას ფიზიოლოგიური ვითარება ჩვენ უკვე გავსინჯეთ; დაგვრჩა მხოლოდ ქიმიური მხარე ამ დუღილისა, ესე იგი, დაწვრილებითი განხილვა და ცნობაში მოყვანა იმ ცვლილებათა, რომლებიც ტკბილში მომხდარან ამ აღერვებული დუღილის დროს.

ბევრი და მეტი ლაპარაკის ასაცილებლად ჩვენთვის ესიც საკმაო იქნება, თუ ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ცვლილებათა სქემას ანუ სურათს და შევუდარებთ ტკბილის იმ შედგენილებას, რომელიც ჩვენ უკვე დაწვრილებით ვიცით. ეს შედარება ცხადად

დაგვანახვებს—რომელი სხეული შეუცვლელად გადავიდა ტკბილიდან ღვინოში, რომელი შეიცვალა ანუ სრულებით გაქრა და მათ ადგილას რომელი გაჩნდა ახლად.

აი ეს სქემა:

წყალი — — — — —	—იგივე რაოდენობა დარჩა, როგორც ტკბილში იყო.
ეტილ-ალკოგოლი C^2H^6O — —	—ახლად გაჩენილია, ტკბილში არ იყო.
პროპილ-ალკოგოლი C^3H^8O —	—ესეც ახლად გაჩენილია, ტკბილში არ იყო.
ბუტილ-ალკოგოლი $C^4H^{10}O$ —	—ესეც ახლად გაჩენილია.
ამილ-ალკოგოლი $C^5H^{12}O$— —	—ესეც ახლად გაჩენილია.
ყურძნის შაქარი— — — —	—ან სრულებით აღარ არის და ან ძალიან ცოტა.
გომიზი, დექსტრინი და ცვილი —	—ან სრულებით აღარ არიან და ან დაცოტავებულან.
აზოტური ნივთიერებანი ბ ჟელატინი—	—ესენიც ძალიან დაცოტავებულან.
საფერავი — — — — —	—ტკბილში არ იყო, ეხლა კი ბევრია, ჭაჭიდან ამოღებულია.
ტანინი — — — — —	—არც ეს იყო ტკბილში, ეხლა კი ბლომად არის.
გლიცერინი — — — —	—ახლად გაჩენილია.
სურნელოვანნი სხეულნი — —	—მომატებულან.
თავისუფალი ღვინის სიმჟავე —	—შეცოტავებულია.
ძმრის სიმჟავე $C^2H^4O^2$ — —	—ახლად გაჩენილია, თუმცა კი ძლივს შესამჩნევია.
ვაშლის სიმჟავე— — — —	—შეცოტავებულია.
ნახშირის სიმჟავე — — —	—ახლად გაჩენილია.
ქარვის სიმჟავე $C^4H^6O^4$ — —	—ახლად გაჩენილია.
ღვინის მჟავე მარილი — —	—შეცოტავებულია.

ქლორის, ფოსფორის, გოგირდის და კაჟის სიმჟავენი	თითქმის იმავე რაოდენობისანი არიან, როგორც ტკბილში.
მარილოვანნი სხეულნი: კირისა, მაგნეზიისა, რკინისა და სხვანი . .	ესენიც თითქმის იმავე რაოდენობისანი არიან, როგორც ტკბილში.

ახალი ღვინის — მაჭრის — გაწმენდა

მაჭრის გაწმენდა მდგომარეობს სადუღებლიდან გადმოღებაში და ჭაჭის დაქაჩვაში. მაჭრის ამ ორგვარ გაწმენდას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ერთიც და მეორეც ღვინოს აცლის იმგვარ სხეულებს, რომლებთანაც ის დადუღდა და რომლებიც, თუ ღვინო მათთან დიდხანს დარჩა, გემოს და ხასიათს გაუფუჭებენ.

სადუღებლიდან მაჭრის გადმოღება. კლერტში და კურკა-ჩენჩოში მრავალი იმისთანა ნივთიერებანი მოიპოვებიან, რომლებიც თუ ღვინოში შეერივნენ, გემოს გაუფუჭებენ, მეტადრე თუ ჭარბადაც შეერივნენ. როცა ჩვენ ტკბილზე და ყურძენზე გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ მაშინ ვუჩვენეთ, რომ როგორც კლერტსა და მარცვალს შორის, ისე ჭაჭასა და ტკბილს შორის განსხვავება მათში მყოფ ნივთიერებათა რაოდენობაზე არის დამოკიდებული და განსაკუთრებით საფერავისა და ტანინის რაოდენობაზე. მაშასადამე, ჭაჭაზე დადუღებულ ღვინოში თუ განსხვავება იქნება რამე, ეს განსხვავება იმათ შედგენილებას კი არ შეეხება, არამედ იმ ნივთიერებათა რაოდენობას, რომელსაც ღვინოები ამოიღებენ ჭაჭიდან და კლერტიდან დულილიდან დაწყებული სადუღებლიდან გადაღებამდინ. რაოდენობა ამ ნივთიერებათა, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა იქნება სხვა-და-ხვა ღვინოებში, ამ ღვინოების ალკოგოლის რაოდენობის დაგვარად; ესევე იქნება დამოკიდებული სადუღებელ ჭურჭელზე და დულილის რიგზე; აგრეედვე თვითონ ყურძნის

ჯიშზე და სხვა მრავალ გარემოებაზე, რომელთა შორისაც ვაზი იყო და ყურძენი დამწიფდა. ამისათვის ძალიან ძნელია საზოგადოდ გადავწყვიტოთ—რამდენი ხანი უნდა დარჩნენ ჭაჭა და ღვინო ერთად. თუ საჭიროა, რომ ღვინოში ბევრი ტანინი იყოს, სურნელოვანება ემჩნეოდეს და ფერიც მუქი ჰქონდეს, მაშინ რასაკვირველია ღვინო დიდხანს უნდა დარჩეს ჭაჭასთან; წინააღმდეგ ამისა, თუ საჭირო და სასურველია, რომ ღვინოს ცოტა ტანინი, ფერი და სურნელოვანება ჰქონდეს, მაშინ მალე გადაიღებენ. საზოგადოდ კი ერთი უმთავრესი და უპირველესი კანონი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში—ერთგვარ საზღვარს, მაცერაციის დაწყების საზღვარს, არ უნდა გადავცილდეთ, რადგანაც ამ საზღვრის შემდეგ ღვინოს უეჭველად ცუდი გემო მიეცემა. მაცერაციას ეძახიან იმ მოვლენას, როცა ღვინო კლერტში და ჭაჭაში მყოფ ხის შემადგენარ ნივთიერებათ ამოღებას დაიწყებს. როცა დუღილი აღელვებულია და ღვინოში ბევრი ნახშირის სიმჟავე არის, მაცერაცია მოსალოდნელი არ არის; მაშინ კი, როცა ღვინოში ეს ნახშირის სიმჟავე შეცოტავდება, მაშინ ეს მოვლენა მოსალოდნელია—მაშინ ღვინო ჭაჭაზე და კლერტზე ისე იმოქმედებს, როგორც ალკოგოლიანი წყალი და ხის შემადგენარ ნივთიერებათ გახსნის, ამისათვის ღვინოს ხის გემო მიეცემა.

აქედან ცხადია, რომ ზოგიერთან შემთხვევის გარდა, მაჭარი ჭაჭას უნდა გაშორდეს დუღილის დანელების უმალვე, თუ რასაკვირველია ამ დროს ღვინოს საკმარი საფერავი და ტანინი აქვს; ხანდისხან უფრო ადრე გადმოღებაც სჯობიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ღვინო დიდ ხანს არ უნდა შეინახოს. მართლა-და, თუ ყურძენი ბევრ-საფერავიანია და ტანინიც ბევრი აქვს და ამასთან დუღილიც ჩაფლული ქუდით მოდა, მაშინ დიდის ხნით არ შეიძლება ჭაჭის და ღვინის ერთად შენახვა. მაშინ ურჩევენ სამი დღის შემდეგ (დუღილის დაწყებიდან) გადმოღებას, თუ ღვინო დიდ ხანს შესანახავი არ არის; ღვინო კარგი დადგება. ამის წინააღმდეგ, თუ ღვინო დიდ ხანს შესანახია (რამდენიმე წლით), მაშინ სჯობს უფრო მეტი ხა-

ნი იყოს ღვინო და ჭაჭა ერთად, რადგანაც ცნობილია, რომ ცოტად მწკლარტე ღვინო ხანში შესვლით უფრო კეთდება. მაჭრის ჭაჭიდან გადასაღებად ორი ვადა ვრცს, რომლის გადაცილებაც კარგი არ იქნება—სამი დღიდან ათ დღემდინ; არც სამ დღეზე ადრე და არც ათ დღეზე გვიან (დუღილის დაწყებიდან) გაძალება სასარგებლო არ იქნებაზ. ამ მიჯნებ შორის, რამდენადაც მაჭარი გვიან არის გადაღებული, იმდენად ის დიდხანს უნდა შეინახონ დასამთავრებლად, ის ღვინოები კი, რომლებიც ადრი დღის შემდეგ არიან გადაღებულნი, მაგ. 20 ან 30 დღის შემდეგ, მაცერაციის ღვინოებია და შენახვით მაინ დამთავრება და გაუმჯობესობა ძნელი მოსალოდნელია, ამისათვის მათი შენახვა, დიდ ხანს შენახვა, ტყუილ-უბრალო ხარჯი იქნება. ამგვარ ღვინოებს ჩვენში ბევრნი აფასებენ და სჯობს მალე გაიყიდოს.

მაჭრის გადაღების დროს ჭაჭა დაკვირვებით უნდა გაისინჯოს და თუ რამე სუნი აქვს, განსაკუთრებით ობისა ან ძმრისა, წამხდარი ჭაჭა სრულებით უნდა მოშორდეს, სჯობს ცოტა საღი ჭაჭაც თან გაატანონ. ეს წამხდარი ჭაჭა ცალკე უნდა შეინახონ იმისთანა ადგილს, სადაც ღვინოები არ არის; იმას შემდეგ მოიხმარებენ ძმრის დასაყენებლად ან სხვანაირად.

ყველაზედ უბრალო საშუალება მაჭრის გადასაღებად, თუ მოსახერხებელია, ის იქნება, რომ სადუღებელის ძირიდან ონკანის და კაუჩუკის მილის შემწეობით ღვინო სხვა ჭურჭელში გადაასხან. კარგად გაკეთებულ სადუღებელში ონკანის შიგნით მილს ბადე აქვს გადაფარებული, რომ მაჭარს კურკა და ჭაჭა არ გამოჰყვეს. თუ სადუღებლად ქვევრია ნახმარი, მაშინ ამ ღვინოს ქვევრის პირიდან იღებენ ჭაჭის ამოღების შემდეგ და სხვა ცარიელ და სუფთა ქვევრში გადასხამენ. სამწუხაროდ ამგვარი გადაღებაზე ღვინის ამღვრევს და ამისათვის კარგი არ არ არის. სჯობს ქვევრიდანაც სასრუტის შემწეობით გადაიღონ, მაშინ ღვინო არ აიმღვრევა. ხშირად სადუღებელი ჭურჭელი—ჩანა არის თუ ფუდრი—იმავე ადგილას არის, სადაც ის ჭურჭელი, რომელშიაც ღვინო უნდათ გადაიღონ; ამ შემთხვევაში,

რასაკვრელია, ღვინო თავისთავად მარტო მილის შემწეობით ვერ გადავა—მაშინ ამ ღვინოს ჯერ რამე აუზში გამოუშვებენ და აქედან ჩაფებით გადაიღებენ. ეს დიდ დროს და ჯაფას თხოულობს და ამასთან არც კარგია, ღვინო ციოდება, ნახშირის სიმჟავეს ჰკარგავს, ჰაერი შეერევა—და ყოველივე ეს საშიშია, შემდეგი ჩუმი დულილი კარგად ველარ წავა. ყველაზე უფრო გავრცელებულია სასრუტის შემწეობით გადაღება. ამ შემთხვევაში სასრუტის ერთ მილს შეუერთებენ საღულებლის ონკანს და მეორე მილს კი იმ ჭურჭელში ძირამდინ ჩაასვენებენ, რომელშიც უნდა გადაიღონ (სურათი 33). ამგვარი გა-



სურათი 33.
ღვინის და მაჭრის გადმოსაღები სასრუტი.

დაღება იმით არის კარგი, რომ ღვინო არ აიმღვრევა, არც ჩანჩქარით გადავა და, მაშასადამე, არც გაცივდება, არც ნახშირის სიმჟავეს დაჰკარგავს და არც ჰაერი შეერევა.—თუ სასრუტი არ არის, მაშინ სადულებელის ონკანს უნდა ჩამოეცოს კაუჩუკის მილი და ეს მილი რომელსამე დახურულ აუზში ძირამდინ ჩაიდოს და ისე ჩაისხას ღვინო, რომ ძლიერ არ შეინჭყრეს და ნა-

ხშირის სიმეავე არ დაკარგოს. აქედან ნება-უნებლიედ ჩაფებით გადაიღებენ და აქაც, რასაკვირველია, სიფრთხილით.

ის ჭურჭელი,—ქვევრია თუ ბოჩკა—რომელშიც მაჭარს გადაიღებენ, სხვა-და-სხვა ტანისაა: ქვემო საფრანგეთში, ჯაზაირში, ტუნისში, იტალიაში, ისპანიაში და პორტუგალიაში ხმარობენ დაბალი ხარისხის ღვინოებისთვის დიდრონ ფუდრებს, სადღეგელი ფუდრების მსგავსებს. კარგი განთქმული ღვინოებისთვის კი, ე. ი. იმ ღვინოებისთვის, რომლებიც შენახვის ღირსნი არიან, უფრო პატარა ჭურჭლებსა ხმარობენ, პატარა ბოჩკებს; ქვევრიც კარგია. ერთი მწერალის სიტყვით, მედოკში (Medoc), სადაც გამოჩენილი ღვინოებია, მაჭარს სადღეგლიდან ჯერ დახურულ 500 ლიტრიან აუზში ჩაასხამენ; აქედან კოკებში გადაასხამენ ჩაფებით და კოკებიდანაც ძაბრების შემწეობით პატარა, 80 თუნგიან (228 ლიტ.) ბოჩკებში. იმავე მწერალის მოწმობით, მედოკში ოთხგვარ ღვინოს ამზადებენ: პირველი ღვინო ანუ თავი ღვინო კარგი და გამოჩენილი ჯიშის ყურძნის ღვინოა; მეორე ღვინო—დაბალი ხარისხის ყურძნისა, მესამე — სადღეგლის ნაძირალი და მეოთხე — ჭაჭიდან გამოწურული ღვინო. სასურველია, რომ, ვისაც შესაფერი ჭურჭელი და დიდი მოსავალი აქვს, იმანაც ასე გაანაწილოს თავისი მამულის ღვინო.

ქვევრია თუ ბოჩკა და ან ფუდრი, რომელშიც მაჭარი უნდა გადაიღონ, დიდად გასუფთავებული და წმინდა უნდა იყოს; არავითარი სუნი და გემო არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ღვინო მაშინვე შეითვისებს ამ სუნს და გემოს და, რასაკვირველია, წახდება. ამისათვის გადაღების წინად ჭურჭელი კარგად უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს. კარგი იქნებოდა, რომ ჭურჭელი გარეცხის შემდეგ და ხმარების წინად კარგი არაყითაც და ან ღვინით გამორეცხონ. ჭურჭლის გაწმენდაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ამასთან ესეც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მაჭრის შესანახი ადგილი—მარანია თუ სარდაფი და ან ფანჩატური—უნდა იყოს არც ძალიან ცივი და არც ძალიან თბილი; გან-

საკუთრებით საყურადღებოა, რომ ჰაერის შეცვლას არ შეეძლოს იმ ადგილზე მოქმედება. მთელი ერთი თვის განმავლობაში მაჭარი ისევ დულილში იქნება, ჩუმ დულილში და ამისათვის ადგილის ტემპერატურა დულილის სასარგებლო ტემპერატურა უნდა იყოს; მაშასადამე, ეს ციცივე უფრო მაწყენარი იქნება, ვიდრე სეფბოა; ერთი ფვის შემდეგ კი, როცა ჩუმი დულილი გათავდება, სიცივე უფრო მარგებელი იქნება და, მაშასადამე, სასურველიც. — ამასთან, ისიც სასურველია, რომ იმ ადგილას ჰაერი გამშრალი არ იყოს, რადგანაც ამ შემთხვევაში ჭურჭელი ძალიან დაიკლებს, ღვინო დაშრება.

როცა მაჭარი გადმოდებულია და ხვა ჭურჭელშია ჩასხმული (ქვევრია თუ ბოჩკა — სულ ერთია), აუცილებლად საჭიროა, რომ ეს ჭურჭელი მთლად არ იყოს გავსებული და ამასთან თითონ მაჭარი ჰაერის ზედმოქმედებისგანაც იყოს დაცული. მაშასადამე, ის ჭურჭელი საცობლით უნდა იყოს დახურული, მაგრამ ისეთი საცობლით, რომელიც ნებას მისცემს ჭურჭელში გაჩენილ ნახშირის სიმჟავეს თავისუფლად გამოსვლას და ჰაერს კი დაუშლის ჭურჭელში ჩასვლას. ამისთანა საცობლები ხვა-და-ხვა გვარია; აქ მხოლოდ სამი საცობლის სურათს მოვიყვან და, რომელიც უფრო მოსახერხებელია, რასაკვირველია, იმას მოიხმარებს ღვინის დამყენებელი.

სურათი 34.

პირველი საცობელი (სურათი 34) გიდრავლიური საცობელია; როგორც სურათიდან სჩანს, ეს საცობელი შესდგება მაკელ თიხის მილიდან, რომელსაც ზედ შუა ადგილას გარშემო მიკოწიწებული აქვს რგვალი ჯამი ისე, რომ ამ მილის ერთი ბოლო ჯამის შუაგულშია. მილის ამავე ბოლოზე დამხობილია უფრო ვიწრო თიხისავე ჭურჭელი, რომლის პირის ახლო გვერდები დახვრეტილია. ჯამში რომ წყალი ჩავასხათ, მაშინ ეს მილი გიდრავლიურად იქნება დახურული; მილიდან ნახშირის სიმჟავეს ამოსვლა შეეძლება და ჰაერს გარედან კი არა.

მეოთხე საცობელია (სურათი 35), გიდრავლიური საცობელია და ისევე მოქმედებს, როგორც პირველი, მხოლოდ ეს უფრო მარტივია და ადვილად მოსამზადებელი. ჭოჩკის პირში ან ქვევრის სარქველის ნახვრეტში საცობელია და ამ საცობელში მოხრილი შუშის მილი, რომლის თავისუფალი ბოლოც წყლით სავსე ჯამშია ჩაყუდებული. თუ ბოჩკაში ან ქვევრში ნახშირის სიმჟავე გაჩნდა, ის თავისუფლად ამოვა და წყალში გაივლის; გარედან ჰაერს კი არ შეეძლება ბოჩკაში ჩასვლა, წყალი გაავსებს მილს და ჩასვლის წინააღმდეგ არ მისცემს.



სურათი 35.

მესამე საცობელი (სურათი 36) ხის საცობელია და ესეც ისეა გაკეთებული, რომ ჭურჭლიდან კი შეიძლება ნახშირის სიმჟავის ამოსვლა და გარედან კი არა. ამ საცობელს გული გახვრეტილი აქვს დიდ სიშაღლეზე, მაგრამ მეორე ბოლომდინ კი არ აღწევს გატანილი; ამ ადგილას, სადაც საცობელში ეს მილი თავდება, ამ საცობელს მეორე ხარიხა ნახვრეტი აქვს, ასე რომ ეს მილები ერთი-ერთმანეთთან არიან შეერთებულნი; ახლა ამ საცობელს რომ კაუჩუკის რგოლი ჩამოვაცვათ, რომ ამ რგოლმა დახუროს ხარიხა მილი, მაშინ ნახშირის სიმჟავეს შეეძლება ჭურჭლიდან ამოსვლა და ჰაერი კი ვერ ჩავა; როგორც ვიცით, კაუჩუკი ადვილად გაგანიერდება, თუ შიგნიდან რამე ლაზი ეწაფება და თუ გარედან დაეწება, მაშინ ის უფრო მაგრა დახურავს მილის ნახვრეტებს.



სურათი 36.

რაგვარი საცობელიც უნდა იყოს მიღებული, ეს მხოლოდ დროებითი საცობელია, მხოლოდ ჩუმი დულილის საცობელია. რაკი ეს წუნარი დულილი გათავდება, მაშინ ჭურჭელი მთლად ღვინით უნდა გავსებოს და კარგად დაეცოს სხვაგვარი საცობელით, რომელზედაც ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი. წუნარი დული-

ლის გათავების შემდეგ ღვინოს კარგად გასინჯვენ გემოთი და, თუ კარგია და შესანახი, მაშინ ისე შეინახვენ, რომ არაფერმა წაახდინოს; თუ ღვინო შესანახავად არ ვარგა, მაშინვე უნდა გაიყიდოს. ვაჭარი ყოველთვის მოიხმარებს; ან მაშინვე გაჰყიდის დასალევად და ან სხვა ღვინოებს შეურევს და ამით შეაკეთებს. ღვინის დამყენებელმა კი აღარ უნდა შეინახოს ამისთანა ღვინო, მალე გაფუჭდება და მთელი შრომა დაეკარგება.

ჭაჭიდან შიგ დარჩენილი მაჭრის გამოწურვა. სადუღებლიდან გადმოღებული მაჭარი მარტო $^4/_5$ შეადგენს მთელი ღვინისას და ამგვარად თითქმის 20% ღვინისა ჭაჭაში რჩება. გადმოღებულ მაჭარს პირველი ღვინო ჰქვიან. ჭაჭაში დარჩენილი ღვინო უნდა გამოიწუროს; ჭაჭას სწურავენ ერთგვარი მანქანით, რომლებსაც საქანჩავი, საქაჯელი ანუ საქაჯავი ჰქვიან. მაჭრის გადმოღების უმალვე სადუღებელში დარჩენილ ჭაჭას საქაჯავში ჩაჰყრიან, სადაც ცოტა ხანს, ვიდრე ღვინო თავისთავად გამოდის, დაუქაჯავად დარჩება. ამ თავისთავად გამოსულ ღვინოს ნაწრეტი ანუ ნაწვეთი ღვინო ჰქვიან (vin de goutte). ეს ღვინო სხვა ჭურჭელში გადასხმის დროს საცერში უნდა გაიწუროს რომ კურკები და ჩენჩოს ნამცეცები არ ჩაჰყვეს. ამ ღვინის ღირსება თითქმის ისეთივე კარგია, როგორც პირველი ღვინისა და ამისათვის შეიძლება იმას მიუმატოთ. შემდეგ ამისა ჭაჭას სამჯერ თუ ოთხჯერ დაქანჩავენ და ყოველ დაქანჩვის დროს სხვა-და-სხვა ღვინო იწურება. ამ ღვინოებს ნაქაჯავ ღვინოებს ეძახიან და ცალკე ინახავენ; იმათ გარეგან პირველს ანუ ნაწრეტს ღვინოში არავის ვურჩევთ, რადგანაც ამ ღვინოებს უფრო ბევრი საფერავი, უფრო ბევრი ტანინი და სიმჟავე აქვთ; გემოთი მწკლარტე ჭაჭის გემო აქვთ. ხშირად ამ ღვინოებს ცალკე ინახავენ და დაბალი და ფერნაკლები ღვინოების შესაღებად ხმარობენ, ან არა და ყოველდღიურ სასმელად ინახავენ.—Foex-ისა და C.

Sainpierre - ის გამოკვლევიდან ვიცით, რომ ამ ღვინოების შედგენილება ბევრად განირჩევა პირველი და ნაწრეტი ღვინოებისაგან. გამოცდილება მოახდინეს ქვემო საფრანგეთში 1872 წ., მომპელიეს ახლო, რვა სადღეგელის ღვინოზე და აი სქემა მათი ალკოგოლის, ფერის და სიმჟავის რაოდენობისა:

სადღეგ-ბელის №	ღვინის სახელი	სიმჟავე	ფერი	ალკო-გოლი
1	ნაწრეტი ღვინო.	4,30	100	9°—
—	ნაწური ღვინოები (ყველა ერთად)	3,94	72,5	10°,1
20	ნაწრეტი	5,94	100	8°,1
—	მესამე ნაწური	5,60	100	10°,4
18	ნაწრეტი	4,90	100	11°,9
—	მესამე ნაწური	4,96	100	10°,5
17	ნაწრეტი	4,14	160	11°,6
—	პირველი ნაწური	3,98	67,5	11°,7
—	მეორე ნაწური	4,34	68,7	12°,4
—	მესამე ნაწური	4,38	77,5	12°,2
19	ნაწრეტი	5,40	100	10°,3
—	მესამე ნაწური	5,48	155	9°,3
16	ნაწრეტი	5,40	100	9°,5
—	ნაწური, ერთად შერეული . .	4,58	72,5	11°,1
15	ნაწრეტი	5,00	100	10°,8
—	1 და 2 ნაწური	4,96	125	9°,7
—	მესამე ნაწური	5,16	135	9°,6
3	ნაწრეტი	4,28	100	7°,8
—	ნაწური ნარეკი	5,14	42,5	9°,9

ამ ანალიზების შედეგი არაფერს გადაწყვეტილს არ გვიჩვენებს და ამისათვის გასაკვირველიც არ არის, რომ სწავლულები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ნაწური ღვინოების პირველ ღვინოსთან გარევის შესახებ. ამის მიუხედველად ამ გამოცდილებიდან კა-

რგა ცხადად სჩანს შემდეგი საზოგადო მოვლენა, რომელზედაც თვითონ სწავლულები უჩვენებენ:

ალკოგოლის რაოდენობის შესახებ სჩანს, რომ ნაწრეტ ღვინოში ხშირად უფრო ცოტა ალკოგოლია, ვიდრე ნაწურ ღვინოებში და ამ უკანასკნელთა შორის მესამე ნაწურში უფრო ცოტაა, ვიდრე პირველში და მეორეში.

ღვინის საფერავის რაოდენობაში თითქმის ამასვე ვხედავთ: ნაწრეტ ღვინოში ხშირად უფრო ცოტა საფერავია, ვიდრე ნაწურში და ნაწურთა შორის მესამე ნაწური უფრო ცოტა-ფერიანია, ვიდრე პირველები. ცხადია, რომ ფერი ალკოგოლის რაოდენობაზე არის დამოკიდებული; რომელ ღვინოებშიც ბევრი ალკოგოლია, იმაში ფერიც ბევრია.

სიმჟავის რაოდენობაშიაც ამავე განსხვავებას ვხედავთ: ნაწრეტ ღვინოში უფრო ბევრია სიმჟავე, ვიდრე პირველ და მეორე ნაწურში და ნაწურთა შორის მესამე ნაწური უფრო მჟავეა, ვიდრე პირველი ნაწურები; ხშირად ამ მესამე ნაწურის სიმჟავე ნაწრეტ ღვინის სიმჟავესაც გადააჭარბებს ხოლმე.

მაშ მესამე ნაწური ღვინო ყველა ნაწურ ღვინოებზე დაბალი ხარისხისა ყოფილა; პირველი და მეორე კი საკმაოდ კარგნი არიან. აქედან ცხადია, რომ ძლიერი დაქანჩვა მარგებელი არა ყოფილა (აქ ჯერ-უნდა დავივიწყოთ, რომ მესამე გამოწურვით ჭაჭიდან ძალიან ცოტა ღვინო გამოდის, 5 ან 6 % ნაწური ღვინოებისა). ამასთან ისიც ცხადია, რომ პირველი ნაწური ღვინოები შეიძლება მივუმატოთ ნაწრეტ ღვინოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ღვინო ჩუმ დულილს გაივლის. თუ ამ დროს ეს ღვინოები გაფუჭებული არ არიან, მაშინ შეიძლება მათი მიმატება და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღვინო დიდი ხნით შესანახია. თუ ღვინო გასაყიდად არის დანიშნული და ან მალე დასალევად, მაშინ მათს შერევას არავის ვურჩევთ, პირველი ღვინის ღირსებას შეაცვლიდეს.

იმისთანა ადგილებში, სადაც ჭაჭის ღვინოს (შამანი—piquette) ამზადებენ და რომლებზედაც ჩვენ შემდეგ ვრცლად გვექნება ლაპარაკი, იმ ადგილებში ხშირად პირველი გამოწუ-

რის შემდეგ ჭაჭას წყალს და შაქარს უმატებენ და ხელ-მეორედ ააღუღებენ. ამგვარად ჭაჭს მოხმარება ჩვენის აზრით უფრო კარგია; ძლიერი გამოწურვით ჭაჭას, ღვინის გარდა, თავისი საკუთარი წვენიც ეცლება და ღვინოს ემატება; ამ წვენს ღვინის ხასიათი არა აქვს, ეს მხოლოდ წყალია, რომელშიაც ბლომად არის გახსნილი საფერავი, ტანინი და მრავალნი სიმჟავენი; თუმცა ის კარგად არის შეფერიანებული, შაგრამ სხვა-და-სხვა გვარი მწარე და მწკლარტე სხეულების რაოდენობა გადაჭარბებულია და ამიტომ ეს წვენი ღვინისთვის მარგებელი არ არის, ბევრად ავნებს იმის ლირსებას.

საქანჩავი ანუ საქაჯავი ბევრგვარია და სხვა-და-სხვა პრინციპზე არიან აგებულნი, მათ აწერას ჩვენ საჭიროდ არა ვრაცხთ, რადგანაც დიდი დრო და ადგილი მოუნდება; მხოლოდ გაკვრით ავწერ საქანჩავის იმ ნაწილებს, რისგანაც ყოველი მათგანი შესდგება და აქვე მოვიყვან იმ საქანჩავის სურათს, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო კარგი არის. ჩვენში საქაჯავი ძრიელ გავრცელებული არ არის და თუ არის, ისიც ქვის საქანჩავი, რომელსაც სუსტი ძალა აქვს; ის სწურავს მხოლოდ იმ ღვინოს, რომელიც თავისთავადაც გამოიწურებოდა, ესე იგი ნაწრეტ ღვინოს. ეს გარემოება დიდ ზარალს აძლევს ჩვენ მეურნეობას. მეტადრე ეხლა, როცა სხვა-და-სხვა დაბრკოლების წყალობით დიდად გაძნელებულია ჭაჭიდან არყის გამოხდა და როცა ჭაჭის სხვაგვარად მოხმარება ჩვენ ჯერ არ ვიცით.

ევროპაში ახლა ყველაზე გავრცელებული საქანჩავები შემდეგნი არიან: საქაჯავი მაბილისა (Mabille frères), ვერმორელისა (Vermorel) და Meschini'სა; ამავე საქანჩავი თითქმის ერთ პრინციპზე არიან აგებულნი, მე აქ მოვიყვან ვერმორელის საქანჩავის სურათს (სურათი 37).



სურათი 37.
ყურძნის და ჭაჭის საქანჩავი.

ეი რისგან შესდგება საქანჩავი:

1) ხის ფიცრის ნიადაგი ანუ პლატფორმა (plate-forme).

2) რკინის ღონიერი ჭახრაკი, რომელიც საფუძვლიანად არის ჩამაგრებული პლატფორმის შუა ადგილში.

3) ირგვლივ ხის ფიცრების გალია ისე დადგმული პლატ-ფორმაზე, რომ ჭახრაკი ამ გალიის შუაგულში იდგეს—ამ გალიაში ჩაჭყრიან გამოსაწურავ ჭაჭას.

4) ღონიერი ქანჩი, რომელიც ჭახრაკზე არის ჩამოცმული და რომლის მოძრაობითაც ძალის გადაცემა შეიძლება.

5) ჭაჭის სახურავი, რომელიც ქანჩის ქვეშ არის და რომელზედაც ქანჩი მოქმედობს; რამდენადაც ქანჩი ძირს დაიწევს, იმდენად სახურავსაც ძირს დასწევს და ჭაჭას დაქანჩავს.

6) ქანჩის დასატრიალებელი ტარი ანუ ბერკეტი.

ჭაჭის საქანჩავით ვამოწურვის დროს, ქანჩი შეუწყვეტლად არ უნდა ტრიალებდეს; როცა რამდენიმე მოტრიალების შემდეგ ღვინო წამოვა, ტრიალი უნდა შესწყდეს ვიდრე ღვინო მოდის; ამ გამოწურვის შემდეგ ქანჩს კიდევ დაატრიალებენ და კიდევ შესწყვეტენ, როცა ღვინო წამოვა, და ეგრედ ბოლომდინ.

2) ტკბილის თეთრ ღვინოდ დადუღება.

აქამდინ ჩვენ ვლაპარაკობდით მხოლოდ წითელი ღვინის დადუღებაზე. ახლა გავსინჯოთ ამავე მხრით თეთრი ღვინოც. თეთრი ღვინის დაყენება ბევრად განსხვავდება წითელი ღვინის დაყენებისაგან და ამისთვის აქ მოკლედ გავსინჯოთ, რაშიაც მდგომარეობს ეს განსხვავება.

ზოგიერთი მწერალნი, როგორც მაგ. გიუიო (Guyot), ღვინოებში პირველობას თეთრ ღვინოს აძლევენ, რადგანაც თეთრი ღვინო მარტო ყურძნის წვენიდან მზადდება და დადუღების დროს არავითარი სხვა ნივთიერება არ შეერევა არც ჭაჭიდინ და არც კლერტიდან. ამასთან თეთრ ღვინოს უფრო შესამჩნევი თვისება და ხასიათი აქვს, უფრო გამოჩენილი გემო და ბუკეტი; ნერვების შემხალისებელია, მომქმედი, გულითადი და მახვილი. ერთი სიტყვით, თეთრი ღვინო წითელ ღვინოსთან შედარებით ის არის, რაც ახალგაზდობა დამჯდარ ხნოვანებასთან. ამას ისიც დავუმატოთ, რომ თეთრი ღვინო უფრო ადვილი და უბრალო დასაყენებელია და მისი შედგენილება უფრო პირდაპირ ყურძნის წვენიდან წარმომდგარია; თეთრ ღვინოში უფრო გარკვევით სჩანს ყურძნის ბუნება და თვისება.

რასაკვირველია, თეთრი ღვინის პირველობა არაფრით არ ამცირებს წითელი ღვინის ღირსებას, რომელიც სასმელად თეთრი ღვინოსავით მარგებელი და სასიამოვნო არის; წითელი ღვინო უფრო ყუათიანი და ნოყიერია, უფრო დამჯდარი და ჯანიანი და ამისათვის უფრო საყოველდღეო ღვინოა, უფრო შე-

ეფერება ადამიანის საზრდოს და თუ კარგი ჯიშის ყურძნიდან არის დაყენებული, მაშინ არაფრით არ ჩამოუვარდება თეთრ ღვინოს თავისი გემოთი, ფიზიოლოგიური ზედმოქმედებით და ქიმიურ ნაერთებით.

თეთრი ღვინო თეთრი ყურძნის წვენიდან არის დაყენებული, თუმცა კი შავი ან წითელი ყურძნიდანაც შეიძლება მისი დაყენება თუ ამ ყურძნის წვენი უჭაჭოთ არის დადულებული. შესანიშნავი, სახელ-განთქმული თეთრი ღვინოები კი ყოველ ქვეყანაში და ყოველთვის მხოლოდ თეთრი ყურძნიდან მზადდება. ამ შემთხვევაში თეთრ ყურძენს ძალიან გვიან ჭკრეფავენ, ხშირად ვაზიდან ფოთლის ჩამოცვენის შემდეგ. თეთრი ყურძენი კარგად იტანს სიცივეს და ხან ყინვასაც. და ამისათვის მისი დიდ ხან ვაზზე გაშვება შესაძლებელია. განთქმული ღვინოების დასაყენებლად რთველში თეთრ ყურძენს დიდის დაკვირვებით არჩევენ.

ქვანახში ხშირად თეთრი და შავი ყურძნის ვაზი არწეულია, ხან კი მარტო თეთრი ყურძენია. თუ ამ შემთხვევაში შაინც თეთრი ღვინის დაყენება უნდათ, მაშინ სხვა-და-სხვაგვარად მოიქცევიან. თუ ვენახში ან მარტო შავი ყურძენია და ან თეთრ ნარევი, მაშინ ყურძენს დილით ადრე ჭკრეფავენ, მზის ამოსვლამდინ და ამასთან დიდის სიფრთხილეთაც, რომ მოკრეფის და საწნახელში გადატანის დროს ყურძენი არ დაიჭყლიტოს. აუცილებლად საჭიროა, რომ დაწურვამდინ ყურძენი არ შეშბეს. საქანჩავში მიტანის უმალვე დასწურავენ სუსტი გამოქანჩვით და ამას გაიმეორებენ ცოტ-ცოტაობით, ნელ-ნელა ვიდრე ყურძნის წვენი უფერული და ტკბილი გამოდის. რაკი დაატანებენ, რომ წვენს ცოტაოდენი ბიმწკლარტე და ან ფერი მიეცა, დაქანჩვას მაშინვე შესწყვეტენ.

ეს შემთხვევაში კი, როცა ვენახში სულ თეთრი ყურძენია, ამ ყურძენს ჭკრეფენ მშრალ ამინდში და მზის ამოსვლის შემდეგ, როცა შეტევანი კარგად შეიბება, დაკრეფილ ყურძენს ცოტ-ცოტაობით მოიტანენ სადგომში და ოსეფი სიფრთხილით, ორიმ გზაზე ყურძენი ორო დაიჭყლიტოს, რადგა-

ნაც მარცვლის დასრესა და დაჭყლეტა ზრდ ბქ არის კარგი. მართალია, თეთრი ყურძნის კანში შეღებილი საფერავი არ არის, მაგრამ ეს მაინც საჭიროა ტკბილის შეფერვა, რადგანაც დაჭყლეტილი თეთრი ყურძენი ჰაერის ზეგავლენით მუქ, მიხაკის ფერს იქერს და წვენსაც შეღებავს და ამასთან ჭაჭის გემოსაც გადასცემს. საქართველოში ისევე სიფრთხილით ჩაწყობენ ყურძენს, როგორც შავს ყურძენს და ამავე სიფრთხილით გამოსწურავენ, თეთრი ყურძნის დაწურვა ფეხითაც შეიძლება და ამ შემთხვევაში თეთრი ყურძენი საწნახელში თხლად არის ჩაწყობილი. შემდეგ ამისა ამ ყურძენს ჯერ ფეხით დასტეპნიან და მერე ფრთხილად დასწურავენ. დაჭყლეტილ ყურძენს სიჩქარით გადმოაბრუნებენ და კიდევ დასწურავენ. კარგი იქნებოდა, რომ საწნახლის ფსკერი ლარისკენ ცოტა დათავქვეითებული იყოს, რომ გამოწურული წვენი ჭაჭასთან არ შეფერხდეს. როცა ყურძნიდან $^3/_4$ წვენი გამოიწურება, მაშინვე შეჩერდებიან, ამ წვენს მედოკიმოქალწულს და ხან ბრმა წვენს ეძახიან. ამ წვენიდან დაყენებული ღვინო ნამდვილი ყურძნის ჯიშის ღვინო იქნება. დანარჩენი $^1/_4$ წვენი ჭაჭაში რჩება და ამას სულვილის დაგვარად ხეზე დაესხვა ნაირად მოიხმარებენ. ან გამოსწურავენ და ზედ ღვინის დააყენებენ, ან წითელ ღვინის სადღეგრძელოში მიუმატებენ.

სოტერნში და ბორდოს ნაპირებზე თეთრ ყურძენს ძალიან გვიან ჭკრეფენ. ყურძნის კანზე რეფლის დროს ხშირად დახეთქილი და დამპალია. ამ შემთხვევაში ყურძენს ერთგვარი სოკო უჩნდება სახელად Bothrytis acinorum; ამ სოკოს წყალობით ყურძენი ხშირად ისე დამპალია, რომ მოკრეფის დროს მტვერი ასდის; ამას ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სიდამპლეა უმთავრესი მიზეზი ექაური ღვინოების ლირსებისა; ესსოკო ერთს რაღაცა ცოტად მწარე მაგრამ სასამო და მესანუშნავ გემოს ეძლევს და ამით დიდ ფასსა ლებულ ეფაურ ღვინოებს (ეს თუნგვანი ბოჭკა ხშირად 5000 ფრანკადაც 200 ბოქლად იყიდება). ამისთვის ამ სოკოს და მისგან გამოწვეულ სიდამპლეს გერმანელებმა საგანგებოდ დაარქვეს კეთილშობილი ანუ კეთილმოფენელი სიდამპლე

(Edelfäule). რამდენადაც შემოდგომა მშრალი და თბილია, იმდენად ღვინო შესანიშნავი დგება და იმდენად დიდი ფასიცა აქვს; ნოტიო და წვიმიან შემოდგომაზე კი იქაური ღვინოები მოკლებულნი არიან ჩვეულებრივ ღირსებას და ამისთვის არც დიდი ფასი აქვთ; ვენახის მეპატრონენი ამ შემთხვევაში ამ ღვინოებს სადა ღვინოდ ჰყიდიან, რომ სახელი არ გაუტეხონ შემდეგისთვის თავიანთ ღვინოებს.

თეთრ ღვინოს ორგვარს აყენებენ: თუ ღვინოში დამთავრების დროს შაქარი სრულებით აღარ დარჩა, მაშინ ამ ღვინოს ხმელი გემო აქვს და ამისთვის ხმელ ღვინოს (sec) ეძახიან; თუ ღვინოში ცოტაოდენი შაქარი დარჩა და ღვინო დიდხანს ტკბილია, მაშინ ამ ღვინოს, როგორც ამბობენ, ნედლი გემო აქვს, ტკბილია და ნედლ ღვინოს ეძახიან (doux, moeleux). მოკლედ გავსინჯოთ ცალ-ცალკე ამ ღვინოების დაყენება.

ხ მ ე ლ ი ღ ვ ი ნ ო (sec). როცა თეთრი ყურძენი იმ ხარისხამდინ არის დამწიფებული, როგორიც თეთრ ღვინოს შეეფერება, მაშინ მოჰკრეფენ და ან საწნახელში და ან საქანჩავში მიიტანენ. თუ ყურძენი ფეხით არის დაჭყლეტილი და დაწურული, ტკბილს საჩქაროდ ჩაასხამენ იმისთანა ჭურჭელში, რომელსაც ძირში ონკანი ან მილი აქვს; მილის ნახვრეტს შიგნიდან ბადე აქვს, რომ ტკბილის გამოშყების დროს ჩენჩო და კურკა არ გამოჰყვეს. თუ ტკბილს კურკა ან ჩენჩო გამოჰყვა, მაშინ იმას საცერში გასწურავენ და სადღეგელ ბოჩკაში ან ქვევრშა ჩაასხამენ. ეს აჩქარებით უნდა შესრულდეს, რომ ტკბილმა სადღეგელში ჩასხმამდინ დღილი არ დაიწყოს. სადღეგელი ჭურჭელი, რასაკვირველია, მთლად არ უნდა გაივსოს, რომ დღილის დროს ტკბილი არ გადმოვიდეს და არ დაიღვაროს. ეს სიფთხილე განსაკუთრებით იმისთვის უნდა, რომ დღილის დედა არ შემცირდეს; რადგანაც ამ შემთხვევაში პირველად ქაფი ამოვა და ამ ქაფში ხომ ბევრი დღილის დედა არის და სხვადა-სხვა გვარი მათი საზრდო, განსაკუთრებით აზოტური ნივთიერებანი; ამგვარად ტკბილს მოაკლდება დღილის დედა

და მისი საზრდო, რის გამოც დულილი კარგად არ წავა და მალე და მთლად არ გათავდება.—როცა დულილი დანელდება, მაშინ მაჭარს გადაასხამენ სხვა ჭურჭელში, რომელსაც მთლად არ გააესებენ და გიდრავლიური საცობლით დახურავენ, რომ ნახშირის სიმჟავეს ამოსვლის გზა ჰქონდეს. თეთრი ღვინის გარეგან ღირსებას შეადგენენ ორი მისი გარეგანი თვისება: ის შეფერილი არ უნდა იყოს და ამასთან ანკარა წყალივით წმინდა და გამჭვირვალი უნდა იყოს. პირველი თვისების მოპოვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყურძნის წვენი სიჩქარით არის გაშორებული ჭაჭისგან და მეორე კი—სიმჭვირვალე რამდენჯერმე გამეორებულ დაწმენდით და გადაღებით.

თეთრი ნედლი ღვინო (moeleux). იმგვარი თეთრი ღვინის დასაყენებლად, რომელსაც დულილის შემდეგ შაქარი უნდა შერჩეს, ყურძენს ძალიან მწიფეს მოჰკრეფენ თბილ და მშრალ ამინდში. ყურძენს კარგად გადაარჩევენ, რომ ან დასეტყვილი, ან გამხმარი და ან მკვახე მარცვლები არ შეჰყვეს და დაწურვის შემდეგ ისე დაადუღებენ, რომ ღვინოში ცოტაოდენი შაქარი დარჩეს გაუნაწილებელი. ამისათვის სადუღებელ ჭურჭელს ისე აავსებენ, რომ დულილის დროს ჭურჭლიდან ქაფი გადმოვიდეს; ეს გარემოება შეაცოტავებს დულილის დედას და მის საზრდოს, აზოტურ ნივთიერებას. რადგანაც ქაფთან ამ შემთხვევაში ტყუილ-უბრალოდ ტკბილიც იკარგება, ამისათვის ის ემჯობინებოდა, რომ სადუღებელი ჭურჭელი არ ავსებულიყო და დროგამოშვებით ქაფქირებით ქაფი მოხდილიყო, თუმცა კი ამას არსად ხმარობენ. ზოგიერთ ადგილს ამგვარი თეთრი ღვინის დასაყენებლად ასე იქცევიან: გამოწურვის შემდეგ თეთრი ყურძნის ტკბილს ჩაასხამენ ჩანახებში, რომელთაც ძირის ახლო ონკანი აქვთ; რამდენიმე ხნის შემდეგ ტკბილი ქაფს მოიგდებს; ეს ქაფი თანდათან მატულობს და შემდეგ აქა-იქ დასქდება. ამდროს ტკბილს გადაასხამენ სხვა ჭურჭელში ისე, რომ ქაფი და ლექი არ გაჰყვეს. ამგვარად ტკბილს ერთი ნაწილი დღილის დედა გამოეცლება. ახლაც დაიცდიან, ვიდრე ტკბილი ხელმეორედ ქაფს მოიგდებდეს და იმავე სიფრთხილით სხვა

ჭურჭელში გადაასხამენ. თუ მესამე ჭურჭელშიაც ტკბილი ქაფს იგდებს, აქედანაც გადაასხამენ და ამგვარად გასწმენდამენ, ბევრ ნაწილ დუღილის დედას გამოაცლიან. ახლა სადუღებელ ჭურჭელში ჩაასხამენ და დაადუღებენ. ქაფის მოხდას დიდი ყურადღება და სიფრთხილე უნდა; საჭიროა, რომ ამ დროის განმავლობაში ტკბილმა დუღილი არ დაიწყოს. დუღილის დროს ტკბილის გადასხმა სარგებლობას აღარ მოუტანს, რადგანაც ის ამღვრეულია და, მაშასადამე, დუღილის დედა შიგვე დარჩება. ამ შემთხვევაში ტკბილი მალე დადუღდება და სიტკბო აღარ შერჩება. სადუღებელში ჩასასხმელად იმ დროს ირჩევენ, როცა ტკბილში ნახშირის სიმჟავის პირველი ბუშტები გამოჩნდებიან. ქაფის მოხდას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დუღილის დედის შემცირებით დუღილი დაასუსტონ და შეაფერხონ.

ამგვარივე ღვინის დასაყენებლად ზოგნი ურჩევენ გოგირდეული სიმჟავით (SO^2) ტკბილის დადუმებას, დამუნჯებას. ამისათვის სადუღებელ ჭურჭელში დასწვამენ გოგირდის პატარა ნატეხს და შიგ ტკბილს ჩაასხამენ. გოგირდეული სიმჟავე ტკბილს გახსნილ ჟანგ-მბადს გამოაცლის და გოგირდის სიმჟავედ (H^2SO^4) გადაიქცევა და ამით დუღილის დედას მოაკლებს ჟანგ-მბადის ზედმოქმედებას. ამ გარემოებას რა შედეგიცა აქვს, ეს ჩვენ ხომ უკვე ვიცით; ვიცით, რომ თუ დუღილის დედა ჟანგ-მბადს მოკლებულია დუღილის წინად, ის გაბრუვდება, დაზანტდება და ძირს დაილექავს. ოთხ-ხუთი დღის შემდეგ, როცა უმთავრესი ნაწილი დუღილის დედისა ლექად გამოეცლება და თითონ ტკბილი კი ჯერ ისევ მღვრიეა, ტკბილს მეორე ჭურჭელში გადაასხამენ. ეს ჭურჭელიც გოგირდის ბოლით უნდა იყოს ნაკმევი. რამდენჯერმე გაიმეორებენ გადასხმას და ბოლის კმევას, ვიდრე ტკბილი კარგად დაიწმინდება. როცა ტკბილი დუღილში შევა, ამ დუღილს რამდენჯელმე შეაფერხებენ გოგირდის ბოლით, რომ მთელი შაქარი არ განაწილდეს.

ამ საშუალებათა შორის პირველ საშუალებას უფრო ვურჩევთ.

ვასილ პეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეკონომიური წარმატება

და

ეროვნება

წერილი პირველი

I

«ისტორია განკითარებული ადამიანისთვის ტრაგედია, განუკითარებლისთვის კი კომედია»—ამბობს ბრძენი. მართლაც, თუ ღრმად დაკვეკირდებით ისტორიულ ცხოვრებას, დაკინასკვთ, რომ სამწუსარო და კაცის დამმტირებელი მოკლენანი ბევრი და მრავალგვარია. სშირად ერთი ბიკი რომ წინ გადადგმული კაცობრიობის სიბედნიეროდ, ათი და ოცი უკან და გვერდზედ გადასვეულა. ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია, მუდამ ღელავს და ირყევა, ის წაგავს იმ გრძნობიერ სასწორს, რომელიც მცირე ნიავისგანაც კი მოძრაობაში მოდის და სან ერთი მხრისაკენ გადაიხრება, სან მეორესაკენ. ცხოვრებამ არ იცის არჩეული ბირები: კინც დღეს ფესხზედ წამოყენებული და წელში გამაგრებულია, კინც ცხოვრების ავან-ჩავანი იცის და მით სერსიანად სარგებლობს, ის სკვალ, თავდაყირა გადატრიალებული, ეცებ კარდება უბედურობის მორეკვში და ეს, ერთსელ სასელოვანი ამა სოფელისა, ცხოვრების ეფსკერულში სამუდამოდ ინთქება. ასეკე ხდება მთელის ერის ცხოვრებაში: წინსკლა ერთის ერისა, ჩამორჩენა მეორისა, ერთ წერტილზედ შეჩერება მესამისა, სრულიად ამოყლეტა და განადგურება მეოთხისა, გადაშენება მეხუთისა, რევოლუციები, კრიზისები და სხ. და სხ.,—აი რა შეადგენს

საერთოდ ისტორიას. ამნაირად ცხოვრება ზოგს ანიჭებს სიისარულს და სიამოვნებას, ზოგს კი—ტრემლთა დენას და მწუხარებას, იოვარავს და აჯილდოვებს ერთს, სასტიკად სჯის და სდევნის მეორეს.

რა ამოძრავებს ისტორიას? კის უჭირავს ამ მოძრაობის ჩარხის ტარი? რაში მდგომარეობს ცხოვრების დედა-ძარღვი? ერთის სიტყვით, რა მოქმედებს ისტორიაში? აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: ადამიანი და მისი ინტერესები—აი სად არის მოგრილი და გაბოლსკული ცხოვრების ძაფები, მისი ძალა თუ უძლურება, სიკეთე თუ ბოროტება. თუ რაიმე მოძრაობს ცხოვრებაში, ამ მოძრაობის ჩარხს უსათუოდ ადამიანი აბრუნებს; თუ ცხოვრება სადმე დუღს ან შიშინებს, ამ შიშინის სმაურობა მხოლოდ ადამიანში ისტება. ერთის სიტყვით, ცხოვრების ბურჯი, ისტორიის შემოქმედი—ადამიანია. მაგრამ ამით კიდევ არ ირკვევა, ისტორიაში ადამიანები ცალ-ცალკე იღებენ მონაწილეობას, თუ ჯგუფ-ჯგუფად. შეიძლება ცხოვრებაში მოსდნენ იმისთანა მოკლენანი, რომელნიც მხოლოდ ერთის ადამიანის ინტერესს ესებოდნენ? არა, არ შეიძლება. საზოგადოებრივი ურთიერთობა იმდენად რთული და განკითარებულია, რომ ყოველად შეუძლებელია წარმოიდგინოთ პიროვნება სხვისაგან დამოუკიდებლად. «ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია»-ო—ამბობენ მეცნიერნი. ამისათვის ის მუდამ საზოგადოებაში ცხოვრობს; ის, საზოგადოებასთან ერთად, ერთ ისტორიულ უღელში არის შებმული, ერთად იბრძვის, ერთისა და იმავე წყრისა და ლხინშია გამოტარებული. მაშასადამე, ისტორიის შემოქმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა გუნდი.

ახლა კიკითხოთ, რა აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს არსებობისთვის ბრძოლის დროს? უეჭველია, საერთო ინტერესები. ავიღოთ, მაგალითად, ოჯახი, ეს ელემენტარული ტიპი საზოგადოებისა. ოჯახის ყველა წევრი დღე-მუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, თუ როგორ წასწიოს წინ, როგორ დააყენოს ფეხზედ თავისი ოჯახი. ის დაუღალავად იბრძვის, შრომობს, წელებზედ ფეხს იდგამს მხოლოდ იმისთვის, რომ ოჯახი განაკარგოს, რიგიანად მოაწყოს და მით თვითონაც ისიამოვნოს. ამნაირად, აქ საერთო ინტერესები ამოქმედებენ ერთად ოჯახის წევრთ. ესენი ერთი და იმა-

ვე ოჯახის ულელს ეწევიან.—შესდგა ამხანაგობა რაიმე საქმის საწარმოებლად. რა ამოქმედებს ამ ამხანაგობის წევრთ? იგივე საერთო ინტერესები: სარგებლობა, რასაც თვითეული მათგანი მოელის საქმის რიგიანად დაგვირგვინებისაგან. ესენი ერთად ეწევიან ამხანაგობის ულელს.—ასტყდა ომი! ომი სიასლის ღვრაა, უბედურებაა, დაშთქვლია კაცის სიცოცხლისა, მისი ღვაწლისა და მონაგარისა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგ მედიდურ სანახაობას წარმოადგენს სოლმე ის სურათი, როცა თავ-განწირული ერი აზღვევებულა, ამ სედრებულა თავისი ვინაობის და ღირსების დასაცველად. რა ავიწყებს იმათ სიკვდილის მესს და სიცოცხლის სიტკბოებას? რა აერთებს ასე მჭიდროდ მხედართ? ცხადია, ერში სუფევს რაიმე იდუმალი მიზიდულობა, მიმადული კავშირი, რომლის გამოაშკარავებისთვის საჭიროა მცირე შემთხვევა, რათა დაძინებულმა ერთ-სულობამ იფეთქოს და თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული და შეგნებული ის საერთო ინტერესები, რომლის ძალითაც ადამიანთა კრებული ერთად მოღვაწეობს, ერთად იბრძვის თვით-არსებობისათვის.

რა ასაზრდოებს და აღორძინებს ამ ნიადაგს? რა ჭქმნის მას? ალბად იმადება ის სათავე, რომელიც დაქსაქსულ გუნდს ადამიანებისას აერთებს და გამოჭყავს იგი ისტორიულ ასპარეზზედ? ამბობენ: ეს სათავე გვარ-ტომობაო. ერს, ერთის სიასლის შექონეს, ერთის წინაპრის ჩამომავალს, მიდრეკილება აქვს ყოველთვის ერთად იცხოვროსო. მაგრამ, თუ ისტორიას დავაკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ საგვარტომო მიდრეკილება იმდენად მძლავრი არ არის, რომ თავის-თავად აწარმოვოს მძიმე ცხოვრება ცხოვრებაში. მარტო საგვარ-ტომო მიდრეკილების ძალით ორი რომელიმე ტომის ნაწილი არ შეერთებულა ერთად ან ერთი რომელიმე სამეფო არ დარღვეულა ორად. მაგალითად, ჭოლანდიას ან ავსტრიას არავითარი მიდრეკილება არ აქვთ შეუერთდნეს გერმანიას; არც შვეიცარიის ფრანგებს მისწვდა გული საფრანგეთისაკენ და იტალიელებს—იტალიისკენ. სლავიანთა ერები ერთი გვარ-ტომისანი არიან, მაგრამ ისტორიამ არ იცის მათი ერთად, ერთ წესწყობილების ქვეშ ცხოვრება; არც პორტუგალია შეერთებია ისპანიას. ზოგი ამბობს: ენა არის ის დედა-ბოძი, რომელზედაც

აშენებულია ერის ერთობაზე. ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ერთმანეთს უსლოკდებიან საერთო ცხოვრებისათვისა. მართალია, ენას დიდი ადგილი უჭირავს ერის ცხოვრებაში, ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნობისა, ამით შეგვიძლიან განვსაზღვროთ, რომელი სალი რომელ ერს ეკუთვნის, მაგრამ ენა მაინც ვერ წარმოადგენს იმ ძლიერ ძალას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ერთ ენაზედ მოლაპარაკე ორი სალი შეერთდეს და ერთად იცხოვრონ. ენა არის მხოლოდ საშუალება სალიტერატურო და საზოგადებრივი ერთობისა და არ თვითონ ერთობა, ის იარაღია ცხოვრებაში და არა თვითონ ცხოვრება. უმრავლესობას ყველგან ერთი და იგივე ჭირი აწუხებს; ყველგან და ყველანი ცდილობენ გამოვიდნენ ამ მწუხარებისაგან. ამ ცდაში ენას და გვარ-ტომობას მცირე ადგილი უჭერია.. თუ სალი მშიერია, ლუკმა-პურს დაეძებს, ამისათვის შეიძლება ის შეუერთდეს თავის ტომის სალს, მაგრამ, თუ კი ამ შეერთებით უარესი შიმშილი მოელის, არა მგონია ეს შეერთება მრავალდომოს. ამის დასამტკიცებელი მაგალითები ურიცხვია დღეკანდელ ცხოვრებაში. რამდენი ადამიანი სტოვებს სამშობლოს და მიდის უცხო ქვეყანაში ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. 1820—1892 წ.წ. ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებულა 15.490,654 კაცი. განა ეს არ ჭმოწმობს იმას, რომ ადამიანი შიმშილ-წყურვილის საქმეს ყველაზედ მაღლა აყენებს! ენა და გვარ-ტომობა შეადგენენ მხოლოდ იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება კედელი ეროვნობისა. ეროვნული ცხოვრება ერის გარეშე შეუძლებელია. თვით ეროვნობის დედა-აზრი მოითხოვს საერთო ენას. თუ კი ადამიანთ არა გაეგებათ-რა ერთმანეთისა, იქ, რასაკვირველია, ვერავითარი ერთობა ვერ დამყარდება. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთ ენაზედ მოლაპარაკე უთუოდ ერთად ცხოვრობდეს, ეროვნულ უღელს ერთად ეწოდეს. აქ უფრო რთული პირობები იმალებიან და ცხოვრებას ამა თუ იმ კალაპოტში აყენებენ. განვიხილოთ ეს პირობები.

ომი, ბუნების ძალა და ადებ-მიცემობა ანუ კაპრობა—აი ეს მოვლენანი მოქმედებენ საზოგადოებაში, როგორც ადამიანთა შემაერთებელნი და შემაკავშირებელნი. ამათი გავლენა ერის ცხოვრებაზედ

თუმცა ძლიერია, მაგრამ თანასწორი კი არ არის. ერის გასვითარებას ესენი სხვა-და-სხვა ნაირად უწყობენ ხელს, მეტ-ნაკლებად უმაკრებენ ძირს. საერთო მტერმა, თათრებმა, შეაერთა XV—XVII საუკუნეებში სხვა-და-სხვა ტომის ერნი: უნგრელნი, ჩეხნი, გერმანელნი, სამხრეთის სლავიანები და სხ. და დაუმორჩილა ჭაბსბურგთა სამეფოს, მაგრამ როგორც კი მოსტიდდა გარეშე მტერი და გაქრა საერთო საფრთხე, ამ სასელმწიფომ მაშინვე დარღვევა აწყო. ომის წყალობით დაარსეს უდიდესი სამეფოები კეიროსმა, ალექსანდრე მაკედონელმა, კარლოს დიდმა, და სხ. მაგრამ იმ შეერთებული სამეფოების არსებობა ხან-მოკლე იყო. რატომ? იმიტომ რომ იგი სამეფოები გარეგნობით, მექანიკურად იყვნენ გაერთიანებულნი, მათი სიდიადე ძალზედ იყო დამყარებული და არა ერთა ისტორიულ განვითარებაზედ. საზოგადოება რაც უფრო ჩჩვილი, ერთგვარი და განუვითარებელია, რაც უფრო დაბლა სდგას ისტორიის საფეხურზედ, მით უფრო ადვილად შეიძლება ომის და ძალმომრეობის წყალობით მისი გადაგვარება, გადაშენება და ნორმალურის ცხოვრების არევ-დარევა. მაგრამ რაკი კაცობრიობამ თავი დაადწია ველურ მდგომარეობას, დაიყო ერებად და დაადგა წარმატების გზას, სამსედრო ძალასაც დაუკარგა თავისი პირველნდელი მნიშვნელობა. ჩვენ გვსდავთ, რომ ომის მეოხებით ერთდება ერთ და იმავე ენაზედ მოლაპარაკე ხალხი, უკავშირდებიან ერთმანეთს სხვა-და-სხვა ერნი, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ჩქარა ირღვევა და ნაწილდება. თავისუფლება ერისა, განვითარება თანახმად მისი განსაკუთრებული პირობებისა—აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდინარეობა. თუ კი დღეს ეს დედა-პრინციპი ხშირად იღალება და ფეხ-ქვეშ ითელება, ეს მხოლოდ წარმავალია და დროებითი. კაცობრიობა ვერ ასტდება ერთა თავისუფლებას. ასე თუ ისე, ომი, სამსედრო ძალიერება ვერ ჩაითვლება თანამედროვე ცხოვრებაში ერთობის უმთავრეს მიზეზად.

თუ გეოგრაფიული პირობები ქვეყნისა იმნაირია, რომ ადამიანს ცალ-ცალკე არ ძალუძს საზრდოს მოპოვება, მაშინ, რასაკვირველია, ის უნდა შეუერთდეს თავის მომეს და საერთო ძალ-ღონით გამოსტაცოს ძუნწ ბუნებას რაიმე ნაყოფი. მაგ., მდინარე ნილოსის

ჭალები შეადგენდნენ ერთად-ერთ საცხოვრებელ სივრცეს ძველ ეგვიპტელებისას. ამისათვის ამ ჭალების დაცვა ნილოსის წალეკვის და აოხრებისაგან შეიქმნა უმთავრესის საზრუნავად. ხალხი შეერთდა და სისტემატიურის შრომით დაიწყო ნაპირების გამაგრება. ლ. შენიაროვის აზრით, ამნაირივე მნიშვნელობა ჰქონდათ მდ. ეუფრატს, ტიგროსს, კანგას და გოანგოს. ორ უკანასკნელთა მიდამოებში (ჩინეთში) «ჩვენ შეგვიძლებით იმგვარ ბუნებას, რომელიც კაცის შრომას უსაზღვროდ აკვლდოებს, მხოლოდ ამისათვის ის მოითხოვს მუშაკთა სრულს ორგანიზაციას, სასტიკ და მუდმივ დისციპლინას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბუნება ადამიანს უქადის აღგვას დედამიწის ზურგიდან»[1]). აქედან წარმოსდგა აღმოსავლეთის მეფეთა დესპოტიზმი, ვინაიდან მარტო ამ სახის მთავრობას შეეძლო დაემყარებინა საკუთრება და კეთილი. მაშასადამე, ამათ პოლიტიკურ წყობილებას საერთოდ დაედვა ეკონომიური მოთხოვნილება. ამგვარად, ბუნების ძალა აიძულებს ადამიანთა გუნდს ერთმანეთს შეუერთდნენ, და არსდება ეგრედ წოდებული «ოდინარეთა ცივილიზაცია». აქ ერა ვითარდება, მაგრამ ეს განვითარება ძალ-დატანებითია, მას არა აქვს განდგომილი ფენები საზოგადოების სოციალურ პირობებში; იგი გამოიწვიეს მხოლოდ ბუნების განსაკუთრებულ თვისებათ. მოსპეთ ეს მიზეზი და მაშინვე დაიშლებოდა ზედ ამართული წყობილება, ხალხი ისევ ძველებურად დასაწყლდება. აშკარაა, აქ თვით ცხოვრებაც ვიწრო რკალით არის შემოზღუდული და თავის წარმატებას უდებს საზღვარს. მეორედ, აქ ერთნაირი ცივილიზაცია მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნისაგან, ის განკერძოებული, კარ-ჩაკეტილია, ასე რომ სხვა-და-სხვა ერთა შორის არავითარი კავშირი და მიმოსვლა არ არსებობს. კატაბრიობა დაადგა ერთობის გზას და მით გამოეთხარა ძირი განკერძოებულ ერთნაირ ცივილიზაციას. იგი დაირღვა; მის ნანგრევზედ აშენდა ახალი ცხოვრება, რომელსაც საფუძვლად დაედვა აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, მისვლა-მოსვლა.

ამ სახით საზოგადოება რაც უფრო განმარტოებული და კარ-ჩაკეტილია, რაც უფრო ტაბლა დგას კულტურით და გა-

[1]) „La civilisation et les grands fleuves historiques" par Léon Metchnicoff. Paris 1889. 353—354 გვ.

ნათლებით, მით უფრო ძლიერი გავლენა აქვს მასზედ ბუნებას, მით უფრო ის ბუნების მონა-მორჩილია.

რაკი საკუთრებრივ კანონითარებამ უარჰყო ძველი განკერძოებული ერთა ცხოვრება, ამით მოსალოდნელი იყო ეროვნების მოუძლურება. მაგრამ ცხოველ-მყოფელი ძალა ასალის სანასი იმაში გამოიხატა, რომ ეს ორი, წინად შეუერიგებელი ძალა—ერი და კატობრიობა—ერთმანეთს დაუკავშირა, ნაწილი შეუერთა მთელს, ერი და კატობრიობა ხელი-ჩკელ ჩაკიდებული გამოვიდნენ ისტორიულ ასპარეზზედ.

ამ უამად კატობრიობა სამშობლოის სიჩქარით მიისწრაფვება ერთობისაკენ. ის შემოზღუდულია ერთი გალავნით, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩაფლეფული და ფესვებ-გადგმული ნივთიერ ურთიერთობაში. კატობრიობის ნაწილთა შორის იყოფა შრომა ეკონომიურად და მით ნივთიერად ერთი-მეორისაგან დამოკიდებულნი ხდებიან. ევროპა იზიდავს თავისკენ სხვა-და-სხვა საქონელს აზიისას, ამერიკისას, ავსტრალიისას და აფრიკისას, სამაგიეროდ უგზავნის თავისას. მაგ., 1860 წ. ასტუდა ომი შეერთებულ შტატებში. ამის მიზეზით შეჩერდა ბამბის გადმოტანა ამერიკიდან ინგლისში. მაშინ ინგლისის მრეწველობაში ჩამოვარდა კრიზისი. დაიკეტა ქარხნები, გაკოტრდნენ ფულის ბატრონნი, აუარებელი მუშა სადღა დარჩა უსაქმოდ და გაღატავდა, დაიმშა და სხ.. რაც ჩრდილოეთ ქვეყნებში ხეირობს, იმას სამხრეთის ბუნება არ უწყობს ხელს. ერთს ქვეყანაში წარმოების ერთი დარგი უფრო განკითარებულია, მეორეში მეორე და სხ. ამისათვის იგი ქვეყნები იძულებულნი არიან ერთმანეთ შორის მისვლა-მოსვლა იქონიონ, საქონელი გაცვალ-გამოცვალონ. რა მდგომარეობაშია ამ დროს ერის შინაური ცხოვრება? მისუსტდა ამით ეროვნება? სრულიადაც არა. ერი საკეირველის ძალერებით ისსამს ფრთებს და ადგება განკითარების გზას. ის თანდათან იყოფა რამდენსამე ეკონომიურ ნაწილად. ერთი კუთხე მოკლებულია იმას, რაც მოდის და წარმოებს მეორეში, ამით ისინი ნივთიერად უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ., ლიონში და მის მიდამოებში აბრეშუმეულის წარმოებაა, რუანში—მატყლისა, ბოსში—ხორბლისა, ლუარში და პადეკალეში—ნახშირისა, ბორდოში—ღვინი-

სა და სხ.. მთელი საფრანგეთი ისე არის დანაწილებული ეკონომიურად, რომ ამ ნაწილებს ერთ დღესაც არ შეუძლიანთ ჭერთმანეთად ცხოვრება. ერი გაერთიანებული ნიეთიერად — გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას ჭსურს განაგითარონ ეროვნული შრომა, გაალოს�eronს ერი. სუსტი ერის საქონელი სშირად იბაგრება მსოფლიობაზარში. რაც უფრო გაძლიერებულია სალსში ადებ-მიცემობა, რაც უფრო მეტი საქონელი გაჩქთ საზღვარ-გარედ, რაც უფრო სასარგებლოა საერთაშორისო საგაჭრო სელ-შეკრულობა და სხ., მით მეტი მოთხოვნილებაა დასამუშავებელ მასალისა და მუშათა სელისა. ამ შემთხვევაში მეტად ფასობს როგორც გლესის ნამუშავარი, ისე მუშის დღიური ფასი. ამნაირად, ერის სიდიადეში დაინტერესებულია, როგორ ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლესი-მუშა. აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოდგაწე, ისე უბრალო სოფელი.

ნიეთიერმა საჭიროებამ ისე გადაგვაჭვა ერის ყველა წევრი ერთმანეთთან, რომ ამის დარღვევა აუტილებლიგ თვით ერის სიკვდილს მოასწავებს. აქ ერთობა ნაყოფია ნიეთიერი განვითარებისა და სრულიად დამყარებულია ცხოვრებაზედ. თანასმად ამისა შენდება და იცვლება ერის პოლიტიკური ფორმები და ისტორიას ეძლევა ესთუ ის მიმართულება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გერმანიის ისტორია წარმოადგენს. მე-XV საუკ. აღმოსჩინეს ამერიკა და ოსტინდოეთში მისაკენ გზა ათვრეკის გარეშემო. ამისათვის აეჭრობა ჩმელთა-შუა ზღვიდან გადავიდა ატლანტიის ოკეანის ნაპირებზედ. გერმანიის და იტალიის ადგილი ადებ-მიცემობაში დაიჭირეს პორტუგალიამ, ისპანიამ, ინგლისმა და ჩრდილო საიერანგეთმა. ეკონომიური განვითარება გერმანიისა დაეცა, გათასირდა. ამას მოჰყვა ეროვნული გრძნობის მისუსტება და ერის დაქუცმაცება. გერმანია (ანრედგე იტალია) დანაწილდა წვრილ-წვრილად, ადგილ-წასასნილ სამეფოებად. აქ გამეფდა პატრიარქალური წეს-წყობილება, ინგლისში კი განვითარდა კაპიტალი. ამ მდგომარეობაში დარჩა გერმანია ამ საუკუნის ნახევარამდინ. ამ საუკუნეში ხელ-ახლა აიდგა ფესი წარმოებამ და უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა 1860—1870წ.. ამ დროს აღორძინდა წარმოების მრავალი ასალი დარგი და გერმა-

ნიამ დაიბეერო დიდი ბაზარი [2]). ერი გაერთიანდა ნიგთიერად და ამას ზედ მოჰყვა პოლიტიკური გაერთიანებაც. გერმანიამ კელავ დაიწყო საპატიო ადგილი ევროპაში.

ამნაირად, საკატობრიო და საგვარ-ტომო გაერთიანება შესაძლებლად ხდება ნიგთიერ სიდიდეზედ, რომელ ეკონომიური განვითარება იქამდის მიდის, რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვა-და-სხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე ერის ნაწილთა შორის, თანახმად ვულტურისა, ნიადაგისა და ჰავის თვისებათა. ამით მკვიდრდება ნგთიერი საფუძველი ერთობისა და ბადდება მტკიცე ეროვნული ცხოვრება. წინასწარ შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლიტიკო-ეკონომიური პირობანი არ აჩვენებენ ერთად ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი-მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიული მღელვარებით დაქსაქსული ერი ერთ უღელში შეკვრას, ცხოვრების ჭაბანი ერთად გაავლებინოს...

II

აი, ეს აზრი წაიმძღვაროთ წინ და ამ მხრივ დავაკვირდეთ ქართველ ტომის სალხთა მდგომარეობასა; ვნახოთ რა სურათს წარმოგვიდგენს ის დღეს ან რა იყო წარსულში. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქართველები ერთ ერს შეადგენენ, საერთო ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევიან? თუ ეს მხოლოდ გაკრიალებული ფრაზები, ოცნების ნაყოფია, დაფუძნებული ზოგიერთა პირის სურვილზედ და არა თანამედროვე ნამდვილ ცხოვრებაზედ?

ყველა სალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წეს-რიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა სალხი ჭგრძნობს თავის-თავს ერთ ერად, ჭირში და ლხინში განუყრელად, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ «ძე»-ზედ და ამას შეგნებულად იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში

[2]) ამგვარი ფაქტები მრავალია მოყვანილი გერმანულ წიგნში: „Handworterbuche der Staatswissenschaften". 93 წ. ბერლინი.

ყოველთვის სრულს ერთობას იხილენ ასრებისას, მიმართულებისას ჯ გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში ძუძამ ჯ დაუდალავად ებრძვიან ერთმანეთის, მაგრამ ერთად დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იგრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიეწვნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგვას უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი სათმარ ველზედ სელი-სელ გაყრილი გამოდიან. ეს ორის ეროვნობის ორსებითი თვისება, საყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანური ცხოვრებით. ასლა კიკითხოთ: ქართველობამ ეს სანა გაიარა, თუ ამ სანის კარებთან არის გაჩერებული?

საქართველოს საწილებს შაადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა-ქობულეთი, სამეგრელო, სვანეთი, თუშ-თუშაგ-ხევსურეთი ჯ სანგილო. საქართველოს ყველა ქვეყნებში, რომელნიც ეხლა ჩამოთვალეთ, ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც ერთის ტომის, ერთის შთამომავლობის, ერთის სისხლის და ხორცისანი არიან.. ყველა იმაო ჩქონდათ და აქვთ ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება, ერთი და იგივე მწერლობა. ეს საუკეთესოდ ებათ უმრავლესობა ეგისატვის, არა მარტო ადგილთ-მდებარეობას, არამედ იმ ჯგუფთ ქართველის ტომისას, რომელნიც ბინადრობენ ამა თუ იმ მხარეში. როდესაც ჩვენ ვამბობთ: გურული, მეგრელი, კახელი და სხ., მაშინვე თვალ-წინ გვესატება ის განსაკუთრებითი თვისებანი, რითაც ისინი განირჩევიან ერთი-მეორისაგან. თვითეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთელს: ზნით, სასიათით, ბუნებრივი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედებით და სხ., ასე რომ არც ერთი მხარე ცხოვრებისა ნათლად არ გვიჩვენებს ურთიერთს შორის ეროვნულ დამოკიდებულებას. მხოლოდ ენა და გვარტომობა გვეუბნება, სუფველა ქართველები ნათო. მაგრამ ამ დასკვნამდინ ჩვენი ერი ჯერ ვერ მისულა, ეს თავის თავად მარტივი ჭეშმარიტება ჯერ შეგნებული არ არის. განა ინგილოელს და მეგრელს შეუძლიანთ წარმოიდგინონ ურთიერთშორისი დამოკიდებულება და ერთობა? ან რა აქვთ საერთო, მაგ. სვანს და აჭარელს,

სამეურნეოდანოელს და კახელს, ჭანელს და მთიელს, გურულს და ხევსურს? ესენი განა ჭკვრძნობენ თავის თავს ერთ ერად? ამათ აღელვებთ საერთო ინტერესები, საერთო ჭირი და ლხინი? საქართველოს ნაწილები ჭკვრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას [3]). «ეტნოგრაფიული კრებული შეიძლება საუბრობდეს ერთ ენაზედ, მაგრამ ეროვნებას არ შეადგენდეს» — ამბობს ბროუ. კარეევი. «ეროვნობას შეგნება ჭქმნის»-ო დასძენს იგივე [4]). სწორედ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს. ამისათვის, სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნობა არსებობს. იქ მხოლოდ ადამიანთა გუნდია, ეტნოგრაფიული კრებულია.

ერს ვერ შეჭქმნის და ვერც დაარღვევს სურვილი დიდებულთა და მეცნიერთა. ის არის ნაყოფი სანგრძლივი ისტორიული ცხოვრებისა. თუ ჩვენ დღეს დაქსაქსულნი და უძლურნი ვართ, თუ ჩვენ შორის განხეთქილება და უთანხმოება არის, ერთის სიტყვით, თუ ქართველობა არ წარმოადგენს ერთს ცნობიერად გაერთიანებულ ერს, ეს მხოლოდ შედეგია ისტორიულის წარსულისა ჯ ამასთანავე უმთავრესი მიზეზია ერის მესუსტებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ლოდიკური დასკვნაა წარსულისა. ამისათვის თუ პირველის ასსნა გვსურს, ვერ უკანასკნელი უნდა გავიგოთ.

III

ჩვენ ზეკით მოვიხსენიეთ, რომ ერის შეგნებულად გაერთიანებას წინ მიუძღვის ნივთიერი გაერთიანება, ესე იგი, იბადებიან იმისთანა საეკონომიო პირობები, რომელნიც ძალა-უნებურად აკავშირებენ ერის ნაწილებს და გამოჭყავთ ერთობის გზაზედ. ამ გვარად მომზადებულ ნივთიერ საფუძველზედ შენდება შესაფერი პოლიტიკური, გონებრივი და ზნეობრივი მსარეები. თუ ამ თვალთა-ხედვის ისარს მოვიმარჯვებთ და ამ მსრივ გადავსულავთ წარსულს, მაშინ ნათლად

[3]) ამგვარ პროვინციალურ განკერძოებას ბანს აძლევს და ტაშს უკრავს ტფილისის დარბაისელ ოზნაურთა კრება. იხილეთ მეთაური წერილი «იკვერიისა» № 93, 1893 წ.

[4]) «Основные Вопросы Фил. Исторіи» II. ტ. 114 გვ.

გამოვარკვევთ ისტორიის იმ დედა-ძარღვს, რომელიც მთელ ამ ისტორიის არსებობას ამოძრავებს.

ბეოგრადიულის მსრივ საქართველო წარმოადგენს საგვირველ სხვა-და-სხვაობას. მას ლაისის მთა ჭეოფს ორ დიდ ნაწილად: ამერეთად და იმერეთად. ეს ორი მსარე მეტად გაირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც მდებარეობით, ისე ბუნების თვისებებით: ნიადაგით, ჭაკით, მტენარეულობით და სხვ. ამნაირად ერთი ერი ბუნებამ გაყო ორად და ცხოვრებას მიეცა ორი ბუნებრივი კალაპოტი. ამასთანავე, როგორც ადმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო იმავე ბუნების წყალობით ნაწილდება რამდენსამე გუთსად. თვითეული გუთსე ბუნების ძალით და ნაყოფიერებით სხვებს არ ემსგავსება. ამასთანავე ყოველი ბეოგრადიული გუთსე, თანასმად თავის ბუნებისა, ეკონომიურად ერთ მთელს წარმოადგენდა: აქ მოდიოდა ყველფეერი, რაც კი მკვიდრის მოთხოვნილებას შეადგენდა. ამგვარად, ერთის მხრით საქართველო ბეოგრადიულად განიყო რამოდენსამე მხარეებად და ყოველი მხარე გარშემორტყმული იყო ურთიერთისაგან განსხვავებული მთა-გორებით, მდინარეებით, მიუვალი ტყეებით და სხ., მეორეს მხრით ამ თვითეულ ფარგალში ყოველ მხარეს ბუნება ლმობიერად ეპყრობა, ადამიანს და მისს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოთხოვნილებაც მცირე და ადგილობრივი ნიადაგის შესაფერი უნდა ყოფილიყო. «სადილი აზნაურისა, თავადისა და მთავრისა არაფერით განირჩოდა ერთმანეთისაგან... ცხოვრება იმდენად სადა იყო, რომ მთავარი სშირად ბინავდებოდა უალტაკო ქოხში... მეფე, რომელიც ერთის ბრძანებით უსწრაფებდა სიცოცხლეს ქვეშევრდომს, ომის დროს ნაღვლებად განირჩოდა იმითგან: ეგეღასთვის სადილი და ქვეშსაგები ერთი და იგივე იყო, მხოლოდ გლესი ემსახურებოდა აზნაურს, აზნაური თავადს და თავადი—მეფეს... მკვიდრნი სარგებლობენდენ ადგილობრივი ბუნების ნაყოფით, ზორიდან საზრდოს გადმოტანისათვის არ ზრუნავდენ, კმაყოფილდებოდენ იმითაც, რაც სელთა ჭქონდათ» [5]). ამგვარად

[5]) И. Дубровинъ—Исторія войнъ и владычества русск. на Кавказѣ. 258—259 გვ. ამასვე ემოწმობს ლიტვინოვი: „Описаніе Мингреліи и Имеретіи“, ხუკველა ეს ცნობები შეეხება ამ საუკუნის დასაწყისს.

ხალხს მეტად განსაზღვრული მოთხოვნილება აქვს; ის ცდილობს ბუნების დამორჩილებას და ცხოვრების გაფართოებას. ბერიქეთ, თვითონ ეკედლება ბუნებას და უმაწვილეთით სწოვს იმის ნაყოფიერ ძუძუს. მაგ., «დადიანი თევზაობის დროს ცხოვრობდა რიონთან ახლოს; ზამთარზედ, ირემზედ და ღორზედ ნადირობის დროს ცხოვრობდა ოდიშში, სადაც გროვდებოდნენ გარეული ცხოველები; ზაფხულობით კი ლეხუმში იყო ხოლმე, სადაც მიირთმევდა ბურს და არა ღომს» [6]).

მართალია, ზოგ ადგილს ბუნება ძლიერ ძუსწობს, მაგრამ ადამიანი აქაც ბუნების მორჩილებაშია და თავის ცხოვრებას ამის შესაფერად აშენებს. რაკი ქვეყანა დანაწილებულია იმგვარ კუთხეებად, რომ თვითეული მათგანი წარმოადგენს ეკონომიურად განსაკუთრებულს საზოგადოებას, რიღასთვის უნდა უფეკდეს ერთობა და კავშირი? ყველა ნაწილს აქვს, რაც საჭიროა ცხოვრებაში: სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი და სხ. ამით ისაზობა გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის საადგილი. ესლაც ბევრი მაზრებია ჩვენში ამოკვარს ნიკოთიერს ბიერობებში დარჩენილი. აი რას მოგვითხრობს თანამედროვე მოგზაური სვანების შესახებ: «სვანებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროდებათ ცხოვრებაში, ტანთ-საცმელს თვითონ ქსოვენ, იარაღს ოვითონ აკეთებენ, თოფის წამალსაც, ვერცხლეულობასაც, სან-და-სან ოქროთ მოჭედილსაც თვითონვე აჭედენ. ერთის სიტყვით, სვანებს ყველაფერი საკუთარი აქვთ, ასე რომ სხვა მაზრებიდან აქ არაფერი მოდის» [7]). ამ სიიერ მდგომარეობაში იყო 30—40 წლის წინად არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი საქართველო. თვითეული ბროკინტია, თვითეული კუთხე, თვითეული სოფელი და ოჯახი თვითონ იმზადებდა თავისათვის ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო. ბური სადაც მოდიოდა, იქვე იფქვებოდა და ისრეკოდა; მატელი და ბამბა ადგილობრივ იქსოვებოდა და იცვეთებოდა [8]).

ამნაირად, სალხის შემაერთებელი ძალა მისუსტებული, მამქრალებული იყო. ნიკოთიერი საჭიროება არავის ძალას არ ატანდა კეის-

[6]) ib. 1803—1806 წ. 143 გვ.

[7]) „ივერია“ 1877 წ. № 25 და სხვ. შესანიშნავი წერილი სვანეთის შესახებ.

[8]) Дубр. ib.

მეს შეერთებოდა და მისვლა-მოსვლა გაემართა. ყველა კუთხე ეკონომიურად კარ-საკეტილი დარჩა. ამისათვის აქ ვერ ვხედავთ რიგიან გზებს, ბოგირებს და სხ. საქართველოს ორი დიდი ნაწილი, იმერეთი და ამერეთი, ვერ იყო შეერთებული ადვილად მისავალ-მოსავალი გზით. მე-XVII საუკუნეში ქართლიდან იმერეთში გადასავლელი გზები ეტად საშიშარნი იყვნენ, რადგანაც ტყე გაუტეხარი იყო, გზა გაუკეთებელი, მთები კიწრო და გაუვალი [9]). ამ საუკუნის დამდეგს თ. ციციანოვს გაჭყავს გზა სურამისა და ქუთაისს შუა. «ამ გზის საშუალებით შესაძლებელი გახდა თავისუფალი მიმოსვლა იმერეთ-საამეგრელოსთან». წინადაც ყოფილა გზები, მაგრამ მთები, ხეობები, გაუტეხარი ტყე შესაძლებლად ხდიდნენ მოგზაურობას მხოლოდ ქვეითად და ცხენით მიმავალთათვის. ეს უგზო-უკვლოობა იყო მაზეზი, რომ იმერეთს მტერი ხშირად არ შეესეოდა ხოლმე [10]). ამნაირსავე სურათს წარმოგვიდგენს თვითეული ბროვინცია ცალ-ცალკე. მაგ., სვეტიცხოველში ზამთრობით მოგზაურობა სრულიად მოუსურსებელი იყო [11]). «თუშეთში უგზოობის გამო ზაფხულში მისვლა-მოსვლა საძნელოა, ზამთრობით კი სრულიად ისპობა» [12]). ასევე იყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში და სხ.

ამნაირ ნიადაგზედ, რასაკვირველია, ვაჭრობა ვერ აღორძინდებოდა. ამისათვის ის მისუსტებული, მიმქრალებული იყო. მართალია, სანდასანი თავს წამოჭყობდა, წელში გამართვას დაუპირებდა, მაგრამ ამ ცხოვრების მეტ-ხორცს ჩქარა ეთხრებოდა ორმო და ჩქრებოდა. ჩვენს ისტორიაში ვნახავთ, რომ ალებ-მიცემობა უცხოელებთან მხოლოდ შავის ზღვის პირას იყო გამართული (ფაზისი, დიოსკურია) და ისიც დრო-გამოშვებით. მე-XIV საუკუნის შემდეგ იქაც სუსტდება. მეორეს მხრით ტფილისი იღებდა ზოგ საქონელს თავრიზიდან, მაგ., ფარჩას, აბრეშუმს, მარილს, რკინას, ერბოს, მატყლს და სხ. [13]). ქართველებს ეს ალოობა (ვაჭრობა) ისე საშარტსვინოდ მიაჩნდათ, რომ თვითონ თავიდობდნენ და სხვა ტო-

[9]) «ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ», ან. ფურცელაძისა. 176 გვ.
[10]) „Закавказье", Дубр. 196—198 გვ.
[11]) Ист. Воинъ на Кавк., Дубр. 280 გვ.
[12]) ib.
[13]) «დასტურლამალი». გვ. 100

მის ხალხს, ურიებს და სომხებს, ასეევდენ თავზედ. თუმცა მეფეები ვაჭრობას დიდ მფარველობას უწევდენენ, მაგრამ ფესი მაინც ვერ მოიკიდა; ტფილისში ვერც ერთს სამრეწველო ქარხანას ვერ ვხედავთ. თ. ციციანოვი სწერს, რომ ტფილისში არავითარი ქარხნეულობა არ არის და სთხოვს მთავრობას ტყავის და მაუდის (სალდათების ჩასაცმელად) ქარხნის გაძართვას [14]). რაც შეეხება საქართველოს ნაწილთა შორის ადებ-მიტანობას, ეს სრულიად არა სჩანს. ქართველთ არა ჰქონდათ-რა ერთი-ერთმანეთში გასაცვლელი. ამ საუკუნის დამდეგს ლეჩხუმში ყოფილა რამოდენიმე ვაჭარი. იმათი საქმე ისე ცუდად წასულა, რომ თავიანთ ოჯახსაც ვერ ინახავდენ [15]). ზოგიერთ კუთხეში ვაჭრობა ასლაც ვერ დამკვიდრებულა. სვანეთში «ვაჭრობა სრულებით არ არის; ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერაც ვერ შეუგნიათ. სვანეთში ვაჭარ სალხს არავითარი პატივისცემა არა აქვს». სვანები ფულზედ კი არ ჰყიდიან, არამედ სცვლიან ერთმანეთში საჭირო საქონელს. «ერთის სიტუვით, ფული ვაჭრობაში არა ტრიალებს. მხოლოდ გაცვლა-გამოცვლა აქვთ საქონლისა» [16]). მთელ სვანეთში ერთი ვაჭარი არ არის. «არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, ერთის სიტუვით, არაფერი ვაჭრობისა, როგორც რიგია და როგორც კავკასიის სხვა მაზრებში იციან, არ არის ამ ქვეყანაში [17]). თუ კი საქართველოს ერთი ნაწილი ასე არის დღეს, დანარჩენი ნაწილები რაღა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ისტორიულ წარსულში?

ჩვენ კამბობდთ, ყოველი კუთხე საქართველოისა წარმოადგენდა ეკონომიურად განკერძოებულ ადგილს; შრომის განაწილება, ადებ-მიტანობა, წარმოება თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხანდახან აქა-იქა თავს იჩენდა, ისიც ისე ხან-მოკლედ და სუსტად, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზედ არავითარი გავლენა არა ჰქონდა. ამ გარემოებამ დაჭბადა კარ-ჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა. აღორძინდნენ და განვითარდნენ

---

[14]) „Закавказье", Дубр. 123 გვ.

[15]) ib.

[16]) „ივერია" 1877 წ. სვანეთის შესახებ.

[17]) ib. იხ. ამის შესახებ გაკვრით «ივერია» 1893 წ. № 212. „სვანეთი".

იმგვარი ერთგულები თვისებანი, რომელნიც ამორებენ, აცალკევებენ სხვა-და-სხვა ჯგუფთ ქართველის ტომისას. ბირველად ენა ითვისებს მრავალნაირ კილოს (გურული, რაჭული, მთიწური და სხ.) და იცვლება თვითვე (მეგრული, ჭანური, სვანური და სხ.). მტკიცდება განსხვავებული ზნე-ჩვეულება, სასიათი, შესედულობა და სხ.

ასდა კიკითხოთ, რა გაკლენა Ჰქონდათ ამ სავეკონომიო ბირობათ პოლიტიკურ წეს-წყობილობაზედ? შეეძლოთ ნიკიერად გაცალკევებულ საწილებს პოლიტიკურად გაერთიანება?

IV

ჩვენს ისტორიას თან დაᲰყვა ერთი ძალა, რომელიც მტლეიკიო ᲩᲐᲯᲓᲐ ცხოვრების სათავეში და დაუწყო ღრღნა ქართველთ ერთობასა ესიიო საქართველოს მიდრეკილება დანაწილებისადმი.

პოლიტიკური დანაწილება ანუ დაყოფა ერისა ორის აშენებული და განმგრეხული ეკონომიურ განცალკევებაზედ და დამოუკიდებლობაზე. რაკი რომელიმე მსარე ნიკიერად კარ-ᲩᲐᲙᲔᲢᲚᲘᲐ, ამიტ, აშკარაა, იმის ერთმეკა ერთი უძლიერესი დედა-ძარღვი დანარჩენ ქვეყანასთან მისკენ-მოსკენისა და ერთობისა. ამ შემთხვევაში ერში ბატონობს ფეოდალური წეს-წყობილება. ამნაირ წყობილებას ბოლო აღარ ექნებოდა, რომ მის გვერდით არ დაბადებულიყო მეორე ძალა, სრულიად წინააღმდეგი ბირველისა. მე-XIV—XV საუკუნეებში ევროპამ გაიცნო ასდან აღმოჩენილი ქვეყნები და გაიტაცა გამდიდრებისა, ოქრო-ვერცხლის შეძენის სურვილმა. აი ამ გზაზედ დაიძრა ევროპის ხალხი, გაიმართა მისკენ-მოსკენ ასდ ქვეყნებში, მოთხოვნილებაც თანდათან გაფართოვდა და გამრავლდა. ამან გამოიწვია შრომის დანაწილება და კაცრობა. ამგვარ მიდრეკილებამ ბირველად ქალაქებში იჩინა თავი. აქ მოგროვდა საკაცრო საქონელი, როგორც ასზღვარ-გარედ გასატანი ისე შემოსატანი. ქალაქი ნელ-ნელა გასდა ეკონომიურ შუაგულ ადგილად. ასევ საქმეს დასჭირდა განსაკუთრებული მფარველობა, სელის შეწყობა, და აი გაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ძალა, ქალაქში გამოიკვანძა ყველა ძაფები პოლი-

ტიკური ცენტრისა. ამ სასით, აქ ვსედავთ ჩვენ ორ ძალას, ორ დედა-აზრს: ერთი, არის დამყარებული შრომის ერთ-გვარობაზედ და ნიეთიერ განვარძოებაზედ (ფეოდალიზმი), მეორე კი შრომის ეკონომიურად დანაწილებაზედ და ნიეთიერ ცვლეთიანებაზედ (ბურჟუაზია); ჰიერგელის ბუდე-სიმაგრე სოფელი და კოშია, მეორისა ქალაქი და დუქანი; ჰეერგელია ადგურეული, ამალ-ანანგლით, მეორე ოქრო-გეფცლიბ ანუ ფულით. ასტუდა ანგრძელი ბრძოლა ამ ორ მოგლენათა შორის. ცხოვრება დაადგა ასალ-გზას და მით ორმო გამოეთხარა ფეოდალიზმს. ფეოდალი, მეფეთა მიერ დაუმორჩილებელი, დაიმორჩილა კაკვარმა; ქედი მოიხარა ფულის წინაშე. დაიწყო ერთა გაერთიანება და ერთმთავრობის დამყარება. ასე მოხდა ევროპაში. ჩვენში კი სხვანაირად დატრიალდა ისტორიის ბარი. საქართველოს ამოხდა სული (პოლიტიკურად) შუა გზაზედ, თუ შეიძლება ასე ითქვას; ესე იგი გაიმარჯვა და დამკვიდრდა ფეოდალიზმი და ბოლო მოეღო ქართველთ ერთობას.

ქართლის-ცხოვრების თქმით, საქართველოს საერისთავოებად დაყოფა იწყება მეფე ფარნავაზის დროს (III საუკ. ქრისტეს წინ) და თავდება მე-XVIII საუკუნით. ცხრამეტ საუკუნის განმავლობაში. (გამოკლებულია ადგით ალმაშენებლის და თამარ მეფის დრო) ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელს ერს, არამედ რამდენსამე დანაწილებულს ჯგუფს, რომელნიც ცხოვრობენ ასვა-დასვა გეოგრაფიულ და ეკონომიურ ჰიერარქიათა შორის; გარშემო ასვა-და-ასვა საზღვი არტყიათ, მტერთან ცალ-ცალკე იბრძვიან და შინაური მართვა-გამგეობა ასვა-და-ასვა გვარად აქვთ მოწყობილი. ამისათვის თვითეულ ნაწილს ჰქონდა და აქვს თავისი ისტორია, თავისი ცხოვრების საკუთარი წეს-რიგი. რაც დრო წინ მიდიოდა, მით უფრო სუსტდებოდა ერთობა, სამაგიეროდ შეღალი, ქიშპობა და განსვეოქილება თან-და-თან მატულობდა და ფესვს იდგამდა ცხოვრებაში, მიდრეკილება დანაწილებისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით ეგრედ წოდებული «ოქროს საუკუნემაც» კი ვერ შეაყენა და რამდენადმე მაინც ვერ შეასუსტა. მართალია, დავით ალმაშენებლის და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკუ-

რი ცსოვრებით სტგბებოდა, სიერთო ისტორიულ ველს სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვრობასა, მაგრამ სუფევლა ეს დროებითი, წარმავალი იყო. ეს არ იყო შედეგი და დასკვნა ერის ეკონომიური განვითარებისა, არ იყო ქვეყნის გულიდან წარმოშობილი [18]). მხოლოდ იმისთანა მშრომელ, მხნე და გამჭრიახ მეფეთ, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეეერთებინათ მთელი ქართველობა. მოშორდნენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცსოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობა და განვჭრნენ საქმენი მათ მიერ დაწყებულნი [19]). საქართველო დაიყო ერთი მეორის მოწინააღმდეგე ნაწილებად: ქართულ-კასეთ-სამცხე-იმერეთად და წვრილ სამთავროებად. ამ დროს გარეშე მტერთა შორის მოსდა შეერთებული ტკლილება: სპარსთა მიიღეს განსხვავებული სიტული («შეიტობა») და მტრად გაუსდნენ ოსმალებს («სუნიტებს»). ამ ორ ბანაკთა შორის ასტუდა სან-გრძლივი ბრძოლა იმაზედ, თუ გის უნდა რგებოდა საქართველო. იმერეთი იმყოფებოდა ოსმალეთის გაკლენის ქვეშ, ქართულ-კასეთი—სპარსეთისა. ერთის მხრით ამ გარეშე მტერთა მეოხებით, მეორის მხრით ბუნებრივის (ესე იგი გეოგრაფიული) და ეკონომიურის მიზეზებით საქართველოს ნაწილები სრულიად არ მიისწრაფებოდნენ ერთიერთმეორეს პოლიტიკურის ცენტრისაკენ, ერთ მეფობისაკენ. მართალია, ამისთანა მიდრეკილება სუფევდა, მაგრამ არა ერში, არამედ თითო-ოროლა შორს-მჭვრეტელ პირებში, რომელთაც მოინდომეს ცსოვრების კალაპოტის უტეხ გარდაქმნა და, რასაკვირველია, უნდა დამარცხებულიყვნენ.

ოსნხმობა, ერთობა არ სუფევდა არა თუ სამეფოთა შორის, არამედ თვით ერთსა და იმავე სამეფოშიაც. ამის მკაცრ მაგალითს

---

[18]) ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტით: თამარ მეფის ქმარი გიორგი თავისი ტუშეერის ყოფა-ქცევის გამო განდევნილ იქმნა საქართველოდან. იგი წავიდა სტამბოლს, გამოსთხოვა ჯარი ბერძენთ მეფეს და შემოვიდა საქართველოში თამარის და მისის სამეფოს ძალით დასამორჩილებლად. მაშინ თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო: იმერეთი, სვანეთი, ქლარჯეთი, სამეგრელო, ტაოსკარი და სხვ. გადაუდგა თამარს და მიემხრო გიორგის. იხ. Исторія Грузіи Баратова IV—V тетр. 65 გვ.).

[19]) მიუხედავად ამისა ღვაწლი დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა დაუფასებელია საქართველოს წინაშე, პირველად ამათ დასთესეს თესლი ქართველთა ერთობისა...

ტკიჩვენებს იმერეთი XVIII საუკ. გასულს და XIX საუკ. პირველ მეოთხედში [20]). სოლომას მე-II-ის საშინაო პოლიტიკა იყო მიმართული სელ-ქვეით მთავრების ასაღგმაკად და სამეფოს სრულიად გასაერთიანებლად. «იცნა რა მანუჩარმან (ოდიშის მთავარი, მეფის მიერ პირველად დამტკიცებული და შემდეგ უარ-ყოფილი) კიდრე მეფესა არა სწადს არა რომელიმე ძეთა დადიანისათა კეთილი, ამისათვის მიავიდა გიორგისთანა (მთავრად ნამოყვანი და დეგნილი მეფის მიერ) ძმისა თვისისა და შეუერთდა მეფეისა საბრძოლველად»—ამბობს თ. ნიკოლოზ დადიანი თავის «ქართლის ცხოვრებაში» [21]). მეფემ მოინდომა პირველად ოდიშის მთავრის დამორჩილება და მისი მართვა-გამგეობის შეზღუდვა. ამის გამო მეფე და მთავარი შეეჯახნენ ერთმანეთს და ამ შეჯახებაში დამარცხებული დარჩა მეფე [22]).

თვით სამთავროებში კი იყო ერთობა? ხშირად მთავრებს ებრძოდნენ ქვეშევრდომი მებატონეები და კიდეკაც სძლევდნენ. ამის მაგალითს ერთ-ორს მოვიყვანთ. «ბერი გელოვანი (ლეჩხუმის მოურავი) დაუტევა ერთ-გულება მეფისა, რათა ქმნას ერთ-გულება დადიანისა, ამისათვის მოუწოდა იგი ლეჩხუმს, წარვიდა დადიანი ნოდიდან და მივიდა თამოკოს (სოფელია სამეგრელოში) და მოსცა თამოკონი ჯოდორია დგებუაძემ» [23]). აქედან ცხადია, რომ მთავრისთვის თავის სელ-ქვეით სოფელში გასაკვლევად მებატონეს ნება-რთვა ყოფილა საჭირო [24]). მე-XVIII საუკ. სამხერეში გაძლიერდა ორი გვარი: აბაშიძე და წერეთელი. იმათ ჯაშენს ციხე «მოდინახს». მეფე ალექსანდრე მე-V-ს არ ეპიტნავა ეს ამბავი. იმან დაჭეატიკა დვითა აბაშიძე და პაპუნა წერეთელი. სიძე-სიმამრი, ორივე მუსთლობით მოჭკლა და უნდოდა იმათი ადგილ-მამულის სელში ჩაგდება. მაგრამ პაპუნა წერეთლის ცოლმა გამოიღო სელი, გამაგრდა «მოდინახს» ციხეში და მეფემ კერა უყო-რა»—ამბობს ბ. გიორგი წერეთელი [25]).

---

[20]) ამ ხანას ვაქცევთ ყურადღებას იმიტომ, რომ ოდნავ მაინც მოვაგონოთ მკითხველს საქართველოს წყობილება თვით-არსებობის უკანასკნელ დროს.

[21]) იხ. «ივერია» 1877 წ. „მასალა ჩვენის ისტორიისათვის."

[22]) ib. ამ დროს განუდგა მეფეს და შეუერთდა დადიანს აფხაზთ მთავარი ქელიშ-ახმედ-ბეგი.

[23]) ib.

[24]) იხ. იქვე, თუ როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს მანუჩარ და გიორგი დადიანები ტახტისათვის.

[25]) იხ. „ოკვალი" № 3, 93 წ.

საზოგადოდ, ლიბის მთის იქითა მსარეს დაუსრულებელი ომები იყო. მეფეთა შორის, ათაბაგთა და მეფეთა შორის, მეფეთა და ერისთავთა შორის. ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველი ეურტელი ქართლის ცხოვრებისა».

აქედან ნათლად სჩანს, რომ არეკ-დარეკა, შუღლი და მტრობა მუდამ არსებობდა ჩირგვლად სამეფოს შუა, მეორედ, სამეფო და ხელ-ქვეით სამთავროებს შორის. მებატონე, მთავარი და მეფე, ეს სამი პოლიტიკური ინსტანცია, დაუტყრომელ ჭიდილში იყვნენ; სოფლად, სამთავრო და სამეფო, ეს სამი ასპარეზი ძალ-მოძრეობისა, განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვნენ ერთმანეთთან. ი რა ნაირ საისტორიო განკითარების დუღილში იყო ქართველთა ცხოვრება! ამრიგად დასრულდა საქართველოს პოლიტიკური თვით-არსებობა! სად არის აქ საერთო პოლიტიკური წყობილება? ისტორიამ ჩვენი ერი დაჭყო და არა შეკერთა, განსეთქილება და ქიშპობა ჩამოაგდო და არა ძმობა და ერთობა. ამ ნაირად ცხოვრების ნიკოიერ საფუძველზედ აგებულ იქმნა შესაფერი პოლიტიკური ყოფა-მდგომარეობა. მსარე ნიკოიერად კარ-ჩაკეტილი და განთვითოებული, პოლიტიკურად განკერძოებული შეიქმნა.

როგორ უნდა გასწორდეს ეს ისტორიის მიერ ნაანდერძევი მდგომარეობა? ჩვენ ვამბობთ—სიძლიერე ერთობაშია, ისტორიამ კი ეს ერთობა სულიდან გაძოგვაცალა; ჩვენ ვამბობთ—სალხმა უნდა შეიმუშავოს ერთი ეროვნული „მე“, ცნობიერებით გაშუქებული, ისტორიამ კი ჩვენი ეროვნული „მე“ დაასურდავა, დაწყვიტლმანა. რანაირად უნდა გაისნას ეს კვანძი? ნუ თუ ხსნა არსად არის? ნუ თუ საქართველოს შეკნებულად გაერთიანება შეუძლებელია? თუ კი მთელი ჩვენი ისტორია მიმართული იყო ქართველობის დაცვა-კეკვბისაკენ, რა სასწაულით უნდა მოხდეს დღეს ეს სასურველი ერთობა? ნუ თუ ისტორიული მოძრაობა არავითარ კანონს განკითარებისას არ ეკვემდებარება?

ისტორიულმა განვითარებამ ერს ორი წინადადება დაუდვა, ორიეკ აუცილებელი და ასე თუ ისე გადასაწყვეტი, ორიეკ ერთი

მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი: ან საკუთარის ძალ-ღონით უნდა დაერღვია ძველი დასავლეთული წეს-წყობილება, შეემუშავებინა ერთი პოლიტიკური ცენტრი და მით გაეძლიერებია ეროვნული ცხოვრება, ან სხვა უფრო ძლევარი ერისათვის მიემართნა შემწეობისათვის და ეთხოვა მფარველობა, ამით თავის ბედ-იღბალი სხვის ხელში ჩაეგდო და ეროვნობაც განსაცდელს მისცემოდა. ამ ორ დედა-აზრს ერთი რამ აქვთ საერთო, ორივეს მსურველად ფეოდალიზმი უნდა გამხდარიყო, ორივეს უნდა მოეხსნა ერის დანაწილება. მხოლოდ ეს ორი ძალა ამ მიზანს სხვა-და-სხვა სახირად აღწევენ.

მე-XVI—XVIII საუკუნეები წარმოადგენენ იმ სანას, როცა ევროპაში ერთის მხრით კითარდება შრომა, ძლიერდება ალებ-მიცემობა და კაცრობა, მეორეს მხრით, ირღვევა და ილეწება ძველი მობერებული პოლიტიკური ფორმა (ფეოდალიზმი). აი ასე მიმდინარეობს ისტორიული მსვლელობა, როცა ის ბუნებრივ დუღილზედ და ზრდაზედ არის დამყარებული. ჩვენში კი ესეც გარემოება ჯეუღმა დატრიალდა. ავსსნათ.

ფეოდალურ წყობილებამ ისე დასცა და დაარღვია ქართველობა, რომ მისი გამგეობა ბოლოს შეუძლებელი გახდა. მე-XVIII საუკუნის გასულს და მე-XIX საუკ. დასაწყისში შემოკარდა ჩვენს ცხოვრებაში გარეშე საპოლიტიკო ძალა და სჯეტხოვო სისწრაფით ასრულა თავისი დანიშნულება: ფეოდალები ალაგმა, ურჩნი დაიმორჩილა, ერთი მთავრობა დაამყარა და სხვა ამისთანები, ისეთი სიადგილით და შეუშფოთველად, თითქო აქ არა მომხდარა-რაო. ისეთის საკვირველის სიწყნარით და სამარისებურის სიხუმით გასძვრა ერს ეს პოლიტიკური ქერქი, თითქოს ერთი ხორც-მეტი ძოიჭრა და გადაისროლაო. ცხადია, ერი ვერ მისდა — რას იძენდა და რას ჰკარგავდა. რატომ? ამიტომ რომ ზეკით, პოლიტიკაში, მოსდა ისეთი ტკლიკება, რომელსაც არავითარი ჩვეთიერი საფუძველი არ ჰქონდა მომზადებული ქვეით ცხოვრებაში. სალხის გული ზღვაა, სადაც ს

ბისა და ქალაქებისა სუფევედა. ის, რაც ქვეყიდან უნდა დაწყებულიყო, დაიწყო ზეკითა პოლიტიკურ სფერაში. ასალი, უცხო ფორმა ვერ მიადგა ძველ შინაარსს და აი აქ ტუდება ჩვენი ცხოვრება, აქ ვაკეთებთ ისტორიულ ნასტრომს და ბუნებრივი, თავისებური ზრდის მაგიერად ჩვენ ვკითარდებით უნიადაგოდ, უთავ-ბოლოდ, უწეს-რიგოდ. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უნდა შერეულიყო ერის ეკონომური მდგომარეობა, მოქალაქეობამ დაეპირა ეესზედ დადგომა, მაგრამ ამისათვის საჭიროა გარსაკუთრებითი მეცარველობა, შემწეობა, სელის შეწყობა, ერთის სიტყვით, საკუთარი პოლიტიკური ძალა. ჩვენი უსუსური ვაჭრობა, აშკარაა, ვერ გაუძლებდა ამ ნიადაგზედ მომწიფებულ ერთა ულმობელ კანონს კონკურენციისას. ისტორიამ ერთსელ კიდევ ბაჭკრა თავში ჩვენს სალსს: უკან ჩამოდექ, კუთხეში მიჯექ, ვერა სედავ სხვა მოდისო. ამგვარად ერს აერია გზა-კვალი, ვერ გაიგონა, რა ექმნა, საითკენ წასულიყო, დაუძლურდა და მედგრად წინ-სვლის მაგიერ დაბარბაცდა და წაბორძიკდა. ამ მდგომარეობაში დაჭყო მან ნახევარ საუკუნეზედ მეტი.

უკანასკნელ 20—25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა. შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფეის და რკინის გზების დამარიგისა ფესი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და ადებ-მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რევოლიუციურ ძალად ჩვენის ქვეყნისა. ვაჭარი არ ემყოფილდება ერთი რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიით, იმას ჭსურს ყველგან მისი საქონელი ბატონობდეს, მოტილობას უწევდეს უცხო საქონელს და მეტ ბაზარს იშურობდეს. ამისათვის გაჭყავს გზები მიუკალ ადგილს, მიაქვს თავისი ნაწარმოები გასაჩინდებლად და გამოაქვს სამაგიერო სხვაგან გასაყიდად. ამსაირად, ნიკოიერად აკავშირებს უცნობ ნაწილებს. სოფელი, ქალაქი, მაზრა ეამოდიან ეკონომიურ განკარგულებულ ცხოვრებიდან, ერთ კუთხეში ეჩვევიან ფეფრო სიმინდის მოყვანას, მეორეში—ბურისას, მესამეში—ღვინისას და სხ. (შრომის ამგვარი განაწილება მხოლოდ ასლად დაწყებულია და ისიც არა ყველგან); ამართება საეკონომიო ცენტრები, სადაც შეაქვთ და გამოაქვთ საჭირო საქონელი, ეს იზიდავს სალსს: კაჭარს, ფელოსანს, მუშას. იქვე იკრიბება სხვა-და-სხვა სამმართველო და საზოგა-

დო დაწესებულებანი, იხსნება სკოლები, თავს იყრიან განათლებული და სასწავლი პირნი, ჩნდება გონებრივი ალებ-მიცემობა, ფესს იდგამს მეწარლობა და სხ. და სხ. ამასთანავე მრავლდება ქალაქები, იზრდება დაბა-სოფელი. მთელი საქართველო მიისწრაფება უმთავრეს და წარილ ქალაქებისაკენ. ამით სხვა-და-სხვა კუთხე შეუმჩნეველად უახლოვდება და უკავშირდება ერთმანეთს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ვაჭარი თავალ-უურს ადევნებს ევროპულ ვაჭრობას; ტუობილობს, სად რომელი საქონელია ძვირი, სად რა არის საჭირო; იბარებს დამუშავებულ საქონელს და ჭგზავნის დასამუშავებელ მასალას. ასე გასინჯეთ, სოფლის მეურნეც კი ჩაიუოდია ამ მიმდინარეობამ, ის მოტილეობას უწევს მსოფლიო ბაზარში ევროპის მეურნეს, სიმინდით, ბურით, ღვინით და სხ. ამისათვის იმას ძლიერ ეინტერესება უცხოეთის ამბები, მისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. ერთის სიტუვით, ცხოვრებაში გაჩნდნენ ასალი პირობები და განახლდა თვით ცხოვრება.

ამგვარად, ახალმა ცხოვრებამ დაჭბადა ახალი შოთხოვნილება, წინ წამოაუენა ვაჭრობა და ალებ-მიცემობა, გაართულა და გაამრავალფერა პირველანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიურად დაუერის ნაწილთა შორის, ჩააუენა ქვეუანა მსოფლიო ალებ-მიცემობის კალაპოტში. სუფეელა ამას თან მოსდეკს ხალხის ნიეიერად გაერთიანება და საზოგადო-კულტურობის ცხოვრებაში შესაფერი ადგილის დაკერა. ეი ამ საისტორიო გზას დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზედ. ამით მიეცა შეურეველი საფუძველი ქართველ ეროვნობას. ერი შეება საერთო ულელში, შეეხეა ერთად ცხოვრებას, ერთად მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი ეონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ეელ-საბმელით შებორკილი, ერთი ეაკეთი შეშოეაკეული, ფხიზლდება, საღი ეონებით და მასალი თვალი ახედა.

ნ. ეორდანია

(გაგრძელება იქნება)

სალიტერატურო შენიშვნები

(„კვალის“ კრიტიკოსებს — ბბ. მაზაკვალი და პ. პეტრიძე)

„რისხვით მოგბრუნდა ჩვენზედა ბორბალი ცისა შვიდისა“ — სწორედ ამ ჩვენს ჟურნალს „მოამბეზე“ უნდა იყოს ნათქვამი. რასაკვირველია, კაცთა უნებურად ეგ ბორბალი ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენდა გასათელავად, მიწასთან გასასწორებლად არ დატრიალდებოდა; ჯერ ნახევარი წელიწადი არ შესრულელებულა, რაც ჩვენი ჟურნალი იბეჭდება და „კვალის“ თანამშრომლებმა კი მთელი პუბლიცისტიკა მოამბისა უარჰყვეს, ქვეყანას აუწყეს, რომ რედაქციას გამორკვეული პროგრამა არა აქვსო, წერილების ავტორებმა არც სოციოლოგია იციანო, არც ისტორია, მეცნიერნი არ არიანო, ერთსა და იმავე საგნის შესახებ ჟურნალი სულ სხვა აზრს ქადაგებსო და სხვ. ხოლო სიტყვა-კაზმული ნაწილი პირველის ნომრისა ძალიან გვიქებს: ე. ნინოშვილისა და აკაკი წერეთლის წყალობით ბრწყინავსო. ასე გასინჯეთ, კვალის თანამშრომელნი, ბბ. გ. წერეთელი, გორისელი, მაზაკვალი, პ. პეტრიძე და სხვანი მეცნიერნიც არიან, კრიტიკოსებიც, ისტორიკოსებიც, ამასთანავე ენოვანნი, პრინციპოსანნი, გონება-დამჯდარნი, და სხვები კი უენონი, უაზრონი, უპრინციპონი, კრიტიკოსის ნიჭის არა-მქონებელნი, ისტორიისა და სოციოლოგიის არ-მცოდნენი და სხვანი. როგორც ხედავთ, ამ ვაჟბატონებს თავი ძალიან მოაქვთ და სხვებს კი მიწასთან ასწორებენ. ყოველსავე ამას თუ წრფელის გულით ღაღადებენ და მეცნიერობას და გენიოსობს

თუ კისრულობენ—მათი თავი ღმერთმა შეინახოს. საწყინოდ არც ის მიგვიჩნევია, რომ ქვეყანაში გამოგვაჭენეს და „მოამბის“ პუბლიცისტებში ვერც ერთი ისეთი თვისება ვერ აღმოაჩინეს, ეროვნულობაც აღამიანს ნება-არ უნდა ჰქონდეს კალამი ხელში აიღოს... ვიმეორებთ, აქ საწყენი არა არის-რა; ასე შეუბრალებლად ის რედაქცია გვეპყრობა, რომლის თანამშრომელნი სხვის ძაგებაში არიან, ხოლო ერთმანეთს გუნდრუკს უკმევენ და ფეხქვეშ ფიანდაზად ეგებიან. მაგალითად, ბ-ნი ხომლელი ქვეყანას აუწყებს, რომ გ. წერეთელი წარჩინებული ტალანტის მექონი მწერალია, ნიჭიერი და ფხიზელი მწერალია; სამაგიეროდ იმავე ნომერში (№ 16) რედაქცია აცხადებს, რომ, თუმცა უადგილოდ მიგვაჩნია ჩვენის თანამშრომლის გ. წერეთლის ჩვენსავე გაზეთში ისტორიულად დაფასება... მაგრამ ბ-ნ ხომლელის წერილს იმიტომ ვბეჭდავთ, რომ ბევრს ორიგინალურს აზრებს ქადაგებს, რომელნიც უეჭველად გამოიწვევენ დიდს ბაასს ჩვენს ლიტერატურაშიო. საწყენი არა არის-რა, ასეთმა რედაქციამ რაც უნდა გვიწოდოს, მაგრამ უფლება კი გვაქვს ვიკითხოთ, თუ რა საბუთით არიან აღჭურვილნი კრიტიკოსნი კვალისანი, რომ ასე მედიდურად, უმოწყალოდ და შეუბრალებლად გვეპყრობიან. ამ საბუთებს რომ განვიხილავთ, მაშინ ისიც ცხადი იქნება, თუ რა სამწერლო ზრდილობისა, მართებულობისა და რა გონებრივის ავლა-დიდების პატრონები ბრძანდებიან „კვალის“ თავგასული დედა-ბოძი თანამშრომლები. თუ ასე არ მოვიქეცით და მკითხველს არ ვუჩვენეთ კვალელების სიყალბე და მათი თაღლითი აზრები არ გამოვაქვეყნეთ, შესაძლოა ზოგმა მკითხველმა ირწმუნოს იმათი მრძღვრება, იმიტომ რომ იქნება თვითონ საშუალებას იყოს მოკლებული თვითეულს აზრს გაზეთისას კვალში ჩაუდგეს და საბუთები გაუჩხრიკოს.

წინედა ვთქვით, რომ კვალმა „მოამბის“ პირველის ნომრის სტატიკა-კაზმულ ნაწილს ქება-დიდება შეასხა; ე. ნინოშვილისა და აკაკი წერეთლის ნაწერებით ბრწყინავსო. რასაკვირველია, ჩვენ ამ მწერლებზე აქ არა გვეთქმის-რა; რედაქციამ მათი ნა-

წერები თუ დაბეჭდა, ალბად ამ ორის მწერლის ნაწერებში ღირსება რამ იპოვა. ეხლა ვნახოთ, რა თვალით შეხედა ბ-ნმა მაზაკვალმა ნინოშვილის მოთხრობას — „მოსე მწერალს“. ეს მოთხრობა საუკეთესო სამკაულია ჟურნალ „მოამბისაო“, ბ-ნი ნინოშვილი მემკვიდრე და მოწაფეა იმ რეალურის მიმართულებისა, რომელმაც პირველად თავი იჩინა ჩვენს ლიტერატურაში მესამოცე წლების გასულს, განსაკუთრებით ქართულს ჟურნალს „კრებულშიო“. კარგი და პატიოსანი! ასე იყოს. ეხლა მოვსთხოვოთ ბ-ნს მაზაკვალს საბუთები ამ აზრისა, „დღემდის ყველანი შევტრფოდით ჩვენი სახალხო სკოლების გამრავლებას და ყოველს ამისთანა სკოლის გახსნას ქართული დღიური გაზეთი აღტაცებით ეგებებოდა... რამდენადაც სანატრელი ყოფილა ასეთი სკოლების გამრავლება, ამის პასუხს გვაძლევს ე. ნინოშვილი. ასეთი საოცარი ნაყოფი მოაქვს ჩვენს სახალხო სკოლებს!.. დიაღ, საშუალო და სავალალო სურათს გვიყენებს ე. ნინოშვილი თვალ-წინ ჩვენი დღევანდელი სახალხო სკოლების ნაყოფისას. იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ დღევანდელს სახალხო სკოლას ვნების მეტი სიკეთე არ მოაქვს, თუ რომ მისი პროგრამა ძირიანად არ შეიცვალა. აი, ასეთი აზრი აქვს ე. ნინოშვილის თხზულებას „მოსე მწერალს“-ო. თურმე, ნუ იცყვით, ბ-ნი ნინოშვილი ჩვენ სახალხო სკოლებზე გალაშქრებულა. ასეთის თვალით შეხედა კვალის კრიტიკოსმა ნინოშვილის მოთხრობას, ხოლო ვეჭვ, რომ დამჯერი ბევრი აღმოუჩნდეს. ბ-ნი ნინოშვილი რა აზრისაა ჩვენის სახალხო სკოლების შესახებ, ამას შემდეგში ვნახავთ. ეხლა კი უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხრობა „მოსე მწერალი“ არავითარს საბუთს არ გვაძლევს ბ-ნს ნინოშვილს ის აზრი შევსწამოთ, რომ „დღევანდელს სკოლას ვნების მეტი სიკეთი არ მოაქვს“. „მოსე მწერალში“ სკოლის შესახები ის-ღაა ნათქვამი, რომ მოსე მწერალს სწავლა პირველ დაწყებითს სახალხო სკოლაში დაუმთავრებია, შემდეგ კი, როცა ცხოვრებაში შეუტოპავს, ქვეყნის მძარცველი გამხდარა. ბ-ნ მაზაკვალს აქედან ის გამოჰყავს, რომ მარტოდ-მარტო დღევანდელმა სახალხო სკოლამ შექმნა „პაღლოშგე-

ბის“ მკეთებელი, ხალხის მძარცველი ტიპი, როგორიც მოსე მწერალია. კრიტიკოსს სრულიად არ გახსენებია, რომ დღევანდელი სკოლა, რაც უნდა არა სანატრელი პროგრამა ჰქონდეს, „პოდლოგების“ კეთებას და ძარცვა-გლეჯას არავის ასწავლის, რომ ხასიათი მოსე მწერლისა სკოლას კი არ დაუწნავს, არამედ მთელს ქსელს ჩვენის სოფლის ცხოვრების გარემოებათა. კრიტიკოსს ეს რომ გახსენებოდა, უეჭველია ამ მხარეს მოთხრობისას ყურადღებას ათხოვებდა და დარწმუნდებოდა, რომ ღირსება ბ-ნ ნინოშვილის მოთხრობისა, დღევანდელის სკოლის უარყოფა კი არ არის, არამედ სულ სხვა რამეა. კრიტიკოსი სცნობდა, რომ თავი და თავი ღირსება ნინოშვილის მოთხრობისა ის არის, რომ ავტორს შესაფერის ხელოვნებით გარკვეული აქვს—რა და რა გარემოება სოფლის ცხოვრებისა შეზავებულა და ერთმანეთთან შეწყობილა მოსე მწერლის ტიპის შესაქნელად. „მოსე იყო სოფლის სკოლაში ნასწავლი გლეხ-კაცის შვილი, მამა-მისს, როგორც ღარიბს გლეხს, არ შეეძლო მიეცა საშუალება თავის შვილისათვის, რომ მას სოფლის სკოლის შემდეგაც განეგრძო სწავლა“-ო. როგორც ჰხედავთ, სოფლის სკოლას მოსე მწერლის წინაშე იმის მეტი დანაშაულობა არა ზიუძღვის-რა, რომ წერა-კითხვა ასწავლა. თუ რა ზედმოქმედება აქვს სკოლას მოზარდ თაობაზე, ამის შესახებ ბ-ნი ნინოშვილი, რაც ახლა ამოვწერეთ, მეტს არაფერს გვეუბნება. პირიქით, შესაძლოა ვიფიქროთ, მოსეს მამა ცოტა უფრო ღონიერი გლეხი რომ ყოფილიყო, იქნება „საშუალება მიეცა თავის შვილისათვის სოფლის სკოლის შემდეგაც სწავლა განეგრძო“, და ეს რომ ასე მამხდარიყო, შესაძლოა მოსე მწერლის მაგიერ სპირიდონ მცირიშვილი შეექმნა ცხოვრებას, ის სპირიდონი, რომელმაც, როგორც ბ-ნი ე. ნინოშვილი „კვალშივე“ მოგვითხრობს (№ 6, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“), ჯერ სოფლის სკოლაში დაამთავრა სწავლა, მერმე ქალაქის სკოლაში და შემდეგ სემინარიაშიც; იქნება ის სოფლის მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი დამდგარიყო, რომელიც „არა სჯერდებოდა მხოლოდ ფორმალურად ბავშვების სწავლებას“,

„ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღწოდა მათი წარმატებისათვის“... რომლის „მოღვაწეობამ ისე წაახალისა ხალხი, რომ თავისი სურვილით ააშენეს სკოლისათვის საკმაოდ კარგი სახლი“; რომელიც იმასაც ცდილობდა, „რომ როგორმე ბიბლიოთეკა დაეარსებინა სკოლისათვის“; იქნება ის „პირიდონი“ დამდგარიყო, რომელიც, სადაც საჭირო იყო, ცდილობდა დღევანდელის სკოლის პროგრამის ნაკლი შეევსო და გაესწორებინა; ან და იქნება მოსე მწერლის მაგიერ ის მათე მასწავლებელი დამდგარიყო, რომელიც „მოკლე დროში აარსებს სკოლასთან პატარა ბიბლიოთეკას, აშენებს ბალ-ბოსტანსა, დიდს ღვაწლს სდებს თვით ღვინეთის მკვიდრთაც, მათი გზის მაჩვენებელია, გაჭირვებისგან გამომხსნელი, მოსარჩლე და სხვ.,“ ის მათე მასწავლებელი, რომელმაც, ბ-ნ თ. ხუსკივაძეს თუ ვერწმუნეთ (მოთხრობა „მწარე ხვედრი“), ერთის გაკვეთილის განმავლობაში ყოველი ცრუ-მორწმუნოება ამოკვეთა ყმაწვილების გრძნობა-გონებიდან; ის მათე მასწავლებელი, რომელიც, ბ-ნ ზღვის-პირელის სიტყვით (კვალი № 4), ხუსკივაძის მიერ „რაც უნდა მჭრალად იყოს დასურათებული, ჩვენი ცხოვრებიდამ მაინც არის აყვანილი“.

ეს ორი მოთხრობა—ერთი ნინოშვილისა და მეორე ხუსკივაძისა ამიტომ გავიხსენიეთ, რომ არც ერთი და არც მეორე სრულიად არ უარჰყოფს დღევანდელ სკოლას და ერთიცა და მეორეც იმ აზრისაა, რომ ეგეთი სკოლაც ფრიად სასარგებლო იქნება, თუ რომ კარგი გამძღოლი ეყოლება, რომ ჩვენ დღეს ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ არავითარი უფლება არა გვაქვს „კვალის“ რედაქციას დავერწმუნოთ და ვთქვათ, „დღევანდელს სკოლას ვნების მეტი სიკეთე არ მოაქვს, თუ რომ მისი პროგრამა ძირიანად არ შეიცვალა.“ კვალის რედაქციის მხრით საკვირველი ისაა, რომ თვითონვე ბეჭდავს ნინოშვილის მოთხრობას „ჩვენი ცხოვრების რაინდი“, და ბატონ ხუსკივაძეს თავზე ხელს უსვამს, იმ ორ მწერალს, რომელნიც, როგორც ზემოდა ვნახეთ, სრულიადაც იმ აზრისანი არ არიან, „რომ დღევანდელს სოფლის სკოლას ვნების მეტი სიკეთე არ

მოაქვს". მაშ ბ-ნმა მაზაკვალმა იმავე ნომერში, რომელშიაც ბ-ნ ნინოშვილის მოთხრობის მე-II თავია დაბეჭდილი, საცა სპირიდონ მკირიშვილი ჰყავს დასურათებული, ბ-ნ ნინოშვილს თავზე ის აზრი რად მოახვია, რომელიც ამ ბელლეტრისტს გულშიაც არ გაუტარებია? ნუ თუ ბ-ნს მაზაკვალს თვითონვე სწამს, რასაც სკოლის შესახებ ლაპარაკობს? იქნება ასეც იყოს, ხოლო შესაძლოა ისიც ვიფიქროთ, რომ განზრახვა ჰქონდა ქართულს გაზეთს ყელში სწდომოდა, რომელიც, „კვალისავე" მოწმობით, „სკოლების გამართვას აღტაცებით ეგებებოდა და იმას კი არ დაგიდევდა—ეს ლამპარი ხალხის გონების წყვდიადში მართლა ანათებდა, თუ უფრო სიბნელეს აშუქებდა" („კვალი" № 6). იქნება მკითხველმა იკითხოს, ყელში წვდომა ქართულის გაზეთისა „კვალის" რედაქციას რად ესაჭიროებაო? ალბად იმიტომ, რომ ქვეყანა დააჯეროს—ერთად-ერთი მოსარჩლე ქვეყნის ინტერესებისა, ერთად-ერთი ერთგული გამძღოლი ქვეყნის ავისა და კარგისა „კვალია" და სხვები კი მუხანათ ბ-ნ-ნ.

ვთქვათ, ბ-ნს მაზაკვალს თვითონაც სჯერა, რასაც დღევანდელის სკოლის შესახებ ლაპარაკობს; ვთქვათ მოსე მწერალი ნინოშვილისა სავსებით დღევანდელის სკოლის ნაყოფია და ამიტომ ეს სკოლა ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას; ვთქვათ—ბ-ნი ნინოშვილი „ყურში ხელს ჰკიდებს ასეთი სკოლის ნაყოფს, მოსე მწერალს, და გვეუბნება, აი, იხილეთ თქვენი ქებული სახალხო სკოლის ნაყოფი და დატკბითო". დავიჯეროთ, რომ დღევანდელი სკოლა, სხვათა შორის, მოსე მწერლებსაც ჰქმნის. აქედან მაზაკვალივით იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ დღევანდელი სკოლა ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხრათ. აბა ვნახოთ, ამ ლოგიკამ ბ-ნ მაზაკვალისამ სად უნდა მიგვიყვანოს. ამ კრიტიკოსის ლოგიკით რომ ვიაროთ, რაიცა ღმერთმან გვაშოროს ჩვენცა და ყველა მოკეთეს ქვეყნისას, იმ აზრამდე უნდა მივიდეთ, რომ დღევანდელი უნივერსიტეტებიც უნდა აღვგავოთ, ამიტომ რომ რამდენი უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული კაცები მოიპოვებიან, რომლებიც ხალხსა ძარცვენ და ყვლეფენ; ვინ მოსთვლის რამდენი

ადვოკატია, რომლებსაც მეცნიერება დაუვიწყნიათ და კანონის „აბრუნდ-ჩაბრუნდის“ მეტი არა ახსოვთ-რა. განა, ბ-ნო მაზაკვალო, ამ მიზეზით უნივერსიტეტი უნდა მოისპოს? დედა-მიწის ზურგზე რამდენი რედაქცია და მწერალია, რომლებიც მწერლობას კი არ ემსახურებიან, არამედ მაღალ-მაღალ ფრაზებით აღჭურვილან და სამსახურით კი ქვენან-გრძნობათა ემსახურებიან. განა ისეთი რედაქციები და მწერლები იშვიათნი არიან, რომლებიც სხვა-და-სხვა ძლიერს ამა სოფლისას, თუ სხვა-და-სხვა დაწესებულებას ფეხ ქვეშ ეგებიან, სვინიდისს ჭღალატობენ, ოღონდ ამ დაწესებულებამ რედაქციასა თუ მწერალს ნივთიერი საშუალება შესძინოს. ამის მაგალითი ბევრია ევროპისა და რუსეთის მწერლობის ისტორიაში; ეს „კვალის“ რედაქციამაც კარგად უწყის და იქნება ჩვენშიც იყოს და თუ, ვინიცობაა, „კვალის“ რედაქცია არ გვერწმუნება, თავისს თანამშრომელს ბ-ნ გ. წერეთელს ჰკითხოს, რომლის რეალური მიმართულება, როგორც ბ-ნი ხომლელი ჰმოწმობს („კვალი“ №16), უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი საზღვარ გარედ გაემგზავრა და რომელმაც, იმავე ხომლელის მოწმობით, „ისე დაახლოვებით გაიცნო ყოველი კუთხე დასავლეთის საქართველოისა, ისე ზედ-მიწევნით შეისწავლა იგი, რომ... ამ მხრით არა ჰყავს ბადალი არცერთს ჩვენს მწერალთა შორის“. მაშ ბ-ნ მაზაკვალის ლოღიკით რომ ეიარ-ოთ, რაკი სხვა-და-სხვა მწერლობაში ქვენან-გრძნობათა მოსარჩლე რედაქციები და მწერლები იპოვებიან, მთელი მწერლობა უნდა მოისპოს, განა? არა, შორს ჩვენგან ამისთანა ლოღიკა, ბ-ნ მაზაკვალისათვის დაგვიღლიცნია.

ასე ეპყრობა ბ-ნი მაზაკალი ლოღიკას და „კვალისავე“ თანამშრომელს ბელლეტრისტს; ეხლა კი ვნახოთ—რა ყოფა დააწია „მოამბის“ მექრონიკეებს. შინაურს ქრონიკაში, („მოამბე“, № 1) ნათქვამი იყო, რომ ამ ორი, სამიოდე წლის განმავლობაში ჩვენში რამდენიმე შემთხვევა იყო „ფოსტაზე და რკინის გზის მატარებელზე თავდასხმისა“ და რომ ამ გარემოებამ „მეტის-მეტად ააშფოთა მთავრობა, საზოგადოება და მწერლო-

ბა“, რომ „ამ ავაზაკობის ჩამდენნი ჩვენს თავად-აზნაურობას ეკუთვნიან, იმ წოდებას, რომელიც ღირსეულად უნდა ატარებდეს დროშას კეთილშობილებისას“ და სხვ. და სხვ. ნათქვამი იყო, რომ ამ ავაზაკობის ჩამდენნი „არც იმას დაგვიდევენ, რომ მთავრობამ, იმათის საქციელით შეძრწუნებულმა, ახალი დროებითი კანონი შემოიღო, რომლის ძალითაც ზემოდ მოხსენებულის ავაზაკობის ჩამდენნი სამხედრო კანონით უნდა გაასამართლონ ხოლმე, იმ სამართლით, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში მოქმედებს, როცა ერსა და ქვეყანას სახელი გაუცრუვდება და პატივი აეყრება“. აი დედა აზრი შინაურის ქრონიკისა. როგორც ხედავთ, აქ ახალიც არა იყო-რა და არც საწყენი. ხოლო ყოველივე ესე ბ-ნს მაზაკვალს სწყენია და ამიტომ ზევსისებრ ჰქუხს და ჰჭექს. „როცა ვინმე ასეთს საზოგადოებრივ პატოლოგიურ მოვლინების განხილვას შეეხება, მეცნიერულად ბრძანებს ბ-ნი მაზაკვალი, იმან ყველაზე უწინ ცალმხრით კი არ უნდა ილაპარაკოს, როგორც ზოგიერთ ალმაფრენის პუბლიცისტებს სჩვევიათ სხვა-და-სხვა კერძო მიზნების მისაღწევად ლაპარაკი: ესა და ეს დანაშაულობა ამ კაცმა იმიტომ ჩაიდინაო, რომ ავაზაკური ტომის მოდგმაა“. ჯერ ისა ბრძანეთ, ბ-ნო მაზაკვალო, ეს ალმაფრენის პუბლიცისტები ვინა ბრმანდებიან და გაქვთ თუ არა რაიმე საბუთი მოამბის მექრონიკე ამ პუბლიცისტების დასში შერიცხოთ? რას ნიშნავს, რომ ვიღასაც ყურში ჩასჩურჩულებთ: თქვენზე იმას ამბობენ, ვითომ ავაზაკურის ტომისა ხართო? ჩვენს მექრონიკეს ავაზაკური გვარტომობა არავისათვის არ შეუწამებია. პირიქით, იგი ამბობდა (გვერ. 114): „მართალია, ამ შემაძრწუნებელ ამბების ჩამდენნი რამდენიმე თავზე ხელ-აღებული ახალგაზდაა, და ამიტომ უფლება არა გვაქვს მათი საქციელი მთელს საზოგადოებას, წოდებას თავზე მოვახვიოთ და პასუხი ვაგებინოთ. ასე ვფიქრობთ ჩვენა, ხოლო სულ სხვაფრივ სჯიან ისინი, ვისაც ჩვენს ავსა და კარგზე თვალ-ყური უჭერიათ და ჩვენს ცხოვრებას განაგებენ, ვინც გზას გვითელავს და წინ მიგვიძღვის“.

ი მეორე ნიმუში ბ-ნ მაზაკვალის ვეთილ-სვინიდისიერებისა. „მოამბის“ მექრონიკე ამბობდა, რომ იმ შეძრწუნებელ „ავაზაკობის ჩამდენნი ჩვენს თავად-აზნაურობას ეკუთვნიანო“. ბ-ნი მაზაკვალი კი გვარწმუნებს: „მობძანდით ქუთაისის და ტფილისის სატუსალოებში, ან გადაათვალიერეთ ბრალდებითი ოქმები სასამართლოებში და თქვენ დარწმუნდებით, რომ ერთს კეთილშობილზე ათი და ოცი ბრალდებული ავაზაკობაში, ან სხვა ბოროტ-მოქმედებაში, გლეხთაგანიაო“. ამ ჟამად ჩვენ ხელთ არა გვაქვს სასტატისტიკო ცნობანი. იქნება სატუსალოებში ერთს კეთილშობილზე ათი და ოცი ავაზაკი გლეხი იპოვებოდეს; ხოლო ბ-ნს მაზაკვალს მეტი კეთილ-სვინიდისიერება რომ გამოეჩინა, უნდა ეთქვა, — რომელი წოდება რამდენს პროცენტს ავაზაკისას იძლევა. უამისოდ ბ-ნს მაზაკვალს ვერ ვერწმუნებით: იმას კი ვიტყვით, რომ ეგეთი ტერხი ბაასის საგნის შეცვლისა უმართებულო და ყოვლად სამრანისია. ჩვენი მეხრონიკე ამბობდა, რომ რამდენმამე თავზე ხელ-აღებულმა ახალგაზრდამ თავიანთის ავაზაკურის მოქმედებით მთავრობა, საზოგადოება და მწერლობა შეაძრწუნაო, ბ-ნი მაზაკვალი კი ბრძანებს: „როცა ასეთს კელევას (ავაზაკობის მიზეზისას) შეუდგება მეცნიერი, იმან ყველაზე პირველად მხედველობაში უნდა იქონიოს შემდეგი გარემოება: რა შეხედულობისა არის საზოგადოებრივსა და კერძო ქონებაზე ერი, რომლის მოქმედებასაც განიხილავს მკვლევარი, რა მიაჩნია პირველ საკუთრებად და რა საქვეყნო საკუთრებათ იმ ერს, რომლის საზოდანაც გამოსულა მცარცველი და მტაცებელი“. შემდეგ მეცნიერი მაზაკვალი მოგვითხრობს — მთელს გურიასა და ქობულეთში ათისა თუ თორმეტის ვერსის მანძილზე სოფლელებს ტუდაბურს ტყეში შენახული აქვთ სიმინდით სავსე ნალიები, მაგრამ არავინ ხელს არ ახლებს — ერთი ტაროც არ დაიკარგებაო. სამგიეროდ, უცხო ვინმემ თუ ჩაიარა, ან ფოსტა გაატარეს, ფრანალები უსათუოდ გაძარცვავენ და კაცსაც მოჰკლავენო. ბ-ნი მაზაკვალი ამაზეც არა სჯერდება და ერთს ისტორიულს ამბავს მოგვითხრობს: „შეთვრამეტე საუკუნეში კახეთში მთავრობდა მაჰმად-ყული-ხანი;

თუმცა კახეთის ბატონიშვილი იყო, მაგრამ მაჰმადიანი და ღვ-
ყენებული სპარსეთის მეფისაგან. ერევნიდან წამოღებულს ამის
ხაზინას კახელები დაეცნენ და გაცარცვეს. „მოამბის“ მექრო-
ნიკეს აზრით, დიდი უზნეობა უნდა ყოფილიყო მთელის ხაზი-
ნის გაცარცვაო და საქვეყნო ქონების წაღებაო, მაგრამ კახელ
მებატონეებმა, რომელთაც თავი ქონდათ შეწირული სამშობ-
ლოს ერთგულებისათვის, დიდ ქველ-მოქმედებათ ჩათვალეს ეს
საქმეო“.

აი, სწორედ მეცნიერულის კვლევის პროგრამა, რომლი-
თაც კვალის რედაქცია ხელმძღვანელობს და ცდილობს სხვა-
საც გაუზიაროს.

არა, ბ-ნო მაზაკვალო, რაც უნდა მიზეზი უპოვოთ ამა თუ იმ
ავაზაკობას, რაც უნდა საჩრელი დაატანოთ, ამ მიხეზის კვლე-
ვაში ისეთს ისტორიკოს-არხეოლოგოსიც რომ მიიშველიოთ,
როგორიც „კვალის“ თანამშრომელი, ბ-ნი გ. წერეთელი ბრძა-
ნდება, იმას მაინც ვერ დაგვიმტკიცებთ, ვითომ ჩვენი ერი და-
ნაშაულებად არა სთვლიდეს უცხო მგზავრის მოკვლას, ფი-
ტაზე თუ რკინის გზის მატარებელზე თავდასხმას, იმ ავაზაკურს
მოქმედებას, რომელმაც მთავრობა აიძულა დროებით სამხედრო
კანონი შემოეღო.

უმახლობელესი მიზეზი იმისა, რომ ზოგი ყმაწვილი თავა-
დი თუ აზნაური ყოვლად არ შესაწყნარებელს ავაზაკობას
სჩადიან, ჩვენ მექრონიკეს დიალაც აღნიშნული ჰქონდა. მე-115
გვერდზე ნათქვამია, რომ „თუ სხვის ავლა-დიდებაზე თვალი
უჭერიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისას არა სჯერდებიან და თუ
მამა-პაპის მონაგარს ელევიან, იმიტომ რომ შრომისა და გარჯის
უნარი არ მოსდევთ; თუ სილარიბეს უჩივიან, მხოლოდ იმიტომ,
რომ მოთხოვნილებისა და ქონების აწონ-დაწონვა, შეთანხმება,
ერთი მეორის შეფერებაჲ არ ძალუძთ.“ ამ მიზეზებს ბ-ნი მაზა-
კვალი არა სჯერდება; რასაკვირველია, ამ მიზეზებს თავიანთი
მიზეზები აქვს, ამათ კიდევ თავიანთი და მაზაკვალის პროგრა-
მა რომ სახელმძღვანელოდ გაეხადა ჩვენს მექრონიკეს, მიზეზ-
თა მიზეზის ძიებას უნდა შესდგომოდა. ან რა სავალდებულო იყო

მექრნიკესათვის ისტორიული კვლევა ეკისრნა ამა თუ იმ დანაშაულობის მიზეზისა. რა საჭირო იყო მიზეზთა მიზეზის ძიება იმისთანა ახალგაზდა კაცის საქციელისა, როგორც, მაგალითად, აზნაური ტარიელ მკლავაძეა, გმირი ბ-ნ ნინოშვილის მოთხრობისა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რომელიც „კვალშივეა“ დაბეჭდილი. ტარიელ მკლავაძე, როგორც ავტორი მოგვითხრობს, ორ საგანში ჰპოებდა სიტკბოებას: „ქალებში და ღვინოში... ეტრფიალებოდა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსნის იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია ტარიელმა კაცს თავი მათრახით გადუფრიწა, კაცი კაცსა შემოსტყორცნა... თავი სვეტსა შევატაკეო.“ მართლაც, ტარიელ მკლავაძემ ერთხელ, როცა ქეიფის დროს ჩხუბი მოუვიდა, „ერთი მომცრო კაცი შემოსტყორცნა მოწინააღმდეგეს, მომცრო კაცს მიწაზე დაცემის დროს კისერი ეღრძო და ტარიელს საჩივარი დაუწყო.“ ერთხელ კიდევ „ცხენზე მჯდომარმა ტარიელმა თავისი მსხვილი მათრახი დაჰკრა ყმაწვილს და თავი მართლაც რომ გადაეფრიწა“... „ტარიელმა ძალის ხმარება იცოდა იმ მანდილოსნებზე, რომელიც ნებით არ დანებდებოდა... ერთი გლეხის ცოლი ძალად გაიტაცა გზიდან იმ დროს, როცა ყანაში მყოფ ქმართან სადილი მიჰქონდა... მეორეჯერ ახალ ჯვარ-დაწერილ გლეხის ცოლს ძალად შეუმტვრია კარები... მესამეჯერ მეზობელი გლეხი-კაცის ლამაზი ქალი, რომელიც თორმეტის წლის ძლივს იქნებოდა, მოიტაცა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდა სადღაც.“ ამ საქმისაგან თავდასაღწევად ტარიელს დიდი ხარჯი და მეცადინეობა დასჭირდა, მაგრამ არ გასულა ამ საქმის გარჩევის შემდეგ ერთი თვე და „ტარიელ დაუხვდა გზაში ერთს გლეხის ცოლს და ძალად გააუპატიურა. ერთხელ კიდევ ერთი გლეხი იმ ზომამდე მიბეგვა, რომ საბრალო მესამე დღესვე გარდაიცვალა.“ აი ის კეთილ-შობილი ყმაწვილი, რომლის ცოტად თუ ბევრად მსგავსი ჩვენს კეთილ-შობილ ახალგაზდობაში საკმაოდ მოიპოვება და ცხადია, რომ ჩვენს ბელლეტრისტს იმათის ტიპის შექმნა მოუწადინებია. რასაკვირველია, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს; ტარიელისთანა ახალგაზდას სხვა-და-სხვა დანაშაულობის-

გან თავ-დაღწევაში მთელი დედულ-მამული გამოეცლება ხელიდან და, რადგან „შრომისა და გარჯის უნარი არმ ოსდევს, რადგან არაფრის ცოდნა არა აქვს და მკლავის მეტი არა შესწევს-რა“, ამიტომ, თუმცა, ნინოშვილის მოწმობით, სისხლი არ უყვარს, იძულებული გახდება გზაზე შემთხვევით შეფეთებული უცხოელიც მოჰკლას და თავისიანიც, ფოსტას თავზე დაესხას და რკინის გზის მატარებელსაც. ახლა, ბ-ნო მაზაკვალო, ბრძანეთ, როგორ უყურებს ჩვენი ერი ტარიელისთანა ახალგაზდებისგან ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას, ავაზაკობას? რა მაინცა და მაინც საჭიროა იმათი საქციელის მიზეზთა მიზეზის ძიება? ან რა მოსატანი იყო მაჰმად-ყული-ხანის ამბავი? ან ერთმანეთთან რა შესადარებელნი არიან ტარიელისთანა ახალგაზდები და მეთვრამეტე საუკუნის კახელი თავად-აზნაურობა, რომლებსაც სპარსეთიდან მომავალი ხაზინა გაძარცვეს? გესმისთ თუ არა, რა გრძნობითა და აზრით არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტარიელები და, სხვათა შორის, რაა იმის მიზეზი, რომ დედულ-მამული ხელიდან ეცლებათ?

მაზაკვალის ნაწერის შესახებ კიდევ ორი სიტყვა. „მოაბის“ მექრონიკეს მკითხველთან საუბარი ჰქონდა გამართული იმ ახალგაზდების შესახებ, რომელნიც ავაზაკობას სჩადიან. ბ-ნი მაზაკვალი უმოძღვრებს რა მექრონიკეს თავისებურს პროგრამას ავაზაკობის მიზეზის ძიებისას, კითხულობს: „ნუ თუ მექრონიკემ არ იცის, რომ მრავალია ჩვენში მაღალ სასწავლებელში კურს-დასრულებულებიც,—ყოველს საქმეში კარგი განვითარებული კაცებიც? თუნდ ათობით მიგითითებთ ჩვენს ახალგაზდობაზე, რომელთ შორის უნივერსიტეტელიც ბევრია, ინჟენერიც, განვითარებული მუურნეც, დიდი ნიჭის მწერალიც, მაგრამ საქმე ვერ უშოვიათ და არ იციან, ხვალ რა დაემართებათ... დღეს თუ არა, ხვალ რომ ასეთმა მაღალის გონების კაცმა ერთნაირ ავაზაკობასაც რომ მიჰყოს ხელი, რა გასაკვირველი იქნება!.. მაშ რა არის მიზეზი, რომ განათლებულს, შრომის მოყვარე ქართველს თავის ქვეყანაში თავის შესაფერი საქმე ვერ უშოვია? უეჭველია, აქ სულ სხვა, გარეშე მავნე გარემოება მოქმედებს და არა

ის, რომელზედაც გვითითებს მექრონიკე და გზა და კვალს გვიბნევს“... ესეც ნიმუში ბ-ნ მაზაკვალის კეთილ-სეინიდისიერებისა! სად და როდის რა სთქვა ჩვენმა მექრონიკემ განათლებულ ქართველების შესახებ? როდის გაუთანაბრა განათლებული ქართველები ავაზაკებს და სადა სთქვა,—განათლებულს ქართველებს სხვის ქონებაზე თვალი იმიტომ უჭერიათ, რომ შრომისა და გბრჯის უნარი არ მოსდევთო? არა, ბ-ნო მაზაკვალო! გზასა და კვალს თქვენვე უმრუდებთ და უბნევთ მკითხველს და არა ჩვენი მექრონიკე.

თავისს ახირებულს ფილოსოფიას ჩვენის მდგომარეობის შესახებ ბ-ნი მაზაკვალი შემდეგის ახირებულის გვირგვინით ამკობს: „უეჭველად აქ ჰხდება მსოფლიო ევოლიუცია, სადაც თვითეული კაცის შრომა, განვითარება, ძალი და ღონე ამაოა, ვერას გახდება. აქ მუნებურს თანდათან უვიწროვდება საზოგადო მოქმედების ასპარეზი, თანდათან ეცლება ფეხ-ქვეშ შრომის ნიადაგი. აქ, ამ ბრძოლაში, ვერც შრომა, ვერც მეცნიერება, ვერც არა სხვა ვერას გვიშველისო“. საბრალო სიტყვავ, ევოლიუციავ, „კვალის“ თანამშრომელს რომ სათრეველად გაუხდიხარ! ჯერ ევოლიუცია და ისიც მსოფლიო. ის რომელი ევოლიუციაა, სადაც თვითეული კაცის შრომა, განვითარება, ძალი და ღონე ამაოა, ვერას გახდება, საცა ვერც შრომა, ვერც მეცნიერება, ვერც არა სხვა ვერას გვიშველის. ისე გამოდის, თითქო სიტყვა ევოლიუციამ ბ-ს მაზაკვალს იმ განზრახვით მიეშველებინოს, რომ მკითხველს თვალი აუხვიოს და ერთბაშად შეგოჭოს მკითხველის გონება. პროგრესიულის თუ რეგრესიულის ევოლიუციის ჩალხის ტრიალში იქნება ადამიანი მოქცეული, ჩვენ ვფიქრობთ, შრომა, მეცნიერება, განვითარება, ძალა და ღონე თუ არ მიიშველია, წყორედ ვერას გახდება და არც ისეთი ერი, საზოგადოება გვეგულება, რომ ბრძოლაში უამათოდ გაიმარჯვოს. ბ-ნი მაზაკვალი კი სულ სხვა აზრისა ბრძანდება. გასაძრომად კი სიტყვა „თითოეული“ უხმარია, ჯოლო იმას კი არ ამბობს, რომ თვითეულმა კაცმა თუ არ იშრომა, ისწა-

ვლა და ძალა და ღონე არ მოიკრიბა, სიტყვა „ერი“ და „საზოგადოება“ ფუჭი იქნება.

როგორც ხედავთ, ბ-ნმა მაზაკვალმა „მოამბის“ შინაური ქრონიკა საკმაოდ ჰგვება, სჩხვლიტა, სჯიჯგნა, სწიწკნა მაგრამ „კვალის“ რედაქცია, როგორც ეტყობა, ამას არ დასჯერდა. რაკი გულში ის აზრი ჩაიდო — მოქნილ და სულ ლუკმა-ლუკმად ნაფლეთ-ნაფლეთად ვაქციოთ ვიღაცა მექრონიკეებია, მეორე თანამშრომელი მიიშველია; საჭურჭლენი საომარნი მაზაკვალს ჩამოართვა და ბ ნს პ. პეტრიძეს დაულოცა: წადი, იერიში მიიტანე „მოამბის“ რედაქციასა და თანამშრომლებზეო. ამანაც, რასაკვირველია, მკლავი მოიმამცურნა და თავისის უებარ კრიტიკის მათრახით მართლა რომ თავზე გადააფრიწა საბრალო „მოამბის“ თანამშრომლებს. თავისის კრიტიკის მსხვერპლად ბ-ნმა პეტრიძემ სარედაქციო წერილი აირჩია, იგივე შინაური ქრონიკა ლ ზედ ბ-ნ ნიკოლაძის წერილები დაურთო (კვალი №№ 16 ლ 17). აიღ ნიბუშები ბ-ნ პეტრიძის კრიტიკისაკენ „მოამბის“ რედაქციის მხრიდ ვფთომდა „პრინციპის აბუჩად აგდებისა“. შინაურს ქრონიკაში ნაფქვამია: „ხელში ისეთი ფარხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი ადგილ-მამული, სამშობლო, შეგვარჩინოს; ეს ფარხმალი, **სხვათა შორის**, სამეურნეო სწავლა ცოდნაა, ურომლოდაც ყოველად შეუძლებელია ქვეყანას **შესაფერი** სიმდიდრე გამოვაღებინოთ, და კეთილდღეობა დავიმკვიდროთ“ (გვ. 119). მკითხველს ვთხოვთ ხაზ-გასმულ სიტყვებს ყურადღება ათხოვოს. ეს სიტყვები მექრონიკესი ამოუწერია ბ-ნ პეტრიძეს და რამდენსამე სტრიქონს შემდეგ ისე გადაუსხვაფერებია, თითქო მექრონიკეს ეთქვას: „ურომლისოდაც (ე. ი. სამეურნეო სწავლა-ცოდნის უქონელობისა გამო) ყოველად შეუძლებელია ქვეყანას სიმდიდრე გამოვაღებინოთ და კეთილ-დღეობა დავიმკვიდროთ“. ხაზ-გასმული სიტყვები „სხვათა შორის“ და „შესაფერი“ რად გამოსტოვეთ და ამ სახით მექრონიკეს აზრი სხვაზე რად გარდაცვალეთ? დაუკვირველობისა გამო მოგვივიდა ეს ამბავი, ბ-ნო პეტრიძე, თუ სხვა მიზეზის გამო? განა ცხადი არ არის, რომ მექრონიკეს აზრით სამეურნეო სწავლა-ცოდნა

ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლებზედაც დამოკიდებულია ქვეყნის წარმატება, სიმდიდრისა და კეთილ-დღეობის ზრდა და მატება; და რომ მექრონიკეს სამეურნეო სწავლა-ცოდნა წარმატების ერთად-ერთ საშუალებად არ მიუჩნევია? მექრონიკეს აზრი რომ მართალი არ არისო, ამას იმავე „მოამბის“ ნომერში ბ-ნი ე. იოსელიანი ჰმოწმობსო, ბრძანებთ თქვენ, ბ-ნო პეტრიძე; ამ სახით სრული აზრთა წინააღმდეგობა სუფევს რედაქციასა და მის თანამშრომლის ბ-ნ იოსელიანის ნაწერებს შორისო. მართალი რომ ვთქვათ, სათქვენო მოწმე ვერ გიშოვიათ. ბ-ნი იოსელიანი სრულიადაც იმას არ ამბობს, ვითომ სამეურნეო სწავლა-ცოდნას არავითარი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებისათვის. პირიქით, იმასა სჩივის, რომ „ქართველი გლეხი გაუნათლებელია... მაგრამ გლეხის ასეთი მდგომარეობა ისე თვით იმას არ ამცირებს, როგორც იმას, რომელსაც შეეძლო შეეტანა მცირეოდენი სწავლის სინათლე მისს ცხოვრებაში და არ შეიტანა კი და არ აღასრულა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობაო“ (№ 1, გვერ. 96). ბ-ნ პეტრიძეს ხელზე დაუხვეია ბ-ნ იოსელიანის წერილის ადგილი, საცა ნათქვამია, რომ დასავლეთ ევროპის მეურნე ქართველ მეურნესთან შედარებით ბევრით უფრო განათლებულია, უკედ აქვს მოწყობილი თავისი მამული,—ხელთ აქვს და, თუ არა აქვს, შეუძლია ადვილად და იაფად მოიპოვოს ყოველივე, რასაც შეუძლია გააუმჯობესოს მისი შრომა, ხელს უწყობს მრავალი საზოგადოება, ამხანაგობა, დაწესებულება, რიგიან სამეურნეო იარაღსა ხმარობს, ლონიერს საქონელს ამუშავებს, დასათესად კარგს თესლსა ხმარობს, მაგრამ იქაური, ევროპიელი, მეურნე თან-და თან ღარიბდება, ვალში ვარდება და იძულებული ხდება თავი დაანებოს მიწას და გადავიდეს ქარხნებში ღღიურ მუშადო. აი აქედგან ბ-ნ პეტრიძეს ის აზრი დაუსკვნია, ვითომ ბ-ნი იოსელიანი უარჰყოფს სამეურნეო სწავლა-ცოდნას, ვითარცა ძლიერს ფაკტორს ეკონომიურის წარმატებისას. სრულიადაც არა. იოსელიანის სიტყვებს სულ სხვა აზრი აქვს—ისა, რომ თუ პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობა

ერთმანეთთან შესაფერად, ჰარმონიულად შეზავებული და შეწყობილი არ არის, ერთი რომელიმე ფაქტორი, რაც უნდა ძლიერი იყოს, შესაფერს ნაყოფს ვერ გამოიღებს. როგორც ხედავთ, ამ აზრსა და იმას, რომელიც პეტრიძემ იოსელიანს შესწამა, შუა უდევს დიდი ზღვარი.

ბ-ნს პეტრიძეს მოსჩვენებია, ვითომ, მექრონიკეს აზრით, ქართველი ერი მერმისშიაც მხოლოდ ხვნა-თესვას უნდა მისდევდეს და სხვას არაფერს. მოსჩვენებიაო იმიტომ ვამბობთ, რომ ქრონიკის მეორე ნაწილში სიამოვნებით ალნიშნულია შავის ქვის მწარმოებელის ამხანაგობის დაარსებაზ, სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამართვა, სახელოსნო სწავლა-კოდნის საჭიროება, ქართველთა სავაჭრო ამხანაგობის გამართვა და სხვ. (№ 1, გვ. 124, 125). დიალაც მოსჩვენებია, რაკი გაიძახის, ვითომ მექრონიკე „მეორე ალაგას სულ სხვას გვეუბნება: ჩვენის ბედის, ჩვენის მომავალის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველი ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (აღებ-მიცემობაში) გამოიჩენს თავსო“. ეგეთი ტალ-კერძი აზრი არც მექრონიკეს წარმოსცდენია და არც სხვა რომელსამე თანამშრომელს „მოამბისას“. სარედაქციო წერილში („მოამბის პროგრამის გამო“) აი რა არის ნათქვამი: „უნდა ვეცადოთ, შევიარაღდეთ აწინდელის სწავლა-ცოდნით და ეგრე... შევუდგეთ შრომას, რომლის წყალობით მხოლოდ გვექნება ადგილი აწინდელს ბრძოლის ველზე, ესე იგი, **ეკონომიურ ურთიერთობის სარბიელზე.** ჩვენის ბედის, ჩვენის მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე გამოიჩენს თავს“, ესე იგი, ეკონომიური ურთიერთობის სარბიელზე. და არა მარტო აღებ-მიცემობაში. სჩანს, ბ-ნ პეტრიძეს არ გახსენებია, რომ ეკონომიური ურთიერთობა უფრო ვრცელი შემეცნებაა, ვინემ აღებ-მიცემობა, რომ ეკონომიური ურთიერთობა შეიცავს მიწად-მოქმედებას, მრეწველობას, ხელოსნობას, ვაჭრობას და სხვა და სხვა და არა მარტო აღებ-მიცემობას. აი, სწორედ ეს აზრი აქვს საძირკვლად შინაურ ქრონიკასაც და სარედაქციო წერილსაც, სახელდობრ

ისა, რომ თუ გვინდა ბედნიერი მერმისი დავიმკიდროთ და დროთა-ვითარებას თავი არ გავათელვინოთ, ეკონომიურის ურთიერთობის საბიელზე უნდა გამოვიდეთ საჭირო სწავლა-ცოდნითა და შრომის უნარით აღჭურვილნი. ბ-ნს პეტრიძეს კი შინაურის ქრონიკიდან ის ადგილი აღმოუჩენია, საცა ნათქვამია — სხვათა შორის საჭიურნეო სწავლა-ცოდნით, უნდა აღვიჭურვოთ, თუ გვინდა, რომ ადგილ-მამულიანი, ამ ბოლო შევინარჩუნოთ; ის ადგილი კი, საცა მოხსენებულია ნაშენები აღებ-მიცემობისა და მრეწველობის ცალკად თუ ბევრად წარმატებისა, სრულიად გამოუტოვებია და გაიძახის, მე ქრონიკე გვირჩევს მიწას დავებღაუჭოთ, ხოლო სარედაქციო წერილის ავტორი ფიქრობს — ჩვენის მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც აღებ-მიცემობაში (?) გამოიჩენს თავსო. არც იმას იხსენიებს, რომ სარედაქციო წერილის აზრით, ქართველნი მიწად - მოქმედებასაც უნდა მიჰყოფენ და მრეწველობას, აღებ-მიცემობას და სხვა-და სხვა. ეს წერილში ეკითხულობთ: „ქართველი ერი განსაკუთრებით მიწის-მომქმედი ერია და ამიტომაც ჩვენც განსაკუთრებულს ყურადღებას მივაქცევთ სოფლის მეურნეობას, მის ავს და კარგს, მაგრამ იმ აზრს კი ვერ დავეთანხმებეთ, რომ ქართველი ერი, რადგან დღემდინ სოფლად დარჩენილა და მარტო მიწის მუშაობას ეტანება, ვითომ კვლავაც მხოლოდ მიწის-მომქმედად უნდა დარჩეს და ვითომ საჭირო არ იყოს, რომ მან ხელი მიჰყოს ვაჭრობას, მრეწველობას და სხვა-და-სხვა ხელობას... აწინდელი ცხოვრება ჩთუნლია და მოგვთხოვს ერისგან მრავალგვარ ცოდნას და მრავალგვარ მოღვაწეობას“.

ახირებული საქმეა, თქვენმა მზემ, ბ-ნმა პეტრიძემ ერთს ადგილას რომ ამოიკითხოს — ადამიანისათვის კარგი სუფთა ჰავა საჭირო, ხოლო მეორე ადგილას — რომ ადამიანის აღებულობას კარგი, შემრგო სასმელ-საჭმელი უნდა ამბაწოდოთო, უეჭველად ამ აზრთა ურთიერთის წინააღმდეგობას აღმოაჩენს: როგორ, ერთგან გვეუბნებიან — ჰავა საჭირო და სხვა არაფერიო, ხოლო მეორე ავტორი გვარწმუნებს — სასმელ-საჭმელია საჭირო

და ჰავა კი არაო. რომ სთქვათ — სამეურნეო სწავლა-ცოდნა უნდა შევიძენოთო, ბ-ნი პეტრიძე გოდებას მორთავს და ყელში გვწვდებათ — საყოველთაო სწავლა-ცოდნას, განათლებას რატომ უარჰყოფთო, განა მარტო სამეურნეო სწავლა-ცოდნას შეუძლია ბედნიერება და სიმდიდრე დაგვიმკვიდროსო? რაკი ქრონიკაში ამოიკითხა — ძლევა-მოსილ, ანგარიშ-მიუწვდომელ მტრებს იმიტომ გავუძელით, სამშობლო იმიტომ შევირჩინეთ, რომ მიწას ვებღაუჭებოდით, ჩვენსა და ჩვენს ნიადაგ შორის ძლიერი ერთობა სუფევდა და რომ დროის შესაფერის სწავლა-ცოდნით ვიყავით აღჭურვილნი, — ბ-ნი პეტრიძე გაიძახის: „განა ესეც დასაკვეხნია, რომელმა ერმა არ დაიცვა სისხლით სამშობლო? რომელ ქვეყანაში მცხოვრებთა და მათ მიწას შუა არა ჰსუფევდა ერთობა“? ვინა სთქვა, ბ-ნო პეტრიძე, რომ აქ დასაკვეხნი რამე იყოს, რიდ ქართველობის გარდა სხვას არავის მოურწყავს სისხლით თავისი სამშობლო, ვინა სთქვა, რომ მხოლოდ ქართველებსა და იმათ ნიადაგს შორის სუფევდა ერთობა? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არავის უთქვამს და მხოლოდ თქვენ მიერ მოგონილი და შეთხზულია. რაკი მექრონიკემ სთქვა — ადგილ-მამული, სამშობლო უნდა შევირჩინოთო, ბ-ნმა პეტრიძემ ის აზრი დაასკვნა, ვითომ იგი გვეუბნებოდეს — „არა, მაგრად იჯექით თქვენ თქვენს ბუდეშიო“, „არსად არ დაიძრაფ ლუკმა-პურისათვის, თორემ ეს მამა-პაპათა ანდერძის შელახვა იქნებაო“. რაკი სარედაქციო წერილში ამოიკითხა — ქართველნი ეკონომიურს სარბიელზე უნდა გამოვიდნენო, პეტრიძეს მოსჩვენებია, ვითომ რედაქცია „ძოამბისა“ უარჰყოფს მიწად-მოქმედებას, მეურნეობას და ვითომ გვირჩევს ადგილ-მამულიდან ავიყაროთ, მხოლოდ ქალაქებს მივაწყდეთ, მოვსწყდეთ სამშობლოს და სხვ. როგორ თუ მექრონიკემ გაბედა და სთქვა — ადგილ-მამულს, სამშობლოს დაებღაუჭეთ, ხელიდან არ გაუშვათო? განა არ იცისო, რომ მრავალმა (უცხოელმა) სრულებით დასტოვა სისხლით მორწყული სამშობლო. და უცხოეთში გადაიხვეწა. ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და სხვ. ევროპიელებით დასახლდაო. ბ-ნის პეტრიძისა რა მოგახსენოთ. და

„მოამბის“ რედაქციისათვის ეგ ამბავი „არ ახალია, ძველია“, ხოლო აქ რა მოსატანი იყო, ვერ გამოგვირკვევია. კარგად ვიცით, რომ ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს ძალუძს ათასობით, ათიათასობით გადისროლოს თავთავიანთი მკვიდრი უცხო ქვეყნებში; ისიც ვიცით, რომ საეკონომიო ომსა შიგან ისინი იმდენად განსწავლულნი არიან, რომ ამით არა აკლდებათ-რა; იმის მიზეზიც ვიცით, თუ რა აიძულებს ხოლმე ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ადგილ-მამულიდან აყრას; ხოლო იმას კი ვერ ვარჩევთ, რომ ხელის-გულის ოდენა საქართველომ ამერიკასა, ავსტრალიასა და აფრიკაში გადისროლოს თავისი მკვიდრნი; იმიტომ ვერ ვარჩევთ, რომ იქ, უცხოეთში, ვერავითარს ბრძოლას ვერ გავწევთ, რადგანაც ამისი ძალი და ღონე არ შეგვწევს, შესაფერი წელის სიმაგრე გვაკლია; იმიტომ რომ საქართველოს მკვიდრთა უცხოეთში გადახვევა სამშობლოზე საბოლოოდ და სამუდამოდ მოწყვეტა იქნება; იმიტომ რომ იქ, უცხოეთში, „მეწველ-ფურად გარდვიქცევით“.

იმის შიში და რიდი გვაქვს, რომ მკითხველს თავი არ მოვაბეზროთ ბბ. მაზაკვალთანა და პეტრიძესთან საუბარით, თორემ იმასაც ვრცლად მოვიხსენიებდით, რომ ბ-ნ პეტრიძეს ბატონ-ყმობის აჩრდილი მოსჩვენებია; შემკრთალი და შეშინებული მექრონიკეს სიტყვებით—„მამა-პაპის ქონება ხელიდან გვეცლება“, „ადგილ-მამული, სამშობლო უნდა შევირჩინოთო“, გულში ხელს იცემს და გაიძახის: „ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ბატონ-ყმობის დროს თავის დედულ-მამული უკლებლად ქონდა დაცული, ეხლა კი თან და თან ეცლება ხელიდამ. მაშ ბატონ-ყმობის დროს უნდა დავუბრუნდეთო“! იმის მეტი არ გვეთქმის, რომ ყურნი სმენად და თვალნი ხედვად კაცთა აქვთ მინიჭებული.

ნა—ლი

შინაური მიმოხილვა

ჩვენი არჩევნები.—აზნაურობის კენჭის-ყრა.—აზნაურობას რა დრო დაუდგა?—პარტიობა უცხოეთში და ჩვენში.—ვიგინდარების არჩევა.—რა უნდათ, რას გვპირდებიან?—ვირჩევთ, თუ თავს გვარჩევინებენ?—არჩევანი უცხოეთში და ჩვენში.—როგორი წარმომადგენლები გვეპირვება.—არჩევანი მღვდელ-მოქმედებაა.—მისი სიწმიდის საპიროება.

ქართველობას ამ თვეში სხვა რა შინაური საქმეები ექნება, ან რა სხვა შინაური მიმოხილვისათვის ეცლება, არჩევნების გარდა? არც აქვს, და არც უნდა ჰქონდეს ამაზე უფრო საყურადღებო საგანი თუ საქმე. მართლაც, ამ გაზაფხულზე როგორც ტფილისს, ისე ქუთაისსაც თითქმის ერთ დაიმავე დროს ამოსარჩევი გვყვანან ყველა ჩვენი საზოგადო საქმეების და დაწესებულებების მეთაურები: მარშლები, საადგილ-მამულო ბანკის მმართველები და ზედამხედველები, საზაზინურო სკოლების გასამგებლები, და სხვ. ამასთანავე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში და ახალციხეში ქალაქის ხმოსნებიც და მოურავებიც ამოსარჩევნი არიან. ამ გაზაფხულზე ამ არჩევნებით მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებს მიმართულება მიეცემა, სამი ან ოთხი წლის კადით, ბედისკენ თუ უბედობისკენ, კარგისკენ თუ ავისკენ. ამ მდგომარეობაში დიაღაც საფიქრებელი და საზრუნველიც არის—თუ როგორ უნდა მოიქცეს მამულის ერთგული შვილი, ან რა საქციელს უნდა სთველდეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ და რას—საკნებლად და სამარცხვინოდ.

ჩვენს დროში, მთელი კატობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია. ყოველი განათლებული სალხი უმთავრეს თავის ყურადღებას იმას აქცევს, რომ პატიოსანი და

�iere kanonebi šeadgenonos arčevnebis šesaxebi da uqelna თავ-
ვის არჩევნები წესიერად, გულ-წრფელად და სვინიდისიანად მოა-
დინონ, ამ კანონების გადუსვლელად და გადუხდომელად. სადაც ეს
მტკიცედ არაა დაცული, იქ არეულობის, მტუნვრობის და ძალადობის
შეტი აროფერი მეფობს საზოგადო და საქმეთა ცხოვრებაში. მცი-
რედი უკანონობა ან გარეგნობა არჩევნებში სწორედ იმნაირადვე
რეგს და შლის ერის საქმეებს და წყობილებას, როგორც საძირკვ-
ლის გამოთხრა მთელ სახლს ანიავებს და კიდეც აქცევს ხოლმე.
ამ მიზეზით გასათლებულ ქვეყნებში ერთი ნამტკიცა მოქრთამვა,
ძალადობა ან უკანონობა რომ შეამჩნიონ კენჭის-ყრას, მაშინვე
დაარღვევენ არჩევანს და ხელმეორედ ახალს ნიშნავენ. თვითონ ანზო-
გადოების თვალშიაც ძიუტეებელ ბიწიერებად, თითქმის მომაკვდი-
ნებელ ტოდად ითვლება რიგიანობის მტერეოდნად შელახვა არჩე-
ვნის დროს. რასაკვირველია, ეოველი ბატიოსანი კაცი განსაკუთრე-
ბით იმას ნატრობს, ცდილობს და ეძებს, რომ სალხის საკუთარი და
თავის-უფალი სურვილი იქნეს ამორჩეული, ერის ნების ნამდვი-
ლი წარმომადგენელი გახდეს, და არა მტუნვრობით იქმნე

ყველი ან გასარეგებული ჩვენ-მიერ ამორჩეული პირები. რაც კი რამ უმთავრესია ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც კი ნამდვილი გაულენა აქვს ჩვენის ერის ბედზე და მომავალზე, იმას ვერ სწვდება ჩვენში ამორჩეული პირების ასპარეზი. მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ იქნება, და ყოველგან ხომ სწორედ ასე იყო, რომ ამორჩეულების ასპარეზი თანდათან ფართოვდებოდა, მარტო დაკვებული ასპარეზის გონიერად ხმარებით, გამოყენებით დიდი-რამ არაფერი გვაქვს ჯერ, მართალია, მაგრამ არც სულ დასწული და შეუმჩნეველია ის, რაცა გვაქვს. უფრო ურ-საგები აქ ის არის, რომ ჯერ, რაცა გვაქვს, იმითაც ვერ ვეისარგებლნია, და ის ასპარეზიც არ დაგვამუშავებია, რომელზედაც თავისუფლად ტრიალის ნება და შეძლება გვაქვს. მტირედი ვერ მოვიხმარეთ, დიდს რას მოვუსერსებთ?

მაგალითად, აკიღოთ თუნდ მარმლობა. მაინც და მაინც დიდი უფლება რადი აქვს ამ თანამდებობას. მაგრამ კინარ იცის, რომ იმას ერთი ჩინებული უფლება მაინც მიუძღვის: ამის საშუალებით ანბანურობას უმაღლეს მთავრობასთან ნიადაგ მისვლა-მოსვლა და თავისი საჭიროების თუ გასაჭირის მიღწევა ყოველთვის ადვილად შეუძლიან. წისად, მთელი რუსეთის მმართველი და მოაზრე ძალა იმაზე იყო მიქცეული, რომ «ასლსისა», ბელინ-კაცობის, ბედი გაეუმჯობესებია. ბატონ-ყმობის გაურა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მთელი რუსეთისათვის; ბატონ-ყმობაში დაჩაგრულ მხარედ ბელინ-კაცობა გამოდიოდა, მაშასადამე, მთავრობამაც და მოწინავე საზოგადოებამაც ბელინ-კაცობის განთავისუფლება, ამაღლება მოინდომა, თავად-ანბანურობის სარგებლობა კი მიიკიწყა. გაკიდა თსუთმეტი წელიწადი. ბელინ-კაცობა ტოტალურად წელში წამოიმართა, ანბანურობა კი, უმეტეს ნაწილად, ჩამოქვეითდა. ზოგან ერთიანადაც დაგლასავდა. ყოველგან გაჩნდა და თანდათან მრავლდებოდა უმიწა-წყლო, უსაშუალო ანბანურობა, როგორიც უწინ მარტო პოლონიაში არსებობდა, და რომელსაც არც ადგილ-მამული ჰქონდა თავის სარჩენად, ადარც მთავრობის სამსახური შეეძლო, მოუმზადებლობისა და ადგილების უქონლობის გამო. ამავე დროს რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეებში ზოგიერთი უწესოება და არეულება მოხდა, ბატონ-ყმობის გაურის წინააღმდეგებმა და ძველი წესის

მომსრეებმა ამით ისარგებლეს—კითხეს ყველა უწესოების მიზეზი ის არის, რომ ბატონ-ყმობა დამცირდა, თორემ უწინ ასა რიდის უსასაკვს ვისმე ჩვენში ან უწესობა, ან არეულობაო? ამაებს ბეჭდვითაც ავრცელებდნენ, სიტყვითაც და ძალული მთავრობითაც. ამიტომაც სასოგადოებაში ბევრმა მიიღო ეს შესულობა, და მთავრობა ერთიანად დარწმუნდა მის სასწორეში. იმ აზრით, რომელიც დღეს რუსეთში სუფევს, ყოველად სასურველი და საჭირო საქმეა თავად-აზნაურობის ფესვზე წამოყენება და გაძლიერება, რამოდენადაც კი შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა. მთავრობა ესლა არაფერ საშუალებას არ ჭიზოგავს—ფულებს გარდა—ოღონდ კი როგორმე დაესამარაოს აზნაურობას. რასაკვირველია, ყველა ჭკვიანობს, რომ უწინდელ წესის, ბატონ-ყმობის, სელ-ასლავ ადგენა ყოველად შეუძლებელი საქმეა. ამას მართლაც ადარავინ ფიქრობს. მაგრამ ამას გარედ რაც კი მოსერხდება, ნატრობენ და ცდილობენ აზნაურობის ნიგთიერი მდგომარეობა და გაკლენა გაუმჯობესონ. გაძლები შეუშალუნ-�e. ასეი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გაკლენა მოუმატეს, ადგილობრივი პოლიტიკა ერთიანად იმას ჩაბარეს და სხ. და სხ.. სრული მეცადინეობაა იმაზე მიქცეული, რომ აზნაურობას თავისი რანგი მაინც შეეძლოს, თავისი შეიძლების გაფოზრდის საშუალება მაინც ჭქონდეს.

მეტყვიან, «ის რუსეთშიაო, ჩვენ კი...» ეს დასაკერი რიდია, რადგანაც თვით მართებლობამ შეატყობინა საქართველოს აზნაურობას, რომ არავითარ განსხვავებას არ სდებს რუსეთის და საქართველოს აზნაურობას შუა. საქმე და განსხვავება მარტო იმაშია, რომ რუსეთში აზნაურობამ მოასერხა და ისარგებლა ამ მიმართულებით, ჩვენში კი იმან არ იცოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, და აგერ ლამის სელიდან უსარგებლოდ გაუფრინდეს შესაფერი, დაუბრუნებელი შემთხვევა... ჩვენში ბევრს რიდი ვისმე ესმის მთავრობის მდგომარეობა და თვისება. ყველას ის ჭკონია, მთავრობა ყოველის-მტოდნე, ყოველის-მომსერხებელი, ყოველის-შემძლე და ყოველის-მომგონებელი, გამსსენებელი არისო. მე თუ რამ მიკვირს, ან კინმე მაწუხებს, ი-ი-მე, მთავრობას ეს როგორ არ ეცოდინებაო! მისთვის დამალული რაა! იმას მართლა რომ ჩვენი შველა უნდოდეს, რაღა თსოვნა და სვეწნა გვინდა,

თვითონ ვერ მოასერხებს, თუ ჩვენს გაკვეთებსა ასე ვეიქრობთ, ის კი არ ვკესმის, რომ მთავრობას ჩემისთანა და თქვენისთანა ადამიანები შეადგენენ, რომლისთვისაც გულთმისნობა და ყოველის შემძლებლობა რადი კის მიუნიჭებია. მთავრობას მარტო სურვილი აქვს თავად-ზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესობის, მაგრამ იმას კარგად იცის, რომ სხვა-და-სხვა ადგილებში სულ სხვა-და-სხვა გვარი საშუალებაა ამ მდგომარეობის გასწორებისა, და რაც ერთი ადგილას გამოსადეგია, ის სხვაგან, შეიძლება, დამღუბელიც გახდეს. კერძოდ კი ყოველ ტუბერნიის ან მაზრის ზნაურობას ჩინებულად უნდა ესმოდეს, თუ რა სჭირს და რა მოუსდება, რა ჭსურს, რა მოუსერსდება. რუსეთში სადაც კი მოასერხეს დაეჯერებიათ მთავრობა, რომ აი ამა და ამ საშუალებით სამდგილად შეიძლება ჩვენს მსარეში ზნაურობის საქმის გამოკეთებაო, ყოველგან მთავრობამ შეუსრულა ზნაურობას ამგვარად გამოთქმული და დამტკიცებული თხოვნა. ზოგ გუბერნიაში ზნაურობამ არავერის თხოვნა არ ისურვა. სხვაგან—უმეტეს ნაწილში—ისურვა და ბევრგვარი შემსუბუქების თუ უპირატესობის მოთხოვნა მოასერხა. ჩვენში, გაქვთ დღეგრძელობა, სურვილი დიდი იყო, მაგრამ მოასერხება კი დაგვაკლდა. კიმეცადინეთ ამ ზნაურობისთვის ბედნიერი დროებით გვესარგებლა? საუბედურად, «საზოგადო», საყოველთაო რა გვქონდა საოსოგანი ან საასეიროო, ვერ ვამოვიგვლიეთ ამ თუთსმეტი წლის განმავლობაში. სან ერთის წარმომადგენელს ვეზავნიდით მთავრობასთან, სან მეორეს, სან მესამეს. მთავრობა ყველას სიამით ეგებებოდა; ყველას, ჩვენის პატივისცემით, აჯილდოებდა; ყველას, რაც შეეძლო, საქმეს ურიგებდა. საუბედურად, უფრო ხშირად ის მომხდარა ხოლმე, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩინებულად იცოდნენ რა და როგორ ეთხოვნათ... არა ისაარგებლოდ საზოგადოებისა...

იქნება ზოგმა ამის თაობაზე ეიეიქროს—როგორც მოწინავე მწერლები კიდეც ჭქადაგობენ რუსეთში—რომ ზზნაურობაზე ზრუნვა, მისი დასმარება, ხელის გაწყობა, ჩვენი დროის საქმე რადიაო: მთელ საკუსს, მთელ ერს რა მოუსდება—ამაზე უნდა იყოს მიქცეული მწერლობის და ქვეყნის ყურადღება და მეცადინეობაო. ერთი გასკერმოვებული წოდების საქმე განა მთელი ერის საქმეა?

ეს ცხადი ჭეშმარიტებაა რუსეთისთვის და რუსეთში, სადაც აზნაურობა ერის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს. იქ ათას, ზოგან ათი-ათას ადამიანზე მარტო ერთი აზნაური ითვლება. ჩვენს ქვეყანაში კი აზნაურობის რიცხვი, დანარჩენ სალსის რაოდენობასთან შედარებით, ერთობ დიდია: მთელს საქართველოში ათ ადამიანზე, ზოგან რვა ადამიანზე, ერთი აზნაური ითვლება. სადაც აზნაურობის რიცხვი ამოდენად გამრავლებულა, იქ მას ბერდაბერი გაკვლენა აქვს სალსის ცხოვრებაზე და ერისა თუ ქვეყნის ბედზე, ეძენება იმას განკერძოებული უფლებანი, თუ არა—სულ ერთია. ამოდენა აზნაურობა ერთობ მძიმე, აუტანელი ტვირთია სალსისთვის. კისაც ამ სალსის სვე ებრალება, კისაც მისი დახმარება ჭირს, იმას ჩვენში არ შეუძლია აზნაურობის მდგომარეობას არ მიაქციოს უურადღება და აზნაურობის ბედის გაუმჯობესებაზე არ იმეცადინოს... კაცი მარტო ტიტულების და ოარლიკების კი არ უნდა მისჩერებოდეს, ნამდვილ მდგომარეობას თუ ბუნებას უნდა არჩევდეს საგნისას. ამ მხრით, ჩვენი აზნაურობის უმეტესი ნაწილი, რაოდენობითაც, შეძლებითაც, და თვით სწავლითა და გამოცდილებითაც, სწორედ იმნაირია «სალსია», როგორც დანარჩენი ნაწილი ჩვენის ერისა. ბევრგან შეძლებით, ცხოვრებით, მიწა-წყლით ჩვენებურს აზნაურს გლეხი აჯობნის. ძალე, როცა ამმა-ბაბური მიწა-წყალის უკანასკნელი ნაკვეთი შემოეიდება თუ სელიდან გამოეცლება აზნაურობის უმეტეს ნაწილს, ჩვენშიაც პოლონიასავით «უმიწაწყლო» «ბოგანო»-წოდება (пролетаріи), «უმიწაწყლო აზნაურობა» (дворянскій пролетаріатъ) გაჩნდება და გამრავლდება.

უეჭველია, აზნაურებისთვის შველის ერთათ-ერთი უტეუარი, საყოველთაო, ნაშუალება მარტო შრომაა, მწარმოებელი შრომა, მაგრამ სუკეუნოების მემკვიდრეობას—ჩვეულების ტრუ-მორწმუნეობას—ასე ძალე და ადვილად ვერავინ შეიცვლის. ათასი წლობით, მოდგმიდან-მოდგმით, ჩვენს აზნაურობას მარტო სალომრად, მარტო სამხედრო სამსახურისთვის ზრდიდნენ და ამზადებდნენ. ამიტომაც მუტად ძნელია ესლა მისთვის ზნისა და ხასიათის შეცვლა, გადასვლა-ფერება, მეტადრე თუ შრომას არავინ შეაჩვევს, შრომის იარაღს არ უშოვის. კი ამ მხრით საჭიროა მისთვის მთავრობისგან სელის

გაწყობა. ამ საგანზე საუბარი ერთობ შორს გადაგვიყვანებს: ჯიდეკ ბევრჯელ გვეძლება შემთხვევა უფრო კრცლად დავუკვირდეთ საქმეს. ესლა კი მარტო ის გვინდოდა შეგვენიშნა, რომ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, როცა ასე ადვილი იყო მთავრობის დახმარების შეძენა, ჩვენს აზნაურობაზს ჯერ ერთი ნაბიჯიც კი არ გადუდგაშს ამ მიმართულებისკენ.

ეს საგანი მარტო მაგალითად მოვიყვანე, თორემ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეებიდან შესაძლოა დაანახვოს კაცმა მკითხველს სწორედ ამნაირადვე «დაკარგული დრო», «ჩვენიდან გაშვებული შემთხვევა». ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს საზოგადო საქმეებს «პატრონები» რომ ჰყოლოდეთ, ამისთანა მარცხი როდი დაემართებოდათ. რიგიანი პატრონი, ხომ, თავის საქმეს ისე ყველის, ყოველთვის, რომ არც დროს ჰკარგავს, არც შემთხვევას, და რაც უფრო სეირიანად ხმარობს ამ დროს, ან რაც უფრო სრულად სარგებლობს შემთხვევით, მით უმჯობესად მიდის მისი საქმე. განთლებულ ქვეყნებში, საცა საზოგადოება თუ ერი თავისი საქმეების მმართველებს თვითონ ირჩევს, ყველას ესმის, რომ პატრონი უნდა უპოოს და აურჩიოს ამ საქმეებს, ისეთი რიგიანი პატრონი, რომელიც საერო საქმეს სწორედ ისე მოუვლის, თითქო მისი საკუთარი იყოს: დროს დაუკარგველად, შემთხვევის გაუშვებლად. ამისთვისაც იქ, არჩევანი რომ დადგება, საზოგადოება თვითონ ეძებს, თვითონ ჰფიქრობს: ნეტა ამ ადგილზე კინ იქნება უმჯობესი, უგონიერესი, უპატიოსნესი პატრონი ჩვენი საზოგადო საქმისაო. ეძებს, და არჩევს უმჯობესს. ამიტომაც მისდეთ, აბა, მის საქმეებს: საცა გინდათ და არ გინდათ, ყველას რიგიანი კი არა, უწარჩინებულესი მოთავეები უყენიათ, საქმის მცოდნენი, საქმეზე ერთგულნი, შეუყითნი. რაღა გასაკვირველია, რომ იქ საზოგადო თუ საერო საქმე კარგად და ღირსეულად მიდიოდეს? ეკეთესებს, უმჯობესებს ირჩევენ ყოველთვის საქმის მოთავედ...

ადვილიც არის იქ, ერთი მოკენწესთვის, მიგნება, თუ კინ ემჯობინება ამა და ამ ადგილზე. კენწის-ურის რამდენიმე კვირის წინად თვითეული სოფელი თუ უბანი თითო სანდო კაცს გზავნის საერო კრებაზე: ერთად კარჩიოთ, კის უყაროთ კენწიო, კინ გამო-

ვიფეგანოთ კანდიდატადო. თვითეული პარტია თავ-თავის კრებასა ჭმართავს. კრება მოიწვევს იმ პირებს, ვისაც არჩევის ღირსად სოვლის და მათ შესედულობასა, მათ აზრს, სურვილს თუ განზრახვას ცნობილობს და ადარებს. მაშინ მის წინ შესანიშნავი და ამაღლებული შეტაკება ხდება ზოლმე სხვა-და-სხვა აზრებისა და მიმართულებისა, ის შეტაკება, რომელიც, ფრანგული ანდაზით, ჭეშმარიტებას ჭბადავს. თვითეული მაძიებელი არჩევნისა გამოდის და კრებას თავის შესედულებას, რწმუნებას, განზრახვას, პროგრამას უსსნის. მთელი მისი წარსული, მაშინ, ამ კრების წინ იარჩევა და ისინჯება. მერე, როცა ყველასი წარსული საქციელი და მომავალი პროგრამა მეკიდრად გადითვალიერება, კრება სწყვეტს: ერს კანდიდატად ეს პირი წარგუდგინოთო. ამ სასით, კენჭის ყრის დღესასლსს წარდგენილი ჭყავს სხვა-და-სხვა მიმართულების კანდიდატები: მოწინავე პარტიის კრება მას თავის კანდიდატს ურდგენს, კონსერვატორების კრება—თავისას, და სხვ. ყველასი ღირსება, წარსული, მიმართულება მტკიცედაა აწონილი და გამოკვლეული. ამ «უმჯობესებიდან» ხალხი, კენჭის-ყრის დღეს იმას ირჩევს, ვისი აზრი და რწმუნებაც უფრო შეეფერება მეკენჭეების უმრავლესობასა. მაგრამ, ვინც უნდა შეიქნეს ამორჩეული, პარტსენა მხრის კანდიდატი, თუ მარჯვენისა, უეჭველ კია, რომ ყოველ შემთხვევაში ღირსეული კაცი იქნება არჩეული, რადგანაც არცერთი პარტია ხალხსა ისეთს კანდიდატს არ წარუდგენს, რომელსაც მისი შერცხვენა და სასელის გატეხა შეეძლოს...

ჩვენში არჩევნები სულ სხვაფრივ იმართება. აქ საზოგადოებაკი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომავლელს და მოთავეს,—ვეგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს. აქ პარტიებიც ბევრია, შეიძლებელია, მაგრამ სულ სხვანაირი, ჩვენებური. აქ საქვეყნოდ, აშკარად, როდი ვინ აჭდგენს კრებასა, არცარავინ «უმჯობესსა ეძებს». აქ გამოხტება, ვინც თავზე ხელ-აღებულია და აღარავრის მორიდება არა აქვს, და პარტიას იჭდგენს», სწორედ ისე, ძველს დროში «ხაშოვნელად» წამოლია ამსახავობის გამოწვევა რომ იცოდნენ. «ხაშოვარი» ადგილი ყოფილა, საზოგადო სამსახურისა, ჩინებული

ჯამგირით, პატივით დიდი აქვს, თურმე, სასელით და გაგლენაცა. არიქა, ვიშოვნოთ; მარჯვე ბიჭი ვინცა სართ, ესლა გამოჩნდებაო! შეიყრის ასე თავს რამდენიმე ამსანაგი ან მეზობელი, და ბლანს დაწყობს: ჩუმად, მალულად, ისე, რომ ვერავინ გაიგოს, მიეპარონ სავარო კრებას, კენჭის ყრას, და უცბად შეკარდესაკი თერთ ჭერან და ბრწყალი სტატონ «საშოკარ ადგილს». კანდიდატს არც წარსული აქვს თვალ-საჩინო, არც არათერი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მისი საქ�, ამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილისთვის, და მთელი მსარისთვის, სრულიად უცნობია. საზოგადოებას და ქვეყანას გაგებაც არა აქვს, თუ რა რწმუნებისა, რა მიმართულებისა, რა პროგრამისაა ეს კანდიდატი. რა მოუქმედია, რას იზამს, ვინ იცის! განათლებულ ქვეყნებში კანდიდატს საზოგადოების წინ რომ ყოველთვის თავდებები ჰყავს, მისი გამოუგანილი, მისი განზრახვის მცოდნენი, აქ, ჩვენში, ახალ გამოსტომილ კანდიდატებს თავის ნათესაობის მეტი თანამოაზრე და თავდები არავისა ჰყავს. რისი თავდებობა, საადური პროგრამაო, ისმის ყოველგან ჩვენში; ან წარსული რად უნდა კაცს, ან ღვაწლი, ან გაგლენა: მთელი საქმე კენჭში ყოფილაო. კენჭი იშოვნე ბლომად, მეტს ნურას ეძებ, მეტი არავერი ყოფილა თურმე საკენჭოო. კენჭი, კენჭი, მარტო კენჭი. თუ თავის ნებით არ მოვიდეს მეკენჭე, მოიყვანე, მოიქრთამე: თვალში

„კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული:
მის მ ხ ო ლ ო დ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული!“

რაღა თქმა უნდა, ამგვარ კანდიდატს არც სიზოგადოების ნდობის დასამსახურებელი იარაღი უკარგა. განათლებულ ქვეყანაში საერო ნდობის მაძიებელს იარაღად მარტო ისა აქვს, რომ სიტყვა სედავს თავისი თავლით, თუ რამოდენად უკედ ესმის საქმე ამ ახალ კანდიდატს, კინემ სხვებს, ან ძველ მეთაურებს. კისაც საქმე მართლად გაცნობილი აქვს, კისაც სიტყვის ნამდვილი სიყვარული ადგიკის გულში, იმას ყოველთვის შეუძლია მოიაზროს და მოიგონოს, თუ რა ახალი გაუმჯობესობა შეიძლება მიეცეს ამ საქმეს, სიტყვის უმეტესი წაწილისთვის სასარგებლოდ, ისე, რომ ამ საქმის სიკეთე სიტყვის ახალ და ახალ წრეებსაც მისწვდეს. როგორც მჯობნის მჯობნი არ დაიდგეა ქვეყანაზე, ისე სიზოგადო საქმის ზრდის და მისი სარგებლობის გავრცელებაც სიტყვზე საზღვარი არა აქვს. ამით სარგებლობენ ახალი თავობანი, რომელთა წარმოამდგენლების ყოველთვის უნდა შეჭქონდეთ თავიანთი ერის ცხოვრებაში ძველის გაუმჯობესობა და ახალი სიკეთის დაარსება. ეი ქვეყნის თვალში თავის გამოჩენის, ნდობის დამსახურების და გაკლენის შეძენის ერთად-ერთი გზა. ჩვენში საზოგადოების მეთაურობის მაძიებლებს, თუ მტაცებლებს, ეს როდი ესმით. ისინი სხვაგვარ გზას ადგებიან ხოლმე. რადგანც საქმე არ გაეგებათ, და მის მსვლელობაში არც ნამდვილი ნაკლულევანების შენიშვნა შეუძლიათ, არც სასარგებლო ცვლილების მოსდენა, ამიტომაც ძველი მოთავეების საქციელის კრიტიკით და თავიანთი ახალი პროგრამის საქვეყნოდ გამოქეყნებით კი არ ამზადებენ გამარჯვებას და პირველობას საზოგადოებაში! სულაც არა. ისინი მარტო სიტრეით, ტიტის-წამებით, ქალაქ-ენობით ატეუებენ საზოგადოებას, და ჭბადაკენ მასში უწინდელ მეთაურების სიძულვილს. ესაა მათი ერთად-ერთი იარაღი: რამე ისეთი უცნაური ხმა დააგდონ სიტყვში, რომ ძველ მეთაურს ფეხს ქვეშ ნიადაგი გამოეცალოს. თავის საკუთარ ფეხ ქვეშ კი არ ცდილობენ ნიადაგის გამაგრებას, სხვას ეთხრიან სამარეს. თავის ამაღლებაზე როდი შრომობენ, მარტო სხვის დამცირებაზე

ვქვთ მიხესილი შოელი თავისი ძალა და სამუალება. ამიტომაც კნეინის მეტი არაფერი რგებია საზოგადოებას, არსად და არასოდეს, ამგვარი პირების მოქმედებისგან, და ამგვარი ვითომ «პარტიების» ბრძოლისაგან. სამდვილი შრომა, მოქმედება, წინწასელა სწუდება ხოლმე იმ საზოგადოებაში, ს

გინდ ქუთაისში, თუ სხვა ჩვენს ქალაქებში და მაზრებში. ჩვენ კი არ ვირჩევთ **საუბრად, უმჯობეს** მოთავეს, თვით ისინი გვაუდებიან მხარეზე.

სამწუხარო აქ მარტო ეს რადია, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები ოსურად, უშარონოდ, გვირჩება. უმთავრესი თვისება ჩვენი არჩევნებისა ის არის, რომ მარტო თანამდებობის პირებს კი არ ვირჩევთ. განთლებულ ქვეყნებში ბანკის მმართველი, მაგალითად, მარტო ბანკის მმართველია, მეტი არაფერი, ამიტომ რომ იქ საზოგადოებას, ერს, ქვეყანას თავ-თავისი ინტერესების გამომთქმელად, დამტკიცებად და მომავლად ბევრი სხვა დაწესებულება აქვს და წარმომადგენელი ჭყვეს. ჩვენში კი, ბანკის მეტი რომ არა გვაბადია-რა, ბანკის მმართველს თანასწორი ტვირთი ეკისრებოდა საზოგადოების და ერის წინაშე. განთლებულ ქვეყნებში ბანკის მმართველის არჩევა დიდად ადვილი საქმეა: ოღონდ კი ქურდი ან გაიძვერა არ იყოს, და ბანკის ანგარიშები ესმოდეს,—მეტს მისგან არაკინ არაფერს ითხოვენ. ჩვენში კი ბანკის მმართველი ბანკასაც გონიერად უნდა უკლიდეს, და თან თითქმის ყველა ჩვენი საზოგადო საქმეების მეთაურად კარგოდეს. ქალაქის თავიც ამგვარ მდგომარეობაშია, მარშალიც ერთი სიტყვით, ყველა ჩვენს არჩევნებს ბევრად უფრო რთული და მძიმე როდი აქვთ, გინემ ამნაირიც თანამდებობის პირებს უცხოეთში ან რუსეთში. მარტო ჩვენ თვითონ კი არ ვუტქერით იმათ ამისათვის თქვენით, მარტო ქართველობა კი არ შეჭერებია იმათ გაზვიადებული იმედით, რუსობაც ასე უფურებს, და თვით მთავრობაც ასე ეფურობა... იმ მიზეზით, რომ ჩვენს საერო საქმეებს ჯერ საკუთარი წყობა და მართვა არ მიეცემა, ჩვენი საერო ინტერესების ტვირთი ამ ყველა ჩვენგან ამორჩეულ პირებს აწევს ზურგზე. მათ ხელშია—ან მათ ხელშია უნდა იყოს—ჩვენი წარსულის განმის დაცვა, ჩვენი ენასდელი შეზრის წინამძღვრობა, ჩვენს მომავალ ბედზე მზრუნველობა. ამ მძიმე ტვირთის და პასუხის-გებას კი მაგარი ბეჭი სჭირია. როგორიც მეთაური გვყოლება არჩეული, ისეთიც მსოფლობა ექნება ჩვენს საერო საქმეს, და ისეთივე პატივი გვეღირსება მეზობლებისა და უცხოელებისგან. შემდეგ, გამარჯვებულ, ყველასგან ხალხობ ერს უსეირო წარმომადგენე-

ლიც რომ ჭეშმარიტებას, ამით მისი ღირსება ბევრად მაინც არ დაიწევს ქვეყნის თვალში: ყველას ესმის, რომ ეს, ალბად, უცხებელი შეეთხვევაა; ყველას ესმოდეს, რომ ის ერი მაინც დიდი და ძლიერია. ჩვენისთანა მეცი-წეგებულ ერს კი დღე-და-ღამ ის უნდა ასწოდეს, რომ ამაში ეუ-დაამშვენებს და გააძლიერებს რამ, ეს მარტო მაღალ-ღირსების წარმო-მადგენლების არჩევა იქნება. «მის მსოლოდ ღუაწლი არს კეთილ, მით მსარე დაშვენებული», ეს ამას ნიშნავს. ჩვენ იმოდენად მდიდარი არა ვართ დიდებით, ძალით, შეძლებით, რომ მთელი ქვეყნის თვალ-ში არაფერი გვაკლდებოდეს, როცა ჩვენი ერი და ქვეყნის წარმომად-გენლად ვიგინდარა გამოდის, რომელიც კი არ ამშვენებს და აბრ-წყინებს ჩვენს სახელს, უფრო და უფრო სვრის და ამცირებს. უმე-ტესი ნაწილი ჩვენი საზოგადო საქმეებისა ისეთი სასიათისაა, რომ მათი ბედი და უბედობა მოაკრობაზეა დამოკიდებული. რა რიდი-უნდა ჭქონდეს ამ მოაკრობას ჩვენი საქმისა, რა პატივი უნდა სცეს იმან ჩვენს სურვილს თუ თხოვნას, როცა თვით ჩვენს წარმომად-გენელს არ შეუძლია თავისი პირად-ღირსებით, ენერგიით და მოქ-მედებით დაიმსახუროს და დაგვიმსახუროს მთავრობის პატივი, თანაგრძნობა და თანხმობა? უცხოეთის და უცხოელების თვალში ჩვენი წარმომადგენელი მარტო იმით კი არ უნდა ჩანდეს, რომ ჩვენი წარმომადგენელია, თავის თავითაც ტოტალი მაინც ცნობილი უნდა იყოს რითამე, რომ ყველას ესმოდეს: ქართველები ღირსეულ კაცებს ირჩევენ თავიანთი საქმის მოთავედო, ენონიერება დეგს მათი არჩევნების სამირკვლად, და არა თვალთმაქცობა ან ტრუ-ბორწმუნეობა. ასე თუ არ იქნა, და ვიგინდარები ვირჩიეთ, მათი უმეურება და სისუტე მალე დაუმტკიცებს ძველ ქვეყანას, რომ ქართველები თავის წარმომადგენლებზე ბევრად უფრო სუსტი და უმეური ეო-ფილანო...

აგრედვე უნდა აღონებდეს დამკვირვებელ ენონებას მეორე ესა-რე ამ სამწუსარო მდგომარეობისა. რაკი ჩვენში საზოგადოება კი არ ირჩევს მისთვის საკირო და გამოსადეგ მეთაურებს, თვითონ მე-თაურები საზოგადოებას ძალას ატანენ ან აცდენენ ამირჩიეთო, ჩვე-ნი საზოგადო დაწესებულებებიც ჭკარგვენ თავიანთ საერო სასიათს-დღეს მათში საქმე სიმართლის და სამართლის ძალით კი ალარ

სწარმოებს, არც ერის სიკეთისკენ არის მიმართული: სულ იმაზე ტრიალებს—თუ კენჭაობის დროისთვის რა მოგვისდებაო, რა გვასარგებლებსო. ამ პირს თუ გაწყენია კანონიერი მოთხოვნილებაო, ჭენჭის ერის დროს შაკს ჩამიგდებს უეთშიო, სჯობს კანონი გაკაბრუნდო, გუსაორო, მოგებირო, მოგიყიდოო... ნელ-ნელა ამ გზით და ამ სასით დიდი გარეკნილება და უწესობა მკრება და იმალება ჩვენს სასზოგადო საქმეებში, იმალება, სანამ მათ სიდამშვე ძირს არ დაამსობს. ამასთანავე როცა ადამიანი ამგვარ წარმომადგენლობას თავისი ღირსებით და ღვაწლით კი არა, ოინობით შოულობს და როცა ქვეყნის საქმე უნიჭო ან უღირსო კაცს ჭბარდება, იმას, რაც ავკვირვეულია, აღარ შეეძლება ღირსეული თანამშრომლების მიზიდვა და არჩევა. ამნაირად არჩეულ ქალაქის თავს (მაგალითად) არც უნდა და არც შეუძლია, ისეთი პირები მოისვას გვერდით, გამგეობის წევრებად, გისაც საქმის გონიერული წარმართვა ყველაზე უკეთესად მოუსერსდება. ის მარტო იმაზე ზრუნავს, რომ ისეთ პირებს შეაძლიოს ან უშოვნოს წევრობა, გისაც საკუთრივ მისთვის უფრო მეტი კენჭის შოვნა შეუძლია: ოდონდ ათიოდე კენჭი მომიმსრეოსო, ჭეიქრობს «მოთავე», და თვითონ ის გინდ ერისა და მამულის მტერი იყოსო. ისიც უნდა გაასსოვდეს, რომ ყველას კი არ შეუძლია ღირსეულის პირის გარჩევა ულირსოსაგან. ესეც «ზეგარდმო მადლი» გასლავს, რომელიც ყველს როდი ეტყვა. ულირსო პირების არჩევას საზოგადოების წარმომადგენლად ისიც შედეგად მოსდევს, რომ საერთო ასპარეზზე სრულიად უმნიშვნელო გვამები, «ცარიელი მჭამლები» დაწრწიან, მაშინ,როდესაც გონიერი ერი, ღონით საკსე, უანგარო, მშკენერი მიმართულების ასალგაზდები უსაქმოდ და ულუკმა-პურად დნებიან ჩვენი ქვეყნის სსვა-და-სსვა მიყრუებულ კუთხეებში. როგორც გონიერი პატრონი თავის ქონებას უკლის, სინჯავს, ათვალიერებს, იმ აზრით, რომ მასში საღირალი არა დაკარგოს-რა, ისე ჩვენი მოთავეებიც ჩვენს ქვეყანას უნდა ათვალიერებდნენ ყოველივე მისი ძალის და ქონების რიგიანად გამოსაყენებლად: უნდა აგროვებდნენ ქვეყნის უმაღლეს ძალას—უმჯობეს მის შვილებს—და ოკეთეულ სიჭს, თვითეულ ძალას შესაფერს, საკადრის ადგილზე უნდა აყენებდნენ, ისეთ ადგილზე, საცა ამ ძალას უაღრესი სარგებლობის

მოტანა შეეძლოს მამულისთვის. ნამდვილი მოთხვე ისაა, ვისაც სურვილი და შეძლება აქვს ინგლისელების უმთავრესი აღთქმის ასრულებისა: «შესაფერი კაცები დაუყენოს შესაფერ ადგილზე». სანამ ეს არ გვეღირსება, ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენი საქმე მკვიდრ გზას დაადგეს. ახლანდელ დროში, ქვეყნის წარმატებისათვის, ქვეყნის სიკეთეზე საზრუნველად, ერთი ან ორი ადამიანის შრომა, ტოდნა და ღვაწლი როდიდა კმარის. ერს მთელი რაზმი სჭირია, მისი ბედნიერებისთვის მშრომელებისა... საქმე ამ რაზმის გაწრთვნა, ამ მშრომელების თავ-თავის ადგილზე ჩაყენება, მათი ხელმძღვანელობა.... უამისოდ საერთო აღორძინება ესლა ქვეყანაზე.

ესლა ეს ვიკითხოთ: განა შესაძლებელია, რომ ამგვარ საქმეებზე გულწრფელად და ნაყოფიერად იზრუნოს ისეთმა პირმა, რომელიც თვითონ გამოსტება სიბნელიდან და საზოგადოებას დაბრმავებით, თუ ოინობით, თავს არჩევინებს? რა სიკეთე უნდა დაყაროს საზოგადოებას და ქვეყანას ისეთმა პირმა, რომელიც მალულად მიეპარება არჩევნის ჯრებას და ქურდულად იტაცებს საერთო ანამდებობას, მის მაგიერ, რომ პირდაპირ, გაშლილი ბაირაღით გამოდიოდეს ბრძოლის ასპარეზზე და მთელს ჩვენს ერს ცხადად და ნათლად აგებინებდეს თავის აზრს, მიზანს, საშუალებებს და პროგრამას? რაკი მიპარვით იქცევიან, იმას რისთვის არ ვისსენებთ, რომ კაცი მარტო მტერს, მარტო ტუდი განზრახვით მიეპარება, და არა მეგობარს, სასიკეთო საქმისთვის...

ჩვენს დროში რაკი არჩევანი და კენჭის-ყრა კატობრიობის სიმართლისა და წესის საძირკვლად დაიდო, არჩევანი სწორედ ისეთ მღვდელ-მოქმედებად უნდა გადიქცეს, როგორც უწინ ლოცვა იყო ტაძარში, ღვთის ნების გასაგებად. მტირე რამ ზიანს ან შეცდომას არჩევნის წესში ნიადგ და უთუოდ დიდი, რთული უბედურება მოსდევს საზოგადოებისთვის. ხშირად მოსდება ხოლმე, რომ პატიოსან კაცს, რომელსაც თავისი ქვეყანაც უყვარს და არც ტუდი ან პირადი რამ უდევს გულში, უბრალო რამ ჭკონია სწორი წესის დარღვევა არჩევნის დროს. ჩვენშიაც იყო დრო—და ესლაც ხშირად სდება ხოლმე—როცა რიგიანი და განათლებული კაცები საძრაზ საშუალების სმარებას როდი თაკილობდნენ კენჭის-ყრის შესახებ. «ჩვენი

ბალდი ასეთიაო, მართლულობდნენ ოვენ, ამისთანა ზნეს შესხვეიაო და სს. რაკი ჩვენ თვითონ პატიოსნები ვართ და ტუდს არას ვიზამთ, და, რა იქნება, რომ ამ ტუდ ზნეს მიეფეთ, ეს უსეირო ინარდი ვისმა-ოთთო»: ამ სოფიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და იბრძვიან ის ყმა-წვილებბ, რომლებსაც ბუნების კანონების ძალა და დაურღვევლობა კარგად ესესოფთ. «იქნება თქვენ თვითონ ტუდი მიზანი და განზრა-ხვა არა გქონდესთ-რაო, ამბობენ ეს ყმაწვილები, იქნება პირადად თქვენ დიდიან პატიოსანი იყვნეთ, მაგრამ სადმე ამაში როდია. თქვენ კან ნასმარ ტუდ საშუალებას, თქვენს მერმე, სხვაც მოისმარს, იმისა-თანა სხვა, ვისაც თქვენი პატიოსნება არ გამოჰყვება, თქვენის მაგნებე-ლი განზრახვაი სავსე ექნება გული. თქვენი საქციელი კი ამათ გაუადვილებს ქვეყნის მოტყუებას და დადუშვას. თქვენ ტუდს ასოესთ. იქნება თქვენი ნათესის ნაყოფეთ თქვენ სარგებლო-ბა არც კი იცადროთ, მაგრამ როგორც კი ეს ნაყოფი თავს ამო-ჰყოფს და დამწიფდება, ისეთი უდირსები ბევრნი გამოჩნდებიან ჩვენში, ვინც მის მოკრეფას და მითვისებას მოასწრებენ. თავფლი იყოს, თორემ ბუზი კიდეც იპოვება, კიდეც გამრავლდება. თქვენ მათთვის საკვებს ამზადებთო».

სანამ ჯერ საბოლოოდ არ წამოდარა საქმე, უნდა ვეცადოთ თავშიკე მოვსპოთ ის გარეგნილება, რომელიც ეპარება ზოლმე ჩვენე-ბურ კენჭის-ყრას. მთელი ჩვენი მამული, სიკეთე და მომავალი ამა-ზეა დამოკიდებული, მოკასერსებთ თუ არა ესლა არჩევნის საქმეს ის სიმაღლე, ის სიწმინდე და ღირსება მიეცეთ, ურომლისოდ საზოგადო-ბრივი ცხოვრება დამხობისკენ გაქანდება. ამას ჩვენი საზოგადოება შარტო მაშინ მოასწრებს, რაცა დაჩვევა შუბლ-შეკრულად, მრისხა-ნედ და შეუპოვრად ზურგი შეაქციოს ყოველ იმ პირს, ვინც ჩიოქს ჰცხებს, რეკნის და ღირსეული სიწმინდით არ ეპყრობა ესლანდელი კა-ტობრიობის სიმართლის სამირკველს—არჩევანს.

ნ. ნიკოლაძე

უცხოეთის მიმოხილვა

საბრალო სერბია

სერბია პაწაწა სამეფოა დუნაის ნაპირზე, ავსტრი-უნგრეთსა და ბოლგარიას შუა. შიგ ორი მილიონი ხალხი სახლობს სლავის ტომისა. ეს ხალხი მთელი ოთხასი წლის განმავლობაში (1389—1818) ოსმალეთის მონობას ქვეშ იმყოფებოდა. მისი განთავისუფლება იმ ბრძოლის შედეგია, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შუა ატყდა წარსულ საუკუნეში, შავი ზღვის კლიტის, სტამბოლისა და ბოსფორის გამოისობით. სერბია განთავისუფლდა და საკუთარი ბედის მმართველი გახდა ყველა სხვა სლავებზე ადრე. მის გარშემო, ოსმალეთში და ავსტრიაში, ბევრი სხვა სლავის მოდგმის ხალხს გარდა, სამი თუ ოთხი მილიონი სერბი იყო დარჩენილი უცხოეთის მონების ქვეშ. ამ მიზეზით ყველას ეგონა, რომ ახლად განთავისუფლებული თვითმპყრობელი სერბიის სამეფო იმ თესლად შეიქნებოდა, რომლისგანაც ნელ-ნელა გამოიზდებოდა სლავების მომავალი ერთობა, თავისუფლება და ძლიერება. ეს იმედი და ლოდინი განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ოც და ათის წლის განმავლობაში უნდა გაძლიერებულიყო, იტალიის მაგალითის მეოხებით. მართლაც, იტალიის დაფანტული, ბაცალკევებული და ერთმერთმანეთზედ გადამტერებული სამეფოები მოაგროვა და გაათავისუფლა პაწაწა პიემონტმა, რომელსაც იტალიის ყველა სხვა პროვინციებზე ადრე ელირსა თავისუფალი წესი და მართვა. ყველას ეგონა, სერბიაც პიემონტივით უწინამძღვრებს მონობაში დარჩენილ მოძმებსო,

პიემონტივით ძალას დაიმარაგებს და გავლენას იხმარს სლავების ერთობის სასარგებლოდო. დიალაც ასე უნდა ყოფილიყო, დიალაც მაღალ-ღირსი საგანი იყო ამ ყოვლად უბედური, ყველასგან დაბრიყვებული, გერმანელებისგან და ოსმალებისგან დამონებული, დაჩაგრული და მიწასთან გასწორებული ხალხების გაწვრთნა, აღდგენა და ამაღლება. პატრონი, წინამძღვარი აკლდა, თორემ სამწყსო თვალ-უწვდენელი და ბარაქიანი იყო. მართალია, ხანგრძლივ მონობას მეტად დაეჩაგრა ამ ხალხების ხასიათი, მაგრამ ისტორიის მცოდნე გაიხსენებდა, რომ ოდესმე მათი გამბედავი სიმამაცის წინ ხშირად თავს იხრიდა რომი და ბიზანტია. მაშასადამე, ეხლანდელი მათი სულით დაცემა დროებითი მოვლენაა, გარემოებისგან მოტანილი, გარემოებითვე მოსარჩენი. როგორც ყოველგან სხვაგან, ოსმალეთი, ოთხი საუკუნის განმავლობაში, ყოველს ხუთს წელიწადში ერთხელ გაიყვანდა, ათათრებდა და ვინ იცის სად ჰკარგავდა სერბიის ახალგაზდობის უმჯობეს ყვავილს, ისე რომ შინ მახინჯების მეტს კაცს როდი სტოვებდა. თუ კი ვერც ამგვარმა მუდმივმა ერის თავის-კვეთამ, ვერც ოსმალეთის ყრუ ძალადიანობამ, სერბებს ვერ აღმოუხოცა თვისტომობის და თავისუფლების სურვილი; თუ კი სერბიის ერში მწერლობა, გონებრივი მოძრაობა და ერთობის ძიება დაფუძვნდა და გაძლიერდა წარსულ საუკუნეში, ცალკე სამეფოს დაფუძვნებამდინ, როგორ არ უნდა მისცემოდა კაცს იმედი, რომ გათავისუფლებული სერბია ხელ-შეუშლელად, დაუკავებლად მიეცემა ზრდასა და წარმატებას? ვინ იფიქრებდა, რომ სერბია ვერც კი მოახერხებს ისარგებლოს იმ ბედნიერი მდგომარეობით, რომელიც გათავისუფლებამ და თვით-მმართველობამ აღირსა იმას დანარჩენ სერბებს და სლავებს შორის?

მაღალ და დაუვიწყარ მოძღვრებას წარმოგვიდგენს სერბიის ისტორია ამ საუკუნეში. შესანიშნავია, რომ ამოდენა ფილოლოგებ და ისტორიკებ შორის, რამდენსაც გვიზდის ჩვენი დროის სწავლა, ერთიც არ გვღირსებია, იმისთანა, რომელსაც გაეცნოს ქართველი მკითხველი სლავების მწერლობის

აღორძინება. ჩეხური და სერბიული ლიტერატურის ისტორია მეტად საგულისხმოა ჩვენთვის, აგრეთვე როგორც იმ დაწესებულების გაცნობა, რომლის შემწეობითაც დამყარდა თუ გავრცელდა ამ ლიტერატურის გავლენა. განსაკუთრებით შესანიშნავია იმ წინამორბედების ღვაწლი და ცხოვრება, რომელთა მეოხებით აყვავდა და გაძლიერდა ჯერ ენა, მერე მწერლობა და ბოლოს თვით-მმართველობა ამ ხალხებისა. სერბებ შორის, წარსულ საუკუნეში და ეხლანდელის დამდეგში, ამგვარ წინამორბედად იყვნენ რაიჩი, ობრადოვიჩი და ვუკ-კარაჯიჩი. ამ ორი უკანასკნელი მოღვაწის შრომა განსაკუთრებით ნაყოფიერი შეიქნა მით, რომ ერის ენაზე დაიწყეს წერა. მანამდინ სერბიის მწერლობაში სლავურ ენას ხმარობდნენ, იმ ძველ ბოლგარულ ენას, რომელზედაც საღმრთო წერილი გადმოთარგმნეს კირილემ და მეთოდიმ, და რომელსაც ახლა არა თუ სერბი, თვით ბოლგარიც ველარ იგებს. ამ მიზეზით სერბიის ერსა და სერბულ მწერლობას შუა უშველებელი და განუკვრეტილი კედელი იდგა. ობრადოვიჩმა და კარაჯიჩმა კი სწორედ იმ ენით იწყეს წერა, რომლითაც ხალხი, უბრალო ხალხი ლაპარაკობდა. მაშინვე მათი ნაწერი გასაგები შეიქნა ყველასთვის, ვისაც კი წერა-კითხვა გაცნობილი ჰქონდა. მარტო ამას შემდეგ სერბულმა მწერლობამ ფესვი გაიდგა ერში და ნაყოფის მოტანა დაიწყო. მარტო მას აქედ იწყება მისი გაძლიერება, და თან ერის უმჯობესი, უგანათლებულესი ნაწილის გავლენა დანარჩენი ხალხის აზრზე თუ მოქმედებაზე.

ამ საუკუნის დამდეგს, სერბები სანახევროდ ოსმალეთის მონობას ქვეშ იყვნენ, სანახევროდ კი — ავსტრიისა. სარწმუნოებითაც ისინი ერთობ დაფანტულად იდგნენ, ერთმანეთთან ზურგ შექცეულად. ერთი ნაწილი მართლ მადიდებელი დარჩენილიყო (თვით სერბიაში), მეორეს - რომის-კათოლიკობა მიეღო (ავსტრიაში) და მესამეს კი — მაჰმადიანობა (ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში). ყველაზე უწინ აღიძრა, ოსმალეთის ულელის თავიდან გადასაძრობად, მართ-მადიდებელი სერბია. 1804-ში სერბებ შორის გამოჩნდა გამბედავი პატრიოტი გიორგ-შავი (რო-

მელსაც სერბები ცრნი-გიორგის, თათრები კი კარა-გიორგის ეძახოდნენ). ორი წლის ბრძოლის შემდეგ იმან თათრები ერთიანად განდევნა სერბიიდან. მათ ხელში მარტო ციხე-ქალაქი ბელგრადი დარჩა, რომელიც შავმა-გიორგიმ 1807-ში მისგან მრავალჯერ დამარცხებულ თათრებს წაართვა. ხუთი წლის შემდეგ სერბებს დიდი უბედურება დაემართათ. იმ დროს რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომი იყო ატეხილი. ნაპოლეონ პირველის დასხმამ რუსეთზე ის გავლენა იქონია ალექსანდრე პირველზე, რომ ეს ომი რუსეთსა და ოსმალეთს შუა უცებ შესწყდა ბუხარესტის შერიგებით (1812), რომლის ძალით სერბია რუსეთმა ოსმალეთის სამფლობელოდ იცნო. თათრების უშველებელი ჯარი, რუსეთის წინააღმდეგ დამზადებული, სერბიისკენ მიბრუნდა, და, რაღა თქმა უნდა, მას სერბები დიდ ხანს ვერ გაუძლებდნენ. დაშარცხებული გიორგი-შავი და სერბების დანარჩენი მოთავეები ავსტრიაში გადასახლდნენ. მარტო ერთი მხლებელი გიორგი შავისა, **მილოშ ობრენოვიჩი** დარჩა თავის ალაგზე, დაემორჩილა თათრებს და მათი მსახური გახდა. სამოოდე წლის შემდეგ ამ მილოშმა ხელახლი აჯანყება მოახდინა თათრების წინააღმდეგ. 1817-ში სერბიის ერის კრებამ გამარჯვებული მილოშ სერბიის მთავრად იცნო. თვითონ ეს მილოში სრულებით უბრალო და უსწავლელი მწყემსი, ღორების მწყემსი იყო გიორგი-შავის აჯანყებამდინ. თათრებთან ბრძოლის დროს იმან დიდი მამაცობა და თავიანობა გამოიჩინა, რის გამოც შავმა-გიორგიმ მას ჯარის ერთი ნაწილის უფროსობა ჩააბარა. გახდა თუ არა ის სერბიის მთავრად, მაშინვე გადიქცა შეურიგებელ მტრად ყველასთვის, ვისაც კი შავი-გიორგის პატივისცემა ჰქონდა ან მომხრე იყო. იმავე 1817-ში იმან მოაკვლევინა შავი-გიორგი და მეორე დიდი პატრიოტი, პეტერ მოლერი. მისი მთავრობა გაგრძელდა ოც და ორი წელიწადი. ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მთელი მისი გამჭრიახობა და მეცადინეობა იმაზე იყო მიქცეული, რომ რაც სერბიაში რამე კერძო ან საზოგადო სიმდიდრე იყო, ერთიანად ხელში ჩაეგდო, სამეფოს სასარგებლოდ კი არა,

თავის კერძო საკუთრებად ჰსურდა გაეხადნა. გამდიდრდებოდა თუ არა ვინმე, ან კარგ მამულს გაიკეთებდა, კარგად დასახლდებოდა, მილოში მაშინვე მივარდებოდა და ან მუქთად ართშევდა ყველაფერს, ანა-და იმ ფასად ყიდულობდა, რომელსაც თვითონ ის დანიშნავდა. მისი სიძუნწე საარაკო ამბავად გახდა ქვეყანაში. ამასთანავე, გაუნათლებლობის გამო, იმას გაგება არ ჰქონდა, თუ როგორ უნდა მოეწყო თავისი სამთავრო, რა წესი და წყობილება შემოეღო შიგ, რა კანონები. მისი მართვა პირადი დესპოტიზმი იყო, სწორედ ისეთივე, როგორც მის გამეფებამდინ თათრების ფაშებს სჩვეოდათ. მაგალითად ეხლაც-დინაც მოჰყავთ, თუ როგორ დასაჯა მილოშმა ერთი მღვდელი, რომელსაც ვიღაც ქვრივისთვის მისი საბრალო ობლის დამარხვისა უარი ეთქვა, აქაო და საწირავს რად არ მაძლეო. მილოშმა მღვდელს უბრძანა ამ წამსვე დამარხეო, თანაც გაჰყვა სასაფლაოზე, სამარე გააფართოვებინა და შიგ ჯერ ცოცხალი მღვდელი ჩააწვინა, მერე მკვდრის კუბო ჩაასვენა, და ორივეს ზედ მიწა დააყრევინა. ამისთანა სწრაფი, სასტიკი და უზომო სასჯელი, რასაკვირველია, წესიერებას ვერ დამყარებდა სერბიაში, თუმც ყრუ ხალხში მილოშს სახელს უკეთებდა.

ოსმალეთმა მილოში იცნო მთავრად მარტო 1830-ში, ბევრი დამარცხების შემდეგ, რომელიც 1829-ში იმას რუსეთის ხელმწიფემ, ნიკოლოზმა, მიაყენა. მაგრამ მაშინაც (ადრიანოპოლის ტრაქტატით) დაადგინეს, რომ სერბია ოსმალოს ქვეშევრდომი სამთავრო უნდა იქნესო, ოსმალოს ხარკს უნდა უხდიდესო, თუმც რუსეთის მფარველობაც მიენიჭებაო. სერბიის ციხეებში და თვით სატახტო ქალაქში, ბელგრადში, ჯერ კიდევ შვიერის მეციხოვნე ჯარი იდგა. მილოში რაკი ოსმალოსგან და რუსეთისაგან „დამტკიცებული“ შეიქნა სერბიის მთავრად, სულ ერთიანად ლაგამ-ახსნილი გახდა. ქვეყანა მისგან იმოდნად და იქამდინ შევიწროვდა, რომ 1834-ში მის წინააღმდეგ შეთქმულობა გაიმართა, მისი ტახტიდან გადასაგდებად თუმცა ამ შეთქმულობას კეთილი ბოლო არა ჰქონია, მაგრამ მილოში მაინც მიხვდა, რომ საქმე ცუდად წამიკა, თუ წესი არ

დავამყარე ქვეყანაშიო. უცხოელების რჩევით და ბრძანებით იმან 1835 გამოსცა კონსტიტუცია, რომლის ძალით ხალხის არჩეულ დეპუტატებს ხმა და გავლენა უნდა მისცემოდათ ქვეყნის საქმეების მართვაში. ეს კონსტიტუცია, საუბედუროდ, ერთობ უძლურიც იყო, რადგან ნამდვილ ძალას როდი აძლევდა ხალხის წარმომადგენლებს; ამას გარდა მილოშში წამის-წამ არღვევდა თავისგანვე დაარსებულ წესს. ამ გარემოებით ისარგებლა ოსმალოს გონიერმა ხვანთქარმა მაჰმუდმა. 1838-ში იმან მიანიჭა (ჰატი-შერიფით) კერძო კონსტიტუცია, რომელიც დიდ უფლებას აძლევდა ერის წარმომადგენლებს (სკუპჩინას). ახალი კანონით მომხდარმა კენჭის-ყრამ ისეთი სკუპჩინა შეაგროვა ბელგრადში, რომელშიაც ძალა და გავლენა მილოშის მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ. მათში განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ვუჩიჩი, რომელმაც ისეთი ძალა შეიძინა ხალხში, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მილოშს მისი ბრძანებით ტახტისთვის თავი უნდა დაენებებია და ადგილი თავისი შვილისთვის, მილანისთვის უნდა დაეთმო (ივანობისთვე 1839).

მილანმა მარტო რამდენიმე თვე იმეფა. მისი სიკვდილის შემდეგ სერბიის ტახტი მილოშის მეორე შვილმა, მიხეილმა დაიკავა. ამან იმთავრა სამოიდე წელიწადი. 1842-ში ის ტახტიდან გადააყენეს. მის მაგიერად გამეფდა **ალექსანდრე კარაგიორგიევიჩი**, დიდის შავი-გიორგის შვილი. მისი მეფობა ბევრად უფრო სამართლიანი და წესიერი იყო, ვინემ მილოშისა. საუბედუროდ, ეს მთავარი საკმაოდ ნიჭიერი არ იყო, რომ ხალხის გული და აზრი მოეგო. იმან ვერ იქონია ზედ-მოქმედება ერის გონებაზე, ვერ წარიტაცა მისი ფანტაზია, ვერ გახდა ლეგენდის საგნად. ამასთან იმან ხეირიანად ვერც კი გაიგო, თუ რამ დასცა 1842-ში ობრენოვიჩების სახლი, რამ ასურვებინა სერბებს კარაგიორგიევიჩების მოხმობა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ 1839—1840-ში ოსმალოს ტახტი და მფლობელობა ძირამდინ შეარყია ეგვიპტელი მმართველის მეჰმედ-ალის და მისი შვილის იბრაჰიმის აჯანყებამ. მაშინ საფრანგეთიც კინაღამ გაერია ამ ბრძოლაში. გამარჯვებული

იბრაჰიმი თითქმის სტამბოლამდინ მივიდა, სხვა-და-სხვა ოსმალეთის მაზრებში, მაგალითათ ალბანიაში, აგრეთვე დიდი რყევა-აჯანყება იყო, და მზადდებოდა. ყველას ეგონა, ეს არის ინგრევა ოსმალეთის იმპერიაო. იმ დროს რუსეთის ზელმწიფეს, ნიკოლოზ პირველს, ჯარი რომ არ გაეგზავნა სტამბოლში, ხონთქრის და ოსმალეთის საშველებლად, მურავიოვის წინამძღოლობით, ვინ იცის რა სურათს წარმოგვიდგენდა ეხლა ბალკანის მხარე და შავი ზღვის არე-მარე. სლავების ხალხებში აქამდინაც ფიქრობენ — იქნება არც უსაფუძვლოდ — იმ დროს მილოში და სერბიაც რომ გარეულიყო ბრძოლაში და მაჰმედ-ალისთვის ხელი გაეწყოთო, ნიკოლოზ ხელმწიფე იქნება წინააღმდეგობა არც კი გაეწია იმ მოძრაობისათვის, რომელშიაც სლავური ელემენტიც იქნებოდა გარეულიო. მართალია ეს მოსაზრება, თუ შემცდარი, ამას ვინ განსჯის. აქ საგულისხმო მარტო ის არის, რომ სერბებმა მილოშს და მის შვილს მიხეილს არ აპატივეს აი ამ „ბედნიერი შემთხვევის“ ხელიდან გაშვება. ალექსანდრე კარაგიორგიევიჩს ეს როდი უნდა დავიწყებოდა, ნამდვილად და ღრმად გაცნობილი რომ ჰქონოდა მისი ამაღლების მიზეზი თუ საფუძველი. ეს რომ ხსომებოდა, არც ის იზამდა მაგნაირივე შეცდომას ყირიმის ომის დროს 1853—1856 წლებში. ამ დროს, როცა მთელ ქვეყანას ეგონა, რომ აღმოსავლეთის ბედი აი ეხლა უნდა გადაწყდესო, როცა სერბიის გვერდით, დუნაიზე, გამწარებული ბრძოლა იყო ატეხილი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა, ოსმალეთის მემკვიდრეობის გაყოფის გულისათვის, ალექსანდრე კარაგიორგიევიჩმა ვერ მოახერხა სერბიისთვის მცირე რაიმე ხეირი მაინც ეშოვნინებინა, ან სერბიის სახელი ცოტაოდენად მაინც გამოეჩინა ქვეყანაში. ამ ბრძოლის დროს ის და მისი სერბია გაჩუმებული, მიყრუებული იყვნენ. ამ გარემოების გამოისობით, პარიჟის შერიგების დროს, 1856-ში, სერბიის მდგომარეობაში მარტო ის ცვლილება მოხდა, რომ „რუსეთის მფარველობამ“ ევროპისას დაუთმო ადგილი. სერბებმა არც ალექსანდრე კარაგიორგიევიჩს აპატივეს ის,

რომ იმან ვერ ისარგებლა გარემოებით, „ვერაფერს ჩამორ-ჩა“ ოსმალეთის ნაოხრალს. ამ მიზეზით სერბიამ კარაგი-ორგიევიჩზე გული აიყარა. ხალხში თან და თან ის აზრი და რწმენა გავრცელდა, რომ ამ ხანად მილოში რომ გვყოლოდა ტახტზე, ის უსათუოდ რამეს გვახეირებდაო. მართალია, ერთობ ხარბი და ძუნწია ის უბედკრიო, ერთობ „უსჯულო“, მაგრამ მაინც ძლიერ მარჯვეაო, დიდი მოხერხებულიო, მეტის-მეტი ოსტატი და გაქნილიო. აი, ამისთანა კაცი უნდა გვყოლოდა ტახტზე, 1840 და 1853—1856-ში, მაშინ სულ სხვაფრივ იქნებოდა ჩვენი საქმეო, სულ სხვაფრივ ვისარგებლებდით გარემოებითო. ნეტავი რად გადავაყენეთ 1839-შიო. ეს აზრი და გრძნობა თან და თან უფრო და უფრო გავრცელდა სერბებ შორის, ყირიმის ომის დაბოლოების შემდეგ 1858-ში, ამ მიზეზით, ალექსანდრე კარაგიორგიევიჩი სერბიის ტახტიდან გადააყენეს და უცხოეთისკენ გაამგზავრეს. მის მაგიერ სერბიის სკუპჩინამ დიდი ამბავით და აღტაცებით აირჩია საშვილიშვილო მთავრად მოხუცებული მილოშ ობრენოვიჩი. როცა ის 1859-ში ხელმეორედ ავიდა სერბიის ტახტზე, ის 79 წლის მოხუცი იყო. მაინც მთელი სერბია დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონ მესამისთანა მოხერხებულ და ოსტატ კაცს სწორედ მილოშისთანა ქვეშ-ქვეშა თუ ჩამორჩებოდა რასმე, თორემ სხვა ვერაო.

მილოში, ავიდა თუ არა ხელმეორედ სერბიის ტახტზე, ისევ თავის კერძო სარგებლობის ძიებას შეუდგა. იმ გაზაფხულივით ბრწყინვალე და საიმედო დროს, 1859—1860, როცა იტალია თავისუფლდებოდა და ევროპის ძალა თუ ყურადღება სხვაგნით იყო მიქცეული, როცა რუსეთი და ოსმალეთი, ორივე ომით დაქანცული, უიარაღო, თითქმის სრულ თავისუფლებას აძლევდნენ ბალკანის ხალხებს, როცა მოლდავიამ და ვალახიამ დაუსჯელად დაფრიწეს პარიჟის მორიგება, რომელზე-დაც ჯერ მელანიც არ შეშრობილიყო, მთელი ევროპის ნების თუ ბრძანების წინააღმდეგ შეერთდნენ და რუმინია დააარსეს,— მილოში ძველებურად თუმანს თუმანზე აწებებდა ინგლისის ბანკში გასაგზავნად. თავისი უშვილ-ძირო ოჯახის სახელზე-

ორი წლის შემდეგ, 1860-ში, მილოშ მოკვდა. მის მაგიერ ტახტზე ხელ-მეორედ მისი შვილი მიხეილი ავიდა. ამის დროს (1860—1867) ის მაინც მოხერხდა, რომ თათრების მეციხოვნეთაგან გათავისუფლდნენ სერბიის ციხეები (1862-ში) და ბელგრადიც (1867). მიხეილს შვილი და ძირი არ ჰყავდა. მით ისპოპოდა ობრენოვიჩის მოდგმა. ამ მიზეზით გამოძებნეს შორეული ნათესავი, მოხუცი მილოშის ძმის შვილის-შვილი, მილანი, დაბადებული 1854-ში, მიხეილს აშვილებინეს, და გასანათლებლად პარიჟში გაგზავნეს. ეს ყმაწვილი სულ თოთხმეტი წლისა იყო, როცა, 1868-ში, ბელგრადში მიხეილის წინააღმდეგ შეთქმულობა შედგა, რომლის შედეგი ის იყო, რომ მიხეილი მოჰკლეს.

ტახტის მემკვიდრის უწლოვანების გამო სკუპჩინამ (პარლამენტმა) სამი რეგენტი დანიშნა ქვეყნის მმართველად, ბლაზნავაჩი, გლავიდოვიჩი და რისტიჩი. რეგენტებმა ჯერ ოციოდე კაცი დახვრიტეს, ზოგი ნამდვილი, და ზოგი ვითომ მონაწილე მიხეილის მოკვლისა. ამ დახვრეტის დროს ერთი ცუდი შემთხვევა მოხდა: ერთი ტყვია ბოძიდან უკან ისე უბედურად დაბრუნდა, რომ იქვე სული გააცხებინა იმ აფიცერს, რომელსაც დასახვრეტად თოფის სროლის ნიშანი უნდა ეჩვენებია ჯარისთვის. აუარებელი ხალხი, ამ ოციოდე კაცის დახვრეტის დამსწრე, გამობრუნდა იმ რწმუნებით, რომ ეს ცუდი ნიშანია ახალი მთავრისთვისო. რასაკვირველია, ეს ცრუ მორწმუნოების შედეგია, მეტი არაფერი. მაგრამ ამ ამბავს დღესაც დიდი გასავალი და მნიშვნელობა აქვს ხალხში.

მილანი მოიყვანეს პარიჟიდან ბელგრადს და დააგვირგვინეს მთავრად ივლისში 1868. ოთხი წლის განმავლობაში მისი სახელით მართვიდენ სერბიას რეგენტები. 1872-ში, როცა მილანი თვრამეტი წლის შეიქნა, ის სრულ-წლოვანად იცნეს. აქედან იწყება მისი საკუთარი მთავრობა და მბრძანებლობა. თავიდამვე, რეგენტების დროს, სერბიის დიდი წარმატება დაეტყო წესიერების მხრით, რადგანც რეგენტები სწორედ რომ ერის და ქვეყნის სასარგებლოდ მართვიდნენ საქმეებს. 1869-ში

რეგენტებმა შეჰკრიბეს „დიდი სკუპჩინა“ და შეადგენინეს მას კონსტიტუცია (წესდება), თუ როგორ უნდა იმართვიდეს სერბია, რა ნაირი პარლამენტი უნდა ჰყვანდეს, რა გაწყობილება უნდა იქმნეს მთავარსა და პარლამენტს შორის და სხვა და სხვა. საუბედუროდ, გახდა თუ არა მილანი სრული-წლოვანი, მაშინვე ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ამ კაცს არც დამდგარი ხასიათი ჰქონია, არც წესისა და რიგის დაცვის სურვილი. თითქმის მთელი მისი მთავრობა ისე გავიდა, რომ წამისწამ განხეთქილება თუ შეტაკება იყო მას და სკუპჩინას შუა, ხან თვალ-საჩენს, ხან სრულიად უბრალო საგნებზე. იმის მაგიერ, რომ ხალხის გონება და ძალა მიქცეული ყოფილიყო მარტო იმ საგნებზე, თუ როგორ დამარაგდეს და გაძლიერდეს სერბიის ერი, განათლდეს და ამაღლდეს მისი ახალთავობა, რომ იქნება ამით მომავალ შეტაკების დროს ღირსიანი ადგილი დაიკავოს ქვეყანაში, მთელი სერბიის მწერლობის, პარლამენტის, ინტელლიგენციის და მმართველობის ღონე და ნიჭი მარტო სულ უბრალო, სულ უმნიშვნელო ინტრიგებში, მარტო პირად ბრძოლაში და ერთმანეთის გათქერაში იფანტებოდა. როგორც ხალხის, ისე კერძო მოთავეების ხასიათს თან და თან ემჩნევოდა დამცირების, წვრილფეხობის, სისუსტის და სულმოკლეობის დაღი. ამასობაში, დაუმზადებელ, გზა და კვალი დაბნეულ სერბიას 1875-ში მეხივით თავზე დაეცა ჰერცეგოვინას აჯანყება. იმ დროს ჰერცეგოვინა ოსმალეთის პროვინციას შეადგენდა და თითქმის ერთიანად სერბებით იყო დასახლებული. მეზობლის, მეკვარეს, მოძმეს აჯანყებას ოსმალეთის წინააღმდეგ არ შეიძლებოდა თან არ დართოდა დიდი მოძრაობა თვით სერბიაში. ხალხი გამოეფხიზლდა, წამოხტა, მთავარს და სკუპჩინას მიაჩერდა, და მაშინვე დარწმუნდა, რომ მის გრძნობას და მთავრის საქციელს შორის დიდი მანძილი იყო. ყველასთვის, როგორც ხალხისთვის, ისე სკუპჩინის უმრავლესობისათვის, ნათლად გამოისახა, რომ მილანი სულ სხვა მიზნისკენ მიიწევს, ვინმე სერბია. ხალხის სიმპატია და სურვილი მიმართული იყო, რასაკვირველია, ერთიანად სლავების განთავისუფლებისკენ. ჩვენი ქვეყანა ყველა-

ზე უწინ ელირსა თავისუფლებას, მაშ ყველაზე წინ, მოთავედ უნდა იდგეს სლავების ბრძოლაშიო, ჰფიქრობდა დიდი და პატარა; ჩვენ პიემონტივით, პრუსიისავით უნდა გავხდეთ მომავალი სერბების და სლავების ერთობის შუაგულადო, დაეეხმაროთ, მივემხროთ, შევუერთდეთ ბოსნიას და ჰერცეგოვინას, მერე ბოლგარიას და სხვ. და სხვ. და სხვ. ამისთანა ოცნების ასრულებას ხანგრძლივი მმართველობის შრომა და მარაგი ეჭირვება, რასაკვირველია. სერბიაში ლანდიც არა ჩნდა ამგვარი შრომისა და მზადებისა. მილანი და მისი ამალა ერთიანად მინდობოდნენ ავსტრიის მთავრობას, და მისი ყურ-მოჭრილ ყმად გამხდარიყვნენ. იმის მაგიერ, რომ რიგიანად ეხმარათ, სერბიის სასარგებლოდ, პოლიტიკური განხეთქილება და შური, რომელიც არსებობს დიდრონ სამეფოებს შორის, მილანს თვალი დაეხუჭა და ისე მინდობოდა ავსტრიუნგრეთის მმართველებს. გერცოგოვინის აჯანყების დროს, დიდი უარისა და ოინების შემდეგ, მილანი მიხვდა, რომ ვერაფერ ნაირად ვეღარ ეწინააღმდეგებოდა, ვეღარ გაუძლებდა ხალხის გატაცებულ გრძნობას. ძალა-უნებურად გამოუცხადა იმან 1876-ში ომი ოსმალეთს და მით გამოიწვია რუსეთიდან დიდძალი ხალხი, იარაღი და საშუალება. საუბედუროდ, სერბიის ჯარი სრულიად გაუწვრთნელი გამოდგა, რუსეთიდან მოსული დამხმარები გარიბალდის მომხრეებისთანა გმირებად ვერ გამოდგნენ, თვითონ მთავრობაში განხეთქილება და შინაგანი ბრძოლა ატყდა და „სერბიის ომი“ სერბიის დიდი დამარცხებით დაბოლოვდა. რუსეთის ულტიმატუმს რომ არ გაეჩერებინა გამარჯვებული ოსმალოს ჯარი, სერბია ერთიანად აოხრებული შეიქნებოდა მაშინ.

მილანმა ვერ მოახერხა ვერც თავის გამოჩენა ამ ომის დროს, ვერც იმ მდგომარეობა ინტრიგების დამალვა, რომელიც სერბიის ძალას და ენერგიას ფესვს უთხრიდნენ. როცა, დამარცხების შემდეგ, რუსეთსა და ოსმალეთს შუა დიდი ბაასი და მოძრაობა მოხდა, სწორედ ამ დროს მილანმა, ავსტრიის და ინგლისის ბრძანებით, უეცრად კერძო მორიგება შეჰკრა ოსმალეთ-

თან, თუმც ეს მორიგება უფრო ავსტრიასთვის იყო სასარგებლო, ვინემ სერბიასთვის. მას მოჰყვა 1877-ის ომი რუსეთსა და ოსმალეთს შუა. სანამ ბრძოლა გაჭირვებული იყო, სანამ სერბიის შიგ გარევა რუსეთისთვის დასაფასებელი იყო, სანამ ოსმალეთისთვის ომის გამოცხადებით შეიძლებოდა სერბიას რუსეთი დაეევალებინოს, მილანი საშინელ უარზე იდგა: არა შეიძლია-რაო, ჯარი აღარა მყავსო, ფული მაკლიაო. რუსეთმა ფული იმდენი გამოუგზავნა, რამდენიც კი მილანმა მოითხოვა. მაინც სანამ პლევნა არ დაემხო, მილანი არ განძრეულა. მერე კი, როცა რუსის ჯარი, ელვასავით გაქანდა სტამბოლისკენ და მტვრად გაიხვეტა რაც კი რამ წინ თათრის ჯარი დაუხვდა, მილანმაც გამოუცხადა ომი ოსმალეთს. უმადურად მოეპყრო, მაგიერად, გამარჯვებულიც. საბოლოო შერიგების დროს სერბიას ერთი ნამცეცა ტერრიტორია შეეძინა (ნიში და პიროტი), და მილანს ნება მიეცა, მთავრის მაგიერ თავის თავისათვის კოროლი დაერქვა...

ამ ომიდან სერბია, კარგად თუ ავად, მაინც გადიდებული გამოვიდა გარეშე ერის და არა სერბების თვალში. სერბებს კი გულში ის უშველებელი დარდი ჩაჰყვათ, რომ ბოსნია და ჰერცოგოფინა, ესე იგი „ძველი სერბია“, „დიდი სერბიის ნახევარი“, ავსტრი-უნგრეთს ერგო წილად, ტყუილა-უბრალოდ... ის მთავრობა, რ ს ავსტრი-უნგრეთი, რომლისგანაც მილანი და მისი ამალა სერბიის აშენებას ელოდა, სერბიის სამკვიდრებლის მიმთვისებლად გამოვიდა. ამ გარემოებამ დიდად შეარყია როგორც მილანის, ისე მისი მომხრე ლიბერალების და პროგრესისტების გავლენა სერბიაში.

მეორე გარემოებაც დაერთო ამ მიზეზს. ამ ოცი, ოც და ათი წლის წინად სერბია ერთიანად დაქვეითებული ქვეყანა იყო, უგზო, უფულო, უვაჭრო და უმრეწველო. მისი მკვიდრნი მარტო ჰურს სთესდნენ, ანა და ტყეში ღორებს ზდიდნენ, ავსტრიაში გასაყიდად. როცა ყირიმის ომი დაბოლოვდა და მილოში ისევ გამეფდა, სერბიასაც — სხვა ქვეყნებსავით — გაუჩნდნენ მშველელები: ვენიდან იქაურმა ურიებმა მილოშს და მის მემკვიდრეებს წინა-

დადება მისცეს: ფულებს, დიდ-ძალ თანხას, მოვიტანთ სერ-ბიაში, ბანკებს დაგიარსებთ, რკინის-გზებს გაგიშენებთ, ქარხ-ნებს გაგიმართავთ, ტყეებს დავჭრით და დავხერხავთ, ერთი სი-ტყვით, დიდ პროგრესს და ცივილიზაციას შემოვიტანთ მაგ თქვენს სერბიაშიო. ეს ყველაფერი, მართალია, ყველაფერი საჭირო იყო, უფულოდ არ გაიმართებოდა, და ამის გაუმართავად კი ხალხი წელს ვერ გაიმართავდა, ვერ განათლდებოდა. მაგრამ როცა ამისთანები შემოდის ქვეყანაში, უმეცარი მილოშისთანა მმართვე-ლები ეღარ ახერხებენ რიგიანი ლაგმი ამოსდონ თანხის პა-ტრონების მადას. და ასე აულაგმავად კი უცხოურ თანხას ცივილიზაციასთან, შეიძლება, მკვიდრების გაღატაკება, დამონებაც მოსდევდეს. მილოშმა, მიხეილმა, მილანმა და მათ-მა ამალამ ვენის ურიებს ისეთი კონცესიები, უპირატესობა და უფლება მიანიჭეს, რომ ოცი წლის განმავლობაში მთელი სერ-ბია ამ თანხის პატრონების და კონცესიონერების ხელ-ფეხ-შე-კრულ ყმად გადიქცა. მართალია, ამისთანა კონცესიებისთვის თანხის პატრონებმა დიდ ძალი ფული მისეცეს მთავრობას და მათ მინისტრებს, მაგრამ ამით ერის მდგომარეობა როდი შეცვლილა. მთავრობას არ სცოდნოდა, თუ ვერ მოეხერხე-ბია ეს კონცესიები ისე შეედგინა, რომ თანხის შემოტა-ნას ხალხისათვისაც მოეტანა სარგებლობა, და თანხის პა-ტრონისთვის თუნდ ერთი-ორად მეტი სარგებელი მიეცა, ვინემ ის, რომელსაც ფული უცხოეთში იძლევა. ამ ეკონომიურმა უმეცრებამ—თუ უფრო საძრახმა ანგარიშმა—ისეთი ბატო-ნობა შექმნა უცხოელებისა სერბიაში, და ისე ჩამოა-ქვეითა სერბები, რომ მთელ ერში საშინელი მოძრაობა ატყდა. რაც უფრო მეტად ამტკიცებდნენ ლიბერალები და პროგრესი-სტები, რომ ასე სჯობიაო, ესაა ცივილიზაციაო, უამისოდ სე-რბია ვერც კი გასძლებსო და სხვ., მით უფრო მწარდებოდა ერი და ახალი თავობა. ეს უკანასკნელი უფრო-და-უფრო მტკი-ცედ იმ შეხედულობას დაადგა, რომ მამულის ეკონომიური პროგრესი, აუცილებელი საჭიროება მისი პოლიტიკური გაძ-ლიერებისთვის, უსათუოდ ხელიდან უნდა გამოვგლიჯოთ ვენის

ხარბ ბანკებსო. საკუთრად ჩვენი დავიარსოთ, პირ-და-პირ საშეფოს სახელით ვაშენოთ რკინის გზები, თანხას თავისი მივცეთ, და არა მეტიო (კეისრისა კეისარსო) და სხვა. ამ შეხედულების მქადაგებლებმა, რასაკვირველია, ადვილად გამოიკვლიეს, და ხალხსაც დაანახვეს, რომ დიდი კავშირი არსებობს მილანის და მისი ამალის ვენისკენ პოლიტიკურ მიდრეკილებას და აი ამ ვენის თანხის პატრონების ბატონობას შორის სერბიაშიო. უნდა „გავანაციონალურუოთ“ სერბიის პოლიტიკაც და ეკონომიაცაო. ამ აზრების მომხრეებს ჰქვია სერბიაში „რადიკალური პარტია“.

თითქმის მთელი მეფობა მილანისა განუწყვეტელი ბრძოლა იყო მასა და ამ რადიკალურ პარტიას შუა. ეს ბრძოლა იქამდინ გამწვავდა, და მილანი იქამდინ ხელ-აღებული იყო კანონიერ საშუალებაზე, რომ საქმე აჯანყებამდინ მივიდა. აჯანყება 1883-ში მოხდა, რასაკვირველია, მილანის სასიამოვნოდ: ახალი თოფიარაღის შემწეობით ჯარს ადვილად და უცბად შეუძლია ეხლა ყოველი აჯანყების მოსპობა. გაიმარჯვა თუ არა რამდენსამე აჯანყებულ სოფლებზე, მილანმა სასტიკად და უმოწყალოდ დასაჯა მოწინააღმდეგეები, უმეტესი ნაწილი სიკვდილით. სერბიის ჯარი და მთავრობა ერთიანად რადიკალებზე ნადირობაში გართული იყო, როცა სერბიის გვერდით, ბოლგარიაში, დიდი და მომავლიანი ცვლილება მოხდა. ბერლინის კონგრესის ძალით ეს ქვეყანა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ნახევარი გაათავისუფლეს, კერძო სამთავროდ იცნეს, და ალექსანდრე ბატტენბერგს, ამორჩეულ მთავარს, ჩააბარეს. მეორე ნახევარი კი ისევ ოსმალოს საბრძანებლის ნაწილად დარჩა (აღმოსავლეთის რუმელია). ამ მეორე ნაწილში მცხოვრებმა ბოლგარებმა ერთ მშვენიერ დილას ოსმალოს ხელიდან თავი გაითავისუფლეს და თავისუფალ ბოლგარიას შეუერთდნენ, მისი მთავრის, ალექსანდრეს უფროსობა იცნეს. ამ მიზეზით ბალკანების ქვეყანაში პირველობა ბოლგარიას და ბოლგარიის მთავარს დაემკვიდრა, და არა სერბიას და ობრენოვიჩებს. მილანმა ეს ითაკილა. ბოლგარიას შეერთების და გადიდების ნებას

არ მივცემო, გამოაცხადა, თუ სერბიასაც სამაგიერო არა შეემატება-რაო. ამ აზრით მილანმა ბოლგარიას ომი გამოუცხადა და ჯარი შეასია ისეთი მხრით, საიდამაც ახლად შეთხზული მთავრობა არც ეჭვში იყო, არც დაცემას მოელოდა. მილანი დარწმუნებული იყო, ალბად, რომ ბოლგარების დალეწვა ისეთივე ადვილი საქმეა, როგორც უიარაღო სერბიის თოფით ხვრეტაო. ალექსანდრე ბატტენბერგმა სერბიის ჯარს დაახვევრდა თავისი ახლად-დარაზმული და რუსების აფიცრებისგან ჩინებულად გაწვრთნილი არმია. რამდენიმე სისხლის-მღვრელი შეტაკების შემდეგ, სლივნიცას მოხდა დიდი ომი, რომელშიაც სერბიის ჯარი საშინლად დამარცხდა და უკუიქცა. ბოლგარიის ჯარი გაქცეულ სერბებს ხელ-ახლავ დაეწია პიროცში, სადაც ხელ-მეორედ განუზომელი მარცხი დაატეხა თავზე. მილანის ჯარი ისე წახდა და დაიფანტა, რომ მთელი სერბიის გზა თავისუფლად გადაშლილი იყო ალექსანდრეს არმიის წინ. ამ დროს სერბია გადაარჩინა ავსტრი-უნგრეთის იმპერატორის ულტიმატუმმა: ალექსანდრეს გამოეცხადა, რომ თუ არ გააჩერე შენი ჯარი, წინ, სერბიის ჯარის მაგიერ, ავსტრი-უნგრეთის ძალა დაგხვდებაო. როგორც ცხრა წლის წინად დამარცხებულ სერბიას ფარად და მხსნელად რუსეთის სიტყვა და გავლენა გამოადგა, ისე 1885-ში გამარჯვებით დამთვრალ ბოლგარების ხელიდან სერბია ავსტრიის გავლენამ იხსნა.

მთელ ევროპაში, და განსაკუთრებით თვით სერბიაში, ამ უზარ-მაზარმა დამარცხებამ ერთიანად დაამხო მილანის და მისი მთავრობის სახელი და გავლენა. მილანი მიხვდა, რომ ტახტიდან გადაგდებას იმას მარტო სრულიად გაჩუმება და ხალხის ნებაზე სიარული ააცილებს თავიდან. ამ განზრახვით ის კაიძალი ხანის განმავლობაში აღარც კი ერეოდა საქმეებში, ან როდი ჩნდა, თუ ერეოდა. მისდა საუბედუროდ, მალე შინაური უკმაყოფილებაც დაერთო მისი მდგომარეობის სიძნელეს. თვით მის ოჯახში შფოთი ატყდა მას და მის მეუღლეს, ნატალიას, შუა. მილანმა ცოლის მოშორება მოინდომა, და ცოლი კი უარზე დადგა. ატყდა საშინელი დავა ცოლსა და ქმარს შუა, როგორც

სასულიერო მთავრობის წინ, ქორწინების გაუქმების თაობაზე, ისე მწერლობაში და სკუპჩინაში. თუმც ნატალიას მანამდინ სრულიად არაფრით არ მიეზიდა თავისკენ ხალხის გული და გრძნობა, ის მალე შეიქნა საერო სიმპატიის საგნად, მარტო იმიტომ, რომ ერს მილანი სძაგდა. სერბიის სასულიერო მთავრობამ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ცოლ-ქმრობის გაყრის საქმე, უარი უთხრა მილანს. ამ მიზეზისთვის მიტროპოლიტი მახეილ განდევნილ იქნა სერბიიდან, და მის მაგიერ ყველა ეპისკოპოზებიდან საკუთრივ ის კაცი დანიშნეს, რომელმაც მილანის სურვილის ასრულება იკისრა. ამ მიტროპოლიტმა 1888 წლის ოქტომბერში გადასწყვიტა, რომ სერბიის ძველებური ჩვეულებებით თვით მეფეს აქვს ნება თავისი საკუთარი უფლებით დაარღვიოს და უკანონოდ იცნოს თავისი ქორწინებაო. მილანმაც ასე ჰქნა... მაგიერად, ვინც კი სერბიაში მილანის წინააღმდეგი იყო, და განსაკუთრებით რადიკალური პარტია, პირდაპირ მგმობელად გამოვიდა ამ უკანონოებისა.

მთელი სერბიის ბრაზი და წინააღმდეგობა მილანმა იმით მოიგერა, რომ ორი დღის შემდეგ, თოთხმეტ ოქტომბერს 1888-ში მანიფესტი გამოსცა, რომლითაც სერბიის ერს უფლება ეძლეოდა წარმომადგენლები ამოერჩია ახალი „უსტავის" (კონსტიტუციის) შესადგენად, ისე რომ თვით ერს დაეწესებია მომავლისთვის თავისი წყობილება და მმართველობა. ამ შემთხვევაში მილანმა მეტის-მეტი ლიბერალობა გამოიჩინა. კენჭის-ყრის დროს ხელმძღვანელად და ზედამხედველად ყოველს სოფელში დაარსდა ცალკე კომიტეტი სამი პირისგან, რომელთაგან ერთი ლიბერალი პარტიის მომხრე იყო, მეორე პროგრესისტების და მესამე რადიკალების. ამ მოპირდაპირეების თვალ-ყურობით მოხდენილმა კენჭის-ყრამ სრული უფლება მიანიჭა სერბიაში რადიკალებს. სერბიას უნდა ამოერჩია სულ 580 დეპუტატი. ხალხმა ამოირჩია 500 რადიკალი, 79 ლიბერალი და მარტო ერთი პროგრესისტი (ავსტრიისა და მილანის მომხრე). იმავე წლის დეკემბერში სკუპჩინამ მიიღო და დაამტკიცა ახალი, რიგიანად შედგენილი კონსტიტუცია, რომე-

ლიც თვითონ მილანმაც მეორე დღესვე დაამტკიცა და გამოაცხადა. ყველას მარტო ის სწყინდა, რომ მინისტრებად მილანს ისევ პროგრესისტები ჰყვანდა, და არა რადიკალური პარტიის მოთაველნი. ესეც მალე აიხსნა: ორი თვის შემდეგ, 10 (22) თებერვალს 1889 მოულოდნელად გამოცხადდა მილანის მანიფესტი, ტახტზე ხელი ამოღია და ჩემ მაგიერ ჩემი მხოლოდ-შობილი ძე და მემკვიდრე დამიტოვებიაო.

ახალი მეფე, ალექსანდრე პირველი, იმ დროს ცამეტი წლისა იყო. მაშ იმასაც ისეთივე რეგენტები უნდა დანიშნოდა, როგორიც უწინ მილანს ჰყვანდა. მილანმაც, ამ რეგენტების ამორჩევის და დანიშვნის დროს, ხელ-ახლავ ხრიკი მოსდო თავის ხალხს და ქვეყანას. ყველასთვის ცხადი იყო, რომ სერბია ერთიანად რადიკალური პარტიის მომხრე და თანამოაზრე იყო. მაშასადამე, ვისაც მისი მშვიდობიანობა და წარმატება სწამდა თუ ჰსურდა, იმას უფლებაც ამ პარტიის მოთავეებისთვის უნდა ჩაებარებია. მილანმა კი, ტახტის მიტოვების დროს, რეგენტებად ლიბერალური პარტიის წინამძღოლები გახადა (რისტიჩი, კოსტა პროტიჩი და ბელი-მარკოვიჩი). ამით დაითესა ხანგრძლივი ბრძოლა რეგენტებს (ესე იგი ტახტს) და სკუპჩინას შუა.

თავდაპირველად რეგენტებმა, წესისამებრ, მინისტრობა რადიკალური პარტიის მოთავეს, გრუიჩს, მიანდეს. საქმე ჩინებულად წავიდა. ახალმა სამინისტრომ და ახლად არჩეულმა „მცირე სკუპჩინამ“ (რომელშიაც მარტო 117 დეპუტატი ითვლება, მათგან 102 რადიკალი და 15 ლიბერალი) მალე შეუდგა ეკონომიურ რეფორმებს რკინის გზების და ბანკების ასალაგმავად და გასაწრთვნელად. დიდი შეტაკება მოხდა ამის თაობაზე უცხოეთის მთავრობასთან, საკუთრივ ავსტრი-უნგრეთთან და საფრანგეთთან. რადიკალურმა სამინისტრომ ცხადად დაამტკიცა უწინდელი კონცესიების უკანონობა და დარღვევა თვით კონცესიერებისგან, და საქმე ბრწყინვალედ მოიგო. რკინის გზები დაიხსნა, მარილის მონოპოლია მოსპო, ბანკების თვით-მპყრობელობა ალაგმა და სხვ.

და სხვ. რადიკალური პარტიის უმთავრესმა წინამძღოლმა, პაშიჩმა, ახალი სკუპჩინის თავმჯდომარემ, სამართლიანათ სთქვა, რომ სერბიის უწინდელ მმართველობას ქვეყნის ძალა გაუქარწყლებიაო, ქვეყნის ქონება დაუფანტავს, და ჩვენი ქვეყნის სამარადისო პოლიტიკა დაუვიწყნიაო. ამ მიზეზებით სერბიის არსებობა სრულიად შერყეულიაო. ჩვენი პარტიისა და ქვეყნის საგანი ის უნდა იქნეს დღეიდან, რომ ვეძიოთ, თუ როგორ შევაერთოთ ყველა სერბები, როგორ დავაარსოთ თანხმობა და ფედერაცია ბალკანების სამეფოებს შორის, და რანაირად მოვიახლოვოთ ზნეობრივი და გონებრივი კავშირის დაწესება დიდი სლავური მოდგმის ყველა ხალხებ შორისო.

ორი წლის განმავლობაში საქმე რიგიანად მიდიოდა. დაბრკოლება მარტო იმაში მდგომარეობდა ხოლმე, რომ ხან მილანი, ხან მისი ნაცოლარი ერთმანეთზე სჩიოდნენ და სკანდალებს მართავდნენ. ბოლოს, სკუპჩინამ და რეგენტებმა ორივე ერთიანად განაძეს სერბიიდან. მეორე ნაკლულევანება იმის შედეგი იყო, რომ რადიკალებს, როგორც ყოველ ახალს და ქვეყნის მართვაში ჯერ კიდევ გამოუცდელს პარტიას, ზოგიერთ საგნებზე შემცდარი შეხედულობა ჰქონდა. მაგალითად, ის ამტკიცებდა, შვეიცარიის წაბაძვით, მუდმივი ჯარი რად გვინდაო, მილიციაც გვეყოფაო, ესე იგი, როცა სერბიას გასაჭირი ან ომი მიადგება, მთელი ხალხი გამოვიყვანოთ საბრძოლველადო. ეს უწინდელ დროში გამოდგებოდა, ან ისეთ ქვეყანაში ვარგა, რომელსაც ომის შიში ან ანგარიში როდი აქვს. ეხლანდელი თოფ-ზარბაზნის და ციხეების ხმარებას კი მარტო მტკიცედ და მარჯვედ გაწაფული ჯარი თუ მოახერხებს... ამ კითხვაზე, და ზოგიერთ სხვებზედაც, ბოლოს დიდი უთანხმოება ატყდა რადიკალურ სამინისტროს და ლიბერალურ რეგენტებს შორის. რეგენტებმა, თავისი უფლების ძალით, სამინისტრო ჩააბარეს ლიბერალურ პარტიის მომხრეებს: ავაკუმოვიჩს, რიბარაცს და სხ. ამ სამინისტროს არავითარი გავლენა არ ჰქონდა, რასაკვირველია, არც სკუპჩინაზე, არც ერზე. ამის გამო ის პირდაპირ ძალას დაადგა და ბევრი ისეთი აშკარა უსამართლობა, თუ კა-

ნონის დარღვევა გაბედა, რომ მთელი ერი შეიძრა. ამით შორიდან ისარგებლა ახალგაზდა მეფის გადამდგარმა მამამ, მილანმა, რომელიც ერთობ გაბრაზებული იყო თავისგანვე დაყენებულ რეგენტებზე. მისი რჩევით, ახალგაზდა მეფემ 2 (14) აპრილს 1893 უეცრივ დაატუსაღა და თანამდებობისგან გადააყენა როგორც რეგენტები, აგრედვე სამინისტროც, თუმც მისი კანონიერი სრულ-წლოვანება ჯერ კიდევ შორს იყო...

რადიკალური პარტია თვითონაც საღი გონების და შორს-მჭვრეტელობის პატრონი რომ ყოფილიყო, ამ ცხად და აშკარა დარღვევას ქვეყნის წესდებისას როდი მიემხრობოდა და იქნება კიდეც ააცილებდა ახალგაზდა მეფეს. რა იქნებოდა მოეცადათ კიდევ წელიწად-ნახევარი, 2 (14) აგვისტომდინ 1894 წლისა, როცა მეფე სრულ-წლოვანი (18 წლისა) გახდებოდა? ამის მაგიერ რადიკალურმა პარტიამ ტაშის კვრით და აღტაცებით მიიღო რეგენტების და კონსტიტუციის შემუსვრა ჯარის კაცების ხელით, ახალგაზდა, უწლოვანო მეფის ბრძანებით. თითქო ძნელი მოსაზრებელი იყო, რომ მეორეჯელ, ვისაც ამგვარი უკანონობა შერჩება, უარესსაც იზამს, და მეორეჯელ, ხომ, შემუსვრა თვითონ რადიკალებს უნდა მისდგომოდა. ახალმა მეფემ დაატუსაღა თუ არა რეგენტები, სამინისტრო თავის მასწავლებელს, დოკიჩს, ჩააბარა, რომელიც რადიკალებს მიეკედლა. რასაკვირველია, სამინისტრო შედგა მარტო რადიკალებისგან. მათი აღტაცება მალე ხალხსაც გადაედო. როცა, რამდენიმე კვირის შემდეგ, მეფე ალექსანდრემ სერბიის სხვა-და-სხვა მაზრები ჩამოიარა, ხალხმა ის ყოველგან როგორც მხსნელი და გმირი, ისე მიიღო. კანონიერი საქციელი, წესდების ძალა და სიწმინდე ვისღა ახსოვდა. გამარჯვებულმა რადიკალებმა ამით ისარგებლეს, და გადაწყვიტეს—წინანდელი მინისტრები (ლიბერალები) სამართალში მიეცემულ იქმნან უკანონო მოქმედებისათვისო. ავაკუმოვიჩის და მისი ამხანაგების პროცესზე იყო მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში მიქცეული სერბიის ერის და მმართველობის ყურადღება. ნელ-ნელა ახალმა მეფემ, მილანის რჩევით, და ხალხის აღტაცებით მოტყუე-

ბულმა, იუკადრისა რადიკალების თვით-ნებიერება და უპირატესობა. იმან თავის ნებით შეცვალა სამინისტრო. დოკიჩის სიკვდილის შემდეგ. სხვა-და-სხვა პარტიის წინამძღოლებს შეაძლია იმან მინისტრობა, როგორც გარაშანინს (პროგრესისტს), რისტიჩს (ლიბერალს) და სხვ. მაგრამ არავინ ამათგანმა არ მიიღო ეს უმადური თანამდებობა. ან რა იმედით მიეღოთ, როცა უკანასკნელ (ეხლანდელ) სკუპჩინაში 223 რადიკალი ითვლება, 10 პროგრესისტი და მარტო ერთი ლიბერალი? რადიკალებთან წაჩხუბებულმა მეფემ ჩააბარა სამინისტრო ჯერ სიმიჩს, რომელმაც მოინდომა „უპარტიო“, თუ „მიუდგომელი“ სამინისტროს შედგენა. ამ სამინისტრომ სამიოდე კვირაც ვერ გასძლო. ეხლა მის მაგიერ ალექსანდრეს მინისტრად ნიკოლაევიჩი დაუნიშნავს, რომელიც როდი მალავს თავის განზრახვას „ძალის ხმარებაზე“. ეს ის სვეტომირ ნიკოლაევიჩია, რომელიც ოდესმე მასწავლებელი იყო, და სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა პარტიას ეკუთვნოდა. უწინდელმა რადიკალმა, პროგრესისტების ბანკში გადასულმა, 1891-ში თავი გამოიჩინა—მთელი ევროპის სასირცხვოდ—იმ ლირფი სიტყვით, რომელიც ერთს სადილზე წარმოსთქვა ბელგრადში, გადამდგარი მილანის შესახებ. „ყველას ის ემჯობინებაო, დაიძახა ამ ვაჟბატონმა, რომ მილანმა უარი სთქვას თავის ტახტიდან გადადგომაზე, სერბიაში დაბრუნდეს და გვიხსნას ძალით რადიკალების ხელიდანო“! აი ამ კაცს ჩააბარა დღეს მეფე ალექსანდრემ, მილანის რჩევით, სამინისტროს თაოსნობა.

რაღა თქმა უნდა, ამისთანა მოთავე საქმეს სწრაფად წაიყვანდა. მისი შეგონებით მეფე ალექსანდრეს ერთიანად მოუსპია 1889 წლის კონსტიტუციის ძალა, თავის ნებით ძალაში შეუყვანია 1869 წლის კონსტიტუცია, ბევრად უფრო საძნელო ხალხისთვის, რადგანც მისი წესით მეფეს ნება აქვს ხალხისგან ოთხ ამორჩეულ დეპუტატზე ერთი, მეხუთე, თავის ნებით დანიშნოს. ამასთანავე მეფე ალექსანდრეს თავისივე ნებით, და აგრედვე სრულებით უკანონოდ, დაუბრუნებია მილანისთვის ყველა მისი უწინდელი ღირსება და უფლება, რომელზე-

დაც მილანმა, სკუპჩინასთან მორიგების ძალით, და დიდის სასყიდლის ფასად სამუდამოდ ხელი აიღო. ერთი სიტყვით, სერბიის ტახტმა ერთიანად უარჰყო კანონიერი წესი წარმომადგენელი მმართველობისა და აშკარად განიზრახა სერბიაში მეფის თვით-მპყრობელობის შემოღება.

რა ბოლო ექნება ამ პოლიტიკას? მოითმენს თუ არა ხალხი ამოდენა უსამართლობას და არეულობას? ვინ გაიმარჯვებს სერბიაში, ძალა, თუ კანონი, რომელსაც, როგორც ვხედავთ, ერთგული დამცველი არცერთ პარტიაში არ ჰყოლია? უეჭვოა, რომ ეს მდგომარეობა დიდ ხანს ასე ვერ გაგრძელდება. მაგრამ რითაც უნდა დაბოლოვდეს ის, სულ ერთია; ცხადი ის არის, რომ სერბიას ძალა და საშუალება უნაყოფოდ ილევა და ჰქარწყლდება წვრილმან ურთიერთ შორის ბრძოლაში, რომელიც მარტო იმ გარემოების შედეგია, რომ მის მოთავედ ხარბი და წვრილმანი ადამიანები დგანან, რომელთაც გაგებაც კი არა აქვთ, თუ რა ზრუნვასა და ღვაწლს თხოულობს მათგან სერბიის მომავალი ბედი და განსაცდელი...

ნ. ნიკოლაძე

აპრილის განმავლობაში რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები:

ს. ბარნოვი — სესე, ისტორიული ამბავი, სასალსო წიგნი № 2, ტფ. 1894 წ. 1—27 გვ. ფასი 5 კაპ.

ნ. ბ. ეიგოტოვსკი — ჰაერი და სითბო, თარგმ. გ. შარაშიძისა, ქუთაისის ამსსნაგობის გამოცემა, № 8, ქუთ. 1894 წ. 1—38 გვ., ფასი 15 კაპ.

ს. ს. ბუშკინი — მაზეპა (პოლტავა), პოემა რუსულიდან სათარგმნი, ქუთ. 1894 წ., 1—61 გვ., ფასი 20 კაპ.

გეორგენი — ქართული ძველი სასულიერო მწერლობა — გამოცემული მღვდ. კ. გრ. კარბელოვის საკუთრებით და რედაქციით, თავები მე-III და მე-IV, 137—255 გვ. ტფ. 1894 წ., ფასი ოთ-ოთი შაური.

მ. მ. კალისტრატე. — ხოპის მონასტერი და მისი სტროიული წყარო, 1089 — 1125 წ. ასალ-ენაკი 94 წ., 1—56 გვ. ფასი 10 კ.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭეონია

გამომცემელი
ნიკოლოზ დოდოხერიძე